

ად პარამიტი

ნარკვევები
ქართული დიდიერატურის
ისტორიიდან

||

ს ჭ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

„ნარკვევების“ მეორე ტომსაც კრებულის ხასიათი აქვს. მაგრამ წიგნის პრაქტიკული დანიშნულების გამო („ნარკვევები“ განკუთვნილია უმაღლესი სკოლის დამხმარე სახელმძღვანელოდ) ავტორმა აქ გარკვეული სისტემა დაიცვა მასალის შერჩევასა და დალაგებაში: „ნარკვევების“ მეორე წიგნში გათვალისწინებულია მხოლოდ XV—XVIII საუკუნეების ლიტერატურული მასალა. თვითონ მასალის დალაგებისას ავტორი ხელმძღვანელობდა ქრონოლოგიური პრინციპით. ოღონდ მკითხველს რომ რამოდენიმედ მაინც მთლიანი წარმოდგენა შექმნოდა მესამე პერიოდის ქართულ მწერლობაზე, „ნარკვევებს“ დაერთო სპეციალური განყოფილება—*varia*. ამ განყოფილებაში შედარებით მოკლედ განხილულია ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენი ლიტერატურული წარსულიდან, რომელიც ვერ მოხვდა წიგნის ძირითად ნაწილში.

„ნარკვევების“ ცალკეული თავები სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა. ამჟამად ზოგიერთი თავი გადამუშავებულია საფუძვლიანად, ზოგიერთმა კი მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა.

ქველი ქართული მწერლობის

მესამე პერიოდი

(ზოგადი მიმოხილვა)

ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ძლიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მე-12 საუკუნეში. ეკონომიურად ლონიერი, პოლიტიკურად მტკიცე და კულტურულად ბრწყინვალე იმდროინდელი საქართველო ვეება ტერიტორიულ ერთეულზე იყო გადაქიმული—ნიკოფსით (შაფი ზღვის სანაპიროებიდან) დარუბანდამდის (დღევანდელ დერბენტამდის) და კავკასიონის ქედით არზრუმამდის. ქართულ ფეოდალურ მონარქიას თავისუფლად შეეძლო (და ფაქტიურად ამას კიდევაც ახორციელებდა) დიდმპრობელური პოლიტიკა ეწარმოებინა, ყოველ შემთხვევაში, წინა აზიის მასშტაბით მაინც. ისტორიულად ცნობილია, რომ „ჯვაროსნული ომების“ პირობებში საქართველოზე დიდ იმედებს ამყარებდნენ შორეული ევროპული ქვეყნებიც. მაგრამ სულ მალე ჟამთა სიავემ ჩვენს ქვეყანას თავს დაატეხა საშინელი უბედურება. ეს იყო მონღოლების (ჩინგისხანის) უეცარი შემოსევა მე-13 საუკუნის ოცდაათიან წლებში. მონღოლთა არაერთგზისმა თარეშმა და ხანგრძლივმა ბატონობამ საქართველო განადგურებამდის მიიყვანა. წინა საუკუნეებით დაგროვილი დიდძალი დოვლათი მონღოლებმა ერთბაშად გაზიდეს სამხედრო ალაფისა თუ გადასახადების სახით. აღებმიცემობა და ვაქრობა-მრეწველობა კი ჩაკვდა. ფული ბაზრიდან გაქრა და გაძვირდა. არც სასოფლო მეურნეობას დაუდგა უკეთესი დრო: „რაკი მამულს დიდი გადასახადი აწვა, ხოლო ფული შეტად ძვირად იყო, მამული გადასახადს ძლივს-ძლიობით ასდიოდა, სასოფლო მეურნეობა და მიწის მოქმედება ხელსაყრელი აღარ იყო“¹. უთანასწორო ბრძოლებში (განსაკუთრებით თ ე მ უ რ-ლ ე ნ გ ო ს დროს, მე-14 ს.) დიდძალი მოსახლეობა გაწყდა. ფიზიკურად ჯანსაღი მუშახელის დიდ ნაწილს კი მონღოლები სამხედრო ბეგარის სახით შორეულ ქვეყნებში იწვევდნენ დაუსრულებელი ომების საწარმოებლად.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 84.

ხოლო ადგილობრივად ჩამომდგარი, ასე ვთქვათ. საოკუპაციო ჯარები ქვეყნის სარჩენი ვახდა. ამას ზედ ერთვოდა მძიმე, აუტანელი გადასახადები. ყოველივე ამან საქართველო ეკონომიურად გაანადგურა და დიდ განსაცდელში ჩააგდო. სილატაქე მასობრივი ვახდა. მონღოლების შემოსევის შედეგები აკად. ივ. ჯავახიშვილს სავსებით სამართლიანად ასე ეხატება: „თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა ხალხის ელეტამ, შემდეგ შინაურმა ბრძოლამ, ძმათაშორისმა სისხლის ღერამ და შავმა ქირმა საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა. ასეთ პირობებში საქართველოს¹ თავის მიწაწყლის წინანდებურად ინტენსიური დამუშავება აღარ შეეძლო და ბევრგან გაუქვაცირელებული ადგილები ისევ უკაცურადვე დარჩა. აზიტომაყ არის, რომ ამ ხანის (მე-15 საუკუნის, ა. ბ.) საპუტებში ქალაქისა, სოფლისა, ფუძისა, სახლისა და ვენახის გვერდით ჩნდება და ხშირად გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახევი, პარტახი და სხვ. ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს ქვეყნის გაოხრების რომანსწავებელი სიტყვები, ურომლოთაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასურათება შეუძლებელი იყო. რაკი ინტენსიური მეურნეობის წარმოება ვეღარ ხერხდებოდა, სასოფლო-მეურნეობა და ვაქრობა-მრეწველობაც უნდა დაცემულიყო და მართლად აცეცა კიდევ“-ო¹.

სამეურნეო ბაზისის რღვევამ და შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გააძლიერა ფეოდალური განკერძოებისა და გათიშვის ტენდენციები. გასაგები მიზეზებით გათიშვას დიდად ხელს უწყობდნენ მონღოლთა ოფიციალური წრეებიც. ფრთები შეესხა ცენტრიდან ნსრბოლი ძალების საქმიანობას. დასაყრდენ სოციალ-ეკონომიურ ნიადაგს მოწყვეტილი ოდესღაც ბრწყინვალე ფეოდალური მონარქია იოლად დაიშალა და დანაწილდა. რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ. მე-11—12 საუკუნეების პირობებით უფლებრივად შეზღუდული მსხვილი ფეოდალების ინტერესებიც ამას ითხოვდა. ამასთან „საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გააშრავლა, რამაც (ისედაც შევიწროვებული) ალემბიციონობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი ვახდა“-². ახლა არა თუ საერთა-

¹ ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 198.

² იქვე.

შორისო სააღმშენებლო დამოკიდებულებაზე არ შეიძლება ფიქრი, გათიშული ქართული სამეფოებისა და სამთავროების ურთიერთობაც კი თითქმის შეუძლებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე შეფერხდა მაინც.

შექმნილმა პირობებმა მეტად გაამწვავა კლასობრივი ანტაგონიზმიც. უმთავრესი სიძიმე, რასაკვირველია, თავს დაატყდა მშრომელ მოსახლეობას. ამას დაეკისრა ადგილობრივი ბატონის რჩენაც, მონღოლების ხარკის გაღებაც და სამხედრო ბეგარის მოხდაც. თავადაზნაურობა და განსაკუთრებით ეკლესია ასეთ დროსაც კი ახერხებდა საკუთარი ქურქის შედარებით უკეთ თავდაცვას. ცენტრალური ხელისუფლების დაცემით გვაროვნული არისტოკრატია დამონებული კლასის შეუზღუდავი ბატონ-პატრონი ხდება და ექსპლოატაციის ისედაც მძიმე ზუზრუქებს უფრო უქერს. ამიერიდან მთავარ-დიდებული თავისი ყმის ერთადერთი გამკითხავია, რადგან სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, როგორც „მართლმსაჯულების“ უმაღლესი (და, მაშასადამე, შემზღუდავი) რეგულატორი, სულს დაფაფს. ფეოდალური მონარქიის რღვევა ასახრდობს ფეოდალურ რეაქციას. არც ეკლესიას განზე გამდგარი. ის სარგებლობს საერთო დეზორგანიზაციით და აღრინდელი (მე-5—10 სს.) პრივილეგიური მდგომარეობის აღდგენას ცდილობს. დამახასიათებელია, რომ ქრისტიანულ-ეკლესიური იდეოლოგიის წარმოქმნადგენელი, მე-14 ს. ისტორიკოსი (ყამთაღმწერელი), ქვეყნის კატასტროფის ფაქტს ღვთის ბუნებრივი რისხვით ხსნის, რამდენადაც ულმობელი ხედრი აუცილებელი იყო „უძღებებითა“ და „უსჯულოებით“ შეპყრობილი ქართველი ხალხის დასასჯელადო: „ვითარცა წინასწარმეტყუელიცა იტყვს ჯანძღა, განისვენა იაკობ და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა, ეგრეთვე. იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშვებდეს და უწესობებად მიდრკეს სიძვათა და მთრვალობათა“, ხოლო ამის შედეგად „იქმნა მოწვევა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩუენთათვის. და იქმნა. უკუქცევა სვე-სვიანისა ბედისა მალლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა“-ო.

ამგვარად, ერთის მხრით, უბედურების ამხსნელი „ბუნებრივი“ ფორმულა იქნა გამონახული და რეაქციური თეორიაც გამოიშვა:

თუ ყოველი განსაცდელი ხორცის „უძღებებითა“ და „უსჯულოებით“ არის გამოწვეული, — მომავალი, იმქვეყნიური, სასჯელის თავიდან ასაცილებლად — საჭიროა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, ხორცის გარჯა, ლოცვა, სინანული. ეკლესიის ზოგიერთი მეთაური უბრალო ქადაგებით არ კმაყოფილდება, შეტევებზე გადადის და მწვალებლურად აცხადებს მე-11—12 საუკუნეთა მთელ საერო კულტურას, რამდენადაც ეს კულტურა მიანიჭა „უძღებებისა“ და „უსჯულოების“ გავრცელების წყაროდ. იწყება დევნა „ვეფხისტყაოსნისა“, „ვისრამიანისა“ და საერთოდ მთელი საერო პოეზიისა. საერო პოეზიის მომიზეზებით კლერიკალებს სურდათ თავიანთი შერყეული ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და ზნეობრივი ავტორიტეტის აღდგენა.

მე-15 საუკუნიდან მონღოლებს სპარსეთ-ოსმალეთი სცვლის, კონსტანტინეპოლის დაცემით (1453 წ.) მთელი წინა აზია გამოკეტილი დარჩა. საერთაშორისო ურთიერთობისა და სატრანზიტო-სააღმავლობით გზები გადასაცვლებული იქნა სამხრეთით. ინდოეთთან კავშირი მოეწყო საოკეანო გზით. ამდენადვე ამიერ-კავკასიამ, როგორც სატრანზიტო გზამ ევროპასა და აზიას შორის, თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ამით საქართველო სრულიად მოწყდა დასავლეთის კულტურულ სფეროს და, მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკური მემკვიდრეობით, მუსულმანური აღმოსავლეთის დამპყრობელი მოქიშპე იმპერიების ხელში ჩაეპარდა. სპარსეთი და ოსმალეთი თავგამოდებით ცდილობდნენ საქართველოს დამორჩილებას. ჩრდილოეთიდან კი კავკასიონის ქედის მწიერი ბუნება მთიულ მეომარ ტომებს, კერძოდ, ლეკებს, ქართლ-კახეთის მიდამოებში ერეკებოდა სათარეშოდ. ამას გარდა, როგორც სამართლიანად წერს ფილიპე მახარაძე: „იყო ერთი გარემოება, რომელიც... დიდ უბედურებად ევლინებოდა საქართველოს, სახელდობრ — ის, რომ ქართველი ხალხის ყველა გარეშე მტერი მაჰმადის რჯულს ანუ სარწმუნოებას აღიარებდა. ეს მტრები სისტემატურად და გამუდმებით თავს ესხმოდნენ საქართველოს, იკლებდნენ და აოხრებდნენ: ქართველი ხალხის მიწა-წყალს. მაგრამ მართო ამას როდი კმარობდნენ: ისინი ცდილობდნენ ქართველების გამაჰმადიანებასაც. რადგანაც ქართველი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდა და გარეშე მტრები კი მაჰმადისას, — ამიტომ ბრძოლა ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის სარწმუნოებრივი ომის ხასიათს იღებდა; თითქოს ბრძოლა სწარმოებდა სარწმუნოებისათვის და არა ნივთიერი, მატერიალური ინტერესების გულისათვის. ეს გარემოება ფარავდა ხალხის თვალში ომის ნამდვილ მიზეზებს; ხალხს გონებას ურევდენ, უმტკიცებდენ — ვითომც იგი თავისი სარწმუნოების დასაცავად იბრძოდა. ეს კი ბუნებრივად იწვევ-

ვდა როგორც ქართველებში, ისე, მაჰმადის სჯულის მალიარებელ ხალხებში სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას, რითაც, რა თქმა უნდა, მოხერხებულად სარგებლობდნენ მაშინდელი გაბატონებული წოდებანი: მეფენი, მთავრები (თავადაზნაურობა) და მალალი სამღვდელთა (კათალიკოსები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები)“¹.

ერთი სიტყვით, საქართველოს მეტისმეტად გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა ჰქონდა. შიგნით კი ფეოდალური რეაქციის თავაშეებულობა მიძინვარებდა. ეს „შინაური“ არეგ-დარევა, დინასტიური ინტრიგები და ფეოდალური შუღლი ხდებოდა ქვეყნის განადგურების ერთერთ მთავარ მიზეზად. საქართველოს ისტორიული გარემოცვის პირობებში გაუთავებელი საგარეო ომები ხომ პირდაპირ საბედისწერო იყო. ამიერ-კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ნიადაგზე იყრებოდა სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ინტერესები. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა ბრძოლაში, ხან მეორე. საქართველოსთვის ორივე ერთნაირად საზარალო იყო და დამლუპველი. მონარქია შინაურ ომებსაც ვერ უშკლავდებოდა და, მით უმეტეს, უძლური იყო გარეშე საფრთხის მოსაგერებლად. ამასთან სპარსელებსაც და ოსმალებსაც (და ლეკების მძარცველ ურდოებსაც კი) საქართველოსკენ ხშირად გზას უკაფავდნენ ადგილობრივი დიდგვარიანი ფეოდალები თუ ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები. შინ დამარცხებული „მამულიშვილნი“ ისპაჰანისა და სტამბოლის სერალებზე ამყარებდნენ თავიანთ სასიცოცხლო იმედებს. ორივე მებრძოლ მხარეს (სპარსეთსა და ოსმალეთს) საკუთარ მომხრეთა დასები ჰყავდა ქართულ სამეფოებსა და სამთავროებში. ამ დასების გამხრწნელი მუშაობა კიდევ უფრო ასუსტებდა ისედაც დაუძლურებულ სახელმწიფოს. ასეთ პირობებში ნომინალური ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა მუდამ მერყევი იყო, ორქოფი, გაუბედავი. ის ხან ერთ გამარჯვებულ მხარეს მიეკედლებოდა, ხან მეორეს. ორიენტაციის კურსის ხშირი ცვლა ამ ხელისუფლების პოლიტიკური საქმიანობის ერთერთ ძირითად მომენტს შეადგენდა. ორიენტაციის ძიებამ საქართველო ადრიდანვე შეახვედრა აღორძინების გზაზე შეზღვარ ჩრდილოეთის „ერთმორწმუნე“ მეზობელს.

მე-16 საუკუნიდან აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის მოზარკე ხდება, დასავლეთი საქართველო ექცევა ოსმალეთის ვავლენის ძფეროში, ხოლო სამცხე-საათაბაგო დგება აშკარა დენაციონალიზაციის გზაზე. რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს თუმცა ახალ

¹ საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში, „მნათობი“, 1926, № — 2(22), გვ. 150

პერსპექტივებს უშლიდა წინ, მაგრამ ამასთანავე უდიდეს საფრთხე-საც უმზადებდა. სპარსეთ-ოსმალეთს საქართველოს პრობლემა ადგილობრივ კითხვად მიაჩნდა. სპარსეთი ქართლ-კახეთს, ხოლო ოსმალეთი ლიხთ-იმერეთს თავის განუყოფელ ნაწილად თვლიდა. რუსეთი ჩარევა საქართველოს საქმეებში განხილულ იქნა როგორც აშკარად გამომწვევი საქციელი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი საკითხით არ ისაზღვრებოდა. ჯერჯერობით მეფის რუსეთი კმაყოფილდებოდა პოლიტიკური ნიადაგის მოსინჯვით, სიტყვიერი დახმარებით და ფორმალური პროტექტორატის აღიარებით. მე-16 საუკუნიდან კახეთი ოფიციალურად მოექცა მოსკოვის სახელმწიფოს მფარველობაში. კახეთმა გარკვეული ხარკის გაღებაც კი იკისრა. მე-17 საუკუნიდან რუსეთი დიდ აქტიობას იჩენს. ხშირდება დიპლომატიური მისიების მიმოსვლა მოსკოვსა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის. პროფ. მ. პოლიეტოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს მისიები იმავე დროს ორგანიზებულ მზვერავ-ექსპედიციებს წარმოადგენდა“-ო¹. რუსეთი მშვენივრად ითვალისწინებდა კავკასიის საპლაცდარმო როლს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და სპარსეთზე გავლენის მოსახდენად². როგორც ჩანს, ქართული ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული რუსეთის ეკონომიური ამოცანები და ამიტომაც, მაგალითად, თეიმურაზ პირველის (1589—1663) სახით რუსული სავაჭრო კაპიტალის საქართველოს ეკონომიური ცხოვრებით-პრაქტიკულ დაინტერესებას ცდილობდა (თეიმურაზი ხელსაყრელ პირობებში სთავაზობდა რუსეთს ადგილობრივი მადნების კონცესიებს).. თეიმურაზი წარმოებისა და აღებმიცემობის გაჩაღებით მატერიალური სარგებლის მიღებასაც ფიქრობდა და პოლიტიკური ძალა-უფლების განმტკიცებასაც. მაგრამ რუსული სავაჭრო კაპიტალი ჯერ კიდევ სათანადოდ მომავრებული არ იყო და ქართველი მონარქის ეს წამოწყება განუხორციელებელი რჩებოდა... მაინცდამაინც საქართველოს ნიადაგზე გადაიკვანძა აწ უკვე იმ დროისათვის სამი უძლიერესი დამპყრობელი სახელმწიფოს ინტერესები. ქართველი მეფეების რუსულმა კურსმა სპარსეთ-ოსმალეთში. ცხადი უკმაყოფილება გამოიწვია. ამის შედეგი იყო, სხვათა შორის, შაჰ-აბას დიდის (1587—1629) ორგანიზებული ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში (1616 წ.)-

¹ „Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе“, 1932, стр. 20.

² Там же, стр. 9.

ამ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა ქვეყნის სრული აოხრება და მცხოვრებთა მასობრივი გაწყვეტა. გადარჩენილი მოსახლეობა ათასობით გადასახლებული იქნა შიდა სპარსეთში, ხოლო ნასოფლარებში სპარსულ-თურქული მოდგმის ტომები ჩაასახლეს. შაჰ-აბასის ლაშქრობით ქვეყანა ისე განადგურებულა, რომ ქართული ხელისუფლების შესვენებებს იმ ხანად რუსეთიდან ჩამოსული ელჩებისათვის მინიმალურად საჭირო სანოვაგეც ვერ უშოვიათ.

შაჰ-აბასის პოლიტიკა შემდეგაც გრძელდებოდა. ამისი უკანასკნელი ძლიერი გამოვლინება იყო აღამაჰმადხანის შემოსევა (1795 წ.). უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთი სრულიად არ ცდილობდა ქართლ-კახეთის სპარსეთისაგან დაცვას. საქმე ისაა, რომ იმ დროისათვის ძლევამოსილი ოსმალეთი შიშის ზარს სცემდა მთელ ევროპას, გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებზე და იმუქრებოდა ცენტრალურ ევროპაში შექრით (ერთ დროს ოსმალებმა ვენასაც კი ალყა შემოარტყეს). სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალეთი რუსეთსაც ავიწროვებდა. ასეთ პირობებში ევროპაც და რუსეთიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა ოსმალეთის მოქიშპე სპარსეთს და უკანასკნელთან კონფლიქტს გაუბრძოდა (სხვათა შორის, უმთავრესად ამიტომ იყო, რომ უნაყოფო გამოდგა ნიკიფორე ირბაქისა და სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოგზაურობა ევროპულ ქვეყნებში). უყურადღებო რჩებოდა საქართველოს არაერთგზისი სარჩელი რუსეთის მიმართ: ყოველივე ეს ჩვენ ქვეყანას უქმნიდა მეტად სახიფათო პოლიტიკურ მდგომარეობას. შიგნით აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება, დარბეული და აოხრებული სახლ-კარი, გარედან მუდმივი მუქარისა და საფრთხის წინაშე ყოფნა, ამავე დროს სამი მოპირისპირე დამპყრობელი სახელმწიფოს ფაქტიური ქვეშევრდომობისა და ბატონობის აღიარება. დავით გურაძისშვილი მწარე ირონიით შენიშნავდა ვახტანგ VI აშკარა რუსული პოლიტიკის გამო:

ვერ მოგვიხდების კარგადა ამდენი წყვეტა, ტმასება,
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება...

ძველი პატრონყმური სოციალური რეჟიმი მესამე პერიოდში ბატონყმური ურთიერთობის უსასტიკეს ფორმას ღებულობს და ვახტანგ VI სახით ამ ფორმის სახელმწიფოებრივი დაკანონება ხდება. ლეკების მუდმივი თარეშისა, ძარცვა-გლეჯისა და გარეშე ომების წყალობით ნივთიერად დაზარალებული თავადაზნაურობა ყმების ექსპლოატაციის გაძლიერებით და ტყვეების ყიდვის გაფართოებით

აწონასწორებდა შერყეულ საბიუჯეტო ბალანსს. უკანასკნელ საუკუნეებში ტყვეებით ვაჭრობამ გრანდიოზული სახე მიიღო (სამაგიეროდ, წინანდელზე უფრო დაეცა ალებშიცემობის სხვა დარგები). ტყვეები წარმოადგენდნენ საექსპორტო „საქონლის“ ძირითად კონტინგენტს. სტამბოლის სავაჭრო ბირჟა ათასობით ნთქავდა ჯანდონით სავსე ორივე სქესის ქართველ ახალგაზრდობას, ასევე ისპაანი. შაჰების, სულთანების და ხანების ჰარამხანებში დიდად ფასობდა ქართული მოდემის მონა-მხევალი. ტყვე ქალ-ვაჟთა გარკვეული რაოდენობის გაღება ქვეყანას ევალეზობდა სახელმწიფოებრივი ხარკის სახითაც. ტყვეებით ვაჭრობის ველურ საქციელში თავადაზნაურობას არც მაღალი სასულიერო ფენა ჩამორჩებოდა. XVIII საუკუნის პირველ ათეულში ევროპაში მოგზაურობის დროს სულხან-საბა ორბელიანს მაჰმადიანური ოსმალეთისა და ქრისტიანული იტალიის ქალაქებში ქართველი ტყვეები უნახავს.

მტაცებლობა, აბრაგობა, თარეში შინაგანი თუ გარეგანი ძალეებისა აულაგმავი რჩებოდა. მმართველი დინასტია უძღურე იყო ამის წინააღმდეგ, თავის მხრით ისიც ჩვეულებრივად ბრძოლის უმსგავსო ხერხებს მიმართავდა: ურჩი ფეოდალების და ტახტის პრეტენდენტების დასასჯელად აოხრებდა იმათ ქვეშევრდომ მოსახლეობას, არბევდა და აწიოკებდა სრულიად უდანაშაულო ხალხს. უკიდურესობამდე შემციობული მოსახლეობის რიცხვი კიდევ უფრო კლებულობდა. უარესდებოდა ისედაც შერყეული და კარჩაკეტილი სასოფლო მეურნეობა. ცხოვრება დღითი-დღე ძვირდებოდა და აუტანელი ხდებოდა.

გაბატონებული კლასის საზოგადოებრივი მორალი გახრწნისა და დაცემულობის სნებით იყო შეპყრობილი. უზნეობა, უპრინციპობა, სექსუალური აღვირახსნილობა, ცბიერობა, პირმოთენეობა, მლიქვნელობა, მზაკვრობა და მისთანანი ნიშნეული მომენტებია თავადაზნაურული საზოგადოებრიობის მორალისა. XVII საუკუნიდან სავალდებულო გახდა ქართველ ხელისუფალთა გამაჰმადიანება. საკუთარი გამორჩენის მიზნით მოწინავე არისტოკრატიაც მასობრივად გადადიოდა მაჰმადის რჯულზე. სპარსული ენა, ზნე-ჩვეულება, ადათი, ტანსაცმელი გაბატონდა მმართველი წრეებისა და არისტოკრატის ყოფაცხოვრებაში. ერთი სიტყვით, ქვეყანა დაადგა აშკარა დენაციონალიზაციის გზას. ქართლ-კახეთსაც სამცხე-საათაბაგოს ბედი მოელოდა. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი მორალის საერთო დაცემულობა ასაზრდოებდა მკაცრ ფანატიზმსაც, რელიგიურ მისტიციზმსა და უკიდურეს ასკეტიზმს.

ევროპულ ქვეყნებში ეკონომიური და კულტურული აღორძინება გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ—ახალი ქვეყნების აღმოჩენა, ვაჭრობა-მრეწველობისა და აღებმიცემობის ზღაპრული გაზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევები, პოეზიისა და ხელოვნების აყვავება, რენესანსი, ჰუმანიზმი, ახალი კლასიციზმი... საქართველო კი კარჩაკეტილი, განმარტოებული, პატრიარქალური სოციალურ-ეკონომიური ყოფით, შინაური არევიდარევიტ და მტრულად განწყობილი მეზობლებით გარემოცული— შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას— სისხლში იხრჩობოდა და ეროვნული თვითარსებობის უკანასკნელ ენერჯიას ფანტავდა. ამან შეაფერხა ქვეყნის საზოგადოებრივი წინსვლა, ქვეყანა შერჩა ძველი სოციალური წყობისა და ყოფის პრიმიტიულ ფორმებს. შინაგანი ძალების მეშვეობით შეუძლებელი გახდა ფეოდალური რეაქციის აღაგმვა, გარეშე მტრის ძლევა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება. ამრიგად, მთელი XIII—XVIII საუკუნეებმ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ცხადი დაქვეითებით ხასიათდება: ესაა ფეოდალური მონარქიის რღვევისა და ფეოდალური რეაქციის ხანა. ფეოდალური მონარქიის რღვევა ადრე დაიწყო (შეიძლება ითქვას, მონღოლების შემოსევის პირველ დღეებიდანვე) და დიდხანს გაგრძელდა. XV საუკუნის გასულისათვის ჩამოყალიბებულია სამი სამეფო (კახეთი, ქართლი, სამცხე-სათაბაგო) და ხუთი სამთაფრო. მაგრამ დაქუცმაცება არც ამაზე შეჩერებულა. ევროპეიზაციის მომხრე ირაკლი მეორე, რომელიც დიდ ფეოდალურ საგვარეულოებს ებრძოდა, ფაქტობრივ თვითონვე აკანონებს ფეოდალურივე საუფლისწულოების ინსტიტუტს.

ყოველივე აღნიშნული უფლებას გვაძლევს XIII—XVIII საუკუნეები ძირითადად ერთ მთლიან ისტორიულ ეპოქად დავსახოთ, რომელსაც ქართული კულტურის, კერძოდ, მწერლობის სათანადო პერიოდიც შეეფერება. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ დაქვეითებას თან სდევდა მატერიალური და სულიერი კულტურის. საერთო დაქვეითებაც. სწავლა-განათლებამ იკლო, წერა-კითხვის მკოდნეთა რიცხვი შემცირდა, კულტურული კერები გამოიკეტა, დაეცა ლიტერატურა, პოეზია. XV საუკუნის თაობაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „იმდროინდელი წერილობითი ძეგლებითგან ცხადად ჩანს, რომ წერაკითხვის ცოდნაც უკვე საგრძნობლად დაქვეითებულა და ჩვენი ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დადუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მწერლობაც და შემოქმედების კერაში

ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფერფლილი¹. XVI—XVII საუკუნეებში არსებითად არ შეცვლილა მდგომარეობა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით გურამიშვილი:

ჩემსა ყრმობაში

სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში,
მით იკლო სწავლამა; ჩვენში ლექთ დავლამა
წიგნნი წარსტყვენა.

დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწერთელ-უცები.

საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის დიდად ნაყოფიერი იყო ვახტანგ VI ხანმოკლე გამგებლობა (1703—1712). ამ დროს თბილისში გაიხსნა სტამბა, საიდანაც, სხვათა შორის, 1712 წელს გამოვიდა «ვეფხისტყაოსნის» პირველი მეცნიერული გამოცემა, ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია ტექსტისა. XVIII საუკუნის ოციანი წლების აფორიაქების დროს სტამბა დაიღუპა. შემდეგ ის განაახლა ირაკლი მეორემ, მაგრამ 1795 წლის კატასტროფამ კვლავაც იმსხვერპლა. სწავლა-განათლების მკვიდრ ორგანიზაციულ ნიადაგზე დაყენება ირაკლის დახმარებით სცადა ანტონ პირველმა კათალიკოსმა. ანტონის მეოხებით თბილისსა და თელავში გაიხსნა რუსული სემინარიების ტიპის სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში პოვა თავშესაფარი ანტონის თეოლოგიურ-სქოლასტიკურმა სკოლამ. აღამაჰმადხანის შემოსევამ თბილისის სკოლის ბედზედაც იმოქმედა. მაინცადა მაინც სწავლა-განათლებას საერთოდ ვიწრო, კარჩაკეტილი და კერძო ხასიათი ჰქონდა (განუხორციელებელი დარჩა იოვანე ბატონიშვილის შესანიშნავი პროექტი თბილისსა, გორსა და თელავში მაღალი ტიპის საერო სასწავლებლების მოწყობის შესახებ, იოვანე ბატონიშვილის პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე ბიბლიოთეკა-მუზეუმისა და გაზეთის დაარსებას). მხოლოდ ზოგიერთი შეძლებული ოჯახის შვილები ახერხებდნენ სისტემატური განათლების მიღებას, თვითონ არისტოკრატიული წრეებიც კი ხშირად უწიგნური რჩებოდნენ. კულტურისა და მწერლობის თავშესაფარს კვლავინდებურად შეადგენდა ეკლესიამონასტრები და მეფე-მთავართა სასახლეები. უფლებრივად და ნიეთიერად მონობაში მყოფი ხალხი გონებრივადაც ჩამორჩებოდა (თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, ზეპირი სიტყვიერების ხაზით ამ ხალხმა პოეზიის უმშვენიერესი ძეგლები შექმნა). მწერლობაც, პოეზიაც არსე-

¹ ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 199.

ბითად გაბატონებული თავადაზნაურული საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა.

მესამე პერიოდში დაცემულობა ახასიათებს ცხოვრების ყოველ მხარეს, კერძოდ, მწერლობას. მწერლობის დაცემულობა გამოიხატა, უწინარესად ყოვლისა, მხატვრული შემოქმედების ხვედრითი წონის დაწვევაში. შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას XV—XVII საუკუნეებში ცვლის ულაზათო წაბაძვა—გაგრძელებანი. განუმეორებელი რჩება „ვისრამიანის“ მხატვრული პროზა. ახლა „რუსუდანიანისა“ და „სირინოზიანის“ ტიპის რომანები ბატონდება. პოეზიის ძირითად მოტივად მელანქოლიკურ-პესიმისტური ჰანგები ისმის. რელიგიურ-მისტიკური განწყობილება საუკეთესო პოეტებსაც ახასიათებს. იმედგაცრუებული და სულიერად შერყეული საზოგადოება დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შინაარსის მქონე ძეგლებს საჭიროებდა. მწერლობის ეს დარგი ხდება პოპულარული. განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება იგავ-არაკული ჟანრის ტექსტები („ქილილა და დამანა“, „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, „სიბრძნის სალარო“, „თიმსარიანი“, „მელის წიგნი“ და სხვ.). რა თქმა უნდა, თავადაზნაურული მწერლობისათვის ბუნებრივია სატრფიალო მოტივების სიჭარბეც და ზღაპრულ-ფანტასტიკური სარაინდო რომანტიკა. ოღონდ სამიჯნურო ეპიური პოეზიის აქტივს ახლა შეადგენს ჭაიხოსრო ანდრონიკაშვილის უგემური პოემა („მიჯნურთ-ბადე“), ხოლო ჰეროიკულ სწრაფვას აკმაყოფილებს ყარამან ყათილის ზღაპრული თავგადასავალი.

ყოველივე აღნიშნული ლიტერატურული ცხოვრების საერთო ფონის სურათებია. თორემ მესამე პერიოდი მდიდარია დიდ-ოსტატი, მაღალ გრძნობიერი და ღრმა მოაზროვნე მწერალთა მთელი თაობით. პერიოდი მდიდარია თემატიკური, სიახლითაც, ჟანრების სიუხვითაც და მხატვრული ფორმის მრავალფეროვნებითაც (ჩვენი წიგნის ცალკეული ნარკვევები მიზნად ისახავს ცხადჰყოს წარმოდგენილი დებულების სისწორე). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მესამე პერიოდში წარმოიშვა, განვითარდა და გაღრმავდა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება.

მესამე პერიოდს ყველა მეცნიერი მკვლევარი (რომელიც კი ამ საკითხს შეხებია) ჰყოფს ორ ხანად: XIII—XV (ან XIII—XVI) და XVI—XVIII (ან XVII—XVIII). პირველს უწოდებენ დაცემის ხანას, მეორეს კი—აღორძინების, განახლების ან ვერცხლის ხანას. რასაკვირველია, XIII—XV საუკუნეებში მწერლობის დაცემა უფრო თვალსაჩინოა, კიდევ მეტი, XV საუკუნემდე მხატვრული მწერლობიდან ჯერჯერობით არცერთი ძეგლი არ არის

ცნობილი (არც ორიგინალური, არც ნათარგმნი). საფიქრებელია, რომ აღნიშნული საუკუნეების მწერლობა მოესპო ისტორიულ ქართველს, მაგრამ ამთავითვე აპრიორულად შეგვიძლია ვივარაუდოთ მისი შედარებით დაბალი იდეურ-მხატვრული დონე. ჩვენ არ ვიცით „დაცემიდან“ „აღორძინებაზე“ გარდამავალი საფეხურის ნიშანდობლივი ისტორიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული მხარე. საკმაოდ ბუნდოვანია თვითონ ტერმინი „აღორძინება“. ეს ტერმინი მიუღებელი იქნება, თუ დასავლეთ ევროპის ანალოგიით ვიხელმძღვანელებთ. XIII—XV საუკუნეებში ქართული მწერლობა არ გამქრალა. ის შენელებულის ენერჯით განაგრძობდა თავის ისტორიულ გზას. რამდენადაც XV საუკუნიდან ჩვენ კონკრეტული ფაქტებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ, შეიძლება დადგინდეს იქნას, რომ არც იდეური და არც მხატვრული ღირსებით XV საუკუნის ძეგლები XVI არ ჩამორჩება. ამიტომაც ტერმინი „აღორძინება“ (თუ „განახლება“) მაინცადამაინც არც „დაცემის“ საკონტრასტოდ გამოგვადგება. XVI—XVII საუკუნეებიდან პოლიტიკური ამინდის შედარებით უკეთეს პირობებში მწერლობა, რა თქმა უნდა, უფრო დაწინაურდა, მაგრამ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან ეპოქალურ გარდატეხას. დაცემა და დაქვეითება ახლაც შეინიშნება. იდეურ-მხატვრული სრულყოფით XVI—XVII საუკუნეების მწერლობა ძლიერ ჩამორჩება ქართულ კლასიციზმს (XI—XII სს.). ყოველივე აღნიშნული, ეგონებთ, შესაძლებელს ხდის, რომ XIII—XVIII საუკუნეების მწერლობა ძირითადად მართლაც ერთ მთლიან ლიტერატურულ პერიოდად წარმოვიდგინოთ.

ლიტერატურული გავლენის მხრით მესამე პერიოდისათვისაც უფრო აღმოსავლეთი, კერძოდ, სპარსეთია დამახასიათებელი. თეიმურაზ პირველის (1589—1663) სახით სპარსულ მიმართულებას ქართულ მწერლობაში თავისი მკვეთრი წარმომადგენელი ჰყავს. თეიმურაზი ერთგან პათეტიკურად აცხადებს კიდევ: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, მაშინ როდესაც „მძიმეა ენა ქართველთა“-ო. თეიმურაზს შემუშავებული ჰქონია გარდმოღების, თუ მთარგმნელობის თავისებური თეორია:

ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

უნდა ითქვას, რომ სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ თანამშრომლობას ქმნიდა ორივე ქვეყნის გაბატონებული საზოგადოებრივი

კლასის ლიტერატურულ ინტერესთა ერთიანობა. ამით აიხსნება, რომ სპარსული პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლი თეიმურაზი იმავე დროს სპარსული ლიტერატურული კურსის ყველაზე ბეჯითი წარმომადგენელია საქართველოში. სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ თანამშრომლობას ხელს დიდად უწყობდა სპარსულ-ქართული მკვიდრო (თუმცა ქართული მხარისათვის ცალმხრივად საზიანო) პოლიტიკური ურთიერთობა¹. როგორც აღნიშნული გვაქვს, XVI—XVIII საუკუნეებში, ცალკე პერიოდების გამოკლებით, საქართველო ფაქტიურად სპარსეთის სახანოს წარმომადგენდა. ქართველი უფლისწულები თუ დიდებულთა შვილები სწავლა-განათლებას და აღზრდას ხშირად სპარსეთის კულტურულ ცენტრებში და შაჰების კარზე ღებულობდნენ. არისტოკრატიულ წრეებში ფართოდ იყო გავრცელებული სპარსული ენა. გამაჰმადიანებული ქართველი მეფეებისათვის სპარსული მეორე სახელმწიფო ენად ითვლებოდა. ზოგიერთი მაჰმადიანი მეფის კარზე სპარსული ზატონობდა კიდევაც.

მაგრამ სპარსულით მოკარბებულმა გატაცებამ ბუნებრივი რეაქცია გამოიწვია ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებში. ამ წრეების საუკეთესო წარმომადგენლებია არჩილი, დავით გურამიშვილი და სხვ.

მესამე პერიოდის ბოლო ხანისათვის აღსანიშნავია რუსული გავლენაც. ქვევით სპეციალურად გარკვეულია XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთის ქართული კოლონიების ჩამოყალიბებისა და ამ კოლონიების კულტურული როლის საკითხი. აქ. იმას-ღა ვიტყვით, რომ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს დიდძალი აზალით რუსეთში გადასახლდა ვახტანგ VI, ხოლო ამაზე ადრე იქ არჩილი დაემკვიდრა. არჩილის, უფრო კი ვახტანგის ამაღაში მრავალი მწიგნობარი, პოეტი, მეცნიერი და საერთოდ კულტურული ფრონტის მუშაკი შედიოდა. ამათ წყალობით მოსკოვს, პეტერბურგს, ასტრახანს და ზოგან სხვაგანაც ჩაღდება ქართული ლიტერატურული საქმიანობა. ვახტანგის კრებულის დიდი ნაწილი დასახლდა უკრაინაში. ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა იქაც წარმოებდა. საკმარისია თუ დავასახელებთ ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელ დავით გურამიშვილს. მართალია, რუსულ-უკრაინული ლიტერატურა მაშინ არ იღდა განვითარების იმ საფეხურზე, რომ ქართული მწერ-

¹ XVIII საუკუნის ზოგიერთ ქართულ ძეგლს თურქულ მწერლობასთანაც უნდა ჰქონდეს კავშირი.

ლობისათვის სამაგალითო გამხდარიყო. მაგრამ ცალკე შემთხვევებში მაინც შეინიშნება ქართულ-რუსულ-უკრაინული ლიტერატურული თანამშრომლობის ფაქტები. მტკიცე ურთიერთობა დამყარდა რუსეთთან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ნამეტურ 1783 წლის ცნობილი ტრაქტატის შემდეგ. ანტონ კათალიკოსმა, გაიოზ რექტორმა და სხვებმა რუსეთიდან გადმოიტანეს საქართველოში რუსული სასულიერო-სქოლასტიკური განათლების ტრადიციები. თბილისისა და თელავის სემინარიებისათვის სახელმძღვანელო ლიტერატურა უმეტესად რუსულიდან ითარგმნებოდა. ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი უშუალოდ რუსეთში ლებულობდა განათლებას. ირაკლი მეორე რუსული წესის მიხედვით ცდილობდა სამხედრო საქმის ორგანიზებას. ეს გასაგებს ხდის ნათარგმნი ტექნიკურ-სამხედრო ლიტერატურის სიუხვეს. მდიდრულადაა წარმოდგენილი ნათარგმნი ტექსტები მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო დისციპლინებისა. მხატვრული ლიტერატურიდან მნიშვნელოვანია დრამატულ თხზულებათა გადმოღება. ამ მხრით განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდა გიორგი ავალიშვილი, საქართველოს საელჩოს წევრი რუსეთში. რუსული ენის საშუალებით, ზოგჯერ უშუალოდაც, ქართულად ითარგმნებოდა მსოფლიო ლიტერატურის განთქმული ძეგლები. ლიტერატურის ისტორიკოსნი ზოგჯერ აღნიშნავენ დასავლეთის გავლენას კათოლიკე მისიონერების წყალობით, მაგრამ კონკრეტულად მხატვრული ლიტერატურის ხაზით ამისი კვალი არსად მოიპოვება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე ძველი ქართულიდან რუსულადაც გადაუღიათ.

XV—XVIII საუკუნის ქართული მწერლობისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო ქართული კლასიციზმის გავლენა (ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი მესამე პერიოდს ცრუკლასიკურს, ანუ ფსევდოკლასიკურსაც უწოდებს). კერძოდ, დაუძლეველი აღმოჩნდა ქართული პოეზიის გიგანტი შოთა რუსთაველი. რუსთაველი მთელი ლიტერატურული ეპოქის ნამდვილი პაროლია. „ვეფხისტყაოსნის“ წამბადველობა საუკეთესო მხატვრულ გემოვნებად იყო მიჩნეული. ყოველი პოეტი-მწიგნობარი თავის წმინდა მოვალეობად თვლიდა „ვეფხისტყაოსნის“ წაბძეას. „იოსებ ზილიხანიანის“ პირველი რედაქციის უცნობი ავტორი ამგვარად მიმართავს რუსთაველს:

აწ, რუსთაველო, გეთხოვები, -რომე მომცე ნება თქმისა,
 არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა,

რომე გკადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა.

მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთელის დასადარი.

ზოლო არჩილი კატეგორიული ტონით აცხადებდა:

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთელის თქმულსა; გადმობრძანდეს
ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშვების, დააყენეთ მოსაბაქეთ.

მესამე პერიოდის პოეზიაში გაბატონებულია რუსთველური შაი-რი, რუსთველური პოეტური სახეები, რუსთველური ფიგურალობა. რუსთველური პოეტიკისა და მეტრიკის განუსაზღვრელი ბატონობა გრძელდებოდა XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდის. სულხან-საბა ორბელიანისა, მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის შემოხებით იწყება ქართული ლექსის დეფორმაცია. მაგრამ ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსთველის უძლეველი ავტორიტეტის მიუხედავად, ადრიდგანვე დაწყებულა ერთგვარი ცილობა მეორე და მესამე პერიოდის ლიტერატურულ ფალავანთა შორის. იგულისხმება რუსთაველი და თეიმურაზ პირველი. უკანასკნელი დიდი კადნიერებით და შურით აცხადებს ერთგან:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

რუსთველისა და თეიმურაზის დაპირისპირების პრობლემაზეა აგებული არჩილის განთქმული „გაბაასება მეფის-პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ-დასაბამის რიტორის რუსთველისა“. არაპირდაპირ რუსთველის გავლენით აიხსნება მესამე პერიოდში ლექსის უპირატესობის აღიარება პროზასთან შედარებით. დამახასიათებელია ამ მხრით „ამირან-დარეჯანიანის“ გამლექსავის სულხან თანიიანის სიტყვები:

ლექსს უფრო ყურსა უგდებენ, ამბის წიგნები¹ ძეს ავად.

ამასთან დაკავშირებით დაიწყო ძველი პროზული ტექსტების გალექსება („გაწყობა“). სულხან და ბეგთაბეგ თანიიანისა (XVII ს.)

¹ გ. ი. პროზული ტექსტები.

გალექსეს „ამირანდარეჯანიანი“, არჩილმა გალექსა „ვისრამიანი“, გალექსეს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები; ლექსავდნენ ისტორიას, ბიბლიურ ტექსტებს, წმინდათა ცხოვრებას და ა. შ. პროზისადმი-საზოგადოებრივმა ინდიფერენტობმა დიდი უარყოფითი ნაყოფი გამოიღო, დაიღუპა მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი. ლიტერატურული გემოვნების დაცემა იმაშიც გამოიქვლიდა, რომ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანისა“ კლასიკურ პროზას შედარებით მდარედ გაწყობილ ლექსებს ამჯობინებდნენ. მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის დიადმა ნიქმა და ოსტატობამ რამდენადმე აღადგინა პროზის შერყეული ავტორიტეტი.

მესამე პერიოდის მწერლობისათვის ნიშანდობლივია საერო და სასულიერო მიმართულებათა მწვავე ანტაგონიზმი. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ მონღოლების პერიოდიდან შექმნილმა პირობებმა მაღალი სამღვდლოება რეაქტიური განწყობილების გუნებაზე დააყენა. საერო-ფეოდალური საზოგადოებრიობა, რასაკვირველია, აღიარებდა ეკლესიის ავტორიტეტს, რადგან ღვთის სახელით ის აკანონებდა თავადაზნაურობის ამქვეყნიურ „ხელმწიფებას“. მაგრამ საერო სფეროები ოდნავადაც კი არ ფიქრობდნენ კვლავინდებურად შებმულიყვნენ ეკლესიური ბატონობის უღელში. აღსანიშნავია, რომ მონღოლების დროს ეკლესიას გარკვეული პრივილეგიები მიუღია, ხოლო ნივთიერად დაზარალებულ თავადაზნაურობას დაუწყია ეკლესია-მონასტრებისადმი შეწირული მამულების უკან დაბრუნება, „გამოწირვა“. ამ გარემოებას ძალზე გაუმწვავებია საერო და საეკლესიო საზოგადოებრიობის ურთიერთობა. საერო და საეკლესიო საზოგადოებრიობის ანტაგონიზმი მთელი ეპოქის მანძილზე გრძელდებოდა. ეკლესიური აზროვნება ძლიერ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე, კერძოდ, ეკლესიური აზროვნობის კვალი დიდად აღუბეჭდია მხატვრულ ლიტერატურას. მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები (თეიმურაზი, არჩილი, გურამიშვილი და სხვ.) თეორიულად კიდევაც აღიარებენ საეკლესიო აზროვნობის და საეკლესიო ლიტერატურის უპირატესობას. არჩილი ამბობს:

ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდლო და საერო,
სამღვდლოს მცოდინარე საეროსა მოერიო.

მაგრამ ქართული მხატვრული მწერლობის ხასიათსა და მიმართულებას მაინც ფართო მკითხველი თავადაზნაურული საზოგადოებრიობის სოციალური ინტერესები და მხატვრული გემოვნება

განსაზღვრავდა. თეიმურაზის სიტყვით: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“, სამაგიეროდ, საშაიროს გატაცებით კითხულობენ და სათუთად ინახვენო. ამას არჩილიც ადასტურებს:

სალთო წიგნი ბევრი წახლა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახვედენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით.

შესანიშნავი მოწმობა შემოუნახავს ამ მხრით ერთ კათოლიკე პატრს: „ქართველები თუმცა კი ძლიერ გონიერნი, კაც-მოყვარენი არიან, ხოლო სულიერ საგნებში კი უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზედ ბრუდეთ ჩაგონებულნი და არც უყვართ მოსმენა (საეკლესიო) სწავლა დარიგებისა: არამედ მიზიდული არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედ“¹.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული მწერლობის დარგში საერო-ფეოდალური საზოგადოებრიობის ერთგვარ „სოციალურ დაკვეთასთან“ გვაქვს საქმე. საგულისხმო გარემოებაა.

თუ ძველ ქართულ მწერლობას ჩაუუკვირდებით, შევაძრწნევთ, რომ მწიგნობრობას, მწერლობას ხშირად მისდევდნენ მეფეები, ან მეფის კარისკაცები და დიდებულები, საერთოდ გაბატონებული სოციალური წრიდან, თავადაზნაურობიდან გამოსული პირები.

საეკლესიო-საკულტო მწერლობას ემსახურებოდნენ ეპისკოპოს-კათალიკოსნი, ბერ-მონაზვნები, მღვდლები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სწორედ თავადაზნაურული კლასი წარმოადგენდა მაშინ საზოგადოების გაბატონებულ ნაწილს, ამ კლასის ხელში იყო ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სადავეები, კულტურული ცხოვრებისათვის საჭირო პირობებითაც მხოლოდ თავადაზნაურობა სარგებლობდა. სოციალურად დაჩაგრული მშრომელი მოსახლეობა (გლეხკაცობა) კულტურულადაც დაბალ დონეზე იდგა. გლეხობისათვის მიუწვდომელი იყო სწავლა-განათლება, მწიგნობრობა, ლიტერატურული საქმიანობა. თავადაზნაურობა და სამღვდელოება თავისი სოციალური კანონმდებლობით და მორალით, თავისი რელიგიით, თავისი ადამ-ჩვეულებით მშრომელი ხალხის გონებრივ დაჩლუნგებას უწყობდა ხელს. გონებრივი წყვედიადით მოცული გლეხკაცობა სოციალური ექსპლოატაციის უფრო სარგებლიანი წყარო გახდებოდა:

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ტფ. 1902, გვ. 682—683.

ვინც ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ედგა სათავეში, მის ხელში იყო მწიგნობრობა და პოეზია. ამიტომაც არის, რომ ძველი ქართული მწერლობა, კერძოდ, მესამე პერიოდის ქართული მწერლობა ძირითადად თავადაზნაურული ცხოვრებისა და ინტერესების ასახვას ემსახურებოდა. მხოლოდ მოწინავე და საუკეთესო მწერლები (როგორც იყვნენ არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ზოგიერთი სხვებიც) ახერხებდნენ ვიწრო კლასობრივ-წოდებრივი თვალსაზრისის გადალახვას და ჰუმანისტური იდეების მქადაგებლებად გამოდიოდნენ მხატვრული სიტყვის საშუალებით.

მაგრამ, თუ წერითი სიტყვიერების ანუ მწიგნობრული ლიტერატურის ერთდერთი ბატონპატრონი იყო თავადაზნაურობა და სამღვდელოება, ზეპირი სიტყვიერება (ფოლკლორი) უმთავრესად მშრომელი ხალხის კუთვნილებას შეადგენდა. აქ უკვე უძლური იყო ფეოდალური ზნეობის ცენზურა და გლეხობაც თავისუფლად ამჟღავნებდა თავის სოციალურ განცდებს. ამრიგად, ოფიციალური ლიტერატურის გვერდით არსებობდა მხატვრული სიტყვის არაოფიციალური დარგი. ქართული ფოლკლორი იშვიათად მდიდარი და წარმტაცია როგორც იდეების სიღრმით, ისე იდეების მხატვრული გადმოცემით. ფოლკლორში განსაკუთრებულად გამახვილებულია სოციალური მოტივები, ხალხური ლექსები მიმართულია ბატონყმობის წინააღმდეგ, თავისი ლექსებით ხალხი გმობს თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას. ჩვენ დრომდის მოღწეულია (ამჟამად ნაწილობრივად ჩაწერილი და შესწავლილიცაა) ბატონყმობის საწინააღმდეგო ხალხური ლექსების მთელი ციკლი, რომელიც XVI—XVIII საუკუნეებს ეკუთვნის¹ და ამდენადვე ჩვენი მიმოხილვის საგანი ხდება. ნუგზარ არაგვის ერისთავს—XVI—XVII სს. დიდ ფეოდალს—განუზარახავს თავისუფალი მთიულეთის დაპყრობა და ბატონყმობის უღელში შებმა, მთიულებს თავი სასიკვდილოდ გამოუდევიათ და სისხლის ძვირეული ბრძოლებით უპასუხიათ მტარვალის წინააღმდეგ. ხალხური გადმოცემა ახლაც ზიზღით იგონებს მხეცი ერისთავის დროს: „ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსა“-ო. ნუგზარის უკაცური საქმე მის შვილს, ზურაბს, განუგრძია. ზურაბი დიდი გავლენის და შეძლების პატრონი იყო, ტყუილად კი არ ამბობს ხალხური ლექსი: „ისპაანამდე გაითქვი, ყენთან გაიზარდეო“. თურმე ამ „ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: ხევსურეთისა, ფშავისა“. თა-

¹ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ა. შანიძის „ხალხური პოეზია“, ტფ., 1931.

:ვისი სურვილის მისალწევად ზურაბს რამდენიმეჯერ დაულაშქრავს შთა. შემოსეული მტრისათვის მთას ჯერ უთხოვია: „დადგე, დაგვეხსენ, ზურაბო“-ო. თხოვნას რომ არ გაუჭრია, მაშინ მთიულებს თავისუფლებისათვის ბრძოლის სანაქებო მაგალითები უჩვენებიათ. გამანადგურებელი ირონიით აღნიშნავს ხალხი ერისთვის თანამებრძოლი აზნაურების სამარცხვინო აწყვეტას:

უხოცავ აზნაურები დაბლა აკუშოს წყალზედა...
ერისთვის აზნაურებსა ყორნებ პწკლით ეზიდებისა.

ხალხი არ ივიწყებს ზნედაცემული ერისთვის ველურ საქციელს:

ზურაბმ ზოყანა აიფრა, ბევრს ვაქს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა ფარავი, უკბინა ძუძუზედაო.
დიდი მძულვარებით და გამეტებით დაუწყეველია ხალხს „ძალი ზურაბი“, ხოლო როცა მისი სიკვდილის ხმა გავარდნილა (ზურაბი, როგორც საშიში მეტოქე, ლალათით მოაკვლევინა მისმა სიმამრმა, მეფე თეიმურაზ პირველმა); მთიულებს თავისუფლად ამოუსუნთქავთ და დიდ სიხარულს მისცემიან:

კაცი წავიდეს თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მოკლეს ზურაბი, ძილ დააძინეს მაგარი;
ფშაველ-ხევსურთა, უთხარი, წელით დაიხსნან აბჯარი,
ფშაველ-ხევსურთა ქალ-ზალმა ძილ დაიძინონ მაგარი.

ცხარე ბრძოლა უწარმოებია ბატონყური უღლის შემოღების წინააღმდეგ მთის რაქასაც. ამ სახელოვანი ბრძოლების ამბავი მოთხრობილია ზვიადა ლობჯანიძის შესახებ არსებულ ვრცელ თქმულებაში¹.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ თუმცა ოფიციალური ლიტერატურა მედიდურობითა და ათვალწუნებით უყურებს ფოლკლორს, როგორც შემოქმედების მდაბიო უანრს, მაგრამ მესამე პერიოდის საუკეთესო მწერლები (სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვ.) გატაცებით ეწაფებოდნენ ხალხური პოეზიის ანკარა წყაროს.

¹ ს. მაკალათია, მთის რაქა.

ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამეშ

1. ფირდოუსის ცხოვრება

1934 წლის ოქტომბერში ირანის ხალხმა დიდი ზეიმით გადაიხადა თავისი განთქმული პოეტის, შაჰ-ნამეს ავტორის, ფირდოუსის დაბადების ათასი წლის თავი. ირანთან ერთად ამ ზეიმში მონაწილეობდა მთელი კულტურული კაცობრიობა, რადგან გამოჩენილი ორიენტალისტის ნოელ დეკეს სამართლიანი შეფასებით: „ფირდოუსი ყველა დროთა და ხალხთა უდიდესი პოეტია“.

მხურვალე გამოხმაურება პოვა ფირდოუსის იუბილემ დიდ-საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. მეტის თქმაც შეიძლება: თუ ბურჟუაზიული ქვეყნებიდან ამ სასახელო ზეიმში მონაწილეობდნენ მხოლოდ ცალკეული სპეციალისტი მეცნიერები, ან სპეციალური სამეცნიერო დაწესებულებანი, საბჭოთა კავშირში ზეიმს ჰქონდა ფართო საზოგადოებრივ-მასობრივი ხასიათი. მხოლოდ ლენინ-სტალინის დიად სამშობლოში ფასდება ღირსეულად დიადი კულტურული მემკვიდრეობა. განსაკუთრებული გულთბილობით აღიწინა ფირდოუსის იუბილე საბჭოთა საქართველოში. ჩვენი ქვეყანა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ლიტერატურული ტრადიციებით უშუალოდ არის გადაჯაჭვული ირანის გენიალური პოეტის საამაყო სახელთან.

ფირდოუსი სწორუპოვარი წარმომადგენელია ირანული მხატვრული სიტყვისა. მან შექმნა შემდგომ მიუწვდომელი ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა. ჰომიროსისა და რუსთაველის ძალის ოსტატმა სამაგალითო სიღრმით, სიმკვეთრით და სიცხოველით ასახა ძველი ირანის დიადი ეროვნული კულტურა; ოღონდ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ეროვნული კულტურა ავტორმა გაშალა საკაცობრიო იდეათა ასპექტში.

ფირდოუსის ცხოვრების ამბავი მრავალი ზღაპრულ-ფანტასტიკური დეტალით განუვრცია ირანის ხალხსა და ირანულ მწერლობას. ლეგენდარულ-ზღაპრული ბიოგრაფიიდან, ბოლოსდაბოლოს, მართალი ისაა, რომ პოეტი იყო უფროსი თანამედროვე ვერაგობით განთქმული უზურპატორის, სულთან შაჰმუდ დაზნეველისა

(998—1030). მაჰმუდმა საშინელი ძალმომრეობით ბოლო მოუღო ჰამანიდების მფლობელობაში მყოფ ირანის ორგანიზებულ ნაციონალურ სახელმწიფოს და ძალზე შეაფერხა ქვეყნის კულტურული წინსვლა. პოეტს სახელად ჰრქმევია აბულ-ყასიმ, ზედწოდებით ფირდოუსი, რაც ნიშნავს სამოთხიდან მოვლინებულს, სამოთხისებრს, სამოთხეში მცხოვრებთა თვისებებით დაჯილდოვებულს.

დაბადებულა ფირდოუსი ირანის შედარებით უძინშენელო საოლქო ქალაქ ტუსის მახლობლად, სოფელ ტაბერანში, ამიტომაც პოეტი ცნობილია ტუსელი სახელითაც. სხვადასხვა სინქრონიკული ცნობებით ირკვევა, რომ ფირდოუსი დაბადებულა 934 წელს. ის ყოფილა ხელმოკლე მემამულის შვილი (ზოგიერთი წყარო ფირდოუსს თვლის მებაღის შვილადაც). თვითონ პოეტი მრავალგზის იღნიშნავს თავის დიდ გაჭირვებას და სიღატაკეს.

პოეტურ საქმიანობას ფირდოუსი ადრე უნდა შედგომოდა, მაგრამ მისი სახელი დიდხანს დარჩენილა უჩინარი. პოეტური სახელის მოსახვეჭად მაშინ საჭირო იყო საკარო ცხოვრების სტაჟი და პოეტთა შთაერის „დიპლომი“. ლეგენდარული გადმოცემით, წყნარი პროვინციელი პოეტი ერთ მშვენიერ დღეს თავმდაბლურად სწვევია სასახლის პოეტთა თავადს უნსურის. არისტოკრატი უნსურის უთაკილია ფირდოუსის სოფლური გარეგნობა და ბრწყინვალე აუდიენციის ღირსად არ ჩაუთვლია. მაგრამ სოფლელი მეღეჟე გამარჯვებული გამოსულა სასახლის პოეტური შეჯიბრებიდან და საოცარი გამბედაობით კიდევაც უკისრია მანამდის დაუძლეველი პოეტური თემის (ირანული ნაციონალური გადმოცემების) ლიტერატურული დამუშავება. ჰემარიტების მარცვალი ამ ლეგენდაშიც მოიპოვება. თუმცა უდაოა, რომ „შაჰ-ნამეს“ მნიშვნელოვანი ნაწილი ფირდოუსს ჯერ კიდევ ჰამანიდების დროს უნდა ჰქონოდა შეწყობილი. მაჰმუდის აღზევებისას „შაჰ-ნამე“ ძირითადში დამთავრებული იყო. ოცდაათი თუ ოცდახუთმეტი წლის ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად X საუკუნის მიწურულში ფირდოუსს სრულუწყვია თავისი პოეტური პირმშო. მიღებული წესის თანახმად, აეტორს თხზულება მიუძღვნია ქვეყნის იმდროინდელი მპყრობელისათვის, მაჰმუდ ლაზნეველისათვის. საკარო პირობების შესაფერისად ფირდოუსს შეუთხზავს მაჰმუდის ზვიადი ხობტაც და წიგნის წინასიტყვაობაში ჩაურთავს.

საკუთარი გამპრიახობით, თუ რეაქციული მუსულმანური წრეების შთაგონებით, მაჰმუდ ლაზნეველს საეჭვოდ მიუჩნევია ფირდოუსის გენიალური ნაშრომი. სუნიტური შეუწყნარებლობით გბო-

როტებულ მტარვალ ფანატიკოსს ფირდოუსი ჩაუთვლია საშიშ: შიიტ მწვალებლად. შაჰს დამამცირებელი „ჯილდო“ მიუგზავნია. პოეტისათვის და თან მკაცრი სასჯელით. დამუქრებია. ფირდოუსს. რაინდული გამბედაობით მიუღია ეს გამოწვევა, უღირსი ჯილდო. დემონსტრატიულად გაუყვია მეაბანოვესა და მეღუდეს შორის, ხოლო. შემდეგ გადახვეწილა. უცხოობაში ფირდოუსს დაუწერია შესანიშნავი. „სატირა მაჰმუდ ლაზნეველზე“. აქ პოეტი დაუნდობელი გესლიანი. სიტყვებით ამხელს მაჰმუდის უმადურობას, ვერაგობას, სიძუნწეს. პოეტი დასცინის შაჰის უგვარო შთამომავლობას (მაჰმუდი იყო ნასყიდი. მონა თურქის შვილი), უკულტურობას, უმეცრებას. პოეტმა უკან. წაიღო „შაჰ-ნამეს“ მიძღვნა, დასწყევლა შაჰი და თავმომწონედ. აღნიშნა კიდევ თავისი დამსახურება სპარსული ლიტერატურისა. წინაშე:

სიტყვით სამოთხედ შემიქნია მთელი სამყარო,
 ამაზე უწინ სიტყვის სანერგე არვის ჩაურგავს.
 [თქმა არ უნდა, რომ] სიტყვის მფენელნი ბევრნი ყოფილან,
 მრავალთ-უმრავლესს შეუზომია სიტყვის [კონები],
 ამგვარი რამე, აბა, იმათგან თუ ვინმეს უთქვამს?!

კეთილნაშენი სასახლეები გავერანდებო
 წვიმების თქეშით და მზის მცხუნვარებით;
 ლექსით ავაგე ვეება კოშკი,
 ვერც წვიმა ავნებს, ვერც ქარიშხალი.
 საუკუნეთა სრბოლას გაუძლებს [ეს ჩემი] წიგნი,
 ყველა იკითხავს, ვისაც ექნება გონება სალი¹.

ცხოვრების ბოლო წლები ფირდოუსმა განსაკუთრებულად. მძიმე პირობებში გაატარა, თუმცა ლიტერატურული მოღვაწეობა. სათვის თავი არ დაუნებებია. უცხოობაში შეუთხზავს ფირდოუსს. განთქმული რომანტიკული პოემა „იოსებ-ზილიხანიანი“. უკანასკნელ. ლად ღრმად მოხუცი პოეტი ისევ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. და იქვე გარდაიცვალა ზოგიერთი ცნობით 1020/21 წ., ზოგიერთი. ცნობით კი 1025/26 წელს. საგულისხმოა, რომ ფირდოუსი დაუ. საფლავებით საკუთარ ბაღში ქალაქ გარედ, რადგან ორთოდოქსა. ლურ მუსულმანურ სამღვდლოებას საერთო სასაფლაოზე მისთვის. ვითომდა მწვალებლისათვის, ადგილ არ მიუცია.

¹ თარგმანი აქაც და ქვევითაც ჩემ მიერაა შესრულებული სპარსული დედ. ნის მიხედვით.

2. ფირდოუსის შაჰ-ნამე

დიდი მსოფლიო პოეტის სახელი ფირდოუსს მოუპოვა მისმა „შაჰ-ნამემ“ ანუ „მეფეთა წიგნმა“. ეს თხზულება წარმოადგენს სპარსულ ნაციონალურ გადმოცემათა მხატვრულად დამუშავებულ უზარმაზარ კრებულს ქვეყნისა და კაცის გაჩენიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე. თხზულება შედგება დაახლოებით 60.000 წყვილი სალექსო სტრიქონისაგან. ავტორის მართებული თქმით მან „გააცოცხლა ძველი ერანი“. ფირდოუსმა გენიალური შემოქმედებით მზის სინათლეზე გამოიტანა და პოეზიის უმშვენიერეს ძეგლად აქცია მტერთ დაფერფლილი მრავალ-საუკუნოვანი წარსულის მატთანე. ფირდოუსის განკარგულებაში მდიდარი და მრავალმხრივი წყაროები ყოფილა როგორც ზეპირი თქმულებების, ისე წერილობითი მასალების სახით. უკანასკნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფალაური „ხოდაი-ნამე“ (უფალთა წიგნი, Книга Владык, Herrenbuch), რომელიც შეიცავდა ლიტერატურულად დამუშავებულ უძველეს ამბებს სასანიდელ ხოსროვ მეორემდე (590 — 628). VIII საუკუნეში „ხოდაი-ნამე“ არაბულ ენაზე უთარგმნიათ რემდენიმე რედაქციით, მაგრამ არაბული თარგმანიც და მისი ორიგინალიც დღეს დაკარგულად ითვლება. X საუკუნეში, სახელდობრ, 957/958 წლებში, სამანიდთა გამგებლობის დროს ვინმე დიდ მოხელე აბუ მანსურის განკარგულებით შეუდგენიათ სპეციალური ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა ტუსის მმართველი და 4 განათლებული ზოროასტრელი. ამ ჯგუფს დავალებული ჰქონია ნაციონალური გადმოცემა-თქმულებების შედგენა ახალ სპარსულ ენაზე. ჯგუფს, უწინარესად ყოვლისა, „ხოდაი-ნამე“ უთარგმნია, ხოლო შემდეგ ის შეუფასია სხვადასხვა მასალებით როგორც ფალაურიდან, ისე — საფიქრებელია — ახალი სპარსულიდანაც. ჯგუფის მიერ შედგენილი კრებული ყოფილა პროზული და სახელად „შაჰ-ნამე“ ჰქმეფია. სწორედ ეს პროზული „შაჰ-ნამე“ გამხდარა შემდგომ ფირდოუსის ძირითად ლიტერატურულ წყაროდ. თვითონ ფირდოუსს სპეციალური თავიეც კი აქვს ამ საკითხისადმი მიძღვნილი: „აქა ამბავი შაჰ-ნამეს შეთხზვის შესახებ“¹. აქ, სხვათა შორის, ერთგან პირდაპირ ნათქვამია: „რაც სიტყვა მითქვამს, კვლავ თქმული იყო“-ო, და ასახელებს უძველეს დროიდან (ეს გაჰ-ე ბასთან) არსებულ ერთ წიგნს, რომელიც მრავალ თქმულებებს თუ ამბებს (დასთან) შეიცავდაო.

¹ ვულერსი, I, გვ. 7—8.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფირდოუსს „შაპ-ნამეს“ პოეტური დამუშავების საქმეშიც ჰყოლია წინამორბედი. ეს ყოფილა თავის დროისათვის გამოჩენილი პოეტი დაკიკი, რომელსაც გერმანელი მეცნიერი ეთე სპარსეთის კატულს უწოდებს და რომლის შემოქმედებითს საგანს შეადგენდაო „ლალისფერი ბაგეები, საკრავის ხმები, ზარატუსტრას (ზოროასტრის) მოძღვრება და წითელი ღვინო“¹. დაკიკის, სახელდობრ, გაულექსავეს [ნუჰ იბნ მანსურის (976—997) კარზე] „შაპ-ნამეს“ ის ნაწილი, რომელიც ზოროასტრის გამოჩენისა და მისი რელიგიის გავრცელების ამბებს შეიცავდა. მთელი ეპოსის სრულქმნა ნიჭიერ პოეტს არ დასცალდება და ერთერთ ნადიმის დროს დაცემულა ხანჯლით გაგმირული საკუთარი მონის მიერ, რომელიც, ალბათ, მისი საყვარელი იქნებოდა (ნოელ დეკე, 147). დაკიკის ამბავიც მოთხრობილია ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ შესავალში: „აქა ამბავი დაკიკი მოშიირისა“ (I, გვ. 8-9). ხოლო მეორეგან, სწორედ ზოროასტრის ამბების დასაწყისში (III, გვ. 1495-1496) ფირდოუსი ამას უფრო ვრცლად უბრუნდება: „აქა ფირდოუსის მიერ დაკიკის ხილვა სიზმარში“. ფირდოუსი აქ მოგვითხრობს, რომ ერთხელ მან სიზმარი ნახა: თითქოს ნადიმად იჯდა; დაკიკი გამოეცხადა და, სხვათა შორის, უთხრა: „გოშტასაბისა და არჯასპის შესახებ ათასი ლექსი გამოვსტქევი და ცხოვრების დღეც დამელია“—ო. ამაზე ფირდოუსი თავის მხრივ ურთავს: „ახლა მე ვიტყვი, მას რომელ უთქვამს, მე ცოცხალი ვარ, ის კი მიწის მტვერს შერევა“.

ზოგნი ფიქრობენ, რომ ფირდოუსს უცვლელად უნდა შეეიტანა თავის თხზულებაში დაკიკის ობლად დარჩენილი ათასი ლექსი (ათასი წყვილი ტაეპი), ზოგნი კიდევ ამ მხრივ ეჭვს გამოთქვამენ. ამ საკითხის ყველაზე უფრო დიდი ავტორიტეტი პროფ. ნოელ დეკე ამბობს, რომ: „დაკიკის მთელ სტილს დიდი მსგავსება აქვს ფირდოუსთან“ (გვ. 148), თუმცა მკვლევარს მნიშვნელოვანი განსხვავებანიც შეუშინევია. საერთოდ, ნოელ დეკე იმ აზრს ადგია, რომ ფირდოუსს მაინცადამაინც უნდა გამოეყენებია თავისი წინამორბედის შრომა. მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია, გენიალურ ტუსელ პოეტს საბოლოოდ ის გზა განუგრძია, რომელზედაც თავდაპირველად შემდგარა ასე უდროოდ დაღუპული დაკიკი. ეს კი, რომ დაკიკის ათასი ლექსიც უმნიშვნელო წვეთია ფირდოუსის შემოქმედების უფრცვლეს ზღვაში.

¹ ახალი სპარსული ლიტერატურა (გერმანულ ენაზე), გვ. 222.

* * *

როგორც ვთქვით, „შაჰ-ნამეს“ შესაეაღში მოთხრობილია ქვეყნისა და ადამიანის გაჩენა, ამას მოსდევს ხოტბანი (წინასწარმეტყველისა, აბუ მანსურისა, მამყედ ღაზნეველისა) და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობები. საკუთრივ ეპოსი იწყება მეფეთა ამბების აწერალობით. პირველი მითური მეფეა ქაიუმორათი, ამისი შემეკვიდრებია: უშანგი (ჰუშენგი), თაიმურაზი (ტოჰმურასი) და ჯიმშედი (ჯემშიდი). ჯიმშედმა ფუფუნების საგნებიც გამოიგონა, მთელი სამყარო დაიპყრო, გადიდდაცა, გააჩაბარაენდა და ღმერთობა მოინდომა. ჯიმშედის დასასჯელად ღმერთმა მოავლინა მტარვალნი არაბი ზააქი (ზოჰაქი). ზააქმა ჯიმშედი დაამარცხა, დაატყვევა და შუაზე გაახერხვინა, თვითონ ზააქს ეშმაკის (იბლისის) მიჩენით მხრებზე ამოუვიდა გველვეშაპები, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა ტვინით იკვებებოდნენ. ზააქის გველვეშაპებმა იმსხვერპლა ერანის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბოლოს, მტარვალის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მოაწყო მკედელმა ქავამ. ქავას დახმარებით ერანში გამეფდა ნაციონალური დინასტიის (ჯიმშედის) ჩამომავალი ფრიდონი (ფერიდუნი), რომელიც მალულად მთებში იზრდებოდა¹. ფრიდონმა დაამარცხა ზააქი, ბორკილით შეკრა და დეშენდის მთებში თავდაღმა ჩაკიდა. ახალმა მეფემ ღვთის მმოსავის, კეთილის და მართლმსაჯულის სახელი დაიმსახურა, მოხუცებისას მთელი სამფლობელო თავის სამ შვილს თურს, სალიმს და ირეჯს გაუნაწილა. უფროს შვილს თურს წილად ხვდა თურანი (თურქესტანი) და მისი მიმდგომი ქვეყნები (ჩინეთი და სხვ.). საშუალს, სალიმს—საბერძნეთი, ხოლო უმცროსს, ირეჯს—საკუთრივ შამა-პაპეული ტახტი, ერანი. უფროსი ძმები უკმაყოფილო დარჩნენ შამის განწილვით და მუხთლად მოჰკლეს ღვთისნიერი ირეჯი. ამ ნიადაგზე ატყდა დიდი შფოთი და დაუსრულებელი ომი ერანსა და თურანს შუა. „შაჰ-ნამეს“ ეპიურ მოთხრობათა მაგისტრალური ხაზი სწორედ ერან-თურანის შუღლის გარშემო ტრიალებს.

¹ „შაჰ-ნამეს“ საკმაოდ ვრცელი შინაარსი დასტამბული აქვს ბერთელსს (Абұл Касим Фирдоуси и его творчество, Л. 1935, გვ. 39—47). ფერიდუნის დაბადების შესახებ ბერთელსი წერს: „Вдова царя Джемшида бежала на восток в неприступные горы, и там родился и подрастал сын Джемшида, бдуший изаваитель Ирана-Феридун“ (გვ. 40, დაყოფა ჩემია, ა. ბ). აქ შინაარსი სისწორით არაა გადმოცემული. ფერიდუნი იყო აბთინის და თურანეკის შვილი (ეულერსი, გვ. 40—43; შდრ. შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 1934, გვ. 380). ბერთელსს აქვს ზოგიერთი სხვა წერილობანი შეცდომაც.

ერანის ნაციონალურ დინასტიას ზურგს უმაგრებდა სისტანელ ფალავანთა განთქმული წყება: ნარიმანი, საამი, ზაალი და როსტომი. ირეჯის შემკვიდრე მანუჩარმა სისხლი იძია და სალიმ-თური სიცოცხლეს გამოასალმა. მანუჩარის დროს მოღვაწეობდა საამი, რომელსაც მიეცა თეთრ-თმიანი ზაალი. საამმა იუკადრისა ჟმგვანო შეილი და ბავშვი გადააგდო. ზაალი იპოვა ზლაპრულმა ფრინველმა სიმურდმა, თავისთან წაიტანა და იალბუზის მწვერვალზე აღზარდა ბარტყებთან ერთად. უკვე დავაჟაკებულნი ზაალი ღვთის განჩინებით მამამ დაიბრუნა. თეთრი თმა-წვერის მიუხედავად, ის დიდ ფალავნურ უნარს იჩენდა. ზაალმა შეიყვარა ზაბულელი მთავრის მეკაბის მშვენიერი ასული როდამი (რუდაბე), ამ სიყვარულის ნაყოფი გახდა ერანის უდიდესი გმირი როსტომი. [ზაალისა და როდამის რომანული ისტორია „შაჰ-ნამეს“ ერთერთი უმშვენიერესი ეპიზოდია].

ერან-თურანის ტრადიციული შულლი განახლდა, როდესაც თურანში გამეფდა მამაცი ფალავანი და გონიერი მმართველი აფრასიობი. უკანასკნელის ხანგრძლივი ბატონობა შეუწყვეტელი ბრძოლების მიზეზი ხდებოდა. ერანის მხრივ აფრასიობს ეომებოდნენ მეფეები: ნოვზერი (ტყვედ ჩაუვარდა აფრასიობს და დაიღუპა), ზავი, ქაი-ყუბადი, ქაი-ქაუსი და ქაი-ხოსროვი. ომების უმთავრეს ტვირთს ეწეოდნენ სისტანელი ბუმბერაზები. კერძოდ როსტომი თურანის ლაშქარის დიდ საფრთხობელას წარმოადგენდა. რაც დრო გადიოდა, ბრძოლები უფროდაუფრო გრანდიოზულ სახეს ღებულობდა. თურანს დიდ დახმარებას უწევდნენ ყოველგვარი ბოროტი ძალები: ალქაჯები, დევები, აესულები, ჯადოსნები, კაცისქამიები და მისთანები. ერანელებს კეთილი ძალები მოსარჩლეობდნენ. თურანელები ჩვეულებრივად მიმართავდნენ ბრძოლის უმსგავსო ხერხებს, ხოლო ერანელები მტკიცედ ადგნენ რაინდულ-ფალავნურ წესებს.

ერან-თურანის ბრძოლის ამბებში ეპიზოდურად ჩართულია შესანიშნავი დრამატიული ამბავი როსტომისა და ზურაბის შეჯახების შესახებ. ზურაბი როსტომის ერთი რომანული შემთხვევის ნაყოფი იყო. ის დაიბადა თურანში, დავაჟაკებულნი გაემგზავრა მამის საძებნელად, უცნობლად შეებრძოლა მას და ტრაგიკულად დაიღუპა.

ერთხელ ნადირობისას ერანელმა ფალავნებმა იპოვეს იშვიათი სილამაზით შემკობილი უცხო ასული, რომელიც ფრიდონის ჩამომავალი გამოდგა. მიჰგვარეს ის ქაი-ქაუს მეფეს. ამ ქალიდან მეფეს

მიეცა ს ი ა ო შ ი. სიაოშის აღზრდა იკისრა თვითონ როსტომმა. ზურაბით მგლოვიარე ფალავანი თავისი შვილობილით იზუშებდა გულს. სათნო, კეთილი, ღვთისნიერი და სიმართლის მოყვარული სიაოში ვერ შეურიგდა აენება, აყვია და უგუნურ ქაი-ქაუსს; მთელი ამალით გადავიდა თურანის ქვეყანაში, ცოლად შეირთო აფრასიობის ქალი ფარანგოზი და ერთერთი შორეული და მყუდრო პროვინციის მმართველად დაემკვიდრა. ბოროტი ენების შესმენით აფრასიობმა გასტეხა აღთქმული პირობა და სიძე ღალატით მოაკვლევინა. სიაოშის სიკვდილით კიდევ უფრო გამწვავდა ერან-თურანის მტრობა. როსტომის გულშემზარავემა ღრიალმა გადააყრუა სისტანის მიდამოები; მან ფიცი დასდო, რომ აფრასიობს არ შეარჩენდა თავისი უკანასკნელი იმედის უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს. თეოდორ ნოელ დეკეს მოხდენილი გამოთქმით: „შურისძიება სიაოშისთვის — ასეთია ეხლა [ომის] პაროლი“.

სიაოშს დარჩა ერთადერთი შვილი ქაიხოსროვი, რომელიც დედამ აფრასიობის შიშით მთებში გახიზნა და იქ შეცხვარებებთან აღზარდა. დავაქვაცეხული უფლისწული თურანიდან დიდი ვაი-ვაგლახით გამოიყვანა ერანელმა ფალავანმა გივიმ. ამ დროიდან მამის სისხლის ძიების საქმე იკისრა ენერგიულმა და გონიერმა შვილმა. ხანგრძლივი, ცვალებადი და მძიმე ომების შემდეგ თურანის მხარე დამარცხდა, უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში პირადად მონაწილეობდნენ აფრასიობი და ქაიხოსროვი. აფრასიობი გადაიხვეწა და თავის სხედასხვა სამფლობელოებს ეხიზნებოდა. ბოლოს, ყველასაგან მიტოვებულმა, თავი შეათარა ერთ მიგდებულ საკანს. იქ ის შეუდაზნოემ შეიპყრო და გაბაწრული მიჰგვარა ქაიხოსროვს. ერანის გამარჯვებულმა მბრძანებელმა და თურანთა დამარცხებული მეფის შვილის შვილმა საკუთარი ხელით გამოუღაღრა ყელი ეგზომ დაუცხრომელ მოპირდაპირეს.

მოხსენებული ბრძოლის ამბებში ეპიზოდურად ჩართულია გივის შვილის ბეჟანის და აფრასიობის ქალის მანიჟავის (მანიჟეს) რომანული თავგადასავალი.

აფრასიობის სიკვდილით თითქოს ერთგვარად ბოლო მოეღო ერან-თურანის მრავალ საუკუნოვან ომებს. ქაიხოსროვის წინადადებით ერანის ტახტზე აიყვანეს უშანგის ჩამომავალი ლუარსაბი (ლოპრასპი). თვითონ ქაიხოსრო მისტიკურ განწყობილებას მიეცა, ჯერ სამლოცველოში ჩაიკეტა და შემდეგ უზო-უკვლოდ გაუჩინარდა. ლუარსაბს შემკვიდრებოდა გოსტაშაბი. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გოსტაშაბი საბერძნეთში „გაყარებდა“, შეიყვარა იქ

კეისრის ქალი ქეთევანი (ქეთაუნი). ქეთევანისგან გოსტაშაბს მიეცა ერანის უდიდესი გმირი როსტომის შემდეგ სპანდიატი (ისფანდიერი), ზედწოდებით სპანდიატ-რვალი. ხანში შესული გოსტაშაბი მამაკურად ვერ უმკლავდებოდა მტერს, ასეთ პირობებში ის მოხარკე გახდა თურანთა მეფის არჯასპისა.

გოსტაშაბის მეფობაში გამოჩნდა ზარდაშტი (ზოროასტრი), რომელმაც თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა და ახალი რელიგია იქადაგა. ერანელებმა გოსტაშაბის მეთაურობით მიიღეს ახალი სარწმუნოება. ზარდაშტი მეფეს ჩააგონებს, რომ მისი მიმდევარნი თურანთა მოხარკენი ვერ იქნებიან. არჯასპის საწინააღმდეგოდ გოსტაშაბმა გავზავნა სპანდიატი. სპანდიატმა დაიპყრო თურანი, ინდოეთი, იამანეთი, რუმი და სხვა ქვეყნები და ყველგან მავდევანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა) გაავრცელა. უკან დაბრუნებული უფლისწული ტახტზე შეცილების შიშით მამამ დააპატიმრა და ციხეში შემწყვდია. ამის შემდეგ გოსტაშაბი სისტანში გაემგზავრა ზაალისა და როსტომის ახალ რჯულზე გადმოსაყვანად. გოსტაშაბის არყოფნით ისარგებლა არჯასპმა, დაეცა სატახტო ქალაქ ბალხს და ააოხრა, მოჰკლა ლუარსაბი და ტყვედ წაიყვანა მეფის ორი და. შეშფოთებულმა გოსტაშაბმა სპანდიატი გაანთავისუფლა და დაავალა არჯასპის დასჯა. სპანდიატმა შვიდი საოცარი გმირული საქმიანობა სრულყო, მოჰკლა არჯასპი, გამოიხსნა დები, დიდი დოვლათით დაბრუნდა ბალხში და აღთქმული ტახტი გამოითხოვა. გოსტაშაბმა ახლა ახალ მუხანათურ ხერხს მიმართა: სპანდიატს დაავალა უდანაშაულო როსტომის შეპყრობა და ბორკილ-გაყრილი მისი მოყვანა (გოსტაშაბს იმედი ჰქონდა, რომ როსტომი სპანდიატს დაამარცხებდა და, ამრიგად, ტახტის მოცილეს მოაშორებდა). აქედან იწყება ერანის შინაგანი შფოთისა და რღვევის პროცესი. მიუხედავად დავალების სიმძიმისა, სპანდიატი მაინც წავიდა ბრძანების შესასრულებლად თავის შვილ ბაამანის (ბეჰმენის) თანხლებით. სისტანის მიდამოებში ერთმანეთს შეეჯახა ორი უმაგალითო გოლიათი. ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლების შემდეგ სპანდიატი დამარცხდა (სხვათა შორის, როსტომს დახმარებას უწყევდა ზაალის აღმზრდელი, გრძნეული სიმურღი). მომაკვდავმა ფალავანმა როსტომს რაინდული სიტყვა ჩამოართვა, რომ ბაამანს უპატრონოს და თვითონ აღზარდოს. როსტომმა სიტყვა შეასრულა. გოსტაშაბის შემდეგ ერანში გამეფდა ბაამანი.

• ამით თავდება „შპ-ნამეს“ მითურ-გმირული ნაწილი და იწყება საკუთრივ ისტორიული ამბები (თუმცა, რასაკვირველად, არც

ისტორიული ნაწილია მოკლებული ზღაპრულ-ფანტასტიკურ მოტივებს). ბაამანით ერთგვარი ხიდია გადებული „შაჰ-ნამეს“ ამ ორ ძირითად ნაწილებს შორის. შემდგომ აწერილია ალექსანდრე მაკედონელის ამბები, უფრო ვრცლად და ისტორიულ სინამდვილესთან მიახლოებულად გადმოცემულია სასანელ მეფეთა თავგადასავალი.

განსაკუთრებული სისრულითაა აწერილი ბაჰრამ-გურის (420—438), ხოსროვანუშირვანის (531—579) და ხოსროვფარვიზის (590—628) მეფობა. საკმაო დაწვრილებით ჩერდება ფირდოუსი მემამბოხე ბაჰრამ ჩუბინის საქმიანობაზე, საოცარი შემწყნარებლობით ეხება მაზდაკის, მოღვაწეობას [მაზდაკი გამოჩნდა კავადის (488—531) მეფობაში, იმან იქადაგა ახალი სოციალური იდეები, ითხოვდა წოდებრივი უთანასწორობის გაუქმებასა და კერძო საკუთრების მოსპობას]. ფირდოუსი ძალზე აიდეალებს სასანელ მეფეთა მოღვაწეობას, აზვიადებს ამ დინასტიის ცალკეულ წარმომადგენელთა ღვაწლს. ჩქმალავს, ან სრულიად გვერდს უვლის საჩოთირო ისტორიულ ფაქტებს. სიბრძნის, გონიერების, კეთილშობილების და სამართლიანობის აბსოლუტურ იდეალად ფირდოუსს დასახული ჰყავს ხოსროვანუშირვანი.

თხზულება მთავრდება არაბთა შემოსევისა და ამ მოძალადე ხალხის სპარსეთში გაბატონების აწერით. აეტორი ამკლავნებს არაბთა მიმართ საშინელ მძულვარებას და იმათ შემოსევაში აპრიმანის (ბოროტი ძალის) უკანასკნელ მძლავრ გამოვლინებას ხედავს.

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ * * * წარმოადგენს საგმირო-სარაინდო მოთხრობათა გრანდიოზულ ეპოპეას და ქაბუკურ-ფალავნური ზნეობის უშრეტ წყაროს იძლევა. ამ უზარმაზარი წიგნის, ან „ულეველი წიგნის“—როგორც ქართული ვერსია უწოდებს—ყოველი სტრიქონიდან ისმის სამხედრო საჭურვლის ჟღარუნისა და ბრძოლის ყიფინის ხმები. ის შეიცავს უსაზღვრო ჰეროიკის, სამხედრო-რაინდული და ფალავნურ-გოლიათური საქმიანობის იდეალიზაციას. ამ მხრივ ფირდოუსს ერთერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. საკმაო ყურადღება ექცევა ეპოპეაში რომანტიკულ-რომანული ხასიათის ეპიზოდებსაც, ლაშქრობა-ნადირობისა და მეჯულიშ-ნადიმობის სცენები მუდმივ თან ახლავს თხრობათა მიმდინარეობას. ხშირია რაინდული ტურნირებისა და ბურთობა-ასპარეზობის აწერილობანი. დარბაზობის ცერემონიალებისა და ძღვნობის მოტივებიც ეპიკური ზეიადობით ამკობს მთელ თხზულებას. ყოველივე ეს ბუნებრივად „შაჰ-ნამეს“ დიდად პოპულარულ ნაწარმოებად ხდიდა.

თავისი ვეებერთელა ნაწარმოების იდეურ სარჩულად ფირდოუსს აღებული აქვს კეთილისა და ბოროტი საწყისის, ორმუხდისა და აპრიმანის, ურთიერთ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოტივი. ეს მოტივი ავტორს გამოყენებული აქვს კონკრეტული ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისის ნათელსაყოფად. ფირდოუსი ფეოდალური ბუნების ნაციონალურ-პატრიოტულ შეხედულებათა გამომხატველი პოეტი-მოაზროვნეა. კეთილი ძალის განსახიერებად პოემაში მიჩნეულია წინაისლამური პერიოდის ირანი, ხოლო ბოროტ ძალად დასახულია თურქობა (თურანი).

კეთილ და ბოროტ ძალთა წინააღმდეგობის აღნიშნული: სახე შეადგენს „შაჰ-ნამეს“ მონუმენტალური შენობის საფუძველს, თხზულების ხერხემალს. პოემაში ჩართული სხვადასხვა ხასიათის ეპიზოდური ამბები კიდევ უფრო აღიადებს მის გრანდიოზულობას. ნართაული ეპიზოდებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ზაალ-რუდაბესა, ბეჟან-მანიეავისა და ბაჰრამ-გურის რომანული ისტორიები. არსებითად ნართაული ხასიათისაა ჰვით როსტომ-ზურაბის ტრაგიკული ბრძოლის ამბავიც. შიგადაშიგ შაჰ-ნამე ბლომად შეიცავს ლირიკულ-მელანქოლიკურ ლექსებს, ბრძნულ აფორიზმებს, მოსწრებულ დარიგებებს, შეგონებებს, სენტენციებს და ა. შ.

ფირდოუსი არაჩვეულებრივად აიდეალებს მაზდეანური ირანის ყოფა-ცხოვრებას, ადათ-ჩვეულებებს, რელიგიურ წარმოდგენებს. ძველი ირანი თავისი გამოჩენილი მეფეებით და გმირებით ავტორს ეხატება ზნობრივი სისპეტაკის, გონებრივი სრულყოფის და ფიზიკური უბადლოების განუმეორებელ სახეებად. ამასთან ავტორი მიწასთან ასწორებს ირანის ისტორიულ მტრებს, უწინარესად ყოვლისა, თურანელებს და არაბებს. ბოროტი ძალის უშუალო გამოვლინებას თურანელები წარმოადგენდნენ. თურანელები კი შესცვალეს ვერაგმა მუსულმანმა არაბებმა. არაბები? ასეთი კითხვა ბუნებრივად ებადება „შაჰ-ნამეს“ მკითხველს. მაგრამ კითხვაზე ავტორი არ იძლევა (ან ვერ იძლევა) პირდაპირ პასუხს, თუმცა საკითხის გადასაწყვეტად უსათუოდ ქმნის გარკვეულ განწყობილებას. მართლაც და, არაბებს ხომ კვლავ მოჰყვა შოძალადე თურქების ახალი ტალღა! იმავე თურქმა მაჰმუდ ლაზნეველმა მოულო ბოლო სამანიდური ირანის ნაციონალურ სახელმწიფოს და სუნიტური შეუწყნარებლობაც დააკანონა. ერთი სიტყვით, ფირდოუსის თანამედროვე მაჰმუდი გარკვეულად ისახება აპრიმანის უკანასკნელ ნაშიერად. ეს ტენდენცია ცხადლივ აქვს „შაჰ-ნამეს“ აღბეჭდილი. ოფიციალურად კეთილ-

მორწმუნე მუსულმანი-სუნიტი და მაჰმედ ლაზნეველის კარის პოეტი უაქტიურად ვახდა მანდიანური ირანის აპოლოგეტი და ნაციონალურ-პატრიოტული მიმართულების უბადლო წარმომადგენელი სპარსულ პოეზიაში. ხოლო ფირდოუსის ეს გარკვეული იდეური თვალსაზრისი სერიოზული პროტესტი იყო მაჰმედ ლაზნეველის მიერ ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, მიუხედავად „შაჰ-ნამეს“ წინასიტყვაობის პირფერულად მოჭარბებული ხოტბისა. თავისი იდეური მიზანდასახულობით ფირდოუსი შეგნებულად ამეღვენებს სპარსულ-ნაციონალური სფეროების განწყობილებებს და, მაშასადამე, სპარსულ-ფეოდალური საზოგადოებრიობის ოპოზიციური ფენების მედროშე ხდება. ყოველივე ამას კი, რასაკვირველია, შეეძლო სათანადო რეაქცია გამოეწვია ირანის მოძალადეების, კერძოდ, მაჰმედ ლაზნეველის მხრით. ამიტომაც, ჩენი-აზრით, მაჰმედის რისხვა და ფირდოუსის დევნა სწორედ აღნიშნული გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული და არა შაჰის მონური სულისკვეთებითა და მხატვრული გემოვნების უქონლობით. მაინცადამაინც ფირდოუსმა ღირსეულად შეინარჩუნა ისტორიაში კეთილშობილი ადამიანისა, პატრიოტული იდეებისათვის დევნილი მოაზროვნისა და გენიალური მხატვრის სანაქებო სახელი.

საოცარ იდეურ სიღრმესთან ერთად „შაჰ-ნამე“ სანიმუშოა ფორმის მხატვრული სრულყოფით. ეს უზარმაზარი, მართლაც „ულეველი წიგნი“, თავიდან ბოლომდის გამართულია მაღალმხატვრული კულტურით აღბეჭდილი ლექსით, ე. წ. მუთაყარბის მეტრისა. რიტმული შეზომილება, ბგერული ჰარმონიკა, რითმული სიმდიდრე და კეთილხმოვანება ფირდოუსის ლექსის საყოველთაოდ აღიარებული თვისებებია. ამასთან ფირდოუსის „სტილს ახასიათებს დიდი ოსტატის მომჯადოებელი სისადავე და უბრალოება, ნამდვილი ხალხურობა. „შაჰ-ნამე“ თავისი დახვეწილი, ფაქიზი პუტისტული ენით, ბედნიერი გამონაკლისია ენაწყლიანობის ჰარბად მოყვარული სპარსული პოეზიიდან. ფირდოუსი ამ მხრითაც თავისებურია და თანმიმდევარი. ფირდოუსი მწვავედ ებრძოდა სპარსულ ლიტერატურაში მძლავრად ფეხმოკიდებულ არაბიზმებს. არაბული, როგორც კონფესიურ-სარწმუნოებრივი და ადმინისტრატიულ-სახელმწიფოებრივი ენა, წამლექავ ნაკადად შეიჭრა სპარსულში. პოეტები ჩვეულებრივად თვითონ უწყობდნენ ამას ხელს. მხოლოდ ფირდოუსი აღმოჩნდა ნამდვილი ეროვნული პოეტის მოწოდების სიმალღებუნობრივ-სტილისტიკური კლასიკური სრულყოფით „შაჰ-ნამე“ დღემდის დაუძლეველ ნიმუშად რჩება ირანში. „შაჰ-ნამეში“ ენის სისადავე

საუცხოოდაა შეხამებული მხატვრული ხერხების ნაირობასა და მრავალფეროვნებასთან. თანამედროვე მკითხველს ხიბლავს ნაწარმოების ეპიკური სიღარბისლე, ზვიადობა, სიდიადე, სუჟეტურ-კომპოზიციური მონუმენტალობა. „შპ-ნამეს“ ვეებერთელა წიგნს მხატვრული ზომიერებით აცხოველებს დრამატიული და რომანიული მოტივების სიუჟე. ზოგიერთი ეპიზოდი (როგორც, მაგალითად, ერაჯისა, როსტომ-ზურაბისა, სიოაშისა და სხვ.) ახლაც დაძაბული ინტერესით და მღელვარებით იკითხება.

თქმა არ უნდა, „შპ-ნამეს“, როგორც თითქმის ყველა დიდ ეპიკურ ნაწარმოებს, ზოგიერთი გადაულახავი დეფექტიც ახასიათებს. ასეთია, მაგალითად, ამბის გაქიანურება, განმეორება, ერთფეროვნება და მისთანანი. მაგრამ საერთოდ და მთლიანად „შპ-ნამე“ მაღალმხატვრული შემოქმედების მონუმენტია, რომელმაც დიდაც გაუშლო მკაცრი ისტორიის მრავალსაუკუნოვან სრბოლას და ახლაც აღტაცებას იწვევს „სალი გონების“ მქონე მკითხველში.

განუზომელია „შპ-ნამეს“ მნიშვნელობა იშვიათად მდიდარი და მრავალფეროვანი სპარსული მწერლობისათვის. „შპ-ნამემ“ უდიდესი ბიძგი მისცა ამ მწერლობას და არაჩვეულებრივი გავლენა მოახდინა მის განვითარებაზე. ჯერ კიდევ სიცოცხლეში გაუჩნდა ფირდოუსს წამბაძველთა და მიმდევართა მთელი პლეადა. ფირდოუსის წამბაძველობის ნიადაგზე ირანში აღრითგანვე შეიქმნა „შპ-ნამეს“ ციკლის მრავალრიცხოვანი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის ერთი ნაწილი, მეტნაკლები თავისებურობით, „შპ-ნამეშივე“ მოთხრობილ ამბებს შეიცავს უფრო გავრცობილს და უფრო გაზღაპრებულს. (-გურჯასპ-ნამე“, „საამ-ნამე“, „ბექმენ-ნამე“, „ბარზუ-ნამე“ და სხვ.). მეორე ნაწილი თუმცა პროტოტიპიდან შედარებით შორსაა, მაგრამ არსებითად მაინც იმით საზრდოობს (ასეთია, მაგალითად, ქართულ მწერლობაშიც ცნობილი „ვარშაყიანი“, „სელიანიანი“, „ყარამანიანი“ და სხვ.). საერთოდ ირანული მწერლობის მდიდრულ საგმირო-სარაინდო ეპოსს ფირდოუსის უაღრესი გავლენის ბეჭედი აზის. საგმირო ეპოსის გვერდით დიდი პოპულარობით სარგებლობს სპარსულში რომანტიკული ეპოსი. ამ დარგის გამოჩენილი პოეტებია ფახრ-უდდინ გურგანელი („ვისრამიანის“ ავტორი), ნიზამი განჯელი, ხოსროვ დეჰლეღლი, ჯამი და სხვ. უნდა ითქვას, რომ პოეზიის დასახელებულმა დიდმა ოსტატებმა საუცხოო პოემები შექმნეს, მაგრამ ისინიც მნიშვნელოვანად იკვებებოდნენ ფირდოუსის წყაროებით და სახელოვანი წინამორბედის შემოქმედებით გზას განაგრძობდნენ. გარდა იმისა, რომ ფირდოუსე.

ავტორია „იოსებ-ზილიხანიანისა“ (ამ პოემას ათეული წამბაძველი ჰყავს სპარსულ მწერლობაში), თვითონ „შაჰ-ნამე“ იძლევა მწვენიერი რომანული ეპიზოდების მთელ ციკლს. „შაჰ-ნამეს“ რომანული ეპიზოდები დაედვა საფუძვლად სპარსულ რომანტიკულ პოეზიას. მიუწვდომელ სიმადღეზე დარჩა ფირდოუსი ისტორიული ეპოსის დარგშიც, ხოლო „შაჰ-ნამეს“ ლირიკული ჩანარებები სპარსული პოეზიის ნამდვილი ობოლი მარგალიტებია, ხელი-ხელ საგოგმანები. სამაგალითო გახდა ფირდოუსი აგრეთვე როგორც სახოტბო ჟანრის ოსტატი და მებრძოლი სატირიკოსი. ერთი სიტყვით, ფირდოუსის ლიტერატურული მემკვიდრეობა, უწინარეს ყოვლისა „შაჰ-ნამე“, სპარსული პოეზიის ქეშმარიტი საძირკველია, რომლის მყარ ნიადაგზე არა ერთი და ორი შესანიშნავი მხატვრული ძეგლი აღიმართა. მაგრამ, რასაკვირველია, ფირდოუსის გავლენა ოდნავად არ ამოიწურება თუ გინდ ძველი ისტორიული ირანის ტერიტორიული ფარგლებით. დიდი იყო ფირდოუსის მნიშვნელობა, მეტი რომ არ ეთქვათ, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურული ცხოვრებისათვის. დიდად არის დაჭალებული ფირდოუსით ქართული მწერლობაც.

3. შაჰ-ნამეს ქართული მერსიები

„შაჰ-ნამე“ აღმოსავლურსა და დასავლურ მრავალენაზეა გადათარგმნილი. ერთერთი უძველესი და უსრულესი თარგმანი მოიპოვება ქართულ ენაზე. „შაჰ-ნამეს“ ქართული რედაქცია ჩვეულებრივ იწოდება როსტომიანად. ეს იმით აიხსნება, რომ თხზულების იდეალიზებულ გმირ-ფაღავანთა შორის სწორედ! მძლეთამძღვ როსტომს უქირავს პირველი ადგილი. ქართული ფეოდალური საზოგადოებრიობა „შაჰ-ნამეში“ ხედავდა თავისი სოციალურ-პოლიტიკური ზრახვების საუკეთესო მხატვრულ ანარეკლს, მიუხედავად ძეგლის ფაბულური უცხოობისა. როგორც ერთი ძველი მწიგნობარი ამბობს, შაჰ-ნამეს „გმირული მოთხრობანი“ ხელს უმართავდა სამხედრო-ფეოდალური კლასის „სიმზნისა და ახოვნისა სულის განღვიძებას“, ანუ, თანამედროვე სიტყვებით რომ გამოვთქვათ, სამხედრო საქმიანობის პროპაგანდას ემსახურებოდა; ხოლო ძეგლში ასახული ყოფა-ცხოვრებითი მხარე იმავე კლასს აგონებდა „ძველსა ზნეობასა და ზოგადსა ჩვეულებასა ძველთა ქართველთა“. ამ მკვეთრმა სოციალურმა მოტივებმა უზრუნველჰყო სპარსული „შაჰ-ნამეს“

იშვიათი პოპულარობა ფეოდალურ საქართველოში. „როსტომიანი“ ითვლებოდა საინტერესო საკითხავ, მიმზიდველ და კარგი აღმზრდელობითი ხასიათის მქონე ნაწარმოებად. საყურადღებოა, რომ „როსტომიანის“ მოქმედ პირთა სახელები ახლაც კი ფართოდაა ჩვენში გავრცელებული, ასეთებია: როსტომი, ზურაბი, გივი, ბეჟანი, ზაალი, გოდერძი, თეიმურაზი, უშანგი, ფრიდონი, მანუჩარი, ნოდარი, მერაბი, რევაზი, ქაიხოსრო, ლუარსაბი, აფრასიონი (იგივე აფრასიობი), როდამი, ქეთევანი და სხვ.

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას იტაცებდა „შაპ-ნამეს“ უსაზღვრო ფანტასტიკა, მოხდენილი საინტრიგო კვანძები, რომანტიკა, განსაკუთრებით საგმირო-სარაინდო მოტივები, მამაცობის კულტი. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართულ ენაზე შემონახულია თხზულების მხოლოდ მითურ-გმირული ნაწილი. „შაპ-ნამეს“ ისტორიული ნაწილი შედარებით მოკლებული უნდა ყოფილიყო ქართველი მკითხველი საზოგადოების უშუალო ინტერესს და, შესაძლებელია, ქართულად არც კი ყოფილა ნათარგმნი, ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მესამე პერიოდში, როდესაც ხელმეორედ ითარგმნა „შაპ-ნამეს“ ვერსიები, ისტორიულ თხრობათა ციკლი არ გადმოუღიათ, თუმცა ამ ციკლის არსებობა მოწინავე ლიტერატურულ წრეებს კარგად სცოდნია. XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ქაიხოსრო, ავტორი „ომინიანისა“, ამ საგანზე პირდაპირ ამბობს: „ბევრია მეფეთ ამბავი, არ გათავდების მბობითა, ანუ შირვანის ამბავი მასშია არაკობითა“-ო. ანუ შირვანის ამბავი მართლაც ისტორიულ ნაწილშია მოთხრობილი. ეს ამბავი ქაიხოსროს არაკად სმენია, მასადაამე, ქართულად ის არ ყოფილა.

„შაპ-ნამეს“ კარგად იცნობს და იმით საკმაოდ ფართოდ სარგებლობს ქართული კლასიკური პერიოდის როგორც მხატვრული, ისე საისტორიო მწერლობა, სახელდობრ, „ვისრამიანი“, ე. წ. „აბღულუმესიანი“, „თამარიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. უკანასკნელში (ქართლის ცხოვრებაში) გადმოცემულია „შაპ-ნამეს“ მეფეთა მთელი გენეალოგია, აწერილია „შაპ-ნამეს“ ცალკეული საყურადღებო დეტალები. საგულისხმოა „ვისრამიანის“ მაგალითი: „ვისრამიანის“ მხოლოდ ქართულ რედაქციას შემოუნახავს „შაპ-ნამეს“ ზოგიერთ გმირთა სახელი, მაშინ როდესაც ის დედნისათვის უცნობია. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „შაპ-ნამეს“ ქართული თარგმანი უნდა არსებულიყო XI—XII საუკუნეში. მაგრამ პირვანდელ თარგმანს ჩვენამდის არ მოუღწევია.

ხელმეორედ უთარგმნიათ ტექსტი XV--XVI საუკუნეებში ნაწილობრივად პროზით, ნაწილობრივად ლექსით. „შპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე სხვადასხვა პირს უმუშაენია სხვადასხვა დროს.

„შპ-ნამეს“ ამბავი უკვე ძველთაგან გადასულა ხალხში და ხალხური სიტყვიერების მშვენიერი ძეგლის სახე მიუღია. მხოლოდ საგანგებო მეცნიერულ კვლევა-ძიებას თუ შეუძლია დაადგინოს, რომ: „თუმცა როსტომის და ზურაბის შესახებ თქმულება უცხო ქვეყნიდან არის შემოსული, მაინც იგინი შეუთვისებია ჩვენს ერს და ნაციონალურს ქაბუკებად გადაუქცევია“-ო¹. მართლაცდა, ერანელი ბუმბერაზი როსტომის გმირული სახე თითქოს ყოველმხრივ მხატვრული გადანაშთია ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიისა...

4. შპ-ნამეს ქართული პროზული ვერსია

ქართულ ენაზე მოიპოვება „შპ-ნამესა“ და მისი ციკლის რამდენიმე ვერსია, ზოგი პროზითი და ზოგი ლექსად გაწყობილი. თავის მხრივ პროზული ვერსიები ორგვარი რედაქციისაა:

ა. უფრო ძველი, რომელიც XVI საუკუნეს მიეწერება და ცნობილია ორიოდე ხელნაწერით (H 921 და S 1594. ამავე რედაქციისად იყო მიჩნეული აგრეთვე ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში დაცული ნუსხა № 50 იოვანე ბატონი-შვილის კოლექციიდან).

ბ. უფრო გვიანდელი, XVIII საუკუნისა, რომელიც „ფერიდუნ და ზოაქის“ სახელწოდებას ატარებს.

პირველი პროზული ვერსია უძველესი მითური ამბებით იწყება და შიტანილია ზაალის შობამდე. ჩვენს მეცნიერებაში უკვე მართებულად დამკვიდრებული აზრით, ეს ვერსია არ ესატყვისება ფირდოუსის „შპ-ნამეს“ და არსებითად ის წარმოადგენს „შპ-ნამეს“ რომელიდაც წამბადველის ქართულ თარგმანს. მეორე პროზული ვერსია კიდევ უფროა ფირდოუსისგან დაშორებული, თუმცა აქაც „შპ-ნამეს“ ციკლის ამბებია გადმოცემული. აქ მოთხრობა

¹ ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919, გვ. 33; შდრ. პროფ. ა. შანიძე, შპ-ნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში (ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935).

იწყება ჯიმშედის ეპიზოდით და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საამის საგმირო-რომანტიულ თავგადასავალს. უკანასკნელი ვერსია ყოველი ნიშნებით თურქულ წარმოშობილობას ამჟღავნებს და აგრეთვე „შაპ-ნამეს“ გაგრძელება-წამბაძველობით ხასიათდება.¹

საკუთრივ „შაპ-ნამეს“ გაღექსილი რედაქციები XV—XVI საუკუნეებიდან მოგვეპოვება, მაგრამ უძველეს გაღექსილ რედაქციას საფუძვლად დასდებია არა უშუალოდ სპარსული ტექსტი, არამედ მისი ქართული პროზული თარგმანი. ამიტომ, თავისთავად ცხადია, „შაპ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსიის დიდი მნიშვნელობა, ერთის მხრივ, სპარსულ ორიგინალთან ურთიერთობის და, მეორის მხრივ, ქართულ გაღექსილ რედაქციებთან დამოკიდებულების გამოსარკვევად. თუმცა „შაპ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსიის არსებობა უდაოდ იგულისხმებოდა, მაგრამ მისი კვალი არ ჩანდა და ფაქტიურად დაკარგულად იყო მიჩნეული. ასეთ პირობებში „შაპ-ნამეზე“ მომუშავე ყოველი მკვლევარის გულისყური პროზული ვერსიის ძიებისაკენ იყო გამახვილებული. პირადად ჩვენს დიდ ინტერესს იწვევდა ლენინგრადის ზევით დასახელებული ხელნაწერი, რომლის მოკლე აღწერილობა ნ. მარს კარგა ხანია, რაც გამოქვეყნებული აქვს.² ჩვენი არაერთგზისი ცდა, როგორმე ხელში ჩაგვეგდო „შტუდიებისთვის ეს ხელნაწერი, ან მისი ფოტოგრაფიული პირი, უშედეგოდ რჩებოდა. მკოდნე პირების დასკვნით ლენინგრადის დეფექტური ნუსხა თბილისის უფრო სრული ტექსტების შესატყვისი უნდა ყოფილიყო და, მამსაღამე, „შაპ-ნამეს“ პრობლემის გამოსარკვევად თითქოს მოკლებული იყო რაიმე მნიშვნელობას. უკანასკნელად ი. მარმა დაგვიტმო თავისი რვეული, რომელიც შეიცავს ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერის ამონაწერებს. ი. მარმა დასძინა, რომ „შაპ-ნამეს“ პროზული ტექსტის შემცველი ხელნაწერი იშვიათი კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული და ნაწყვეტები ქართულ პალეოგრაფიაში ვარჯიშობის მიზნით გადმოვწერეო. ი. მარის რვეულში სრულად აღმოჩნდა ერთი მოზრდილი თავი: «სიკუდილი ჯელმწიფის მარდისა, ზაქის შამისა». ამ ეპიზოდის შედარებამ ცნობილ ქართულ პროზულ ვერსიასთან და სპარსულ „შაპ-ნამე-სთან“ ჩვენთვის იმთავითვე ცხადი გახადა, რომ: 1. საქმე გვქონდა „შაპ-ნამეს“ ციკლის

¹ ალ. ბარამიძე, შენიშვნები „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ („საქართველოს არქივი“, 1927, III, გვ. 87—96).

² ნ. მ. [ნიკო მარი], „ივერია“, 1891, № 132, „ორიოდე სიტყვა „შაპ-ნამეს“ ქართული თარგმანის შესახებ“.

უცნობ პროზულ ნაწყვეტთან და 2. რომ ეს ნაწყვეტი ფირდოუსის „შპ-ნამეს“ სათანადო ტექსტის თარგმანს წარმოადგენდა.

ამის შემდეგ უფრო ენერგიულ ზომებს მივმართე, მალე მთელი ტექსტის სრული ფოტოგრაფიული პირი მივიღე და მის შესწავლას შევუდექი. მაგრამ თავიდანვე ერთი უცნაური გარემოება გამოიკვია: ლენინგრადის ხელნაწერის დასაწყისი მოზრდილი ნაწილი „შპ-ნამეს“ გაგრძელების თბილისური პროზული რედაქციისა გამოდგა. ასეთი რედაქციული ერთგვარობა დადასტურდა ხელნაწერის პირველი 23 ფურცლის მანძილზე.¹ რედაქციული სხვაობა კი იწყება მე-24 ფურცლიდან,² საკუთრივ ზააქის ეპიზოდიდან. საილუსტრაციოდ აქვე მოგვაქვს პირველი რედაქციის დასასრულისა და მეორე რედაქციის დასაწყისის ტექსტი, ხოლო ამის პარალელურად ნაჩვენებია სათანადო ტექსტი თბილისური რედაქციის მიხედვითაც:

მერმე მურადავს ერთი შვილი ედგა, სახელად ზააქ ერქუა. მისთა [ჯიმშედის] ლაშქართაგ. მტერად ღმერთმან აღუდგინა, რომელსა ეშმაკი[ის]ა მანქანებითა მვართა გუელი ამოუვიდა. აგრე ეშმაკი მოვიდა კაცის სახითა და ზააქს მოახსენა, თუ: „შენ აგეთი ახალი ფალავანი ხარ და დიად ერთობ მოწოდული და კარგი ცხენოსანი, დვეისა მპყრობელი, რომე არავინ არის. რაცა მე გითხრა, დამიჯერე და პატრონობა შენ დაგრჩების, ჯიმშედ ღმერთსა ეცილებს, მას რატომ მსახურებ? მამა შენი მოკალ, მრავალი საქონელი აქუს და შენცა ბევრი გაქუს, გავსკეთ ლაშქართედ და შევყართ მრავალი ლაშქარი და ჯიმშედს კელმწიფობა წაერთუათ, მის მეშველი აღარავინ არის, გუარჯასკ მამკუდარა და აშქაშ აღარას უშველის, და ადვილ წაუღებთ“.

რა ასეთი საუბარი გაიგონა ზააქ, ასრე უთხრა, თუ: „მამა ვის მოუკ-

მერმე მურადავს ერთი შვილი ედგა, სახელი ზაქ ერქუა, რომელსა ეშმაკის მანქანებითა მხართა გველი ამოუვიდა. აგრე მოვიდა ეშმაკი და ზაქს ამხანაგად შექვეყნარა და ასრე ივახირა, ვითა: კარგი ახალმოწიფული ბარ და, რაცა მე გითხრა, დამიჯერე და პატრონობა შენ დაგრჩების. ჯიმშედს შენ რატომ მსახურებ, ღმერთსა ეცილებს. პირველად ასრე ხოლმე ქენ, მამა შენი მოკალ, და მრავალი საქონელი აქუს და შენცა ბევრი გაქუს. მერმე გავსკეთ ლაშქარხედა და შევყართ მრავალი ლაშქარი და ჯიმშედს ხელმწიფობა წაერთუათ, მისი მეშველი აღარავინ არის, გოჯასკ მოკუდა და აშქაშ აღარას უშველის, ადვილად წაუღებ“.

რა ასეთი საუბარი გაიგონა ზაქ, ასრე უთხრა ეშმაკსა, ვითა: „მამა ვის მოუქლავსო, რომე აწ მოვკლაო?“ მერმე ასრე უთხრა; ვითა: „შენ ნჯრას გამომენახვი და მე მოვკლაო“. რა ესრე საუბარი გაიგონა ზაქ და მაშინლა მიმორ.

¹ 6, 2, 3, 4 და 5 ფურცლების გამოკლებით.

² ამავე რედაქციის ტექსტს შეიცავს აგრეთვე ფურცლები 6 (ნაწილობრივად), 2, 3, 4, 5.

ლავს, რომ აწე მე მოვეყულა?“ მერმე ასრე თქუა [ეშმაკმა], თუ: „შენ ნურას გამომენახუი და მე მოვეკლავ“. ხა ა კ ა რ ა დ ი ყ უ რ ა მის გ რ ძ ნ ე უ ლისა საუბარი.

თუთ ზააკ იყო კარგი ცხენოსანი, დევისა მპყრობელი, კარგი ფალავანი, სუბუქისა ტკუისა, უხუი. ყუანდა ათი ათასი ბედაური ოქროს უნაგრებიტა მოკახელი, დღიე და ლამიე ნადიმობდა და დღეში ათი ათასი ბედაურის ცხენით (sic) ნადირობად გაიტანის, მრავალთა ავახითა ინადირის, და მფრინველნი მოუტიენიან და მას ხედან შეეკცეოდინ. ნადიმი, სმა და ლხინი უყ[უ]არდის და საბოდუარისა გაცემა დიად იყოდის.

დღესა ერთსა ფალავანი ზააკ სავარდეს შიგან ნადიმად იჯდა და მისნი თავადნი მის წინ უსხდეს. ეამად საწუთროსა გააგებდეს და ლალის ლეინოს სმიდეს. მოშაით-მოგოსნები თამაშობდეს და მუტრიბინი იმღერდეს. ამახედან კიდევ ერთი გრძნეული დევი ი ბ ლ ი ს ი მოვიდა ზააკის გზისა [ს]აკთუნებლად. და ნახა ზააკ, მოეწონა და ქუე დასუა. დეემან მაცთურმან ტკბილი საუბარი დაიწყო და ქება ზააკისა. მისი საუბარი მოეწონა და იამა. მან არ იყოდა მისი გრძნეულობა და ქუა, მას მიენდო. რა იბლისმან მოისმინა ზააკის საუბარი, რომე მისა ბადესა შემოვარდა, გაეზარნეს და მრავალი საუბარი ტკბილის ვენითა მოსაცდუნებელი მოახსენა, თუ: „ჩკუიანო და გონიერო დიდო ფალევანო, თქუნებრი ფალევანი და უზანბარი ვინ არის ქუეყანაზედან? თქუნ გმართებს სრულად ერანის და ხუარის შაკ-შარიერობა, ტახტი და გვირგვინი შენ გეფერების. ყოველთა უთავადესო ფალევანო! მე ვიცი ასეთი თქუენი საქმე, რომე ჩემგან მეტმან არა ვინ იცის, გეპირანების და მიბრძანოთ; ფიცი მომეც ასეთი, რომე ჩემი მოხსენებუ-

ჩილდა (sic) და ასრე უთხრა: „რაცა გწადდესო აგრე ქენო“.

და დაპირა ეშმაკმან მურადვის სიკუდილი...

(S 1594, გვ. 54b—55a).

ლი დაიჯეროთ, უკლებლად ყუელა მოგახსენოთ“. რა ფალავანმან ვაქმან მოისმინა, ყმარწვილისა გული მოსტყუედა და დაუჯერა და საშინელი ფიცით შეჭფიცნა...

[შემდეგ მოთხრობილია მამის მოკვლის წინადადება].

რა ესე წარმართმან ზააქ მოისმინა, დამორჩილდა და ასრე უბრძანა: „რათა წესითა შენ გინდა, მას ვიქმ“. მისცა მამა კელმწიფე მოსაკლავად და უბრძანა: „რასაცა იქ, შენ იცი“. დევსა იამა და წამოვიდა მარდას კელმწიფეს ლალატად და სასიკუდილოდ.

უყურე წარმართსა ზააქს, როგორა ეშმაკისა დევსაგან მოსტყუედა და მამისა სისხლითა პირი დაიბანა და შეუცოდებელი კელმწიფე მოაკლევინა გრძნეულის დევის ხელითა.

(24a—25a).

მოტანილი ტექსტების შედარება ნათელჰყოფს, რომ ლენინგრაღის ხელნაწერი ერთ ნაწილში რედაქციულად სავსებით უდგება თბილისურ ხელნაწერებს (თუმცა მნიშვნელოვან ვარიანტულ თავისებურებასაც შეიცავს), ოღონდ გარკვეული ნაწილიდან, სახელდობრ, ზააქის დახასიათებიდან („თუით ზააქ იყო კარგი ცხენოსანი, დევისა მპყრობელი, კარგი ფალავანი, სუბუქისა ქკუისა“...) სრულ რედაქციულ სხვაობას იჩენს. ლენინგრაღის ხელნაწერთა აშკარად მეორდება ეშმაკისაგან (=იბლისისაგან) ზააქის ცდუნების ამბავი, რომელიც უკვე მოთხრობილია პირველი რედაქციული ტექსტით. ეპიზოდური ამბის განმეორება რომ მექანიკური ხასიათისა არ გამოსულიყო და ბუნებრიობის შთაბეჭდილება მოეხდინა, გადამწერს საგანგებოდ ჩაურთავს: იბლისი „კიდევ მოვიდა“-ო. მაგრამ საკითხი იბადება, რას უნდა გამოეწვია იბლისის ხელმეორე გამოცხადება, თუ პირველი შეხვედრისას უკვე მიღწეულ იქნა შეთანხმება ზააქის მამის მოკვლის შესახებ? ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად გადამწერს მთელი ახალი ფრაზა შეუტანია პირველი რედაქციული ტექსტის დასასრულში: „ზააქ არად იყურა მის გრძნეულისა საუბარი“-ო [საგულისხმოა, რომ პირველ რედაქციულ ტექსტში მაკდური ეშმაკად იწოდება, ხოლო მეორეში დევ-იბლიად. სხვათა შორის, იბლისად იწოდება ის ფიქრდოუსის „შაპ-

ნამეშიც]. მაშასადამე, ისე გამოდის, თითქოს იბლისისა და ზააქის პირველი შეხვედრა უშედეგო გამომდგარა და საჭირო გამხდარა მეორე შეხვედრა. ეს ადგილი მშვენივრად ამხელს რედაქციული აღრეულობის არსებობის ფაქტს. თუმცა ვადამწერი ისეთ მიმართულებას აძლევს ამბების თანმიმდევრობას და ორ რედაქციულ ტექსტს ერთმანეთს ისე ათანხმებს, რომ ლოგიკურობის და ბუნებრიობის სრულ ილუზიას ქმნის; ერთი შეხედვით პირველი რედაქციული ტექსტი უშუალოდ და ორგანულად არის მეორეში გადაზრდილი, ხოლო რედაქციული სხვაობის დასადგენად საჭირო ხდება რთული ტექსტური ანალიზი და სპარსული დედნის მოშველება. მაინცადამაინც ირკვევა, რომ ზააქის ეპიზოდიდან მოყოლებული ბოლომდე ლენინგრადის ხელნაწერზე თავისებურ რედაქციულ ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც საერთო არა აქვს რა „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის დღემდე ცნობილ ქართულ ვერსიასთან. მაგრამ ის გარემოება, რომ ზააქის ეპიზოდამდე მოთხრობილი ამბები ლენინგრადის ხელნაწერშიც „შაჰ-ნამეს“ გაგრძელების ტიპისაა, გასაგებს ხდის ამ ხელნაწერის რედაქციული რაობის გარკვევასთან დაკავშირებულ გაუგებრობას მკვლევართა შორის. ტექსტის დასასრულის შესახებ სამართლიანად წერს ნ. მ. ა. რი,¹ რომ მოთხრობა მიტანილია „თურის მოკვლამდე მანუჩარის ხელით და ამ ამბის შესატყობლად წერილის გაგზავნამდე მანუჩარისგანვე ფრიდონის მიმართ“, ე. ი. ზაალის შობამდე. ანუ საკუთრივ „როსტომიანამდე“, ანუ „შაჰ-ნამეს“ გმირულ ნაწილამდე.

ამრიგად, საბოლოოდ ირკვევა, რომ ჩვენამდე მოღწეულია „შაჰ-ნამეს“ ციკლის უცნობი პროზული ტექსტი. ეს პროზული ტექსტი შენახულია ფრაგმენტის სახით და ჩართულია „შაჰ-ნამეს“ გაგრძელების ქართულ თარგმანში, როგორც მისი ორგანიული ნაწილი. შესაძლებელია ახალი პროზული ნაწყვეტი თვითონ იყოს შევსებული „შაჰ-ნამეს“ გაგრძელების მონათესავე ტექსტით. გადარჩენილი ფრაგმენტი ძალზე დეფექტურია, შიგა და შიგ აკლია მრავალი ფურცელი, ალაგალაგ ტექსტი წარუყვნილია და ხარვეზების მქონეა, ფურცლები არეულია, გადასმულ-გადმოსმულია, მოთხრობის თანმიმდევრობა დარღვეულია, ნაწყვეტები მექანიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და სხვა.²

¹ „ივერია“, 1891, № 132.

² ჩვენ მიერ შესაძლებლობის ფარგლებში კრიტიკულად დადგენილი ეს ტექსტი უკვე დაიბეჭდა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების საიუბილეო გამოცემაში (გვ. 369—445).

ახლა გასარკვევია, თუ რა ურთიერთობაშია ახლად აღმოჩენილი ტექსტი ფირდოუსის „შპ-ნამესთან“. თბილისური რედაქციისგან განსხვავებით ლენინგადული ხელნაწერის ტექსტი ფირდოუსის „შპ-ნამეს“ შესაფერი ნაკვეთის უშუალო თარგმანს წარმოადგენს ამ სიტყვის (თარგმანის) პირდაპირი მნიშვნელობით. ქართული თარგმანი დედანთან საერთოდ ახლოს დგას, ზედმიწევნით სისრულით იმეორებს მოთხრობათა თანმიმდევრობის ყოველგვარ წვრილმანს, ალაგალაგ მიღწეულია ტექსტური შესატყვისობის თითქმის აბსოლუტური სიზუსტეც კი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართული პროზული ვერსია მაინც ვერ ჩაითვლება ზედმიწევნილობითი სიახლოვით აღბეჭდილ, სრულ თარგმანად. მთარგმნელი თუმცა საერთოდ სრულ იგივეობას იჩენს ფაბულურ-სუჟეტური შესატყვისობის დეტალებში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში თავისი სიტყვებით გადმოსცემს დედნის აზრს, ზოგიერთ მომენტს მთარგმნელი ხაზს უსვამს და აძლიერებს, ზოგიერთს კი—პირიქით—ჰკვეცს, ამოკლებს, ათავისებურებს. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ „შპ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსია დედნის საკმაოდ თავისუფალი თარგმანია და ტექსტურ სიტყვა-სიტყვით იდენტურობას მოკლებულია.

სანიშნოდ აქვე მოგვაქვს ერთი საყურადღებო ეპიზოდი—ფირდონის გამგზავრებიდან ზააქთან. საბრძოლველად (ეპიზოდი იწყება ფირდონის ძმების ლალატის განზრახულობით). ჯერ ნაჩვენებია ორიგინალის ტექსტი ჩვენი თარგმანის მიხედვით (რასაკვირველია, ჩვენ ვცდილობდით ზედმიწევნილობის დაცვას) და შემდეგ ძველი ქართული ვერსიით.

ორნივე ძმანი სწრაფად აიპრენ და მოემზადნენ მის დასაღუბად.

მთა იყო ერთი ვეება მწვერვალ-კლდით... ძმები კრებულიდან მალვით [გავიდნენ].

მთის ძირას მდევს ეძინა ტბილად. დაღამებიდან კარგი დრო გასულიყო. ორი მუხთალი თბეშე ავიდა, არავის ჰქონდა იმათ შესახებ ცნობა;

რა კლდეს მოგლიჯეს [ფიქალი] ლოდი, რომ მგყსეულად მდევს თავს დასცენ,

გარავით დაუშვეს მალვით [უერდობზე], მოკლულს ჰგონებდნენ მძინარე [კაბუქს].

ლოდის ხრიალმა გამოაღვიძა მძინარე კაცი განგების ძალით; გრძნებით დაბორკა თავის ადგილზე [ფიქალი] ლოდი, იოტის ოდნავც ვერ დაექანა.

ძმაი მიუხვდა ღვთის განჩინებას:

იქ არ მოჩანდა არც თუ ფუჭი გზა და არც ბოროტი ხელი.

წელზე შეირტყა ფრიდონ [კაბუკმა] და მოემარჯვა,
 იმ საქმის არსი არვის გაანდო.¹
 გამოემართა. სპის მეწინავედ იყო [მჭედელი] ქავე,
 ამალეზებული მობრძანდებოდა იმ ადგილიდან,
 ქვეინური დროშა მალლობდა, სვე-ბედნიერი დროშა მეფისა.
 ა რ ვ ა ნ დ ი ს წყლისკენ გამოეშურა [თავ-მედიდური],
 როგორც ჰფერობდა გვირგვინის მძებნელ ფალავანს.
 თუ რომ ფალაური ენა არ იცი,
 არაბულად შენ დ ე ჯ ი ლ ე უწოდე არვანდს!
 დეჯლეს ნაპირი ქალაქ ბალდადით კეთილშობილი შაჰის შემდეგი
 სადგური იყო.

არვანდის ახლოს რომ მიაღწია,
 მდინარის მცველებს სალამი უძღვნა [და შეუთვალა]:
 გემი, ნავტიკი ხანდაუხმელად გამომიგზავნე აქეთ ნაპირას!
 [კვლავცა] უბრძანა იმ არაბ [მცველებს] შაჰმა მძლეველმა:
 „ჩქარად ხომალდებს გზა მოუმართეთ,
 მე ჩემი ჯარით გალმა ვადაშხით, აცერთი კაცი აქეთ არ დარჩეს!“
 ნაპირის მცველმა გემი არ მისცა,
 ფერიდუნის წინ [ქედმოდრეკილმა] სალაპარაკოდ თავი არ დასდო,
 ასე ნიუგო, რომ: „ქვეყნის მეფემ საიდუმლო ბრძანება მომცა,
 გემი არ გასცე, თუ არ წინასწარ
 ბეჭედდღასმული დასტური გკონდეს ჩემი ნებართვისი“.
 ფერიდუნმა რომ მოისმინა [მკვებე პასუხი],
 ბრაზით აივსო, იმ ღრმა მდინარეს არ შეუშინდა. ☹
 მტკიცედ შეიკრა მეფური წელი,
 ლომგულ თავის ცხენს ზურგზე მოახტა,
 თავგატენილმა შურისძიებით წყალში შეაგდო ვარდფერი რაში.
 მისმა მხლებლებმაც შემოიპირეს წელზე ქამარი და წყალს მისცეს თავი.
 შემოკმედ ძალის [დანდობილებმა] ქარფებ ტაიკთა უნაგირები წყალით
 დაფარეს.
 ტაიკთა წყალ-წყალ რბევის [სიმკვეთრით] თავბრუ დაესხათ მამაც
 კაბუკებს,

მათი ტან-ქედი ისე [ბრწყინავდა] წყლის ზედაპირზე,
 როგორც ბნელ ღამეს მნათობთ კიაფი.
 ხმელს მიაღწიეს შურისძიების მოშურნეებმა,
 ბ ა ი თ ა ლ - მ უ ყ ა დ დ ა ს ი ს მხარეს მიმართეს,—
 თუ რომ ფალაურად ენას ხმარობენ,
 გ ა ნ გ ე დ ე უ ჰ უ ხ თ ს დაუძახებენ იმ [ადგილს],
 არაბულად კი სიწმინდის [“სახლი“] სახელსდევ ახლა,
 ასე იცოდენ: [ბილწი] ხაჰის გაშენებული სრა-სასახლეა⁴.

¹ სიტყვა-სიტყვით: ის სიტყვა მათთან არ ცხადყო.

² ტიგროსი.

³ ე. ი. ხაჰმა.

⁴ Joannes Augustus Vullers-ის გამოცემა, I, 50, 111-52, 112.

ხსენებულ ხელნაწერში კი ვკითხულობთ:

დიდი მთა იყო და იმა მთისა ძირსა დაიძინა [ფრიდონ]. რა მისთა ძმათა იაშონ და აშთარ ნახეს, ზელმწიფისა სიკუდილი და ლალატი მოუნდათ. და ჩაედვა მისთა ძმათა ეშმაური საქმე და ფრიდონის ბედნიერობა შეიშურვეს; გავიდეს იმა მაღალსა მთასა და არავეის გაუმჟღავნეს, მალეით დიდი კლდე მოგლიჯეს და დაუგორვეს, რომე იმით მოეკლა. ფრიდონს რა ესმა კლდისა ყვირილი, გაჭკვირდა და ვერ შეიტყუო, თუ რა არის; მისგან არა ვენო რა ლუთისა მბრძანებლობითა.

რა ბნელი ღამე ღღეთ მოიქცა, ჰკრეს ბუკსა და ნალარასა, და აიყარნეს, ვამანდისა ზღუისა პირსა მივიდეს. მენავეთა კაცი გაუგზავნეს. „მოდით და ნავეები მოიტანენით და ამა ზღუასა გაგუასხენით“. მენავეთა არად გაიგონეს და არცა ნავეები გამართეს, მენავეთა თქუეს: „კელმწიფემან ზააკ გვიბრძანა თუ, ზღუასა ნურცა ვის გაიყვანთო და ნურცა ვის გამოიყვანთო, თუცემ ჩამოურჩობელსა¹ არც ერთს გაგიშვებთო; მისით შიშითა ჩვენ ვერ გამოგასხამთო“.

რა კელმწიფემან ფრიდონ მოისმინა, ცხენით ჩამოვდა და ორთავე ფერკითა დაიჩოქნა და პირი მიწასა დასდვა და ღმერთს შეეხეწა: „ღმერთო, ყოვლისა შემომკმედო და ყოვლისა დამბადებედო, თუ მწყალობ, შენითა საფარველითა შემინახე, გავიდე ამა ზღუისაგან უზიანოდ!“ დიდ ხანამდინს ილოცა და მერმე ცხენსა შეჯდა, და ლაშქარნიცა შესხდეს და ზღუასა უნაოდ შიგან შევიდეს, რა გუარაცა კმელხედან-ისრე. გაუკვირდა მენავეთა უნაოდ ზღუისა გამოსვლა.

კელმწიფე ფრიდონ ბეთლემ მუყადს მივიდა, რომელ განდახისა ციხე ჰქუიან...“ (42b-43a).

წარმოდგენილი ტექსტების შედარებიდან უდაოდ ირკვევა, რომ ქართული ვერსია ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“ მომდინარეობს უშუალოდ და მართებულია თარგმანის ზევით ნაჩვენები დახასიათება. აქ შეიძლება მხოლოდ ზოგერთ ცალკე დეტალზე შეჩერება. საკუთარი სახელების გადმოცემისას ქართული ვერსია თავისუფალ ტრანსკრიბირებას ნიჰმართავს: არვანდის წყალი გადმოცემულია ვამანდისა ზღუად, ბაით-ალ-მუყად და სი-ბეთლემ მუყადსად, განგე დეეჰჰუხთი—განდახისა ციხედ, ფრიდონის ძმა ქიანუში ატარებს იაშონის სახელს, ხოლო ფორ-მაიე² იწოდება აშთარად. ქართული საერთოდ გაურბის საკუთარი სახელების ფალაულ-არაბულ შესატყვისობათ, რასაც დედანში ჩვეულებრივად ხაზი ესმება. შინაარსეული რიგის მოვლენებიდან აღსანიშნავია, რომ ქართული ვერსია აძლიერებს ფრიდონის ლოცვა-

¹ დედანში: ჩამორჩობილსა.

² ფრიდონის ძმების სახელები სპარსულით დამოწმებულია სხვა შემთხვევაში (49,280; შდრ. ქართული გვ. 42). საფიქრებელია, რომ აშთარი იყოს ფორ-მაიეს აწ დაკარგული ზედწოდება, ან ეპითეტი.

ვედრების მოტივს. სხვა მხრივ თარგმანი ზედმიწევნილი სიახლოვით იმეორებს თავის ორიგინალს, თუმცა, რასაკვირველია, არაა დაცული სიტყვა-სიტყვითი იგივეობა.

გარჩეული ნაწყვეტი ტიპიურია და დამახასიათებელია სპარსულ-ქართული ტექსტური შესატყვისობისათვის, მაგრამ გვაქვს ცალკეული გამონაკლისებიც. ქართულში აქა-იქ შესამჩნევია ტექსტური შეკვეცა და მოთხრობის ზედმეტი დეტალებისაგან განტვირთვა, აქა-იქ (და უფრო ხშირად) ქართულს ზედმეტობა ახასიათებს: ასე, მაგალითად, სპარსულთან შედარებით ქართულში ძალზეა გაკვიანურებული ზააქის მამის ბალის აღწერილობა, ქართულში ვრცელადაა ფრიდონის დაბადების ამბავი („აქა დაბადება ბედნიერის ფრიდონის დედისა ფრანგისაგან“); ზააქისა და აფთიონის (ფრიდონის მამის) ბრძოლის შესახებ სპარსულში მხოლოდ ორიოდ სტრიქონია (გვ. 41), ქართულში ვრცელადაა როგორც ბრძოლის სურათები, ისე ფრანგისაგან ქმრის დატირება და ფრიდონის წაყვანა ელბრუსის მთაზე, თუმცა ეს კია, რომ ფაბულურ-სუჟეტური ხასიათის რაიმე წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს. შედარებით ვრცელადაა ქართულში ზააქის ციხის აღება და ჯიმშედის დებთან (ზააქის ცოლებთან) შეხვედრის სცენები. ქართული აზვიადებს ზააქის ნათესავი ფალავანის გაგოს ისტორიას და მანუჟარ-სალიმის ბრძოლის პერიპეტეებს. სპარსულით სრულიად უცნობია ქართულის შემდეგი თავები: 1. „აქა ომი ნარიმანის შვილის საამისა და ჯუნდა დევისა“. 2. „აქა ომი საამისა და შადიდისა“. 3. „აქა გორასპისა და ბაქჯარ დევისა ომი“. ამ ზედმეტი თავების შემდეგ სპარსულ-ქართული ტექსტური შესატყვისობა ნორმალურად ვითარდება. ქართული ტექსტის ეს „თავისებურებანი“ ჩვენი აზრით ქართველი მთარგმნელის ხელში მყოფი რედაქციის ვარიანტული თავისებურობით უნდა აიხსნას.

მართლაცდა, კარგად ცნობილია „შაჰ-ნამეს“ ნაირი რედაქციული ტექსტების არსებობა როგორც ლექსად, ისე პროზით. ზოგი რედაქცია მოკლეა, ზოგიც ვრცელი, ინტერპოლირებული. მეტის თქმაც შეიძლება, XVI--XVII საუკუნეებისათვის ტიპიურია „შაჰ-ნამეს“ მხოლოდ ინტერპოლირებული რედაქციები (იხ. Руккописи Шах-Намэ в Ленинградских собраниях, Л. 1934). ამით ვამთავრებთ თარგმანისა და დედნის ტექსტური შესატყვისობის საკითხს. ახლა გასარკვევია, თუ რა დროს უნდა ეკუთვნოდეს „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული რედაქცია.

ლენინგრადის ხელნაწერის გადამწერისა თუ გადაწერის დროის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ პალეოგრაფიული თვალსაზრისით ნუსხა უეკველად XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. და რადგან XVII საუკუნიდან მოღწეული ხელნაწერი ძალზე დეფექტურია, დიდად ნაკლები და წარყვნილი ტექსტის შემცველია, გადარჩენილია მხოლოდ ფრაგმენტურად და სხვა რედაქციული ტექსტებით არის შევსებული, ცხადია, ამისი არქეტიპი ხელნაწერი გაცილებით ძველი უნდა ყოფილიყო და, ყოველშემთხვევაში, XVI საუკუნეზე უგვიანესი ვერ იქნებოდა. ეს ერთი. მეორეც: ჩვენი ტექსტის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა ეძლევა მამუკა მდივან თავეჯალაშვილის „ზააქიანის“ ლიტერატურული წყაროების გამოკვევას.

როგორც ცნობილია, მამუკა მდივანს ლევან დადიანის (1611—1657) კარზე გაულექსავს ზააქის ეპიზოდური ამბავი: „მეფის მდივანმან მამუკამ ვთქვი ესე ზააქიანი, ოდიშს ტყვედ ვიყავ, გავლექსე, მე თავსა უყავ ზიანი“-ო¹. მამუკა მდივანს ხელში ჰქონია რომელიღაც ძველი პროზული ტექსტი და ის ლექსად გაუწყვიბ. ავტორი იმოწმებს მკითხველებს, რომ მის დრომდის ზააქის ამბავი, ე. ი. პროზული მოთხრობა ზააქის შესახებ გაუწყობელი, გაულექსავი რჩებოდაო: „ვისცა გიკითხავთ ამბავი, თქვენც ჰხედავთ გაუწყობელსა“ (2). თავისი პროზული წყარო გამლექსავს მიაჩნია უძველესი დროის გადანაშთად: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველი“-ო (1), თავის დროზე ის „ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სერგის თმოგველსა, ვერცა მანუჩარ მწერალსა“-ო; თვითონ „შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი, ნესტანჯარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი“, მაგრამ „სხვად არად სცალდა“ და ზააქიანიც რუსთველის ყურადღების გარეშე დარჩაო. მამუკას სიტყვით, უყურადღებოდ დაუტოვებია ზააქიანი პოეტ თეიმურაზსაც (1589—1663): „მან არ ინდომა ესია“-ო. ხოლო უკანასკნელად ოდიშში ტყვედ ყოფნისას თვითონ მამუკას უკისრია ეს ყველასაგან ათვალწუნებული საქმე: „პატრონთ მიბრძანეს, გავლექსე ამბავნი ზააქისანი“-ო. (12)

მამუკას არაერთხელ დამოწმებული ლიტერატურული წყაროდღემდის უცნობი რჩებოდა. პროფ. ი. აბულაძემ თავის დროზე

¹ შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი. აბულაძის რედაქციით, ტფილისი, 1916, სტრ. 6.

სწორი მოსაზრება გამოთქვა: „როსტომიანისა და ზააქიანის გამლექსავები სარგებლობენ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსიით, მაშინ როდესაც საამიანის დამწერი ფირდოუსის ერთერთი მიმბაძველის ნაწარმოების ქართულის თარგმანის მხოლოდ გამლექსავი უნდა იყოს“-ო.¹ ასევე სამართლიანად ასკვნიდა პროფ. კ. კეკელიძეც: „მამუკას სპარსული დედანიდან კი არ გადმოუღია თავისი შრომა, არამედ ქართული პროზითი ვერსიიდან, როგორც თვითონ ამბობს. ამ პროზითი ვერსიად ჩვენ ვერ ჩავთვლით ზააქის იმ თავგადასავალს, რომელიც ზემოხსენებულს პროზითს ფრიდონიანში² გვაქვს“-ო.³

1927 წელს ჩვენ ვიპოვეთ მამუკა მდივნის ხელით 1647 წელს გადაწერილი „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართული პროზული ვერსია და ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალურად შევეუწამეთ გალექსილი ზააქიანი როგორც მაშინ ცნობილ ქართულ პროზულ ვერსიას, ისე სპარსულ ორიგინალს. ამის შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდის მივედით, რომ მამუკას რედაქცია უფრო ემხრობა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და რომ მამუკას ტექსტი შეიცავს მთელ რიგ ისეთ ფაქტიურ მომენტებს, რომლებიც სრულიად უცნობია მიმბაძველის ქართული ვერსიისათვის. აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობდით, რომ თუმცა მამუკას წყარო უნდა ყოფილიყო მის მიერ გადაწერილი პროზული ტექსტი, მაგრამ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შესატყვისი მოთხრობის გათვალისწინებით. ჩვენ ვწერდით: „მამუკას წარმოდგენა ზააქიანზე მარტო [შაჰ-ნამეს მიმბაძველის] ქართული ვერსიით არ ამოიწურებოდა. აშკარაა, მამუკა იცნობს სპარსულ „შაჰ-ნამეს“-თქო (შენიშვნები, გვ. 77). ჩვენ ამ შეხედულებას შემდეგი გარემოება ამაგრებდა: მამუკას გადაწერილი მოთხრობის ტექსტში (S 1594) აღმოჩნდა მისივე მინაწერებით შემკული ორი ილუსტრაცია: 1. „აქა ფრიდონს ფურის ძუძუსა აწოებენ“. 2. „ფრიდონ ჯიმშედისა დათანა შარინაზს [და] არნავაზ[თანა] ზის და...“

„შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართული პროზული ვერსია კი არ იცნობს პირველ ილუსტრაციაზე გამოხატულ ეპიზოდურ ამბავს, ის არ იცნობს არც ზააქის ცოლების სახელებს (შარინაზს და არნავაზს); ამასთან ილუსტრაციაზე ზააქის ცოლები იწოდებიან ჯიმშე-

¹ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, გვ. XXV.

² გულისხმობს „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართულ რედაქციას. ამ რედაქციას ზოგიერთები უწოდებენ უთრუთიანს, ზოგიერთები ფრიდონიანს, ზოგიერთები უთრუთიანფრიდონიანს და სხვა.

³ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 173.

დის დებად, ხოლო მიმბაძველის ტექსტში ისინი მოხსენებულია ჯიმშედის ასულებად. მეორე მხრივ, ილუსტრაციას ამართლებდა „შაჰ-ნამეს“ სპარსული ტექსტი და მამუკას გალექსილი ზააქიანი. ყოველივე ეს ჩვენთვის უეჭვოს ხლიდა, რომ მამუკას განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ან „შაჰ-ნამეს“ თვითონ დედანი, ან მისი შესატყვისი ქართული ტექსტი. ეს ვარაუდი საბოლოოდ და დოკუმენტურად დამტკიცდა დღეს, როდესაც აღმოჩნდა „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული თარგმანი. ჩვენი შეხედულება მამუკას ლიტერატურული წყაროს შესახებ ახლა ასე უნდა შესწორდეს: მართალია, მამუკა იცნობდა „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართულ პროზით ვერსიას და თავის გალექსილ რედაქციაში აქედან ზოგიერთი დეტალიც შეუტანია (მაგალითები ნაჩვენებია ჩვენ წერილში, გვ. 70—77), მაგრამ ძირითად წყაროდ მას ჰქონია საკუთრივ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ თარგმანი.

უკანასკნელი დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია თუ მრავალთაგან მხოლოდ ორიოდ მაგალითს დავასახელებთ: 1. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ფრიდონის აღმზრდელი ფურისა და ჯიმშედის დების შესახებ. ორივე შემთხვევაში მამუკა იმეორებს ისეთ დეტალებს, რომლებიც წამბაძველისათვის უცნობია, ხოლო დამახასიათებელია „შაჰ-ნამეს“ თარგმანისათვის. ასევე უცნობია მიმბაძველისათვის ფრიდონის ძმების ლალატის ეპიზოდი, რაც მამუკას გადმოცემული აქვს, მართალია შემოკლებულად, მაგრამ მაინც უმთავრესის აღნიშვნით (სტრ. 69):

ღმერთმან ფრიდონ მოუვლინა ზააქს მისად გაქრობადა,
მთილამ ბარად ჩამოვიდა მამის სისხლის საძებრადა;
ძმებმან ლოდი დააგორვეს, არ ეწერა მის ვნებადა,
მძინარესა გაედვიძა, უკმოდვა თავის ნებადა.

უკანასკნელად დავიმოწმით არმელისა და ქარმელის ეპიზოდი. „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული თარგმანით ეს ეპიზოდი ასეა გადმოცემული:

მოსულა არმელისა და ქარმელისა ზააქს წინაშე კაცთა ხსნისათვის

ზააქის ლაშქართაგან ორი კაცი მოვიდა მლუთის მოშიში, ღლუთიანი და მოწყალე, კარგთა გუარათანი; კაცთა ხსნისათვის თავი მოიშარეულეს. [ერთსა] ერქუა სახელად არმელი და მეორესა ქარმელი. ესე თქუეს: „ნუთუ ვითა ორთა კაცთაგან თუითოსა

სიკუდილისაგ ვიხსნიდეთ და მოვარჩენდეთ მას უწყალოსა ვეშაპისაგან“. მოვიდეს წარმართსა ზააქს წინაშე და მოახსენეს: „თქუენი საკადრისის საქმლისა დამზადება ჩუენ ვიცით და ყოვლისა კარგისა კელისა შეწყობა, და ჩუენ შეგიწყობთ“. მას ღღე ზააქ დასცადნა და მათისა კელისა საქმელი მოეწონა, და სამზარეულო მათ მიაბარა.

რა კაცთა ჯოცის ჟამი მოვიდა, ჯალადთა ორი მოწითული კელშეკრული და კისერსა ზედან საბელ მობმული მოასხეს დასახოცლად მზარეულთა წინა. რა მზარეულთა ნახეს, მათითა ბრალითა გული სისხლითა აევსნეს. მზარეულნი ერთმანეთს უქვერტლეს და შეებრალნეს. რა ერთი მოკლეს, მეორე აღარ მოაკლევინეს, მისაღ მუქათად ერთი ცხვარი დაკლეს, იმა კაცის ტუინი იმ ცხუარის ტვინშიგან გარივეს და აგრე ვეშაპთა აქაპეს. მერმე იგი დახსნილი კაცი გაუშვეს და ესე დაავედრეს, თუ: „ნუვის უამბობთ თავის გამოცხადებასა.

ამა წესითა ყოველთა ღღეთა და თუეთა ოცდაათს კაცსა მოარჩენდიან. რა ესე დახსნილნი კაცნი ორასად შეიქნეს, თხა¹-ცხვარი მზარეულთა საქმელად² მისციან; ერთსა მთა-ბარსა ალაგსა აგროვებდეს, ღღე თუითოს კაცსა მათთანა გაგზავნიდიან, რომე ვერავინ შეიტყონ; აგრე მოარჩინიან“ (30 აბ).

ეს ეპიზოდი უცნობია „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველისთვის³, მამუკას ზააქიანში კი იკითხება (54—55):

აწ მოვიდა ზააქის წინ ორი ესე მღვთისა კაცი,
 მოახსენეს: კელმწიფეო, ჩუენ ვართ მაგა ვეშაპის კაცი;
 საქმელს კარგსა გაუკეთებთ, მოსუენებას ბევრსა გაცლი“-
 ზააქ მეტად დაუმიდლა, თქუა: „სალაროს თქუენთვის გავცლი“-

ერთსა არმელ, ერთსა ქარმელ, იმ ღვთის კაცთა ესე
 ერქმის.

თუითოს კაცსა გაუშვებდეს, ვეშაპს ტვინსა გაურჩევდის,
 დაწსნილს კაცსა გაუშვებდის, ფრიდონს წინა მოგროვებდის,
 მათის კელით დაწსნილია, ცხრა ას კაცად გათავდებდის.

ამ ტექსტების დაპირისპირების შემდეგ უკომენტარიოდაც ცხადია, რომ მამუკა მდივნის უშუალო წყარო ყოფილა ფირდოუ-

¹ ღედანში: თხუა.

² ღედანში: საქმელი.

³ ზოლო, რასაკვირველია, მოეპოვება ფირდოუსს (Vullers, I, 35—36).

სის „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსია, რომელსაც გამლექსავი კარგად იცნობდა, ალბათ, გადაუწერია კიდეც, რადგან აქედან ჩვენამდე მოღწეულა ორი ილუსტრირებული ფურცელი.

ამრიგად, გამორკვეულია მამუკას წყაროც. ხოლო სიმპტომურია, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი თავის ლიტერატურულ წყაროს უწოდებს „ძველის-ძველ ამბავს“, რომელიც გაუწყობელი დარჩენილათო კლასიკური პერიოდის განთქმულ ქართველ პოეტებს (შაველს, თმოგველს, რუსთველს). აქედან ცხადია, რომ ზა აქიანის პროზული ტექსტი მამუკას XII საუკუნისეულად მაინც მიიჩნდა. ჩვენ ექვიც არ გვეპარება, რომ მამუკა ამ შემთხვევაში ძალზე აკარბებს, მაგრამ, მაინცაღამაინც, მას რაღაც საბუთი უნდა ჰქონოდა, როდესაც ასე დაჟინებით უსვამდა ხაზს თავის წყაროს სიძველეს. ყოველ შემთხვევაში, მამუკას დროსთან შედარებით ამ წყაროს ერთი-ორი საუკუნის სიძველე მაინც არის სავარაუდო.

მიღებულ დასკვნას არ ეწინააღმდეგება „როსტომიანის“ უძველესი გალექსილი რედაქციის საკითხის გათვალისწინება. „როსტომიანის“ ეპილოგში ერთგან იკითხება:

ამა წიგნსა უღვევლსა,—გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,—
თავი ბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ

უთქვამს ენას ჩვენსა.

ცოტა რამე მე ვარჩივე, საკითხავად მოგალხენსა.

რაც აკლია, ვინც ათავოთ, სამოთხე ხვდეს სულსა თქვენსა.¹

საერთოდ ფიქრობენ, რომ დამოწმებული სტროფი უნდა ეკუთვნოდეს „როსტომიანის“ პირველი ნაწილის გამლექსავ, XV საუკუნის გასულისა და XVI დასაწყისის მოღვაწე სერაპიონ საბაშვილს. ამ საბუთით კი შეიძლება შემდეგი მოსაზრების წარმოდგენა: XV საუკუნის გასულისათვის (ე. ი. იმ დროს, როდესაც „როსტომიანის“ გალექსვა იწყებოდა) ქართულად არ უნდა ყოფილიყო „შაჰ-ნამეს“ პროზული ტექსტი, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაშვილი თავიდანვე დაიწყებდა გალექსვას და არც უფლება ექნებოდა აღენიშნა: „თავი-ბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა“-ო. დაუშვათ, რომ დამოწმებული სტროფი მართლაც საბაშვილის დაწერილია. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიაც

¹ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 1934, სტრ. 09 (ბოლოსიტყვაობიდან).

არ შეიძლება ჩვენი საკითხის უარყოფითი გადაწყვეტა: გადარჩენილი პროზული ფრაგმენტი იწყება ზააქის ამბით, მაშასადამე, აკლია ქაიუმო რათის, ჰუმანგის, თამურაზის, თუ ტომერანის და ჯიმშედის ამბავი. ხოლო ამ ტექსტზე დამყარებით პოეტს თავისუფლად შეეძლო ეჩივლა—„თავი ნაკლები აქვს“-ო. მეორის მხრივ, ბუნებრივი იქნებოდა დაზიანებული ტექსტის მქონე მელექსეს თხზულების გაწყობა დაეწყო გარკვეულად გამონაკეთული ფაბულური კვანძიდან, ზაალის შობიდან. მაშასადამე, უარყოფითი წინამძღვარის დაშვებითაც დადებით დასკვნას ვლებულობთ. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვფიქრობთ, რომ საცილობელი სტროფი საბაშვილს ეკუთვნოდეს და აი, რატომ: 1. თხზულების შესავალში საბაშვილი აცხადებს: „თავი ეს არის როსტომთა“-ო, ე. ი. „როსტომიანის“, ანუ „შაჰ-ნამეს“ თავად საბაშვილს მიაჩნია ზაალის დაბადების ეპიზოდი, ხოლო სტროფის საცილობელ ავტორს „როსტომიანის“ თავი სავსებით სამართლიანად უფრო წინ ეგულება. 2. საბაშვილს გაულექსავს „როსტომიანის“ უდიდესი ნაწილი და თავის ღვაწლს ის არა ერთხელ რიხით აღნიშნავს:

ბრძენი ვინცა ხართ, გასინჯეთ, სცნათ ჩემი დანაპირობა,
გამომიჩნდების ლექსზედა აწ ჩემი გულმახვილობა.

ამ როსტომთა გამლექსავი სოგრატიძე საბაშვილი,
მხატვარია კელოვანი, ლექს-ულევი, სიტყვა ტკბილი,
მრევლთა თავი, კევისბერი, კელმწიფეთა თანა ზრდილი.

საბაშვილი ერთგან რუსთველსაც კი ეცილება: „ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ შეტი ქნა, ჩემ ოდნობაო“.

სტროფის ავტორი კი მოკრძალებით შენიშნავს: „ცოტა რამე მე ვარჩივე“-ო. ისიც საგულისხმოა, რომ საცილობელი სტროფი არ მოიპოვება საბაშვილის ცნობილ ჩანართში¹, სადაც ის მოსალოდნელი იყო, თუ საბაშვილისეულად მივიჩნევდით.

ყოველივე ეს ჩვენ საკმაო საბუთს გვაძლევს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ თირდოუსის „შაჰ-ნამეს“ პროზული ვერსიის ფრაგმენტი უნდა უსწრებდეს „როსტომიანის“ გალექსვის პერიოდს და, მაშასადამე, XV საუკუნის პირველი ნახევრის გვიანდელ დროისად მაინც არ უნდა ჩაითვალოს (ენობრივ-სტილისტიკური თვალსაზრისი-

¹ შტრ. ე. თაყაიშვილი, *Одисания*, I, 363.

თაც ნაწყვეტი ატარებს არქაულობის გარკვეულ ბეჭედს). ერთი სიტყვით, „შაჰ-ნამეს“ ეს პროზული ნაწყვეტი ე. წ. დაცემისა, თუ აღორძინების პერიოდის ერთერთი უძველესი ლიტერატურული ნიმუშია. როგორც ასეთი, მისი მნიშვნელობა სცილდება თავისდა-თავად საინტერესო „შაჰ-ნამეს“ კერძო საკითხის ფარგლებს.

5. შაჰ-ნამეს ძართული თარგმანის გალექსილი ჩაღაპციები

როსტომიანი

„როსტომიანის“ გალექსვაზე სხვადასხვა პირებს უმუშაენია თ სხვადასხვა დროს XV—XVI საუკუნეებში. ტექსტის დიდი ნაწილი წინასწარ პროზულად ყოფილა გადმოღებული და მელექსეებს უკვე მზამზარეული მასალის გაწყობა-ლა დასჭირებიათ. ტექსტის ბოლო, შედარებით მომცრო ნაწილი კი უშუალოდ სპარსულიდან არის ნათარგმნი. ამის შესახებ პირდაპირ მოწმობას იძლევა „როსტომიანის“ ერთერთი მთარგმნელ-გამლექსავი ხოსრო თურმანიძე:

მე ხოსროვ თურმანიძემან ამბავი ვპოვე ესია,
 უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
 პატრონმან ჩემმან მიბრძანა: „ქართულად
 სწერე ესია!“

ის გარემოება, რომ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ტექსტზე სხვადასხვა პირი მუშაობდა სხვადასხვა დროს, თხზულებას თავისებურ ელფერს ადებდა. ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდებოდა ერთგვარობის დაცვა, ყოველი ცალკე მელექსე თავისი თვალსაზრისით უდგებოდა მასალას და ინდივიდუალურ პოეტურ უნარს ამქლავებდა. თუ ზოგი მელექსე მეტ თავისუფლებას, თავისებურებას და კარგ მხატვრულ აღლოს იჩენდა, ზოგი, მაგალითად, გულახდით შენიშნავდა: „რაცა თურქთა დაემართა, მელექსემან ვერა ვთქვია“-ო, ანდა: „მოკლედ ვთქვა სიტყვა გრძელი“-ო. ამიტომაც არის, რომ „როსტომიანის“ ზოგიერთი ეპიზოდი შესანიშნავი მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული, მაგრამ ამის გვერდით შეხედებით ყოველად უშნო და ულაზათო ლექსებით გაწყობილ ამბებსაც. ისიც თავისებურ გავლენას ახდენდა მასალის საბოლოო შემუშავებაზე, რომ—როგორც ვთქვით—მელექსეების ერთ რიგს ხელთ ჰქონდა უკვე საკმაო თავისებურების მქონე ძველი პროზული ტექსტები, მეორე რიგი კი უშუალოდ სპარსულ ორიგინალს აქართულებდა. ყოველივე ამასთან

დაკავშირებით სხვადასხვაგვარია სპარსულ-ქართული ტექსტუალური შესატყვისობა შინაარსის, მასალის მოცულობისა და მხატვრული დამუშავების მხრივ.

„როსტომიანის“ ერთი დიდი ნაწილი (სიოაშის ამბის დასაწყისამდე) პროფ. ი. აბულაძემ გამოსცა,¹ მეორე ნაწილი კი ფირდოუსის ათასი წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაიბეჭდა.²

„შპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტუალური რაობისა და დედანთან ურთიერთობის საკითხს პირველად ნ. მარი შეეხო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ორიენტალისტმა ნ. მარმა ძირითადად სწორი მოსაზრება გამოთქვა: „[როსტომიანი] არის რუსთაველური ზომით გალექსილი მოთხრობა „შპ-ნამეს“ ერთის ნაწილისა, თარგმანად არ ჩაითვლება. ქართული როსტომიანი შედარებით სპარსულს დედანთან ძალიან შემოკლებულია. ხშირად, რასაც ფირდოუსი ოცსა და მეტს წვეილ-წყვილს ლექსს ანდომებს, ის ქართულს თარგმანში ერთს ოთხს ტაეპიან ხანად არის თქმული“-ო³. არსებითად ამასვე იმეორებს აკად. ნ. მარი 1925 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევშიც: „В грузинской версии [Шах-Намэ] мы вообще не имеем полной передачи персидского подлинника, точного перевода частей и полноты всего текста, это в общем, собственно, сокращенный, очень урезанный пересказ, лишь местами воспроизводящий, опять таки в пересказе, и детали“.⁴

მის მიერ გამოცემული ტექსტის ფარგლებში ქართული რედაქცია ორიგინალს შეუღარა (თუმცა არა სრულად) პროფ. ი. აბულაძემაც და შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: „ყურადღების ღირსია ის, რომ „როსტომიანში“ ძალიან ნაკლები ადგილი უჭირავს მეფეთა საქმეებს. იქ ხშირად თითქმის სრულიად არაფერია მეფეთა ცხოვრების შესახებ, წინააღმდეგ ფირდოუსის მეფეთა წიგნისა, რომელშიაც მეფეთა ისტორიას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მაგრამ, ამავე დროს, „როსტომიანის“ გამლექსავი დაწვრილებით, ზოგჯერ უმეტეს ნაკლებოდ, მოგვითხრობს, და თითქმის უფროც აქიანურებს ზოგიერთ ეპიზოდს, როგორცაა საამ ფალანის

¹ შპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტფილისი, 1916.

² შპ-ნამეს ქართული ვერსიები (II, თბ., 1934) იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით.

³ „ივერია“, 1891, № 133.

⁴ Записки Колл. Востоковедов, I, 1925, стр. 112.

შიზმრის ზმანება, ან ზაალ-რუდაბესა და ბეჟან-მანიჟავის რომანული თავგადასავალი. ამიტომაც „როსტომიანის“ გამლექსავე, რომელიც საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს ამათუიმ რომანულ ეპიზოდსა და ფალავენების რკენას, იმავე დროს მეტის-მეტად ამოკლებს მეფეთა წიგნის ისტორიებს და ხშირად მთელს გვერდს ერთი სტრიქონის საშვალებით გადმოგვეცემს, რაც, რა თქმა უნდა, თითქმის შეუძლებლად ჰხდის „შაჰ-ნამეს“ შინაარსისა და მოქმედ პირთა ვინაობის გაგებას ფირდოუსის წიგნის არა მცოდნეთათვის“.¹

ეს მოსაზრებანი დიდად საგულისხმოა, მაგრამ ნაწილობრივად ცალმხრივ საფუძვლებს ემყარება. ორივე პატივცემულ მკვლევარს მთელი „როსტომიანი“ ერთგვარი წესით დამუშავებულ ნაწარმოებად ეხატება. ამიტომაც არის, რომ პროფ. ი. აბულაძე, მაგალითად, აიგივეებს ზაალ-რუდაბესა და ბეჟან-მანიჟავის ეპიზოდს, რასაც არ ამართლებს საქმის ფაქტიური მდგომარეობა. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, გარკვეული მიზეზების გამო „როსტომიანი“ ნაირ რედაქციულ სახეობას ამჟღავნებს, ხოლო ამ გარემოების უგულვებელყოფა სრულიად უმართებულო იქნებოდა. გალექსილ „როსტომიანში“ სამი რედაქციული ფენა მაინც გამოიჩნევა. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ აქა-იქ ძველი ტექსტები შემდეგი დროის გამლექსაგების მიერ არის შევსებული, ხოლო ეს ახალი „ჩანართები“ თავის მხრივ ბუნებრივად იძლევა განსხვავებულ რედაქციულ სახეს.² მაგრამ ერთი რამ მაინც საერთოდ შეიძლება ითქვას „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანზე: დედანთან შედარებით ეს თარგმანი შეკვეცილია (თუმცა ძალზე გავრცობილი ცალკე ეპიზოდებიც კი გვხვდება გამონაკლისად), მელექსენი მეტ ყურადღებას აქცევენ საგმირო-საჩაინდო და რომანტიკულ ამბებს, თანმიმდევრად მიჰყვებიან თხზულების ძირითად სუფეტურ ხაზს, მაგრამ შეორე რიგის სასუჟეტო მასალას მინიმუმამდის ამცირებენ („შაჰ-ნამე“, როგორც ვრცელი ეპიკური ნაწარმოები, არაა მოკლებული ერთფეროვნებას, განმეო-

¹ ვერსიები, გვ. XXV—XXVI; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.

² რასაც მკვლევარნიც კი შეცდომაში შეჰყავს ძირეულ ტექსტთან შეუხამებელი სტილური თვისებების გამო. ასე, მაგალითად, პროფ. ი. აბულაძეს ზოგიერთი მსგავსი „ჩანართი“ ყალბად მიუღია, გადამწერთათვის მიუწერია და „შაჰ-ნამეს“ ტექსტიდან ამოურცილხავს, მაშინ როდესაც საცილობელი „ჩანართები“ ორიგინალის მიახლოებულ, თითქმის ზედმიწევნით სწორ თარგმანსაც კი წარმოადგენს (წმდრ. ვულერსი, I, 419, 584—421, 623=ი. აბულაძე, ვერსიები, გვ. 700—703, სქოლიო; I, 481, 768—780=ვერსიები, გვ. 746, სტროფები 2767¹, 2767²).

რებას, გაქიანურება-გაზვიადებას და მისთანებს). ქართული ვერსიის ზოგიერთი „ზედმეტი“ ელემენტი (განსაკუთრებით ცალკე თავები) არ შეიძლება მელექსეთა თავისებურებას მიეწეროს, მსგავს შემთხვევაში საგულეებელი ხდება ორიგინალის ვარიანტულად განსხვავებული ტექსტის არსებობის ვარაუდი. ამ ვარაუდს ეუღერს ის ცნობილი გამოცემაც კი ადასტურებს. შემჩნეულია რამდენიმე ეპიზოდური ხასიათის „ზედმეტობა“, რომელიც კალკუტურ ვარიანტში პოულობს თავის შესატყვისობას.

„როსტომიანის“ პირველ რედაქციულ ფენაში ცხადლივ გამოირჩევა რუდაბესა და ზაალის ეპიზოდებიდან რამდენიმე გაზვიადებული ამბავი. ასე, მაგალითად, ზაალის ქორწილის თაობაზე დედანში უბრალოდ ნათქვამია (ვულერსი, I, 220, 1638):

იმ დროს საამმა ლხინი გამართა,
ქეიფმა ვასტანა სამ დღეს.

ქართულში აწერილია ვრცელი სადღესასწაულო ამბავი (1776—1778):

თავადნი და დიდებულნი ყოველნივე შეიწვივნეს,
სადაცა ვის ეფერების, ერთმანერთი გარდიწვივნეს,
მუტობთა და მომღერალთა რვა დღე დიდნი მოაწივნეს,
იკვალნიან დარბაზები, სანუკვარნი სხვა იქცივნეს..

მას უკანა სავარდესა ჩავიდიან, ღვინო სვიან,
მათ ჩანგები ხელთა ჰქონდის, მოედანშიგ ბურთობდიან.
გავიდიან ნადირობად; ავაზანი ხელთა ჰყვიან,
სონღულეებსა ადევნებდეს, თვითან ისრით სისხლთა ღვრიან.

მშვილდოსან-ფალავნობითა ზაალ მეტობდა მათზედა,
იგ შეუყვარდა ლაშქართა, ზაალ მოსწონდა ჰკვაზედა,
აგრევე ზნე-კეთილობით, ყოფაქცევასა, ზმაზედა.
სიღედრ-სიმამრთა რაადამ არ ნახეს ავსა თვალზედა...

ქართულში ვრცლად და თავისებურადაა აწერილი მთელი სა-ქორწილო ცერემონიალი. აქედან საგულისხმოა ერთი დეტალი: დედნის მიხედვით საქორწინო მეჯლისის წინ უსწრებს სამზითვო წიგნის საჯარო კითხვა, ქართულით კი პირიქითი მდგომარეობაა,

ე. ი. მზითვის წიგნის კითხვა ხდება საქორწილო ცერემონიალის შემდეგ. მაგრამ დიდად საინტერესოა თვითონ სამზითვო წიგნთა შედარება დედნისა და თარგმანის მიხედვით. სპარსულ დედანში მოთხრობილია (I, 219, 1624-1626):

შემდეგ მოართვეს მზითვის დავთარი,—
 შეკრებილ განძთა ნამდვილი ნუსხა.
 რა კითხულობდნენ განძის ანაწერს,
 ასე იტყოდნენ, თუ ყურს არ ძალუძს მისი მოსმენა.

ქართული ვერსიით (1761—1763):

საამს მოართვეს კლიტენი სამოცის საკურკლისანი,
 წინ ანაწერი დაუდევს საზითვოდ როდამისანი:
 ეწერა ფერად-ფერადნი ზარდახშა-საკურკლისანი.
 გული განცვიფრდა მსმენელთა და თვალნი მწიგნობრისანი.

ოქროს სარტყლითა ნაკაზში ყმები და მოახლებია,
 ბარგის მზიდავნი პილონი, მრავალი აქლემებია,
 ყათარი, ახოსალარი, რიქიფი, მუქიფებია,
 ოქროს ლავშითა შემკული მარქათა ტაიქებია.
 მას აქათ ჯოგი პირუტყვი, სიმრავლე ვერ დათვალესა...

ზოგ შემთხვევაში ქართული რედაქცია იძლევა დედნისაგან განსხვავებულ სუბეტურ ინტერპრეტაციას. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი მომენტი ზაალის დაბადებიდან. თმა-თეთრი ბავშვი რომ დაიბადა, მამას ბრძანება გაუცია ის გადაეგდოთ (I, 133, 82-85):

და შემდეგ [საამ ქაბუქმა] ბრძანა, ხელთ აიყვანონ [თმა-
 თეთრი] ბავში

და იმ მხარიდან შორს გადისროლონ.
 მთა იყო ერთი, სახელად ელბრუზი ერქვა,
 მოსახლეობას დაშორებოდა, მიახლებოდა მზეს...
 [ბავში] მიაგდეს [ამ მაღალ] მთაზე და გაბრუნდნენ უკან...

ეს მოკლე და ზუსტი ცნობა ქართულ რედაქციაში საკმაოდ გავრცობილია და შინაარსეული რიგის ახალი და სრულიად თავისებური დეტალების შემცველია (ვერსიები, სტრფ. 1102—1103):

ცხენს შესხედით¹, ესე საქმე ქენით კარგა, დამიფარეთ,

¹ საამ ბრძანა.

ნურვის ეტყევით, ქალაქისა თქვენ სამზღვარი გაიარეთ.
 საუბარი არად უნდა, წაიყვანეთ, მალედ არეთ,
 წყალს მიეცით მოსარჩობლად, ანუ შამხსა
 მიიბარეთ!

რა მონათა გაიგონეს საამისგან ნაუბარი,
 კალთაშია გაიხეიეს, გლახ, ყმაწვილი გულმღვიძარი;
 მას დღესა ელეს სალამომდი, ისწრაფიან ვითა ქარი,
 გარდააგდეს ზღვისა პირსა, გაეს—შემცოდე
 რისამ არის.

ამ თავისებურად მოთხრობილ ამბავს ქართული შემდეგ ურ-
 თავს დედნისათვის სრულიად უცნობ და თავისთავად დიდად საინ-
 ტერესო დრამატიულ მომენტს:

ტირის დედა ზაალისა, ცრემლით შეიქს, თუ სთქვა, ზღვასა,
 ქრმის შიშითა ვერას იტყვის, იძახოდა მალვით „ვასა“,
 — „მიგცეს მხეცთა შესაქმელად, ვინ დაგიწყებს, შეილო,
 ზრდასა?!“

დრამატიული მოტივების გაძლიერებისა და გავრცობის ხაზით
 განსაკუთრებულად საინტერესოა ზურაბის ამბავი. ქართულ ვერსიას
 არ აკმაყოფილებს ისედაც ტრაგიკულობით სავსე მომენტები და თავის
 მხრივ დედნის შედარებით მარტივ სიტუაციებს არაჩვეულებ-
 რივად ართულებს და ამდიდრებს. დედანში მოთხრობილია, რომ
 მამამ უბედური შეილი დაასაფლავა და აი (I, 516, 1391, 1392):

როსტომის ამგვარ ყოფაში რამდენიმე დღე გამოვიდა,
 მის გულში სიხარულს არ გაუვლია.
 დაბოლოს [მანც] თმობა ირჩია,
 სხვა გამოსავალს ვერსად ხედავდა.

ქართული ვერსიით (2913):

გვერდსა უჯდის¹ მამა მათი, ღამე ბევრი გაათეხა,
 ვირ არ დაწმდეს პილოს ძვალნი, როსტომ
 ვერვინ ააყენა.

¹ ზურაბის კუბოს.

და ამის შემდეგ (2914):

აიხვნა ზურაბის ძვალნი მქვირვალნი ჯავარ-ელვითა,
საროსა მსგავსნი ლუსკუმსა ჩასხნა თავისა ხელითა;
გამოვიდა და წავიდა შვილის მამკვლელი ველითა.
თვალი სოფელსავე მიუგო, ვითა ყვაილი ველითა.

სპარსულში უბრალოდ არის გადმოცემული ზურაბის ამბავის
მისგლა სამანგანის სახელმწიფოში (ზურაბის სამშობლოში¹):

მოთქმა-ვაების ხმები გაისმა თურანთა ქვეყნით:
ზურაბ მოიკლა ბრძოლის ველზეო.
სამანგანის მეფეს ეწია ამის შესახებ ცნობა,
მეფემ სამოსი მთლად დაიგლიჯა.
დედასაც ესმა: გმირი ზურაბი ხმალს წამოეგო [თავის]
მამისო და მიიცვალა.

ქართულ ვერსიაში უბაღლო მოხდენილობითა და გრანდიოზუ-
ლობით არის დასურათხატებული ზურაბის სიკვდილის გამჟღავნე-
ბის სცენა (2916—2917):

ზურაბის გვერცა ნაახლნი ლაშქარნი გულ-დადაღულნი
სამანქნის ქალაქს მივიდეს, იმაღვოდიან ნაბულნი;
დღეს ერთსა ჰყვანდა სამანდი² საძოვრად ბალსა დაბმულნი,
თუმიან³ იცნა, გაჰკვირდა, ცეცხლნი მოედენეს დაგულნი.

მიმყვანნი მიასხმეინა, მათ ზოახსენეს ყოველი,
ხვაფთანი სისხლით გასვრილი მბართვეს კვლა უპოველი,
ჰკადრეს: „მობრუნდა რისხვითა ცა, წყალობისა მთოველი,
მუხთლად მოგვიკლეს პატრონი, ზურაბს ნულარა მოელი“.

ძლიერი განცდითაა აღბეჭდილი დედისგან ზურაბის ცხენის
(სამანდის) გამოთხოვების სცენაც (2939):

მან სამანდსა გზა უჩვენა: „წადი, ძოე გზას მაღალსა,
ნადირთანა იქცეოდე, ნუ მორჩილობ ქართა ძალსა!“

¹ I, 516, 1398—517, 1400.

² ზურაბის ცხენი.

³ ზურაბის დედის სახელია.

თქვა თუ: „შვილო, ველარ გიკვრეტ, ნადირობით ნაბურ-
თალსა!“

იშვიათი მხატვრული ექსპრესიით ახერხებს აქა-იქ „როსტომიანის“ ქართული მელექსე ცალკე ეპიზოდების თავისებურ პოეტურ დამუშავებას. საოცარი მხატვრული შტრიხებითაა ერთგან ასახული ბუნების მრისხანების, კერძოდ, გვალვის შემზარავი სურათი (1995—1996):

გვალვიდა და მზისა სიცხე პირსა ქვასა გაუპობდა,
ცვარი წვიმა არ მოვიდა, მოლ-ბალახსა არ აღბობდა;
ნავზარ¹ მოკვდა, მას უკანით მათ² შიმშილი დაამხოზდა,
ღვინო ველარ იშოვნიან, პური ძვირობს, უპურობდა.

დიდი სიცხე და შიმშილი ყველასა მისკირდებოდა,
ხესა ხრევიანი ცხენები, კბილები გარდასცვდებოდა.
ცხენისა ხოცნი ვეცხლთანა წონად არ იშოვებოდა,
სალს კლდესა გვანდეს, ექვს თვესა ძვრა ყოლე არ ეტყობოდა.

მოცემული გრანდიოზული სურათის სანაცვლოდ დედანში უბრალოდ მოთხრობილია (I, 280, 21—23):

ასე მოხდა, რომ შეკირვებამ დაისადგურა დედამიწაზე,
გადახმა მიწა და ბალახის ღერო,
ციდან არ მოვიდა ცვარი და ნამი,
პური მიჰქონდათ ოქროს ფასებში...
ამგვარი ყოფით ორი ლაშქარი [სრული] ხუთი თვე პირისპირ იდგა.

ამ ორი ნაწყვეტის დაპირისპირებაც უდაოდ ცხადყოფს ქართული მელექსის დიდ შემოქმედებით უნარს.

„როსტომიანის“ ამ ნაკვეთში ხშირია გრანდიოზული და მხატვრულად სრულქმნილი ადგილები (ზაალის სიტყვებიდან საამის მიმართ):

თქვენის გურჯისა შიშითა ვარსკელაენი ატირდებიან,
ნიანგნი ზღვისა უფსკრულთა წავლენ და იხიზნებიან (1588, 3-4).

¹ ვრანელთა მეფე.

² ე. ი. ვრანელებს.

მეომართა შუბის პირი ღრუბელთა ხევს, სწედების ცასა
(2386, 3).

შუბის პირი ცასა ხევდეს და ღრუბელი სისხლსა სწვიმ-
დეს (2636, 3).

ასევე ეხერხება „როსტომიანის“ ავტორს სხვაგვარი გარემოე-
ბის ასახვაც:

მერაბ ნადიმი დაიდვა, დაითრო, დაღვინიანდა (1467, 4).

ქართული რედაქციის დიდი მხატვრული ღირსებისა და მოხ-
დენილობის მაჩვენებელია შემდეგი მაგალითიც:
სპარსულით (I, 346, 483—484):

როსტომ თქვა: ჩემი სახელი არის ღრუბელი,
ღრუბელი რომ უზაბარის ქანგში ემწყყდევა,
შუბსა და ხმალსა წვიმად მოუშვებს.

ქართულით (2272, 1—2):

როსტომ თქვა: ჩემი სახელი ღრუბელთა ზედა სწვრია,
ხრმალსა და ლახტსა მძიმესა წვიმს რისხვა მონაბერია.

როსტომი რომ მაზანდარანში მოციქულად წავიდა, მაზანდარა-
ნის მეფემ ფალავანს პატივსაცემად დიდებულები შემოახვედრა. თა-
ვისი ძაღლონის სადემონსტრაციოდ მოციქულ-რაინდს ასეთი შემთხ-
ვევა ეძლევა (I, 362, 755—757):

გზად ერთი მრავალტოტებიანი ხე დაინახა,
ანაზდეულად მის შტოს მივარდა,
ლონიერად, ძალუჰად, მოსწია მედგრად,
სწრაფად აგლიჯა ხე ძირფესვიან, [ბეწვის] ზიანიც არ
მიიყენა.

ქართულ ვერსიაში ეს მომენტი თავისებურად (და მოხდენი-
ლად) არის გადმოცემული (2365):

გზასა ზედა ქანდარნი დგეს ღრუბელთს სწორ-
ნი, მას შეხედნა,
ხელი მიჰყო, იგ მოგლიჯნა, როსტომ არად დაიხედნა.

როსტომის ძალღონემ დიდებულები გააკვირვა, ფალავანი კი უფრო გათამამდა და (2367)—

სხვანი ხენი დგეს, სიმალით წვერნი ღრუბელთა სწვდებოდა,
მართ საგდებელი სისქესა მისსა არ შემოსწვდებოდა,
ხელი მიჰყო და მოგლიჯნა, აწ უფრო გაჰკვირდებოდა.

„როსტომიანის“ ქართული ვერსია შედარებით თავისუფლად ამუშავებს (და ზოგჯერ ძალზე აზვიადებს კიდეც) ბრძოლის აღწერილობებს, ბუმბერაზთა რკენისა, ასპარეზობისა, ტურნირებისა, ნადიმობისა, ქორწინებისა და მისთანათა სცენებს.

მაგრამ ჩვეულებრივად მაინც საკმაო სიახლოვით მისდევს თავის დედანს. სანიმუშოდ აქვე მოგვეყავს ერთი დამახასიათებელი და ტიპიური ნაწყვეტი ამ მხრივ:

აქა როსტომის რაშის ბრძოლა ლომთან¹.

მამას განშორდა ნიმრუზით გმირი და ფალავანი,
ქვეყნის მნათობი.

ორი დღის სავალს ერთ დღეს ვიდოდა,

მას დღედ მიაჩნდა ღამე უკუნი,

რაშის ქაჩაჩიც გზას მითელავდა ნათლიერ დღესა თუ
ღამესა ბნელს.

და როს სტომამქმა საზრდო ითხოვა [და სიმშლისგან
მწარედ] აღბოროდა,

წინ გაეშალა მინდორი ერთი კანჯრებით სავსე.

რაშს უთავაზა მაგრად გავაზე,

კანჯრის სიცქაფე მის სიცქაფესთან მოსჩანდა მიძმედ.

ვერა ცხოველი დაუდგებოდა ცხენოსან როსტომს,

იმის მშვილდ-ისარს, მისი რაშის მუხლს.

საგდები სტყორცა ქაიანური ლომმა [ქაბუქმა],

[იქვე] მოდრიკა კანჯარი მკვირცხლი;

ისრის წვერიდან ცეცხლი დაავზნო,

ზედ დააყარა ბარდი, კაქაჭი, შეშა,

და როს [ნადირი] უღონოქმნილი სულთ განეშორა.

¹ ვულერსი, I, 335—336.

სწრაფად შებრაწა იგი კოცონზე.

[ხორცი] მიირთვა, ძელებს გაღუძახა;

ქვაბიც ეს იყო, ზონჩა-მაგიდაც.

მერანს ახადა იმან ლაგამი. [და] მწევანე მოლზე ძოვნად
მიუშვა,

ლერწამ-ჩალაში შექნა საწოლი,

შიშის კარს [გმირი] სახავედა მყუდროდ...

იქ თურმე იყო ლომის ხევენარი:

[თითონ] სპილოც კი ვერ გაბედავდა ღერ-ტოტის ხლებას..

და რა ამგვარად ხანი გავიდა,

ლომი „მფრეწელი“ ბუნაგში გაჩნდა ძალგულოვანად,

ჩალაში მყოფი ქაბუკი ნახა,

მასთან ტაიქიც აღბორებულს, —

„ჯერ საკიროა რაშის წახდენა“ — ამბობდა [გულში] —

„მხედარი კანგებს ვერსად წაუეა“.

ბრწყინვალე მერანს ქშენით მიჰმართა,

როგორც რომ ცეცხლი ისე აენტო იმავ დროს რაშიც,

ორივე ტორი ზევით ასწია და თავში დასცა მოვარდნილ-
[ნადირს],

მკვეთრი კბილებით კი ზურგში ეცა.

იმდენს აწყვეტდა იმას მიწაზე, რომ მთლად დაგლიჯა;

მხეცი ამ ყოფით გახდა უღონო...

რა გაელვინა კანგ-მახვილ როსტომს,

იმ მფრეწელ ლომზე ვაწროდ ეჩვენა წუთისოფელი,

ასე უთხრა რაშს: „ეჰა, უგნურო, ვინ ჩაგაგონა ლომ-
თან რკინება?!

რომ მომკვდარიყავ იმის წყალობით, ვით წაეიღებდი-
მაზენდარანში

მე ამ აბჯარს და საომარ ჩაჩქანს,

საგდებელს, მშვილდსა, ხმალს და გურჯს მძიმეს?

მე რომ ტკბილ ძილში ესე გამეგო,

ლომთან რკინება აგცილდებოდა“.

ეს სთქვა და ქაბუკს საქვეყნოდ განთქმულს კვლავ ჩაეძინა,

გამოისვენა ხანდაყოვნებით გმირმა მამაცმა.

მზემ რა ქუფრი მთით თავი ამოჰყო,

შეკირვებული ტკბილ ძილს განშორდა,

დაასუფთავა მერანის ტანი, ზურგს უნაგირი [მარჯვედ]
შეუღვა

[და] კეთილისმყოფელ განჩენიერსაც მადლი შესწირა.

ქართულ ვერსიაში ამ ეპიზოდს შემდეგი ტექსტი შეესიტყვება
(2211—2218):

როსტომ ზაალს ესალამნა, გაემართა გზასა გრძელსა,
ორი ეჯგ ერთად უჩნდის, იარების ღამე ბნელსა
რაშსა მჯდომი გაუწყვეტლად ღამე ყოველ, დღე ნათელსა.
მოენშა, მინდორს მიხვდა უწყლოსა და მეტად გრძელსა.

შეხედნა და საესე იყო მუნ კანჯრითა ერთი ველი,
როსტომ რაში გააფიცხა, მას შესტყორცა საგდებელი,
წასელის ღონე არა ჰქონდა, დაიჭირა ფიცხლად მრთელი,
გარდახდა და ცეცხლისათვის ისრის პირსა მიჰყო ხელი.

გარდახდა, ისრის პირითა მუნ ცეცხლი დააკვესა მან,
კაჰაქი რამე შეჰყარა, ვერსად იშოვა შეშა მან,
რაშსა წაჰყარა ლაგამი, შეწვა, შექამა ესა მან,
შიშისა კარსა მშვიდლობით ხელვიდა, დაიძინა მან.

ლომი ერთი მას ჩალასა პატრონობდის, იყვის მო და,
პილო ერთსა ჩალასაცა ვერ მოსწყვეტდის, ეშინოდა;
ერთი ჟამი როსტომ ძილად მოისვენა,—მოყვიროდა,¹
ზედ მიადგა მძინარესა,—„ცხენსა დავნაყ“—ესე თქო და...

თქვა: „პირველ, ცხენი დავნაყო“,—ლომი ბრკობს სა-
ხელდებული,
კაცი ხელთა მყავს მას იქით, ძილად წვეს უხმარ-დებული.“
რამმან რა ნახა, მოუხდა საომრად აღუღებული,
თავს ბასრის ტოტი ჩამოჰკრა საკლავად გამეხებული.

დაიხვიელნა, შეექიდა, ზურგსა კბილით მოეკიდა,
ახეთქებდის მიწაზედან, მოიქნივის, მედგრად ჰკვრიდა,
ვირ უსულოდ არ გახადა, ამ წესითა იმას რჯიდა;
არ გაუშვა, სადანამდის ლომი შუა არ გაწყვიდა.

¹ ლომი.

ადგა როსტომ, იკვირებდა ლომსა ზედან რაშის ქნასა, გაუწყრა და აგრე უთხრა: „შენ არა ხარ, შმაგო, კქეასა, თუ მოეკალ, ბარგისტანსა მე მიზემდი, მითხარ, რასაა? ვინ მზიდევდა შეკაზმულსა მაზანდარის ქვეყანასა?“

მზემან თავი რა ამოჰყო, მან საწუთრო დააშენა, როსტომ ადგა ძილისაგან, შეეკაზმა, მოისვენა; რაშსა შესდგა უნაგირი, იტყვის: „ლმერთო, გესაე შენა!“ მერმე შეჯდა, გაემართა, მისთვის დაწყდა წყალთა ღენა.

ამ ნაწყვეტების დაპირისპირებიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ტექსტი სისწორით და თითქმის სიზუსტით იმეორებს ორიგინალს, არცერთ წვრილმანსაც კი უყურადღებოდ არ ტოვებს და თანმიმდევრად მიჰყვება ამბის განვითარებას; ქართულ ტექსტს არ აკლია ეპიკური სიმშვიდე და სიღარბაისლე, თუმცა, თქმა არ უნდა, სრული ზედმიწევნილობა მაინც არ არის დაცული. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ გაღვექსილ ნაწყვეტს ჯერ პროზული ტექსტი უსწრებდა, პროზა კი თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად იქნებოდა დედანთან დაახლოებული.

როგორც ვთქვით, ეს ნაწყვეტი ტიპურია თარგმანის თვალსაზრისით. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ მთელი თხზულება მსგავს სიახლოვეს იცავდეს (ჩვენ ზევით უკვე გავეცანით ქართული რედაქციის თავისებურობის ზოგიერთ ნიმუშს). აქედან კი გარკვეული დასკვნის გამოტანა შეიძლება: „როსტომიანის“ პირველი რედაქციული ფენა ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ თარგმანია, ალაგალაგ საკმაოდ ზუსტი და სწორი, ალაგალაგ დაშორებული დედანს შინაარსისა და გააზრების მხრივაც, ალაგ შეკვეცილ-შეკუმშული და ალაგ გაზვიადებული. ქართველ მეღვთისმცოდნეებს არ აკლია მხატვრული ალლო და შემოქმედებითი უნარი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის მნიშვნელოვანი გარემოება. XV—XVIII საუკუნეებში მომძლავრებულ რელიგიურ აზროვნებას სათანადო დალი დაუჩენია „როსტომიანზე“. ამის შედეგია, რომ სპარსულ ეპოსში კეთილ ძალად ასახული ძველ ერანელთა მოდგმა თავისი მაზღეანური სარწმუნოებით ქართულ ვერსიაში გამოცხადებულია ქრისტიანობის მიმდევრად. ასეთი უცნაური ანაქრონიზმი და ნაძალადევი ტენდენცია უნდა განხილულ იქნას როგორც მთარგმნელის თავისებური ხარკი ქრისტიანულ-ეკლესიური საზოგადოებრიობის წინაშე. ქაიხოსროს ამბებიდან ერთგვარად იცვლება „როსტომიანის“

რედაქციულ-ტექსტუალური ხასიათი, ხშირდება შემოკლება-შეკვეცისა, ამბების უწესრიგოდ გადასმა-გადმოსმისა, მოკმედ პირთა არევისა და მისთანათა შემთხვევები. ქართული ტექსტი მხოლოდ ზოგადად და თავისი სიტყვებით გადმოსცემს სპარსული ორიგინალის შინაარსს. „როსტომიანის ამ ნაწილზეა ზეგამოჭრილი აკად. ნ. მარის სიტყვები: „Это в общем, собственно, сокращенный, очень урезанный пересказ, лишь местами воспроизводящий, опять таки в пересказе, и детали“.¹

მხატვრული თვალსაზრისით, „როსტომიანის“ მეორე რედაქციული ნაწილი პირველს ძლიერ ჩამორჩება. საილუსტრაციოდ მოყვანთ ერან-თურანის ბრძოლების ერთ პატარა ეპიზოდს:

აპა ბართეს და ჭეჭრემის ბრძოლა²

მეცხრედ [გავიდა] ბართე [ქაბუკი] ქეჭრემ ხმლის-მკვრელთან,
ორი მოსისხლე მტერი, ორი თავკაცი...

ხერხებს ბრძოლისას ცდიდენ ყოველმხრივ,
ბოლოს ხელთ იღეს ინდური ხმლები.

თანისთანობით უკან იხევდა [ქეჭრემ] ბართესგან,
მან ჩაჩქანის თავს [მძლედ] ხმალი დაჰკრა,

ქეჭრემის მკერდი ორად გაიპო,
შიშით გაივსო ბართეს მტრის გული.

[ჯერ] ის ცხენიდან დაბლა დაეშვა,

[გვამი] მიაბა თუყის³ უნაგირს და [შემდეგ ტაიქს] კვალად
მოაჯდა;

კიყინ-დგრიალით მალლობს ავარდა, ვით ვეფხი მკრჩხალი,
ხელში ეჭირა ხმალი ინდური,

დროშაც სვიანი ხელში ეკავა,

ცხენზე ეკიდა თავდაყირული ქეჭრემის გვამი,

ასე იძახდა: „გამარჯვებული არის ხელმწიფე,

მარად [იბრწყინოს] იმის გვირგვინმა მზის [დისკოს] ზევით!“

აპა ბარათისა და გუარამის ომი⁴

რ ა ც ა თ უ რ ქ თ ა და ე მ ა რ თ ა , მ ე ლ ე ქ ს ე მ ა ნ ვ ე რ ა
ვ თ ქ ვ ი ა ,

¹ Записки, 112; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.

² გულერსი, III, გვ. 1241.

³ ცხენის სახელია.

⁴ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი S კოლექციისა № 428, გვ. 695. (შდრ. შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 1934, სტრ. 4590—4591).

ბარათ გურამს ლახტი დაჰკრა, გაუჩეხა თავი შუა;
მუზარადმა ვერა არგო, ზეენკალო, შეიქ ნუა,
თავისა ქნა ხმელი ხეა, არ მოესხმის ნაყოფია.

ეს ფალაგანნი დღესითგან ყველანი გარდახდებიან,
„ვართ შენგან უნაწილონი“, გლახ, მზესა ეუბნებიან,
საბრალონია მკვერეტთათვის, ეტლთაცა ებრალებიან,
უყვარდა ეს ცრუ სოფელი, მიწასთან გასწორდებიან.

სპარსული ტექსტის შინაარსეული მხარე ქართულში ამოწურულია პირველი სტროფის პირველი-ორი ტაეპით. ამავე სტროფის უკანასკნელი ტაეპი წარმოადგენს აფორიზმს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მოთხრობილ ამბავთან. მეორე სტროფი იძლევა „შაჰ-ნამესთვის“ დამახასიათებელ ლირიკულ-მელანქოლიკური ჩივილის ნიმუშს, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციას ლოგიკურად მაინც ვერ ეგუება, ატარებს განყენებულსა და ზოგად ხასიათს და მაინცა-დამაინც მთელი ეპიზოდის დასასრულ უნდა ყოფილიყო მოთავსებული (შესატყვისი ტექსტი ვულერსის გამოცემამ არ იცის). პირველი სტროფის პირველი ტაეპი ამბავის ერთგვარი შესავალია, სადაც გამლექსავი გულუბრყვილოდ ამხელს თავის შემოქმედების უუნარობას („რაცა თურქთა დაემართა, მელექსემან ვერა ვთქვია“-ო). საერთოდ განხილული ეპიზოდის მიხედვით ქართველი მელექსე უაღრესად შეკვეცილი ფორპითა და თავისი სიტყვით გადმოსცემს ორიგინალში ვრცლად და საინტერესოდ მოთხრობილ ამბავს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრავ, უადგილო მსჯელობასაც ატმანსის. ზედმეტია იმის განახვა, რომ მხატვრულობის თვალსაზრისით დამოწმებული ეპიზოდი სუსტია.

„როსტომიანის“ ბოლო ნაწილიც ორიგინალის შემოკლებულსა და შეკვეცილ რედაქციას იძლევა, მაგრამ აქ სხვა გარემოებაა საყურადღებო: გოსტაშაბიდან (უკეთ ზარდაშტის გამოჩენიდან) დაწყებული ქართული ვერსია ორიგინალის უშუალო თარგმანს წარმოადგენს, ამდენადვე ტექსტუალური შესატყვისობის თვალსაზრისით მეტი ზედმიწევნილობაა დაცული. ეს ზედმიწევნილობა ქართულ ტექსტს ხშირად სპარსული კონსტრუქციის სახესაც კი აძლევს. მთარგმნელი დედანს მონურად მისდევს და ვერც ქართული მეტყველების სწორი ფორმების დაცვას ახერხებს. მხატვრულობის მხრივ ეს ნაწილი კიდევ უფრო მოიკოკლებს, აქ ჩვეულებრივია უხამსი და უნდილი ტაეპები, უშნო და ულაზათო გამოთქმები, უსწორო ფორმები, უხეში ბარბა-

რიზმები (როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსური ხასიათისა), ტავტოლოგია და ა. შ.* სანიმუშოდ მოგვეყავს რამდენიმე ტაეპი ზარდაშტის გამოჩენის ეპიზოდთან:¹

ბედნიერის იყო ფეხისა, სახელად ერქვა ზარდაშტი,
ავის მოქმედი მოკლა მან აპრიმანი,
ქვეყნის [მბრძანებელ] მეფეს აუწყა: „წინასწარმეტყველი
ვარო მე [ცით მოვლენილი],
ღვთაებისაკენ გზას მიგასწავლი“.
ცეცხლიც მუჯამრით მას მიუტანა [და ასე უთხრა]:
„ზენით, სამოთხით ჩამოვიტანე“.

შდრ. ქართული თარგმანი:

ზარდაშტ ავისა მოქმედი დევი მოკლა გონიერმან,
„წინასწარმეტყველი მე ვარ, მღვთის გზას გასწავლი“ —
უთხრა მან.
ერთი მუჯამარი ცეცხლი ხელმწიფეს მოუტანა მან:
„ეს მღვთისა განგება არის, სამოთხით მამაქვს“ — ჰკადრა
მან.

მსგავსი თარგმანები სპორადულად გვხვდება „როსტომიანის“ წინა ნაწილებშიც (თეთრი სპილოს ამბავი, ბარზუს ეპიზოდი და სხვ.). ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ თხზულების უკანასკნელ მთარგმნელ-რედაქტორს ქართული ვერსია დედნისათვის შეუდარებია და ზოგი დანაკლისი ეპიზოდი ახლად გადმოუღია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბარზუს ვრცელი ეპიზოდი, მაგრამ უკანასკნელი ფაქტიურად „შაჰ-ნამეს“ ერთერთ წამბაძველს ეკუთვნის და „როსტომიანში“ მექანიკურად არის ჩართული. ამიტომაც ბარზუს ამბავი შესაფერ თავში გვექნება მიმოხილული.

6. როსტომიანის ბავშვობისა

როგორც ვიცით, როსტომიანის ქართულ ვერსიებზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირებს უმუშავიათ. ამის შესახებ საკმარაოდ დანახარებით მოგვეპოვება არა სრული ხასიათის ბიბლიოგრაფიული

* ოლონდ ტექსტუალური შეკვეცილობის მხრივ ქართული რედაქცია აქაც თავისებურია.

¹ ვულერსი, III, გვ. 1497,42—1498,44.

ცნობები. ზოგიერთ საყურადღებო ცნობებს იძლევა თვითონ როსტომიანის ჩანართები, თუ პროლოგ-ეპილოგები, ზოგიერთებს კი სხვადასხვა ბიბლიოთეკის მწერალი გვაწვდის.

ქედელაური და საბას-შვილი

ვინმე ქედელაურის შესახებ საინტერესო ბიბლიოგრაფიულ ცნობები შემოუნახავს „ომინიანის“ ავტორს, XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ქაიხოსროს:

ქედელაურმან თურქნი თქვა და როსტომ

ზაულელია,

ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ—ხოსროვთან ვერ რომელია.

ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია,

მორჩილ-ქმნილმან ააშენა, ურჩმან სახლი დააქცია,

ყოვლთა მზეებრ მოეფინა, კარგ-რჯულობით მოიქცია,

დაუტევა ეს სოფელი, თავი სხვაგან გაიქცია.

ქაიხოსროვის შედეგად შაჰ-აბაზ ერანს მჯდომია,

უცხო დაიპყრა ქვეყანა, ერან-თურანის ზომია,

ბევრია შეფეთ ანბავი, არ გათავდების მზობითა,

ანუშრევანის ამბავი მასმია არაკობითა.¹

აქედან ირკვევა, რომ ქედელაურს „უთქვამს“ თურქთა, როსტომ ზაულელისა, ფეშანგისა, ტომერანისა (თაჰმურასისა), სალიმისა და თურის ამბები. შესაძლოა მასვე ჰკუთვნებოდეს აგრეთვე ხოსროვის ამბავიც. მაინცადამაინც ამ ქედელაურს „შაჰ-ნამესა“ და საკუთრივ „როსტომიანის“ დიდი ნაწილი მიაწერება. მეორე მხრივ გამლექსავის ვინაობაზე კატეგორიულსა და პირდაპირ ცნობას გვაძლევს უშუალოდ როსტომიანის ერთერთი ჩანართი (რომელიც შემდეგ ეპილოგშიც არის გადატანილი):

ამ როსტომთა გამლექსავი სოგრატი-ძე საბასშვილი,

მხატვარია ხელოვანი, ლექს-ულევუ, სიტყვა-ტკბილი;

მრევლთა თავი, ხევის-ბერი, ხელმწიფეთა თანაზრდილი,

შენდობასა მიბრძანებდენ, ვინცა ნახოთ ჩემგან თქმული!

¹ ომინიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1937, სტრ. 17—20.

სამოცისა წლისა იქმნეთ, მოიგონეთ მონახსენი:
 ღვინოს ნუ სვამთ, თვით მთვრალი ხართ, ჟამმან მოგ-
 ცათ ყავარჯენი;
 სადავეთა ნუ უყურებთ, დაიფანჩნეს საქურჯლენი,
 ჟამსა ნურეინ მიენდობით, ვართ ამისი მოაჯენი.

რა მტვერი ატყდეს, გუშაგთა ველარა ნახონ მთის მეტი,
 წამწამთა შინა (sic) შობასა (sic) რა გაათენებს (sic) მზის
 მეტი!

ვით დააბრკოლებს, არ ვიცვი, ჟამსა სამოცის წლის მეტი,
 ქიქა სამოც-და-თორმეტი გაქვს, გმართებს სამარის მეტი?!

ეს ნაწყვეტი მოთავსებულია აქა ქექაოზისაგან სიაოშის სიკვ-
 დილის ცნობიან-ს შესავლად (ვერსიები, II, სტრ. 3133-3135) და
 მთლიანად განმეორებულია ბოლოსიტყვაობაში (06—08), ოღონდ
 გამომცემლებს ბოლოსიტყვაობის ტექსტი დაუბეჭდავთ საკმაოდ
 განსხვავებული ვარიანტული წაკითხვის მიხედვით. სამართლიანობა
 მოითხოვდა ორივე შემთხვევაში დაბეჭდილიყო ერთგვარი ტექსტი,
 ხოლო განსხვავებანი აღინიშნებოდა ვარიანტებში. ცხადია, როგორც
 „როსტომიანის“ გადამწერლებს, ისე გამოცემული ტექსტის რედაქ-
 ტიას¹ დამოწმებული ნაწყვეტი მთლიანად ჩანართად მიუჩნევია. ნამ-
 დვილად კი ეს ასე არ არის. საბას-შვილის „ჩანართის“ მეორე და
 მესამე სტროფი წარმოადგენს ფირდოუსის ერთერთი ლირიკული
 პრელუდიის თარგმანს. სწორედ სიაოშის ეპიზოდში ერთგან ავტო-
 რი ურთავს (ველერსი, II, გვ. 680):

აქა ფირდოუსის ჩივილი თავის მოხუცების გამო

როდესაც კაცი მესამოცე წელში ფეხს ჩადგამს,²
 ღვინოს ნუ აძლევ, ის უკვე თავის წლებით მთვრალია,
 [ხელთ] ყავარჯენი მას წელმა მისცა სადავეთ ნაცვლად,
 მიმოფანტა ავლა-დიდება და სინამდვილემ პირი აქცია.
 მსგავსი გუშაგი მთის მწვერვალიდან ურიცხვ ლაშქარსაც
 ველარ შეამჩნევს.

[რადგან მის თვალებს აკლია ჩინი];

¹ აგრეთვე ხელნაწერების მეცნიერ აღმწერელსაც.

² სიტყვა-სიტყვით: მესამოცე მწვერვალს უახლოვდება.

განზე ვერ აქცევს [ცხენის] სადავეს,
 თუგინდ წამწმებთან მტრის შუბის წვერმა გაუსრიალოს.
 ორი ფეხმარდი მღვდარი კაცი
 ასეთ მოქიშპეს დაბორკავს სამოცს.
 [კარგ] მგალობელი [თავის დროისად] ხმით გამაძლარა,
 ერთგვარად უჩანს ბულბულის სტვენა, ლომის ღრიალი.
 აჰა, დავცალე ორჯერ ოცი და თვრამეტი თასი,¹
 სხვას რას ვიფიქრებ მიწა-მტერისა და კუბოს გარდა!

მოტანილი ტექსტების დაპირისპირებიდან აშკარად ჩანს, რომ ქართულის ორი უკანასკნელი სტროფი ფირდოუსის ლირიკული ჩივილის საერთოდ სწორი და მიახლოებული, ოღონდ შეკვეცილ-შეკუმშული თარგმანია. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული ტექსტი მნიშვნელოვანად წარყენილი და დამახინჯებულია, რაც გადამწერთა წყალობად უნდა ჩაითვალოს². თუმცა ზოგიერთი ფრაზის თავისებური გააზრება, თავის ადგილიდან გადასმა და ძლიერი შეკუმშვა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ გამლექსავს ხელთ არ ჰქონია უშუალოდ სპარსული დედანი. მაგრამ როგორათაუც უნდა იყოს, ერთი რამ მაინც უდაოა: ჩვენ აქ საქმე გვაქვს თარგმანთან და, მაშასადამე, დასახელებული ორი სტროფი საბას-შვილის საბიოგრაფიო წყაროდ ვერ გამოდგება. მეორე მხრივ, გამლექსავს უთუოდ მოხერხებულად უსარგებლია შემთხვევით და მოსწრებულ ადგილას ჩაურთავს თავისი პრელუდიაც (პირველი სტროფი).

„როსტომიანის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისათვის უპარესად საყურადღებოა ჩანართის პირველი სტროფის ვარიანტული რედაქცია:

როსტომიანთ გამლექსავი სოგრატის-ძე საბას-შვილი,
 ზალის შობით ლორასპამდის ლექსი მითქვამს
 სიტყვა-ტკბილი,
 გრემელთ თავი, ხევის-ბერი, ხელწიფეთა თანა ზრდილი,

¹ ე. ი. ორმოცდათვრამეტი წელი შემისრულდაო.

² დედნისა და ვარიანტების დახმარებით უფრო იოლად ხერხდება ბოლო სტროფების კრიტიკული ტექსტის დადგენა. აი ეს აღდგენილი ტექსტიც:
 სამოცისა წლისა იქმნეთ, მოიგონეთ მონახსენი:

თხზულების პროლოგში გამლექსავი აცხადებს:

თავი ეს არის „როსტომთა“, ბოლომდის ლექს-მრავალია, ქაიხოსრომდი გავლექსავ, მღვთით ვიტყვი, რა სავალია, ნეტარ რა გიყო, სპანდიერ, სოფელი წარმავალია!

კონტექსტიდან ცხადია, რომ გამლექსავს სცოდნია სპანდიერის ამბავიც კი („ნეტარ რა გიყო, სპანდიერ“), მაგრამ გაურკვეველია, საკუთრივ რა შრომა გაუწევია: ლორასპამდის გაულექსავს თუ ქაიხოსრომდის? განსხვავება კუ მეტად დიდია. პროფ. კ. კეკელიძე ცდილობს შეათანხმოს ეს წინააღმდეგობა: საბასშვილს გაულექსავს ტექსტი ლორასპამდის exclusive, ხოლო ქაიხოსრომდის inclusive-ო.¹ საინტერესო მოსაზრებაა, მაგრამ ამას ვერ გაამართლებდა თარგმანის ხასიათი (რაზედაც ზევით უკვე ვილაპარაკეთ). ეს ერთი. მეორეც—ლუარსაბის (ლოპჩასპის) გამეფებიდან ზარდაშტამდის გვრჩება ცარიელი ადგილი (სტროფები 5035—5186, 5173-74-ის გამოკლებით). რაღაც დაუჯერებელია, რომ პირველმა მელექსემ ხუთიათასამდე სტროფი გალექსა (5035 სტროფიდან გამოსაკლება ბარზუს ამბავი და ხოსრო თურმანიძის სხვა ჩანართები), ხოლო მეორემ მხოლოდ ასიოდე. ლუარსაბის მეფობის გამლექსავს საკმაო წილი უნდა რგებოდეს ქაიხოსროს მეფობიდანაც. სამწუხაროდ, ზუსტი განწილვა ჯერჯერობით არ ხერხდება..!

სოგრატის-ძე საბაშვილს სახელად რქმევია სერაპიონი. ამას ვტყობილობთ, ერთი მხრით, „როსტომიანის“ ჩანართიდან (რასაც ქვევით შევხებით) და, მეორის მხრით, „შპ-ნავაზიანის“ ავტორის, ფეშანგის, მოწმობიდან („შპ-ნავაზიანი“ XVII საუკუნის მეორე ნახევრის ვრცელი საისტორიო პოემა):

როსტომ აქო სერაპიონ, კაცი სრული, არ თუ ნასი,
ხოტბა ჰკადრა ფალავნური, იგ შეამკო მეტად ხასი;

ღვინოს ნუ სვამთ, თვით მთვრალი ხართ, უამმან მოგცათ
ყავარჯენი;

სადავეთა ნუ უყურებთ, დაიფანჩვის საჭურჭლენი,
უამსა ნურგინ მიენდობით, ვართ ამისნი მოაჯენი.

რა მტვერი ატყდეს, გუშავთა. ვეღარა ნახონ მთის მგტი,
წამწამთა წინა შუბისა რა გაანათლებს მხის მგტი
ვით დაბარკოლებს, არ ვიცი, უამსა სამოცი წლის მგტი,
კიკა ორმოცდათვრამეტი გაქვს, გმართებს სამარის მგტი?

¹ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 176.

ბევრს მორიგეა უნებლიედ, ვის შეეძლო სიტყვით ბასი?
მან მეღექსე მოიძღვრეა, აღარ მისცა დასტი ფასი.¹

ამრიგად, როსტომის ამბები კედელაურისა ც უთქვამს და სერაპიონ საბაშვილსაც. ამ დასკვნების შეგუება მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ორი მწერლიდან ერთს მივაკუთვნებთ „როსტომიანის“ პროზული ვერსიის შესრულებას (თარგმანს), ხოლო მეორეს პროზის გაწყობას (გალექსვას). ჩვენ საექვოდ მიგვაჩნია კედელაურისა და საბაშვილის გაიგივება, რადგან პირველს როსტომთან ერთად „უთქვამს“ ფეშანგ-ტომე-რან-სალიმ და თურის“ ამბები, ე. ი. ზაალის შობის წინარე ამბები, ხოლო მეორეს სწორედ ზაალის შობიდან დაუწყია გალექსვა. საბაშვილი მისივე კატეგორიული მოწმობით გამლექსავია, მაშასადამე, კედელაური მთარგმნელი ყოფილა.² კედელაურის თარგმანი „შაჰ-ნამეს“ დასაწყისი ამბებიდან უნდა ყოფილიყო შესრულებული (ბიბლიოფილი ხომ პირდაპირ იმოწმებს მთელ რიგ მითურ ნეფეებს). შესაძლებელია, საბაშვილის დროს უკვე ნაკლულად ყოფილიყო დაცული „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული ვერსია, რაკი გამლექსავს ტექსტის გაწყობისათვის ხელი მოუქიდნია არა დასაწყისიდან, არამედ მოზრდილი ნაწილის ჩაგდებით.

კედელაურისა და საბაშვილის შეხვედრა განსაკუთრებულად საინტერესოა გახდა ერთი დოკუმენტის წყალობით (რომლისთვის ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება). სახელდობრ, 1474 წლის ერთი ცნობილი სიგელი შედგენილი ყოფილა ვილაც „ქარის მწიგნობრის“ საბა კედელას-შვილის მიერ.³ ეს სიგელი წარმოადგენს არაგვის განთქმული ერისთვის ვამიყ შაბურაძის შეწირულების წიგნს (ვაშიყი, სხვათა შორის, იყო სიძე ქართლის მეფისა). ჩვენ დანამდვილებით არათფერი ვიციტ კედელაურის მოღვაწეობის დროის შესახებ, საბაშვილი კი XV საუკუნის გასულისა და XVI დასაწყისის მოღვაწეა, ამასთან საბაშვილის სახელი დაკავშირებუ-

¹ შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1937, სტრ. 6.

² ოლონდ ექვს იწვევს გამოთქმა „თქვა“ (კედელაურმან თურქნი თქვა), რაც ჩვეულებრივად ნიშნავს „გალექსას“. რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ „ომანიანის“ ავტორი ცდებოდეს და შემთხვევით მიაწოდეს კედელაურს „ფეშანგ-თურის“ ამბებს. მაშინ კედელაური და საბაშვილი ერთ პირად წარმოგვიდგება.

³ თ. ქორდანი, ქრონიკები, II, 291—293.

ლია სწორედ არაგვის ხეობასთან: ის ყოფილა მრეველთა (ან გრემის) თავი, ხევის-ბერი. ხევის-ბერობა ადმინისტრაციულ-სამოხელეო თანამდებობა იყო, ხოლო მრეველი მთიულეთის ერთ-ერთი მოზრდილი თემის სახელწოდებაა.¹

საბაშვილის მოღვაწეობის დროის გასარკვევად დიდად მნიშვნელოვანია მისი ორი ჩანართი „როსტომიანის“ ტექსტში:

აჲ ბაბრატ იენგი ჟალა წაულო მბერთა

კონსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გვარმან გაიხარნა,
მისიმც თავი მორკმული მყავს, მტერზედ გული ვინც
მაფხანა;

ილათი და კევა-გონება ზაალისა მოიხმარნა,
აწე ბაგრატ მოიცალოს, სხეასაცა იქს შორით ყალნა.

მეორეგან ჩართულია ტექსტის გამლექსავი სერაპიონის (საბაშვილის), რუსთველისა და ბაგრატის მოკლე გაბაასება:

ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა,
ხელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა,
ძველი ტახტი განაახლა, პოვა ღვთითა მორკმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა, ჩემ ოღნობა!

აჲ რუსთველისაგან პასუხის შემცევა

რას მამერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ლამაზ ენა,
აშიცი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშენა;

¹ შდრ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული „აღწერა არაგვის ხეობისა“ 1774 წ., წიგნიდან „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, 1907 წ., გვ. 448—453. სწორედ მრეველის რაიონშია ცნობილი გრემის ხევიც (ქართლის ცხ., II, 59), ამიტომაც გასაგები ხდება საბაშვილის ხევის ბერობა ზოგიერთი ხელნაწერთა გრემში, ზოგიერთით (და უფრო უმეტესით) კი მრეველში. ე. თაყაიშვილი სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს ამ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ „дело не обшлось без искажения“ (Описание, I, 362). მცდარია ე. თაყაიშვილის იქვე გამოთქმული მოსაზრება, თითქოს „როსტომიანის“ გრემში კახეთის სატახტო ქალაქი (столица Кахетии) იგულისხმებოდეს. მაგრამ საოცარი ის არის, რომ არაგვის ხეობის აღწერის გამომცემელს „მრეველთა თავი“ გაუგია, როგორც „глава прихода“ (იქვე). როგორც ჩანს, ასევე ესმის მრეველის მნიშვნელობა პროფ. კ. კეკელიძესაც: „უფრო სწორია გრემელთ თავი, ვინაიდან ცნობილია ჭსნის ხეობაში გრემის ხევი“-ო (ქართ. ლიტ. ისტორია, II, შენ. 1).

შენ ტყვილადა შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა,
თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

ჰაბ ბაბრატის პასუხის შემცვემა

ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ღეთის-მოშიში, სიკეთითა დანერგული,
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული,
არას მარგებს საუკუნოს საბრკოთ შენი კირნახული.

გაბაასებაში მოხსენებული ბაგრატი მთელ რიგ მკვლევარებს (ე. თაყაიშვილს, ი. აბულაძეს, კ. ქეკელიძეს და სხვ.) სრულიად სამართლიანად შიამნიათ ბაგრატი მუხრან-ბატონად (რადგან ის მუხრანს მონადიმეა, იქ დაიჭირა ბატონობა, „ხელყო საყდართ აშენება“ და „ძველი ტახტი განაახლა“). მეორე მხრივ, ეს ბაგრატი პირველი ჩანართის მიხედვით კონსტანტინეს მონაცვლეა, ბაგრატის ნაყოფიერ საქმიანობას („იენგი ყალა წაულო მტერთა“) „გაუყმაწვილებია“, ალბათ, საკმაოდ მოხუცი კონსტანტინე. მართლაც, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი კონსტანტინე მეფე (1478—1505), რომელსაც შვილი მუხრან-ბატონი ჰყავდა. ისტორიულად ცნობილია, რომ მუხრან-ბატონობა შეიქმნა გარკვეული მიზნით სწორედ კონსტანტინეს-ძე ბაგრატისათვის 1512 წელს. „როსტომიანის“ გამლექსავსაც ეს მომენტი უნდა ჰქონდეს მხედველობაში, როდესაც ამბობს ბაგრატზე: „მუხრანს შექმნა ნადიმობა, ხელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა, ძველი ტახტი განაახლა“ და სხვ. ბაგრატი პირველი მუხრან-ბატონის სულიერ განწყობილებას სავსებით ეგუება ბაგრატის პასუხის სასულიერო-ბერული ხასიათი (ბაგრატი პირველი 1539 წელს ბერად აღიკვეცა). ერთი სიტყვით, დამოწმებული ჩანართები საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ „როსტომიანის“ გამლექსავი სერაპიონ საბაშვილი მივიჩნიოთ ქართლის მეფე კონსტანტინე დიდისა და მისი შვილის, ბაგრატი მუხრან-ბატონის, თანამედროვე და თანამოღვაწე პიროვნებად. აქედან გასაგები ხდება პოეტის სიტყვები „ხელმწიფეთა თანაზრდილობის“ შესახებ. ამასთან აღსანიშნავია, რომ „როსტომიანის“ ერთი ნაწილი საბაშვილს გაულექსავს კონსტანტინეს სიცოცხლეში (კონსტანტინე 1505 წელს გარდაიცვალა), მეორე ნაწილი კი შეუსრულებია კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ. საგულისხმოა, რომ

მეორე ჩანართში მხოლოდ ბაგრატი მოხსენებული და ისიც მუხრანში მჯდომად, ანუ მუხრან-ბატონად (როგორც ვიქციით, მუხრან-ბატონობა ბაგრატიმა მიიღო 1512 წელს); მართლაცდა, ამ დროისათვის კონსტანტინე უკვე კარგახნის მკვდარია.

ამრიგად, საბაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა მიეკუთვნება XV საუკუნის გასულსა და XVI დასაწყისს. ამ დასკვნასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება „როსტომიანზე“ მომუშავე კედელაურ-საბაშვილისა და მწიგნობარ საბა კედელას-შვილის დაპირისპირება. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ საბაშვილის საწმობლო მრეველში XVIII საუკუნის აღწერილობის მიხედვით სახლებულან კედელაურნი.¹ საბა კედელას-შვილის ჩამომავლობა გვაროვნულად იქნებოდა კედელაური, ხოლო მამა-შვილობის განშტოებით საბას-შვილი (საბაშვილი, ან საბაური). მაშასადამე, ჩვენ მიღებული გვაქვს ასეთი გვაროვნული ხაზი: კედელაური საბას-შვილი (კედელაურის გვარი თუ ადრე არა, კარის წიგნობრის საბას მამის კედელასაგან უნდა დაწყებულიყო). ეს გვაროვნული ხაზი ჩამოყალიბებულად ჩანს XV საუკუნის გასულისათვის. ამავე დროს სწორედ ამ ეპოქაში მოღვაწე კედელაური და საბაშვილი „როსტომიანზე“ მომუშავენი ყოფილან. მსგავსი შეხვედრა უდაოდ ცხადპყოფს, რომ კედელაური და საბაშვილი ან ერთიდაიგივე პიროვნებაა, ან მათ შორის მახლობელი ნათესაური კავშირია საგულევებელი. ჩვენ მეორეს ვფიქრობთ. კედელასა და საბას შორის, ცხადია, კედელა უფრო ადრინდელია; კედელაურის მოღვაწეობაც, ალბათ, წინ უსწრებდა საბაშვილის მოღვაწეობას. და, რადგან საბაშვილი „როსტომიანის“ გამლექსავია, კედელაური მისი პროზული ტექსტის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. „როსტომიანის“ მთარგმნელ კედელაურად უნდა მივიჩნიოთ საბა კედელას-შვილის მამა, ან პაპა კედელა. ამის ჩამოშვალს, კონსტანტინესა და ბაგრატის თანამედროვე სერაპიონ საბაშვილს, განუგრძობა თავისი წინაპრის დაწყებული საქმე. როგორც საბა კედელაური, ისე სერაპიონ საბაშვილი მეფეებთან დაახლოვებული და განათლებული მდივან-მწიგნობარი ყოფილა, ჩანს მდივან-მწიგნობრობა კედელაურთა საგვარეულო ხელობას შეადგენდა. უშუალო სამდივან-მწიგნობრო საქმიანობასთან ერთად კედელაურებს დიდი სამსახური გაუწევიათ ქართული კულტურისათვის ფირდოუსის განთქმული ნაწარმოების გადმოქართულების სახით.

¹ უღრ. ე. თაყაიშვილის მასალანი, გვ. 451.

ზოგიერთი ხელნაწერის ცნობით საბაშვილს გაუღეკსავეს „ზალის შობით ლორასპამდის“, თვითონ მელექსე პროლოგში ამბობს „ქაიხოსრომდი გავღეკსავე“-ო. ჯერჯერობით ღიად ესტოვებთ საკითხს იმის შესახებ, თუ სახელდობრ სანამდისაა მიტანილი საბაშვილის გაღეკილი ტექსტი. ვერაფერს ვიტყვი საბაშვილის უშუალო გამგრძელებლის ვინაობაზე. ეს კია, რომ „როსტომიანის“ შუა ნაწილი რედაქციულ-სტილისტიკური ხასიათით საკმაოდ განსხვავდება თავ-ნაწილისაგან. არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ საბაშვილს საერთოდ ამაყი და გამომწვევი ტონი ახასიათებს, მოვიგონოთ თუ გინდ უკვე ნაცნობი ტაეპები:

ამ როსტომთა გამღეკსავე სოგრატიძე საბაშვილი
მხატვარია ხელოვანი, ლექს-ულევი, სიტყვა-ტკბილი.

ანდა კიდევ (პროლოგიდან):

ბრძენნი ვინცა ხართ, გასინჯეთ, სცანთ ჩემი დანაპირობა:
გამომიჩნდების ლექსზედა აწ ჩემი გულმახვილობა.

მაგრამ ეს ცოტაა, საბაშვილის კადნიერება ისე შორს მიდის, რომ რუსთველსაც კი ეჯიბრება:

ნაძღვეი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა, ჩემ ოდნობა-ო.

დიდად საეჭვოა, რომ ამ მოქარბებულად თავმომწონე, თუმცა „მრავალთა მონახულ“ და უდაოდ ნიკიერ მელექსე-ოსტატს სხვაადგილას ასე უნდილად ეთქვა:

რაცა თურქთა დაემართა, მელექსემან ვერა ვთქვია-ო.

მოტანილი ტაეპი რომელიმე დღეს ჩვენთვის უცნობ კალმოსანს უნდა მივაკუთნოთ.

უფრო ზუსტი ცნობები მოგვეპოვება გაღეკილი „როსტომიანის“ მესამე მოამავის, ხოსროთურმანიძის შესახებ.

ხოსრო თურმანიძე

ხოსრო თურმანიძე „როსტომიანის“ ბოლო ნაწილის გამღეკსავია, მაგრამ შიგადაშიგ ტექსტის ცალკეული დაკლებული ეპიზოდე-

ბიცი გადმოუღია: საბაშვილისაგან განსხვავებით თურმანიძეს ხელთ სპარსული დედანი ჰქონია და ტექსტი უშუალოდ იქედან უთარგმნია. თურმანიძის შესახებ სათანადო ბიბლიოგრაფიული ცნობებიც დართულია „როსტომიანის“ ცნობილ ეპილოგში:

კურთხეულმც არის უფალი, ყოვლის მპყრობელი, ზესია,
მე ხოსროვ თურმანიძემან ამბავი ვპოვე ესია,
უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
პატრონმან ჩემმან ნიბრძანა: „ქართულად
სწერე ესია.“

სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაი-
გონების.
მტერი ორგული ყოველი მეფესამც დაელონების;
ცხრაასსამოცდათორმეტსა ლექსს ხოსროვ
მოეგონების,
ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვასა ნურავინ დაელონების.

სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად
თარგმანულთაგან,
პატრონი ჩემი სვიმიონ სვიანმცა არის სულთაგან!
მათსამცა ძეთა მიხედების რომე მოიჩქონ მტერთაგან,
და ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების ხმელთაგან.

ამ ბიბლიოგრაფიული მოწმობით და ქართული „როსტომიანის“ ტექსტუალური ანალიზით ცხადი ხდება, რომ ხოსრო თურმანიძეს „პირველად თარგმანული“ ტექსტი დედნისთვის შეუდარებია და აღმოუჩენია, რომ „სპანდიერ-ბარზუს“ ამბების გარდაც „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა“. პირადად ხოსროს უკისრია დასახელებულ „სპანდიერ-ბარზუს“ ამბების სრულყოფა: „სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“-ო. საყურადღებოა, რომ სპანდიერ-ბარზუსის მოკლე ამბავი ხოსრომდის ყოფილა „როსტომიანიში“ (ესაა სტროფები 5175—5186). ხოსროს სრულყოფია სპანდიერის ამბავი. საკუთრივ ხოსროს უნდა მიეკუთვნოს „შპ-ნამეს“ ქართული ვერსიებიდან (II, 1934) სტროფები 5173—5174, 5187—5663. აქედან პირველი-ორი სტროფი (5173—5174) პირვანდელ ტექსტშია ჩართული. საგულისხმოა, რომ ხოსრო პირდაპირ იმეორებს ძველი ტექსტის თითქმის ერთ მთელ სტრიქონს (შდრ. 5173, 1 და 5175, 1).

ამრიგად, ხოსრო თურმანიძის თარგმანი არსებითად იწყება ზარდაშტის (ზარატუსტრას, ან ზოროასტრის) გამოჩენიდან, ე. ი. 5189 სტროფიდან [5187—5188 სტროფები ერთგვარი შესავალია, ხოლო 5173—5174 თავისებური ჩანართია] და გრძელდება ქართული „როსტომიანის დასასრულამდის. გარდა ამისა ხოსრო თურმანიძეს უთარგმნია მთლიანად ბარზუს ამბავი (3800—4176). როგორც ჩანს, ხოსროს ხელთ ჰქონია „შაჰ-ნამეს“ ინტერპოლირებული ვრცელი რედაქცია, ხოლო ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია უფრო მოკლე და უფრო სანდო რედაქციის მიხედვით. ლენინგრადის კოლექციების აღწერილობიდანაც ჩანს, რომ XVI—XVII საუკუნის ხელნაწერები მეტნაკლებად ყველა ვრცელი რედაქციისაა (შდრ. Рукописи Шах-Намэ в Ленинградских собраниях, Л. 1934). ხოსროს შეუნიშნავს ქართული „როსტომიანის“ მნიშვნელოვანი დანაკლისი ვრცელ რედაქციებთან შედარებით და ზოგიერთი ეპიზოდი კიდევაც უთარგმნია. ასეთია დასახელებული ბარზუს ამბავი, ასეთია ჩვენი აზრით აგრეთვე „აქა ქაიხოსროსაგან ჯანის ხოიშანი და ხელმწიფედ დალოცვა“ (4929—4946), რომელიც შეტანილია ვულერსის გამოცემაშიც (III, გვ. 1400—1404), თუმცა მსწავლულ გამოცემელს ის ჩანართად მიაჩნია. ხოსროს თარგმანად უნდა იქნას მიჩნეული თეთრი სპილოს ამბავი (1838—1878) და ზოგიერთი სხვა წერილი ეპიზოდი. საერთოდ, ხოსროსეულ თარგმანად მიგვაჩნია ჩვენ „როსტომიანის“ შემდეგი ტექსტები:

1. ზავარის ეპიზოდი, 7 სტროფი (ვერსიები, I, გვ. 700—703, სქოლიო).
2. ზურაბის რომანი, 2 სტროფი (ვერსიები, I, გვ. 718, სქოლიო).
3. ზურაბის ბრძოლის ეპიზოდიდან, 5 სტროფი (I, 746—747, სქოლიო).
4. თეთრი სპილოს ამბავი, 41 სტროფი (1838—1878 სტროფები ძირითადი ტექსტისა).
5. ფარემუზის ეპიზოდი, 16 სტროფი (3538,1—16 სტროფები პარალელური ტექსტისა).
6. ჯანის ხოიშანი, 18 სტროფი (4929—4946).
7. ბარზუს ამბავი, 378 სტროფი (3800—4176).
8. სანდიატის ამბავი, 479 სტროფი (5173—5174, 5187—5663).

სულ 946 სტროფი. ხოსრო მიიწერს 972 სტროფს („ლექს“). ამ 972 სტროფიდან აღნიშნული 946 სტროფი ჩვენ უეჭვოდ მიგვაჩნია. ექვს იწვევს ზაალის ამბიდან 15 სტროფი (ვერსიები, I, 318—321, სქოლიო). დანარჩენი ათიოდე სტროფი გაბნეულია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების დიდ ფოლიანტურ ხელნაწერებში.

ერთი სიტყვით, ძირითადად მაინც მთლიანად აღდგენილია ხოსროს ნაღვაწი. ხოსროს „ჩანართებიდან“ აქ ცალკე მინდა გამოვყო ზურაბის რომანის მომთხრობი ორი სტროფი (ვერსიები, I, 718). ამით ერთგვარი ხილია გადებული - ბარზუს წიგნთან, ახსნილია ბარზუს მოულოდნელი გაჩენის ამბავი (ბარზუ იყო ზურაბის შვილი). სხვაგან კი ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. ხოსროს წინასწარ შეუმზადებია ნიადაგი ბარზუს ამბავის გასამართლებლად.

როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, მხატვრული თვალსაზრისით ხოსროს ლექსები უსუსურია. ამ მხრივ საცნებით მართებულია ძველი ქართული მწერლობის პირველი კრიტიკოსის, არჩილის მკაცრი სიტყვები ხოსროს პოეზიის შესახებ:

როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხეასროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს
მომცროსა,
ახლა ცუდად ძევს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.

ოდონდ ეს კია, რომ არჩილი მთელ „როსტომიანს“ შეცდომით მხოლოდ ხოსროს თურმანიძეს მიაწერს,¹ ყოველ შემთხვევაში ის არ ასახელებს „როსტომიანის“ მოამბე სხვა რომელიმე კალმოსანს. არჩილი იმითაც ცდება, რომ ხოსროს ლექსების საზომით აკრიტიკებს ამ განთქმული თხზულების ღირსებას.

„როსტომიანის“ ეპიზოდები ხოსროს უთარგმნია თავისი პატრონის სვიმიონის დაეალებით. ეს ის სვიმიონი ყოფილა, რომელიც ქართლს განაგებდა 1558—1600 წლებში². მაშასადამე, „როსტომიანის“ ქართული რედაქციის შემუშავება XVI საუკუნეში დასრულებულა.

7. ზ ა ა ძ ი ა ნ ი

ზააქის თავგადასავალი ცალკე მოთხრობის სახით გაულექსავს მამუკა მდივანს. ამის შესახებ ავტორი ამომწურავ ცნობას იძლევა თხზულების შესავალში:³

მეფის მდივანმან მამუკამ ვთქვი ესე ზააქიანი-ო.

¹ თითქმის ამავე შეცდომას ჩადის პროფ. ი. აბულაძეც.

² პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 180—181; აღ. ბაბიძე, შენიშვნები შაპ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, გვ. 86—87.

³ ტექსტი გამოცემულია ი. აბულაძის მიერ (ვერსიები, სტრ. 1—114).

მამუკა მდივანი ტყვედ ყოფილა ოდიშს, ლევან დადიანის (1611--1657) კარზე და იქ „პატრონის“ დავალებით უკისრია ეს შრომა. პირმოთნე თავაზიანობით პოეტს ლევანის ხოტბაც გამოუთქვამს და „ზააქიანისათვის“ წაუშმძღვარებია:

ოდიშს ტყვედ ვიყავ, გაელექსე, მე თავსა უყავ ზიანი,
ვინცა შენდობა მიბრძანოთ, თქვენი არ იყოს ზიანი.
ქება ვით ვჰკადრო მე ლომსა და მზეებრ მანათობელსა,
ხელმწიფეს, პატრონს დადიანს ლევანს, ოდიშის
მფლობელსა...

ხელმწიფის, მანუჩარისა ძე არის მტერთა მზარავი,
ლევან არს მისი სახელი, მტერთა სრვად დაუფარავი...
პატრონთ მიბრძანეს, გავლექსე ამბავნი ზააქისანი.

მამუკას 1647 წელს გადაუნუსხავს „შაჰ-ნამეს“ გაგრძელების, ე. წ. უთრუთიან-საამიანის, ქართული პროზული ვერსია. ამ ნუსხის მინაწერიდან ვტყობილობთ, რომ მამუკა მდივნის გვარი თავაქალაშვილი ყოფილა. თავაქალაშვილები იყვნენ იმერთა მეფეების მდივნები; როგორც ჩანს, ამ წრეს ჰკუთვნებია მამუკაც. პოეტი ტყვედ ჩავარდნია ლევანს (რომელსაც იმერეთთან ხშირი ომები ჰქონდა), დიდხანს დარჩენილა პატრონის კარზე და ნაყოფიერი ლიტერატურული საქმიანობა უწარმოებია (მამუკას გადაუწერია, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი უძველესი დათარიღებული და ილუსტრირებული ნუსხა 1646 წლისა). როგორც ზევით აღნიშნული გვაქვს, „ზააქიანის“ საფუძვლად ავტორს აუღია ქართული პროზული ტექსტი.

ტექსტის გალექსევაზე მუშაობისას მამუკას განკარგულებაში ყოფილა საკუთრივ „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზული თარგმანი და ქართულივე პროზული თარგმანი „შაჰ-ნამეს“ გაგრძელებისა, უკანასკნელში ზააქის ამბავი უფრო ვრცლად არის მოთხრობილი. საყურადღებოა, რომ ერთიცი და მეორეც მამუკას თვითონ გადაუნუსხავს ოდიშში. მაინცადამაინც ძირითად სახელმძღვანელო წყაროდ მამუკას აუღია „შაჰ-ნამეს“ თარგმანი, გაგრძელების ტექსტით კი მხოლოდ ნაწილობრივად უსარგებლია. ავტორს სიზუსტით დაუცავს თავის წყაროს ყოველი სუჟეტურ-შინაარსეული დეტალი, მაგრამ ამბავი საერთოდ ძლიერ შეუმოკლებია. თუ პოეტს დაუჯერებთ,

მას თითქოს საგანგებოდ ჰქონია დავალებული „მოკლედ ამბისათქმისანი“. „ზააქიანის“ გალექსვა დაწყებულა „როსტომიანის“ საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ. „როსტომიანის“ ზოგიერთი მოტივი მამუქას ანაქრონიკულად შეუტანია თავის პოემაში. ასე, მაგალითად, ფრიდონ-ზააქის ომი ნაადრევად არის გაგებული ერანთურანის ომად:

ქავამ დროშა გაიძღვანა, გიო მოვა ყვირილითა,
თ უ რ ა ნ ე ლ თ ა დაუძახა: „თქვენ მორჩებით ახლა რითა?“
ქავსა, გიოს გაემარჯვა, თ უ რ ქ ნ ი ყ რ ი ა ნ ზ ა ა ქ ი ს ნ ი.

უადგილოდ არის მოთხრობაში გამოყვანილი ერანელთა განთქმული გმირი გივი (ქაიხოსრო რომ თურანიდან გამოიყვანა):

მას ქავა წინ მიეგება, დროშა თან ახლავს სვიანი,
ს ხ ვ ა ე რ ა ნ ე ლ ი მ რ ა ვ ა ლ ი და გივი სახელიანი.¹

აფთიონი² და საერთოდ ფრიდონის მომხრეები „ზააქიანშიც“ „როსტომიანის“ მსგავსად ქრისტიანებად იწოდებიან:

ალაპი უყვეს აფთიონს ხელმწიფურისა წესითა,
ეფისკოპოზი აწვიეს ქრისტიანობის წესითა;
ქამი სწირეს და ილოცეს მათის კრებულის წესითა,
თვალ-მარგალიტსა მიართმენ სავსეს ოქროსა თეფშითა.

პროზული დედნის შემოკლება „ზააქიანით“ ისე შორს მიდის, რომ, მაგალითად, ჯიმშედ-ზააქის ომის მთელი ამბავი მხოლოდ ერთ სტროფშია ჩატეული:

ჯიმშედს დასძლია ომითა, აჯობა მისით ხერხითა,
მართლა არ მოჰკლა წყეულმა, გაჰკვეთა შუა ხერხითა;
ტვინით გველები დაადლო უბედურისა ფერხითა,
აფთიონიცა მან მოჰკლა არ-ხელმწიფურის წესითა.

¹ შესაძლოა აქ გივი გიოს მონაცვლეობდეს, მაგრამ ესეც „როსტომიანის“ გაგონის შედეგი იქნებოდა.

² ფრიდონის მამა, რომელიც ზააქმა მუხთლად მოაკვლევინა.

8. შაჰ-ნამეს მიზაქვა-გაგრძელება

როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, ფირდოუსს მრავალი წამბაძველი გაუჩნდა სპარსულსა, თურქულსა და სხვა ენებზე. ზოგი წამბაძველი თავის მასალად იმავე სპარსულ ნაციონალურ გადმოცემებს იღებდა, რაც „შაჰ-ნამეში“ უკვე იყო მოთხრობილი, მაგრამ წამბაძველი ამ მასალებს ასხვაფერებდა, ჩვეულებრივად ძალზე აფართოებდა ზღაპრულ-ფანტასტიკურ მოტივებს და „შაჰ-ნამეს“ ერთგვარი გაგრძელების სახეს აძლევდა. მსგავს თხზულებათაგან სპარსულად ცნობილია „საამ-ნამე“ (საამის წიგნი), „გურჯასპ-ნამე“ (გურჯასპის ან გორჯასპის წიგნი), „ბეჰმენ-ნამე“ (ბეჰმენის წიგნი), და სხვ. ამავე ტიპს ეკუთვნის „ბურზო-ნამეც“ (ბარზუს წიგნი), სადაც აწერილია ზურაბის შვილის ბარზუს საგმირო თავგადასავალი. აღნიშნული ციკლიდან ქართულ ენაზე მოიპოვება რამდენიმე ძველი როგორც პროზით, ისე ლექსით:

1. უთრუთიან-საამიანი (სათაური პირობითია).
2. ბარზუს წიგნი.
3. ბაამანიანი.
4. ფერიდუნ და ზოაქის წიგნი.

„შაჰ-ნამეს“ ზოგიერთი წამბაძველი კი ისეთ თქმულებებს ამუშავებდა, რაც თვითონ ფირდოუსს არ მოეპოვება, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მელექსენი უხეშად ჰბაძედნენ თავიანთ პროტოტიპს, „შაჰ-ნამეს“ გეგმაზე აგებდნენ მოთხრობას, იმეორებდნენ მის პოეტურ ხერხებს, სტილს, იდეურ გაფორმებას და სხვ. უკანასკნელი ტიპის თხზულებებს ჩვეულებრივად ახასიათებს ნაძალადეობა, ხელოვნურობა, მომბეზრებელი განმეორება-ერთფეროვნება და მისთანანი. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში ძველად პოპულარული ყარაამანიანი და სეილანიანი.

I. უთრუთიან-საამიანი

აქ ძირითადად იგივეა მოთხრობილი, რაც ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ გადმოცემული დასაწყისიდან ზაალის შობამდის. მაგრამ ეს ამბები „უთრუთიან-საამიანში“ უაღრესობამდეა გაფართოებული, შეიცავს ფირდოუსისათვის უცნობ უამრავ შინაარსეულ დეტალს, ახალ მოქმედ პირებს, განსხვავებულ სიტუაციებს და სხვ. ფირდოუსისათვის, მაგალითად, უცნობია თვითონ უთრუთი¹, რომელიც მოთხრობის უმთავრეს გმირს წარმოადგენს (უთრუთი საამ-როსტო-

¹ საყურადღებოა, რომ უთრუთი გვხვდება „შაჰ-ნამეს“ გმირებთან (საამთან, ზაალთან, სალიმთან, თურთან, როსტომთან) ერთად ე. წ. აბდულ-მეისიაში (H. Март, Древне-грузинские Одописцы, 15, 3—4).

მის წინაპრად არის გამოყვანილი, მოღვაწეობდა თაპმურასის მეფობაში). საერთოდ „შპ-ნამესებურია“ „უთრუთიანში“ მეფეთა გენეალოგია, მაგრამ განსხვავებულია გმირთა გენეალოგიის პარალელური შტო.

უთრუთიან-საამიანი თავდაპირველად პროზულად უთარგმნიათ, პროფ. ი. აბულაძის მოსაზრებით: ¹ „XVI საუკუნის პირველსავე წლებში“, ხოლო პროფ. კ. ქეკელიძის შენიშვნით ² „არა უგვიანეს მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა“. ეს პროზული ტექსტი ჯერ არ გამოცემულა და ორი დეფექტური ხელნაწერთა არის ცნობილი (საქართველოს მუზეუმის წ. კ. კოლექცია № 1594 და იმავე მუზეუმის ს. ს. კოლექცია № 921; პროზულ უთრუთიან-საამიანს შეიცავს ნაწილობრივად აგრეთვე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 50, იოვანე ბატონიშვილის კოლექციიდან).

თხზულების პირველი ნაწილი, სახელდობრ უთრუთის ამბები, სიტყვა-სიტყვით გაულექსავეს XVII საუკუნის ვილაც ანონიმ მწერალს. „უთრუთიანის“ ეს ლექსითი რედაქცია ცნობილია ერთადერთი ხელნაწერთი (საქართველოს მუზეუმის ს. ს. კოლექცია № 61). ზაქის ამბებით ამ თხზულებიდან, როგორც თავის ადგილას შევნიშნეთ, ნაწილობრივად უსარგებლია მამუქამდივანთავე აქალაქეილს. საამის ამბები კი ლექსად შეუწყვია „საამიანის“ სახელწოდებით ბარძიმვაჩნაძეს. ვაჩნაძე ზედმიწევნითი სიახლოვით იმეორებს თავის პროზულ დედანს და მხატვრულ ღირსებებსაც არაა მოკლებული. „საამიანი“ „ზაქიანის“ უშუალო გაგრძელებაა. საფიქრებელია, რომ ბარძიმვაჩნაძეც ლევან დადიანის ტყვეობაში მყოფი კარის პოეტი ყოფილიყოს მამუქასთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, არჩილის მოწმობითაც „საამიანი“ სამეგრელოშია (ოდიშშია) გალექსილი:

ბარძიმვაჩნაძემ გალექსა საამის წიგნი ოდიშსა, —

სხვას მელექსესთან ჯდომაში უხამს იხდიდეს ბოდიშსა.

თუ არ შეეძლო, რისთვის თქვა, რად შეიქს საამბოდ იშსა?

ვეპე, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უხემდენ საშიშსა ⁴.

¹ შპ-ნამეს ქართული ვერსიები, გვ. XXI.

² ქართ. ლიტ. ისტ., II, 185.

³ საამიანის ტექსტი დაბეჭდილია ი. აბულაძის გამოცემაში (ვერსიები, სტრ. 115—1081).

⁴ სხვა ადგილას არჩილი ამბობს: „ოდეს ყრმა ვიყავ, მეკითხა ამბავი მე საამისა“-ო.

ამრიგად, ბარძიმ ვაჩნაძეც მამუქას თანამედროვე მოღვაწე ყოფილა. როგორც მამუქას „ზააქიანი“, ისე ბარძიმის „საამიანი“ ადრევე შეუტანიათ „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ქართულ კრებულში, თუმცა, როგორც ახლა ვიცით, მამუქას „ზააქიანი“ მართლაც ემყარება ფიროდოუსის „შაჰ-ნამეს“, ხოლო „საამიანი“ „შაჰ-ნამეს“ რომელიღაც წამბაძველ-გამგრძელებლის თხზულებას შეიცავს.

ბარზუს წიბნი

ბარზუ იყო თურანელი გმირი, ერანელებს თავზარი დასცა, დაატყვევა მათი ერთერთი მხედართმთავარი ტუსი და ქექაოზ მეფის შვილი ფარემუზი. ტყვეების გამოსახსნელად წავიდა თვითონ როსტომი, მაგრამ ბარზუსთან რკენისას სასტიკად დამარცხდა, ბარზუმ როსტომს მხარი მოსტეხა. როსტომს მიეშველა მისი შვილი ფარემუზი, უკანასკნელმა ბარზუ საგდებლით შეიპყრო, ბორკილი დაადვა და ციხეში ჩასვა. ამ ამბის გაგონებაზე ერანში გაჩნდა ბარზუს დედა, იქ ის ვაჟრად შედგა და ერთი მოახლე ქალის დახმარებით შვილი დაიხსნა. დედა და შვილი რომ თურანში ბრუნდებოდნენ, გზად შეეყარნ ერანელ გმირებს: როსტომს, ზავარს (როსტომის ძმას) და გურგენს. გაიმართა ბრძოლა. პირველად გურგენი გავიდა და დამარცხდა. შემდეგ როსტომის ჯერი მოვიდა. შეტაკება უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ როსტომი გააკვირვა ბარზუს მამაცობამ, მორიგება სთხოვა და შეჰპირდა პატივს, დიდებას, მამულს. ბარზუ უარზე დადგა. მაშინ როსტომმა მზაკვრობა ირჩია და მოწინააღმდეგის მუხანათურად მოწამლვა მოინდომა. მეორე ბრძოლაში როსტომმა მიანიც აჯობა ბარზუს თავისი გრძნეული რაშის დახმარებით და წაქცეულ ჭაბუკს ყელზე ხანჯალი დააბჯინა. დედის სასოწარკვეთილმა კივილმა შეაჩერა როსტომის ხელი. გამოიკვია, რომ ბარზუ ზურაბის შვილი ყოფილა. როსტომმა გაიხარა, დიდი სიყვარულით გადაეხვია შვილის-შვილს და თან წაიტანა ზაულის-ტანში.

ამ მოკლე შინაარსიდანაც ჩანს, რომ ბარზუს ამბავი ზურაბის ეპიზოდის წაბაძვა-გაგრძელებაა. როგორც აღვნიშნეთ, სპარსულად მართლაც ცნობილია „შაჰ-ნამეს“ გაგრძელებად შეთხზული „ბურზონამე“. ჩანს, ქართული ტექსტი აქიდან უნდა მოდიოდეს. ბურზონა ეპიზოდი ადრითგანვე შეუტანიათ „როსტომიანის“ კრებულში, როგორც როსტომის თავგადასავლის შემცველი მოთხრობა, თუმცა

არსებითად ამ ეპიზოდს არაავითარი საერთო არ აქვს „როსტომიანის“ ძირეულ სხეულთან არც შინაარსეულად და არც კომპოზიციურად. ამბავი ატარებს მექანიკურად ჩართული ნაწყვეტის ყოველგვარ ნიშანს და, სხვათა შორის, სტილისტიკური უილაჯობითაც ძალზე გამოირჩევა¹. ბურზოს „ნაწყვეტი“ საკმაოდ მოზრდილია და 378 სტროფიდან შედგება. უთარგმნია ის ხოსრო თურმანიძეს (დააღბათ, მასვე ჩაურთავს „როსტომიანის“ კრებულში).

წიგნი ბაამან ხელმწიფისა

ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი დეფექტური ხელნაწერით (საქართველოს მუზეუმის კოლექცია, № 999). ტექსტი პროზულია, სტილისტიკურად ძლიერ უახლოვდება „უთრუთიან-საამიანის“ ტექსტს და ამისი თარგმანიც დაახლოვებით XVI საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს,

თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: ბაამანს (სპანდიერის მემკვიდრეს) უღალატა მისმა ცოლმა ქეთევანმა. შეურაცხყოფილი ჭაბუკი მისრეთში გარდაიხვეწა, შეირთო მისრეთის მეფის გმირი ასული და სიმამრის დახმარებით შური იძია პირველ ცოლზე და მის საყვარელზე (მონა ლულეზე). ამას მოჰყვება როსტომის შზაკერული სიკვდილი შუყაფის მიერ. ბაამანს აგონდება მამის სიკვდილი როსტომის ხელით და სისხლის აღებას შეუდგება. რამდენიმეჯერ დალაშქრა სისტანი, ამოწყვეტა ზაალის ჩამომავლობა, ცოცხალი გადარჩნენ მხოლოდ როსტომის რაინდი დები და შვილისშვილი ბარზინი. თვითონ ზაალს ბაამანმა სიცოცხლე შეუნარჩუნა, თუმცა ბოროტებით შეკრა და ციხეში გამოამწყვდია. ამის შემდეგ ბაამანი წავიდა როსტომის საფლავის წასაბილწავად, მაგრამ სიზმარში ნახა, რომ სახლოვანმა გვარჯასპმა, ქაიხოსრომ და სიხოშმა გაჰკიცხეს მისი საქციელი. ამის შემდეგ ზარდაცემულმა მეფემ შეგინების ნაცვლად პატივით მოიკითხა ზაულელი გმირების საფლავი და უკან დაბრუნდა, კვლავ გააშენა სისტანი, გაანთავისუფლა ზაალი და როსტომის დები. გავიდა ხანი და განახლდა ომები სისტანსა და ბაამანს შორის. ამიერიდან წინაპრების სისხლის ძიება იკისრა ბარზინმა და ზურაბის შვილმა როსტომ-თურმა. ამათ მიემხრო როსტომის დებიც. ბაამანს ესარჩლებოდა საბერძნეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები. მაინცადამაინც საბო-

¹ ბარზუს ამბავის შემცველი ტექსტი ამჟამად დაბეჭდილია „შპ-ნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომში (სტრ. 3800—4176).

ლოოდ ბაამანი დამარცხდა და გარდაიხვეწა [ხელნაწერი ამაზე წყდება].

ფერიღუნ და ზოაქის წიგნი

ეს თხზულება შეიცავს ფრიდონისა, ზააქისა და საამ ფალავანის ზღაპრულ ფანტასტიკურ ამბავს, განსაკუთრებით ვრცლადაა მოცემული საამის რომანული ისტორია. „ფერიღუნ და ზოაქი“ შინაარსეულად ძალზე განსხვავდება როგორც „შაჰ-ნამესგან“, ისე „შაჰ-ნამეს“ უკვე ზევით განხილულ წაბაძვა-გაგრძელებისგან¹. ძეგლისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი თურქული რეალიები. ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერის ცნობითაც ტექსტი „თათრულიდან“ ნათარგმნი ყოფილა: „აქა დაიწყების ჯიმშიდ ხელმწიფის ერანის მპყრობელის ამბავი, თათრულიდამ ქართულს ენაზიდ გარდმოღებული, რომელსა ეწოდების „როსტომიანი“-ო. ჩვენი აზრით, ეს ცნობა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს. ძეგლი შენახულია გვიანდელი (XVIII საუკუნის გასულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის) დროის ხელნაწერებში, სტილური თვალსაზრისით ვულგარულია და მაინცდამაინც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უადრესი არ უნდა იყოს. ტექსტი ცნობილია მხოლოდ პროზული რედაქციით.²

¹ თხზულების შინაარსი გადმოცემულია ჩვენს ნარკვევში: „შენიშვნები შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ“, გვ. 89—93. იქვეა ტექსტის უფრო ვრცელი გარჩევა.

² დოც. დ. კობიძის დაკვირვებით „ფერიღუნ და ზოაქის წიგნი“ უნდა წარმოადგენდეს „საამ-ნამეს“ თარგმანს („საამ-ნამეს ქართული პროზული ვერსია“, „ლიტ. საქართველო“, 20. VI 39).

რუსულდანიანი

რუსულდანიანი ტიპური ძეგლია საზღაპრო ეპოსისა, რომელიც საგმირო ეპოსთან ერთად ძლიერ გავრცელებულია მესამე პერიოდის ქართულ მწერლობაში. საზღაპრო ეპოსსაც ახასიათებს საგმირო-საფალავნო და სამიჯნურო-რომანტიკული მოტივები, თუმცა ეს მოტივები მნიშვნელოვანად დაჩრდილულია ფაბულურ-სუჟეტური უსაზღვრო ფანტასტიკის ფონით. ზღაპრებში პირველ რიგზეა წამოყენებული ზებუნებრივი ძალები და ზებუნებრივი სიტუაციები. ზღაპრებში ჩვეულებრივად მოქმედებენ დევ-ალქაჯები, ავსულები, გრძნეულები, ჯადოსნები, თილისმები, ფერიები და მისთანანი. მაგრამ საზღაპრო ძეგლების ფანტასტიკა კარგად ეხამებოდა ფეოდალური საზოგადოებრიობის მხატვრულ-ესთეტიურ და სოციალურ-იდეურ წარმოდგენებს. ფანტასტიკის საბურველში მშვენივრად ავლენდა თავს ამ საზოგადოებრიობის სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ზრახვები. გულუბრყვილო თხრობა ფართოდ იტყედა ღრმა საზოგადოებრივ აზრებს. ამიტომაც იყო, რომ საზღაპრო ეპოსი სამართლიანად ითვლებოდა ფეოდალური საზოგადოებრიობის საკითხავი ლიტერატურის ერთერთ უსაყვარლეს დარგად. ქართულად შემონახულია საზღაპრო ეპოსის როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ძეგლები. რუსულდანიანი გამოირჩევა მოტივების სიუბხეითაც და ფაბულურ-სუჟეტური ინტერესითაც.

მოკლე შინაარსი: ზმირინის ქვეყანაში იყო ერთი დიდებული და კეთილშობილი კაცი სახელად აფთვიმიანი. მას ჰყავდა თორმეტი ვაჟი და ერთი ქალი—რუსულდანი. მამამ რუსულდანი მიათხოვა იამანეთის მეფის შვილს, ქრისტიანული სჯულის მიმდევარ მანუჩარს. იამანეთი „უსჯულო“ სპარსეთის მფლობელობაში იმყოფებოდა. ერთხელ სპარსეთის შაჰმა თავის მრისხანე კარზე გაიწვია მანუჩარი. მანუჩარს დიდი ხიფათი მოელოდა. ამან საგონებელსა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო დედოფალი რუსულდანი. მანუჩარი თუმცა სასახლეში დიდი პატივით იქნა მიღებული, მაგრამ უკან გამობრუნება არ ელირსა. შაჰს დაასმინეს, რომ მანუჩარს ჰყავდა მზეთუნახავი ასული როდამი. მანუჩარი იძულებული გახდა თავისი ქალი შაჰის ჰარამხანისათვის დაეთმო. არც ეს აკმარეს. შაჰმა მოი-

თხოვა მანუჩარის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ფრიდონი. შვილების მოშორებამ კიდევ უფრო გაამწარა ისედაც შექირებულ დედა. რუსუდანის დასამშვიდებლად იამანეთში მიდიან მისი მშობლები და ძმები. თითოეული ძმა რუსუდანს თითო ზღაპარს უამბობს. ზღაპრები შინაარსეულად ისეა აგებული, რომ მომქმედი პირები დიდ განსაცდელს ეძლევიან, მაგრამ დასასრულ მაინც აღწევენ თავს ამ განსაცდელს და ყოველივე ბედნიერად ბოლოვდება. მეათე ზღაპრის დასასრულს რუსუდანმა შეიტყო ფრიდონის დაბრუნების სასიხარულო ამბავი (ფრიდონი იწერებოდა, რომ იამანეთის მეფედ დაინიშნა და მალეც ჩამოვალა). თუმცა რუსუდანს გულს უკლავს ქმრისა და ასულის ხვედრი, მაგრამ ვაჟის გათავისუფლებისა და გახელმწიფების ამბავი კაეშნის ტვირთს უსუბუქებს. იმართება ღვთის სამადლობელი ლოცვა და ლხინ-მეჯლისი. რუსუდანი უმცროს ძმებსაც თხოვს ზღაპრების შპობას, ისინი აცხადებენ, რომ არ იციან შესაფერისი ზღაპრები. დედოფალი აფრთხილებს ძმებს: „თუ გარდასრულთა ქუთათა მოსასვლელი არა იცით რა, აწ მოლხენითა შესაქცევეარი რამ გეცოდინებათო“. მართლაც, უმცროსი ძმები სახუმარო ზღაპრების მოყოლით ასრულებენ მოთხრობათა ციკლს. ამის შემდეგ ფრიდონიც დაბრუნდა. დალოცეს და გაახელმწიფეს. აფთვიმიანე ვაჟებითურთ ეთხოვება დედა-შვილს და თავის ქვეყანაში ბრუნდება. გამოთხოვებისას პაპა ასე არიგებს თავის ქაბუკ შვილიშვილს: „უფალსა მონებდი შიშითა; მონაზონთა პატივს სკემდი, რათა ლოცვითა მათითა უფალმან ყოველივე კეთილად განავოს ცხოვრება შენი“ო.

რუსუდანიანის ამ ფაბულური თხრობის ჩარჩოში თორმეტი ზღაპრული ამბავია ჩართული. აი ამ ზღაპრების სათაურები:

1. აქა ამბავი დასაწყისი ხელმწიფის ზოსტერიისა, ზოსიმეს ძისა და ზოსტერიის ძისა ზავისა.

მეზღაპრის მორალური შეგონება: „აწ მომიხსენებია მათ უცხოთა ხელმწიფეთა ლხინიცა და ჭირიცა, და შეაწონ საქმესა შენსა; ცოტად შენცა ცადე მოწივენასა განსაცდელთაცა“.

2. აქა ამბავი ხათაელთა ხელმწიფისა ტომერნისა და ძისა მის[ისა] ჯიმშედისა. კარი მეორე.

შეგონება: „თუ ჯიმშედს დედა არ მოუკვდა მაინცა და იმდენის გრძნებით გამოიხსნა, შენ რად მოიკლავ თავსა და არ მოიცდი, ბრძანებასა მლთისასა შენთვის რა სწაღია“.

3. აქა ამბავი ყვითლის ქალაქისა ხელმწიფის გოსტამისა და ძისა მისისა ხოსროსი. კარი გ.

შეგონება: „თავს რასთვი მოიკლავ, მოიცადე, მღვთისაგან წყალობა რა იქნება შენზედა“.

4. აქა კარი პირველი, დასაწყისი ყაისარ ურუმელთა ხელმწიფისა ყარ[ა]მანისა და ძისა მისისა ყაისრისა. სასმენლად ამო და შევნიერი, რომელსა ყაისარნი ეწოდების. კარი მეოთხე.

შეგონება: „თუ მის ერთისა შვილისა მშობელნი არ დაიხონენ იმისი უცნაურად დაკარგვისათვის და ამდენი მოიცადნეს, თავსა თვისსა რომე ამდენსა მღვთის წყალობასა ღირს იქმნნეს, შენ ხომ იცი, რომ დიდებისა და სიკეთისაკენ წაიყვანეს ძე შენი, შენ რად არ მოიცილი?“

5. აქა ამბავი გლახათ ხელმწიფეთა ნოდარისა და ძისა მისისა გორჯასპისა. კარი მეხუთე.

შეგონება: „აწ მომიხსენებია ეს ამბავი, შეაწონე საქმე შენი და, რაც იმათ ექნას, ის შენ ქენი“.

6. აქა ამბავი ხელმწიფისა იბრაიმისა. კარი მეექვსე.

შეგონება: „ეს არის მღვთის მოყვარეთათვი მღვთისაგან პატივისცემა, რაც მას დაემართა. უკეთუ აცადო უფალსა, შენცა მას მოვლოდე. და თუ არა, და მაგისტანათა საქმითა და მღვთის დავიწყებითა ვერცარას შენ იშოვებ და ვერცარას სხვა“.

7. აქა ამბავი ბერძენთა მეფისა კოსტასი. კარი მეშვიდე.

შეგონება: „ესე არს წესი სოფლისა, რომე კაცმა სულისათვის უნდა იზრუნოს და არა სოფლისათვის. რად მოიკლავ თავსა, არცა მოწყენითა და არცა სიხარულთა უფალი თავისა ნაბძანებსა არ მოშლის, ვერცა ვის ძალუც შეცილება, და მინდობითა მისითა ყოველი კეთილი შეეძლება კაცსა“.

8. აქა ამბავი ამირ ყასუმისა. კარი მერვე.

შეგონება: „შენ რად არ უსმენ ამისთანათა პატრონთა და შენთვის საკვდავად თავგანწირულთა ძმათა? ჩვენ არა სოფლის განშეხად გაწვევთ, არცა დიდებისა დატოვებად, არამედ მოცდასა გენუკით მღვთისა მოწყალებისასა და შეტყობასა სიხარულისასა, რომელ არა საყვარელთა შენთა უნახავად მწუხარებად მოიკლა თავი“.

9. აქა ამბავი დუშმან ქამანქანის ხელმწიფისა. კარი მეცხრე.

შეგონება: „სოფელი ასრე მქნელია, რომელ არცა ვინ ჩვენს წინათ ყოფილა ქირუნახავი და განსაცდელთაგან დიუცდელი, და

არც ჩვენ უკან იქნება. ჩვენ რადღა ვკვდებით ზომისაგან მეტად და მასვე მეუფესა არ ვეაჯები[თ] გამოხსნისათვის ჩვენისა? წარმართულად ქცევითა ღმერთსა რას განვაკვირვებთ, თუ არ კი გავი-რისხებთ?”

10. აქა ამბავი შამის ხელმწიფისა ბანაროზისა და გლახისათვის. [კარი მეთე].

შეგონება: „შენ რად არ დაუთმობ მცირესა მაგას განსაცდელსა და არა დააცადე[ბ] მოწვევად მრავალსა კეთილსა, რომელი განუმზადებია შენთვის ღმერთსა?“

11. აქა ხაზარამთ მეფისა ამბავი და სამთა დელამთ მეფისა ძეთა. კარი მეთერთმეტე.

შეგონება: „ხელმწიფეთა ნათესავთა ჭირი და სიღარიბე მრავალი გარდაუხდია[თ] და კიდევ მრავალი გარდინდიან, მაგრამ ღმერთი ბოლოს მათს გუარისშვილობას არ დაკარგავს, ვითა დელამ მეფის ძეთა არ დაუკარგა.“

12. აქა ამბავი იტიტინე და ილაპარიკესი. კარი მეთორმეტე.

შეგონება: „შენ მღვთისაგან ამას რასთვი არ ჯერიხარ, რომე ყოვლის ბოროტისაგან ადრე იხსნის მოსავსა და მინდობილსა მისსა. რა საკვირველია მღვთისაგან შენთა განსაცდელთაგან გამოხსნა?“

როგორც შინაარსიდან და შეგონებათაგან ჩანს, რუსუდანიანს ახასიათებს დიდაქტიკურ-ალმზრდელობითი და ქრისტიანულ-რელიგიური ტენდენციები. რუსუდანიანის გაგებით, ყოველი განსაცდელი მხოლოდ დროებითი და წარმავალი მოვლენაა, ოღონდ ადამიანმა უნდა დაითმინოს, გამოიჩინოს გამძლეობა და ნებისყოფის სიმტკიცე. თხზულების ავტორი მკითხველს აღუთქვამს ქრისტიანული ღვთის სიკეთეს, მოწყალეობას, კაცთმოყვარებას, თუმცა ურჩთა და ურწმუნოთა მიმართ მრისხანე შურისძიებით იმუქრება. თხზულება კეთილმორწმუნეთ ურჩევს ღვთის წყალობის მოლოდინში ყოველგვარი გასაჭირის უყოყმანოდ ატანას, მარხვასა და ლოცვას, მღვდელ-მონაზონთა პატივისცემას, ეკლესია-მონასტრებისადმი უხვ შეწირულებას და ა. შ. ურჩობა და თვითნებობა განგების წინაშე, ქრისტიანულ-რელიგიური ზნეობრივი ნორმების დარღვევა იწვევს ღვთის საშინელ რისხვასო. უღმობელიაო ღვთიური განჩინება. ადამიანი უძლურია ღვთიური განჩინების ფატალური ძალის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, რუსუდანიანის ზღაპრული ამბების ფონზე მშვენივრად მოხაზულია

ქართული მწერლობის მესამე პერიოდში ძლიერად ფეხმოკიდებული ქრისტიანულ-რელიგიური აზროვნობა. ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოებრიობა ახერხებს თავისი ზეგავლენა მოახდინოს მკითხველი წრეებისათვის ესოდენ საყვარელ ზღაპრულ სუვეტებზედაც. რუსულდანიანში საკმაო სიცხადითაა ასახული სოფლის წარმავლობის პესიმისტური იდეა, ოღონდ ეს იდეა შეზავებულია ქრისტიანული სოფლგაგების მისტიკური ელემენტებით. ამქვეყნიური ცხოვრების ამოებას უპირისპირდება იმქვეყნიური ბედნიერების აღთქმა. დათმენა და თავშეკავება მიჩნეულია ამქვეყნიურ უბედურებათაგან თავდაღწევის საუკეთესო საშუალებად. ამდენადვე რელიგიური მოტივით შენელებულია თვითონ პესიმისტური იდეის მთელი სიმძაფრე.

ლიტერატურის ისტორიკოსნი (დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, კ. ქეკელიძე) აღნიშნავენ აგრეთვე რუსულდანიანის ნაციონალურ ტენდენციას. ამ ტენდენციის არსებობას ნაწილობრივად ნ. მარციც ცნობს. ნ. მარი აღნიშნავს, რომ რუსულდანიანს ახასიათებს „дидактическо-морализующий тон, христианская окраска, национальная, хотя бы в самом слабом проявлении, тенденция“¹. რუსულდანიანის ნაციონალური ტენდენციის აღიარება დაკავშირებულია თხზულების ფაბულის ალეგორიულ გაგებასთან. ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ზღაპრული რუსულდანი ალეგორიულად უნდა გამოხატავდეს ცნობილ ისტორიულ პიროვნებას, რუსულდანი დედოფალს, თამარის ქალს. რუსულდანი დედოფლისა და იამანეთის დრამა XIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში პოულობს თავის პარალელს. ანალოგიურია მრავალი დეტალი: ქართველი მეფეებისა და უფლისწულების შორეულ მონგოლეთ-სპარსეთში გაწვევა, ამასთან დაკავშირებული ხიფათი, „უსჯულო“ ქვეყნების მძლავრობა ქრისტიანულ იამანეთ—საქართველოში და სხვ. ტექსტის მსგავსი გაგებისას ბუნებრივი ხდება ზევით აღნიშნული რელიგიურ-დიდაქტიკური სარჩული. მოძალადე მუსულმანური ქვეყნებით გარემოცვის პირობებში ქართველთა ბრძოლა ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებისათვის ხშირად მოჩვენებით სარწმუნოებრივ-ქრისტიანული ბრძოლის ხასიათს ღებულადა. ეკლესიური საზოგადოებრიობა ამით სარგებლობდა და ხალხში აღვივებდა ფანატიკურ-რელიგიურ გრძნობებს.

¹ Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из „Русуханиანი“ (Восточныя заметки, СПб, 1895, стр. 230).

რუსუდანიანის ნაციონალური ტენდენციის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად იმასაც ასახელებენ, რომ თხზულების მიხედვით ქართულად ლაპარაკობენ უცხოელები—ჩინელები, არაბები, სპარსელები, ფრანგები და სხვ. ქვევით სპეციალურად გარკვეული იქნება უკანასკნელი მოსაზრების უსაფუძვლობა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ისტორიული ანალოგიები მართლაცდა საგულისხმოა, თუმცა პრინციპულად ძალზე სახიფათოა ანალოგიების თვალსაზრისზე დგომა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად. როგორც ცნობილია, ანალოგია-ალეგორიზმის თვალსაზრისის საექვეო ღირსებამ დიდი დაბნეულობა შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემაში.

რუსუდანიანი ქართულ ნიადაგზე დამუშავებული კომპილაციური ხასიათის ნაწარმოებია. ფაბულური სქემა ორიგინალურია. ორიგინალურია ზოგიერთი ზღაპარიც, მაგრამ ზღაპართა უმრავლესობა მაინც ნასესხებია. ძირითადი წყარო მწიგნობრულია (როგორც ქართული, ისე უცხო). გამოყენებულია ხალხური ზეპირსიტყვაობაც. თხზულებაში ზოგან კიდევაც დასახელებულია, ან ყრუდ აღნიშნულია სხვადასხვა ლიტერატურული (და ზეპირსიტყვიერებითი) წყარო. IV ზღაპრის თაობაზე რუსუდანის ძმა ასე იუწყება: „სარკინოზთაგან ერთი ამბავი და სასმენელად შვენიერი მასმია. მათის ენითა მე ქართულად მითარგმანია და მას მოგახსენებ“ო. სხვაგანაც ამავე კარში ნათქვამია: „ეს ამბავი სარკინოზთაგან მოგვესმა, მათის ენითა ჩვენ ქართულად ვთქვით“. დამოწმებულია IX ზღაპრის წერილობითი წყაროც: „მე თვალთა ჩემითა არ მინახავს—ამბობს ზღაპრის მორიგი მთქმელი,—განა დუშმან ქალაქსა ცხოვრებისა ანდერძი დაწერილი მინახავს“ო. რუსუდანიანის შესავალში ზოგადად და ყრუდ ნათქვამია, რომ დედოფალს „მრავალის ქირისა და ლხინის ამბავი უამბიან, მშობელნი სამლთოსა და სამეცნიეროსა ამბავსა უამბობდიან და ნუგეშინის სცემდენ. ძმანი რომელიმე ნახულთა, რომელიმე ნასმენთა, რომელიმე ძველთა წიგნთაგან აღმოკითხულთა ამბავთა უამბობდიან“.

რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროების ძიებას მიძღვნილი აქვს ჩვენი სპეციალური ნარკვევი. ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

დ. ჩუბინაშვილი და ალ. ხახანაშვილი რუსუდანიანს XIII საუკუნის თხზულებად თვლიან, მ. ბროსემ ძეგლის წარმოშობის თარიღი XV საუკუნეში გადმოიტანა, ე. თაყაიშვილმა კი XVI-ში, ხოლო აკად. ნ. მარი და პროფ. კ. კე-

კელიძე XVII საუკუნის მეორე ნახევრის სასარგებლოდ სწყვეტენ საკითხს. ნ. მარმა თავისი მოსაზრება დაამყარა ტექსტის ლექსიკურ რეალიებზე; მკვლევარმა მიუთითა, რომ თხზულებაში იხსენიება ცეცხლისმფრქვეველი თოფი, მექანიკური საათი და მონეტა აბაზი. აქედან განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასათარიღებლად უკანასკნელი, მონეტა აბაზი. ეს მონეტა დაკავშირებულია შაჰ-აბას დიდის (1587—1629) სახელთან. მაშასადამე, ამით შეუძლებელი ხდება რუსუდანიანის წარმოშობა XVI საუკუნის გასულის უწინარეს დროზე. ჩვენც კვევით ვარკვევთ, რომ რუსუდანიანზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია XVI საუკუნის გასულს ჩამოყალიბებულ ერთ თხზულებას.

მაშასადამე, კიდევ ზედმეტად დასტურობდა რუსუდანიანის წარმოშობის ე. წ. ante quem non თარიღი, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნა. ნ. მარს ძლიერ აფიქრებდა ის გარემოება, რომ რუსუდანიანის მდიდრული სალექსიკონო მასალით არ სარგებლობს სულხან-საბა ორბელიანი. ამით შესაძლებელი ხდება რუსუდანიანის XVII საუკუნის ბოლო წლებში გადმოტანა (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირველი რედაქცია 1685 წელს დამთავრებულია). პროფ. კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ რუსუდანიაში იხმარება ისეთი სამოხელეო ტერმინები (მოლარეთუხუცესი, სოღბათიასაული, ეშიკაღაზი, ყორჩიბაში), რომლებიც შემოულია როსტომ მეფეს (1634—1658). ამის მიხედვით პროფ. კ. კეკელიძე ასკვნის: „რუსუდანიანი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე უადრესი ნაწარმოები არაა“¹. ერთი სიტყვით, შეიძლება საბოლოოდ დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ რუსუდანიანი შეთხზულია არა უადრეს XVII საუკუნისა, საფიქრებელია ტექსტი ეკუთვნოდეს XVII საუკუნის ბოლოს. სხვათა შორის, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თხზულების გვიანდელი ვულგარული ენობრივი ფორმები, თუმცა შიგადაშიგ ზვიადი მწიგნობრული და ეკლესიურ-პიიტიკური კილოც გვხვდება. რუსუდანიანის ენობრივ-სტილისტიკური ნაირობა გამოწვეულია უმთავრესად თხზულების წყაროების ნაირობით. რუსუდანიანის ავტორის ვინაობა უცნობია. ხელნაწერებს დაუცავთ მინაწერები: „საუკუნომცა არს სახსენებელი დედოფლის ელენესი“ და „ღმერთო, წარუმართე ფაღავას ქალს როდამს“. ამის გამო პროფ. კ. კეკელიძე შენიშნავს: „შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ როდამ ფაღავას ქალი იყო თანამედროვე ელე-

¹ ქართული ლიტ. ისტორია, II, 506.

ნე დედოფლისა, მასთან დაახლოებული და ინიციატორი რუსულდანიანის დაწერისა¹. როდამ ფალავას ქალი თავის დროის ცნობილი მეცენატი ყოფილა, მისი სახელი შემოუნახავს ზოგიერთ სიძველეებს. როდამ ფალავას ერთერთი შეწირულების საბუთი დათარიღებულია 1727 წლით². თუ არ ამ თარიღის გვიანდლობა, შესაძლებელი იყო პროფ. კ. კეკელიძის ჰიპოთეზის გაზიარება.

რუსულდანიანის სრული ტექსტი დაცულია მხოლოდ ხელნაწერებში. მეორე ზღაპარი მთლიანად, ხოლო მეცხრე ნაწილობრივად გამოსცა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (ქართული ქრისტომატია, 1846, I, 36—73; 1863, I, 69—85). მეთერთმეტე ზღაპარი რუსული თარგმანითურთ დაბეჭდა ნ. მარმა (Восточные заметки, 236—246). მეექვსე ზღაპარი ჩვენ გამოვაქვეყნეთ (ანთოლოგია, II, 1928, 83—90). მეთორმეტე ზღაპარი დაიბეჭდა ა. შანიძის, ალ. ბარამიძისა და ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენისა და ქრესტომათიის“ პირველ გამოცემებში (თბ. 1934, 1935, 1936). მთელი თხზულების ვრცელი შინაარსი მცირეოდენი შეცდომებით გადმოცემული აქვს ალ. ხახანაშვილს (Очерки, III, 7—52).

რუსულდანიანის მეორე ზღაპარი ჯიმშედნიანის სახელწოდებით გაულექსავეს მოსკოვში 1732 წელს ცნობილ მწიგნობარს მამუკა ბარათაშვილს.

რუსულდანიანის ლიტერატურული წყაროები

1. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გავლენის კვალი რუსულდანიანში

ს. კაკაბაძემ ერთხელ სამართლიანად შენიშნა, რომ „როსტომიანი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ქართულ საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში“³. ამ ძეგლს (ვგულისხმობთ მას ფართო მნიშვნელობით, როგორც „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის შესატყვისს) უდიდესი გავლენა მოუხდენია მესამე პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე (ამჟამად არას ვამბობთ კლასიკურ პერიოდზე). კონკრეტულად ახლა გვიანტერესებს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გავლენის კვალი რუსულდანიანზე. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ უკა-

¹ ქართული ლიტ. ისტორია, II, 273.

² ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, II, გვ. 30; შდრ. აგრეთვე გვ. 80.

³ „ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო“; „საისტ. მოამბე“ 1924, I, 163; შდრ. აგრეთვე კ. ჭიჭინაძე, ალიტერატურა ქართულ შირში და ვეფხისტყაოსანის პრობლემა. ტფილისი 1925, გვ. 80.

ნასკნელი ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ ნაწარმოებ-ბადაა მიჩნეული ჩვენში დღეს-დღეობით მაინც¹. ამათუიმ ნაწარ-მოების გავლენის კვალის ცხადყოფა „რუსულდანიანზე“, კიდევ მე-ტად გამოააშკარავენ ჩენი ძეგლის ავტორის, თუ რედაქტორის შემოქმედებითი მუშაობის ხასიათს—(ამასვე რამდენადმე მნიშვნე-ლობა ეძლევა ძეგლის დათარიღების საკითხისთვისაც).

„შაპ-ნამე“-ს ქართული ვერსიები ერთი უმთავრესი წყაროთა-განია, რომლითაც „რუსულდანიანის“ ავტორი სარგებლობს. ამ შემთხ-ვევაში გავლენა არ გამოიხატება უბრალო ლექსიკური მასალის ან ეპითეტების გადმოღობით, არამედ ცალკე ეპიზოდებიც კი შესულა ამ ვრცელ კომპილატურ შრომაში. ჩვენ ამ შემთხვევაში მიუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ სანიმუშო მაგალითზე.

ავიღოთ, მაგ., თხზულების ფაბულური ჩარჩო, რომელიც ყვე-ლაზე უფრო ორიგინალურად არის მიჩნეული. აქ მოქმედ პირთა სახელები, მცირე გამოწაკლისით, შაპ-ნამედან არის ამოღებული. ასე, რუსულდანიის მეუღლის სახელია მანუჩარ. ამათი შვილებია: ფრი-დონ და როდამი (უკანასკნელი სწორედ ასე იწოდება „როსტო-მიანის“ ქართული ვერსიით). სპარსულში კი იგი გამოითქმის „რუ-დაბედ“. რუსულდანიის ძმებია: ფარემუზ, ბარამ, გივი, გო-დერძი, საამ, გურგენ, ფირან, ზაალ.

მანუჩარის აღზრდის მთელი ეპიზოდი აღებულია როსტომია-ნიდან: ობოლ მანუჩარს ზრდის ერთი დიდებულთაგანი. უკვე დავაჟ-კაცებულს მას წარუდგენს იემენის მეფეს. აღმზრდელი შეშინებუ-ლია, რომ ტახტის მომავალ სახელოვან მოქიშპეს არ დაინდობენ და ასწავლის აღზრდილს, მეფის აუდიენციის დროს თავი მოისულელოს. მანუჩარი ასეც იქცევა და მართლაც თავს დააღწევს მოსალოდნელ სიკვდილს. როგორც ცნობილია, „შაპ-ნამეთი“ სრულიად ანალოგიუ-რია ახალგაზრდა ქაიხოსროს ბედი, რომელიც თურანში იზრდებო-და ფირანის მიერ².

ტექსტიდან ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ იგულისხმება „შაპ-ნამეს“ გმირები. ერთერთ გმირ გორჯასპზე (ისიც ხომ ცნობილია ქარ-

¹ ნ. მარი, Гривинский взвод сказки о трех остроумных братьях из „Русуданиани“: „Восточные заметки“ С. Петербург 1895, გვ. 221—259; პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, გვ. 267—275.

² ტექსტისათვის (II) დამახასიათებელია „შაპ-ნამეს“ გავლენით წარმოშო-ბილი შემდეგი ეპიზოდი: ფასკუნჯი მფარველობს ხელმწიფეს. ის დასტოვებს თავის ფრთას. განსაცდელის დროს ფრთას დასწავავნ. ფრინველი გამოჩნდება და შესაფერ დახმარებასაც გასწევს.

თული ვერსიით) ნათქვამია: „მისის ისრისა მგზავსი არც როსტომის ისარი ყოფილა“ (ხელნ. № 3698 წ. კ., V, 678).

ზავი შედარებულია სხვადასხვა ცნობილ გმირ-რაინდებთან: „აქილეველისაებრ ცხენოსანსა, ლომის მახოსაებრ მოისარსა... ტარიელისაებრ მინდვრად მავალსა, ავთანდილისაებრ სხვათა მკურნალად რებულსა, ძძობა მტკიცესა ანდამატისაგანცა უმაგრესსა: როსტომისაებრ დევთა ამომწყვეტელსა, ალექსანდრე მაკედონელისაებრ ქვეყნის მპყრობელსა, სოლომონისაებრ სიბრძნის სრულსა, ნუშრევან მეფის მგზავსად მოსამართლესა, მშვენებით იოსების მჯობსა“ (I, 254).

ერთ შემთხვევაში პირდაპირ დასახელებულია ცნობილი ეპიზოდი ფრიდონის ცხოვრებიდან: „თუ შეილთა მეცხოვარეთა თანა ყოფა გეთაქილება—ფრიდონ მეფე არ ცხოვარში გაზდილა, რომ ყოველი ქვეყანა მას დაუმონებია“ (VI, 823).

რუსუდანინში შესულია „შაჰ-ნამეს“ სპეციფიკური, სტერეოტიპული გამოთქმები და შედარებები. ჩვენ მიუთითებთ რამდენიმე მაგალითს:

ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ძეგლისთვის (რუსუდანინისთვის): ბასთანელი ბრძენი, მეცნიერი, მხატვარი („სიტურფე ბასანელთ ვერ დაწერენ“ (წ.კ. ხელნ. № 2541 გვ. 3; ან „ბასთანელი მხატვარი“ № 3698 გვ. 491), რაც, ექვს გარეშეა „შაჰ-ნამედან“. მომდინარეობს: მაგ. „ნათქუამი ბასტანელთა“ („როსტომიანი“, 1797₁).

„მისი სახე და სიტურფე ბასტანელთ ვერ დასწერიან“ (როსტ. 1253₂). საყურადღებოა, რომ სპარსულით (ბასტან) ნიშნავს: ძველი, წარსული—და სწორედ ამ მნიშვნელობით ის სისტემატურად იხმარება ტექსტში.

ჩვენი ძეგლის ასეთი შედარებანი: „მათი გაყრის საგონებელი წნორის ფურცელივით მათროლოებდა“ (V, 681) ან „შეშინდა და წნორის ფურცელივით ათროლოდა“ (VIII, 853). შესაფერ პარალელს პოულობს როსტომიანში: „თრთის აფრასიობ შიშითა წნორისა ფურცელივითა“ (2062₁)—ეს ადგილი სპარსულ ტექსტში არაა, მაგრამ სხვა შემთხვევაში ანალოგიური ფრაზა გვხვდება (Mohl, 1, 20₁₈₂)¹.

ქალისა უპოვნელობისაგან ასე გაშმაგებული იყო, მშიერი ლომი კანჯრის საძებრად იარებოდის“ (გვ. 85), როს-

¹ ქართულ ვერსიებს ეს შედარება ძლიერ უყვარს, ისე რომ როცა დედანში უბრალო ხეზეა ლაპარაკი, მთარგმნელს ის წნორად აქვს გაგებული. (შდრ, III, 250, 1309).

ტომიანი: „ერთ ლომმან კანჯრისა ჯოგსა მიმართა“ (2274₃, 2296₄ და სხვ.).

„პირი სანდალოზის ფერად გაუხდათ“ (VII, 829), ან დამახინჯებულად: „პირნი შიშით სანდლის ფერად დაუხდენ“ (X, 926).

როსტომიანი: „პირი უგავეს სანდაროზსა“ (1621₂)—ეს ადგილი სპარსულ ტექსტში სათანადო ადგილას არაა (მაგრამ საერთოდ ხშირია).

„ხოშვარისა ღვინოსა სმა“ (გვ. 359, 482, 747, 886 და სხვ. მრ.)¹ „დაუწყეს ხოშვარსა ღვინოსა სმა“ (ს.ს.ს. № 921 გვ. 97B, 102A და სხვ.). როსტ. „მუნ ბროლისა ჭიქებითა ხოშვარსა ღვინოს სმიდეს“ (2113₃; აგრ. 1174₃; 1226₄; 1490₃; 1758₄ და სხვ.).

„ერთი გონიერი მწიგნობარი მოახმობინა და... წიგნი დასწერეს. პირველად სახელი ღმთისა ახსენა და არსისა პატრონი“ (გვ. 100; აგრ. 125, 131 და სხვ.).

როსტ. „გონიარი მწიგნობარი უკმო, ბრძანა მოყვანება.

მათ აღიღეს პირველ ღმერთი, საწუთროსა კელოვნება“ (2343).

„პირით პერულს ყრიდა“ (467) „პირიღამ პერული მოსდიოდა“ (479 და სხვ.).

„პირითა პერულთა ყრიდა“ (ს.ს.ს. № 921 გვ. 23B; 73B და სხვ.).

რასაკვირველია, „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების წვლილია ისეთი სტერეოტიპული ადგილები, როგორც: „ჰკრეს ასაყრელსა ქოსსა და დუმბულსა და ყვიროს სტვირსა, შებერეს ზროხა კულთა“ და სხვ. (გვ. 197 და სხვ.).

ან „რა დილა გათენდა, საწუთროს განმანათლებელმან მზემან თავი ამოყო, შავი ფარდაგი დახია. წითელი ვარდი მოფინა“ (294₄, იხ. აგრ. 68, 91 და სხვ.).

„პირი მიწასა გააერთა“ (70, 98, 102, 103 და სხვ.).

„სილამეჟან გაჰყარა“ (212 და სხვ.). „მთერალი სპილო“ (201 და სხვ.). „ბედ მლაშეო“ (220 და სხვ.). ომის დასაწყისი: „რა დილა გათენდა, მზემან წითელი ფარდაგი გაფინა და კირჩხიბისა ქანგსა დაეხსნა და გუმბაღსა ზედან ამალღდა, 'კრეს ორგნითვე ქოსსა და ნალარასა, დუმბულსა და ზროხა კულსა“² (გვ. 214 და სხვ.).

¹ აქ და ყველგან გვერდები ნაჩვენებია წ. კ. ხელნ. № 3698 მიხედვით.

² ამათი პარალელური ადგილები „შაპ-ნამედან“ არ მომყავს, რადგან ვინც კი ოდნავ მაინც გასცნობია ამ ძეგლს, მისთვის ეს ისედაც აშკარაა.

ომის მსვლელობა, ბუმბერაზთა და დევ-ფალავანთა რკენა. ომის საერთო ფერადები. გმირული თავგადასავალი. ბოროტი ძალები და სხვ. ყოველ დეტალშიც კი საერთოა.

სანიმუშოდ აქ ვუჩვენებთ ერთ ეპიზოდს, სადაც რუსულდანიანი სიტყვა-სიტყვით იმეორებს თავის პროტოტიპს.

აქა მეორე ომი ხოსროსი და ბარზინისა და ხოსროსაგან ბარზინის სიკვდილი.

ბარზინმა „ხოსროს უთხრა: გმირი ხარ და ლომის მოკვლაც ადვილად შეგიძლია, მაგრამ ჩემს ომსა ნუ ეძებო, თვარამ ამ მინდორში შენი აბჯარი სუდრად მოგექცევა და ამ ჩემის ლახტით კინწსა მოგტეხო. რა მისი მკვახე საუბარი გაიგონა, ხოსრომ გაიცინა და ეგრე უთხრა: კარგი ფალავანი ხარ და ჭკუიანი და მონახული, მიკვირს, რასთვის გაგულისებულხარო. ასე შენი ბექ-მკერდის მინდობითა ცუდს სიტყვას რასთვის იტყვი.

შენ ხომ ცეცხლი არა ხარ და მე კაჟაჟი [დედანში: კაჟკაჟი] რომ დამწვა. შენ უყამი არა ხარ და მე ბუზი, რომ შენთან ფრენა არ შემეძლოს. ასე უნდა, რომ ვაჟმა კაცმა შენგან ისწავლოს ზნეობა. შენ ეგ როგორ გეკადრება, რომ წინათ კვებო. ეგ საქმე რეგვენთა წესია, თვარა ჭკუიანი თვით არ იკვებხო. როდისაც გაიმარჯვებს, მაშინ შეასხმენ ქებასა.

ესე თქვეს და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა, რომე მათი ხვაფთანის სისხლითა აივსო. ორნივე ლაშკარნი გაკვირვებული უმზერდეს. რა კაპარკი ისრისაგან დასცალეს, აწ ლახტებს მიყვეს ხელი. ვითა მკედელი გვრდემლისა ზედან ჰაერსა, ეგრეთ ერთმანერთსა თავსა სცემდენ. მეტის ცემისაგან ლახტები თასმასავით დაგრიხეს. მერმე ლახტები გახყარეს და ერთმანერთსა შეეჭედნენ. ნამეტნავისა მიჭირვებითა ორთავე ფრჩხილთა სისხლი წავარდათ და ერთმანერთს შეეჭედნენ. ნამეტნავისა მიჭირვებითა ორთავ ერთმანერთსა სარტყელი დასწყვიტეს. ორნივე ლაშკარნი უჭკრეტდეს და შიშით ორთავ პირზე დაყვითლებოდა, თუ რომელი მოკვდებოდა. მერმე ცოტა შეისვენეს. კვლავ სხვა ლახტები აიღეს და კიდევ შეუტივეს ერთმანერთსა გულმესისხლედ. მერმე ხოსრომ ლახტი შეიმაღლა და ვითა გაგულისებული დევი ბარზინს მიუხდა. ბარზინ შეშინდა და თავსა ფარი იფარა. დაკრა ხოსრომ ლახტი თავსა და დაიციდინა, ბექსა მოახვედრა. ემწვავა ბარზინს და ასე სთქვა: ვაი ჩემო ბედო,

რა უკულმა მომექეცო, ჩემი მოწიფულობა აღარ მომეხმარაო. რა ხელი ველარ მოიხმარა, გაულონდა და ხოსრო შეატყო მისი ხელის მოტეხა, უფრო გაგულოვანდა და ლახტი გააგდო, ჯაქვის კალთა სარტყელში ჩაირჭო... („რუსულდანიანი“, წ. კ. ხელ. № 3698 გვ. 470—471).

აქა ომი როსტომისა და ბარზუსი

ბარზუს უთხრა: ლომის მსგავსო, გმირო, მკვლელი ლომისაო, რად შეეხი, ვისგან ხაყან გულმტკივანად არისაო?
ამ მინდორში სუდრად მოგცე შენ აბჯარი ტანისაო,
და მძიმის ლახტით კინწსა მოგტეხ, დაგანარცხებ მიწასაო.

* * *

ბარზუმ უთხრა: ფალავანო კევიანო, ომ-გარდასულო,
რასა გაგულისებულხარ? გული გაქუს შენ დამწვარიო,
მკლავ-კისერს რას მინდობიხარ, ცივს სიტყუას მეტყვიო.
და ზაალის შვილი არა ხარ, გივი, არც გოდერძიანო.

* * *

ცეცხლი არა ხარ მცხებარე, მე-კაქაქი, რომე დამწვას.
უყაბი არა ხარ, მე ბუზი, შენ ფრენა არ შეგეძლოს.
ჟამ-ნახულო! უნდა ვაჟმან ზნეობა შენგან ისწავლოს,
და შენ პირს ანძალი ამოგდის, ეგ საქმე როდის გეკადროს.

* * *

ესე თქვა და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა.
სიკვდილი შუაზედ უდგა, მათს ნაკრავსა გაჰკურიდესა,
ხვაფთანი და ბარგისტანი, ორთავ სისხლით აავსესა,
და ორნივ ლაშქარნი უქვრეტდეს, მათსა ომსა გაჰკვირდესა.

* * *

კაპარკი ისრით დასცალეს, ლახტებსა ხელი მიჰყუესა.
ვითა მქედელი გურდემლზედა, ერთმანერთს თავსა სცემდესა.
მეტის ცემითა ლახტები, ვითა მშვილდები დადრკესა
და გამარჯვება არც ერთგნით ჩანს, დაილაღნენ, უკუ ღგესა.

* * *

•• ერთმანერთსა უმზერდეს, შეისვენეს, შეუტევედეს.
შეიქვედნეს ერთმანერთსა, სარტყელსა კელი ჩაუგდეს.

მათ ორთავე ფალავანთა სარტყელებმან ვერ დაუდგნეს და მეტის მიჭირვებისაგან, ორთავ სარტყლები გაუწყდეს.

* * *

ორთავ ფრჩხილს სისხლი წავარდა, კულავ ლახტები დამართესა, ბარზუს რკინის ხე ხელთ ჰქონდა, ერთმანერთსა შეუტევესა, როსტომ თავს ფარი იფარა, გაგულისებით ვით დევსა და ბარზუ თავს ლახტი შემოჰკრა, ფარს მოახვედრა და ბექსა.

* * *

როსტომს ემწოვა, თავს უთხრა: უკულმა მექ(ვა ბედი და. ამ საქმისაგან გმირს როსტომს ჩამოუარდა კელი და, კელის მოტეხა შეიტყო, ულონოდ გახდა გმირი და, და იმან ნაკრავსა დაუდგა, ბარზუ როსტომს შეხედვიდა¹.

ეს შედარება ნათელყოფს, რომ „რუსუდანიაანის“ მოხსენებულ ეპიზოდი პირდაპირი პერიფრაზია „შაჰ-ნამეს“ სათანადო ადგილისა. აქ ყოველი ნუანსიც კი უხეშად გადაღებულია „შაჰ-ნამედან“. აქ უკვე აღარ შეიძლება გავლენაზე ლაპარაკი, არამედ საქმე გვაქვს ცალკე ეპიზოდის უბრალო სესხებასთან. საყურადღებოა მაგალითად, რომ კომპილატორს თავისი მოქმედი პირის სახელიც კი (ბარზო) თითქმის უცვლელად აუღია (ბარზინი).

სხვათა შორის წარმოებულ ექსკურსს იმ მხრითაც აქვს მნიშვნელობა, რომ ამით საბოლოოდ და დოკუმენტურად მტკიცდება, რომ „რუსუდანიაანი“ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების საბოლოო ჩამოყალიბებამდე ვერ გაჩნდებოდა. კერძოდ ის განიცდის „როსტომიანის“ იმ ნაწილის გავლენას, რომელიც ხოსროთურმანიძეს მიეწერება. ჩვენ მიერ ზევით მოყვანილი ლექსი როსტომის და ბარზუს ომის შესახებ ამოღებულია ბარზუს ეპიზოდიდან, რომელიც ხოსროთურმანიძეს გაუღექსავს², უკანასკნელი XVI ს. გასულის მოღვაწეა. მაშასადამე, ამ ფაქტითაც „რუსუდანიაანის“ წარმოშობა XVII-ს დასაწყისამდე მაინც შეუძლებელი ხდება³.

¹ როსტომიანი, ხელნაწერი № 406s, გვ. 568—569 (შდრ. შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 1934, სტრ. 3894—3901).

² ა. ბარამიძე, „შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ“ („საქართველოს არქივი“ III, გვ. 78—87, 1927).

³ „რუსუდანიაანზე“ ნაწილობრივი გავლენა შეეძლო მოეხდინა ვეფხისტყაოსანსა (გვხვდება ტექსტში ტარიელისა და ავთანდილის ხსენება) და ამირან-დარეჯანიანს. აქა-იქ გვხვდება უკანასკნელის დამახასიათებელი ფრაზები, რა-ჯორც მაგ., „უბონდი მეფეო უკუნისამდე“ (561, 596).

II. რუსულდანიანის VI ზღაპრის შესახებ

ზემოთხსენებულ წარმოებულ ექსკურსს სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. ნ. მარტი ღრმად ერუდიციისა და მკვეთრი ინტუიციის წყალობით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსულდანიანი კომპილატორი შრომათა. ავტორი თუ რედაქტორი სარგებლობს ძველ ნათარგმნ თხზულებებით და მათ თვითონ ამუშავებს ზღაპრულ ამბებად. სახელდობრ ერთ შემთხვევაში ნ. მარტი ასე მსჯელობს: „Можно предполагать, что автор „Русуданиани“ в том или другом случае делал заимствование из более древних грузинских же переводных памятников; в крайнем случае можно допустить и то, что автор раз, другой, сам переделал в сказочную повесть тот или иной памятник духовной литературы, напр. в повести о государе Ибреиме (VI) мы, несомненно, имеем особый извод сказания о Евстатии и его семье“ (Восточные Заметки, გვ. 229). აკადემიკოსის მსჯელობის საერთო მხარე სავსებით სწორად მიგვაჩნია. პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ III ზღაპარი „აქა ანბავი ყვითლის ქალაქისა ხელმწიფის გოსტამის და ძისა მისისა ხოსროსი“ „შაჰ-ნამეს“ დამუშავების შედეგი უნდა იყოს. ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, თუ როგორის გულმოდგინებით იმეორებს „რუსულდანიანის“ ავტორი ამ ზღაპარში „შაჰ-ნამეს“ სათანადო ეპიზოდს („აქა ომი როსტომისა და ბარზოსი“).

ჩვენ ქვევით შემთხვევა გვექნება კიდევ ეუჭვენოთ მაგალითი, როცა „რუსულდანიანი“ შესაძლებელია მის ღრვს არსებულ ნათარგმნ ძეგლიდან იყოს დამოკიდებული, მაგრამ ამჟამად გვინტერესებს ის კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებ აკადემიკოსი ნ. მარტი ასე დაბეჯითებით მსჯელობს. ამ ზღაპრის შესახებ („აქა ანბავი ჯელმწიფისა იბრეიმისა. კარი მეექვსე“) აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ც კატეგორიულობით გაიმეორა ნ. მარტის მოსაზრება („Очерки“, III, 8-9), მხოლოდ პროფ. კ. კეკელიძემ თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ სამართლიანად ეკვი შეიტანა ნ. მარტისა და

„სცა ზრვალი მკლავსა და პოლოტაკი რკინისანი გაუკვეთა“ (609).

„შემოუღლეს ერთმანერთსა ნაგარდი“ (607) „ამას ბრძანებდით... ამათი მგზავსი არა არს პირსა ქვეყანისასა“ (183) „თაჟმან მეფობისა შენისამან და მზეჟმან ახალია შარიყრისამან“ (151). — მაგრამ „ამირან-დარეჯანიანის“ გავლენა ამ სტერეოტიპულ ფრაზებს არ სცილდება.

ძველის შემდეგი ფრაზა: „არ შემიწყნარა ამან, ვითა სანთელმან ფარმანა“ (გვ. 896) საფიქრებელს ზღის, იგი თეიმურაზ პირველის „შამფარვანიანს“ გულისხმობდეს.

აღ. ხახანაშვილის მოსაზრებაში. ის სწერს: „ნ. მარს და აღ. ხახანაშვილს ჰგონიათ, რომ მეექვსე ზღაპარში, იბრეიმის შესახებ, გადმოცემულია ცხოვრება წმ. ეესტრატესი და მოყვასთა მისთა, მაგრამ ეს მართალი არაა. ეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები თვითონ შედგენილია ლეგენდების და ზღაპრების მიხედვით“ (გვ. 271, შენ. 3).

არც აკ. ნ. მარსა და არც აღ. ხახანაშვილს ნაჩვენები არ აქვთ, თუ ისინი რაზედ ემყარებიან. მაგრამ „რუსულდანიანის“ ტექსტში, სახელდობრ, მის შესაეალ ნაწილში გვხვდება ერთი ადგილი, სადაც წმ. ეესტრატეზეა ლაპარაკი და, თითქოს, ჩვენს VI ზღაპართან არის გავლებული პარალელი. საფიქრებელია, რომ ნ. მარის მსჯელობა ამ ადგილზედ იყოს დამყარებული. სახელდობრ საანალოგიო მასალად მითითებულია „მხნისა მის და ახოვნისა მთავარ მოწამისა ეესტატისსა, თუ რაგვარად ექსორია იქმნა მამულისა დიდებისაგან და უცხო იქნა სახლისა და სამყოფისაგან, ასე რომ მეელთაგანცა დაძაბუნდა და შვილნი საყუარელნი კბილთა მისთა შიგან ნახნა და მეუღლე მშვიდი ბარბაროზთაგან წარეტაცა. დარჩა მარტო, გაღარიბდა და ყოველივე კეთილად დაითმინა სიყვარულითა ღეთისათა; ამისათვის ღირსყო ღმერთმან გულთმეცნიერმან დიდებასავე თვისსა და უმჯობესნიცა განიგულა მისთვის, ამაღ რომე სასუფეველი ცათაცა დაუმკვიდრა მათაც“ (წ. კ. ხელ: № 2541, გვ. 15; № 1541, გვ. 7B—8A)¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რუსულდანიანი“ საესეა ძველი და ახალი აღთქმით ცნობილ სხვადასხვა პირების მოხსენებით, თუ შედარებით. მაგრამ ყველა ესენი თავდაპირველი წარმოშობის არ უნდა იყოს. ასე მაგ., ჩვენთვის საყურადღებო VI ზღაპარში ერთ ადგილას ხმარებულია შედარება: „თუ შვილთა მეცხოვარეთა თანა ყოფა გეთაკილება, ფრიდონ მეფე არ ცხოვარში გაზდილა, რომ ყოველი ქვეყანა მას დაუმონებია“ (გვ. 823, წ. კ. № 3698, ასევეა ქეთევეან დედოფლისეულ ხელნაწერში, რომელიც ცენტრარქიეშია დაცული (იხ. ხელნ. № 102). XIX ს. გადაწერილ ხელნაწერში კი (წ. კ. № 2541) ფრიდონის ნაცვლად დავით წინასწარმეტყველია მოხსენებული (იხ. გვ. 423). აქვე იხსენიება იობი, იაკობი, იოსებ: „იობის მსგავსად მოგითმენია“ (გვ. 422)—„კუროთხელის მამამთავ-

¹ ეს ადგილი ჩვენ ხელნაწერს (№ 3698) დეფექტურობის გამო აკლია. აქ დაკარგულა ერთი ფურცელი 18-19 ფურცლებს შუა. ეს არ ჩანს პაგინაციიდან და არც აღმწერელს აქვს შენიშნული (იხ. Опис., I, 406—408).

რის იაკობის ძე იოსებც ვაქართ ზედა ძმათა ეგვიპტესა გაპყიდეს და იშოვნა დიდი დიდება. ეგვიპტის მეფობა ტყვემან მიიღო“ (გვ. 423)—ეს ადგილები უცნობია ცენტრარქივისა და ჩვენი ხელნაწერი-სთვის (წ. კ. № 3698). ვერას ვიტყვით წმ. ეგვიპტეს დამოწმების შესახებ, რადგან სათანადო ადგილი № 3698 ხელნაწერსა და მეორე ძველ ნუსხაში (წ. კ. № 436) დეფექტურობის გამო დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში ზევით მოყვანილი გარემოება მხედველობაში მისაღებია. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ჩვენ უკვე ვიპოვეთ ის ძირი, რომელზედაც დამყნელია „რუსულდანიანის“ ამგზობით საინტერესო ზღაპარი. ესაა „ბახთიარ-ნამეთი“ კარგად ცნობილი არაკი აბუ საბირის შესახებ. (حكايت ابوسابر).

„ბახთიარ-ნამე“ სპარსულად სხვადასხვა ვერსიებად არის ცნობილი (ერთერთი მისი ვერსია მთლიანად ათასერთლამიანშია შესული. იხ. Dalziel's Illustrierte Tausend und Eine Nacht“ გვ. 492 და შემდ.). ჩვენში ჯერ-ჯერობით მისი ორი ვერსია ჩანს. ერთი მათგანი ქართულად უთარგმნიათ ვახტანგ მეექვსის ინიციატივით 1703—1711 წლებში (იხ. პროფ. კ. ქეკელიძე: ქართ. ლიტ. ისტ., II, 312—313). ბახთიარ ნამეს სპარსული ტექსტი (ხალხური ვერსია) 1926 წელს გამოცემულ იქნა ლენინგრადში E. Э. Бертелс-ის მიერ. ვახტანგისეული ვერსია ამის თარგმანს წარმოადგენს (ქართული ტექსტი ცნობილია ერთადერთი ხელნაწერის სახით, საქართველოს მუზეუმის A ფონდის № 1787).

თხზულების მეორე ქართული ვერსია ჩვენ ვიპოვეთ ცენტრარქივის სიძველეთსაცავში (№ 367). ის ნათარგმნია XIX ს. პირველ მეოთხედში (ჩუკუ წელს) ალ. სულხანოვის მიერ. როგორც თვით მთარგმნელის სიტყვებიდან ჩანს, ამ რედაქციას საფუძვლად დასდებია ფანაჯს შრომა დაწერილი ლექსით. ქართული თარგმანი შესრულებულია პროზით. თხზულება საყურადღებოა მთარგმნელის ვრცელი ავტობიოგრაფული ცნობებით და აგრეთვე თავისი ორიგინალის შესახებ ფართო ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნებით. სულხანოვის რედაქცია საკმაოდ განსხვავდება პირველი ქართული ვერსიიდან. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო დარჩა ეს მეორე რედაქცია, რადგანაც მას უფრო მეტი ნიშნეულობა შემოუნახავს ჩვენი დებულების დასამტკიცებლად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აბუ საბირის არაკის ძირითადი სუჟეტი (რომელ რედაქციიდანაც უნდა ავიღოთ იგი) საფუძვლად დასდებია იბრეიმის შესახებ ზღაპარს. ამაში დასაწმუნებლად საკმარისია ორივე ძველის დაკვირვებული გადაკითხვა. მაგრამ ფანაჯს ვერსიას შემოუნახავს მთელი რიგი ისეთი დეტალებისა, რომლებიც მას ხალხურად

ვერსიიდან (ბერთელსის გამოცემა) განასხვავებს, სამაგიეროდ უახლოვდება და გასაგებს ხდის „რუსულდანიანის“ არაკს. სულხანოვის თარგმანში არაკს რიგით მესამე ადგილი უკავია. თხზულებათა შინაარსის შესადარებლად ფანაქს რედაქციით ვისარგებლეთ.

იყო ერთი კეთილი კაცი, რომელსაც სახელად საბირს ეძახდნენ. მას ჰყავდა ცოლი და ორი ვაჟი. ერთხელ რაღაც მიზეზის გამო მოაშთევს ხელმწიფის მსახურთაგანი. ამ მიზეზით ამბოხის მონაწილეთ ყოველგვარი ქონება ჩამოართვეს. ცოლი ევედრება საბირს ტირილით გამოითხოვოს შეწყალება. საბირ უარზეა. ის ფიქრობს: მოთმინება საბოლოოდ გაამარჯვებინებს ადამიანს. მეფეს კი „უსამართლობაჲ უკუნ მიუღებს“. საბირ მეფეს დაასმინეს. გააძევებენ. ერთ მინდორში ავაზაკები დაეცნენ და ორივე შვილი მოსტაცეს. საბირ მაინც მოთმინებით აიტანს ამ ტკივილს. განაგრძობენ გზას. მივლენ ერთი ქალაქის კართან. საბირ სანოვაგის შესაძენად მიდის. ქალი მარტოდ რჩება. გზად ცხენოსანი ჯარისკაცი გამოივლის. საბირის ცოლს ძალით წაიყვანს. ქალი მოახერხებს მიწაზე დაწეროს თავის მოტაცების ამბავი. საბირი დაბრუნდება. ქალს ვერ ნახავს. მიწაზე დაწერილს წაიკითხავს, დიდათ შეწუხდება „გარდმოუვიდა მას თვალებიდგან ცრემლნი ლალის ფერნი“. საბირ მიდის ქალაქში. იქ მეფე სასახლეს აგებდა. ყოველ მგზავრს იჭერდნენ და ტალახზე სამუშევრად მიჰყავდათ (ფულით შეიძლებოდა თავის დახსნა). საბირსაც ასეთივე ბედი ეწია. შრომისაგან მოუძლურებული ვიღაც მწვავედ ტიროდა. საბირ მას ანუგეშებს. ეუბნება, რომ ძლიერ ღმერთს შეუძლია კაცი ტალახიდან ამოიყვანოს და სახელმწიფო ტახტზე დასვას, —საჭიროა მხოლოდ მოთმინება. ამ საუბარს მეფემ ყური მოჰკრა. საბირ შეიპყრო და ქაში ჩააგდო. თვითონ ხშირად ნახულობს, დასცინის საბრალს: „იყავ აქა ვიდრემდის მოვიდეს დღე ბედნიერებისა შენისა, აღმოგიყვანოს მუნიდგან და დაგოს ტახტსა ზედა ჩემსა“. ხელმწიფის უსამართლობით აღშფოთებული ქვეშევრდომნი შეთქმულებას აწყობენ. მეფე გაიგებს და გარდაიხვეწება.

ამ უსამართლო მეფეს ჰყავდა ერთი ძმა მეტად კეთილგონიერი და მოწყალე. ხელმწიფემ ის ვერაგულად მოაშთო და მალულად დაფლა. ხალხი კი ფიქრობდა, რომ ხელმწიფის ძმა ქაში იყო ჩამწყვდეული. როცა უსამართლო მეფე გარდაიხვეწა, ხალხმა გადაწყვიტა ქაში ჩამწყვდეული უფლისწულის ტახტზე აყვანა. კიდან ამოიყვანეს საბირი და დიდი ზეიმით გაახელმწიფეს. საბირმა ხელი მიჰყო მო-

სამართლებობას, ქვეყნის მოშენებას. დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მან დროც იხელთა და თავის დამარბეველ ხელმწიფის წინააღმდეგ გაილაშქრა, ჩამოაგდო ტახტიდან და გააძევა. ერთხელ ყოფილი მეფე ცოლითურთ საბირის ქალაქში მოხვდა. დიდებულებმა ის სტუმრად მიიღეს. მაგრამ საბირმა გაიგო მისი ვინაობა. ცხენი და სარჩო-საბადებელი ჩამოართვა და ბრძანა ქალაქიდან გაძევება.

საბირმა ბრძანება გასცა მიუყვანონ სასყიდლად მშვენიერი მსახურნი. ეს ესმათ ავაზაკებს, რომელთაც საბირის შვილები ჰყავდათ. წარუდგინეს ბავშვები მეფეს. საბირმა ისინი იცნა. ავაზაკები სატანჯველს მისცა.

განსჯისათვის საბირ მეფესთან წარდგებიან ერთი ჯარისკაცი და ერთი დედაკაცი. უკანასკნელი საბირის მეუღლე აღმოჩნდება. დედაკაცი ჯარისკაცის უსამართლობაზე ჩივის. ამბობს, რომ ძალით მოაშორეს იგი თავის ქმარს. საბირისთვის ყოველივე ნათელი ხდება. იცნობს თავის ცოლს. ჯარისკაცი შესაფერ სასჯელს მიიღებს (მწარედ სცემეს და ცოცხალ-მკვდარი ქალაქიდან გააგდეს). საბირის ხელქვეითი დიდებულები აღშფოთებული არიან ასეთი ტირანული ქცევით. მეფეს უსამართლობისათვის პასუხს სთხოვენ. საბირ შეკრებს მათ და მთელ თავის თავგადასავალს მოახსენებს. დიდებულები დამშვიდდებიან. ქებათა-ქებას უძღვნიან საბირს და აღტაცებული რჩებიან მისი სამართლიანი ქცევით (გვ. 38ა—49ა).

აქა ამბავი კელმწიფისა იბრაიმისა. კარი მეექვსე.
(„რუსულდანიანი“)

რუსულდანის მეექვსე ძმა ამბობს, რომ ის მამამ გაგზავნა ლეის ქვეყანაში, სადაც დიდი პატივით მიიღეს. მეფე ახალი იყო და ყოველგვარ კეთილ და სამამაცო ზნეობით უხვად დაჯილდოვებული. ერთ დღეს მეფესთან იყო სტუმრად ვინმე დიდი ვაჭარი. ამ დროს მოდის მეცხვარე და მეფეს ორ ბატკანს უძღვნის. მეცხვარეს თან ახლავს ორი მშვენიერი ვაჭი. მეფის შეკითხვაზე მეცხვარე ამბობს, რომ ბავშვები მისი შვილები არაა, მხოლოდ მის მიერაა დაზრდილი. მეცხვარის ბავშვებს შეისყიდის დიდი ვაჭარი. ამის შემდეგ რამდენიმე დღეს მეფე აღარ გამოდის სადარბაზოდ. არც არავის ღებულობს. გამოჰყავთ დიდი ვაჭარი და მეცხვარე, ორივეს ხეზე ჩამოჰკიდებენ. ხალხში ჩუმი დრტვინვაა. ყველა გაოცებულია, რად ჩაიდინა მეფემ ასეთი უსამართლობა. მეორე დღეს მეფე ჩვეულებრივად წვეულებას ჰმართავს. ვეზირებისა და დიდებულების შთა-

გონებით, რუსუდანის ძმა მეფეს გამოჰკითხავს საოცარი საქციელის მიზეზს. მაშინ მეფე საჯაროდ მოახსენებს შემდეგს: ის არის შამელი, სახელად ჰქვია ისმაელ ჩელები. არაა მეფის შთამომავალი. ის დიდებული და მდიდარი კაცი იყო. მაგრამ თითქოს გამოსაცდელად ღმერთმა მაზე დიდი უბედურება მოაწია. მისი ვაჭრობის საქმე უკულმა დატრიალდა. გალატაკებული ის ორი ვაჟითა და ცოლით დაეხეტებოდა სხვადასხვა ადგილას. ბოლოს დაემკვიდრა ერთ ნაოხარ ადგილს. ერთი ვერცხლის ბეჭედი ვიპოვეო. იგი გაჰყიდა. შეიძინა ცული და საბელი. შეშას სჭრიდა და ჰყიდდა. სანოვანებს იძენდა და ცოლშვილთან მიჰქონდა. ერთ საღამოს ბავშვებმა ტირილით უამბეს, რომ დედა ვილაც უცნობმა კაცმა წაიყვანა, მრავალი ჯარი აქლემებით და ჯორებით თან ახლდაო. ისმაილს ეს დიდათ ემწეავა. გამოუდგა ქარავანს. ბავშვები ზურგს აიკიდა. გზაში ხიდი შეხვდა. აქ ბავშვები მგლებმა მოსტაცა. შექირებულმა ისმაილმა სიზმარში ბრძანება მიიღო, რომ უახლოეს ქალაქში წავიდეს. იქ დაიჭირეს და ტალახი აზელინეს. თანაც დასცინეს. ისმაილი ამოოხვრით ამბობდა, ღმერთს შეუძლია ადამიანი ტალახიდანაც ამოიყვანოს და სახელმწიფო ტახტზედ დასვასო. ეს მეფეს ესმა. ტახტის ცილობა შესწამა. კოდში ჩაამწყვდია. თან ყოველდღე მიდიოდა, დასცინოდა და ეუბნებოდა: რად არ დაგსვა ღმერთმა ტახტზეო. ისმაილმა ყოველივე მოთმინებით აიტანა. მოწყალე ღვთის დიდი იმედი ჰქონდა. და მართლაც მისი დატყვევებიდან ერთი წლის შემდეგ თურშე ხელმწიფე გარდაიცვალა. მოვიდნენ, ისმაილი კოდისაგან ამოიყვანეს და მეფედ დასვეს. ის შეუდგა კეთილ და სამართლიან გამგებლობას. და აი მეცხვარემ მისი ბავშვები მოიყვანა, რომ კარგად დარწმუნებულიყო, ღამე ტანსაცმელი გადაიცვა და ერთი მონის თანხლებით დიდ ვაჭრის სახლში მივიდა. იქ ნახა თავისი ცოლი და შვილები. ბავშვებს ეახშამს არ აქმიედნენ. მონა კიდევაც სცემდა. ბავშვები ამბობდნენ: შენი ბატონისთანა მამა-ჩვენს ათასი შეძალდე ჰყავდაო. ხმაზე ბავშვები იცნა დედამ, რომელიც იმ დიდ ვაჭარს ჰყავდა დატყვევებული.

მეორე დღეს მეფემ მოიწვია დიდი ვაჭარი და მეცხვარე, ამაბავი გამოჰკითხა. მეცხვარემ უამბო, რომ ერთი ბავშვი მან მგელს დააგდებინა, მეორე მეჯოგემ აჩუქა. მეჯოგესაც ბავშვი მგლისთვის წაერთმია. მეცხვარემ ბავშვებს ზრდა დაუწყო, მაგრამ ისინი მედიდურად იქცეოდნენ, მას არაფერს უჯეროდნენ და ზარალს კი აყენებდნენ (ხან ცხვარს, ხან ბატკანს მომიკლავდნენ). ამიტომ გა-

დაწყვიტა ბავშვების გაყიდვა. მეფის შეკითხვაზე უპასუხა, რომ თქვენ იმიტომ არ მოგყიდეთ, შევაჭრებას ვერ გაგიბედავდითო.

დიდი ვაჭარი მოუთხრობს, რომ ერთ ნასახლარ ადგილას იპოვა ქალი, რომელიც დიდად მოეწონა. ქალი არ დაჰნებდა. ამიტომაც შური იძია. მტირალი ბავშვები იქ დატოვა და ღედა კი თვით წაიყვანა. ცხოვრობდნენ ისინი დამშურად.

აი ეს იყო მიზეზი, ამბობს ისმაილი, რომ მე ისინი დავსაჯეო.

დიდებულები მის საქციელს მოიწონებენ. ქებას უძღვნიან და თანაც უამბობენ, თუ რად აირჩიეს მათ ისმაილი მეფედ: უსამართლო მეფეს ჰყავდა ერთი ძმა, რომელსაც სახელად იბრაიმ ერქვაო. ხალხს ძლიერ უყვარდაო, მეფემ ის შურით მოგვაშორაო. არ ვიცით, მოკლა თუ გააძევა, თუ დააპატიმრაო. როდესაც საპატიმროში ხშირად მიდიოდა, ჩვენ ვიფიქრეთ, იბრაიმი ჰყავს დატყვევებული და იმას ნახულობსო. როცა მეფე გარდაიცვალა, მოვედით, შენ იბრაიმად მიგიღეთ და გაგამეფეთო. თურმე ასეთი ყოფილა ღვთის ბრძანებაო.

მეფე სთხოვს კრებულს, რომ გაანთავისუფლონ და მის მაგივრად მისი უფროსი ვაჟი დასვან ტახტზე. ამაზე არ თანხმდებიან და კვლავ ისმაილი განაგრძობს მეფობას.

მოტანილი შინაარსის დაპირისპირებიდან აშკარად ჩანს, რომ სუჟეტი ორივე არაკვიმ საერთოა. მთავარი მოქმედი პირი ჰკარგავს ცოლს და ორ შვილს. თვით მტარვალ მფის ხელში ჩაეარდება, მაგრამ მაინც სულიერად არ ეცემა იმ იმედით, რომ ღმერთს შეუძლია ადამიანი ტალახიდან ამოიყვანოს და ტახტზე დასვას. მართლაც, მომთმენი და ღვთის მოსავეი კაცი ბოლოსდაბოლოს სამეფო ღირსებას აღწევს და ცოლშვილსაც იბრუნებს. ამ თხრობაში არის ისეთი დეტალები, რომლებიც საერთო ნიადაგს კიდევ უფრო უეჭველს ჰყოფს. ორივე არაკით მტარვალ მფე ავალებს ერთ შემთხვევაში აბუ საბირს, მეორე შემთხვევაში იბრაიმს ან ისმაილ ჩელებს ტალახის ზელას (ბერთელსის გამოცემული რედაქციით აბუ საბირმა მძიმე ტვირთი უნდა აიტანოს კოშკზე კიბით). აბუ საბირის და ისმაილის მეფედ არჩევა მოხდება სრულიად შემთხვევით და ერთისადამივე მიზეზის გამო: ხალხი ფიქრობს, რომ საპატიმროში დამწყვედელი გლახა მტარვალ მფის ძმა უნდა იყოსო (საყურადღებოა, რომ ბერთელსის გამოცემული ვერსიით საბირის მეფედ არჩევას სულ სხვა მოსაზრება უღვეს საფუძვლად).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ახლოს დგას ორივე არაკვი, ჩვენ მოვიყვანთ აქ მოკლე ამონაწერს:

„ბახტიარ-ნამა“.

„ველმწიფე მის ქალაქისა ჰყრიდა საძირკველსა ერთისა თვისისა სახლისა, რომლისა მოსამსახურენი, დაინახამდნენ რა მიმავალსა გზასა ზედა, მასვე წამსა წარიყვანდნენ სამუშაოდ ტალახისა, ხოლო რომელსა კაცსა აქვნიდებოდა თეთრი, განთავისუფლდებოდნენ, მისცემდნენ რა მათ რაოდენსამე.“

და ამა დროსა იხილეს აგრეთვე საბირიცი მჯდომარე ერთსა კუთხესა. დაუჭირეს კისერი და მიათრევდნენ და შთააბეს ტალახის სამუშაოდ. შემდგომად ამისა იხილა ხსენებულმა ამა საბირმა, რომელ იყო მუნ აგრეთვე სხვადაცა კაცი ჩაბმულ სამუშაოდ, რომელიცა შეუძლებლობისა და უძლურებისა გამო თვისისა ყოველთვის სტიროდა გულის მტკივნეულობით. მაშინ უთხრა მან საწყალმა საბირმან, რომელ: ჰოი, ჩემო მეგობარო! ჯერ არს ყოველისა კაცისადმი მოთმინებაჲ საქმესა შინა, ვინაიღვან მოთმინება კაცსა აღმოიყვანს თვით სიბნელისა და უფსკრულისა კიდვან და დასომს უეცრათველმწიფობისა ტახტსა ზედა. ამას რა იტყოდა საბირ, ესმა ველმწიფესა მის ქალაქისა, რომელიცა ფრად განრისხდა და შთაავდო იგი ქასა შინა და უთხრა ესრეთ: იყავ შენ აქა ამა ქასა შინა, ვიდრემდის გერგოს შენ ერთსა დღესა დასჯდომა ველმწიფობისა ტახტსა ზედა. გარნა საბირ კვალად მჯდომარე მას შინა მისცემდა დიდებასა ღმერთსა. ხოლო ჰშთაუგდებდნენ მას მხოლოდ ჰურსა და წყალსა, რათა არა მომკვდარიყო. შემდგომად ამისა, ერთსა დღესა გაიარა ველმწიფემ ქისაკენ და ჰშთაძახა ზემოდამ საბირსა, რომელ: იყავ აქა ვიდრემდის მოვიდეს დღე ბედნიერებისა შენისა, აღმოგიყვანოს მუნიღვან და დაგოს ტახტსა ზედა ჩემსა. გარნა განვიდა რა შემდგომად ამისა სამი წელი, მოთმინობამან მოუპოვებ მას საბირს გვირგვინი და ტახტი ველმწიფობისა (გვ. 40B—42a).

„რუსულ დანიანი“.

„მაედნის ბოლოს ჩაღდა იყო. ველმწიფე იმაში იჯდა და დაბლა საოცარი ტალახი იყო. მრავალი სული იდგა იმ ტალახში და ზელდენ. რა დამინახეს, მომკრეს ველი და მეც იქ შემადგდეს. ეს ზაღეო. დამიწყეს სიცილი: ამისთვის მეშურებოდით. დამალონეს. თავად სიარულისაგან დაწყვედილი ვიყავ, იმ ტალახის ზეფითა სულის ამოსვლაზე მივიყარე. თავის სიცილითა აღარა მომისვენეს. რა აღარა ღონე მქონდა, ერთი ეს ვთქვი: ღმერთი ასეთიველმწიფეა, რომ ტალახიდან ამოიყვანს კაცსა და ტახტზედ დასჯამს მეთქი. ველმწიფე ზემოდამ გვიშერდა, თურმე ეს ჩემი ქარა“

თული¹ გაიგონა, ჩამოვიდა გაჯავრებული, ჩემს ტახტზე ჯდომას იკეხო. შემიკრეს კელი და წამიყვანეს, მოლურსმნულს კოდში ჩამსვეს. მე რა მისი საბატონო მეჯავრებოდა, საგლახოსათვის მიველ, მაგრამ არ გამოიკითხეს. ვეგდე იქ მწართა ყოფითა, მაგრამ რას ვიქმოდ: ვაჭებდი და ვადიდებდი ღმერთსა. მოვიდის ყოველთა დღეთა ჯელმწიფე [და ასე მეტყოდის]: ტალახიდან ამოგიყვანს და ტახტზე დაგსვამსო, ახლა რატუმ არ ამოგიყვანსო და ტახტზე დაგსვამსო. მე რას ვიტყოდი, შევსტიროდი ღმერთსა, რომელმან დამბადებელისა კვალად აღამალის. კვალად მოველოდი მისგან კეთილ მხედველობასა. თვარა სხვა არაეინ მყვანდა მეშველი. გავათიე ერთი წელი მას კოდში. მოვიდა ბრძანება ღმერთისა, მოკვდა თურმე ჯელმწიფე. მე რას შევიტყობდი. მოვიდენ, ამომიყვანეს. . . . ჯელმწიფურისა წესითა შემოსეს. დამარქვეს იბრაიმ ჯელმწიფე. დამადგეს თავსა გვირგვინი. მომიყვანეს და ტახტზე დამსვეს“ (გვ. 812—813).

¹ აქ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევებო „ქართულ“ ტერმინის მნიშვნელობას. კონტექსტიდან აქ სრულის უეჭველობით ჩანს, რომ „ქართული“ „სიტყვის“ შესატყვის ცნებადაა ნახმარი. „კელმწიფე ზემოდამ გვიმზერდა, თურმე ეს ჩემი ქართული (=სიტყვა) გაიგონა“. ეს ტერმინი სისტემატურად იხმარება „რუსულდანიანი“ და, სხვათა შორის, მთელს ე. წ. აღორძინების პერიოდის ლიტერატურაში.

6. მარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ტერმინის ხმარებას ჩვენს ძეგლში. ის ამტკიცებდა, რომ „რუსულდანიანი“ გავლებულია ნაციონალური ტენდენციის ხაზი. ამის ერთერთ საბუთად ის გარემოება მოჰყავდა, რომ „Мы довольно часто встречаемся с упоминанием о грузинском народе или грузинском языке (მიუთითებს ადგილებზე) — в этом отношении автор уверяется до того, что на грузинском языке у него говорят китайцы, арабы, персы, фракии и др.“ (გვ. 226). ალ. ხანანაშვილი ერთკლად გადმოგვცემს „რუსულდანიანის“ შინაარსს და, სხვათა შორის, პირველ ზღაპარში სწერს „Царь... вытребовал письмом на грузинском языке и старшего сына Манучара, Придова“ („Очерки“, III, 10); ამასვე იმეორებს პროფ. კ. კეკელიძეც (ქართ. ლიტ. ისტორია II, 270). წერილის ქართულად დაწერის კონკრეტული ფაქტის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ არც სპარსეთის მეფეს და არც მანუჩარს წერილი „ქართულად“ არ დაუწერია. მანუჩარს მოსთხოვეს ფრიდონის სასახლეში წარდგენა, რახელადც უპასუხებს მეფეს: „ის (ფრიდონ) ახლა ჩემის ქართულით (=ჩემის სიტყვით) აქ არ მოვაო“ (იხ. გვ. 13=შუად. „Очерки“, III, 10)—მაშასადამე, აქ სრულიად არ არის ლაპარაკი წერილის დაწერაზე საერთოდ, და მით უმეტეს ქართულად. ამავე მნიშვნელობით და აზრით ტერმინი „ქართული“ გვხვდება აგრეთვე გვ. 288, 303, 319—320, 381, 445, 559, 563, 579, 580, 588, 594, 710, 738, 752, 806, 963, 992 (უკანასკნელ შემთხვევაში ასეთი ფრაზაა „რა სთქვი ეს შავი და ბნელი ქართული წყულო“ — ყოვლად შეუძლე-

როცა დაინახავენ, რომ ახალი მეფე საბირიცი თითქოს ტირანის მიჰმართავს, ხალხი დრტვინავს. საბირ შემოკრებს მათ და „მაშინ უთხრა საბირ კელმწიფემ: ჰოი, მეგობარნო ჩემნო! პირველ მოისმინეთ ჩემიცა ესე პასუხი და შემდგომად ამისა იქმნეს ნება თქვენი. რაჲ საქმე მაქვს მე უსამართლობასთან და ჯაბართან. მე მივითვისე ჩემი მემცხედრე ძეგებითურთ ჩემით. უსამართლობით არცა ერთი ფოთოლი მომიწყვეტიეს ხიდგან, რომელიცა თქვენ არა უწყით. და რაჲსათვის უმეცრებითა თქვენითა შეიქმთ დრტვინვასა? მაშინ კელმწიფე საბირმა თავიდამ ბოლომდინ თვისნი ვითარებანი განუცხადა მათ“ (გვ. 46B—47B).

ბელია, რომ ეს გაგებულ იქნას, როგორც „грузинский“. ტერმინი „ქართული“ გვხვდება ვეფხის ტყაოსანშიც:

„მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა;
რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მცირობა,
ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იზმაროს დიდი გმირობა“.

ბ. მარამ ნანას ასე სთარგმნის: „Присмотритесь к поэту и его песням тогда, когда ему не хватает языка, и рифмы его начинают редеть! Не укоротит-ли он своей речи? Не оскудеет ли его слово? Хватит ли у него геройской отваги ударить ловко [по мячу] чоганом?“ (ТР, XII, გვ. 9)—მეგრამ იქვე თავში „Пояснения к вступительным строфам“ აკადემიკოსი შემდგ კომენტარს იძლევა: „რა ვერლა მიხვდეს ქართულსა კოდა ему не хватает [языка] собст. когда ему не хватает грузинского [языка], букв. когда он не может достигнуть [совершенства] грузинской [речи] или [метко] попасть в [точные выражения] грузинской [речи] (იხ. გვ. 39—ხახი ყველგან ჩვენია). მ. ჯანაშვილიც ადრევე წერდა: „საყურადღებოა ისიც, რომ რუსთაველის გმირები ქართულად უბნობენ: „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული სიკეთისა კელის მხდელი“, ანუ: „დარეჯანს უბნობენ ქალს ქართულად“ („შოთა რუსთაველი“, ტფილისი, 1896 გვ. 75).

პროფ. კ. კეკელიძე ამ შემოხვევის გამო სამართლიანად წერს: „აქ ქართული ნახმარია სიტყვის მნიშვნელობით საზოგადოდ; კლასიკური ხანის მწერლობაში ამას ჩვენ ვერსად ვერ ვხვდებით, ხოლო აღორძინების ხანის ძეგლებში ეს, შეიძლება ითქვას, სისტემადაა გადაქცეული“ (II, 92; აგრეთვე Addenda et Corrigenda, გვ. 503).

დასასრულ, ისიც უნდა შევნიშნო, რომ რუსულდანის მშობლიურ ენად თითქოს ქართულია მიჩნეული (რუსულდანი იყო ზმირინელი), ყოველ შემთხვევაში რუსულდანთან შეყრილი მოკეთენი ქართულად ლაპარაკობენ. ბარამი (IV ზღაპარი) პირდაპირ ეუბნება რუსულდანს: „სარკინოზთაგან [ე. ი. არაბთაგან] ერთი ამბავი მასმია... მათის ენითა მე ქართულად მითარგმანია და მას მოგახსენებო“. ამავე კარში ქვევითაც განმეორებულია: „ეს ამბავი სარკინოზთაგან მოგვესმა, მაჰის ენითა ჩვენ ქართულად ვთქვიო“.

„რუსულდანიანთაც“ ხალხის მღელვარებაზე იბრეიში ამბობს: „რადგან აგრე უწყალობას და სიხარბეში მიგდებთო ყოველი კაცი, აწ ჩემიცა გაიგონეთო. თუ რასმეს ვსტყუოდე, რაც მე მათ უყავ, თქვენ მე მიყავით“ (გვ. 809)—შემდეგ იბრეიში უამბობს კრებულს თავის თავგადასავალს.

დასასრულ, საყურადღებოა, რომ ორივე თხზულებაში არაკი მოგონილია განსაკუთრებული დიდაქტიკურ-მორალური ზეგავლენის მიზნით.

ბახთიარი, რომელიც არაკს უამბობს მეფეს, ასე ათავებს თავის სიტყვას: „აწ შენცა, ჰოი, მეგობარო! მოაპყარ ამა დარიგებასა ყური შენი და ზემორე წერილისამებრ ეცადე შენცა, ვიდრემდის ისახელო მოთმინებითა მსგავსად საბირისა ქვეყანასა ზედა“ (გვ. 47B).

ძმაც, რომელიც რუსულდანს უამბობს არაკს, ასე ათავებს: „აწ შენთვის მომიხსენებია. გასინჯე გონიერად, თუ იმან იმდენს მწარესა და მოუგონებელს განსაცდელსა გაუძლო და დაუთმო უფალსა და მასვე მადლობდა, შენ მცირესა განსაცდელსა რად ვერ დაუთმობ. . . თუ განსაცდელი კაცსა დაასწულებდა, რად არ დასწულდა იბრაიმ ჩელები“ (გვ. 824).

ამით ვათავებთ შედარებას. წარმოებული ექსკურსიდან ირკვევა, რომ ორივე ძეგლის საერთო კონსტრუქცია, სუჟეტის გაშლა, ძირითადი იდეა, მთავარი შინაარსეული ხაზი—ერთიდაიგივეა. საერთო ნიშნეულობანი ხშირად დამახასიათებელ წვრილმანებშიც შელავნდება. აქედან კი ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ზღაპარს იბრეიმის შესახებ (VI) „რუსულდანიანში“ საფუძვლად დასდებიან „ბახტიარ-ნამეს“ აბუ საბირის არაკი და არა წმ. ევსტატეს ცხოვრება და მოქალაქეობა.

„რუსულდანიანის“ რედაქტორის მუშაობის დასახასიათებლად მოტანილი შედარება საკმაო მასალას იძლევა. ჩვენ ამ შემთხვევაში გაივიმორებთ აკ. ნ. მარის იმ შეფასებას, რომელიც მან „რუსულდანიანის“ ძირითადი თხრობის შესახებ გამოსთქვა (ჩვენი აზრით იგივე მოსაზრება სრულის უეკველობით გამოსადეგია ნართაული თხრობისათვის, ე. ი. ზღაპრებისათვის. ზღაპრებს ასეთს ხასიათს ნ. მარიც მიაწერდა მხოლოდ „в меньшей степени“): Что он во всяком случае не буквальный перевод какого-либо персидского подлинника: в нем сильно заметна рука грузинского редактора“ (Вост. зам., გვ. 225). მართლაც, აბუ საბირის სუჟეტის დამუშავებაში რედაქტორი დიდ თავისუფლებას იჩენს. ის აერცე-

ლებს თხრობას, უმატებს მრავალ დეტალს. შესაძლებელია მან ცოტა რამ იმავე წმ. ევსტატეს აპოკრიფული თხზულებიდანაც ისესხა. ძველის კომპილატორი ხასიათი, ერთის მხრით, და ძლიერი ქრისტიანული ტენდენცია, მეორეს მხრით, რედაქტორის ამ ნაბიჯს გაამართლებდა კიდეც¹.

დასასრულ აშკარაა, რომ ქართველი კომპილატორი იბრეიშის სუჟეტის დასამუშავებლად პირდაპირ სპარსული წყაროთი უნდა ხელმძღვანელობდეს, თუ ჩვენ არ დაუშვებთ, რომ მის დროს ძველი ქართული თარგმანი არსებობდა, რაც საექვოდ მიგვაჩნია (წინააღმდეგ შემთხვევაში ვახტანგი არ იკისრებდა ახალი შრომის გაწევას). რომ ქართველი კომპილატორი უცხო ლიტერატურას მიჰმართავდა თავისი კაპიტალური შრომის შესავსებად, ამას მეოთხე ზღაპარიც ამტკიცებს, რომელიც მას სარკინოზთა ენიდან გადმოუღია. რედაქტორის პირით ბარამ ეუბნება რუსულდანს „სარკინოზთაგან ერთი ამბავი და სასმენელად შევნიერი მასმია. მათის ენითა შე ქართულად მითარგმანია და მას მოგახსენებო“.

III. პირველი ზღაპრის შესახებ

„რუსულდანიანის“ პირველი ზღაპარი [„აქა ამბავი დასაწყისი ცელმწიფის ზოსტერისა ზოსიმეს ძისა და ზოსტერის ძისა ზავისა.“] საკვირველი ზედმიწევნილობით გადმოგვცემს „ვარშაყიანის“ ერთ ეპიზოდს. „ვარშაყიანი“ წარმოადგენს ვრცელ საზღაპრო თხზულებას, რომელიც თავის მოცულობით თითქმის არ ჩამოუვარდება „რუსულდანიანსა“ და „ყარამანიანს“. ამ ზღაპარში წარმოდგენილია კაბუტთა სამი თაობის გმირული თავგადასავალი. დასაწყისი ნაწილი შეეხება გმირ ზაბრჯათის მოღვაწეობას. თხზულება ჩვენში ცნობილია ერთადერთი დეფექტური ხელნაწერით (წ. კ. 2398). ხელნა-

¹ მართლაც აღანიშნავია, რომ წმ. ევსტატის წყალობაში (ეს ძველი ცნობილია შემდეგი სათაურით: წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა ევსტატისა და თეოქსტიანისა და ორთა შვილთა მათთა ალაპისი და თეოპისტიისი“ (წ. კ. № 384, გვ. 159—ამის ვარიანტი იხ. წ. კ. № 2528). ერთი დეტალი უცნაურად წააგავს „რუსულდანიანის“ ზღაპარს. სახელდობრ, ბავშვების მგლებისაგან მოტაცება (თუმცა წმ. ევსტატის წამებით ერთ ბავშვს იტაცებს მგელი—მეორეს კი ლომი). როგორც შინაარსიდან ჩანდა, ეს საყურადღებო შემთხვევა „ბახტიარ-ნამეს“ ჩვენთვის ცნობილ ვერსიებში სხვაგვარადაა გადმოცემული. მაშასადამე, კვლავ ვიმეორებთ, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ „რუსულდანიანის“ რედაქტორს წმ. ევსტატის წამების ცოდნის ნიადაგზე ახალი დეტალით ვაგმდიდრებია თავისი ზღაპრული სუჟეტი.

წერს თავიდან მცირეოდენი აკლია. შესაძარებლად ჩვენ მოვიყვანთ ზაბრჯათის თავგადასავლის მოკლე შინაარსს.

გმირი ზაბრჯათი თავისი ცხენით შაეჩიტით მივა ერთ-მინდორში. აქ ნახავს წალკოტს, სადაც მრავალი ხეხილია. წალკოტში თავს იყრის სხვადასხვა ცხოველი და ფრინველი. ზაბრჯათი გავა ერთ ხეზე, შექამს ხილს და ამით ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმევალთა ენას ისწავლის. შემთხვევით ხეზე შემოჯდება სამი ფრინველი. უფროსი უამბობს თავის ამხანაგებს, რომ ერთი მეფის შვილი დიდად დასნეულებულია. მუცელში ჰყავს ცოცხალი გველები და დიდად იტანჯება. ის მეგობრებს უფლისწულის მოსარჩენ წამლსაც გაანდობს. მეორე ფრინველი იტყვის: ერთი ქალაქი საშინელ შავ დევს ჰყავს დამორჩილებული. დევმა მოუსპო ქალაქს წყალი. მცხოვრებლები წყურვილით იხოცებიან. ქალაქის შუა ადგილას გორაკია, ის რომ ვინმემ გამოთხაროს, მშვენიერი წყარო აღმოჩნდება. მესამე ფრინველი: თეთრმა დევმა დაიპყრო ერთი სახელმწიფო. თვითონ მიუვალ კლდეში გამაგრდა. ღვთის შემწეობით შესაძლებელია მისი მოკვლა და ქალაქის მწუხარებისაგან გათავისუფლება.

ზაბრჯათმა ყოველივე ეს მოისმინა. მეორე დღესვე შეუდგა საქმეს. პირველად ავადმყოფი უფლისწულის, ზოსტერის, სახელმწიფოს ეწვია. ავადმყოფი განკურნა, ძმად გაიხადა და თავის დის მითხოვებას შეჰპირდა (აასრულა კიდევც შემდეგ) [ასევე იქცევა რუსულდანიანით ზავი]. ზაბრჯათი გამოეთხოვა დიდის ამბით თავის ძმობილს და მის მამას. მიდის უწყლო ქალაქში. ჰკლავს დევს, გამოთხარის გორაკს. იმოდენა მდინარე წამოვა, რომ არე-მარეს წალეკს კიდევც [სულ ასეა რუსულდანიანში]. ხელმწიფე და მოქალაქენი მას დიდის ზეიმით ჰხვდებიან და დიდ პატივს სდებენ. აქედან ზაბრჯათი თეთრი დევის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდის. დაიმორჩილებს და თავის მხარეზე გადმოიბირებს თეთრი დევის ციხის ყარაულთუფროს დევს. უკანასკნელის დახმარებით ამარცხებს თეთრ დევს. [აქ ხელნაწერი ნაკლულია, დაკარგულია მთლიანად თეთრი დევის წინააღმდეგ ბრძოლის დეტალები და ზღვათა ხელმწიფის ამბები. გადარჩენილია მხოლოდ ერთი ფურცელი]. ზაბრჯათი ცოლითურთ ბრუნდება თავის ქვეყანაში, გზად უნდა გაიაროს მის მიერ გათავისუფლებულ უწყლო ქალაქში და ზოსტერთან. ძმობილს ამის შესახებ წერილობით აცნობებს.

„რუსულდანიანის“ ზღაპრის შინაარსი საკმაოდ ვრცლად აქვს გადმოცემული ალ. ხახანაშვილს („Очерки“, III, 10—13) და საჭირო აღარაა მისი განმეორება. რამდენადაც „ვარშაყიანის“ ამ

გადარჩენილი ნაწილის შინაარსიდანაც ჩანს, რუსულდანიანში პირდაპირ გადაღებულია ეს ეპიზოდი მთლიანად. მხოლოდ „რუსულდანიანის“ რედაქტორი ზღაპარს მეტად ავრცელებს, განსაკუთრებით მის ბოლო ნაწილს. ცელის მოქმედ პირთა სახელებს (როგორც დავი-ნახეა, ასევე იქცევა იგი იბრეიმის შესახებ თხრობაში), თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ასეთებიც კი შერჩენილა. მაგ., ზავის მამის სახელია **ზოსტერი** (რუსულდანიანით)—ვარშაყიანში კი **ზოსტერი** ავადმყოფი უფლისწულის სახელია. მთავარი გმირი **ზავი** იგივე „ვარშაყიანის“ **ზაბრჯათია**. რუსულდანიანში შეცვლილია ცალკე ფაქტებიც: როგორც დამახასიათებელი მაგალითი, „ვარშაყიანის“ სამი მოლაპარაკე ფრინველი აქ სამ გველადაა წარმოდგენილი (ანალოგიური ფაქტები ბევრია).

საერთოდ და მთლიანად კი ზავისა და ზაბრჯათის მოღვაწეობა და გმირული თავგადასავალი ერთურობის განმეორებაა. ეს გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ „რუსულდანიანის“ პირველი ზღაპარი უშუალოდ „ვარშაყიანის“ გადამუშავებას წარმოადგენს.

საკითხია მხოლოდ, „რუსულდანიანის“ რედაქტორი უშუალოდ სპარსულ დედანზეა დამოკიდებული, თუ მის ქართულ თარგმანზე. ამ საკითხს ჯერჯერობით ჩვენ ღიად ვტოვებთ.

დასასრულ „რუსულდანიანის“ მეხუთე ზღაპარი („ამბავი გლახათ ჯელმწიფეთა ნოდარისა და ძისა მისისა გორჯასპისა“) საკვირველად ჰგავს იმ ზღაპარს, რომელიც ცნობილია ამ სათაურით: „ამბავი დიფნის ქალაქისა, მორქმითა ცხოვრებისა და მოქალაქობისა მისისა და მას შინა მყოფისა ფირმან ჯელმწიფისა და შვილისა მისისა აბულ ისაყისა“. (თხზულება დაბეჭდილია ალ. ხახანაშვილის მიერ, „მოამბეში“, 1904 წ., IV, დამატება გვ. 1—58).

მსგავსება გამოიხატება საერთო შინაარსისა და მრავალ წერილმანშიაც კი, მაგრამ ამჟამად უახლოესი მსგავსების (და მხოლოდ მსგავსების) აღნიშვნით ვკმაყოფილდები.

თეიმურაზ პირველი

1589—1663

მოსკოვს, სტამბოლს და ისპანს, მას შიგნით მთა და ბარამდი,
ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან დავასეე მანამდი...

ა რ ჩ ი ლ ი: ცხოვრება თეიმურაზისა.

შესავალის მახვირ

თეიმურაზის საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა უმთავრესად XVII საუკუნეზე მოდის. ეს საშინელი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმების საუკუნეა საქართველოში. ქვეყანა მწვავედ განიცდიდა ფეოდალური მონარქიის დაშლისა და ფეოდალური რეაქციის საბუღისწურო შედეგს. დასავლეთის ეკონომიურ-კულტურულ ცენტრებს მოწყვეტილი, მოქიშპე სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული, შინაგან შუღლსა და კინკლაობას აყოლილი საქართველო ყოველმხრივ გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი მუსულმანური მეზობლებით, რაც ძლიერ ართულებდა ქვეყნის ისედაც შიშვე მდგომარეობას. ხოლო ქართლ-კახეთის მიერ მტკიცედ აღებული რუსული საორიენტაციო კურსი კიდევ უფრო აწიანებდა სპარსეთ-ოსმალეთის დიდმპყრობელურ მადას აკავკასიის ტერიტორიის საბოლოოდ ხელში ჩასაგდებად.

მაგრამ ამ უნუგეშო საგარეო პირობებს იქნება რამე გაწყობოდა, რომ ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო შინაგანი მყუდროების უზრუნველყოფა და ნომინალური ცენტრალური ხელისუფლების მოძლიერება. ფაქტიურად სახელმწიფოს ნამდვილ ბატონპატრონს წარმოადგენდა ანგარებისა და განდიდების მანიით შეპყრობილი, ზნეობრივად დაცემული, გადაგვარებისა და დენაციონალიზაციის გზაზე შემდგარი მსხვილ მიწათმფლობელურ თავადაზნაურული კლასი როგორც საერო, ისე სასულიერო ფრთისა. ამასთან დაკავშირებით ხშირი იყო დინასტიური ინტრიგები და ყოველი ჯურის მოდასეობა. ბუნებრივადაც თითოეული მოქიშპე მეზობელი საქართველოს პოლიტიკურ დაქიხებაზე ოცნებობდა. დასიამოვნებით უწყევდა დახმარებას შინაურ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს. საქართ-

ველოში იმედგაცრუებული ტახტის პრეტენდენტები, თუ დიდი ფეოდალები, ისპანისა და სტამბოლის სასახლეებში ჰპოულობდნენ მყუდრო თავშესაფარს. თავის მომხრე პოლიტიკური ჯგუფების მეშვეობით სპარსეთ-ოსმალეთი ქართული სახელმწიფოებრიობის გამხრწნელ საქმიანობას შიგნითვე აწარმოებდა ინტენსიურად.

მეტად სავალალო იყო მოწინავე საზოგადოებრიობის ზნეობრივი ყოფის სურათიც. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე სრულიად სერიოზულად აიდეალებს მლიქვნელობასა და პირმოთნეობას: „ქვეიანი იმას ჰქვიან, რომ ხოშიადის [=საიდუმლოს] შემნახავი იყოს და ყოველს კაცს სიტყვა საამელი უთხრას, და საწადელი თავისი არვის გაუცხადოსო“¹.

ასეთ გარემოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თეიმურაზი: მეფე და მგოსანი. ამ ცხოვრებამ და გარემოებამ განსაზღვრა პოეტის იდეურ-მხატვრული ფიზიონომია...

1. თეიმურაზის ბიოგრაფიისათვის

თეიმურაზის პაპამ და აღმზრდელმა, კახეთის მეფე ალექსანდრემ სამეფო კარიერა ძმათა სისხლის დაღვრით დაიწყო². ტახტის მიმტაცებელი სხვა მხრივაც ყოფილა კარგად ცნობილი: ისტორიკოსების გადმოცემით ის ნადირობის იშვიათი მოტრფიალე ყოფილა. იმ დროისად კი კახეთი საკმაო მკიდროდ იყო დასახლებული და ალექსანდრე მეფეს უნატრია: „ახ, ნეტარძი, ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მანადეს სანადირონი მრავლადო“³, — „რომელი ექმნა ძის-ძესა მისსა თეიმურაზსო“, გესლიანი ირონიით დასძენს ამ ველური სურვილის ამბავს ბატონიშვილი ვახუშტი⁴.

ალექსანდრე ლოიალურ პოლიტიკას აწარმოებდა სპარსეთსა და ოსმალეთთან. ერევნის აღების დროს (1602 წ.) ჯარით დაეხმარა განთქმულ შაჰ-აბას პირველს⁵, ხოლო ამაზე უწინარესად (1587 წ.) ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიციც კი დასდო რუსეთის სახელმწიფოსთან⁶.

¹ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 107.

² ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 941.

³ ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინოვის გამოცემა, გვ. 110.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, 111.

⁶ С. Белокуров, Сношения России с Кавказом, Вып. I, Москва.

ალექსანდრე მეფეს ჰყავდა ხუთი ვაჟი და ერთი ქალი: დავითი (პოეტ თეიმურაზის მამა), ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე, როსტომ და ნესტან-დარეჯანი. ერეკლე აღრიდანვე „ურჩ ექმნა მამასა მისსა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს¹“ კონსტანტინე შაჰ-თამაზმა წაიყვანა მძევლად². ვახუშტის გადმოცემით გიორგი ფიზიკურ მოხდენილობასთან ერთად თითქოს ზნეობრივად ფაქიზი და კაცთმოყვარე პიროვნება ყოფილა: „შვენიერ-ჰაეროვანი, უხვი, მშვიდი და ტკბილი ყმათათვის“³. ამასვე ადასტურებს სხვა ცნობებიც: „იყო ესე გიორგი კაცი გამკები და მოყვარე ყმათა“⁴. ამ გიორგის თავისი უფროსი ძმის, ტახტის მემკვიდრის (და ჩვენი პოეტის მამის) დავითის ღალატით მოკლა განუზრახავს, მაგრამ ეს განზრახვა უშედეგო დარჩენილა: დავითს დროზე გაუგია შეთქმულების ამბავი და დროულადვე მიუღია სათანადო ზომებიც: „შეიპყრა იგი [ე. ი. გიორგი] და მისთანაცა შეთქმულნი იგი კახნი, და წარიყვანა იგი და პატიმარყო ციხესა შინა თორღასა“⁵.

გამარჯვებულ უფლისწულს შეთქმულების მონაწილენი მრავლად დაუხოცავს, შემდეგ კონტრიერიშივე გადასულა და მამისთვის ტახტი წაუთმევია: „[დავით] იქმნა ურჩ, წინააღმდეგომ მამისა თვისისა ალექსანდრესი, რამეთუ მძლავრებით მიუღო კახეთი“⁶.

ეს ამბები 1602 წელში მომხდარა.

ტახტის მიმტაცებელ უზურპატორს დიდხანს არ უმძლავრია: „იბატონა თთვისა ექვსსა... და მოკვდაო“ გადმოგვცემს ისტორიკოსი⁷.

ყველა ისტორიული ცნობებით ჩვენი პოეტის მამა შეტად ავზნი ყოფილა: „დავით იყო კაცი კადნიერი და მრისხანეო“⁸. ვახუშტის მოწმობითაც: „დავით იყო ამაყი, ლალი, მრისხანე და სძულობდნენ კახნი“ (II, 112). უფლისწულის ვერაგობასა და ბოროტებაზე ჩივიან რუსეთის ელჩები⁹. ტახტის მიმტაცებელი სულ მალე რაღაც საშინელი სენით უნდა გარდაცვლილიყო. რუსეთში წარგზავ-

¹ მარ. დედ. ვარ., 943.

² იქვე, 944.

³ ქართ. ცხოვრ., II, 112.

⁴ მარ. დედ. ვარ., 970.

⁵ იქვე, 97

⁶ იქვე, 971.

⁷ იქვე; შდრ. ქართ. ცხ., II, 112.

⁸ მარ. დედ. ვარ., 970.

⁹ С. Беляков, I, 362—363, 384, 463 და სხვ.

ნილი ქართველი ელჩის კირილეს თქმით დავითმა თავისი ყოფა-ქცევით „от бога и мечь принял: скончал живот свой лютою нужною смертию“¹. ამ კირილეს სიტყვებითაც დავითს საშინელი ტირანია გაუმეფებია თავის ხანმოკლე ბატონობაში. შეურაცხყოფილ მამას (ალექსანდრეს) შვილი სამოქალაქოდ დაუწყევლია, ამით ხსნის ცრუმორწმუნე ელჩი დავითის უეცარ სიკვდილს: „И с того времени [ე. ი. მამის დაწყევლიდან] царь Давид учал быти болен: сперва зубною болезнью, а потом пришла на него опухль, и в семей день разселася утроба его и путрняя выволилась и умре; и смрад зол от него был, что невозможно человеку блиско стояти“².

დავითის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ალექსანდრე გამეფებულია.

აწერილი ამბები გათამაშებულია პატარა თეიმურაზის თვალწინ... თეიმურაზის დაბადების შესახებ სხვადასხვა ცნობები მოგვეპოვება. ქართველთა ელჩის კირილეს თქმით 1604 წელს უფლისწული 17 წლისა ყოფილა³. მაშასადამე, ამ ცნობით პოეტის 1587 წელს უნდა დაბადებულიყო. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით თეიმურაზი გამეფებულია 16 წლისა: „ხოლო დაჯდა მეფედ ბატონი თეიმურაზ, მაშინ იყო წლისა ივ [16]“⁴. ამგვარად, პოეტის დაბადება 1589 წ. მოვა. უნდა ითქვას, რომ საერთოდ კირილეს ცნობა საეკვოა: რუსეთის მეფე თეიმურაზს თავის ქალს ცოლად სთავაზობდა და, ალბათ, ელჩმა უფლისწული უფრო ასაკოვანად დასახა. ამ მოსაზრებით უფრო სანდოა ვახუშტის ცნობა. მაშასადამე, მამის სიკვდილის დროს თეიმურაზი 13 წლის ბავშვი ყოფილა.

დაობლებული მომავალი პოეტისა და მეფის აღზრდა პაპას უკისრია: „ზრდიდა მას პაპა ფუფუნებით დედისა თანაო“—ამბობს ვახუშტი⁵.

¹ С. Белокуров, I, 381.

² იქვე, 389—390; აგრ. 463, შენ. 61. აღსანიშნავია, რომ ამ დავითს თავისი წვლილი ქართულ ლიტერატურაში შეუტანია: მას სპარსულიდან ქართულად უთარგმნია „ქილილა და დამანას“ („ანვარი სოჰაილის“) მოზრდილი ნაწილი. მთელი თხზულების თარგმნა არ დასცალებია (შდრ. აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 228—236).

³ ბელოკუროვი, I, 492.

⁴ ქართ. ცხოვ., II, 114.

⁵ იქვე, II, 112.

მამისაგან განსხვავებით თეიმურაზის დედა ქეთევანი ისტორიული წყაროებით ცნობილია, როგორც ძლიერი ნებისყოფის პატრონი, მხნე, გონიერი, განათლებული და გრძნობიერი პოეტი ქალი. ასეთი მზრუნველების ხელში ახალგაზრდა თეიმურაზი ნებიერ და ლალ ცხოვრებას ეწეოდა, განცხრომასა და ფუფუნებაში ატარებდა დროს.

მაგრამ პაპა ალექსანდრე მოხუცებული იყო და ქეთევანს საბუთი ჰქონდა დაეჭებულყო თავისი მახლის, გიორგის, ერთგულებაში: „ნუ უკვე ძვირი იხსენოს გიორგიმ, რომელ ყო ძვინად მის ზედა“ დაეთ¹. ამიტომაც „ქეთევან იხმია გონიერება კეთილი და წარგზავმა ძე თვისი თეიმურაზ შაჰაბაზ ყაენთან“², თუმცა რუსის ელჩები თეიმურაზს მოსკოვში იწვევდნენ³.

ქართული ისტორიული გადმონაცემით შაჰ-აბაზ ყაენი თითქოს ყოფილა „კაცი მზაკვარი და აღსავე ყოვლითავე სიბოროტითა“,⁴ ფაქტიურად კი ეს მრისხანე შაჰი იყო დიდი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და მახვილი დიპლომატი. შაჰ-აბაზმა კარგად იცოდა, რა ფასი ექნებოდა ქართველი უფლისწულის სპარსეთში აღზრდას. მართლაც, თეიმურაზის ბიძა კონსტანტინე, რომელიც შაჰ-თამაზის დროიდან იქ იმყოფებოდა, უკვე „აღზარდა სჯულსა [და წესსა] თვისსა ზედა“⁵. ჩუმი მლიქვნელური ღიმილით ხვდებოდა ქვეიანი შაჰი ახალგაზრდა თეიმურაზსაც, ამიტომაც იგი „კეთილად შეიწყნარა და პატივსა უყოფდა“⁶. ვახუშტის სიტყვებით, ბრწყინვალე შაჰის ბრწყინვალე სასახლეში თეიმურაზი „ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“⁷.

საქართველოში კი ცუდი ამბები მზადდებოდა...

შაჰ-აბაზის სანუკვარი მიზანი იყო მთელი ქართლ-კახეთის საბოლოო დამორჩილება (თუგინდ მთელი მოსახლეობის გაწყვეტის ხარჯზე) და, ამგვარად, მტკიცე ჯებირის შექმნა კავკასიის აქეთა მხარეს მოქიშპე ოსმალეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ამ საქმეში შაჰს სხვათა შორის დიდად შეელოდნენ მის ხელში გაწვრთნილი ქართველი რენეგატებიც. და აი, ერთ მშვენიერ დღეს წინდახედული აბასი

¹ მარ. დედ. ვარ., 971.

² იქვე.

³ ბელოკუროვი, I, 492 და შმდ.

⁴ მარ. დედ. ვარ., 970.

⁵ იქვე, 972.

⁶ ქართ. ცხოვრ., II, 112.

⁷ იქვე.

„ხალვათად“ ხმობილობს გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს (თეიმურაზის ბიძას) და ასე უქადაგებს: „არღარაინ დაშთომილ არს სახლსა მამისა შენისასა თვინიერ შენსა. წარვედ და უღალატე მამასა შენსა და ძმასა შენსა, და დაიპყარ შენთვის კახეთი“¹.

კონსტანტინეც ამ დღეს უცდიდა...

პირმოთნეობით საესე მოღალატეს ძვირფასი ძღვენიც კი მოაქვს თავის მამისთვის. შაჰის ემისარი დიდი ცერემონიალით მიიღეს გრემში. მოხუცმა მეფემ ამბორის ყოფით ჩაიბარა უცხო არმაღანი და სპარსული ხალათით გამოცხადდა სადღესასწაულო აუდიენციაზე 1605 წლის მარტის მეთორმეტე დღეს, სამშაბათს. მაგრამ ხალათიც და აუდიენციაც მისთვის საბედისწერო გახდა: კონსტანტინეს მიჩენილი ყიზილბაშების ხელით მეფე მუხანათურად მოიკლა დარბაზობის დასაწყისშივე. მასთან დაეცა პირშო გიორგი და რჩეულ დიდებულთა წყება... მთელი ეს სისხლიანი ეპოპეა საკმაო სისარულით აქვთ აწერილი იმ დროს საქართველოში მყოფ რუსეთის ელჩებს². თვით ისეთი მტკიცე სპარსოფილიც კი, როგორც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, აღუშფოთებია ვერაგი შაჰის აგენტის ასეთ საქციელს და გაცხარებით წერს: „გაუწერა ღმერთი კონსტანტილეს, სწვალა მამაშვილობაო“ (გვ. 18).

კონსტანტინე არ დაკმაყოფილებულა საშინელი მუხანათობით და ქართველთა ზნეობრივი ყოფის საფუძვლების დარღვევას ცდილა: მას უთხოვია თავისი რძლის, დავით მეფის ქვრივის და ჩენი პოეტის დედის, ქეთევანის ხელი. ქეთევანს თავის მხრივ დიდი მხნეობა გამოუჩენია და მისი პირადი წინამძღოლობით კახელებს ნაკუწ-ნაკუწად უქცევიათ მამისა და ძმის მკვლეელი შაჰის აგენტი...

ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობით, კონსტანტინესაც თითქოს ექვსი თვე უმძღავრია (გვ. 19), სხვა წყაროები კი უზურპატორის სიკვდილს სდებს მეშვიდე თვეზე: „თვესა მეშვიდესა მოკლეს კახთა მკვლეელი მამისა და ძმისა კონსტანტინე“ (ქრონიკები, II, 434).

კახეთის ამბებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სპარსეთის სასახლეში. შაჰ-აბასი მსგავს სამწუხარო ფინალს არ მოელოდა, მაგრამ გაცოფებულ ყაენს მაინც გონივრული სიდინჯით დროებით თავი დაუქერია. ფარსადანი გადმოგვცემს: „ეს ამბავი შაჰ-აბაზ ყაენს

¹ მარ. დედ. ვარ., 972.

² ბელოკუროვი, I, 445, 483—488 და სხვ.; შდრ. აგრეთვე თ. შორდანია, ქრონიკები, II, 435.

მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: «ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო!» (გვ. 19).

აბასმა ოფიციალურად კახეთი თეიმურაზს უბოძა და დიდი პატივით სამშობლოში გამოისტუმრა: ქვეიანი პოლიტიკოსი უკეთეს მომენტს უცდიდა.

1605 წელს 16 წლის უფლისწული ზეიმით აკურთხეს ბოდბეს კახეთის ტახტზე¹. თეიმურაზი მხოლოდ ნომინალურად ირიცხებოდა შეფედ: ქვეყანას ფაქტიურად განაგებდა ქეთევან დედოფალი, ხოლო ახალგაზრდა მონარქი უდარდელსა და ნებიერ ცხოვრებას ეწეოდა...

1607 წელს თეიმურაზს მოჰგვარეს ცოლი, გურიელის მშვენიერი ასული ანა². არჩილის თქმით: «ეს სოფელი ველარ შეიქს სხვას მისებრივ სულიერსა³, თორღას გამართეს „ქორწილი დიდებული⁴“.

კახეთს ჯერ კიდევ არ დასდგომოდა სუსხიანი ღლეები. განებიერებული უფლისწული (აწ უკვე მეფე) შეუზღუდავად იკლავდა ახალგაზრდულ ჟინს: «ვინაიდგან იყო კახეთი მორკმული და შენობიანი, მარადის იშვებდა თეიმურაზ, და ნადირობდა და ნადიმობდაო», ამბობა ვახუშტი. თეიმურაზში განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა ნადირობის ტრფიალი. საყურადღებოა, რომ ეს თვისება მას ბოლომდის შერჩა. გვიან მოხუცებაში უძლური და მგლოვიარე თეიმურაზი აგრეთვე მგლოვიარე ლევან დადიანს ეწვია და «რა გარდაეწყვიტეთ ტირილი... წავედით სანადიროდა»ო (ცხ. თეიმ., 621—არჩილიანი, II, 1030). საერთოდ კარგად ცნობილია, რომ ლაშქარ-ნადირობა სამხედრო ფეოდალური კლასის ყოფითი ცხოვრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს შეადგენდა. უთუოდ დამახასიათებელია, რომ კათოლიკე მისიონერების მოწმობით თეიმურაზის დროინდელი ერთი კათალიკოსიც კი ჩინებული მონადირე ყოფილა: «როსტომ ხანმა კათალიკოსად დანიშნა ერთი ახალგაზრდა ეპისკოპოსი... ამბობდენ, კაი მეომარი და მონადირე არისო⁵».

¹ ქართ. ცხოვ., II, 114.

² თ. უო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 437.

³ ცხოვრება თეიმურაზისა (პლ. იოსელიანის გამოცემა), 81, 4; არჩილიანი, II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1937, 290.

⁴ ქართლის ცხ., II, 114.

⁵ მ. თაშარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 127. [პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „Охота в прежнее время заменила мапевры“, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., გვ. 36, შენიშვნა].

ქაბუჯი მეფე მეუღლითურთ ზაფხულობით დროს ატარებდა აგარაკებზე: შუამთას, გომბორს, ერწოს, თიანეთს. თან ახლდა თავისი ტოლ-მეგობრები დიდებულთა წრიდან, დროს ჰკლავდა ნადირობაში, თევზაობაში. ხშირად მართავდა ბურთაობას, ყაბახის სროლას, ჩოგნის ძგერებას... ასევე შემოდგომაზე, ზამთარში: თორლა, ბოეთანი, ალონი, ნაგები. თეიმურაზი არ სტოვებდა არცერთ „ჯვართა ამადლებას“, „ალავერდობას“, საცა „ნაზარხოშენი“ სმას განაგრძობდნენ „ზოგთ ჯამითა და სხვათ თასით“.

„შვიდ წელიწადს ასრე ვიყავო“ (150,2—359,2), ალაპარაკებს თეიმურაზს არჩილი, მაგრამ მალე „ვით წესია სოფლისაგან...“ ეამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილიო“ (174—175-383, 384).

იწყება თეიმურაზის ცხოვრების მწუხარე ანალები: 1610 წელს გარდაეცვლება მეუღლე ანა, რომელიც უტოვებს ორ პაწია ობოლს—ლევანს და ალექსანდრეს. 1612 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით (თავისი სურვილის წინააღმდეგ) თეიმურაზი ირთავს ახლობელ ნათესავს, ქართლის მეფე ლუარსაბის დას—ხვარეშანს. კიდევ ორი წელი და უსაშინელესი კატასტროფა დაატყდება თავს ახალგაზრდა მონარქსა და მთელ საქართველოს: ესაა შაჰ-აბას ყაენის მძევნარე ლაშქრობა ქართლ-კახეთის მიდამოებში. ისტორიკოსის სიტყვებით „შა-აბაზ მიერ ჟამითგან, ოდეს მოჰკლეს კახთა კოსტანტინე, შური აქენდა და ვერ ჰპოვა ეამი შურგებისა უცალოებითა შინაგანითაო¹, მაგრამ ეს ეამიც დადგა...“

1614 წელს შაჰ-აბასი მოულოდნელად გაჩნდა განჯაში (თითქოს ოსმალეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად) და თეიმურაზს, როგორც მოსაზღვრე და ვასალური ქვეყნის მეთაურს, მძევლები სთხოვა. მეფე კარგად იცნობდა შაჰის ვერაგ ბუნებას და მის იდუმალ ზრახვებს, მაგრამ იძულებული გახდა კომპრომისის გზას დასდგომოდა: თავდაპირველად ქეთევან დედოფალთან ერთად უმცროსი ვაჟი ალექსანდრე გაგზავნა². მიზეზიანმა შაჰმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, უფროსი ვაჟიც მოითხოვა (როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე). ისიც მიაღწინეს. ცბიერი შაჰი არც ამით დაკმაყოფილდა: უკანასკნელად თვით შეფეს „მიიპატიჟებს“. ეს ცხადი ლალატი იყო, ახლა კი სცადეს ნეიტრალიტეტის დარღვევა, მაგრამ დაგვიანდა, „დიდის რისხვიანობით და მრავლის ლაშქრით“³ აბასი საქართველოს კარებს მოადგა...

¹ ქართლ. ცხოვრ., II, 115.

² ფ. გორგიჯანიძის მოწმობით თეიმურაზს თავისი და ელენეც უახლესია შაჰისთვის (გვ. 21).

³ ფ. გორგიჯანიძის სიტყვებია (გვ. 21).

თეიმურაზმა სცადა გამაგრება, შეუთანხმდა ქართლის მეფე ლუარსაბს. ჯებირებიც გააღლეს, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა უთანასწორო ბრძოლაში. ზამთრის სუსხიან დღეებში მშვიერ ლომივით ნადირობდა ქართლ-კახელებზე მრისხანე შაჰი. შაჰს ზურგს უმაგრებდა ქართველ ფეოდალთა განდგომილი დასი გიორგი სააკაძისა და ხუგზარ ერისთავის მეთაურობით.

ლტოლეილმა თეიმურაზმა და ლუარსაბმა თავი იმერეთს შეაფარეს. დატყვევებული ქეთევან დედოფალი უფლისწულებით კი შიდა სპარსეთში გაიგზავნა. მოხერხებულმა შაჰმა ლუარსაბი მლიქვნელურად გამოიტყუა იმერეთიდან და მუხანათურად მოაკვლევინა, ხოლო თეიმურაზმა კვლავ შებრძოლება სცადა და ერთგული ფეოდალების დახმარებით კახეთში გაჩნდა (1616 წელს). ამის გამგონე აბასი „განძვინდა ვითარცა ვეშაჰი“ (ვახუშტი), ხელმეორედ შეესია კახეთს და „მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“¹. ფარსადანის მოწმობით (გვ. 22) აბასს 80.000 კომლი გადაუსახლება (უმთავრესად კახეთიდან) სპარსეთის შორეულ-პროვინციებში².

აბასის ლაშქრობამ ქვეყანა უდიდეს განსაცდელს მისცა. მცხოვრებთა რიცხვმა კატასტროფულად იკლო. ძველი ნაშენი ადგილები ნანგრევებს დაემსგავსა, ნასოფლარები ტყეებით დაიფარა (ალექსანდრე მეფის ნატერა ასრულდა, კახეთი „ოხერ“ იქმნა და მრავლად გაჩნდნენ „სანადირონი ადგილნი“). საშინელი სურათი გადაეშალათვალწინ რუსეთის ელჩებს: გაპარტახებული ქვეყანა, გაძვალტყავებული და დამშეული ხალხი (განსაკუთრებით მშრომელი მოსახლეობა): „А где бывали деревни и поля, и те поля заросли лесом и травою большою, быльником“³. ანდა: „А как шли дорогою, и на дороге стоят многие церкви камелые, и полаты, пусты, обросли лесом и травою“⁴. ალექსანდრე მეფის დროს რუს ელჩებს დიდი გულუხვი პურმარილით ხვდებოდნენ თურმე და ამგვარ დიალოგებსაც კი ჰქონებია ჩვეულებრივად ადგილი: „И Олександро царь говорил: еште да пейте, бутте сыти и веселы... И послы говорили: по великого государя своего жалованью“

¹ ქართ. ცხოვრ., II, 117.

² ამისი ნაშთია ამჟამად, მაგალითად, ფერეიდანის ქართველობა.

³ Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 г., მ. 3 კოლიევიქტოვის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 124.

⁴ იქვე, 125 და სხვ.

⁵ С. Белокурова, II, 189.

у тебя нам всегда пить и есть много¹⁴. თეიმურაზის მეფობისას ელჩები, პირიქით, საშინელ შეეწროვებასა და სიმშოლზე ჩივიან. ქართველ ხელისუფალთა წარმომადგენლები კი იძულებული ხდებიან თავიანთი შერცხვენა სამარცხვინო სიტყვებით გამოისყიდონ: „Срам жас обнял и смотреть на вас стыдимся, видя ваше терпение“¹⁵.

ფ. გორგიჯანიძე კახეთის სატახტო ქალაქის გრემის შესახებ გვიამბობს: „მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქვეყლდანგრეულ ენახეთ, უკარო და უქერო, ნადირთ სადგომ ქმნილიო“ (53).

ცხადია, ქვეყნის აოხრებაში მკირედი როლი არ ითამაშა შინაურმა უთანხმოებამ, ფეოდალური წრეების ქიშპმა და განდგომილებამ. აღვირახსნილი ფეოდალური რეაქციის პირობებში სრულიად შეუძლებელი ხდებოდა გარეშე მტრების მოგერიება. გათავებედებული ერისთავები და სხვა დიდებულნი ქვეყნის წახდენაში ეძებდნენ თავიანთ საკუთარ გამოსარჩენს, ხოლო უმთავრესი მსხვერპლის გაღება მშრომელ მოსახლეობას უხდებოდა: სოციალურ სიდუხჭირეს ახლა სხვა უკუღმართობაც დაერთო (სიმშოლი, სენი, ფიზიკური გაწყვეტა, აყრა-გადასახლება, ექსპლოატაციის გაძლიერება და სხვ.).

მაგრამ დაუბრუნდეთ კვლავ თეიმურაზის ცხოვრების ანალებს.

პოლიტიკურ კატასტროფასთან ერთად ოჯახურ ცხოვრებაშიც მწარე განსაცდელი ხედა წილად კახეთის ნომინალურ მონარქს. იმისი დედა ქეთევანი შაჰმა ადრევე „შირაზს გაგზავნა და უკანის დროს [1624 წლის სექტემბრის 13-ს¹⁶] რჯულის არ დაგდებისათვის სარჯლით აწამეს და შვილები დაუხოჯავეს [1620 წელს]“¹⁷.

უმცროსი შვილი ალექსანდრე თან გადაჰყვა ამ უკაცურ ტანჯვას, ხოლო უფროსი (ლევანი) კვიდან შეიშალა. ასევე უნუგეშო გამოდგა თეიმურაზის ოჯახის სხვა წევრების ხვედრიც. აკი პოეტის ერთ თავის ლექსში მწუხარედ ჩივის (შდრ., 85,3):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე შქენ დასადაგე?
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?!

¹⁴ С. Белокуров, I, 189.

¹⁵ С. Белокуров, Поездка старца Арсения Суханова в Грузию. (1637—1640 гг.), из „Христ, Чтен.“ № 3—4, 1884, стр. 10.

¹⁶ შდრ. თ. უორდანი, ქრონიკები, II, 446.

¹⁷ ფ. გორგიჯანიძე, გვ. 21.

თავისი ქალი (ხვარეშან დედოფლისაგან) თინათინი შაჰსეფიმ მძლავრებით წაპყვარა მეფეს¹. რუსი ელჩების ცნობით, თინათინი შაჰს დაუღრჩვია: „Теймуразову дочь, которая была за шах Сефием, Обас шах велел удавить“².

თეიმურაზის და ელენე ქეთევანთან ერთად ყოფილა შაჰთან წარგზავნილი. კარგი დღე არც იმას დასდგომია. ციტირებული ნაწყვეტი ნათელჰყოფს, რომ თეიმურაზს ძმაც უნდა ჰყოლოდა, მაგრამ აღრევე დაპყვარა. მართლაც, 1602 წლის ერთი სიგელით დავით და ქეთევან და ძენი მათნი თეიმურაზ და ბაგრატი გლეხებს სწირავენ ნინოწმინდას³. 1604 წლის სიგელში კი თეიმურაზის გვერდით მოხსენებულია მისი ძმა ვახტანგი. სახელი ვახტანგი (ბაგრატიის ნაცვლად) თ. ეორდანიას სამართლიან ექვს იწვევს⁴. ამ ექვსის გარემოებაც აორკეცებს, რომ 1604 წლისათვის სიგელის გამცემი დავითიც გარდაცვლილია: შინცადამინც დოკუმენტალურად ცხადი ხდება, რომ თეიმურაზს ერთი ძმა (ბაგრატი?) უნდა ჰყოლოდა⁵, ჰასაკით ეს ძმა უმცროსი ყოფილა და, როგორც ვთქვით, აღრე დაღუპულა, რადგან დასახელებულ საბუთებს გარდა ის არსად იხსენება.

კახეთიდან გაძევებულმა თეიმურაზმა თავი იმერეთს შეაფარა. შემდეგ გურიას ეწვია. ელჩების პირით დახმარება სთხოვა დიდ პორტას. ამ მოციქულობამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო: „ხონთქარსა მოებოძა გონია და ახალციხის გარემო, რომელნიმე დაბნებო“ (ქართლის ცხოვრება, II, 118).

1620 წელს თეიმურაზი პირადად ესტუმრა ხონთქარს „საინტერვენციო“ ჯარების გამოსათხოვრად, მაგრამ უშედეგოდ დაბრუნდა უკან და ნაწყალობე გონიაში დასახლდა.

ქართლ-კახეთი კი იმ დროისად დიდი ფეოდალების სათარეშო მოედნად გახდება. განსაკუთრებით გამოირჩევიან ზურაბ და ზაალ ერისთავები. არ ცხრება გიორგი სააკაძეც. მწვავედ ებრძვის ერთიმეორეს ორი ძირითადი დაჯგუფება: სპარსული ორიენტაციის მომხრეთა დასი და თეიმურაზის აგენტურა (თეიმურაზის მომხრენი ნომინალურად მაინც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდენ). უცხოეთის

¹ ფ. გორგიჯანიძე, 36.

² Посольство кня. Мышецкого, 176.

³ თ. ეორდანია, ქრონიკები, II, 432; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, 83-3.

⁴ ქრონიკები, II, 434.

⁵ ზღრ. აგრუთვე დ. ფურცელაძე, Грузинские церковные гуджары, Тифлис, 1881, თავი VII, 1602 წლის ქვეშ.

ოფიციალური, თუ არაოფიციალური წარმომადგენლები კიდევ უფრო აღვივებდნენ შინაგან განხეთქილებას. მოხერხებულ მომენტს არც მთიული ტომები უშვებდნენ ხელიდან.

თავის მხრივ ეს საერთო არევე-დარევა დიდად უწყობდა ხელს საზოგადოების ზნეობრივ შერყევას და სულიერ დაცემულობას. ფეოდალური არისტოკრატია კი თავისას არ ივიწყებდა და ქიშპობას არ ელეოდა. სათანადოდ ძლიერდებოდა დინასტიური ინტრიგებიც: „ზოგს კაცს ქრისტიანობის სჯულისათვის ბატონი თეიმურაზი ერჩინათო“, ამბობს სპარსოფილი ფარ. გორგიჯანიძე¹. როსტომ მეფის დროინდელ ამბებთან დაკავშირებით ფარსადანი პირდაპირ აცხადებს: „ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდაო“². სხვათა შორის, ევროპელთა მოწმობითაც თეიმურაზი თითქოს დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ეს მოწმობა არ შეიძლება ტენდენციური არ იყოს, რადგან ის კათოლიკე პატრების შეხედულობას გვიდასტურებს.

პოლიტიკურ კონიუნქტურას პირადულ ანგარებიანი მომენტებიც ემატებოდა: „სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თვისი დარეჯან ცოლად ზურაბისათვის. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასულითვისი ზურაბსო“ (ქართ. ცხ., II, 119). ამ ამბავს მარაბდის ცნობილი ომი მოჰყვება (1624 წ.) და ახალი მარცხი. მარცხი აძლიერებს დეზორგანიზაციას ანგარებით შეპყრობილი ფეოდალების წრეში. სულ მალე „შთავარდა შური მოურავსა და ზურაბსა შორის“ (იქვე, 119—120). ამის ლოგიკური ფინალია ბაზალეთის ომი (თეიმურაზსა და მოურავს შორის) 1626 წელს. განდიდებული ზურაბის დანხარებით თეიმურაზი ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტსაც დაიპყრობს და 1629—1634 წლების განმავლობაში სახელმწიფოს შედარებით წყნარად განაგებს. არჩილის მოწმობით სწორედ ესაა თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდი...

თეიმურაზი ძალზე შურიანი და ეჭვიანი კაცი ყოფილა. ის ვერ ენდობოდა კეთილის მყოფელ საკუთარ სიძეს და ვახუშტის თქმით „უღდა ლალატად მარადის“ (იქვე, 45). ქართლ-კახეთის ტახტზე

¹ ისტორია, გვ. 34. რუსი ელჩების საიდუმლო გამოძიებითაც: „Теймураза паря и сына его царевича Давида любят и почитают и вперед их просят“ (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Изд. проф. М. Полиевктова, Тб., 1937, стр. 332).

² იქვე, 42.

განმტკიცებულმა „იცა ჟამი“ და „საფურცლეს მდგომიან ლალატით მოჰკლა იგი“ (იქვე, 120). დაქვრივებული ასული დარეჯანი თეიმურაზმა ცხადი პოლიტიკური ანგარიშით იმერეთის მეფის ძეს, ალექსანდრეს, შიათხოვა. სხვათა შორის, თეიმურაზმა ლალატივე მოაკვლევინა თავისი ერთგული კარისკაცი, იმ დროისათვის ჩინებულ სარდალი და ლიტერატორი ქაიხოსრო ომანიშვილი (იქვე, 115).

1634 წლიდან თეიმურაზს ახალი საშიში მოქიშპე გაუჩნდება, ეს მოქიშპეა ხოსროვ მირზა, შემდეგში განთქმული როსტომ მეფე. როსტომი იყო სპარსეთში გაწვრთნილი სარდალი, სპარსული ორიენტაციის ყველაზე უფრო ძლიერი და მასთან ნიჭიერი წარმომადგენელი.

თეიმურაზმა ველარ გაუძლო ახალ მოპირდაპირეს: გადამწყვეტ მომენტში 1648 წელს როსტომმა ყიზილბაშებს მოაკვლევინა ქიზიყს თეიმურაზის უკანასკნელი ვაჟი და თუნა¹, თვითონ კი მრავალრიცხოვანი ჯარით ალყა შემოარტყა თიანეთში მყოფ კახეთის მეფეს. თეიმურაზი ჩიხში მოემწყვდა, გასაქირში „ერთგულმა“ ფეოდალებმაც კი მიატოვეს: „ბატონს თეიმურაზს ყოველგნით ღონე მოელო: აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, აღარც ასაყრელი ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი; კახნიც ქართველთ მისვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაქირვას ეპატიჯებოდნენო“, გადმოგვცემს ფ. გორგიჯანიძე (გვ. 48).

განწირულმა მეფემ უკანასკნელ საშუალებას მიჰმართა: როსტომის კეთილშობილებას დაენდო, მეუღლე მიუგზავნა და გზა სთხოვა. როსტომმა თხოვნა შეიწყნარა: „გზა მივეციოთ და იმერეთს გავაგდეთო“, ცინიკურად აცხადებს ის ერთ სიგელში.² იმერეთშიც მწარე ამბავი დაახვედრეს გამოძეებულ მონარქს: დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი გაუმტლავნეს. ამის გამო ისტორიკოსი შენიშნავს: „აბათუ ამ გამტლავნების დღის ანბავი თუ სრულ დაგვეწერა, ტირილსაგან კაცი ველარ წაიკითხევდაო“.³

1649-1656 წლებში თეიმურაზი გამუდმებით იმერეთში ცხოვრობდა თავის სიძესთან, რომელმაც ლტოლვილ სიმამრს საზრდოდ რაქა მიუჩინა. „უსაქმოდ მოწყენილი“ მეფე უმთავრესად ლიტერა-

¹ ქრონიკები, II, 463-464.

² იქვე, II, 464.

³ ფ. გორგიჯანიძე, 51.

ტურულ საქმიანობას ეწეოდა. სწორედ ამ ხანაზე მოდის თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე, უნაყოფიერესი პერიოდი. ვინ იცის რამდენი მწუხარე დღე შეღამებია ემიგრანტ მეფეს ლამაზი პოეტური სიტყვის მარცვლაში! აკი ის ერთგან ¹ გრძნობით გვიამბობს:

მე გასაძლებლად დავწერე: ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრ დღე შევალამეო;
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,
ჩარხი უქულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვამეო!

მაგრამ არც პოლიტიკას ანებებს თავს თეიმურაზი. ახლა განსაკუთრებით აქტუალური ხდება რუსეთთან ურთიერთობის საკითხი, რაც ადრიდანვე მეფის საერთაშორისო პოლიტიკის ქვაკუთხედს შეადგენდა. თეიმურაზის დაუძინებელი მტერი სპარსეთი იყო. მეფე იყენებდა ყლველგვარ საშუალებას, რომელსაც კი სპარსეთის საწინააღმდეგო მდგომარეობის შექმნა შეეძლო. ამ მიზნით თეიმურაზი ჯერ ოსმალეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, 1623-24 წლებში საგანგებო ელჩი (ნიკიფორე ირბაქი) გაგზავნა რომის პაპთან, კათოლიკობის მიღება დაჰპირდა და ქვეშევრდომობაც კი აღუთქვა. ² რომის შემდეგ ელჩმა მთელი ევროპა მოვლო: ესპანეთი, ნეაპოლი, ფლორენცია, ბოჰემია, უნგრეთი, პოლონეთი, შვეცია და საფრანგეთი. ³ მაგრამ მიქელ თამარაშვილის მართებული შენიშვნით: „იმ დროს ევროპის მთავრები სპარსეთს მეგობრულად ეპყრობოდნენ, რათა მასაც ევროპელებთან ერთად ებრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგო“ ⁴. ამიტომაც ნიკიფორეს ელჩობას შედეგად მოჰყვა მხოლოდ პაპის „მოციქულებრივი ლოცვა-კურთხევა“.

უკანასკნელ დღიურ საკითხად დაისვა რუსეთთან დაკავშირების მცდელობა. ჯერ კიდევ პაწია თეიმურაზი მამის სიცოცხლეშივე დააფიცეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე ⁵. მამის სიკვდილის შემდეგ რუსეთის სამეფო კარი ცდილობდა დაობლებული უფლისწულის-დიდთურთ მოსკოვში გაწვევას. თეიმურაზს სიძობას აღუთქვამდნენ,

¹ შამ-ფარე, 13.

² თამარაშვილი, 94.

³ იქვე, 96-97.

⁴ იქვე, 93.

⁵ Белокрылов, I, 361-362.

ელენეს კი რძლობას ჰპირდებოდნენ¹. მაგრამ საბოლოოდ ეს საქმე ჩაიშალა. შემდეგში ემიგრანტი მეფე გონიას მჯდომი „იყოფოდა მუნ [განზადებულ] წარსლვად რუსეთს შავის ზღვით“. ² შექმნილმა მდგომარეობამ ეს განზრახვაც ჩაშალა...

რუსეთთან ნამდვილი და ცხოველი ურთიერთობა მას შემდეგ გაჩაღდა, რაც იქ 1636 წელს ცნობილი ნიკიტორე მიტროპოლიტი გაიგზავნა. ³ ეს ურთიერთობა განმტკიცდა 1640-1643 წ. კახეთში თავ. მიშეცკის და დიაკი კლუჩარევის ⁴ ელჩობით.

თეიმურაზი რუსეთს ემუდარებოდა ჯარსა და ფულს, აგრეთვე ითხოვდა ხელოსნებს (უმთავრესად მხატვრებს) და ექიმებს. ფრიად საყურადღებოა, რომ რუსული კაპიტალის დახმარებით თეიმურაზი საწარმოო ძალთა განვითარებაზედაც ოცნებობდა: მეფე, სხვათა შორის, დაბეჯითებით მოითხოვდა კვალიფიციურ მუშა-ხელს ადგილობრივი მადნების დასამუშავებლად, ⁵ ამ მიზნით კარგ პირობებსაც იძლეოდა. ერთი სიტყვით, თეიმურაზი გარკვეულად ცდილობდა რუსული კაპიტალის დაინტერესებას საქართველოს ეკონომიური ცხოვრებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იყო პირობები საამისოდ მომზადებული და ქართველი მონარქის ეს საინტერესო ეკონომიური პროგრამა განუხორციელებელი დარჩა. რაც შეეხება პოლიტიკურ მომენტს, პროფ. მ. პოლიევექტოვის შენიშვნით: „სპარსეთთან კონფლიქტის შექმნა მიხეილ რომანოვის შთავრობის ანგარიშში არ შედიოდა“ ⁶. ამიტომაც რუსეთის მხრივ ჩვეულებრივი იყო ხოლმე ასეთი დიპლომატიურად ფრთხილი და რეალურად სრულიად უქმი პასუხი: „И мы великий государь, слыша про то, что вам Теймуразу царю от кумычан теснота чивитца, о том поскорбели, а воеводу и ратных людей послать я города поставить не изволили“ ⁷.

სიტყვიერად თითქოს სპარსეთისაგან მფარველობასაც კი პირდებოდა მეფეს დიდი რუსეთი: „Да сверх того пошлет великий государь великих послов своих говорить к брату своему шах

¹ Белокуров, 492 და შმდ.

² ქართ. ცხ., II, 119.

³ Посольство кн. Мышецкого, об. Материалы по истории грузинско-русских взаимоотношений. Изд. проф. М. Полиевктова, Тб., 1937.

⁴ თვითონ ამ კლუჩარევა კახეთამდის ვერ მოაღწია, გზაში გარდაიცვალა.

⁵ Посольство кн. Мышецкого, 37, 150 და სხვ.

⁶ იქვე, გვ. 08.

⁷ იქვე. 32.

Аббасову в-ву, чтоб отдал по совету и по братству государство твое Кахет¹ 1.

აღორძინების გზაზე შემდგარ დიდმპყრობელურ რუსეთს შორეულ პერსპექტივებში უკვე გემრიელ ლუკმად ეხატებოდა საქართველოს მიღამო, მაგრამ რეალური ნაბიჯების გადადგმა ჯერ არ შეეძლო. ისე კი საიდუმლო „ნაკაზებში“ ეს შორეული მიზნები ცხადად მქლავდებოდა: „Как бы государеву имени к чести и к повышенью и к вечной славе и к похвале и государством его к прибавленью и к расширенью“²...

1658 წელს თეიმურაზი პირადად ეწვია მოსკოვს მეფე ალექსი მიხეილის-ძეს, მაგრამ მალე (1659 წ.) იმედგაცრუებული უკან დაბრუნდა იმერეთში. აქ გარდაცვლილი დახვდა დედოფალი ხვარეშანი. მგლოვიარე და განძარტოვებული ის ერთხანს „დაშთა ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი“ (ქართ. ცხოვ., II, 125).

უკანასკნელად თეიმურაზმა უარყო პირადი თავმოყვარეობაც (რაც ასე ძლიერი იყო მასში), ჯერ ბერად აღიკვეცა (1661 წელს) და შემდეგ ღრმად მოხუცი, სულიერად და ფიზიკურად დავრობილი ეახლა თავის „სისხლის მსმელ“ სპარსეთის შაჰს. აქ ერთხელ კიდევ ცინიკურად დასცინა თურმე მას ბედმა. ისტორიკოსების სიტყვით, ერთერთ ნადიმზე შაჰს სკამასხროდ აუგდია შემონაზვნებული მეფის რელიგიური გრძნობები და, სხვათა შორის, ქრისტეს გმობაც მოუთხოვია მისგან. თეიმურაზის უარზე „განრისხნა შააბაზ³ და შეაქცია: თასითა ღვინო პირსა ზედა ხელითა თვისითაო“, გვიამბობს ვახუშტი ბატონიშვილი.⁴ ამასვე ადასტურებს არჩილიც.⁵ ამის შემდეგო—განაგრძობს ვახუშტი—„წარავლინა ასტარაბადს პატიმრადო“.⁶ ხოლო აქ, შორეულ ასტარაბადში, 1663 წლის ზამთარში სამუდამოდ „დადუმდა ენა რიტორი“⁷.

თეიმურაზის უკანასკნელი ანდერძი ყოფილა: „რომ კახეთს თავის მამა-პაპათ სასაფლავოში ალავერდის სალდარს მიიტანონ“.⁸ ვგო-

¹ Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, 2.

პოლიტიკოსის გამოცემა, ტფილისი, 1926, გვ. 41.

² Посольство кн. Мышешкого, 46.

³ ეს შაჰაბას მეორეა.

⁴ ქართ. ცხ., II, 125.

⁵ ცხოვრება თეიმურაზისა, 682—1105.

⁶ II, 125-126.

⁷ ცხ. თეიმ., 687,1—1110,1.

⁸ ფ. გორგიჯანიძე, 64.

ნებ, ეს ერთადერთი სურვილი იყო, რომელიც კი ამ განთქმულ პოეტს და მეფეს მართლაც სიზუსტით შეუსრულეს...

* * *

გარეგნობით თეიმურაზი მოხდენილი აგებულებისა ყოფილა: „თეიმურაზი ძლიერ მშვენიერი შეხედულებისაა და თეთრ-წითური დიდროანი თვალები და სურათი ცხვირი აქვს; საშუალოზე მაღალი ტანისაა“, გადმოგვცემენ პოეტის ახლობელი კათოლიკე პატრები.¹ არჩილიც ასე აღაპარაკებს ახალგაზრდა თეიმურაზს (49,4):

ვკვანდი, მთვარე ბაკში იჯდეს-ო.

თეიმურაზი თავის დროისთვის დიდად განათლებული კაცი ყოფილა: „კარგად იცის ქართული, თათრული და სპარსული, რა ენებსაც მკერმეტყველად ლაპარაკობს“-ო—გვიდასტურებენ პატრები² და ქვეითაც განაგრძობენ: „თეიმურაზი მეტად დიდი ნიჭიერი და განსწავლული კაცია, კარგად იცის ძველი და ახალი აღთქმა (სალგთო წერილი), კრებათა და წმინდა მამათა წერილებიც“-ო³. თეიმურაზს არა ერთხელ მოუწყვია დისკუსიები თეოლოგიურ-დოგმატიკურ საკითხებზე და ამ „ფილოსოფიურ ბქობაში“ თვითონაც ცხოველი მონაწილეობა მიუღია“ (იქვე).

თუ კათოლიკე პატრებს დაუჯერებთ, ზნეობრივადაც თითქოს სამაგალითო კაცი უნდა ყოფილიყო ჩვენი პოეტი, ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდობაში მაინც: „მეტად ნაზი და ქცევაში თავაზიანი“ო (იქვე), ამასთან ოჯახის იშვიათი მოყვარულიო.⁴ ყოველივე ამასთან თეიმურაზი შეუპოვარიც ყოფილა, მხნე, ქედმაღალი, გმირი-რაინდი. მეფეს პირადად მიუღია მონაწილეობა მრავალ ომში. თვითონ

¹ მ. თამარაშვილი, 102. რუსი ელჩების აწერილობით „Царь [Теймураз] возрастом средней, лицом бел, бито воспою, борода черна, подбрита и подкрашена, а голова выбрита; присутуд, в плечех широк, глаза красносеры, уряден, ногти у рук крашены“ (Посольство из Москвы в Грузию к царю Теймуразу I кахетийскому князя Феодора Федоровича Волконского и дьяка Артемия Ивановича Хватова в 1637—1640 г.г., Материалы по истории Грузино-русских взаимоотношений, Изд. проф. М. Полиевктова, Тб., 1937, ст. 262, ср. там-же стр. 420).

² მ. თამარაშვილი, 102; შდრ. „Посольство Толочанова, 55; Посольство кн. Мышецкого, 132.

³ მ. თამარაშვილი, 110.

⁴ შდრ. იქვე, გვ. 103-104.

გიორგი სააკაძეც კი საქვეყნოდ აცხადებს (იოსებ ტფილელის გად-
მოცემით):¹

„სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია“ო.

ქრისტოფორო კასტელის სურათიდანაც ჩანს, რომ თეიმურაზი ახალგაზრდობაში იშვიათად წარმოსადგევი ვაჟკაცი ყოფილა და ახოვანი მეომარი. თუმცა კასტელის პორტრეტი არაა მოკლებული სტილიზაციას.

თეიმურაზს მრავალი უარყოფითი თვისებებიც ახასიათებდა, როგორც აღამიანს (და როგორც მეფეს). მთელი რიგი ისტორიული წყაროებით ის ვერაგი ყოფილა, ავი, უნდო, ეჭვიანი, ექსპანსიური. უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ თეიმურაზმა ლალატით მოაკვლევინა ქაიხოსრო ომანიშვილი და ზურაბ ერისთავი. სიმპტომატურია, რომ წინამორბედი პოეტი მეფის დიდი პატივისმცემელი აგრეთვე მეფე პოეტი არჩილი უკანასკნელი შემთხვეულობის გამო ასე ალაპარაკებს თავის გმირს (თეიმურაზს)²:

ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა,

გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა.

თეიმურაზს ერთხელ ტყვედ ჩავარდნილი დედაკაცების ცხვირ-პირთა დაქრა განუზრახავს, მაგრამ „არა აუფლა ხვარაშან დედოფალმან“ო, დასძენს ისტორიკოსი.³ საყურადღებოა ასეთი დეტალი: რალაც დანაშაულისათვის ვინმე ხოსუა მაქაეარიანს მეფემ თურმე ყურების დაქრა მიუსაჯა, მაქაეარიანი შეხვეწნია (ცხოვრება თეიმურაზისა, 490, 3): „სულ ნუ დამქრი, ცოტა იქით მიიწიო“. მაგრამ თხოვნა არ შეუწყნარებია: „როდეს დასქრეს, შემომძახა: „არ მეგონე გულპილწიო.“

თეიმურაზის დაუნდობელმა ექვმა ნიკიფორც კი გაიმეტა, თუმცა მისივე მოწმობით: „Иного человека такова в государстве своем не имею“ო.⁴ ანდა: „И верен мне во всем и служит мне по бозе чистым сердцем“.⁵ რუსი ელჩების გადმოცემით, თეიმურაზს თითქოს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ნიკიფორესთვის: „Ты, Микифор, и сперва стал не добро делать. Довелся ты, то чтобы тебе в пирожные части изрублену быть“⁶:

¹ დიდ-მოურავიანი, 40.

² ცხოვრება თეიმურაზისა, 516, 1-2—723, 1-2.

³ ქართლის ცხოვრება, II, 46, 121.

⁴ Посольство кня. Мышенского, 63-64.

⁵ Поездка старца Арсения, 34.

⁶ Посольство Толочанова, 56.

ამავე ნიკიფორეს სიტყვით თეიმურაზის მრისხანების დაუმსახურებელი მსხვერპლი გამხდარან თეიმურაზის მიერვე რუსეთში წარგზავნილი ელჩები, წინამძღვარი ხ ა რ ი ტ ო ნ ი და არქიეპისკოპოსი თ ე ო დ ო ს ი. ნიკიფორეს უცნობებია რუსეთის მთავრობისათვის: „[Харитон] срамоты ради и бояся' страха государя моего [ქართველ ელჩებს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოსკოვში დაუყოვნათ, ა. ბ.], и очей государя моего не видал и от страха збег в чужую страну да и умер. И после того послал архиепископа Феодосия, и того держали здесь 4 года и отпустили. А приехал ко государю моему, никакова подлинного указу ко государю моему не привез, и государь мой хотел его казнить. И тот збежал же в турецкую землю“ (Материалы, Изд. Проф. М. Полневктова, Тб., 1937, стр. 138).

თეიმურაზის ეკვი ისე შორს მიდიოდა, რომ რუსი ელჩებისაგან თურმე დაჟინებით მოითხოვდა ფიცითი პირობის დადებას, რომ უკან დაბრუნებულნი იმის შესახებ სააუგოს არას იტყოდნენ¹.

თეიმურაზი ჯიუტი ყოფილა, პირმოთნე და მლიქვნელი. ამასთან ავადმყოფური პატივმოყვარეობით შეპყრობილი. ეს თვისება მეფეს ბოლომდის შერჩა და უდიდეს გაპირვებაშიც კი ქედს არ იხრიდა. ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ერთი წერილის შემდეგი ადგილი: „Аще если и обнищали, велики государь, а честь також имеем и нарицаемся. Яскови цари Иверские“².

თეიმურაზმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე განცხრომასთან ერთად მრავალი ტანჯვა-ვაება განიცადა. მუღმივი მარცხისა, ინტრიგებისა, განდგომისა და მისთანათა პირობებში უფროდაუფრო მიუკარებელი, უნდო და მტარვალი შეიქნა: „ამიტომ ვგონებ ძალზე გადაქარბებული არ უნდა იყოს თეიმურაზის აღრიდანვე პატივისმცემელი კათოლიკე პატრების გამანადგურებელი მოწმობა: „[თეიმურაზი] სულ სხვა კაცად შეიცვალა, ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავისი სიხარბე და ეინი გაიხადა“-ო³.

¹ Посольство Толочанова, 54-55. აგრ, Материалы, გვ. 329.

² Поездка старца Арсения, 39.

³ თ ა მ ა რ ა შ ვ ი დ ი, 125.

დამახასიათებელია თეიმურაზის პოლიტიკური მოპირდაპირის, ფარსადან გორგიჯანიძის, ცხადია, საერთოდ ტენდენციური განცხადება: „მღეთის მადლს, წამკითხველნო, კარგად გული დაჰყარეთ, რომ ამ რიგს აობრებასა წარყენას (sic) აქეთ თუ ვისმე გაგვეგონოს? მე ფარსადან გორგიჯანიძე ვიტყვი ამასა: ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სახლი მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაესხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალი დედანი აეტირებინოს. და იესოს ნაბძანები სიტყვანი აქ გათავდება, რომ უბძანებია: „რომლისაც საწყაოთ მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო“¹.

2. თეიმურაზის ლირიკის მთავარი მოტივები

მომწონს მაჯაპის ამირბარი თეიმურაზი.
ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი.

თეიმურაზი საუკეთესო და ტიპიური წარმომადგენელია ე. წ. ალორძინების² პერიოდის ლიტერატურისა. ამ ლიტერატურას თეიმურაზის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდისაც ჰქონდა გზა გაკვლეული და საერთო კურსიც უკვე იყო აღებული, მაგრამ თეიმურაზში ეს კურსი განამტკიცა, გააფართოვა და წინ ახალი პერსპექტივები გადაუშალა...

თეიმურაზის დროისათვის ერთერთ უმწვევეს კითხვათაგანს წარმოადგენდა სასულიერო და საერო მიმართულებათა ურთიერთობა. ისტორიული ცხოვრების კონკრეტულმა პირობებმა გაბატონებულმა საზოგადოებრიობის ეკლესიურ-კლერიკალური ფრთა გააძლიერა. მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით დაშინებულსა და სულიერად დაცემულ საზოგადოებაში რელიგიურმა პროპაგანდამ საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ბრძოლის გუნებაზე დამდგარი ეკლესია უკიდურესი რეაქციური იდეოლოგიის გამოძახატველი ხდება და, სხვათა შორის, საერო კულტურის ყოველგვარ გამოხატულებას სდევნის. უწინარესად ყოვლისა, საერო ლიტერატურა იქნა ნიშანში ამოღებული. კლერიკალური კრიტიკის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანიც“ კი მანე ნაწარმოებთა რიცხვში მოექცა. მით უმეტეს „ვისრამიანი“. საერო ფეოდალური საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი ვერ

¹ ისტორია, 48.

² ამ ტერმინს პირობითი მნიშვნელობით ეხმარებ.

ურიგდება კლერიკალური ფრთის ასეთ გამოსვლებს. ბრძოლა მწვავე-დება და ცხარე ხასიათს ღებულობს. წინააღმდეგობა ძლიერ გა-ღენას ახდენდა საზოგადოებრივი აზროვნების მიმართებაზე. მაინცღა-მაინც საერო მიმართულების აშკარა მიმდევარნიც კი ვერ აღწევენ თავს რელიგიური აზროვნობის ზემოქმედებას. ამის საუკეთესო მა-გალითია თვითონ თეიმურაზი. უკანასკნელი აღნიშნული ბრძოლის მონაწილეა და გარკვეულად საერო-ფეოდალური ფრთის ერთერთი ბურჯი, მაგრამ რელიგიური აზროვნობის ელფერი ღრმად აღბეჭდილა იმის ლექსებში.

თეიმურაზი თავის რჩეულ თხზულებებს „ზღაპრად თქმულებსა“, „ლაყაბსა“, „უსარგებლოსა“ და მისთანა სახელებს უწოდებს. თარ-გმნილი პოემების შესავალში პოეტი ჩვეულებრივად შენდობას ით-ხოვს ღვთისგან, რომ ხელი მიჰყო „ცულ მიდ-მოდებასა“, „უსარგებ-ლო ლაყაბსა“ და ასე თავხედურად დაივიწყა „ღვთიური სიბრძნე“. საერო მწერლობა ღვთისგან განკიცხულია და გამობილიო—ამბობს თეიმურაზი (შედ. გაზ. და შემ., 3):

ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა, აჲ უსარგებლო თქმულებსა,
განქარებდადსა, უნდოსა, იგ სამლოდ მოკიცხულებსა—ო.

მაგრამ მაშინ საკითხი იზადება, რად შეაღია პოეტმა თავისი მხატვრული პოტენცია ამ „უნდო“ საქმეს? თეიმურაზიც მშვენივრად გრძნობდა ამ უხერხულობას და თვითვე იძახის (იქვე, 8):

მითხრას ვინმე: რად დააშრევ ცულ საქმეზედ ენა შენი?!

საცილობელ კითხვას პოეტი ბევრჯერ უბრუნდება და ყოველ-თვის ერთი პასუხი აქვს მომარჯვებული: „სმენად მისდა [ე. ი. სალ-ვთო სიბრძნისა] ვერვინ ვნახე“ (იქვე, 4). ახირებული თავის მართლებათ! უკანასკნელად თეიმურაზი ყოველად უსაფუძვლოდ ცდი-ლობს მკითხველის დარწმუნებას, თუმცა: „ხამდა მეხმევნა სიტყვანი-უხრწნელად დანამყარები, სწავლა სამლოთათა წერილთა სულისა გამამყარები“ (ი. ხ., 7), მაგრამ „მუნ ვერა ვპოვე სათქმელი“—ო. (იქვე, 8). ჩვენი აზრით, ეს „გულუბრყვილო“ ცდა იყო კლერიკალური წრეების წინაშე ბოდიშის მოსახდელად. ამ წრეებმა კარგად გაიგეს თეიმურაზის გულის ქაველი და მამუკა ბარათაშვილის პირით მწვავედ ამხილეს გვირგვინოსანი პოეტი. მამუკა ბარათაშვილი ერთგან აღშფო-თებით წერს თავის „ქაშნიკში“: „რომელსა მემ საღვთო წერი-ლი სამეძაოდ გაუღექსავს; სხვას მრავალთ დედაკაცო ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაუღექსავს მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურეგოდო“¹. არავითარი ეჭვი არაა, რომ ციტირე-

¹ საქართველოს მუზეუმის S კოლექციის ხელნაწერი, № 1550. გვ. 4—5.

ბული ნაწყვეტის მთელი მახვილი თეიმურაზის წინააღმდეგ არის მიმართული: „თათრული ზღაპრების“ მღექსავთა შორის სწორედ თეიმურაზს მიეკუთვნება პირველი ადგილი. ჩვენ ქვევით ვაჩვენებთ, რომ თეიმურაზმა წამოისროლა კლერიკალური თვალსაზრისით მწვალებლური ფრაზა: „სპარსთა [იგულისხმე ბარათაშვილის თათართა] ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა შემდეგი დეტალი. ბარათაშვილის სიტყვით, რომელსავე საღვთო წერილი სამეძაოდ გაულექსავსო“. ხოლო ამ შემთხვევაში უსათუოდ თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ იგულისხმება, რომლის შესახებ თეიმურაზი პირდაპირ ამბობს: „მათ საქმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს დაბადება“-ო.

და განა თვითონ თეიმურაზს კი სჯეროდა თავისი „გულუბრყვილო“ განცხადებისა? აკი ერთგან პოეტი გამომწვევი კილოთი შენიშნავს (ვ. ბ., 93):

თქვას თუ ვინმე: რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა,
ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?!¹
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა
ვისგან ბარჯა-ო.

და ეს სიტყვები იმ კაცს ეკუთვნის, რომელსაც არჩილი სრულიად სამართლიანად ალაპარაკებს (ცხოვრება თეიმურაზისა, 643):

გითხარ, სალექსო დროები აროდეს არ შემომესწრო-ო.

სხვაგან თეიმურაზი თითქოს ნაღვლიანი გულისწყრომითაც მშვენივრად ამხელს სასულიერო მწერლობის მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ინდიფერენტობას (შედ., 5):

არვის უნდა სახარება, არცა „წიგნი მოციქულთა“,
არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემომქმედი მისგან ქმნულთა?!
განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,
უნახავთა არას მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა-ო.

პოეტი თითქოს ნწუხარებით შესჩივის მკითხველს (4):

დალპეს ბევრი სამღთო წიგნი მიწაშიგან მოღებულთა-ო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზის აღნიშნულ ფაქტს არჩილიც ადასტურებს¹:

¹ ვ. თაყაიშვილი, Описание, I, 148.

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახედენ სტაერის ბუდით, ან ნახლობით-ო.

ამასთან ერთად თეიმურაზი არც საერო პოეზიის პოპულარობას
ჩქმალავს (შედ., 82):

თუ სამლო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაი-
ხედევდა,

რა ეს ლაყაბი შეეკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა:

„არა ესე სჯობს“, — „არ, ესე“ — სიცილით ყველა ყბედევდა-ო.

ამ სტროფის უკანასკნელ ტაეპში კი პოეტი კვლავ საბოდიშო
სიტყვებით ასკვნის:

ეგების სხვაც რამ ვასმინო, მე ესე შეიმედევდა-ო.

ამრიგად, მიუხედავად სასულიერო მწერლობის პრიორიტეტო-
ბის აღიარებისა, თეიმურაზი მთელი თავისი მხატვრული შემოქმედე-
ბით საერო მიმართულებას ემსახურება და „სალალობო და წყლია-
ნი“ პოეზიის ენტუზიასტი ხდება. მისი ჩივილი „სამლო“ მწერლო-
ბის სიაგვარგეზე მხოლოდ ერთგვარი სავალდებულო ხარკია. კლერი-
კალური საზოგადოებრიობის მიმართ. მაგრამ ეს ხარკი თეიმურაზმა
მაინც გაიღო და, მაშასადამე, კლერიკალური საზოგადოებრიობისა
და რელიგიური აზროვნების ზემოქმედებაც განიცადა. ყოველ
შემთხვევაში ფორმალური მომიზეზებით თეიმურაზმა ძირითადად
თავი დააღწია სასულიერო მიმართულებას და საერო-ფეოდალური
საზოგადოებრიობის იდეოლოგი გახდა. სწორედ ეს იდეოლოგია ეგუ-
ებოდა პოეტის სოციალურ განცდებს. სრულიად შემთხვევითი არაა
თეიმურაზის აღსარება, რომ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიით
„ცოტა რამ უკუვიყარე, სევდა ვქენ განათხელებიო“ (შ. ფ., 15).
და რამდენი სხვა „სევდიანი“ გული ეტანებოდა ამ პოეზიას?!

უკანასკნელ ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ თეიმურაზის შემ-
დეგი გულახდილი განცხადებაც (ლ. მ., 3):

სიბრძნე ხამს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვებანი,
ოკლებლად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი;

არეინ იკითხავს წიგნებსა¹, შესწყინდეს ცუდად დებანი, მას არეინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მო-დებანი.

* * *

როგორც ვიცით, თეიმურაზის დროინდელი ფეოდალური საზოგადოებრიობა ძალუმად ამჟღავნებდა დაცემისა და დაქვეითების კუხადლივ სიმპტომებს. დაცემულობის მომენტები აღბეჭდილა თეიმურაზის პოეზიაშიც. არისტოკრატიული უदारდელობის ასახვასა და ბაგე-ღვინის აპოლოგიასთან ერთად აქ აღბეჭდილია მწარე ამონაკენესებიც: ბედის ჩივილი, წუწუნი, მოთქმა. ეს თითქოს მოჩვენებით ორი მოპირდაპირე ძირეული მოტივი ერთად შერწყმულია თეიმურაზის პოეზიაში და ერთ მთლიან იდეურ მხატვრულ სურათს იძლევა.

თეიმურაზის მთელ შემოქმედებაში წითელი ზოლივით არის გატარებული მწუხარე ჰანგი, პესიმისტური მოტივი. პოეტისთვის წუთის სოფლის რაობა ისმება კარდინალურ კითხვად. პასუხი მუდმივ ერთია: წუთისოფელი მუხთალია, უნდო, მბებზარი (შედ., 92):

მუხთლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი... და—
— „ანაზღად სიკვდილსა მოგვეცემს“, „პირს მთვარულებ გავსილსა დააქენობს, დაალურჯებს“, „წარბსა მშვილდურებ მოხრილსა გააყრევენებს, წაახდენს“. არად დაინდობს ნორჩი „დაწვისა ფეროვანებას, ლერწამ ტანს“, „წაჰხრის და მოსდრეკს“. ყოველივეს უნუგეშო დასასრულია (შედ., 99—103):

სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.

წუთისოფელი ამოუცნობი ფენომენია, ის კაცს „პირველად ამოდ შეიტკბობს, საყვარლად დაუამდების“, მაგრამ მოულოდნელად „უმუხთლებს, გაუაფდების“ (სოფლის სამღურავი, 11). საწუთროს თვისებაა: „ფერობა, ბრუნვა, ჩვენება“ (წამება, 2). ის უკუღმართია, ვერაგი, ბოროტი. აბა „გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?!“ (სოფ. სამღურავი, 12). ამიტომ რაღა დარჩენია პოეტს, თუ არ მწარე გოდებით ამხილოს ეს ვერაგობა (იქვე, 13):

სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე, გასინჯეთ და გაიგონეთ, ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!

¹ იგულისხმება „მამათა“ ნაწერი „წმინდა“ წიგნები.

ასეთია თეიმურაზის შეხედულება წუთისოფელზე, რომელიც მისი ცხოვრების კონკრეტულ ყოფით პირობებში შემუშავდა. პოეტის „ბედი“ სიყმით ყოფილა განწირული, მისი გული თურმე ღრმა ურვასა და მწუხარებას ჩვეულა: „გული საეცე მაქვს ლახერთაო“ (მაჯამა, III, 4), ოხვრით აცხადებს და ბრალად საწუთროს უდგენს: „უწყალოდ ჰეამს სისხლსა ჩემსა“-ო. მართალია, პოეტს ახალგაზრდობისას სიხარულიც კი განუცდია და არცთუ ლხინსა და ღრეობას ყოფილა მოკლებული, მაგრამ ეს იყო მხოლოდ „წამ ერთიო“. ბოლომდე კი სოფელი არვის დაინდობს და ლხინი ქირად შეეცვლებაო (მაჯამა, VII, 6, 16):

სოფელმან და ჟამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა-ო.

პოეტს თითქოს ერთხელაც კი არ უნახავს მზიური ყოფა. მისი სიცოცხლე თითქოს უწყვეტელი ცრემლთა დენაა (იქვე, VIII, 26):

მე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დართა-ო.
ან კიდეც (შ. ფ., 12):

თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მგზავსად მდენია-ო!
„სოფლის სამღურავშიც“ ჩვეულებრივად მოსთქვამს (20):

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარიდ მანანა-ო.
საწუთროს მთელი მუხთალი ძალა თეიმურაზის თავს დატეხილა,
ყელში სწედენია პოეტს და მოშთობაც კი განუზრახავს. გამწარებული პოეტი ცრემლით საყვედურობს (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!

პოეტი ეძლევა სასოწარკვეთილებას, ჰკარგავს თვითმოქმედების უნარს, არ იცის რა ქნას, რა გზას დაადგეს (სოფ. სამღურავი, 10):

✓ შემაშთო სოფლის ზრუნვამა, ვამე, რალა ვჰყო აწა მე?!

თვალს მიმოავლებს თავის ცხოვრების მატრიანეს და შხამიან დღიურებს ფურცლავს (შ. ფ., 12): „სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენიაო“—ურვით დაასკვნის. საკუთარი თავის ორეული კი მატდურად ჩასციეებია (სოფლის სამღურავი, 12):

სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაებია?

ადეენებული ეკვი კვლავ ჩასჩინებებს, ელიზღება (წამება, 3):
უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.

პოეტში ბრძოლაა. საშინელი ქარტეხილია აკრილი მის სულში. მხოლოდ ხანისხნობით თუ ჩადგება ხოლმე ეს ქარტეხილი და დროებითი სიმშვიდე ჩამოწვება: ესაა რელიგიური აღგზნების წამში. ამას მოჰყვება სინანულის ცრემლები, ჩივილი (თუ აპელაცია) იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მიმართ (წამება, 5):

იესოვ, შენ გვედრები, მარიამ, ქრისტეს დედაო,
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!

მაგრამ ეს მხოლოდ მორწმუნე გულის მოჩვენებითი შესვენებაა, თორემ საბოლოოდ პოეტს ცრემლებიც შეაშრება და ლოცვაც ველარას შეელის. მაშინ ვისლა მიჰმართოს? დარეტიანებულ მგოსანს გზად რუსთვლის აჩრდილი შემოეყრება (შედ., 90):

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად-ო.
თეიმურაზი ღრმად ეწათება ამ „შარბათს“ და სანდომიანად ნატრობს (მაჯამა, VII, 16):

ნეტამც ვინმე სიკვდილს მიმცა-ო.

სულის ეს რომანტიკული სწრაფვაც უღონოა პოეტს შეუმსუბუქოს ყოფის სიმძიმე და ის კვლავ თავდავიწყებით სწყველის ბედს, წუთისოფელს, სიცოცხლეს (მაჯამა, VIII, 23):

სოფელო, კრულო, მოკლევ და წამ-ერთო-ო.

სასოწარკვეთილი პოეტი საკუთარ გულისთქმაშიდაც არის დაეჭვებული. მისი საქმიანობა ნერვიულია, აჩქარებული, შეუწონავი (ანბანთქება, III):

ჰესრეთ არ დავიქცეოდი, მე თუმცა გულის-ხმა მეგო-ო.

რუსთველის მითითებული წამალი სანუგეარი ხდება, პოეტი ეძებს სიმშვიდის ამ უებარ წყაროს. იმას იტაცებს თავდავიწყება: გახრწნადი სხეულისათვის მიწასაც კი არ თხოულობს, ოღონდ ეღირსოს. სანატრელ სიკვდილს (შედ., 86):

მოკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზედ მხეცნი მოაწივე-ო.

დღე მხეცებმა მაყრიონიც გამართონ პოეტის ლეშზე, ოღონდ შოშორადეს „მსახვრალ“ სიცოცხლეს, მუხთალ საწუთროს ¹.
ასეთია თეიმურაზის პოეტური მრწამსი.

* * *

მაგრამ პოეტის ეს ზოგად შტრიხებში მოხაზული უსასო პესი-მიზმი მაინც დროებითია, მომენტური. თეიმურაზი ბოლომდე არ შერჩენია გმობის უმაღლეს მწვერვალს. გმობის მწვერვალიდან ის დაბლა ეშვება, წყევა ნელდება, გრილდება. გმობას ენაცვლება ურ-ვა-მწუხარება, სასოწარკვეთილ მოთქმას—მელანქოლიკა. პოეტი უთ-მობს წუთისოფელს, ლხინს, ტრფიალებას. ცხოვრებასთან შერიგების გზაზე ადგება. ტრფიალებისა და ღვინის შორევი ცდილობს ჩაახ-შოს მწუხარე ყოფის მღელვარე განცდა. აქედან მოდის ბაგე-ღვინის აპოლოგია, სამიჯნურო რომანტიკა, „ვარდ-ბულბულიანური“ ურვა. ვთიქრობთ, სხვა მხრივ შეუძლებელიც იქნებოდა. ფეოდალური არის-ტოკრატიის იდეოლოგიისთვის XVII საუკუნეში ნაადრეგია პესიმისტუ-რი მსოფლმხედველობის სრული შეგრძნობა, მაგრამ პესიმისტური გან-წყობილების მძლავრი სიმპტომები უდავოდ მოსჩანს. ფეოდალური აშლილობისა და ფეოდალური დაცემულობის პირობები ჰკვებავს ამ განწყობილებას...

წყევის სანაცვლოდ თეიმურაზი ახლა დიდაქტიკური ტონით ისწავლება: ცხოვრების, ამქვეყნიურობის ნივთიერი „სიკეთით“ უნდა ვისარგებლოთ, ოღონდო—რეზონერულად უმატებს—ნუ ვიქ-ცევით მთლად პირუტყვებად, რომ „მუნ“ კარები „არ დაგვეხმას“-ო (შედ., 5):

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთი-
არები,

ესრედ ვიხმაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები;
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარები,
ოღეს ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვეხმას კარები •.

მართალიაო, განაგრძობს თეიმურაზი, „ყველა სწუნობდა სო-ფელსა არ გასაზრახოდ, გულითა“-ო, მაგრამ „არ ვიტყვი სრულად

¹ ერთ თავის წერილში რუსეთის მეფის სახელზე თეიმურაზი, სხვათა შორის, ოფიციალურადაც ამბობს: „Солнце уж нас не греет, и месяц нас не осветит, и день наш светлой учинился ночью... Лутчи бы у матери моей утроба пересохла, и яз бы не родился... (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тб., 1937, стр. 44).

გაუშვით“ო—და კვლავ რეზონერულად ურთავს—„ნუ გიყვარსთ სულწასულითა“ო (შედ., 91). ამასთან ისიც მართალია, რომ „სოფლისა ავად ბრუნვამან“ ჩენი პოეტი კიდევაც „გააგულისა“ (ვ. ბ., 3), მაგრამ „არსისა შემოქმედო, შენგან არი ყოელიფერი“ო (იქვე, 1). შინაგანი ცეცხლის შენელებას თეიმურაზი ღვთისაგან მოელის: „წამ და წუთ ღმერთი ვადილო, ეს დამხსნის ცეცხლთა ღებასა“ო (შედ., 2). პოეტი უბრუნდება „წყლულ-დაკოდილი“ სულის სამსახურს (სოფლის სამღურავი, 9—10):

შენ, ცოდვილო სულო ჩემო,
განაგდე შეება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე-ო.
ან და კიდევ (წამება, 3):
თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი აღიღოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა-ო.

ამრიგად, თეიმურაზის ცხოვრებასთან დაბრუნება თითქოს რელიგიური მომენტიტ ყოფილა გამოწვეული, მაგრამ ვგონებ ესეც საბოდიშო ხარკია; თორემ პოეტმა კარგა ხანია რაც დაივიწყა „საღვთო წერილი“ და ეზიარა სულ სხვაგვარ „სიბრძნეს“: საამქვეყნიო ჰანგებს, „ვარდ-ბულბულიანობასა“ და მაჯუნუნის ექსტაზს, ცხოვრების ნივთიერ მხარეს. „წყეულ“, „დაკოდილ“ და „ცოდვილ“ სულზე ჩივილი მხოლოდ საფარველია მართლმორწმუნე ქრისტიანისა და მეფე-მგოსნისა ხორციელ-ნივთიერი გზნების გასამართლებლად. განა ღრმად მორწმუნე დავით გურამიშვილს კი დაუშალა ქრისტიანული სოფლგაგების დოგმატიკურმა წესმა აბსოლუტურად ხელი აეღო ნივთიერი ყოფის დაცვაზე და მხოლოდ სულისთვის ზრუნვა ექადაგა?! თეიმურაზი თავის შემოქმედებით თავის ღროინდელი საერო ფეოდალური არისტოკრატის განწყობილების ამსახველია, ხოლო ამ არისტოკრატის მწვევე ნაღელიანი განწყობილების პირობებშიდაც სულისა და ხორცის საოხად ისევ ბაგე-ღვინო თუ გამოადგებოდა, თორემ „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ო. მაშასადამე, თეიმურაზი შინაგანი მოწოდებითაც თავის ღროისა და კლასის ერთგვარ „სოციალურ დაკვეთას“ ემსახურება. ამიტომაც არის, რომ თეიმურაზის პოეზია საბოლოოდ მაინც ამქვეყნიური მატერიალური ყოფის პრიმატობის თვალსაზრისზე ჩერდება.

თეიმურაზი არა ერთგზის აღნიშნავს თავისი ნაღელიანი განწყობილების კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზებს, ერთგან ის მწარედ უჩივის სოფელს (მაჯამა, III, 4):

მე დამმეტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნაეს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა.
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!
გული საესე მაქქს ლახერიოთა, სხვა კიდეც... აღარ მეყოფა?!

ერთგული ლაშქარის განადგურებაც აღრინდელი ლხინის სიტკბობებას უშხამავს მეფეს (შელ., 88):

მე ვხედვედი ლხინსა ჩემსა სრულად ჭირად გარდაცვლითა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა-ო.

თეიმურაზმა რამდენიმეჯერ დაჰკარგა ტახტი, ის რამდენიმეჯერ იქნა სამშობლოდან გაძევებული. მეფე-პოეტი თითქოს შეეჩვივა კიდეც ამ ყოფას და არც თუ ძალიან უკვირს, ის კარგად იცნობს წუთისოფლის ვერაგ ბუნებას და მწვავე ხვედრის წინასწარად მოლოდინშია (სოფ. სამღურავი, 12):

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?
ვის ჰქონდა მულამ სრა ტახტი, მოშლია მას თავებია!

თეიმურაზს მწარე გოდებისა და სინანულის ცრემლებს აღვრევიანებს შაჰ-აბას ყაენის შემოსევით გაპარტახებული „სამკვიდრებელი“. მთელი ქვეყანაო—აშობს პოეტი—„დაარბივეს, ამოსწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი“. „სისხლის მსმელმა შაჰმა“ მცხოვრებნი „დახოცა, დაარყვევა“ო (წამება, 11). სხვა უბედურებასთან ერთად აბასის ლაშქრობას მოჰყვა თეიმურაზის დედის—ქეთევანის წამება, უფლისწულ ალექსანდრესა და ლევანის არა ადამიანური ფიზიკური დასახიჩრება და შემდეგ საშინელი სიკვდილი. ამ ამბების მომსწორეს მწუხარებისაგან ცრემლებიც შეაშრება და მძიმე აწმყო ჭირვეულ ნამყოსაც ავიწყებინებს (იქვე):

ვა მე, ამ დროს მომხსენებსა დამეიწყდეს ჭირნი წინანი-ო.

პოეტის ურვას ის აორკეცებს, რომ საკუთარი დედა და საქართველოს დედოფალი მუხანათურად წამების ჯვარზე გაეკრა, ხოლო შვილსა და საქართველოს მეფეს „ავაზაკის“ ხვედრიც არ მერგო წილადო:

მე ავაზაკი შემცოდე ახლო არ ვიყავ, ვინანი,

მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი-ო.

კურწფელია შვილების ხვედრით გამოწვეული ურვაც (იქვე, 21):

ვა ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მქვრეტსა ლევანისსა!

საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ კატასტროფას ზედ დაერთო თეიმურაზის საშინელი ოჯახური უბედურება. უღრმესი ლირიზმით აღბეჭდა პოეტმა ეს უბედურება (შედ., 85):

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე:
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?!

ასევე საგულისხმოა შემდეგი ტაეპი (იქვე, 87):

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა-ო.
იმდროინდელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა უკულმართობამ—
ერთი მხრივ—და თეიმურაზის პირადმა ხედრმა—მეორე მხრივ მეფე
და პოეტი დასცა, გარიყა, გაანადგურა (მაჯამა, II, 6):

მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მეღია-ო.

ამგვარად, საბოლოო ანგარიშით მეფე თეიმურაზის საზოგადოებრივ-კლასობრივი (ობიექტიური) ყოფითი სინამდვილე საზღვრავს პოეტ თეიმურაზის შემოქმედებით ინდივიდუალობას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზის პოეზიის პესიმისტური კილო მწიგნობრულ-ლიტერატურული ზეგავლენის მოტივით ვერ აიხსნება (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ზეგავლენის არსებობის ფაქტს ჩვენ ქვევით უჩვენებთ). თეიმურაზის სევდა-ნალველში მარხია ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზი. უღლეური გამოდგა პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრახვები, უშედეგო—მრავალმხრივი ზრუნვა, კატასტროფით დასრულდა მისი საკმაოდ ხანგრძლივი მოღვაწეობა. და, აი, იმედგადაწყვეტილი მეფე და პოეტი მხატვრულ სიტყვაში აქანდაკებს თავის მწუხარე განცდებს. ამდენადვე თეიმურაზის ლირიკა უალრესობამდე უშუალოა, გულწრფელია და დამაჯერებელი. პოეტის მომენტალურად ტიტანურ წყევას და გმობას ღრმა საფუძველი ჰქონდა. რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ თეიმურაზის დაცვისგან. მაგრამ სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია იმ მკვლევართა აზრი, რომლებიც თეიმურაზის პოეზიაში სულ ვერ ხედავენ საზოგადოებრივ მოტივს და ანტიან ფურცელაძის პირით, მაგალითად, შემდეგ ნიჰილისტურ და ტენდენციურ თვალსაზრისს ანვითარებენ: „...ამაებს დაურთო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას [თეიმურაზ პირველს, ა.ბ.] მეტად უყვარდა. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მემუსიკობა, რომ ამის ბადალი მელექსე არ გაჩენილა. უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსებს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეია, არც რამე აზ-

რი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღეთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, გარდა უბრალოდა უაზროდ გადატმასენული სიტყვების რახარუხისა, სიტყვების ტმასნვა-გრეხისა.

კითხულობ იმის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცს, რომელმაც გამოიარა ამდენი მწუხარება, გამოიარა ათასი ტრაგიკული შესაზარი მდგომარეობა, ათასი ღვენა, თავის დამცრობა, ჰნახა უმაგალითო ოხრება და ტყვევნა თავის სამეფოსი, თავისი აღმზრდელი და შემნახელი ქვეყნისა, დაჰკარგა რაოდენჯერმე თავისი სარჩო-საცხოვრებელი, დარჩა მეფობიდან უბინაოდ, უჯაროდ. სცადა ათასი სიმუხთლე, სოფლისა, დაჰკარგა უმაგალითო წამებით ღედა, პირმშო შვილები, დაჰკარგა სიყმის საყვარელი ცოლი და სხვა ათასი ამისთანა—როგორ არ შეიძყრა არა აზრმა თავის ლექსების წერის დროს, როგორ ერთხელ მაინც არ შეჰკენესა გულმა ამოდენა ამბების მნახველსა, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაფიქრებელმა და საგულისხმიერო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსაზრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვადებამ...¹

ანტონ ფურცელაძის მოსაზრებათა წინააღმდეგ ჩვენ კი ფიქრობთ, რომ თეიმურაზის მელანქოლიკურ-პესიმიზმისტური ლირიკა განცდის სიღრმითა და გამოთქმის მოხდენილობით არაიშვიათად მხატვრული სიმაღლეების მწვერვალებს აღწევს და ცხადლივ ამჟღავნებს პოეტის მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გულისთქმას. ამას ადასტურებს თუ გინდ ჩვენ ნიერ ამ ნარკვევში ძუნწად ციტირებული ტაეპები².

¹ ან. ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასობელად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისი, 1892, გვ. 355-356. ა. ფურცელაძის უმართებულობა აღნიშნა პროფ. კ. ქეკელიძემაც (II, 386).

² უკლი წარმოდგენისა იყო თეიმურაზ პირველის პოეზიაზე აკაკი წერეთელიც. ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე ვაქვეყნებ უკანასკნელის შეხედულებას: „კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით სახარელს მომავალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდენ ზოგიერთები, მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადად მხილებას?—და ჩუმიად-კი აქა-იქ საყვედურები ისმოდა.

ზამთრის პირი იყო. გამზიარულბული ბუზარი გუგუნებდა და კოპიტის შუას ტაკა-ტკუცი გაჰქონდა... ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუზარს და ნაკვერცხლებს დაშტურებოდა. იქვე, მახლობლად, ტახტზე მზარ-თეძოს წამოწოლილიყო მოხუცი და პირის სახეს ათამაშებდა,—ტყულობდა რომ თავის გულში რაღასაც საუბრობდა. უცბად აიღო თავი ახალგაზრდამ და ჰკითხა მოხუცი:

—რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძანდება?... ჩაუკეტია კარები და ჩამწყვედულა!..

* * *

სოფლის სამღურავთან ერთად სილაშაზე-სიყვარულის პრობლემასაც დიდი ადგილი უჭირავს თეიმურაზის პოეზიაში. ჯერ კიდევ თავის პირველ ლიტერატურულ შრომებში ის გატაცებით ამბობდა (ი. ზ., 8., ლ. მ., 250):

გული მივუძღვენ კეკლუცთა
ვაქე ძოწი, მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა-ო.

- სტვირის გუდას თუ ბერავს?.. უპასუხა მოხუცმა ცივად.
- გუდას?!..
- ჰო, შარშან გახაფხულზე ჩაიკეტა და „ლეილი-მეჯუნნიანი“ დაგვიწერა. ერთხელაც ზაფხულში—„შამი-ფარვანიანი“, მეორედ, შემოდგომაში—„ხილთა-ქება“ და ახლაც უთუოდ ზამთრის შესაფერის სწერს რასმე..
- მაგითი არა დაშავდება-რა!.. სწეროს მოცლის დროს ეგეც კარგია.
- მოცლის დროს?! მერე და მეფე და მოცლის დრო ვის გაუგონია?.. არა შეილო!.. მეფე რომ „პიიბუუ-პიიბუუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებს.
- დაეით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლიარა.
- აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს; მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი შაირები-კი ლაზლანდარობაა!..
- რუსთველს ეჯობრება.
- ჰმ! უკვდავების წყარო და ნაძალადევი ჰა ერთმანეთს ვინ შეადარა?!¹⁴ (ბაში-აჩუკი, ისტორიული მოთხრობა, ავტორის გამოცემა, ქუთაისი, 1900, გვ. 57-60). სხვაგანაც აკაკი ამბობს: „თვით თეიმურაზ პირველი სტვირის გუდით კარი-კარზე დაწანწალდებდა, და, როცა ქართლ-კახეთს შავი დღე ადგა, ის იმერეთში „შამი-ფარვანიანს“ ლათაობდა. არათუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჰირი მისმა კარდაკარ სიარულმა. თვით იმერეთიც გაირყენა მისი დამოყვრებით. მისმა ასულმა დარეჯანმა აურდაურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა“ (სიკვდილი, რჩეული ნაწერები, I, 1930, გვ. 218).
- თეიმურაზის პოეზიის შეუფასებლობა, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. პატივეცემულ პოეტ ვ. გაფრინდელსა და შვილი სიტყვით, თეიმურაზმა „განა იცოდა, რომ მომავალი მას, როგორც პოეტს, არ დაინდობდა!“ ვ. გაფრინდელის დასკვნით: „შოთამ მოაგდო ჩვენამდე რაში, მდევარი (ე. ი. თეიმურაზი, ა. ბ.) ნისლში გადაიჩენა“ (თეიმურაზისა და შოთას გაბაასება. იხ., ქართველი მწერლები, შოთა რუსთველს“, თბ., 1937, გვ. 22-23). თუმცა მეორე თანამედროვე პოეტმა, სიმონ ჩიქოვანმა თეიმურაზისადმი მიძღვნილ დიდად შთაგონებულ ლირიკულ ლექსში („თეიმურაზ პირველი“, ს. ჩიქოვანის ლექსები, თბ., 1939, გვ. 100-112) საკვეყნოდ აღიარა, რომ გარდასულ დროთა ღვაწლმოსილ მგოსანს ახლა „შაირი უმკობს სამარეს“. ერთ თავის საეციალურ მოხსენებაში (ქართული საბჭოთა კრიტიკა, «ლიტ. საქართველო», 4.X.39) ს. ჩიქოვანს საყვედურით სავსე კილოთი უთქვამს: „საკვირველია, რატომ რჩება ძალაში კიდევ აკაკი წერეთელის მიერ უარყოფა თეიმურაზ პირველისა!“ ეს კითხვა ჩვენც უნდა გავიმეორროთ.

თეიმურაზის ყველა ნათარგმნი ნაწარმოები სატრფიალო სუ-
ჟეტისაა და შეთხზულია განსაზღვრული მიზნით (ვ. ბ., 5):

ვის მახვილი გულად ეღვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი
სწოთლდეს,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

„შამ-ფარენიანში“ პოეტი საგანგებო მოწოდებით მიჰმართავს
მიჯნურებს (23-24):

მოდით, მიჯნურნო, რომელთა ცრემლთა გდისთ ნაკადულები!

მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა-მიჯნურობანი-ო.

სილამაზე-სიყვარულის კითხვას თეიმურაზი იხილავს თავის შე-
შოკმედების ორიგინალურ ნაწილშიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას იქცევს «მაჯამა», სადაც მოხდენილად შეზავებული მე-
ლანქოლიურ-პესიმისტური განწყობილებისა და მიჯნურული ექსტაზის
მოტივები. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის გმობასა და სიკვდილის
ნატვრასთან ერთად ერთგან გამონაკლისის სახით ასეთი ჯანსაღი
აზრით საესე მშვენიერი ტაეპიც კი გვხვდება (მაჯამა, VIII, 29):

ნუმც გავხდები უიმედო, ღონევე, შენის ამარისა!

თეიმურაზისთვის მხოლოდ განყენებული სილამაზე-სიმშვენი-
ერე არსებობს, რომელიც ხორციელი ატრიბუტებით არის ნიშნული.
პოეტის ასახული მშვენება დაყურსულია სუნნელით, „მუშკით“ და
„ამბრით“; „მისგან მოდის სუნნელება“, რადგან ყოველი სიკეთე მხო-
ლოდ „იმას ასხია“. ეს ლამაზი ქალის სახედ ჩამოსხმული ქანდაკება
„მჯობია მზისა დილისა მოწმენდით ამოსულისა“, „მისგან შეენის
მთა და ბარი“; იმასთან შედარებით „მზე ცულ მაშვრალობს“. უცხო
ხატება თვით „მზესა სწუნობს“: „მზე უნათლე ჰქმენო“, ამბობს პოე-
ტი. საოცნებო ასული არ ჰგავს „ქვე-ნამყოფთა“: ზარიფი და ნა-
ზი, ის ციურია, მნათობთ უმჯობესი:

მთვარე ვერ დაგედარების, ვერცა მზე დაგედავისო,

კულად გაქებენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო.

ამიტომ ბუნებრივია, რომ „მისთვის ბნდებიან მჭვრეტელნი“. მშვე-
ნიერი ქალის „დარაზმული ინდოთ ლაშქარი“ (წარბ-წამწამები) „ეს-

ვრის მკვრეტელთა გულგმბსა ეკალმუხისა ისარებს“. სანდომიანი ქალი არც საკუთრივ პოეტს დაინდობს, მასაც დასეტყვავს კუპიდონის ისრები:

შავმან მწვილდმან ისარი მკრა გულსა ლახვრად დანასობი-ო.
პოეტი ჩაჰყვა სიყვარულის მორევს და დაჰკარგა ზომიერება, ნების-
ყოფის სიმტკიცე, ცნობიერების უნარიც კი. პოეტი ბრმად შეყვა-
რებული ბაღლია, ნებამორჩილი, შმაგი.

„სული მას მიჰყავს, არ ვიცი ჩემთვის რა გაუპირავსო“, გულ-
უბრყვილო ჩივილით ამბობს ერთგან თეიმურაზი. პოეტისათვის მალე
ცხადი გახდება ჟინიან სატრფოს ჭირვეული უკუღმართობა. უშედე-
გოა პათეტიკური შეძახილებიც:

გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მომე რა?!

სიყვარული მწვავე „პატიჟთა“ (ტანჯვის) მიზეზი ხდება. „მან დამი-
ჰკრა გული წამწმით“ო და „სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან“ო
განაგრძობს ჩივილს.

სატრფო უგრძნობელია, გულქვა და ცივი. ჰაერში იბნევა
გრძნობიერი მუდარა: „მოიგონე სიყვარული... სჯობს დააგზნა სიყ-
ვარული დაგზებულის“ო. გულისმსრველი სიტყვებით პასუხობს ქალი:
„შენკენ არ მოვიხედავო!“ „დამეგრიხა ბედი მრუდად“ო, უმაგალითო
მღელვარებით და პოეტური დიდი სიმახვილით ასკვნის პოეტი, მაგრამ
უკან არ იხვეს და კვლავ „წიგნი მიეწერე“-ო—გვაპცნობს. ამაზე
გულცივი სატრფო აღშფოთებულა, მკვახედ უსვრია მწვავე სიტყვე-
ბი: „ეს ვით მკადრეო, უ შენდა!“

გახელებული ბულბულივით შემოკვნესის პოეტი თავისი სიყვა-
რულის დამზრალ ბუჩქს, მაგრამ ერთი წვეთი ცვარიც კი არ ეცემა
მის გამშრალ ბაგეს:— „დამწვი და წყალი არ მასვი“ო, მორჩილი ტო-
ნით წასჩურჩულებს გაკერპებულ ქალს.

პოეტი უარს აცხადებს საკუთარ თავზე და დაკოდილ „სულ-
საც“ კი სიყვარულის სამსხვერპლოს სწირავს:

ერთი სული მაქვს, სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო.

მრისხანე ღმერთებივით ცივი „მოყვარე“ არც ამ მხურვალე ზვარაკს
ღებულობს. იშვიათად ოდნავი საყვედურის სიტყვაც კი წამოცდე-
ბა პოეტს:

სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რაღა მოგცე ზედან წართვად? ანდა:

მეტი რა ვყო, თავსა უძღვნი, მოვახსენებ დანაზარსა!

უკანასკნელი უარყოფის შემდეგ ცრემლებიგანაც კი დაცლილ პოეტს („ამად ვსტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად არი?“). რაღა დარჩენია, თუ არ „მაჯუნისა წანავალსა და ნაგზევს“ მიჰმართოს? მის ბედში მყოფი უნდა „ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მაჯუნთან დაემყაროს!“ უდაბნოს ხრიოკ ველეებში უმიზნოდ და უსაგნოდ მშიერ-მწყურვალის წანწალი—აი სატრფოს ნაჩვენები გამოსავალი გზა...

თეიმურაზისთვის სიყვარულის კითხვა საბოლოოდ უარყოფით გადაწყვეტილებას ღებულობს: სიყვარული დაუკმაყოფილებელი, ამოუწურავი ეინის სათავე ხდება. ტრაგიკული ყოფის შეგნებაც დასაბამს ჰპოულობს სიყვარულში. სიყვარულის თავშეუკავებელ გრძნობას საკუთარი თავის უარყოფამდე მიჰყავს პოეტი მხოლოდ იმ აზრით, რომ სატრფოს «მე»ს შეუერთდეს, ანუ სატრფოს «მე»ში განიერთდეს ინდივიდუალობაწაშლილი „სულის“ სამყარო (სხეულზე პოეტი თითქოს აღარც კი ფიქრობს). აქ უნებლიედ სპარსული სუფისტური თეოსოფია გვაგონდება. თეიმურაზი უშუალოდ უნდა განიცდიდეს ამ მოძღვრების გავლენას და მის (სუფისტური თეოსოფიის) თეორიულ საფუძვლებს უნდა იზიარებდეს.

საერთოდ სპარსული ლიტერატურული გავლენა თეიმურაზისთვის დიდად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ ღძველი ქართული მწერლობიდან ყველაზე უფრო მეტად თეიმურაზმა განიცადა სპარსული გავლენის ძალუმობა, მაშინ როდესაც ეს გავლენა მთელი ეპოქის დამახასიათებელ მომენტს შეადგენდა. თეიმურაზის შემთხვევაშიც, რასაკვირველია, გადამქრელი როლი ითამაშა პოეტის საზოგადოებრივ-კლასობრივმა შემეცნებამ, ამასვე ემთხვეოდა პოეტის აღზრდის კონკრეტული პირობებიც (როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, სწავლა-აღზრდა თეიმურაზმა მიიღო სპარსეთში, შაჰ-აბასის კარზე).

თეიმურაზი აღტაცებული ყოფილა სპარსული პოეზიით და ამის გამო ერთგან პათეტიკურად გაიძახის (ლ. მ., 4):

ისპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი-ო.

სპარსულთან შედარებით პოეტი ქართული ენის დაწუნებასაც კი არ ერიდება (იქვე):

მძიმეა ენა ქართველთა-ო.

ისაყურადღებოა, რომ თეიმურაზს—რომელიც სპარსული ორიენტაციის უდიდესი მტერი იყო პოლიტიკაში—მწერლობაში თავიდანვე აღებული ჰქონდა აშკარა სპარსული კურსი. ცხადია, ლიტერატურულ ინტერესთა ერთიანობას ის საერთო სოციალურ-კლასობრივი მიზეზები ჰკვებავდა, რომლებიც თანაბრად ახასიათებდა ორივე ქვეყანას. თეიმურაზს თავისებური თეორიაც კი აქვს შემუშავებული თავისი ლიტერატურული ორიენტაციის გასამართლებლად (ვ. ბ., 2):

ჰმართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოილოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოილოს-ო.

თეიმურაზს სპარსულიდან უთარგმნია ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა „იოსებ—ზილიხანიანი“, „ლეილ-მაჯუნუნიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“ და „შამ-ფარვანიანი“. ორიგინალური შემოქმედების ხაზითაც თეიმურაზი არ ღალატობს სპარსული პოეზიის ნაცად ტრადიციებს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ აქვდა დაინდობა ხორციელი ტრფიალებისა და ბაგე-ღვინის აპოლოგიაში. ისაყურადღებოა, რომ მიჯნურობის ზევით აღნიშნულ გაგებას იძლევა თეიმურაზის ნათარგმნი რომანტიკული პოემები, კერძოდ „ვარდ-ბულბულიანი“¹ და „შამ-ფარვანიანი“. ორივე პოემის მთავარი გმირი (ბულბული და ფარვანი) ალევგორიულად ასახიერებს ისეთ მიჯნურს, რომელიც ცალმხრივი და ჟინმოუკლავი ტრფობის პირობებში საკუთარი თავის გაწირვით ამტკიცებს სიყვარულის უძლეველ ძალას.

შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სიყვარულის კითხვა თეიმურაზის პოეზიაში ჩვეულებრივად მოკლებულია იმ კონკრეტულ ავტობიოგრაფიულ უშუალობას, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, ბესიკთან. ამ მხრივ საგულისხმოა „მაჯამას“ ერთერთი (სახელდობრ VIII) თავი, სადაც ავტორი მხურვალე სამიჯნურო დიფირამბებით ამკობს თავის საკუთარ ასულ ნესტან დარეჯანს: „აწყა მე ვიწვი ამისთვის-ო“¹.

¹ სხვათა შორის, ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს შეცდომით «მაჯამას» VIII თავის ტრფობის ობიექტ ქალად მიაჩნდა თეიმურაზის ცოლი (Очерки, III, 91). ხოლო v ხელნაწერის გადამწერს ვინმე დ. თ უ მ ა ნ ო ვ ს ჰგონია, რომ ალექსანდრე და ნესტან-დარეჯანი („მაჯამას“ აღნიშნული თავის ქების ობიექტები) პოეტის პაპა და მამიდა ნესტანია (უკანასკნელი მანუჩარ დადიანს მიათხოვეს 1591 წელს). მაგრამ რადგანაც ნესტანი დ ე დ ო ფ ლ ა დ იხსენება (თეიმურაზის მამიდა ნესტანი კი დედოფლად არასდროს ყოფილა), კომენტატორი შენიშნავს: „მე ესრეთ ვგონებ, მწერლისაგან შემცდარი იყოს დედოფლის ხსენება“.

«მაჯამა»ში ცალკე თავად არის გამოყოფილი «გაბაასება ღვინისა და ბაგისა». ორივე მობაასე კანდიერი ტონით ადგენს თავის ღირსებას: ბაგე მიჯნურთა შემპყრობელია, მკვრეტელთ მახელბეღი-ბაგესთან შედარებით უნიათოა ბადახშნის ძვირფასი ლალი, იაგუნ-დი, ძოწი, აყიყი, არღაენი, მაისის ვარდი... მარტო „სანდომიანი ღვინისა“ რად ღირს? კაცს ათრობს, ასტენს, ახელებს. მაგრამ ღვინოც ღირსეულია და პატივსადები. ღვინის „სპეციფიკაა“ აგრეთვე თრობა, ტვინში გაჯდომა, ბაგეზე დაღვრა. სისხლის ფეროვანი „ყირმიზად“ ირთვის ვერცხლის თასებსა და ყელწერწეტა სურებში, ჟინის აღმძვრელად ლივლივებს და მამელთ შმაგად აქცევს... ღვინოც და ბაგეც სიყვარულით დაურვილთა უცხო წამალია, „კაცის გულების მფერავი“, რომელიც „გულსა სევდითა საესესა“... ზედ ლხინად დაემტკნასების“ და თავდავიწყებულ მიჯნურთ „მკვრეტელად შეკრებს“, თუმცა—ვაგლახ—„შეაცდენს“ და გალევს კიდევაცო.

თეიმურაზი დიდი ოსტატობით ამკობს ბაგე-ღვინის „ნიჭს“ და თვისებას, მას თითქოს უქირს არჩეიანი. აღებული თემა შერჩეულია ორიგინალურად, თხრობა გაშლილია მოკლედ, მკვეთრად და საინტერესოდ. მხატვრული კონტრასტებით გამართული ფრაზები (კონტრასტული პარალელები) შეკრულია მტკიცე ოსტატური ხელით. ამ პატარა მოთხრობაში ძლიერადაა აღბეჭდილი პოეტის არისტოკრატიული სულისკვეთების იდეური ძირი. ღვინისა და ბაგის აპოლოგია იდეურად აფერვანებს თეიმურაზ პირველის მთელ შემოქმედებით ფიზიონომიას.

ერთი სიტყვით, თეიმურაზი სილამაზისა, სიყვარულისა, სუფრისა და ღვინის მგოსანია. საყურადღებოა, რომ ხელნაწერების ცნობითაც მაჯამა ყოფილა „სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი“. ამ მოტივებს უძღვნის პოეტი მხურვალე დიფირამბებს. მეორე მხრივ თეიმურაზი საწუთროს მგმობელია, სიცოცხლის მაგინებელი. და ყოველივე ამას იტევს სულის საშვებლად განწყობილი მეფე მგოსანი. მოკლედ ასეთ ხაზებში იხატება თეიმურაზ პირველის ლიტერატურული პროფილი.

რასაკვირველია, აღნიშნული მოტივებით თეიმურაზი არც პირველია და არც უკანასკნელი ქართულ პოეზიაში. მაგრამ ძველი ქართული პოეზიიდან ის მაინც თვალსაჩინოდ გამოირჩევა თავისი მხატვრულ შემოქმედებითი ინდივიუალობით. თეიმურაზს მოძებნილი აქვს თავისი ადგილი, როგორც „ვარდ-ბულბულიანური“ ტრფობისა და „სოფლის ჩივილის“ უზადო პოეტს. შემდეგში ბევრმა განაგრძო ეს ხაზი, მაგრამ აბა ვინ შესძლო წინამორბედის დაძლევა?

„ვარდ-ბულბულიანიური“ პოეზიის ისეთი დახელოვნებული ოსტატიც კი, როგორც ბესიკია, თეიმურაზის უშუალო ლიტერატურულ მოწაფედ რჩება. გურამი შვილმა სცადა „ვარდ-ბულბულიანიური“ თემის თავისებური გააზრება, მაგრამ მაინცდამაინც ესეც თეიმურაზის მოხაზულ ლიტერატურულ წრეში ემწყვდევა. წყევისა და გმობის უდიდესი გამომხატველი გურამიშვილიც იმავე თეიმურაზის აღძრულ „ფიქრთსამყოფელში“ ტრიალებს.

განცდათა სიმახვილე და სიმძაფრე თეიმურაზის პოეზიას ანიჭებს ნამდვილი ლირიზმის ძალას, ხოლო თვითონ თეიმურაზი ლირსეულად იმსახურებს ორიგინალური პოეტის სახელს იმისდამიუხედავად რომ—როგორც აღვნიშნეთ—სპარსული გავლენის ძალუმობა ისე არავის განუცდია საქართველოში, როგორც „ვარდ-ბულბულიანისა“ და „მაჯამას“ ავტორს¹.

* * *

ფრიად საყურადღებოა თეიმურაზის შეხედულებანი საერთოდ პოეტიკისა და კერძოდ თავისი პოეზიის საკითხებზე. პოეზია ან „რიტორება“ თეიმურაზისა (ე. ი. „სიბრძნისაა ერთი დარგი“ და შინაარსისა და ფორმის სათანადოდ შეწყობას საჭიროებს. პოეტს კარგად მოეხსენება, რომ ნედლი შინაარსი უნიათია, თუ შესაფერ ფორმად არ ჩამოისხა (სხვაგვარი აზრი არც ეპატიებოდა რუსთაველისა და ფირდოუს-საადის კულტურაზე განსწავლულ მგოსანს). თეიმურაზისათვის პოეტური ენა მხატვრული შემოქმედების განუკვეთელი და ორგანიული ნაწილია. მხატვრული შემოქმედება უნდა გამოიხატოს დახვეწილ აზრსა და მოხდენილ თქმაში. ამიტომაც „მელექსემან ხამს თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს“ (ვ. ბ., 11). სტილისტიკურად დაწმენდილი და მხატვრულად გამართული სიტყვა მკითხველს უნდა იზიდავდეს და ემოციურ კმაყოფილებას ჰგვრიდეს. აკი პოეტი ჩვეულებრივად აწეული პათოსით იწვევს „სიბრძნისა ტრფიალთ“ (ვ. ბ., 3):

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა-ო.

ანლა (შ. ფ., 22):

მოდით, სიბრძნისა ტრფიალნო, სმენად სიტყვისა ტკბილისა-ო.

¹ თეიმურაზს ეკუთვნის რამდენიმე სასულიერო ლექსი, რაც ვერაფერს მატებს პოეტის შემოქმედებათს აქტივს.

სიტყვათა პოეტური დინება უნდა იყოს „ვით ნაკადული ღარ-შიგან“ (იქვე), სიტყვა ტაეპის უმთავრესი ელემენტი. ტაეპობრივ-ფრაზული წყობა კი სიტყვათა მხატვრულ შეზავებას ითხოვს. „სიტყვათა შესხმა რიტორად“ იგივეა, რაც „ენის სამკაულ-მკობანი“. ამ შემთხვევაში თეიმურაზი თავის დებულებას რუსთაველის ავტორიტეტით ამაგრებს (შეად., 7):

რუსთველმანც თქვა, ნურვინ თქვასო სიტყვა ცულად
წასახლომი.

თეიმურაზი მტკიცედ ყოფილა დაჯერებული თავისი „სიტყვის“ გამძლეობაში და ამაყი ტონით აცხადებს ერთგან (ვ. ბ., 9):

გამისინჯეთ ლექს-ქართული, ერთნანერთსა მოვაბე რა!

მეორეგან კი კალნდერი გამბედაობით შეჯიბრებაში იწვევს მთელ ქართულ პოეზიას:

ნაძლევი ვარ, თუ ვინმემ თქვას ჩემებრ რამე განლექსული-ო.

არსებითად თეიმურაზი ვერსიფიკაციისა, თუ პოეტური მეტყველების ხერხების თვალსაზრისით ძლიერ დანიციდის ე. წ. კლასიკური პერიოდის მწერლობის, კერძოდ, რუსთაველის გავლენას. რუსთაველში (ნაწილობრივად აგრეთვე ჩახრუხაული) საზომის გამოყენებასთან ერთად თეიმურაზი ჩვეულებრივად იმეორებს უკვე შტამბად ქცეულ და გაქვავებულ მზამზარეულ გამოთქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებს და მისთანებს; მაგრამ მოეძებნება საკუთარი, ორიგინალური სახეები და თქმები, მაგალითად, შესანიშნავია მოკლე, მაგრამ უმტკიცესი ფრაზა: „დამეგრიხა ბედი მრუდად“. მოსწრებული გამოთქმებითა და ბუნების მხატვრული სურათებით: დამახასიათებელია „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“. ამ პოემაში განსაკუთრებული მოხდენილობით არის აწერილი კახური შემოდგომის პეიზაჟები. ბუნების კულტის თვალსაზრისით, საყურადღებოა აგრეთვე „ვარდ-ბულბულიანი“.

თეიმურაზს საერთოდ ეხერხება მოსწრებული რითმებიც, მაგრამ ძალიან ხშირად ამ მიზნით შეუწყნარებლად ამახინჯებს კიდევ სიტყვების წესიერ ფორმებს, არაიშვიათად პოეტს იტაცებს უმგვანო „ბარბარისმები“ და უცხო ტერმინებსა და გამოთქმებს მოურიდებლად ერეკება ფრაზებში. ამიტომაც იყო, რომ პურისტი არ ჩილი

გაცხარებული პოლემიკური წამოყვედრებით აცხადებდა (ლექსი აქა-
იქ ნათქვამი, 3):

მკითხველ-მთარგმნელო, მაჯამას¹ წილ მეც ეს მამირთმეგია,
ჩემი და ჩემ[მ]აგიერად, არვისთვის წამირთმეგია,
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ
ურეგია-ო.

ყოველ შემთხვევაში თეიმურაზს უფლება არ აქვს მაინცდამაინც
დაიტრაბახოს: „ლექსი არსად დამეხვანჯაო“. სამწუხაროდ, ნაყო-
ფიერი პოეტის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლები
„დახვანჯულობის“ მრავალ მაგალითს იძლევა.

* * *

თეიმურაზმა დიდი სიახლე შეიტანა თავის დროინდელ ქართულ
მწერლობაში. ეს სიახლე, უწინარესად ყოვლისა, თემატიკისა და ჟან-
რის სფეროში გამოვლინდა. თეიმურაზი აეტორია რამდენიმე ახალი
ჟანრისა, რომელმაც შემდეგში მტკიცედ გაიდგა ძირი. ამ მხრივ
პირველად უნდა იქნას დასახელებული „გაბაასება“. ეს ჟანრი თავისი
წარმოშობით აღმოსავლურ-სპარსულია და დოკუმენტურად და-
დასტურებულია XI საუკუნიდან. „გაბაასების“ შემომღები ყოფილა
განთქმული სპარსელი პოეტი ასადი (გარდაიცვალა 1030—1046
წლებს შუა). სპარსულ ლიტერატურაში დასახელებულ ჟანრს ეწო-
დება მუნაზარე, რაც გაკამათება, გაშაირება-გაჯიბრებას ნიშნავს.
თვითონ ასადის შეუთხზავს „გაბაასება დღისა და ღამისა“, „მშვილ-
ღისა და ისრისა“, „მუსულმანისა (არაბისა) და სპარსელისა“².
სპარსულ მწერლობაში ასადის მიმდევართა და წამბაძველთა მთელი
წყება გაუჩნდა. „გაბაასების“ ჟანრი გადაიტანეს ევროპაში და იქაც
ფართო გავრცელება პოვა (ე თ ე).

ქართულ მწერლობაში „მუნაზარე“ პირველად თეიმურაზმა შე-
მოიტანა³. ყოველ შემთხვევაში ამის უწინარესად ის ჯერჯერობით
ცნობილი არაა [თუ შეხედველობაში არ მივიღებთ „როსტომიანის“
ქართული ვერსიის გამლექსავის, სერაპიონ სოგრატის-ძე საბა-

¹ ჰულისხმობს ბარბარისმებით სავსე თეიმურაზის „მაჯამას“.

² H. Ethe, Neupersische Litteratur, «Grundriss der iranischen Philologie»,
:II, S. 226—227.

³ თუმცა ქართული ფოლკლორით ეს ჟანრი ძველითგანვეა ცნობილი.

შვილის, ორსტროფიან ჩანართ შელაპარაკება-გაბაასებას რუსთველსა და ბავრატ მუხრანთ-ბატონის შორის]. „მუნაზარეს“ ფორმით არის შეთხზული თეიმურაზის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ და „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ [რალაც გაუგებრობის შედეგია, რომ უკანასკნელი აკად. ნ. მარს ნათარგმნ ძეგლებში აქვს მოქცეული¹. „შედარება“ თეიმურაზის უეჭვოდ ორიგინალური ნაწარმოებია].

თეიმურაზის შემდეგ „გაბაასება“ ძლიერ პოპულარული გახდა. ამ ფორმას იყენებს არჩილი („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“), თეიმურაზ მეორე („გაბაასება ღლისა და ღამისა“, „გაბაასება რუსთველთან“), დავით გურამიშვილი („სიკვდილის და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა“), შწერალი ქალი მანანა („მანანასაგან ცივების ბაასი“) და სხვ.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი ფანრი, რომელიც თეიმურაზმა განამტკიცა, არის მაჯამა. ტერმინი მაჯამა ორი მნიშვნელობით უნდა ვინმართ: მაჯამა როგორც თავისებური სტროფული ერთეული და მაჯამა როგორც სუვეტურ-კომპოზიციური ერთეული. სტროფული მაჯამა ტაეებში (სალექსო სტრიქონებში) ომონიმური სიტყვების გარკვეულ ორგანიზაციას ემყარება. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენთვის უკვე ნაცნობი სტროფი:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
 გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
 დამიკარგე ძე, ასული, ძა არ ვიცი, და სად აგე?
 სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?!

მოტანილი სტროფის ყოველი ტაეპი ერთიდაიმავე სიტყვით, თუ სიტყვათა კომპლექსით იხურება. ესაა დასადაგე. მაგრამ მიუხედავად ბგერული ერთგვარობისა, ეს სიტყვა ოთხივე შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობას იძლევა. პირველ ტაეპში დასადაგე ნიშნავს დასაწვავს, დასადაგავს. მეორეში— ავტორი ამბობს: ყველა ლახვარი მე მკარ, დასად, ჯგუფად შეწყობილიო. მესამე ტაეპში პოეტი ჩივის. ძის, ასულისა და ძმის დაკარგვაზე და ბოლოს იკითხება: დად სად აგე, ე. ი. დად სად წაიყვანეო. მეოთხეში კი ლაპარაკია აშენებაზე, აგებაზე: მათსავით ტურფა სად რა აგიგია და აგიშენებიაო. ამრიგად,

¹ ЖСМНП, 1899, XII, 233.

დასადაგე ომონიმური ხერხით არის გამოყენებული. სტროფული მაჯამას მთელი ინტერესი ომონიმების ვირტუოზულ-კალამბურულ წყობაში მარხია. მაჯამას ღირსება ომონიმების მოხდენილობით განიზომება, ომონიმების ოსტატური ვარიაციით აღწევს ავტორი მხატვრულ ეფექტს.

ხელნაწერებში ომონიმები ჩვეულებრივად ერთ სიტყვად იწერება (გამოცემებში რთული მაჯამური ომონიმები ჩვეულებრივად შემადგენელ სიტყვიერ ნაწილებად იყოფა, რომ უფრო ადვილი გახდეს აზრის გაგება). ომონიმების შერჩევის მიზნით პოეტი ხშირად იძულებული ხდება სიტყვის წესიერი ფორმა დაარღვიოს, ან უცხო და უზმარი ტერმინით ისარგებლოს. ამიტომაც მაჯამაში არაიშვიათია ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები, პროვინციალიზმები და მისთანანი. ყოველივე ეს ბუნებრივად აზრის გაგებას აძნელებს და ართულებს. სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ თეიმურაზის მოწმობით მაჯამების „თარგმანება“ (განმარტება) კულტურული გართობის ერთერთი სახეთაგანი ყოფილა იმდროინდელს სალიტერატურო წრეებსა და სალონებში:

სპარსულად ჰქვიან მაჯამა შეყრილად ითარგმანება,

იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება,
გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაევანება-ო.

ტექსტის სათაურიც ხაზს უსვამს მაჯამას ამ «ღირსებას»: „კეთილ-სასმენელი და ტკბილ-საამოვნო, მსმენელთათვის საძებარსათარგმანებელი-ო. უნდა გულახდილად ითქვას, რომ მაჯამას „თარგმანება“ ახლაც კი მეტის მეტად ძნელი საქმეა.

ნორმალურ პირობებში ყოველი მაჯამური სტროფი ოთხ მაჯამურ ომონიმს უნდა იძლეოდეს. ფაქტიურად კი ვერც თეიმურაზი და, მით უმეტეს, ვერც რომელიმე მისი მიმდევარი ახერხებს ამ პრინციპის ბოლომდე დაცვას. ამიტომაც ხშირად გვხვდება—ასე ვთქვათ—კოკლი მაჯამები, ანუ ტავტოლოგიური ომონიმები. ამის მაგალითები თეიმურაზის «მაჯამაშიდაც, სამწუხაროდ, ბევრი მოიპოვება. დასასრულ ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად მაჯამური გამოთქმა ერთ სიტყვიერ ერთეულს წარმოადგენს და მისი ცალკე ნაწილებად დაყოფა საჭირო აღარაა.

მეორე მხრივ „მაჯამა“ სუბიექტური კომპოზიციის გარკვეულ წესებს ჰგულისხმობს. „მაჯამა“ უცხო სიტყვაა (არაბულ-სპარსულია)

და ნიშნავს კრებულს. თეიმურაზიც არსებითად ასე განმარტავს ამ ტერმინს:

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“, შეყრილად ითარგმანება, წიგნები გამოკრებული, იგერთად მოიხმარება-ო.

ანდა კიდე:

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული, მომინდა წერა-ო.

ვახტანგ VI კერძო მაგალითზე ჩვენ უკვე ვაჩვენეთ¹, რომ ძეგლი იმავე ავტორის სხვადასხვა თხზულებათაგან საგანგებოდ გამოკრებილი მაჯამური სტროფების კრებულს წარმოადგენს. თან ისიც დავსძინეთ, რომ მთლიანად აღებული ეს [ვახტანგის მაჯამა] არაა მექანიკურად შეკოწიწებული ხანების კომბინაცია“-თქო².

თეიმურაზის „მაჯამას“ მრავალი სტროფიც „ვარდ-ბულბულიანისა“, „შამ-ფარვანიანისა“ და „გაზაფხულ-შემოდგომის შედარების“ პარალელურ ტექსტებს ემთხვევა. ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ვახტანგის ანალოგია, მაგრამ ეს ანალოგია თეიმურაზის მასალით ბოლომდე არ გამართლდა: მრავალი სტროფის პარალელი ცნობილ ძეგლებში არ იპოვება. ამასთან „მაჯამას“ ზოგიერთ შემადგენელ თავს („გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, „ქება და მკობა აღექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“) ცალკე დამოუკიდებელი ნაწარმოების მნიშვნელობა აქვს. ეს თავები „მაჯამაში“ მთლიანი ერთეულის სახით შესულა. მაჯამას დართული აქვს საკუთარი პროლოგ-ეპილოგიც. ჩვენი აზრით, თეიმურაზს ერთის მხრივ თავის თხზულებათაგან დამოუკრებია ცალკე მაჯამური სტროფები, მეორეს მხრივ სათანადო ცალკე „ქებანიც“ შეუთხზავს. ეს მასალა შეუვსია ახალი სტროფებით და პროლოგ-ეპილოგის სახით მტკიცე კომპოზიციური საღრთი შეუკრავს. ამგვარად კი მაჯამას დამოუკიდებელი ნაწარმოების სახეც ეძლევა და გამოკრებილ თხზულებასაც წარმოადგენს. მაინცდამაინც თეიმურაზი თავის მაჯამას ცალკე წიგნს უწოდებს („გათავდა წიგნი მაჯამა“), თუმცა იმის გამოკრებილობასაც იქვე საგანგებოდ უსვამს ხაზს:

გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები-ო.

¹ ანთოლოგია, II, გვ. X-XI.

² იქვე, XI.

შემდეგში გადამწერლებს უცდიათ მაჯამას შევსება და გამოკრების წესითვე ახალი სტროფებით განუვრციათ ტექსტი. აქედან წარმოდგება მაჯამას სხვადასხვა რედაქციები. თავის მხრივ თეიმურაზი მაჯამას „მცირობას“ იუწყება:

გათავდა წიგნი მაჯამა
ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები-ო.

ასე გვესმის ჩვენ მაჯამას კომპოზიციის კითხვა¹

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ თუმცა თეიმურაზი მაჯამას სპარსულ გვარად აცხადებს, მაგრამ არსებითად ეს მის მიერ შემოღებული ორიგინალური ჟანრია. მაჯამა სპარსულია მხოლოდ როგორც ტექნიკური ტერმინი. ახლა რაც შეეხება მაჯამურ სტროფებს. რასაკვირველია, ომონიმურ-კალამბურული ხერხი უცხო არ ყოფილა არც სპარსული და არც ძველი ქართული მწერლობისათვის. მაგრამ ომონიმურ-კალამბურული ხერხის გარკვეულ „მაჯამურ“ პრინციპად ქცევა უნდა მიეწეროს თეიმურაზის ღვაწლს.

თეიმურაზის მაჯამამ უდიდესი გავლენა მოახდინა „აღორძინების“ პერიოდის ქართულ მწერლობაზე. არჩილის „ლექსი აქაიქ ნათქვამი“² და ვახტანგის „მაჯამა“³ თეიმურაზის „მაჯამას“ გადამღერებას წარმოადგენს. არჩილის თხზულების სათაურიც კი თეიმურაზიდან არის აღებული (შდრ. თეიმურაზი: „გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქაიქ თქმულები“. არჩილი: ლექსი აქაიქ ნათქვამი“). წამბაძველი საგანგებოდ იმოწმებს კიდევაც თავის უშუალო წყაროს:

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს მაჯამა-ო.

ასე იქცევა ვახტანგიც:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მაჯამა-ო.

თეიმურაზის მაჯამური ომონიმებით დაცხრილულია იოსებ სააკაძისა, დავით გურამიშვილისა, ბესიკისა და სხვათა პოეტური შემოქ-

¹ მაჯამას შედგენილობის ტექნიკურ-ტექსტუალურ საკითხებზე სათანადო განმარტებანი იხ. წერილში „ტექსტისათვის“ (დართული აქვს თეიმურაზის თხზულებათა კრებულს, თბ., 1934).

² არჩილიანი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1936, გვ. 125—132.

³ ანთოლოგია, II, 1928, გვ. 137—142.

შედება. სანიმუშოდ აქვე წარმოვადგენთ თითოეული დასახელებული პოეტის თითო სტროფს და თეიმურაზის სათანადო ტექსტს დაუპირისპირებთ.

•ოსებ სააკაძე („დიდ-მოურავიანი“):

სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განაქერით,
მეფეს ტკბილად ველარ ვნახავ, თვარ არ ვრიდობ განა ქერით!
ვის მომწვევენ, შეიქნების გაკვეთილ და განაქერით,
ბედო კრულო, უკულმართო, თავი ჩემი განაქე რით?

•თეიმურაზი:

აწ, ბულბულო, ყველა გხედავს ხელსა, სოფლით განაქერსა,
ჩაჯდომილხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ, განა ქერსა!
გვიჩვენებ და შემოგვიჩივი გულსა ლახვრით განაქერსა,
მოგიტან და გაგიკურნებ, ვარდსა ხელით განაქერსა.

•დავით გურამიშვილი:

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავითგან, ბოლოჟამ ისევ წამერთო;
მან დამიკვანძა მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა, მერთო,
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.

•თეიმურაზი:

მინდოდა ქება-ქებასა სხვანიცა ბევრი წამერთო,
არ დამაცალე, სოფელო კრულო, მოკლეე და წამ ერთო;
შენგან დამება გონება, ტკბილი სიტყვები წამერთო,
მანდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიადაგ წამერთო.

•ბესიცი:

მკრა ეშხას ლახვარი დანასობითა,
დასქრა შავ გლახ გული დანა-სობითა,
მან სევდა მიმტაცა დანასობითა!

•თეიმურაზი:

შავმან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ლახვრად დანასობი,
ეგზომ დაპყო გულსა შინა, რომ მოჰკიდა დანასობი;

ლაწვთა მისთა შვენებითა ვნახე ვარდი დანასობი,
ველარ ვნახე მთვარე მისგან მონავანი და ნასობი.

* * *

თეიმურაზმა ნაციონალური თემატიკის დამუშავებაც სცადა. „წამება ქეთევან დედოფლისა“ ამ მხრივ პირველი მაგალითია ქართულ პოეზიაში. მართალია, უძველესი დროიდან არსებობდა ე. წ. „წმიდათა ცხოვრებანი“ (ჰაგიოგრაფიული მწერლობა), მაგრამ თეიმურაზის ისტორიულ პოემას თითქმის არაფერი აქვს საერთო აღნიშნული ტიპის ძეგლებთან არც იდეური მიზანდასახულობისა, არც სუჟეტისა და არც კომპოზიციის მხრივ. თეიმურაზის პოემა უაღრესად საერო ხასიათის ნაწარმოებია, სადაც საესეებით დაკულია ისტორიულ-ნაციონალური პერსპექტივი და შედარებით აცილებულია ზღაპრულ-სასწაულებრივი მომენტი. მიუხედავად განცდის სიმწვავისა, ავტორი ეპიკური სიღარბისლით აწერს კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტს. პოემაში აქა-იქ შერეულია მწუხარე ლირიკული მოტივებიც, რაც ასე ეხამება სუჟეტის საერთო ფონს. ლირიკულ-ელეგიკური ტონი თავის მხრივ საზოგადოებრივ-ეროვნული სარჩულით არის გამოწვეული. ერთი სიტყვით, თეიმურაზი პირველად იყენებს ქართულ პოეზიაში ისტორიულ-ნაციონალურ ფაბულას და ე. წ. ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების დამწყები ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ამით თეიმურაზმა ერთგვარი თემატიკური კრიზისი სძლია და მომავლისათვის მწერლობას ახალი გზები დაუსახა. არჩილი, გურამიშვილი და მრავალი სხვაც თეიმურაზის დაწყებულ საქმეს აგრძელებს. დამოუკიდებლად მისი ლიტერატურული ღირსებისა, ისტორიულ ნაციონალურმა ეპოსმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და ამ მხრივ დიდი უტილიტარული როლი ითამაშა (უმრავლეს შემთხვევაში მხატვრული მომენტის საზიანოდ).

„აღორძინების“ პერიოდიდან თეიმურაზი პირველად სარგებლობს აგრეთვე წვრილი ლექსების ჟანრით¹. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თეიმურაზმა საკმაოდ გაამდიდრა ქართული მწერლობის არე და მოცულობა. მან პირველმა შექმნა ნაირი ლიტერატურული ჟანრის კულტი, პირველმა შეარყია ტრადიციული თემა-

¹ შეიძლება ამ შემთხვევაში მხედველობაში არ იქნას მიღებული „ანბანთქება“, რომელიც ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია და რომლითაც გატაცებული იყო თეიმურაზი და მასთან ერთად მთელი მომდევნო ფეოდალური ქართული მწერლობა.

ტიკა და მწერლობის შემდგომ განვითარებას ფართო ასპარეზი გადაუშალა.

თავისი არც ისე მრავალრიცხოვანი თხზულებებით თეიმურაზმა მოგვცა მხატვრული სახეების მთელი გალერეა: ლეილა და მაჯუნუნი, იოსებ და ზილიხან, შამი და ფარვანა, ვარდი და ბულბული საზოგადო პოპულარული სახეებია ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობისა. თეიმურაზის გმირების სახელებმა ქრისტიანული კალენდრის ნორმებიც კი სძლია.

ლიტერატურული გავლენის თვალსაზრისით თეიმურაზის პოეზიას იშვიათი გამარჯვება ხვდა წილად. მარტო „ვარდ-ბულბულიანი“ რომ ავიღოთ, განსაცვიფრებელი შედეგი აღირიცხება. ამ თქმამ მთელი ეპოქა შექმნა, მთელი კულტი. ვერ დაასახელებთ ვერცერთ „ძველ“ მწერალს, რომლის კალამი სამიჯნურო მოტივს შეხებია (აბა, რომლის კალამი არ შეხებია ამ მოტივს!?) და ვარდ-ბულბულის აშიკობა რაიმე ვარიაციით არ აღებეჭდოს! პოეტი ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. ასეთ საგულისხმო სტრიქონებს უძღვნის თავის ლიტერატურულ ორეულს—ს ა ი ა თ ნ ო ვ ა ს: ¹. „მაინც დალოცვილს იმდენჯერ აქვს ნახმარი «მზე», «მთვარე», «ვარდი და ბულბული», რომ დღეის შემდეგ როგორ მივქარავე და კვლავ შევიყვარებ ამ საგნებსო“.

მაგრამ „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის დღეგადასული ხმები მთლად არც შემდეგში მიწყდა. უკანასკნელად პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა მოგვცა „ბულბულიანობის“ ძღვევის მოხდენილი ცდა თავის მოხდენილ ლექსში «ბულბულიანი» ². სიმონ ჩიქოვანი მშვენივრად ამხელს „ბულბულიანური“ პოეზიის „მოდერნულ“ კილოს:

ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე
და იწყო ყეფა ინდუსტრიაზე...

თეიმურაზის ლიტერატურული მნიშვნელობა კარგად ჰქონია შეფასებული როგორც მის თანამედროვეებს, ისე მომდევნო თაობებს. თეიმურაზს თურმე ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე უდარებდენ (ვინ იცის. იქნებ პირფერულად?) ქართული პოეტური სიტყვის უდიდეს ოსტატს—რუსთაველს. ამით პოეტი-მეფე თითქოს შეურაცხყოფილიც კიდარჩენილა თავის უკეთილშობილეს გრძნობებში და თავხედურად კადნიერი ტონით იუწყება „მაჯამას“ ეპილოგში:

¹ საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 47.

² ს. ჩიქოვანი, მხოლოდ ლექსები, ტფილისი, 1929, გვ. 106—107.

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა, მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა!

თეიმურაზის თანამედროვე, თანამოკალმე და თანამებრძოლი, დიდი ფეოდალი და პოეტი ნოდარ ციციშვილი კრძალვით და მოწინებით წერს ერთგან ჩვენი ავტორის შესახებ: ¹

თქვა ხელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის
მოსაწონისი,
ლექსთა მკითხველთა მელექსედ ხან ის აქეს და ხან ისი-ო.

თეიმურაზის მეორე თანამედროვის, პოეტ მამუკა მდიენის, სიტყვით არჩევანი არც შეიძლება: ²

კახთა მეფე თეიმურაზ ყოველთა უკეთესია...

ხოლო არჩილი პირდაპირ და კატეგორიულად აცხადებს: „ამჟამად ასე სახელისმძებნელი კაცი არ გამოსულა, რომ მეფე თეიმურაზ [არს]“. ეს ფრაზა ამოღებულია არჩილის კარგად ცნობილ თხზულებიდან «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა». ამ ნაწარმოების გენეზისის თაობაზე ავტორი ვეიამბობს: „გაბაასება მეფის-პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით [იქმნა], რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს-ო ³“.

„გაბაასება“ დაწერილია მკვეთრი პოლემიკური ტონით. განსაკუთრებით გამომწვევე პოზაშია მოცემული თეიმურაზი, ის მეტად ჭირვეულობს და ცხარობს. რუსთველი მორიდებულია და კრძალული გვირგვინოსან პოეტთან კამათში. არჩილის დასკვნით ბრძოლა გადაუწყვეტელი რჩება:

ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს
მოსცემს.

¹ შეიდი მთიები, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1930, სტროფი 7.

² შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ი. აბულაძის გამოცემა, 1916, გვ. 5.

³ არჩილიანი, II, თბ., 1937 (აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), გვ. 7.

თეიმურაზს დიდ ქებათა-ქებას ასხამს XVIII საუკუნის ოფიციალური კრიტიკაც ანტონ კათალიკოსისა და იოანე ბატონიშვილის სახით¹. მაგრამ რაღა წარსული დავიმოწმოთ?.. ამ წარსულის დიდი მცოდნე მეცნიერის, აკად. ნ. მარის სიტყვით თეიმურაზი პირველი პოეტია საქართველოში რუსთველის შემდეგ². ჩვენ პირადად შორს ვართ ამ შეხედულებიდან, მაგრამ ძაინც უდაოა და ცხადი თეიმურაზის დიდი მნიშვნელობა ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობისათვის. თეიმურაზ პირველი ამ მწერლობის ერთერთი პირველთაგანია და გამოჩენილი და დამსახურებული მოამაგე. ამდენადვე ის ყურადღების და შესწავლის ღირსია, თუმცა— თქმა არ უნდა— „წავიდა თეიმურაზ და არჩილ მეფე-პოეტების დრო“³.

¹ წყობილსიტყვაობა, თავი ვ; მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის (ძველი საქართველო, I, განყ. III, გვ. 26).

² Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы (ОЖМНП, 1890, XII, გვ. 233).

³ ქართული მხატვრული პროზა 1928 წელში („კომუნისტი“, 1929 წ., № 3, 5 იანვარი).

არჩილის ცხოვრება და შემოქმედება

I. არჩილის ცხოვრება

თუ კაცს მიხედვს გრძლად ყოფნა
უცხოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად,
ნაღელად აღმოიწებსა.
ა რ ჩ ი ლ ი.

არჩილი იყო უფროსი შვილი ქართლის მეფის ვახტანგ V-ისა, შაჰნავაზად წოდებულისა. შაჰნავაზი ირანულ ორიენტაციას ემყარებოდა და ფორმალურად მაინც მუსულმანურ რჯულს აღიარებდა. ქართლის მეფის სასახლე, რომლის საუცხოვეო აღწერილობა დაგვიტოვა განთქმულმა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა, არ იყო მოკლებული აღმოსავლურ ბრწყინვალეობას. შაჰნავაზის საკარო წრე შესდგებოდა ერთი მხრით ქართულ-ქრისტიანული დიდკაცური საზოგადოებრიობისაგან, ხოლო მეორე მხრით ირანულ-მუსულმანური მოხელეებისაგან. ქართულ-ქრისტიანული და ირანულ-მუსულმანური ადათ-ჩვეულებანი და გემოვნება თავისებურ გამოხატულებასაც კპოულობდა სამეფო კარზე. აქ იზრდებოდა მომავალი პოეტი და მეფე არჩილი. ამ პირობებმა გარკვეული დიდი დაასვა არჩილის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ინდივიდუალობის შემუშავებას.

დაიბადა არჩილი 1647 წელს. შაჰნავაზის კარის პოეტის, ფეშანგის, გაზვიადებული სიტყვებით პატარა უფლისწული მშვენიერი გარეგნობისა ყოფილა (შაჰნავაზიანი, 210):

ცისკარს უგვანდა ყელ-ყური, გავსით მთვარესა დარევდა;
ედემის მზგავსად შეენოდა, სურნელებითა დარევდა;
რა მოიზარდა იგი ყმა, სულად თემზედა დარევდა.

ბავშვი სათუთად აღუზრდიათ (იქვე, 223, 1-2):

სათუთად ზდიდენ მშობელნი, უნდოდათ თვალთა საჩენად,
სატრფიალო და სანდომი, ლაშქართა გამოსაჩენად.

არჩილს მიუღია კარგი განათლება როგორც საერო, ისე სასულიერო (საქრისტიანო). ამზადებდენ სამეფოდ. სამხედრო-ფეოდა-

ღური სწავლა-აღზრდის საფუძვლად სარაინდო ზნეობა ითვლებოდა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოზარდის ფიზიკურ გაწაფვას და სამხედრო ჩვევებს. ასე იზრდებოდნენ შაჰნავაზის შვილები, მათ შორის არჩილიც (შაჰნავაზიანი, 228, 1-2):

მეფემ უჩინა შვილებსა თვითო და თვითო თემია;
მუშაითობენ, სწავლობენ სამამაცოსა ზნენია.

მომავალ პოეტს ბავშობიდანვე ჰყვარებია საგმირო მოთხრობების კითხვა. ამ მხრით დამახასიათებელია ერთი ადგილი მისი მოგონებიდან (ასდაათნი 58, 1-2):

ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისო¹.
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო.

არჩილი საბოლოოდ ჩინებული ვაჟკაცი დამდგარა, ახოვანი და განათლებული რაინდი; ერთი სიტყვით, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „ზნე სრული“ (შაჰნავაზიანი, 628, 4). თვითონ პოეტი მოხუცებისას ასე ახასიათებს თავის ახალგაზრდობას (მეფეთა, 89, 7):

ვიყავ მხედარი კარგ სახედარი-რ.

ბაქარის სიტყვებით არჩილი იყო „ზედმიწეენილი სწავლითა სულეერთა და სიბრძნისა ცნობითა, და სამხედროთა და სამამაცოთა სიმხნეთა და ახოვანებათა სრულ“². ამასვე ადასტურებს ვახუშტიც: „ესე არჩილ იყო ახოვნებითა, შვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი იბ (12) მუჭისიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლალი და ამაყი, მონადიმე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმთოთი აღმატებული“³.

ცხადი პოლიტიკური ანგარიშით შაჰნავაზმა ახალგაზრდა უფლისწულს დაუწინდა ~~ვაზეც დადიანის ქალი~~, მაგრამ „დადიანმა მეფეს შაჰნავაზს ფიცი გაუტეხა და მოყვრობილამე გაეყარა“⁴.

¹ საამისო შაჰნამეს გმირის სახელია, საამი იყო როსტომის პაპა. აქ იგულისხმება პროზული „საამიანის“ წიგნი, რომელიც ჩვენ დრომდისაც არის მოღწეული (იხ. ალ. ბარამიძის „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“, ტფ., 1934, გვ. 49-51).

² ბაქარისეული ბიბლიის ბოლოსიტყვაობიდან.

³ ქართლის ცხოვრება, II, 126. იხ. აგრეთვე ანტონ კათალიკოსის „წყობილისიტყვაობა“ (სტრ. 798) და იოვანე ბატონიშვილის „მცირე უწყება“ (საისტორიო მასალანი, 1, 27).

⁴ შაჰნავაზიანი.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, საგარეო ურთიერთობაში შაჰნავაზი ირანს ემყარებოდა, საშინაო საქმიანობაში კი ის იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ამ მიზნით შაჰნავაზმა ილაშქრა დასავლეთ საქართველოში და 1661 წელს იქ გაამეფა ჯერ სრულიად უსასაკო, 14 წლის არჩილი. დასავლეთ საქართველოზე ადრითგანვე თავის პრეტენზიებს აცხადებდა ოსმალეთი. არჩილის იმერეთში გამეფებამაც ამ ნიადაგზე დიდი გართულება შექმნა. შაჰნავაზი 1663 წელს იძულებული გახდა ყუენის (ირანის შაჰის) მოთხოვნით არჩილი უკან გაეწვია. იმერეთის სანაცვლოდ ყუენმა არჩილს აღუთქვა კახეთის ტახტი, ოღონდ გამაჰმადიანების აუცილებელი პირობით. არჩილმა იმგზავრა ირანში. მიიღო მაჰმადიანობა, იწოდა შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ხ ა ნ ა დ და „ნაწყალობევი“ დაბრუნდა საქართველოში. რჯულის გამოცემა არჩილს შემდეგში სასინანულოდ გაუხდა (სანათლისღებო, 6, 1-2):

ნათლისღება შევაგინე, სჯულს გარდავხედ სიკბაუკებს,
დავემონე სატანასა ჩემს მომღერალს და მებუკებს.

1664 წელს არჩილი შეუდგა კახეთის გამგებლობას. თავის ახალ სამფლობელოს უფრო მომტკიცებისათვის და ერთგვარი ლეგიტიმური (კანონიერი) უფლებების მოპოვებისათვის არჩილმა 1667 წელს ცოლად შეირთო თეიმურაზ პირველის (1589—1663) შვილის-შვილი (დათუნას ქალი) ქეთევანი. შარდენს მოთხოვნილი აქვს არჩილის რომანის საყურადღებო დეტალები¹, ოღონდ უცხოელ მოგზაურს ქეთევანი (თეიმურაზის შვილის-შვილი) არეული ჰყავს ნესტანდარეჯანში (თეიმურაზის ასულში). შარდენის სიტყვით: „ამ ახალგაზრდა მეფეს (არჩილს) გაგიჟებით შეუწყარა ბაგრატის (იმერეთის ყოფილი მეფის) ცოლი, გადასწყვიტა მისი წართმევა და შერთვა“ (რუსული გამოცემა, გვ. 132 და შმდ). შარდენს კარგად სცოდნია რომანის პოლიტიკური მხარეც: „ამ ქორწინებით არჩილმა შეიძინა კახეთის სამეფო, სადაც უკვე მეფის მოადგილედ იყო“—ო². ქეთევან დედოფალი იმ ჟამად ტყვედ იმყოფებოდა ახალციხის ფაშასთან, შაჰნავაზმა დიდი სასყიდელი გაიღო სარძლოს დასახსნელად.

¹ Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., перевод Е. В. Бахутовой и Д. П. Косовича, Тифлис, 1902, стр. 132, 197—198; აგრეთვე შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, ტფ., 1935, გვ. 89—91 (რუსული თარგმანი უფრო სრულია).

² მოგზაურობა, გვ. 197 (რუსული გამოცემის) და 89 (ქართული გამოცემის).

ახლად შეუღლებულმა არჩილმა „ჰყო სასახლე თელავს... და იყო შეებასა და ნადირობა-ნადიმობასა შინა“¹. მაგრამ ასე დიდხანს არ ყოფილა. 1675 წელს არჩილმა დასტოვა კახეთი და ამდროიდან მოკიდებული მთელი თავისი ძალღონე მოანდომა იმერეთის ხელში ჩაგდებას. იმერთა დიდკაცობის დიდი ნაწილი წინააღმდეგა არჩილის მცდელობას, რადგან მას, როგორც ქართლის დინასტიის წარმომადგენელს, კანონიერი უფლებები არ ჰქონდა იმერეთის ტახტზე. ამ ფორმალურ გარემოებას კარგად იყენებდა იმერთა გეაროვნული არისტოკრატია მუდმივი შფოთვისა და შუღლის გასაღვივებლად. ადგილობრივ მკვიდრ ნიადაგს მოკლებული არჩილი იძულებული ხდება მიჰმართოს ძალმომრეობას და თავისი პოლიტიკური იმედები დაამყაროს უცხოეთის ორიენტაციაზე, ის ხან ირანის შაჰს სთხოვდა დახმარებას, ხან ოსმალეთის სულთანს, ხან ყირიმის ხანს, ხან კიდევ რუსეთის მონარქს. XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში არჩილი ოთხჯერ იქნა ტახტზე აყვანილი და ოთხივეჯერ გაძევებული: მეორედ მეფობდა 1678-1679 წლებში, მესამედ—1690-1691-ში, მეოთხედ—1695-1696-ში, მეხუთედ—1698-ს.

მაინცდამაინც არჩილის საბოლოო იმედად რჩებოდა რუსეთი: 1680 წელს ღვალეთს შეხიზნული ის ელჩებს აგზავნის რუსეთს, შემწობასა და მოსკოვში ჩასვლის ნებართვას სთხოვს მეფე თეოდორე ალექსის-ძეს. არჩილის წერილის დედანი ამჟამად დაკრულია მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში (Грузинские дела, грамоты №№ 17 и 18) და დათარიღებულია 1680 წლის 28 ნოემბრით. არჩილის რუსეთში გადასვლას, როგორც ჩანს, არ თანაუგრძობდა ქართლის სამეფო გვარეულობა. დასახელებულ არქივში მოიპოვებართი შესანიშნავი დოკუმენტი სათაურით: „Сказка терского толмача Семена Дмитриева о бытии его в Грузии у царя Арчила“². ამ საბუთიდან ირკვევა, რომ სიმონ დმიტრიევი სპეციალურად ყოფილა მივლენილი ღვალეთს არჩილის შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ელჩს საუცხოვოდ აქვს აწერილი ღვალეთი საზოგადოდ და კერძოდ არჩილის ოჯახური ყოფაცხოვრება. დმიტრიევი, სხვათა შორის, შემდეგს გვიამბობს: „Приехали к Арчилу царю в Девлет (ე. ი. ღვალეთს, ა. ბ.) из карталинской земли брат ево

¹ ქართლის ცხოვრება, II, 127.

² Картов 20, № 2.

Арчилов, родной меньшой царевич Левон... да с царевичем же Левоном приехал в Девлет к Арчилу парю зять их Малахеи, да первой боярин Теймураз и иные знатные люди“. ეს დეკლარაცია თურმე არჩილს არწმუნებდა რუსეთისაკენ გამგზავრების უზრობაში და მიუთითებდა იმ ხიფათზედაც, რაც ამ მგზავრობასთან იყო დაკავშირებული. მოლაპარაკებისას დიდ მღელვარებასა და ხმაურობას ჰქონია ადგილი, რადგან, დმიტრიევის სიტყვით, „Брат ево (Арчила) царевич Левон и все с ним будущие учили говорить с великим шумом“. არჩილს თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია და თვისიანებს ცხარე ცრემლებით გამოთხოვებია („Учили все плакать“).

ოჯახობითა და ამალით არჩილი თერგს ჩასულა 1682 წლის ივლისის 30-ს, ხოლო ასტრახანს—იმავე 1682 წლის სექტემბრის პირველს¹. მეფის ამაღლაში ირიცხებოდა 162 ქალი დაუკაცი (არქივში დაუკულია ამაღლის შემადგენლობის სრული სია), ოჯახის წევრები იყვნენ: უფროსი ვაჟი ალექსანდრე (დაიბადა 1674 წელს), საშუალო მამუკა, ანუ რუსული წყაროებით მათე² (დაიბადა 1676 წელს), ჭუძემწოვარი დავითი (დაიბადა 1681 წელს) და ქალი დარეჯანი (დაიბადა 1665 წელს), აგრეთვე ცოლი ქეთევანი.

რუსეთის მთავრობამ არჩილის შუამდგომლობა ნაწილობრივად შეიწყნარა, აღუთქვა მფარველობა, დაუნიშნა მასა და მის ამაღას

¹ სხვათა შორის, ეს თარიღი მშვენივრად ირკვევა არჩილის წერილიდანაც, რომელიც 1683 წლის 8 მაისის რიცხვით გაგზავნილია იოვანე და პეტრე ალექსის-შვილების სახელზე. წერილი ასეა დათარიღებული: „დაიწერა წიგნი ესე დასაბამიდან წელსა შვიდიათას-ას-ოთხმოცდამეთერთმეტესა (7191—5508—1683), თვესა მაისსა რვასა“. ხოლო წერილში ნათქვამია: „ოცდაათს ივლისს თერგს მოველ.. და ერთს სექტენბერს აქ აშთარხანს მოვედით. აწ რვა თვე გათავდა და მეცხრეს თვეში ჩავდექით რომ აქა ვართო“-ო. (Грмоты №-20). მართლაც, 1653 წლის მაისი მეცხრე თვეა არჩილის ასტრახანს ყოფნისა, რადგან იქ ჩასულა 1682 წლის I სექტემბერს. ამავე შინაარსის წერილი გაუგზავნია ქეთევან დედოფალს „დედოფალ ნათლიას“ და სოფიოს სახელზე (იქვე). როგორც თავის ადგილას იქნება ნახევენები, არჩილმა ასტრახანში დაჰყო 1685 წლის მეორე ნახევრამდე (1685 წლის 14 დეკემბერს არჩილი უკვე მოსკოვშია). ამრიგად, არჩილს ასტრახანში უცხოვრია სრული სამი წელიწადი 1682 წლის სექტემბრიდან 1685 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე და არა 1681—1684 წლებში, როგორც ამდენხანს იყო მიღებული (იხ. პროფ. კ. კეკელიძის, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 402).

² მათე მამუკას რუსული სახელია. ამიტომ ცდება ბ. ესაძე, როდესაც მამუკა და მათე სხვადასხვა პირად მიაჩნია (შდრ. Царевич имперетянский Александр Арчилович, Спб. 1913, стр. 6).

საზრდო, მაგრამ საცხოვრებელ ადგილად თერგი მიუჩინა, მოსკოვში მიღებაზე კი უარი უთხრა. არჩილი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, არა ერთგზის მიჰმართა მეფეებს (იოანე და პეტრე ალექსის— შვილებს) და კარის გავლენიან პირებს ხან დელეგაციების საშუალებით, ხან კი წერილობითი მოხსენებით, და დაჟინებით ითხოვდა მოსკოვში ჩასვლის ნებართვას. ამის შედეგად რუსეთის მთავრობამ ჯერ (1684 წელს) უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა გაიწვია, ხოლო უკანასკნელად მეფის თხოვნაც დააკმაყოფილა. დიდი ვიავგლახის შემდეგ არჩილი მოსკოვს ჩასულა 1685 წლის დეკემბრის 14-ს. მიუღიათ დიდი პატივით და ბრწყინვალედ გამასპინძლებიან: სხვათა შორის, არჩილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მარტო „жаркие“ ყოფილა 13 სახელწოდებისა, ხოლო ოცდაათამდე „породное“. რუსეთის მთავრობა, ალბათ, ამით ფიქრობდა მშვიერი იმერთა მეფის მოჯადოებებსა და მოხიბლვას. ✓

1687 წელს მოსკოვში ჩავიდა ქართლის მეფე ვიორგის გაგზავნილი არჩილის დროი ლავრენტი. ვიორგი არჩილს იწვევდა საქართველოში მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით საბრძოლველად. არჩილი დათანხმდა, დახმარება (ფულითა და ჯარით) გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან; ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად სამგზავრო ხარჯებს გარდა მიიღო 5.000 მანეთი და ორი უფროსი შვილის (ალექსანდრეს და მამუკას) თანხლებით 1688 წელს საქართველოში დაბრუნდა. აქ არჩილი დარჩა 1699 წლამდის, დრო გამოშვებით მეფობდა იმერეთში, რამდენიმეჯერ გაუგზავნა მოსკოვს ოფიციალური მოხსენება თავის საქმიანობის თაობაზე და შეიწყო ითხოვა.

1690 წელს არჩილი დიგორიდან ატყობინებს მოსკოვს, რომ 1689 წელს იანვრის თვეში „ჩემის საბატონოს უფროსი დავიჭირე“, მაგრამ მალე იძულებული გავხდი სამეგრელო—აფხაზეთში გავსულიყავო: „ასრე მოგვიხდა საქმე, რომ მე შჷის ზღვის პირს დავრჩი და ჩემი შვილები მთის ქვეყანას. ველარც მე ჩემს შვილებთან მოველ, ველარც ეგენი ჩემთან მოვიყვანე და წიგნი გაუგზავნე, თქვენ ისრევ ღვთის მოყვარეთა და მოწყალეთა დიდს ხელმწიფებთან წადით, ჩემს საქმეს—რომელსაც ღმერთი გააგებს—კიდევ გაცოდინებ მეთქი. ჩემი შვილები ამავე წელიწადს (ე. ი. 1689 წელს) თებერვალს ოცს წამოსულიყვნენ მაგათის მეფობის დიდებულებასთან“-ო. (საბუთები, № 24).

მოსკოვს დაბრუნებული მამუკა გარდაცვლილა 1693 წლის 23 მარტს. ხოლო ალექსანდრე პეტრე დიდმა 1697 წელს თან წაიტანა საზღვარგარეთ.

1693 წელს არჩილს განუზრახავს 'რუსეთში გადასვლა, მაგრამ ჩერქეზთ ბატონმა ყილჩიყომ ყეენისა და შამხალის მიწენით ჯერის „ისტუმრა პატივით“, ხოლო შემდეგ მუხანათურად თავს დაესხა და შეიპყრო: „შეუპყრეს ორთა კაცთა ხელნი არჩილს იმიერ და ამიერ და იწყეს სპათა არჩილისათა პყრობა ჩერქეზთა“. არჩილს აქ დიდი მამაცობა გამოუჩენია, პირადად მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში და მრავალიც მოუკლავს: „შემდგომად განვლო ბრძოლითა მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით“, თუმცა საბოლოოდ მაინც ტყვედ ჩავარდნილა. ვახუშტის სიტყვით, არჩილი უხსნია ყილჩიყოს ცოლს: „ცოლმან ყილჩიყოსამან წარავლინა მეფე ბასიანს და სპანი არჩილისანი დიგორს“¹. მაინცდამაინც არჩილს არ მოუხერხდა თერგისკენ გასვლა და ქართლში დაბრუნებულა. თვითონ არჩილი საინტერესოდ გადმოგვცემს როგორც ყილჩიყოსთან ტყვეობის ამბავს, ისე საერთოდ თავის გამოუვალ მდგომარეობას, მოსკოვს გაგზავნილ ერთერთ მორიგ მოხსენებაში: „ჩვენი საქმე მრავალჯერ მოგვიხსენებია დიდის ხელმწიფეებისათვინ. რაც ღონე გექონდა, ამდენი ხანი არის ვეცადეთ ჩვენის ქვეყნის საქმესა, რომ ამ ჩვენის მძლავრის მტრის ხელით დაგვეხსნა და ჩვენი მკვიდრი ქვეყანა ჩვენ დაგვექირა და თქვენ დიდის ხელმწიფეებისათვინ გვემსახურებინა; მაგრამ ჩვენი ძალი ამათს ძალს ვერ გაუვიდა და ორას და ერთს (1693) წელიწადს ხელმწიფეთ თავი ველარ დაუქარით; და ისრე ისევ მაგათს მალალს ხელს მოყმართეთ. და ლაშქარი ველარ ვითხოვეთ, და დაგვხედენ ყაბართოში შამხლის შვილი და ყილჩიყო მირზა და მომკლეს-ლარ მე და ღმერთმან და მაგათმა სიმართლემ მომარჩინა. აწ აღარც აქ დგომა შეიძლება ჩემგან და ვერც ულაშქროდ მაგათს მალალს ხელთ ქვეშ მოსვლა შეიძლება ჩემგან. ღვთის გულისათვინ და მართმადიდებლობისა და ქრისტიანობისათვინ ლაშქარი გვიბოძეთ და ამათის ხელისაგან დაგვიხსენით, და ლაშქრის თაობა ადლიეგრაი მირზას უბოძოთ, რომ მან გამოგვიყვანოს. ღმერთი დაგიმადლებსთ, თორამ ჩვენი სამსახური რა იქნება.

დაიწერა დასაბამითგან შვიდი-ათას ორას ოთხსა (1696).
შაისსა ოცსა“².

საბოლოოდ დაბრუნდა არჩილი რუსეთში 1699 წელს. პეტრე დიდმა არჩილსა და მის შვილ ალექსანდრეს მისცა სამეშვიდროდ დიდძალი მამულები (სახნავ-სათესით, საძოვრებით, სათევზო ად-

¹ ქართლის ცხოვრება, II, 214—215.

² საბუთი № 27.

გილებით, ქარხნებით და სხვა). ნიჟეგოროდისა და მოსკოვის მაზრებში (волости Терюшевская, Белгородская и Лысовская, село Всесвяцкое¹) ეს უბეი წყალობა იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრეს სიყრმის მეგობრად და უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა. ალექსანდრემ სერიოზული სამხედრო განათლება მიიღო საზღვარგარეთ (პოლანდიაში) და რუსეთის სახელმწიფოს მთელი საარტილერიო საქმის უფროსად დაინიშნა გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდებით.

საცხოვრებელ ადგილად აირჩია არჩილმა სოფელი ვსესვი-აცკოე,² რომელიც ამჟამად ქალაქ მოსკოვის ერთერთი მნიშვნელოვანი გარე-უბანია ლენინგრადის შარა-გზაზე და რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ცენტრიდან. საერთოდ მოხუცების დროს არჩილს საკმაოდ მყუდრო და მდიდრული ცხოვრების პირობები შეექნა, რაც დიდად ნატანჯ-ნაეაგლახევს და მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილ პოეტს ვერ ახარებდა, მით უმეტეს, სულიერ სიმშვიდეს ვერ უქმნიდა. იშვიათი პოეტური ძალით აქვს აღბეჭდილი არჩილს ეს გარემოება:

სიღარიბე და მწირობა პირველ აბრაჰამ გვიწესა;

თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნალველად აღმოიწებსა.

სიცოცხლის ბოლო წლები მოუშხამა არჩილს მისი უკანასკნელი შვილის, ალექსანდრეს გალუჰვამ. ალექსანდრე ბატონიშვილი 1700 წლის 19 სექტემბერს ტყვედ ჩაუვარდა შვედებს ნარვასთან ბრძოლაში. 1701 წლის 28 მაისს ალექსანდრე სტოკჰოლმში ჩაიყვანეს, შვედიაში მან დაყო მთელი ათი წელი. თუმცა ალექსანდრეს შვედები შედარებით კარგათ ეპყრობოდნენ, როგორც გამოჩენილ გენერალსა და დიდ გვარიშვილს, მაგრამ თავისუფლებას მოკლებული ცხოვრება მისთვის მაინც ძლიერ საძნელო გამხდარა. ალექსანდრე ხშირად ავადმყოფობდა, ნერვიულობდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. არჩილს არა ერთგზის მიუმართავს შემწეობის თხოვნით როგორც პეტრესთვის, ისე კანცლერისა და სხვა დიდი მოხელეებისთვის,³

¹ იოვანე ბატონიშვილის მოწმობით, არჩილმა „მიიღო მეფეთა რუსთაგან, პატივი და ოცდაოთხი ათასი სული ყმა რუსეთსა შინა“ (საისტორიო მასალანი, I, 27).

² თვითონ არჩილი ამას უწოდებს „ვსესწეკას“—(ასდაათნი, 37, 4). ეს სოფელი ზოგან იხსენება ვესესიატსკოედ, ზოგან კიდევ ვსესესვიატსკოედ.

³ არჩილი მოსკოვში დამეგობრებია შვედ ტყვე გენერალ პიპერს, რომლის დახმარებითაც უსარგებლია შვილის საქმეების გამო (ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, ტფ., 1937, გვ. 25, 32).

ტყვის დახსნა მაინც არ მოხერხებულა. 1706 წლის 2 თებერვლის თარიღით არჩილს იშვიათად გრძნობიერი წერილი გაუგზავნია პირადად კარლოს დიდისთვის (შეეციის კოროლისთვის) და შვილი შეუუედრებია. აი ორიოდე ამონაწერი ამ შესანიშნავი წერილიდან, რომელიც მთლიანად გამოაქვეყნა აკად. მარი ბროსემ:

„ძე ჩვენი... უბედობით იტანჯების ექვსსა წელსა შინა ტყვედ, რომლისაგანაც მას მრავლის მწუხარებისა და სენისა მიერ უყამოდ სიკვდილი და მოუძღურება მოუდგს, და ჩვენ სიბერესა შინა ჩვენ გაუშვილოება და მწუხარებით საფლავად შთახდომა უაღრესად ყოვლისავე მოოხრებისა და აბეზარყოფისა მამულთა ჩვენთასა. რომლისათვისცა ვევედრებით მდაბლად შევრდომილნი ყოვლითავე სახლეულით ჩვენით თქვენს მეფობის დიდებულებას—ჰყავ ჩვენთანა წყალობა ბუნებითისა მის თქვენის მეფობის სახიერებისაებ სათნო იჩინე ძისა ჩემისა განსათავისუფლებელად... რათამცა არა დაკლებულ ვიქმნეთ უკანასკნელსა მას ნუგეშის-ცემასა სიბერისა ჩვენისასა“ (Notice sur une lettre géorgienne du roi Artchil a Charles XII, «Bulletin de la classe Historico-Philologique de l'Académie des Sciences», XI, 1854, p. 172—175; Mélanges Asiatiques, II, [1852—1856], 1856, p. 211—215; О грузинском письме, 548—549).

პირველად არც ამ თხოვნას გაუჭრია, ხოლო 1710 წელს ალექსანდრეს დროებითი თავისუფლება მიუღია მშობლებისა და ოჯახის სანახავად, მაგრამ ეს ბედნიერება არ დასცლია და გზად გარდაცვლილა პიტეაში¹, ნეშტი გადმოუსვენებიათ მოსკოვს და დიდი პატივით დაუსაფლავებიათ დონის მონასტერში.

ყოველივე ამასთან ერთად არჩილი თვითონ დაავადებულა რალაცა საშინელი სენით. 1707 წლით დათარიღებულ ერთერთ წერილში (პეტრე პირველის მიმართ ალექსანდრე ბატონიშვილის საქმეზე) ის, სხვათა შორის, იწერება: „Обременен прелютыми скорбми хирягрюю подагрюю и иными ведущими житие мое ко вратам смертнм“. არჩილს დიდად აწუხებდენ შვილის (ალექსანდრეს) მოვალეები. უკანასკნელად დიდი ზარალი მოუვიდა ვსესვიატსკოეს სასახლის გადაწვით (ვინ იცის, რამდენი ხელნაწერი შთანთქა ამ ცეცხლმა!). ერთი სიტყვით, საერთო ანგარიშში „მსახვრალი“ გამომდგარა ემიგრანტი მეფისა და პოეტის ცხოვრების ბოლო წლებიც. მაგრამ ის ქედს არ იხრიდა, სრულ სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა და ნაღვლით სავსე მაინც ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

¹ ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, ტფ., 1937, გვ. 25, 32.

მოსკოვში საბოლოოდ დამკვიდრებისას არჩილს ხელი მიუყვია ქართული სტამბის მოწყობისათვის და უკვე 1703 წელს ამ მხრით ყველაფერი მზადაც ჰქონია.

1703 წლის ივლისის 2-ს არჩილს მოუხსენებია თეოდორე ალექსის-ძის გოლოვეკინისათვის: „При сем вашей милости доношу прошение мое. Прешедших в повелесея нам от высочайшия державы печатать книги на нашем языке ради церковных и гражданския пользы нашему Иверскому народу, а наипаче в тиранстве под турком и персом сущым, кои зело великую скудость книг духовных имеют, и тогда начатое дело недостатком литер и людей, к делу приличных, остановилось. А ныне за божею помощью литеры нашего диалекта построились изрядно и художники к делу обретаются искусны“. ამიტომაც არჩილი შუამდგომლობს მეფის წინაშე: „Дабы повелел в своей царской типографии на нашем языке несколько книг церковных напечатать“ სახელმწიფო ხარჯზე¹. თხოვნა შეწყენარებული ყოფილა.

გოლოვეკინი ატყობინებს არჩილს 1703 წლის 11 აგვისტოს თარიღით პეტროპოლიდან: „А что, государь, изволил ты ко мне писать о позволении печатания книг и о том указ монаршеской послал уже напред сего к Ивану Алексеичю Мусипу-Пушкинву. Велено дать позволение печатать и на то употребить некоторое число денег ис казны его монаршеской“².

¹ Картов 27, № 2.

² ამ ამონაწერებს ჰარბად იმიტომ დავესესხე, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული სტამბის ისტორიისათვის. ჩვენი მასალები აქარწყლებს ერთ დიდ გაუგებრობას, რასაც სათავე მისცა პლოენმა. როგორც ცნობილია ბროუსეს გამოცემას „Переписка грузинских царей с русскими государями“, დართული აქვს დასახელებული პლოენის მიერ შედგენილი მიმოხილვა მოსკოვის ცენტრ-არქივის საქართველოს საქმეებისა. ზევით დამოწმებული არჩილის წერილის შინაარსი პლოენს ასე აქვს გადმოცემული: „В другом письме Арчия просил Головина о искодатъствовании у государя повеления напечатать в типографии несколько церковных книг на грузиявском языке, для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей“. (გვ. XXV, დაუთოა ჩვენია, ა. ბ.) ამავე შეცდომას იმეორებს, პლოენის დამოწმებით, დ. კარიჭაშვილიც (ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ., 1929, გვ. 44). აღსანიშნავია, რომ სტამბის საკითხით არჩილი დაინტერესებულა მოსკოვში პირველად ჩასვლისას. ქართული შრიფტის ჩამოსხმას მეფე იმთავითვე შედგომია. ამ საქმეში არჩილისათვის დიდი დახმარება გაუწევია ჰოლანდიელ სწავლულ ორიენტალისტს და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწე Nicolas Witzens-ს (1640—1719). ვიტენს ეკუთვნის დიდტანიანი

ამ სტამბიდან 1705 წელს გამოვიდა „დავითნი“. არჩილის-ინიციატივით და მისივე უშუალო მონაწილეობით დამზადდა გამო-საცემად ქართული „ბიბლია“, რომლის ბეჭდვა შემდეგში განახორ-ციელა ბაქარმა (1743 წელს).

სიკვდილის მოლოდინში არჩილს დაუტოვებია ანდერძი პეტრე-დიდისთვის¹, უთხოვნია დარეჯანის მემკვიდრედ დამტკიცება და, როგორც საკუთარი ოჯახისა, ისე მთელი ამაღლის მფარველობა. აი ერთი ადგილი ამ ანდერძიდან: „В руке твои предаю дом мой и суших в нем. Тебе оставляю нищие, сиры и пришельцы; ты буди им помощник и не остави их во время старости, внигда оскудевати крепости их“ (ст. 211).

როდის გარდაიცვალა არჩილი?

ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით არჩილი გარდაიცვალა ჩ ღ ი ბ, ე. ი. 1712 წელს². ამავე თარიღს დებს ზოგიერთი ისეთი მკვლევარიც, რომელსაც უშუალოდ უმუშავია არჩილის მდი-

წიგნი Noord en Oost Tartarye“, რომლის შესამე გამოცემა დაბეჭდილა ამსტერ-დამს 1785 წელს. ვიტცენის წიგნში მოთავსებულია არჩილის პორტრეტი (აქედან-გადაიბეჭდა „არჩილიანის“ პიოველ ტომოი), არჩილის ვიტცენისადმი გაგზავნილი წერილის სრული პირი—ფაქსიმილე, მეორე წერილი ლათინურად და ვრცელი საისტორიო ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ ვიტცენს ახლა ნაცნო-ბობა და კარგი ურთიერთობა ჰქონია არჩილთან. საფიქრებელი ხდება, რომ დასახელებული წიგნის საქართველოს შესახებ მასალა არჩილმა მიაწოდა ავ-ტორს. სხვათა შორის, ალ. ცაგარელიც ასახელებს ერთს „Краткая история Грузии“-ს „составленную со слов царя Арчила“ (Новые Архивные мате-риалы, 132). პოლანდიაში ყოფნისას ვიტცენის სტუმართმოყვარეობით უსარ-გებელია პეტრე დიდას მხლებელს ალექსანდრე ბატონიშვილს. ლათინურად და-წერილ თავის მეორე წერილში არჩილი მადლობას უხდის ვიტცენს ალექსანდ-რესთვის აღმოჩენილი შემწვობის გამო. არჩილის ქართულ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის. ამ წერილიდან ირკვევა, რომ მოსკოვის ქართული სტამბის ისტორია XVII საუკუნიდან უნდა დაიწყოთ და არა XVIII-დან. ვიტცენის წიგნ-სა და არჩილის წერილს პირველად ყურადღება მიაქცია ქართულთმეტყველების დაუცხრომელმა მოამაგემ აკა. მ. ბროსემ (Histoire de la Géorgie II, p. 351-352). ბროსეს ცნობებზე მიგვიითთა ქრ. შარაშიძემ. სასტამბო საქმეებში არჩი-ლისათვის დიდი დახმარება გაუწვია შვედ იოჰან შპარვენფელდს (ქართული-შრიფტი ამსტერდანში, გვ. 23, 34).

¹ П. Бутков, История о духовном завещании имеретинского царя Арчила („Северный Архив“, 1824, XII, № 23-24, стр. 203-222).

² ქართლის ცხოვრება, II, 25.

დარ არქივზე¹. ვახუშტისა და ბროსეს წყალობით აღნიშნული თარიღი დაკანონდა ქართულ-სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ ეს თარიღი მცდარია. დაქვრივებული დედოფლის, ქეთევანის, წერილიდან ჩანს, რომ არჩილი გარდაცვლილა 1713 წლის 16 აპრილს. ამ თარიღით დედოფალი ოფიციალურად აცნობებს მთავრობას: „В 16 апреля господь бѣг друга вашѣго,² а моего сожителя от суетного и многобедственного жития взялъ благоволил“³. ოღონდ აქ ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი, სახელდობრ ის, რომ ქეთევანის წერილი არქივში დაცულია 1712 წლის საქმეებში. მაგრამ ეს გაუგებრობის შედეგია (შესაძლებელია ამ გაუგებრობამ შეიყვანა შეცდომაში ბროსე, ცაგარელი და ესაძე). იმავე არქივის სხვა საქმეებიდან ჩანს, რომ 1712 წლის 18 სექტემბრის თარიღით არჩილს არზა მიუერთმეგია მთავრობისათვის სასამართლოს თაობაზე. იმავე წლის 23 სექტემბერს არზას მოჰყოლია არჩილის სასარგებლო განკარგულება⁴.

მაშასადამე, რახან არჩილი ცოცხალია 1712 წლის სექტემბერში, იმავე წლის აპრილში გარდაცვლილად მას ვერ მივიჩნევთ. ამიტომაც ქეთევან დედოფლის წერილი უნდა დათარიღდეს არა 1712-ით, არამედ 1713 წლით. ამასვე სავესებით ადასტურებს დონის მონასტრის მემბტიანე: — „1713, апреля 16 преставился на Москве Милитиинский царь Арчил Вахтангевич, а погребен в донском монастыре, в церкви сретения господя нашего Иисуса Христа, что построил он же царь Арчил, где погребены дети его. А погребен Арчил Вахтангевич апреля 19“⁵.

¹ მაგალითად, აკად. ბროსე (О грузинском письме, გვ. 549), ალ. ცაგარელი (Новые армянские материалы, 132) და ბ. ესაძე (Царевич императрицы Александр Арчилович, стр. 28).

² წერილი გავზავნილია „გაეროლო ივანოვიჩის“ სახელზე.

³ Картон, 29, № 2.

⁴ Картон, 29, № 1.

⁵ Летопись Грузии, I стр. 358—359. სრულიად სამართლიანად 1713 წელს სთვლის არჩილის გარდაცვალების თარიღად მიტრ. ევგენი (Историческое изображение Грузии, 35), პ. ბუტკოვი („Северный Архив“, стр. 208). პ. იოსელიანი (არჩილის მოკლე ბიოგრაფიაში, რომელიც წინასიტყვაობად აქვს დართული პლატონისვე გადაწერილ არჩილის ერთ ხელნაწერ კრებულს, №2294) და აგრეთვე დ. კარიბაშვილი (ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 48).

თვითონ ქეთევან დედოფალი გარდაცვლილა 1719 წლის 16 აპრილს¹. არჩილს დარჩა მხოლოდ ერთი ქალი, დარეჯანი, რომელიც გაუთხოვარი გარდაიცვალა 1740 წლის 6 ოქტომბერს². უშვილოდვე მიიცვალა³ ალექსანდრე ბატონიშვილის მეორე ცოლიც. ასე საბოლოოდ გადაშენდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავდაპირველად საკმაოდ მრავალრიცხოვანი არჩილის ოჯახი.

II. არჩილის შემოკვედება

სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ
მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად

ა რ ჩ ი ლ ი

არჩილის ნაწერების კრებული ცნობილია „არჩილიანის“ სახელწოდებით⁴. დიდი იდეური სიღრმით აღბეჭდილი „არჩილიანი“ მრავალფეროვანია თემატიკურ-შინაარსეული მასალით და საყურადღებოა ფორმით. კრებული შეიცავს უმთავრესად საერო ხასიათის ტექსტებს, თუმცა ავტორი „საკაცოსაც“ (ე. ი. საეროსაც) უწოდებს და „სალმოსაც“ (ე. ი. სასულიეროსაც):

სალმოსაც გეტყვისთ, საკაცოსც, ორითავე ნაკამკალია⁵.

„არჩილიანი“ ავტორს დაუდვია მოსაგონარ-სახსოვარ წიგნად. გრძნობიერი საეიდრებელი სიტყვით შიშმართავს არჩილი თავის მკითხველებს (სანათლისღებო, 25, 3—4):

მოგართვი ჩემად სახსოვრად, ძმანო და ჩემნო დაო, და,⁶
მომიგონებდით ამ წიგნით ტკბილადრე, არ სააოდა.

¹ Летопись Грузин, I, 359.

² იქვე, I, 361.

³ 1720 წლის 28 ივლისს (იქვე, I, 359).

⁴ „არჩილიანის“ ტექსტური შედგენილობისა და ქრონოლოგიის საკითხებზე იხ. ალ. ბარამიძის „არჩილიანის ტექსტისათვის“ („არჩილიანის“ I ტომის წინასიტყვაობა).

⁵ სიტყვა სანათლისღებო, 42, 4.

⁶ ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდნენ არა ნამდვილი და-ძმანი, არამედ საერთოდ მკითხველები.

„არჩილიანში“ შემავალი ტექსტები შეთხზულია ავტორის ემიგრანტული ცხოვრების პირობებში. ამ პირობების ელფერი კრებულს ძლიერ დასტუობია. თუ ავტორს დაუჯერებთ, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ემიგრანტული ნალველის შენელების სურვილით ყოფილა გამოწვეული: „ნალვლის რასმე საქარებლად მე ეს საქმე ვიმეგობრეო“. ეს მომენტი პოეტს მიაჩნია მხატვრული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად:

კუდად ყოფნით ამის მეტი სხვა ვერა-რა ვიმუშავე-ო.

გალექილი „ვისრამიანის“ წინასიტყვაობაშიც არჩილი პოეტური მოხდენილობით იმეორებს (52, 1-2):

კუდად ყოფა მომეწყინა, სულა ფიქრმან დამალამა,
ლონეს ვეძებ ლხენისასა, არამც მოვკვდე ამალამა.

ასევე მეორეგანც (იქვე, 56):

ამად ვშვრები, შავმან ნისლმან დამფარა და დამაბნელა,
მუგუზს ვაქნევ წნორისასა ლონედ რასმე ნელა, ნელა;
ეგებ ერთს გზას წამაყენოს კარგსა სადმე, სად ნათელა,
კირნი ჩემნი არ წამიხდეს, ან სულ ჯავრმან არ წამთელა.

აღნიშნულ კითხვას ავტორი უბრუნდება სხვა ტექსტებშიც:

რა ვქნა, შაირი მით ვიწყე, საქმე დაძვირდა საქნელად
(სანათლ. 43, 1)-
ამად მიეპყეე შაირს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა
(სამიჯნურონი, 46, 4)-
თუმც უცებ ვარ, ვამჯობინე უქმად ყოფას ისევ შრომა
(ასლდაათნი 1, 1).

„ვისრამიანის“ ეპილოგში არჩილი ვრცლად ლაპარაკობს ლიტერატურული მუშაობისათვის მოუტლელობის შესახებ (715-717):

სულ ყველას თქმა უხანომა ეამმან ამად არ მაცალა,
სიკედლიმან და მწუხარებამ, რაც წინ მედვა, ამაცალა;
ჩემთ საყოლთ და სახელმწიფოთ დია შორს სამ გამაცალა,
დილას ლხინსა მომაშორა, მწუხრ ტირილზედ მომაცალა.

ამას ქვეითაც ვიტყვოდი ასევე თუ უუკეთესა,
 აქამდის ვერვის მოემკო, თუმც ძნელად ვისმე ეთესა.
 მე ჰირნი ჩემნი ვამგზავსე მახვილსა უუმკვეთესა,
 ჟამმან და სოფლის ბრუნვამან ოდენ ეს გამიკვეთესა.
 სადღა არს ჟამი ამისდა, რადგან ქვეყანას უარა,
 სხვადასხვა ჰირმან, სიკვდილმან ლხინთა ზმა გამიუარა.
 დაბრუნდა ეტლი უკულმა, დღითი-დღე უარ-უარა.

„ვისრამიანის“ ნაწილობრივად გალექსვის შემდეგ არჩილს თითქოს განზრახვაც ჰქონია თავი დაენებებია ლიტერატურული საქმიანობისათვის: „ამიერითგან ვლუმენი ლექსთა თქმა—შაირობასაო“; მაგრამ ეს განზრახულობა მას სისრულეში ვერ მოუყვანია, თუმცა „ვისრამიანი“ საბოლოოდ დაუმთავრებელი დარჩენია.

* * *

არჩილი რუსთაველისა და თეიმურაზის პოეზიაზე განსწავლული ხელოვანია, ის განუზომელი პატივისცემით ეპყრობოდა ქართული სიტყვის ორივე დიდ ოსტატს, განსაკუთრებით კი რუსთველს. არჩილმა კრიტიკოსმა არ შეიწყინარა მთელი რიგი პოეტებისა მხოლოდ იმიტომ, რომ „შოთას რად ვერ წაბაძესაო“. არჩილსვე ეკუთვნის მკვეთრი ლოზუნგი:

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმოძძანდეს ასე
 აქეთ,
 მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ.

ასევე დიდად აფასებდა არჩილი თეიმურაზ პირველსაც: „ბატონი კი შეუდარო, სხვათ რუსთველი გაუთაო“. მას თითქოს უჭირდა კიდევაც არჩევანი. და სწორედ ისაა განსაკუთრებულად აღსანიშნავი, რომ თუმცა არჩილი ქედს იხრიდა რუსთველისა და თეიმურაზის მხატვრული შემოქმედებითი ღირსების წინაშე, მაგრამ ამასთანავე ცხადლივ და გაბედულად უარყოფდა მათ ლიტერატურულ მიმართულებას. არჩილი იწუნებდა რუსთველისა და თეიმურაზის მოქარბებულ ფანტასტიკას, „ნაქორი“ და ნატყუვარი ამბების შეთხზვაში სდებდა მათ ბრალს. ერთგან ავტორი მოურიდებლად აცხადებს:

ქართველთ ენითა შელექსე ვერ ედარების ამ ორსა:
 რუსთველსა ენა-რიტორსა, მეფეს—ალვისა ნამორსა,
 ერთმანერთს რად ვაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა!
 იტყვიან უკლოდ აზბავსა სპარსთა ნათქვამსა, ნაქორსა.

არჩილი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ მოგონილსა და ზღაპრულ ამბავს და ამის სანაცვლოდ იცავს მართალი ამბის პრიორიტეტობას. არჩილი ერთგვარად ჰკიცხავს ზღაპრულ თემებზე მომუშავე მწერლებს, ის ქედმოუხრელად ემიჯნება ამ მხრით თვითონ რუსთველსა და თეიმურაზს. რუსთველისა და თეიმურაზის „გააბაასებაში“ ავტორი ასე ასაბუთებს თავის შეხედულებას: „სხვას ზღაპრულს ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის, მეფისა და რუსთველის პირდაპირ გააბაასების, მეტი—საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებსო“.

მოტანილ ნაწყვეტში საყურადღებოა ზღაპრულისა და მართლის მკვეთრი დაპირისპირება. რასაკვირველია, მეზღაპრეებად ნაგულისხმევია თვითონ მოცილე თუ მობაასე პოეტები, რუსთველი და თეიმურაზი. ეს კი დიდად გაბედული ნაბიჯი იყო არჩილის მხრით, არჩილმა შესძლო საყოველთაოდ მიჩნეული ავტორიტეტების დაუზოგავი გაკრიტიკება. არჩილმა შესძლო მათგან გამიჯვნაც¹. იმავე „გააბაასებაში“ ავტორი რამდენიმეჯერ უბრუნდება აღძრულ პრობლემას. ერთგან საკმაოდ გამომწვევი ტონით წერს:

ვექვ, ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,
 არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
 არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად
 ესევე ვარჩივე დუმილსა, წარწყმდაო ყოვლი
 გასაგონარი,
 მცონარი.

ქაღლით ამბობს არჩილი სხვაგანაც: „რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლებიო“. არჩილი საყვედურით ალაპარაკებს რუსთველის მოპაექრეს (369):

¹ დამახასიათებელია, რომ საქართველოს „ზნეობებში“ არჩილი ირონიულად შენიშნავს „მოზღაპრეობის“ შესახებ (75, 2); მოზღაპრეობაც ივარგებს, საძილოდ არაკია.

ერთს დიდმარხვაში ნაგებს ვლექ, რომელ არს ბოსტან-
ქალაქი,
აღდგომაც იქ გარდვიხადენ, ჩვენი ახალი პასაქი.
რა(ს) აქნევ ინდსა, არაბსა, ესე სჯობს, შენცა
ეს აქი!

ამრიგად, არჩილი—ასე ვთქვათ—თავისებური რეალისტური მიმართულების დამცველია. რასაკვირველია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი რეალიზმზე როგორც გარკვეულ სალიტერატურო მიმდინარეობაზე, ან სალიტერატურო სკოლაზე. მაგრამ არჩილს უთუოდ შევეთრად ახასიათებს რეალისტური აზროვნობა, „არჩილიანს“ ცხადლივ აღუბეჭდია საგანთა და მოვლენათა რეალისტური ასახვის თვალსაზრისი. „არჩილიანში“ საკმაოდ არის მომარჯვებული რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის პრინციპები. მეტის თქმაც შეიძლება, სულხან-საბა ორბელიანთან და დავით გურამიშვილთან ერთად არჩილი თავისებური კრიტიკული „რეალიზმის წარმომადგენელი ხდება ქართულ მწერლობაში.

არჩილი იმასაც იწუნებს, რომ რუსთველმა და თეიმურაზმა თავიანთი უზადო ნიჭი შეალიეს „სპარსთა ნათქვამი“ ამბების დამუშავებას, თავის მხრით კი ის გვიპირდება „საქართველოს ამბავის“ თარობას. მაშასადამე, რეალისტურ პრინციპთან ერთად არჩილი ქომაგობს ეროვნულ თემატიკას.

ეროვნულ-რეალისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე პოეტი თანმიმდევარია ენის საკითხშიც, ის იცავს ენის სიწმინდეს (პურიზმს). არჩილი უარჰყოფს თეიმურაზის ნარეგ, ბარბარიზმებით სავსე სტილს. ერთგან („სამიჯნურონი“) ცხარე გამოჯავრებით ეკამაჯება თეიმურაზის „მაჯამას“, ჰგმობს „მაჯამას“ როგორც უცხო წარმოშობილობის გამო, ისე, და განსაკუთრებით, ენობრივი სარწულის გამოც:

მკითხველ-მთარგმნელნო, მაჯამას წილ მეც ეს
მამირთმეგია,
ჩემი და ჩემმაგეერად, არვისთვის წამირთმეგია;
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ
ურეგია;
ვიცი, შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირეგია-ო.

„გაბაასებაში“ არჩილი მწარედ აყვედრის თეიმურაზს რუსთველის პირით: „მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ, ბძანე არაბული-

თაო“. არჩილი აქ თავს ესხმის თეიმურაზის ცნობილ განცხადებას: „მძიმეა ენა ქართველთა“ და „სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანიო“¹. ერთგან თვითონ თეიმურაზსაც უხდება აღსარების თქმა:

მე ოდენ ქართულ ენასა მარილად ურთე
სპარსული,
თათრულიც გამირეცია, მიქია მათი არსული.

დამახასიათებელია, რომ თეიმურაზს აფარებული არჩილი არც: რუსთველს ინდობს ამ მხრით:

რაც ენაა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა...
ლაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე-ო.

არჩილი სრულიად არ უარყოფს უცხო ენების საჭიროებას, პირიქით, ის პირდაპირ აცხადებს, რომ ენის ორგანომ: „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულადო“ (ასოთა რვათა გვამისათა, 10, 1-2). უცხო ენებისა და მწიგნობრობის ცოდნა არჩილს სანაქებო ზნეობადაც კი მიაჩნია (ზნეობანი, 31, 1-2).

ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად.

მაგრამ უცხო ენების ცოდნა ქართულის საზიანოდ არ უნდა იქნას გამოყენებულიო, სამართლიანად ასკვნის ავტორი. რუსთველისა და თეიმურაზის „გაბაასებაში“ არჩილი კატეგორიული ტონით აფროთხილებს მკითხველს:

ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით-ო.

ამრიგად, არჩილი იცავს რეალისტური თვალსაზრისით გაშუქებულსა და პურისტული სტილით დამუშავებულ ნაციონალურ თემატიკას. არჩილი ამ თავისი შეხედულებით მოწინავე ნაციონალური დასის იდეური ზრახვების გამომხატველი ხდება და ცხადლივ ოპოზიციურად უდგება

¹ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარაპიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934 (ლეილ-მეჯნუნიანი, 4, 1—2).

თეიმურაზის მიერ განმტკიცებულ ლიტერატურულ მიმართულებას. არჩილის გამოსვლა სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი რეაქცია იყო სპარსული „ზღაპრებით“ მოქარბებულად გატაცების პირობებში. მართალია, ნაციონალურ-ისტორიული თემატიკა არჩილამდეც შეადგენდა ქართული მწერლობის საგანს (ამ მხრით პიონერი იგივე თეიმურაზია), მაგრამ არჩილის განსაკუთრებული დამსახურება ისაა, რომ მან ახალი მიმართულება თეორიული არგუმენტაციით განამტკიცა; ის რაც შემთხვევითი იყო წინათ, არჩილმა შეგნებული შემოქმედებითი პრინციპის სიმალღემდე აიყვანა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, არჩილმა მოახდინა ადრინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა სრული გადაფასება. არჩილის თვალსაზრისი ახალი იყო და თავის დროისათვის გაბედულიც და პროგრესიულიც. არჩილის გამოსვლა მაჩვენებელი იყო ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ეროვნული თვითშეგნების გზაზე შედგომისა, იდეურად მომწიფებისა და კულტურულად ზრდისა.

რუსთველისა და თეიმურაზის თავისებურ შეფასებასთან ერთად არჩილი იძლევა სხვა მრავალი მისი წინამორბედი და თანამედროვე მწერლის დახასიათებას სპეციალურ ტრაქტატში „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთათვის“, რომელიც „გაბაასების“ შესავალ თავს წარმოადგენს. არჩილის ეს ტრაქტატი პირველი კრიტიკული მიმოხილვაა ძველი ქართული მწერლობისა. თვითველ მწერალს ჩვეულებრივად მიძღვნილი აქვს თითო სტროფი. ავტორი ახერხებს მოკლე და სხარტულ დახასიათებას. შეფასებისას არჩილი დიდ სიმკაცრეს და ერთგვარ „სიძუნწეს“ იჩენს. არჩილის ცნობები განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, აქ ვხვდებით ზოგიერთი უცნობი მწერლისა, თუ უცნობი ძეგლის სახელსაც. ზოგიერთი ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული კითხვის განსაზღვრა მთლიანად არჩილის ცნობებზეა დამყარებული. სამწუხაროდ, ტრაქტატის სია მეტად უსრულია. მაგალითად, კლასიკური პერიოდიდან იქ დასახელებულია მხოლოდ ჩახრუხაძე (და რუსთაველი), „როსტომიანის“ გამლექსავად მიჩნეულია მხოლოდ ხოსრო თურმანიძე და ა. შ.

* * *

ქართული ისტორიულ-ნაციონალური ეპიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს არჩილის არა ერთხელ დასახელებული „გაბაა-

სება თეიმურაზისა და რუსთველისა“. გარეგნულად ესაა მუნაზარეს ტიპის ნაწარმოები¹. ავტორი პირისპირ ალაპარაკებს („აბაასებს“) რუსთველსა და თეიმურაზს, თითოეული იცავს თავის ლიტერატურულ ღირსებას და ეპაექრება მობაასეს. გარდა ავტორის შესავლისა და დასკვნისა, „გაბაასება“ შესდგება თვრამეტი სიტყვა-პასუხისაგან. ბაასისა და შეკამათების წესით არჩილს საშუალება ეძლევა გამოამჟღავნოს თავისი საკუთარი შეხედულებანი მოპაექრე პირების მიმართ. ერთი შეხედვით ისე გამოდის, თითქოს ავტორი განზეც კი იდგეს, მაგრამ ფაქტობრივად რუსთველისა და თეიმურაზის სიტყვა-პასუხში დასმულია და ერთგვარად გადაწყვეტილია კიდევაც ყველა ის კითხვები, რომლებიც აღელვებდა არჩილსა და მის თანამედროვეთ. საკითხი ე. წ: კლასიკური პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობის გადაფასებისა, როგორც ჩანს, მომწიფებული უნდა ყოფილიყო ქართულ ლიტერატურულ წრეებში. არჩილის გამოსვლა დროულად პასუხობდა საცილობელ კითხვას. ავტორი პირდაპირ ამბობს „გაბაასების“ წინასიტყვაობაში: „გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზნით (იქმნა), რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილსო“. ავტორი თითქოს ცდილობდა ნეიტრალიზებას დაეცვა: „ბატონი და რუსთველი გავაბაასე და ორისაგ ვთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა, და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესიო“. ასევე ორქოფულ დასკვნას იძლევა ის პაექრობის დასასრულსაც:

ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს;
თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს.

ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყვევით თუ ვინ დასცემს²

კამათი იწყება თეიმურაზის მედიდური სიტყვებით:

რუსთველო, ყური მომიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: „შოთამ გაჯობა შენაო“,
ხან კიდევ გამაგულისეს³, მათი მომინდა შენაო,

¹ მუნაზარეს შესახებ იხ. აქვე თეიმურაზ პირველთან.

² აქ არჩილი გარდავლით აგონებს მკითხველს თეიმურაზის საკუთარ სიტყვებს („მაჯამას“ ბოლოსიტყვაობიდან):

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასწენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

რუსთველის პასუხი მოკრძალებულია: „მე რას ღირსვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონო“, თუმცა თავის დიდ პოეტურ ღირსებასაც გრძნობს და მკვეთრად აცხადებს (სხვების საყურადღებოდ?):

ჩემისთანა ვერსად ჰპოვონ, სულ ხმელეთი მოიარონ,
სულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღვდელი ჰარონ.

საერთოდ რუსთველის ყოველ სიტყვა-პასუხს ახასიათებს რიდი, კრძალვა და მოპაექრისადმი განუსაზღვრელი პატივისცემის გრძნობა. ამის შესახებ არჩილიც ხაზგასმით ამბობს: „ნახეთ, რუსთველი შეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს, ესათნობა, ეკრძალვისო“. რუსთველის მოკრძალება და თეიმურაზის რიხი გამოწვეულია მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვაობით. „თქვენ ბატონობა შევშენის, მე ყმა ვარ შესაფერიო“, ეუბნება რუსთველი შეფესს, ხოლო მეორეგან მეტ თავდაბლობასაც იჩენს: „ისიც ავად ჩამომართვეს, რომ აქამდი არ დაგიომე; ასრე მმართებს, ფერხთა გბანდე გარმორტყმული არდაგით მე“. მაინცდამაინც დიდი კრძალულების მიუხედავად რუსთველი უკან არ იხევს თავისი ლიტერატურული პოზიციიდან და თეიმურაზს თავმომწონედ გადაჰკრავს:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს.

თეიმურაზი არ ღებულობს ამ ღებულებას და პირველ მთქმელობას აკუთვნებს ჩახრუხადეს:

ჩახრუხადემ უწინ არ სთქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასსა?
ვექვ, მას დარჩეს პირველობა, დაიხიოს შენი მასა,
თორემ ვჰკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბასა.

თეიმურაზი სხვა ბრალდებასაც უყენებს რუსთველს: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითაქესაო“¹, ამასთან „რაცა

¹ იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება—ჩამატებათა ისტორია.

სთქვი, იძულებითა, თამარ მეფემან გიბრძანა“, ხოლო მე „ჩემის ნებით გამოვსთქვიო“. ამასაც არ კმარობს გაკადნიერებული გვირგვინოსანი—პოეტი და რუსთველს მიახლის: „არ თუ მჯობდე, ვერც შედრებო“. მეორეგან კიდევე მეტ თავხედობას იჩენს და მოპაექრეს უკადრისი სიტყვებით უმასპინძლდება:

კაცი ამ ყოფნის პატრონი რად შეგედარო მე ვ ე რ ე ს ო.

მაგრამ უფრო საოცარი ისაა, რომ ერთერთ ბოლო ეპიზოდში არჩილი პირდაპირ აღმაშფოთებელი სიტყვებით ალაპარაკებს მეფეს (1029, 4).

რუსთველს სხვა გზა არ დარჩენია, თუ არ ისევ თეიმურაზის საკუთარი მოწმობით სცადოს თავდაცვა:

მეფევე მოწყალევე, თქვენს წიგნში მგონ ჩემი ქება სწერია-ო.

მოსწრებულმა მითითებამ თეიმურაზი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ ქედს მაინც არ იღრეკს და თითქოს ერთგვარ გამოსავალსაც ჰპოულობს:

მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემმა დააქარბა, ამაღ ცრემლი ჩამაგდისა-ო.

თეიმურაზი იმასაც იკვებხის, რომ „საღვთო სწავლა“ ვიქადაგეო, რუსთველს კი მარტოდ „საეროს“ უტოვებს: „საღვთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახეო“. რუსთველი იძულებული ხდება თეიმურაზის ეს შენიშვნა მიიღოს: „საღვთო შენთვის დაიქირე და საერო მე მიბოძეო“. არჩილის აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დიდ უპირატესობას ანიჭებდა თეიმურაზს, რადგან:

ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საერო,
სამღვდელოსა მცოდინარე საეროსა მოერიო.

თეიმურაზი გამარჯვებას ზეიმობს, რიხიანობს და ზვაობს:

რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემოპყრიხარ გაქრამდი,
შემედარე და ვერა ჰქმენ შენ შემოწლომა ბეკამდი;
ლომი მკვდარს ნადირს არა სქამს დიდთაგან მცირეს

გოკამდი,

აწ მკვდარს რა გიყო, თვარამ—და, თუ ცოცხალ იყო,
შეგკამდი-ო.

რუსთველს თავდაცვითი უნარი აკლდება, უფრო საეკვო ხა-
სიათის არგუმენტაციას იშველიებს და საყვედურს უთვლის თვითონ
არჩილს:

თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჯილდოო რასთვის მამცა?
ვინ შენს თავსა მამბაასებს, მილალატა, დანა
დამცა-ო.

თეიმურაზიც ახელებს რუსთველს (904, 4):

ვინ გვაბაასებს, ის არის შენის სისხლისა დამლევით.

ბოლოსდაბოლოს, რუსთველი თითქოს პოულობს სანუკვარ
ფორმულას თავისი პოზიციის განსამტკიცებლად:

სხვისგან ჩემს ქებას წყინულობ, მე ვითლა გაგაგულისო?
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ, ან მარგე
სულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან
დანერგულისო!

მთელ გრძელ პაექრობიდან ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელო-
ბისად მიგვაჩნია სწორედ ეს სიტყვა, ჩვენ აქ ვხედავთ არჩილის შე-
ხედულებათა მთავარ გასაღებს. არჩილს მართლაც დიდ პოეტად
მიაჩნია თეიმურაზი, რომელსაც ზადალი არ უნდა ჰყავდეს თანა-
დროულობაში, რომელსაც თანაბრად ეხერხება სამიჯნურო თემა-
ტიკის დამუშავება და სულის მარგე „რიტორება“, მაგრამ მაინც-
დამაინც თეიმურაზის პოეზია რუსთველის დანერგული მშვენიერი ხის
ნაყოფიაო. ამ დასკვნით არჩილი ცდილობს თეიმურაზსაც საპატიო
ადგილი მიაკუთვნოს ქართულ მწერლობაში და რუსთველის მიმარ-
თაც ღირსეული მსაჯი გამოდგეს.

„გაბაასების“ XV, XVII და XVIII პასუხში დაწვრილებით გად-
მოცემულია თეიმურაზის ცხოვრების ამბავი, ანუ ფაქტობრივ სა-
ქართველოს თითქმის ერთი მთელი საუკუნის (XVI საუკუნის გასუ-
ლისა და XVII-ის პირველი ნახევრის) ნამდვილი ისტორია. ამასთან
სწორედ ეს პერიოდია საქართველოს ისტორიაში ერთერთი ყველა-

ზე უფრო მღელვარე და ყველაზე უფრო საშინელი თავისი შედეგებით. მეორე მხრით, რუსთველიც გვიამბობს თავის დროინდელ ამბავს. უკანასკნელს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში არჩილი ემყარება ოფიციალურ საისტორიო წყაროებს, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებას“, ავტორი საგანგებოდაც კი შენიშნავს: „მის ეამის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსადო“. თეიმურაზის ამბავი კი წარმოადგენს საინტერესოდ და ორიგინალურად შედგენილ საქართველოს (კახეთის, ქართლის და იმერეთის) ნამდვილ ისტორიას.

თეიმურაზის შესახებ არჩილს ექნებოდა სანდო და მრავალფეროვანი წყაროები: ჯერ ერთი, ის იყო თეიმურაზის უმცროსი თანამედროვე, მეორეც, მან ცოლად შეირთო თეიმურაზის ლეიძლი შვილის-შვილი; მათსადაამე, არჩილის განკარგულებაში იქნებოდა ოჯახური გადმოცემები და სხვა ინტიმური ხასიათის მასალები. არჩილი მთელი 12 წლის განმავლობაში (1664—1675) კახეთს განაგებდა და თეიმურაზის მახლობელი თანამშრომლების წრეში ტრიალებდა. თეიმურაზს ხანგრძლივად უხდებოდა იმერეთში ცხოვრება, ხოლო არჩილის მოღვაწეობაც უმთავრესად იმერეთთან არის დაკავშირებული. არჩილს შეეძლო დაწვრილებით გაეგო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო წლების ამბავიც (ე. ი. ირანში ყოფნის დროინდელი ამბავი), რადგან 1663 წელს¹ მას ყაენის კარზე მოუხდა წასელა და იქ მაჰმადიანობაც კი მიიღო. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ არჩილს პირადადაც უნდა ენახა თეიმურაზი, ერთგან ის აშკარად ამბობს:

თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მჯდომი კუბოსა,
ველარ ცხენს ჯდომის შემძლები, მტერზე—ვაი—უშუბოსა;
მისებრი სახელმწიფოსა დედამ სხვა ველარ შობოსა,
კაცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტკბოსა!

მართალია, ეს სტროფი გვხვდება თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ თბრობაში, მაგრამ აქ კუბო ძველი ქართული მნიშვნელობით არის ნახმარი (ნიშნავს ტახტრევეანს, პალანკინს). თან ლაპარაკია კუბოში „ჯდომაზე“, რაც, ცხადია, მკვდარზე არ ითქმის; კუბოში ჯდომა დაპირისპირებულთა ცხენზე ჯდომასთან. სიბერით მოუძღურებულ თეიმურაზს ცხენზე ჯდომა აღარ შეძლე-

¹ ამ წელს გარდაიცვალა თეიმურაზი ქალაქ ასტარაბადში.

ბია. უკანასკნელი ტაეპით ავტორი უეჭვოდ გვიდასტურებს, რომ მას მოსმენილი ჰქონია „ბატონის“ ტკბილი სიტყვები.

მაშასადამე, ყველაფერიდან ჩანს, რომ არჩილი თეიმურაზის ცხოვრების საუკეთესო მკოდნე უნდა ყოფილიყო. როგორც ნამდვილ ისტორიკოსს შეშვენის, არჩილს შეუმოწმებია თავისი ცნობები და ახალი მასალები ბეჯითი კვლევა-ძიებით შეუკრებია. ამის თაობაზე არჩილი დაწვრილებით გვიამბობს „გაბაასების“ წინასიტყვაობაში: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვით მნახავთა და თანნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა—არამედ მართალი¹. რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს. მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდესო“. არჩილი არც იმას იფიწყებს, რომ მკითხველი საგანგებოდ გააფრთხილოს: მართალია, ეს ამბავი აღწერე „მოწყენილობის“ ჟამს, მაგრამ უსაქმურობასა (და არასერიოზობაში) არავინ ჩამომართვასო: „ეგება მოცლით ყოფას მიაჩემოთ, მაგრამ არ ვიყავ უსაქმოდ, ოღონ ნამუშავევი ეს გამოჩნდაო“. „გაბაასების“ ლექსითს ნაწილში არაერთხელ გვაგონებს ავტორი:

მეფეთ ამბავი მეფემან შეკრიბა საქართველოთა.
რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვსთქვი მე მართლები.

ისტორიული ამბების გადმოცემისას არჩილი არ იჩენს პასიურ ობიექტივისტობას და სრულიად არ კმაყოფილდება ქრონიკური ეპიზოდების უბრალო აწერით: „ზოგთვაქებ და ზოგთვაძაგებო“—კატეგორიულად აცხადებს პოეტი. ამდენადვე „არჩილიანს“ აქვს მამხილებლობითი ხასიათი. ავტორი პატრიოტულ ალტყინებაში მოჰყავს გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის გმირულ საქციელს (გიორგიმ და ზურაბმა ფრიად სახიფათო აჯანყება მოაწყვეს ირანის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ და საქართველოს დროებითი განთავისუფლება შეძლეს. გიორგიმ მსხვერპლად გაიღო ირანში მძევლად დატოვებული თავისი

¹ სახოტბო მწერლობის ბუნების გაგებისათვის დიდად საყურადღებოა ეს დაპირისპირება. არჩილი სხვაგანაც („ვისრამიანი“, 721. 3) ამბობს: „კიცხვავე უკეთესია ცუდ ხოტბის მეღულობასა“-ო.

შვილი, ხოლო ზურაბმა (ოლი გასწირა). პოეტი მხურვალე და მღელვარე სიტყვებით ეხმაურება ამ ამბავს და შთამომავლობას ანდერძად უდებს მათ მაგალითს:

ესე საქმე მოურაემა უცხო ჰქმნა და საკვირვალი,
 ვით შეჰმართა ამ საქმესა, არის თუმცა გულად რვალი!
 ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქმნა მრავალი,
 უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი.
 სახელისთვის მათ ცოლშვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ
 ვინ არ მივეყვით მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ?
 სჯულისა და ქვეყნისათვის რა იქმნების რასაც ჰყოფდეთ?
 აწ ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძს ავიტ
 შვილს ეტყოდეთ!

მოტანილი ნაწყვეტი დიდი ოსტატობით შედგენილი პატრიოტული მოწოდებაა. თავისი იდეური სიმაღლით ეს მოწოდება თვალსაჩინოდ გამოირჩევა იმდროინდელობის საერთო დაცემულობისა და სულიერი სილატაკის ფონზე. ავტორიც მშვენივრად გრძნობდა, რომ სააკაძის თავდადება ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა, ხოლო გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის უმრავლესობას ზნეობრივი აღვირაზსნილობა და უპრინციპობა ახასიათებდა. არჩილი მწვავე გულისტკივილით ჩივის „საქართველოს ზნეობაში“:

ვერ ხედავთ, მართო ჩვენს ქაშში რამდენი ავი რამ იქნა,
 რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა რა იქნა!

ქვეყნის დაცემის უმთავრეს მიზეზად არჩილი თვლიდა თავად-აზნაურული კლასის დაცემას. ამიტომაც ის ხშირად საკმაო სიცხადით აშიშვლებს ამ კლასის ზნეობრივ სიმდაბლეს და დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ტრაქტატებით („საქართველოს ზნეობანი“ და სხვა) გამოსწორების გზებსაც უსახავს. ლევან დადიანის სიკვდილის ამბებთან დაკავშირებით არჩილი მოგვითხრობს:

აღალდებიან თავადნი, ერთიმეორეს გაიტანს,
 ერთიმეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მოიტანს,
 ერთმანეთს ხოცა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს.

საყოველთაოდ ცნობილია არჩილის შესანიშნავი სიტყვები, გამოწვეული ზურაბ ერისთავისა და გიორგი სააკაძის ფეოდალური ქიშპით:

ასე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა
მცირეთა,
აზვადებთან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა“.
მდაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან: „დამი-
ქირეთა!“
კაცი სჯობს საქმე - კეთილი ანგაარ - მოგულ-
ძვირეთა!

ეს სტროფი საშინელ განაჩენს იძლევა „ანგაარ“, „გულძვირ“, ეგოისტ, ყოყონა და ტრაბახა თავადაზნაურობის მიმართ. არჩილმა დიდი ტემპერამენტით და გულახდილობით ამხილა ყოველგვარ საზოგადოებრივ გრძნობას მოკლებული, გულზვიადი და ზნეწამხდარი არისტოკრატია. თეიმურაზის პირით ავტორი ცხადლივ ამტკიცებს, რომ საქართველოს უბედურება შინაგან განხეთქილებასა და გაუტანლობაში უნდა ვეძიოთ და არა საგარეო გართულებაშიო:

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზედ მიიღებს?
მძღაერისა მტრისაც ეგევე ერთს რასმე გზასა გაიღებს.
თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს.

პოეტი კარგად ხედავდა, თუ რა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ერთსულოვანი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გამსჭვალული საზოგადოება, მაგრამ სადღა იყო ეს ერთსულოვნება და ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდეალი? ამის სანაცვლოდ თითქმის ყოველი დიდებული საკუთარი ანგარებიანი თვალსაზრისით მოქმედებდა, მუდმივი შუღლითა და ქიშპობით კიდევ უფრო ასუსტებდა ისედაც უძლურ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ფეოდალურ გაუტანლობასა და კინკლაობას თავი ვერ დააღწია ვერც არჩილის სანაქებო გმირმა გიორგი სააკაძემ. სახელოვანი მარაბდის შემდეგ გიორგიმ ბაზალეთის მიდამოებში იშიშვლა ხმალი აწ უკვე თეიმურაზ მეფისა და აღრინდელი მოკაეშირისა და ნათესავის, ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ. ეს გარემოება ადარდებს პოეტს, ამაში ხედავს უიმედო მომავლის მრისხანე აჩრდილს. არც თეიმურაზი იყო ამ მხრივ უნაკლო, კიდევ მეტიც, არჩილი ხშირად აგვიწერს მეფის ავზნე, მუხთალ საქციელს. თეიმურაზმა არად ჩააგდო

მისთვის ერთგულად ნამსახური ერისთავი და საკუთარი სიძე ზურაბი, მიჩენილ პირებს ლალატით მოაკვლევინა ის საფურცლეს, არჩილი ვერ მალავს თავის აღშფოთებას და თეიმურაზს ასე ალაპარაკებს:

ვირე ცოცხალვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდისა-და,
რათ მოვკალ, ვით შემოვიკალ შეილის უმჯობი, ძმისადა,
ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგმისა და;
ღეთისა მეშინის და კაცთა მრცხვენის ამისა მყოფელსა,
გული გაშმაგდეს, ხელი შემახმეს მე მის ლახვრისა გულთა
მსობელსა-ო.

არჩილი იმასაც ამჩნევს, რომ მუდმივმა გარეშე თუ შინაგანმა ომებმა მშრომელი მოსახლეობა ფიზიკურად გაწყვიტა, ხოლო ეს გარემოება ქვეყანას საშინელ ხიფათს უმზადებდა, რადგან: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. სამწუხაროდ ეს თავისთავად მარტივი და შესანიშნავი აზრი სრულიად არ სწვდებოდა ანგარებით დაავადებული თავადაზნაურობის გონებას. ისედაც შემციობულ მოსახლეობას თავადაზნაურობა სასაქონლო ნივთად ჰყიდდა უცხოეთის ბაზარზე. არჩილი ღვთიურ სამართალზე მითითებით აგონებს ზნედაცემულ საზოგადოებას ამ სამარცხვინო საქმის შესახებ, მაგრამ რა ფასი უნდა ჰქონოდა იმქვეყნიური სასჯელით დაშინებას, როდესაც ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ხელსაყრელი კომერცია ყველაფერს წყვეტდა. „სოფლისა და კაცის“ ბაასობიდან არჩილი გვამცნებს სოფლის პირით:

იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა, ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,
ტყვე სტყვენვეთ, ზაკვი თ იფიცეთ და ამხანაგი
მოხაფლეთ,
რამე მიუგოთ უფალსა, ბრძანეთ, თუ რითა განმართლეთ?

უთუოდ დამახასიათებელია, რომ არჩილის მოწმობით საზოგადოების (თავადაზნაურობის) ზნეობრივ დაცემულობას ერთგვარად ჰქონია ადგილი საქართველოს ყველა კუთხეში (იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა, ანუ საქართლეთ). არჩილის სიტყვების სრულ დადასტურებას ვპოულობთ ვახუშტის საქართველოს ისტორიაში. XVII საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების იმერეთის შესახებ ვახუ-

შტი გვიამბობს: „არლარა იყო პირმტკიცეობა, არამედ (იყვნენ იმერნი) განრყენილნი, ფიცისმტეხელნი, ტყვის მკიდველნი, მადომნი, მკრეხელნი, უკეთურნი—არა თუ წარჩინებულნი, განა მდაბიურნიცა“—ო. ¹ უკეთეს სურათს არც ქართლ-კახეთი იძლეოდა: „უამთა ხანებთათა შემოხდა უმეტეს პირველ-სა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა; და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ქამა, სიბილწე, ტყვის ყიდვა, მრუშება ვიდრე სოლომიადმდე. რამეთუ პატივისათვის და როქთათვის იქმნებოდნიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყენისაგან როქიკსა“. ²

არჩილის აზრით იპდროინდელი საზოგადოებრიობა თავის უფლებას აგებდა ძალმომრეობასა და უსამართლობაზე. ამ შეხედულებას მკაფიოდ გამოხატავს კაცის სიტყვები სოფლის მისამართით („გაბაასება, 230):

სოფელო, სად იშოება აგრე მეფობა, მთავრობა,
მამული, ანუ სალარო, თუ გინდა დიდი-ვაჭრობა?

ა გ რ ე ს ი მ ა' რ თ ლ ი თ ე ი ნ ი პ ყ რ ო ბ ს, ან ერთსა ვინ
შეესწრობა?

ძალმომრეობა - თვითნებობას მიჰმართავს და ანგარებას შეუპყრია გაბატონებული საზოგადოებრიობის როგორც საერო, ისე სასულიერო ფენის წრეები. იმავე „გაბაასებიდან“ გაკვირვებულნი კაცი ირონიულად ეკითხება თავის ახირებულ მოპაექრეს (232,233):

ვინ დაგიჯეროს, სოფელო, მეფეს ნუ უნდა მეფობა,
სახელი, ბრძოლა, ლაშქრობა, კვლავ ლხინი, ვარდთა
მკრეფობა?

თავ ჭ დ თ — მ თ ა ვ ა რ თ ა მ თ ა ვ რ ო ბ ა, ნუ უნდა საქ-
მის ხელთქონა,

ა ზ ვ ა ვ ე ბ ა და ს ი მ დ ი დ რ ე, ქ ი შ პ ე ბ ი ნუ და-
ბ ა ქ ო ნ ა,

ბ ე რ ე ბ ს დ ი დ - დ ი დ ი ს ა ხ ე ლ ო, ს უ ლ უ მ ც რ ო ს თ
ა გ ე რ ო ქ ო ნ ა,

თ უ ე ს ა რ ი პ ყ რ ა ნ, მ ა შ, უ თ ხ ა რ, თ უ თ ა ვ ი
რ ი თ ლ ა ი ქ ო ნ ა?

¹ ქართლის ცხოვრება, II, 216.

² ქართლის ცხოვრება, II, 131,

არჩილი სხვაგანაც ეხება სასულიერო წოდების ანგარების კითხვას და დარიგებას იძლევა: „ნურგინ ქრთამითა დაიპყრობს, ნურც დიდგვარობით საყდარსა“-ო.

მეფეთა ქებასა და სამხილებელში არჩილი-თუმცა დიდი აღშფოთებით, მაგრამ კონკრეტობას მოკლებული-ზოგადი შტრიხებით მწვავედ ამხელს ზოგიერთ მეფეთა ზნეობრივ; თვისებებს (74):

ვიეთთა ხელჰყვეს, ცუდს საქმეს მიჰყვეს,
რჩეულთ მეფეთა არად საქნარსა,
იმღერეს ცოფად ცოდვილთ საყოფად,
საგიობელად ებანსა, ქნარსა;
ვერ ანათობდეს, ავად შფოთობდეს,
მიბაძეს დათანს მიწად დამოქნარსა,
ცოფად ისროდეს, ცეცხლი იბოლეს,
არსად შეგვიდეს მდინარე მოქნარსა.¹

ავტორი არ ზოგავს არც თავის სამხილებელ სიტყვებს (ასდაათნი, 13):

მივდრკით მეფენი თანად და ერნი და მღვდელ-
ნიც ჩვენთანა,
გვამხელენ ჩვენი საქმენი, ვით დავითს მაშინ ნათანა.

საქართველოს ცხოვრების სინამდვილე გაუტანლობისა და ზნედაცემულობის საშინელ სურათს იძლეოდა (ამ სინამდვილითაა განსაზღვრული პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა), არჩილი იშვიათი მიუდგომლობითა და პატრიოტული გულის ტკივილით აგვიწერს საქართველოს ცხოვრების მწუხარე ამბავს, მახინჯ მოვლენებს აძაგებს, ქებათა-ქებას უძღვნის ეროვნულ გმირებს და, როგორც აღვნიშნეთ, მათ სამაგალითო საქციელს ანდერძად უდებს შთამომავლობას. არჩილის რწმენით უკვე ქრებოდა საამაყო ძველი-

¹ ამ თხზულებაში არჩილი დიდ ზოტბას ასხამს ალექსანდრე მაკედონელს, სოლომონ ებრაელთა მეფეს, კოსტანტინე დიდს, დავით აღმაშენებელს, თამარს, გიორგი მესამეს, შაჰაბასს, პეტრე ცარს და სხვ. ავტორი განსაკუთრებული მოწიწებით იხსენებს პეტრეს, რომელსაც პირადად ზღებია, მაგრამ „ასეთს დროს შევხედი ველარვის, ყოფა ამისთვის დამწარებია“-ო — მწუხარებით დასძენს.

გმირული სული და იმის სანაცვლოდ გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის შეგნებაში ფეხს იკიდებდა ვიწრო წოდებრივი თვალსაზრისი, უკიდურესი ეგოიზმი, „უჩემოთ ვინ იმღერეთას“ ფილოსოფია. ამიტომაც პოეტ დიდაქტიკოსს მხოლოდ საოცნებო იდეალად ეხატება ზნესრული გმირის რომანტიკული სახე (სოფ. და კაძ., 279):

ვახ, ვახ, რა სანატრელია მოყმე ასეთი მქცეველი,
სულმტკიცე სათნობითა, ქვეყნისა არ მაქცეველი;
ცხენ-აბჯარ დაუკლებელი, მამაცი, არ გამქცეველი,
მისის სჯულისა მტერისა მებრძოლი, სახლ-დამქცეველი¹.

* * *

არჩილის სოციალური იდეალია პატრონყმური (ბატონყმური) ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის საფუძველზე აღმოცენებული ფეოდალური მონარქია. თავისი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მოძღვრებით, არჩილი ემსახურება პატრონ-ყმური რეჟიმის განმტკიცებას. ყმებისაგან პოეტი თხოულობს ჩვეულებისამებრ წარბშეუხრელ მორჩილებასა და თავდადებულ ერთგულებას: „თავის პატრონსა დამონდით კარგულად, ნუ ავირეთა“-ო, ისწავლება ის („კაცის და სოფლის ბაასი“, 274, 3). ქვეყნისა, პატრონისა და სჯულისათვის თავგანწირვა „არჩილიანის“ ზნეოსწავლულების საფუძველია. ეს შეხედულება მკაფიოადაა გამოხატული აღნიშნული ბაასის შემდეგი ტექსტით:

შეირტყთ სარტყელი შჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნისა სიმაგრის, მეფეთა ერთგულობისა;
ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო, ნადირობისა.
როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.
სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენტხეოდეს,
ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ
შეულონდეს,
ვინცა მოკედეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე
ცხონდეს.

მსგავს. დარიგებას იძლევა პოეტი სხვაგანაც („ლექსნი ასეულნი“, შეორე):

¹ „თემურაზისა და რუსთველის გაბაასებას“ გარდა თავისი ზოგად-ისტორიული ინტერესისა, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ როგორც თემურაზ პირველის პირველხარისხოვან საბიოგრაფიო წყაროს.

ვერიდნეთ შურსა, ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკვდინებელსა,
პატრონთა ორგულებასა სიკვდილის შემძინებელსა...

მაგრამ ერთი იყო პოეტის იდეალი და მეორე ცხოვრების სინამდვილე. პოეტის თვალწინ გავლილმა ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითით ცხადყო პატრონყმური ურჩობისა და წინააღმდეგობის შემთხვევები. თუცა არჩილი დამაჯერებლობითი ტონით გვარწმუნებს: „ყმას პატრონზე გაემარჯვოს, არ გვასმია ასრე ძველად“-ო, მაგრამ ამ მხრითაც უნდა ჰქონოდა მას მიღებული კარგი გაკვეთილი, აკი ერთგან დიდი მწუხარებით გვიამბობს:

თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართვამს.
ბევრია რომ ღმერთსაცა ჰგმობს, პირში სულსაც ამოართვამს.

სოციალური კიბის საკითხში არჩილი უფრო გვაროვნული პრიორიტეტობის თვალსაზრისისაკენ იხრება, თუმცა დიდ როლს ანიჭებს აღზრდას, პირად ღირსებას, ზნეობრივ სიფაქიზეს. ამ მხრით საყურადღებოა შაჰ-აბას ყაენის პირით გამოთქმული შემდეგი სიტყვები:

კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეში გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს,
თვარ უგვარო გვარიანსა ცუდად ვინმე შეუფარდოს.
უგვარო თუ არას იწვრთის, სიკეთე ვით გაიმარდოს?

„ასდაათ“ ლექსში (20) პოეტი სასოწარკვეთილებით იძახის:
უზნონი გაგვილალდეს, უმეცარნი პატივს იცნეს—ო.
ანდა კიდევ (იქვე, 37):

კაცნი მდიდარნი ქვე ჩასხდენ ქვეითნი, უნუზლონია,
ამხედრდენ ცხენთა რაინდთა მონანი უაზნონია,
სიბრძნის საქმეთა შეესწრნენ თავხედნი, უმეცონია.

არჩილი კატეგორიულად ჰგმობს „ხელით“ (ე. ი. თანამდებობით) „აზნაურ-შვილობას“, ჰკიცხავს ყოყოჩობასა და ამპარტავენულ ქედმაღლობას, ჰკილაეს ბაქიობას („ზნეობანი“, 53):

ვინ ხელით აზნაურშვილობ, გამეცალე, წადი იქით!
რად გგონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით?

თუ არ დაშლით, მოწერთნა გიჯობსთ ჯოხითა და გინდა
ბაქით!

გვაროვნულ ყოყოჩობას არჩილი უპირისპირებს პირად ღირსე-
ბას, პირად უნარს, პირად დამსახურებას: „ნურც ვიქებთ მამა-
პაპასა, ბრიყენი ვიყენეთ თუ გვარიან“-ო („ასდაათნი“, 14, 1-3).
პოეტი საგანგებოდ აფრთხილებს სიმონის სენით დაავადებული
ეკლესიის მსახურთ „ნურვინ ქრთამითა დაიპყრობს, ნურც ღიდგვა-
რობით საყდარსა“-ო. „ვისრამიანიო“ მხილებულია სამღვდლოების
ფარისევლობა (739):

ბერო, თუ სოფელს ვერა სთმობ, კუნკულით რას იბერები?
თუ რამ იცოდე, გვიბრძანე, თორ ცუდად ნუ იბერები.

არჩილის ზნეთსწავლულების ნამდვილ პრაქტიკულ სახელმძღვა-
წელოს წარმოადგენს „საქართველოს ზნეობანი“ და „სოფლისა და
კაცის გააანების“ ზოგიერთი თავი. ცალკე სენტენცია-შეგონებანი
გაბნეულია აგრეთვე ავტორის სხვადასხვა ძეგლებში (განსაკუთრებით
სამივე ასეულ ლექსებში). ზნეთსწავლულების პრაქტიკული დანი-
შნულების თაობაზე საგანგებო ლაპარაკია „საქართველოს ზნეო-
ბებში“:

ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის-მის ღრო რაა საქნელი,
ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არი თქვენი მსწავ-
ლელი.

ანდა კიდევ:

ბევრი კაცი იმიზეზებს არა მყავდა მომვლელიო,
ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხს ამვლელიო;
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი თქვენი მსწავლელიო.
ვინ არ იწვრთნა, მალ მოჰკვდები, ნუ ხარ ხანის წამვლელიო.

ასევე „ასდაათ“ ლექსშიც (64):

ღიდი ძე საქმე მათ შორის ამ სოფლიოთა მოწესეთ:
მეფეთ, მხედართა, მღვდელთმთავართ და მონაზონთა მო-
წესეთ;
ვაქართ, მუშაკთა, გლახაკთა,—თვით თვისით თქვენ გაიწესეთ,
ვინ არ იცოდეთ, ამიერ მითქვამს და ეს
დაიწესეთ.

„არჩილიანის“ ზნეთსწავლულება ჰგულისხმობს უწინარესად ყოვლისა თავადაზნაურულ კლასს, ნაწილობრივად აგრეთვე სამღვდელეობასა და ვაჭრებს. გლახკაცობა და საერთოდ მშრომელი საზოგადოებრიობა გამორიცხულია არჩილის ტრაქტატიდან, თუმცა შრომას („მუშაკობას“), როგორც ზნეობის ერთერთ მნიშვნელოვან მხარეს, ავტორი არ ივიწყებს და განყენებულად ქებასაც კი უძღვნის:

მუშაკობა კარგი ზნეა, ზედგომობა და სარქრობა.

ბარვა, წიდენა, ხენა და თესვა, მკის და სთელისა მის-მის-
დრობა,

კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრას მოსწრობა.

ვის მუშა ჰყავს, თვითან შერება, ურეგია აზა[რ]ქრობა.

დამახასიათებელია, რომ „მუშაკობაშიც“ ავტორი კარგ ზნეობად თელის „ზედგომობასა“ და „სარქრობას“ (ე. ი. უფროსობას, მეთაურობას). პოეტი კიდევაც ჰკიცხავს ისეთ პირს, რომელსაც მუშა ჰყავს და თვითონ კი „შერება“ (ე. ი. შრომობს). ერთი სიტყვით, შრომის შეფასებაში არჩილი თავადაზნაურული კლასის თვალსაზრისიდან გამოდის. შრომის სანაცვლოდ თავადაზნაურობას სხვა რამ მოეთხოვება, სახელდობრ, ზრდილმა არისტოკრატმა კარგად უნდა იცოდესო ლაშქარ-ნადირობის წესები, ამასთან:

მშვილდოსნობა და ბურთობა, სიმღერა, ტკბილი ბანია,

ზმა, სიცილი და ლაღობა, ესეც რამ კაის გვანია.

ვინ ყველას უქმობს, რა არის, მაშ, თუ არ ბრიყვი სევანია!

კარგმა აზნაურისშვილმა უნდა იცოდეს „გარიგება მარაქისა, მის-მის ალაგს კაცის დასმა, სუფრის ბარაქიანობა, საამოვნო ჭამა და სმა“. რასაკვირველია, „ბევრ-გვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის მოთლა, დანის მოსმა“-ო, სრული სერიოზულობით აცხადებს ზნეთმასწავლებელი. აბა რა ფასი აქვს ისეთ გვარიშვილს, რომელმაც:

არ იცის ზმა და ხუმრობა, არც ესმის, ვერ აიტანსა,

აზნაურშვილად არ ვარგა, ჯარში ნუზღს არ მოიტანსა,

გარ რასმე შემოიჩანჩლავს¹, ვერას გაიწყობს კი ტანსა.

ცხენსა და ქორს ვერ ეწყობა, მწვეარსა ვერცა მყეთარსა.

ზნეობის სანაქებო თვისებებია ხელგაშლილობა, უხეობა, პურადობა და მისთანანი. „ძუნწი საფუძველს აღიფხვრის და უხვი ამგებელია“-ო, ამბობს არჩილი (მეორე ასეული, 26,4). ზრდილ არისტოკრატს შეშვენის: თავმდაბლობა, კრძალვა, სიტყვატკბილობა, ამასთან მამაცობა, მხნეობა და ა. შ. ავტორი ვრცლად ჩერდება ბატონ-ყმური ურთიერთობის საკითხებზე და გარკვეულ ნორმატიკულ კოდექსსაც აღგენს. ეს კოდექსი საგანგებოდ ითვალისწინებს საკარო ეთიკეტის წესებს, ხაზი ესმება მეფობის უზენაეს წარმოშობას („მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისაგან დაიბადება“-ო), აღნიშნულია სამეფო პარტიის ფორმები. არჩილი კატეგორიულად თხოულობს ბატონ-ყმური პრინციპით ხელმძღვანელობას პრაქტიკულ ცხოვრებაში, „უფროსულ-უმცროსულ“ წესრიგს და მისთანებს. „სოფლისა და კაცის ბაას“-ში კაცის შეკითხვაზე სოფელი იძლევა პრაქტიკულ დარიგებას, თუ როგორი უნდა იყოს მეფე, დიდებული, მღვდელთ-მოდღვარი, ვაჭარი და საერთოდ ყოველი ადამიანი. მეფეს შეშვენის ჰუმანურობა, მოწყალეობა, მოსამართლეობა და სხვა მსგავსი თვისებები. ასევე თავადაზნაურობასა და სამღვდელეობას. სოფლის პირით ავტორი ჰკიცხავს ისეთ მებატონეს, რომელსაც „ამხანაგი სძულს, ყმაზედან ძვირია, არ იეფ არსა“. ღარიბებისა, დავრდომილებისა და ქერივ-ობლების შეწყალება და ქველმოქმედება მიჩნეულია მათუკეთესო ზნეობრივ თვისებად; სამაგიეროდ დაუნდობლად არის დაგმობილი სიძუნწე და სიხარბე:

ოდეს ვნახო ეგე ვინმე კაცი აგრე გაზდილია,
ავიგდო და გავიცინო, ეს ჩემი დაქადილია.
რად არ იცის უგუნურმან, არა მაგად მიეცემის,
სიმდიდრე და საქონელი თუმცა რითმე მიეცემის,
უზამს მისცეს უქონელთა...
ამად მიეცა ღვთისაგან, ამ სახედ ასე გაყონო.
ამ ერთით გამოიზარდნენ ღარიბნი, ყველას აყონო.

¹ თუმცა სამოსითა და გარეგნული მოკაზმულობით ბაქიობას არჩილი გმობს და პირდაპირ ამბობს (ს. და კ. 290):—„საკაცო მუდამ საცმელი მგონია ზნე-კეთილობა“-ო.

პოეტს ერთგვარ უსამართლობად მიაჩნია, რომ „უმცროსთ ბევრი აქვთ, მრავალნი რჩებიან პატა-პატიო; ზოგთ აქვსთ შემკული-სასერო და სხვათა არც კუპატიო“. მაგრამ ამის წინააღმდეგ ამხედრება იქნებოდა უარყოფა მთელი იმ სოციალური წყობისა, რომლის საფუძველს თავგამოდებით იცავს ავტორი. ამიტომაც აღნიშნული სოციალური უკუღმართობის გასამართლებლად სოფელი იშველიებს შემდეგ კურიოზულ არგუმენტს:

ყოველთ თუ სწორად მოგეცესთ დიდება ეგ საპატიო,
აღარცა ღმერთსა უმადლით, და არცა ის საპატიო.

ეს კია, რომ ავტორი თხოულობს გლეხობისადმი ღმობიერ-დამოკიდებულებას და ძალადობის აღკვეთას: „გლეხს ძალი მოაშორეთა“-ო, აცხადებს კატეგორიულად (სოფ. და კაც. ბაასი, 260,2). ოღონდ ღმობიერებისა და მოწყალების ღირსია მხოლოდ პატრონის მორჩილი და ერთგული, ურჩი და მემამბოხე მკაცრად უნდა დაისაჯოსო (მეორე ასეული, 49,1—3):

ულელი და აბაური კარგად მოსდრეკს მაღალს ქედსა,
აგრეე მონას გვემა გვერდსა ურჩსა საქმით, ენა-ყბედსა..
კარგს წყალობას ნუ მოაკლებ, ავს—საბეგროს დასადებსა..

ანდა კიდევ (იქვე, 72,1—3):

რამაც პირმან კადნიერი პატრონს სიტყვა შეჰკადროსა,
ვერა სცნობდეს შესატყვისსა სიტყვა-მქვევრსა მას მის დროსა..
ერთ წამს მიხვდეს შურისგება, რისხვით მასზე იავდროსა..

ასეთივე აზრია გამოთქმული „ახლად შემოღებულ ანბანთქებაშიც:

გვემა ხამს პატრონისაგან ყმისა მის შეუპოვსა.

არჩილის ზნეობრივი მოძღვრების კოდექსში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სწავლა-განათლების საქმეს, მწიგნობრობას, პოეზიას, პალეოგრაფიის საკითხებს და დეკლამაცია-დიქციასაც კი. ავტორი აღთქმად იძლევა: „სანამ ვცოცხალვარ, ვსწავლულობ, ეს-მცნება არ დავივიწყო“-ო და მკითხველშიც ცდილობს სწავლისადმი სურვილის აღძვრას. პოეტი მოქარბებული თავმდაბლობით დასძენს, რომ „არვინ მყოლია მსწავლელი“ და პირადად სიბრძნეს ვშორავო-ხოლო სიბრძნე ყველა ზნეობაზე უფრო მნიშვნელოვანად მიაჩნია:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა-რა, არც ისე მოსახმარია,
 მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია;
 საღ წახვალთ, თან გამოგყევათ, საგძლადაც, მგონ, სახმარია.
 სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათა კმარია.

არჩილი ამ მხრით ისე შორს მიდის, რომ ბრძენ მონას უგ-
 ნურ მეფეზე მალა აყენებს (ასნი ორმუხლნი, 63): „სჯობს მონა
 ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა“, რადგანაც „მეფეს გვირ-
 გვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა“ (ასდაათნი, 4,1).

• ავტორს არ მოსწონს არც უნებისყოფო, პასიური ბუნების
 მქონე ბრძენი (ასეულნი, 56,1):

არ მომწონს ბრძენი ძლიერი მორჩილი უგუნურისა-ო.

არჩილი პირველი მწერალია საქართველოში, რომელიც თავისი
 პოეზიით სწავლა-განათლებისადმი მხურვალე მოწოდების სანაქებო
 საქმეს ემსახურება „სხვათაც მოუწოდ სასწავლოდ, ვარ მათი მალ-
 ლად მხმობარი“-ო (ზნეობანი 100,3). ეს ხაზი შემდეგში განაგრძო
 და იშვიათი ოსტატობით გაამახვილა დავით გურამიშვილმა („სწავ-
 ლა მოსწავლეთა“).

განათლებისა, სიბრძნისა და ზნეობრივი ცხოვრების საფუძ-
 ვლად არჩილის კოდექსით მიჩნეულია რელიგია, კერძოდ ქრისტი-
 ანული რელიგია. თავის მხრით სწავლა-აღზრდა და გონებრივი გან-
 ვითარება რელიგიური აზროვნების საუკეთესო წყაროდ შეიქნებაო,
 —ასკენის ავტორი—რადგანაც სიბრძნე ადამიანს „საფუძვლად ღეთის
 შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს“-ო. აქედან მოდის არჩი-
 ლის დიდაქტიკურ-მორალური შეგონების რელიგიურ ქრისტიანული
 სარჩული. მოთმინება, თავშეკავება, ზომიერება, ვნებააა-ღელვის
 დათრგუნვა, სულიერი ცხოვრების იდეალიზაცია და მისთანანი
 არჩილის დამრიგებლობითი მოძღვრების მნიშვნელოვანი მხარეებია.
 ზნესრული და ზრდილი ადამიანის იდეალური სახე პოეტს ასე ეხატება:

კაცი უნდა პირველ იყოს მართალი და ღეთის მოშიში,
 სჯულ-მტკიცე და მოსამართლე, ნათლისღების ეღვას ნიში.

„საღვთო“ ზნეობას ავტორი „საკაცობოზე“ მალა აყენებს:

თავსაც საღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი.

როგორც ამ ნარკვევის პირველი თავიდან ვიცით, არჩილმა თავის დროზე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით თვითონ ჰგმოქრისტიანობა და მაჰმადიანობაზე გადავიდა. ეს მას შემდეგში სასინანულოდ გაუხდა. რელიგიური ხასიათის ურვაც „არჩილიანს“ ძლიერად აფერვანებს: „ემბაზის შემგინებელი წმინდა მყავ მტრისგან ძლეული“-ო—სთხოვს პოეტი ღვთისმშობელს, რადგან „ვნებაჲმან გულისთქმათამან ჩამავდო ცოდვის უფსკრულსა“-ო („საქებელნი და სავედრებელნი ღვთისმშობლისანი“). დამაზახსიათებელია იქვე შემდეგი ტაეპი¹:

უშველე არჩილს, მარიამ, ლექსს გიმკობს ვედრებისასა.²

* * *

პირად ცხოვრებაში არჩილს არ მოსწრებია ცოტადთუბევრად ხანგრძლივად წყნარი და მშვიდი დრო; მან გადაიტანა დიდი შფოთი, მღელვარება, დაუდგრომლობა, ბრძოლა. პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე არჩილს ცხარე შეხლა-შემოხლა ჰქონდა თავის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგებთან; თანამშრომლებისა და მომხრეების მუდმივი გადაჯგუფება კიდევ უფრო უმწვავებდა მერყევისა და სახიფათო მდგომარეობას. პოეტი-მეფე ხშირად გამხდარა ფეოდალების ფარული შეთქმულების მსხვერპლი (რასაკვირველია, დაინტერესებული მეზობელი სახელმწიფოებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არჩილის პოლიტიკურ კარიერაზე). გაუტანლობა, ორგულობა, ლალატი არჩილის საზოგადოებრივი წრის უკურნებელ სენს შეადგენდა. მგრძობიარე პოეტის გულმა კარგად აულო ალო გაბატონებული საზოგადოებრიობის მდაბალ ეგოისტურ ზრახვებს, თავადაზნაურული კლასის დიდი ნაწილის დაცემულობა პოეტმა საკუთარი თვალებით ნახა. ბოლოსდაბოლოს, თავის საზოგადოებრივ-

¹ არჩილის პოეზიის დიდაქტიკური მხარე კარგად შეუმჩნევიათ ძველი ქართული სწეალობის მოამაგეებსა და დამფასებლებს. ვაბტანაგის სიტყვითა (Описания, II, 401): მეფის არჩილის სარჯელი სწავლა დაუცხრომელი.

ანტონ კათალიკოსი მალაღფარდოვნად იუწყება („წყობილ სიტყვაოა“, 799, 1-2): მეფობითნი და საპატრონო-ყმობითნი ქცეულებანი—განკარგნა აღწერილით-ო. ენციკლოპედისტის და კრიტიკოსის იოვანე ბატონიშვილის თქმით: „ამან (ე. ი. არჩილმა, ა. ბ) აღსწერა კვალად ზნეობითი სწავლა ქართველთა ქცეულებისათვის“ (საისტორიო მასალანი, I, გვ. 27).

პოლიტიკურ იდეალებში დამარცხებული და იმედგაცრუებული არჩილი იძულებული ხდება დასტოვოს სამშობლო მხარე და გაიზიაროს ემიგრანტული ყოფის მძიმე ხვედრი. ამიტომაც პოეტის როგორც პირადულმა ყოფამ, ისე მისი საზოგადოებრივი წრის სინამდვილემ საჭირო ნიადაგზ შეამზადა იმისათვის, რომ უარყოფითი დამოკიდებულების გრძნობა აღძვროდა წუთისოფლისა და ადამიანების მიმართ (როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანებზე, მხედველობაში გვაქვს გაბატონებული თავადაზნაურული კლასი: პოეტის წარმოდგენა „ადამიანებზე“ ამ კლასზე წარმოდგენით განისაზღვრებოდა). არჩილი თითქოს ზიზღით უცქერის ადამიანს, ადამიანი პოეტს მიაჩნია პირუტყვეულ-ველური ინსტინქტების მონად („იცის ბრძენმა“, 5, 1-2):

რანი ვართ კაცნი?—უნდრუქნი, არა თუ საწყალობელნი,
წუწქნი, მიმდონი სოფლისნი, თვისის სჯულისა მგომბელნი-ო.

და განაგრძობს, რომ ადამიანი: „გარდასრულთა ყურს არ უგდებს, მის წინ მყოფთა ბრძენთა სიტყვებს ერიდება, ვითა ბნელი ნათელს ელტვის... ღმერთს არ ეშიშვის, უძღებობით მუცელს ჰმონებს“. პოეტის შეხედულებით სიცოცხლე წამერთია, სიზმარია და ზღაპარია („ლექსნი ასდაათნი“, 74):

ცხოვრება ჩვენი კვალსა ჰგავს ზღვაზედა ნავთ მავლისასა
გინა სიზმარსა ამაოს, წუთი-ერთ, ძილ-მოკლისასა,
ღრუბელს—ქართ მიმოკვეთებულს, ანაზღსა, დასაველისასა,
ზღაპარსა დაუჯერებელს, მემუცლეთ გამომთქმლისასა.

აქედან მოდის არჩილის ნაღვლიანი ლირიკა: ერთი მხრით „უბედო ბედის“ ჩივილი და მეორე მხრით საერთოდ წუთისოფლის გმობა. თავის სამფლობელოს მოკლებული და უცხოეთში გარდახვეწილი პოეტის განცდებში მძლავრად არის ჩაქცეული პირადული ურვის სამსალა. მოგონებანი ახალგაზრდული უდარდებლობისა, მშობლიური ქვეყნისა, ოჯახური გარემოსი, ადრინდელი იმედებისა და გატაცებისა. „სიტყვა სანათლისღებოს“ დაუცავს ავტორის ლირიკული აღსარების მშვენიერი ნაწყვეტი, რომელსაც აქ ჰკარბად დავესხებებით:

მინდა გავიტყუდეთ, მოძღვარნო, სახიერ სხვაც რამ მინდაო, ძმანი მიჩვენო მშვიდობით და მათთან ჩემი გინ დაო; რა მათ მოეწოდო, სიბნელემ თვალები დამიბინდაო, ყირმიზად აყვავებული გული ნალველმან ინდაო. სხვანი რამდონნი საყოლნი და ჯერმანი ჩემთან შესდილნი, ზოგნია ჩემნი გამსდელნი და სხვანი ჩემნი დასდილნი, კაამყოლ-მუსაიბები, მოლხინე, თან მოლიმილნი, იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითაც მქონდა ქადილნი. მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართევით მღერა, მხეტთა სრეა და ნადირობა, თავი ლალად მომეღერა, ბურთაობა, მინდორობა, კვლავ ნადიმი, ქადრაკ-მღერა, უხვობა და გასაცემი, სრულ ვითა ვთქვა, მომეღე რა?

ეს მოგონებანი ავტორს აღუძრავს მწარე ფიქრებს; მით უმეტეს, რომ თურმე:

აწ იგინი¹ უჩემობით არა სწუხან, ისრევ ზმიან,
ვინ ასპარეზს ასპარეზობს, მერმე სმენ და მღერენ, ზმიან;
მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი, თუ რად მიზმიან!
ბუტბუტობენ ზოგიერთნი, მგონი, აქ ხანს ბევრს დაზმიან-ო.

„მეფეთა“-შიც არჩილი ნალელიანად გადმოგვცემს თავის მწუხარე განცდებს და უფერულ აწმყოს ახალი პირობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკით უპირისპირებს აღრინდელ მხიარულ ყოფას:

მ ე ტ ი ტ ა პ ი ტ ნ ა და პ უ რ ი ს ი ტ ნ ა
უფროს ვირჩივე ცრუთა საზრდელსა,
სიტკობა დამწარდა, მექმნა ბაწარ-და
სალექლად სულა არ გასაზრდელსა.
ვიყავ მხედარი, კარგ სახედარი,
აწ, ვეკობ, შევგავ კაცს არადელსა.

მწარე სიტყვებით განაგრძობს პოეტი თავისი უნუგეშო ყოფის გამოტირებას:

¹ ე. ი. პოეტის მახლობელი („გამსდელ-დასდილნი“, „კაამყოლ-მუსაიბები“, „ნათესავ-მეგობრები და სხვ.).

ვაი ჩემს დროსა, სადღა მედრო სა,
 სულ მოღრუბლული დღედ ნათლისადა?
 ძწუხბრ-შესწრობილსა, ბნელთ შეპყრობილსა
 სადათ ვეწიო ეამს დილისადა?
 სად შეისწაო არღა ვისწაო,
 მე სადაურ სადმე ვ(ვ)ლი სადა?
 მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე
 ფეხი ჩემისად გუნებისადა,
 დაედევ თავი, არ ავად ავი,
 საარაკოდა ქვეყნებისადა.

პოეტი ქვევითაც კონტრასტული სახეებით უპირისპირებს სა-
 ოცნებო ნამყოს უმსგავსო აწმყოს (აქაც გარკვეულად მელაუნდება-
 ფრთგვარი „ოჯახური“ მოტივირების მხარეები):

ოდეს ვკვრეტდით ურთიერთს მამაჩვენსა მხიარულსა,
 სად წაგვიხდეს იგი ჟამნი, ვინა ვხედავთ აწ რომელსა?

ეს სტროფი იხურება საუცხოვო რუსთველური ტაეპით (მოხ-
 დენილ ადგილას კი არის გამოყენებული!):

ნუცა მტირი, ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

საყურადღებოა, რომ თავისი უნუგეშო ხედრის სიმწარეს არ-
 ჩილი სხვებს აბრალებს და საკუთარ საქციელში ზნეობრივი თვალ-
 საზრისით საჩოთირო მომენტს არ ხედავს. პოეტი გულწრფელად
 მიჰმართავს „მნახავთ“, რომ დაუზოგავად ამხილონ კიდევ, უკეთუ
 საძრახის მოქმედებას მოუქმდებიან:

ჩემს გარდა სხვათა, ჩემთა მნახავთა, მამხილონ, ავი ვიზე-
 ვყავ სადა-ო.

რაც შეეხება ბრძოლის ველიდან გაქცევას და უცხოეთში გარ-
 დახვეწას, ეს იძულების შედეგი იყო და არა ნებაყოფლობით გა-
 დადგმული ნაბიჯიო (როგორც სხვა მრავალ მეფეს ჩაუდენიაო):

მრავალთ მეფეთ დაუგდია უმიზეზოთ მეფობანი,
 ჩემი რად გკვირსთ იძულებით სამყოფთა გარიდებანი-ო.

მით უმეტეს, რომ უთავბოლო ხეტიალით „აღვირჩიე მე სამა-
 რე“ და „ყოვლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსახმარედო“. პოეტი-

გაბორტებით ესხმის თავის (პოლიტიკურ?) მოპირდაპირეთ, რომელთაც ასე მოუშხამეს ერთ დროს მისი ტკბილი ცხოვრება:

ჰოი ჩემს სევსა. სად გადამსევსა,
 მე სადაური სადით არესა,
 ბნელსა ჩამსევსა, სისხლი მომსევსა,
 მგონია ესეც არ მაკმარესა.
 მათი ნაქმარი, ავად საქნარი,
 სულა მე დია დამაბარესა,
 სიცოცხლე ჩემი, არ ასაჩემი,
 რომ ხედავთ, ასე დამამწარესა!

სევდა-ნაღველით შეპყრობილი პოეტი თავის მძაფრ განცდებს ცხარედ ამქლავნებს სოფლის გმობაშიც („სიტყვა სანათლისღებო“, 23):

სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს არ ცხრები რად არა?
 არ მოვსთვლი შენსა სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა!
 ვერვინ მოგირჩა უვნები, ცუდად ირბოლა, რა და რა;
 თუ არ უცებმან, წარმავალს ვინ წარუალი რა დარა?

ადამიანთა გაუტანლობისა და სოფლის მუხთლობის თემაზეა მთლიანად აგებული არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების მსგავსად ავტორი თითქოს აქაც თავისებურად ეხმაურება ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში აღძრულ ამ მეტისმეტად მტკივნეულ კითხვას:

სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა,
 ერთად ზაკვენ, თუ შენც იტყვი, არ ამბობენ სიტყვას მთელსა;
 ორნივ სწორად მოინდომებს ხან ბნელსა და ხან ნათელსა.

ავტორი ჩვეულებისამებრ აქაც განზე დგომასა და ნეიტრალიობას ჩემულობს:

„აწ მე ვიტყვი მათ საქმესა, თქვენ შეიტყობთ უმართლესა“.
 ანდა კიდევ:

მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უდგავართ ჩვენ ნურც ერთსა,
 სოფელმან და კაცმან სიტყვა თვით მიუგონ ერთმანერთსა;
 გაუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთზედ თუ რა ერთსა,
 მერმე გაგებკოთ სამართლითა, მაღლი მიცვეთ უფალს-ღმერთსა

პირველ საბრალმდებლო სიტყვას ამბობს ადამიანი. სოფელი ერთი მხრით თავს იცავს ადამიანის—მისი აზრით—უსაფუძვლო-ბრალდებისაგან, მეორე მხრით კი თვითონაც შეტევაზე გადადის და მტკიცე არგუმენტაციით საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ფიცხ მოპაექრეს.

კაცის სიტყვით სოფელი „ტრელია“, მუხთალი, ცრუ... ადამიანთა ცხოვრება განუწყვეტელი ტანჯვა-ვაებაა. წუთიერსა და მოჩვენებით სიხარულს მუდმივად თან სდევს აუტანელი გასაჭირი და მწუხარება. ადამიანი საცოდავი მონაა ბუნების მრისხანე ძალებისა—წუთისოფელი ისე უწესოდაა გარიგებული, რომ ზოგიერთნი (საზოგადოების უმცირესი ნაწილი!) განცხრომითა და ნებივრობით ცხოვრობენ, ზოგიერთნი კი (საზოგადოების უდიდესი ნაწილი!) უბრალო-ლუკმაპურსა და თავშესაფარ ადგილს არიან მოკლებულნი:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,
 ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ,
 მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ.
 ძველს თავადს ლალანიძესა ქვეშ ქილობს დააგებინებ.

მაინცდამაინც განცხრომა მუდმივად არვის შერჩება, მეფენიც და დიდებულნიც სოფლის მტარვალური ქცევის მსხვერპლი ხდებიან, მათაც საბოლოოდ დიდი განსაცდელი მოვლით ცხოვრების გზაზე. ერთი სიტყვით, სოფელი რაღაც საშინელი მაჯლაჯუნაა, რომლის მსახვრალი ხელი ადამიანს განუზომელი ტანჯვისა და წამების ტვირთად აწევს დასაბამითვე, შეუძლებელია იმისგან თავის დაღწევა. ამასთან წუთისოფელს თავისი მიმზიდველი მხარეებიც ახასიათებს, სოფელს ხანის ხნობით სიტკბოც სჩვევია, ბედნიერების მირაჟიც. მაგრამ სწორედ ესაა საბედისწერო. ბუნებით მლიქვნელი და ცბიერი წუთისოფელი კაცს ცთუნებით ჩაითრევს ბოროტების ქსელში, შემდეგ კი მოულოდნელად უმუხთლებს და სამუდამოდ დალუპავს, სოფელი ორპირია, მზაკვარია, მუხანათია. ამრიგად, ადამიანი სოფელს მძიმე ბრალდებებს უყენებს¹. სოფელს ეს ბრალდებანი სასაცილოდაც არ ჰყოფნის. კაცს არ ავიწყდება, რომ მისმა წინაპარმა საკუთარი საქციელით, დაიმსახურა სავალალო ხვედრი: ადამისა და ევას. სულწასულობამ ადამიანთა მთელი მოდგმა ცოდვის.

¹ სხვათა შორის, კაცი იმასაც ბრალად დებს სოფელს, რომ (312,1):
 ბატონს გახდის უყმოდ და ყმას ოხრად დასვაჲს უპატრონოს-ო.

აღმურში ვახვია, მაგრამ ქრისტემ უკვე გაძოისყიდა პირველი შეცოდებაო. განგებამ ადამიანი „უფალყვნა“ ნივთთა და უნივთოთა ზედა, მისცა „უფლება ყოველთა“, ყოველი არსი მას „მორჩილობს“, დამონებია. ადამიანმა ვერც ეს სიკეთე შეიღირსა, მდაბიო ვნებათაღელვის აყოლით, უგნურებით, უძღებებით და საერთოდ ზნეწამხდრობით ახლაც აგრძელებს თავის საძრახის და საკიცხ საქციელსო. ამიტომ რა შუაშია სოფელი? სოფელი ხომ კაცის ბედნიერებისათვის არის შექმნილი, რად ვერ სარგებლობს ის არსთა შორის თავისი განსაკუთრებულად პრივილეგიური მდგომარეობით? რად აპყოლია ქვენა-ბიწიერ გრძნობებს და ღვთიურ სიბრძნეს დაშორებია?—აქ მარხია ადამიანის გამოუსწორებელი შეცოდების სათავე, ეს არის მიზეზი ადამიანის ტანჯისაო, სოფლის პირით ასკენის ავტორი. ადამიანი უნდა განიწმინდოს ბოროტი ზრახვებისაგან, სულიერად უნდა განსპეტაკდეს, ეზიაროს უმაღლეს სიბრძნეს და მაშინ სოფელიც გახდება მისი ნების ამსრულებელი მორჩილი ყმაო. ადამიანმა უნდა ჩაიხშოს ვნებათაღელვა, დაითმინოს, თავმდაბლობა გამოიჩინოს. ასეთია არჩილის მიერ დასახული ადამიანის ხსნის გზა. მაინცდა-მაინც ამისათვის სრულიად არ არის საჭირო სოფლის უარყოფა, მატერიალური სიკეთის აბსოლუტური გმობა და ამქვეყნიური ცხოვრებიდან გაქცევა. ოღონდო, აფრთხილებს სოფელი ადამიანს, მთავარია ზომიერება (ხოლო უძღებება და სიხარბე დამლუპველიაო), „რომელმან ზომით, სიმართლით მიხმაროს, განალამც ვარგვარ“-ო, სიამაყით ამბობს სოფელი. საქართველოს ზნეობებშიც გარკვევით არის ნათქვამი (97,1—2):

ნუ გეშინიანთ, არ გიშლისთ, ¹ სოფელი ნურვის გინდაო,
 ცოლი და შვილი, მამული, ძმა, სახლისკაცი, გინ დაო.

კაციც იძულებული ხდება გულწრფელად აღიაროს სოფლის უპირატესობა:

სოფელო, კიდევ გიზრახავ, არც გავგეძლება უშენოთ,
 არას ვარგვივართ, შენ არ გყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ.

„ასდაათ“ ლექსშიც არჩილი იზიარებს სოფლის მიღების თვალსაზრისს, ოღონდ თეიმურაზის მსგავსად სოფლის ნივთიერი მხარის ზომიერად გამოყენებას თხოულობს (78):

¹ ნავულისხმევია სიბრძნე.

რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარება!
ყოველი ნივთი მის-მის დროს კაცთაგან მოიხმარება.

კაი ზნე არის კაცისა სიბრძნესთან კარგ სახმარება.

გამარჯვებული სოფელი თავმომწონედ იკვების:

მართალს გეტყვი: კარგი ვარ და დიად ძნელად დასათმობი,
პირველ ტკბილი, საამოვნო, მერმე ანჩხლი, დაუთმობი.

ღარცხენილი კაცი კი ამის შემდეგ დარიგებას სთხოვს მოპაექრეს:

ვით უხამთ შენი ხმარება დიდ-ხელმწიფეთა, მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, სჯულისთავთ, მღრდელთა არ
სისხლთა მჩქეფეთა,
მოლაშქრე-მონადირეთა, ვაქართა ლართა მკრეფეთა,
მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა დილით-ღამემდი მყეფეთა.

სოფელი სიამოვნებით ასრულებს კაცის თხოვნას და ვრცლად
შოუთხრობს საყოფაცხოვრებო წესებს. ავტორიც დასასრულ გარკვე-
ულად დგება სოფლის მხარეზე და თავის ამგვარ საქციელს შემდეგ
შოსაზრებით ამართლებს:

რასთვის მგონია სოფლისგან კაცი უცრუე, აწ ვიტყვი,
თუ სიტყვა კარგად გასინჯო, დამემოწმები, შენც იტყვი:
ღვთის ბრძანებას გარდავიდა, მტერს უსმინა,
ის მოსწონდა,
ამით სოფელს დაგვა მონა .

არჩილის საბოლოო დასკვნით, ერთ დროს სოფლის ბატონად
შექმნილმა ადამიანმა ვერ შეიღირსა თავისი მდგომარეობა და ბო-
როტი საქციელის წყალობით (ღვთის უჩრობით) თავისი ყოფილი
შონის მონობისვე მძიმე უღელში მოექცა. ადამიანმა თვი-
თონ დაიმსახურა საშინელი ზედრი და თვითონვე უნდა გამოის-
ყიდოს დანაშაული მორალური განსპეტაკების გზით. ერთი სიტყვით,
„გაბაასება“-ში ავტორი ავითარებს ცნობილ ქრისტიანულ თვალსაზ-
რის ადამიანის დანიშნულების თაობაზე. ამ თვალსაზრისზე დამ-
დგარი პოეტი თავის შემოქმედებაში ანელებს ცხარე პროტესტანულ
ცეცხლს, აქა-იქ რომ ძლიერად აჩენდა თავს. ქრისტიანული დოგმა-
ტიზმით შეიარაღებული ავტორი თუმცა, სოფელს აძაგებს, მაგრამ
განგებით განსაზღვრულ წესრიგს ვერ ეუბრება და თავის ნაღვლიან
ლირიკას რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით აზაგებს. ამიტომაც

არჩილი არ არის პესიმისტურად მოაზროვნე პოეტი. მართალია, არჩილის პოეზიას კარბად ახასიათებს სევდა-ნალღელის მოტივები, მაგრამ სევდა-ნალღელი არ გადადის სრულ უსასოობასა და გმობაში. არჩილი ერთგან კატეგორიულად აცხადებს („ლექსნი ასორი მუხლნი, 100):

სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვუხსნებია.

პოეტი სხვების წუწუნსაც კი ჰკიცხავს ამ მხრით („სანათლისღებო“):

სოფელმან ავ დროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ესენი,
მაგრამ მე მისად საზრუნლად ვერ მნახოს სხვისებრ
მკენე სენი.

დამახასიათებელია, რომ „გაბაასების“ წინასიტყვაობაში არჩილი ასე პასუხობს პოეტ დავით ჯაფარიძეს, რომლის ერთ-ტაეპოვან ლექსს გამოუწვევია თვითონ არჩილის გამოსვლა კაცისა და სოფლის საპაექროდ:

დავით, უძრახეს სოფელსა, სხვათ ბრძენთა შენც აგიტანეს,
მე არ ვემდურვი, მაგრამე მგონია მეც დამიტანეს.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილის შერიგება სოფელთან გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი რელიგიურ-ქრისტიანული სოფლმხედველობით. ამ მხრით დიდ ყურადღებას იქცევს ერთი სტროფი „ასდაათ“ ლექსიდან (30):

კაცი უნდა, ვით თავისა, სხვათაც აგრევე მოყვარე,
ჰე, უბედო ბედო ჩემო, ესე არსად შემომყარე,
მაგრამ არ ვთქვა სამდურავი, რადგან ასე დამამყარე,
მხოლოდ მივის მეგობარი, ვინა შექმნა ცათ სამყარე.

პოეტს სჯერა თავისი „მეგობრის“ (ღვთის) უსაზღვრო მოწყალეობა „ცოდვილთა“ მიმართ (იქვე, 51,1—2):

ცოდვილთ გვხადიან მოქცევად, ნუვინ წავიკვეთთ სასოებასა,
ფრიად ტვირთმძიმეთ თუმც ყელსა დიდი დოლაბი გვებასა.

აგრეთვე (იქვე, 55,1):

არ არის ცოდვა ასეთი, წყალობას სძლევედეს უფლისას.

ქვეყნიური ორომტრიალით დაღლილი პოეტი თავის „ცოდვილ“ სულს აბარებს იმ ყოვლად მოწყალე „მეგობარს“ („მეფეთა“):

განვლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შვებითა,
მივანდოთ თავი უფალსა, ამოდ ნულარ ვშვებბითა.

* * *

არჩილი თუმცა მწვევედ შეებრძოლა ირანულ-ფანტასტიკური ყაიდის სამიჯნურო-რომანულ პოეზიას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც საკმაო ხარკი გაიღო ამავე პოეზიის წინაშე. ამის დამამტკიცებელია „სამიჯნურონი“ და გალექსილი „ვისრამიანი“. პირველით („სამიჯნურონით“) არჩილი ერთგვარად ემიჯნება თეიმურაზ პირველს¹ და იმის „მაჯამას“, მაგრამ ვერც გავლენას უარყოფს და ვერც მოხარკეობას:

მკი თხველ-მთარგმნელნო, მაჯამას წილ მეც ეს
მამირთმევია.

სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ქვემო ჩამიგდია,
ზოგ მიჯნურთა საქმე კარგი მამწონს, ზოგი ამიგდია,
ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი ვითომ არც
ეს დამიგდია.

ჰე, მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია!

სამიჯნურო მოტივებს პოეტი თითქოს იმისთვის გამოჰკიდნია, რომ „სრულ უთქმელი“ არც ის დარჩენოდა. სამიჯნურო პოეზიის სანიმუშო ძეგლად არჩილს მიაჩნია თეიმურაზის „მაჯამა“²:

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს მაჯამა.

არჩილის „სამიჯნურონი“ თეიმურაზის „მაჯამას“ ძირეული მოტივების უბრალო გადამღერებას წარმოადგენს როგორც თემატიკის, ისე ფორმალური დამუშავების მხრით, თუმცა ომონიმურ პრინციპზე (ანუ მაჯამურ პრინციპზე) აგებული სტროფიკა აქ მხოლოდ იშვიათად გვხვდება. არჩილის „სამიჯნუროს“ არც გამოკრებილობა ახასიათებს³. სამაგიეროდ არჩილი სავსებით იმეორებს თეიმურაზის მოტივებს: სილამაზისა და სიმშვენიერის განყენებულ მკობას, გარეგნულ-ხორციელი ატრიბუტების აღწერილობას, ბაგისა და ღვინის ქებას და მისთანებს. არჩილიც ამ მოტივებს თეიმურაზივით აზავებს

¹ დაბეჭდილია თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებულში (აღ. ბარა-მიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 113—125).

² თუმცა ქვესათურად ავტორს მიუცია „ლექსნი აქა-იქ თქმულები“, რაც თეიმურაზის წაბაძვით არის გამოწვეული (მდრ. „გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულე ბი“).

მელანქოლიკური განწყობილების გამომხატველი სტროფებით. არჩილი ბაძავს თეიმურაზს მხატვრული ხერხების გამოყენებაშიაც („სამიჯნურონი“ იმეორებს „მაჯამას“ ლექსიკას, ეპითეტებს, შედარებებს, მეტაფორებს, გამოთქმებს, ომონიმებს, რითმებს...).

აღსანიშნავია, რომ ავტორი თითქოს უარყოფს თავის საკუთარ მიჯნურულ გატაცებას და ერთგან შენიშნავს: „ქორად მეც ვინმე შემწამის“-ო, თუმცა სხვაგან გვიამბობს სატრფიალო ურვის თაობაზედაც:

ენახე მიჯნური ფარული, შემატყობინა მაჯამა,
მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმან მათმან გარჯამა, -
შეწყალება და გვერთ ხლება ვერ პოვა ჩემმა აჯამა.

შესავალში არჩილი იხილავს სამიჯნურო „ზნეობას“ და მთლიანად იმეორებს რუსთველის მოძღვრებას ამ საგანზე.

„ვისრამიანი“ თავისი ფანტასტიკურობითა და ხორციელი ტრფივლების მოტივებით არა თუ ჩამოუყარდება, კიდევაც აჭარბებს არჩილის მიერ ამ მხრით დაწუნებულ რომანებს. თვითონ გამლექსავი გაცხარებით შენიშნავს ერთგან (43,2—3):

რამინ სად ნახეს ქაბუკთა ერთს სხვაზედ რითმე კლებული?
ან ვისს რით სჯობდა დარეჯან, ზილიხან გაბოზებული?

ის ფაქტი, რომ „ვისრამიანი“ გაულექსავი რჩებოდა, არჩილს ახირებულად აუხსნია, სახელდობრ, თითქოს წინამორბედ გამოჩენილ პოეტებს საამისო ძალა არ აღმოჩენიათ:

მაგრა ვერ შეძლეს გალექსვა, მით დარჩათ ქვე ჩაგდებული.
ანდა კიდევ:

ეს ექვი გულად მომიხდა, მათ¹ ამად არ შეემართათ,
სიხშო, სიძნელე ამბისა ლექსითა ვერ დაემართათ,

თორემ იმდენთა მელექსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ?
არსებული „ხარევის“ შეეცება არჩილს თვითონ განუზრახავს „პირველ მიჯნურთ მკობართა“ წაბაძვით (14,2):

მაგრამ წავბაძე ბრძენთ კაცთა, ჩემს პირველ მიჯნურთ მკობართა.

არჩილი კარგად გრძნობს „ვისრამიანის“ გალექსვით გამოწვეულ უხერხულ მდგომარეობას და მოწიწებით ბოდიშობს ღვთის წინაშე: „ვით გთხოო ქება ცეცხლისა მოსავთა, შენს უცნობართა“-ო. პოეტი თავს იმით იმართლებს, რომ მეგობრებმა მირჩიეს, უქმათ

¹ ნაგულისხმევია რუსთველი, თეიმურაზი და არჩილის სხვა წინამორბედი პოეტები.

ყოფნას ისევე შრომა სჯობიაო (60—61) და „წაწყმედა ძალუც, იცოდე, ჯავრით თავისა წამებასა“-ო; თუმცა მაინც ყოყმანობს და ვერ იფიწყებს (62, 2): „ეს კიდევ მაყენებს, ვაქებლედ რად წარმართებსა“-ო.

მთელი რომანის გალექსვა არჩილს ვერ მოუსწრია, ტექსტი გაწყობილია ნაბეჭდი გამოცემის 118 გვერდის ფარგლებში¹ (ე. ი. ვისისა და რამინის ერთგან შეყრამდე, თვითონ ამ ამბის ჩართვით), თუმცა იმ თავითვე ნავარაუდები ჰქონია საქმის ბოლომდე მიყვანა:

რამინ ვისით არ დავაგდო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
ჟამნი მათნი საკირონი გაუხადო საქორწილად-ო².

ავტორს ერთგვარი ანდერძი დაუგდია (720, 1):

რაც დარჩა, ამის გალექსვას აღარვის დაგეცილები-ო.

არჩილი ტექსტს სიტყვა-სიტყვით არ ლექსავს. ზოგ შემთხვევაში ტექსტს ჰკვეცავს, ზოგ შემთხვევაში კი ახალი დეტალებითაც ავრცელებს, ცალკე ადგილების თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. ზოგ შემთხვევაში ებრძვის და ეკამათება ძეგლის იდეურ მხარეს. ერთი სიტყვით, გამლექსავი თავისუფლად და თავისებურად ამუშავებს მასალას, ოღონდ საერთოდ არ შორდება დედნის შინაარსულ მონაცემს, არ არღვევს სუბეტურ წყობას და თანმიმდევრად მიჰყვება ამბის განვითარებას³. ეს კია, რომ ბოლოში ტექსტს დართული აქვს დედნისთვის უცნობი პატარა თავი: „ძიძის სალალობელი სიტყვა“, განსხვავებულადაა აწერილი ვისის და რამინის შეყრის სცენაც. ტექსტური შემოკლების გასამართლებლად არჩილი იმოწმებს რუსთველს (67, 1):

გრძელი სიტყვის შემოკლება რუსთველისაგან მერგო წილად-ო.

გამლექსავი ვერ ურიგდება „ვისრამიანის“ ზნეობას, გვერდს უხვევს დედაკაცის უარყოფითი დახასიათების შემცველ ადგილებს (გამოცემის გვ. 18-19—15-16), ქალ-ვაჟის სიყვარულისა და ფრინველთა სამეფოს ურთიერთ სქესობრივი ლტოლვის ანალოგია მას ერთგვარად შეურბილებია (შდრ. გამოცემის გვ. 98-72). სხვაგან დედაკაცთა საერთო კიცხვიდან „ზოგნი“ დაუცავს:

„კარგი არქუა შობადმან ოშანგს; დედანი ნებისაკენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისაკენო; დედანი უსრულად დაბადებულნია,

¹ ვისრამიანი, ტფ., 1884 (ვისრამიანი, 1938, გვ. 85).

² შესაძლებელია ამით ნაგულისხმევი იყოს ვისისა და რამინის არა საბოლოო შეუღლება, არამაღ პირველი შეყრაც.

³ ვისრამიანის ვარიანტული ნაირობის შესახებ იხ. ალ. ბარამიძის „არჩილიანის ტექსტისათვის“, რომელიც დართული აქვს „არჩილიანის“ I ტომს.

მით მიწყევ თავისა წადილი მორევს. საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოეყენდებიო¹.

(„ვისრამიანი“, გვ. 87—65).

მოაბადმან ოშანს უთხრა, ვით არს დედათ ვითარება:

უსრულს პირველ შესაქრითო ცთომა რათლა გებრალება?

მაგრა ზოგთა ბანოვანთა ეგ არვისგან ეკადრება.

(არჩილი, 533,1—3).

არჩილი აღუშფოთებია და-ძმის შეუღლების მაზღეანურ წესს. და ამისათვის სხვადასხვა ადგილას ურთავს (156,4; 160,1-2):

ან დედმამათ, ან და-ძმათა ვით გაბედეს, ახა ღმერთო?!

დედმამისად ძე სიძედ და ქალი რძალად იქმნას რათი?

ძმამ და ცოლად ვინ შეირთო, ან დამ ქმარად თავის ბრათი?!¹

პოეტი ძრახავს მოაბადის ახირებულ საქციელსაც (117,3):

კეუათმყოფელი ხელმწიფე რას აქნევს ცოლსა ნათხოვებს?

დამახასიათებელია, რომ გამლექსავი ერთგან ასე აღაპარაკებს ვის (609,4):

აუგს თუ არ განვეკრძალო, მელექსე ლექსს გამომითქვამს-ო.

აქა-იქ ქრისტიანული ელემენტებია შეტანილი მაზღეანურ-მუსულმანურ „ვისრამიანში“. მაგალითად, ერთგან რამინი ასე მიჰმართავს ძიძას (456,4):

ასე გამხდარსა მარგე რა, თუ ღმერთი იცი სამებად.
ხოლო ძიძა ვისს შემდეგი სიტყვებით საყვედურობს (660,1—3):

ერთს სიტყვაზედა არ სდგები, ვითა წისქვილი იქცევი,

კამათელს ჰგევხარ, შაშს დაგსვა, იაქედ გარდაიქცევი.

მართლმადიდებლად ურწმუნო ვიდრემდის არ მოიქცევი?

არჩილის „ვისრამიანში“ ზოგჯერ შეინიშნება სრულიად მოულოდნელი ანაქრონისტული შედარებანი და ანალოგიები. აქ ასეთი ტაუბიც კი გვხვდება (372,3):

ვინ მას ემღურვის, დაინანს, ბოლდანი ა თუ ვლახია.

ამ მხრით საყურადღებოა ვისის სიტყვებიც ძიძის მასამართით (584):

¹ ბრათი ნიშნავს „brat“-ს.

შენის რძით გაზრდას მიჯობდა, თუმც ძაღლის ძუძუ მეწოვა, გულსა შენ მიერ ლახვარი, ვინ თქვას, რამდენგზის მე წოვა! მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ მეტყვის თუ ში მეწოვა. შენ, ნამუსისა ჩიქილა რად თავზედ შემოგეწოვა?

როგორც აღენიშნეთ, გამლექსავი აქა-იქ ზოგიერთი ახალი თემატიკური დეტალებითაც აერცობს და ამდენადვე ასხვაფერებს თავის დედანს. საილუსტრაციოდ შემდეგ ადგილს დავიმოწმებდეთ:

„ვისსა წინაშე მივიდა ძიძა და იგი დაღრეჯილად დახუდა, ცრემლისაგან მიწა დაესოვლა. სარჩელი დაუწყო: ვირემდისი ეგე? ანუ აწ რალა გქირსო? იგი კულაცა გაუწყრა ძიძასა და ღმრთისა საუკუნოისა შიშისა დაიწყო საუბარი“.

(ვისრამიანი, 109—79).

მირავიდა, კარი დახვდა შიგნიდამე მოგდებული;
დაურეკა, გაცაულეს, ნახა ქალი ქვე გდებული,
ტიროდა და ყური ჰქონდა სხვის კერძს სითხე მიგდებული.
ჩაიშთო და მიჯდა კუთხეს, სიტყვა იწყო აგდებული.
გაიზმორა, დაამთქნარა, ამოიწყო მორულობა,
მერმე ზევე აღიხედა, იწყო მისივე მეღულლობა.
ხან კენესოდა, ხან სულთქმიდა, მოახსენის ხან ხუმრობა,
პრქვა: „ავია მარტოდ ყოფა, სამუდამო უსტუმრობა“.
გარდმობრუნდა ნამტირალი, აწო იწყო საუბარი,
უთხრა: „მგონი ბევრჯერ მითქვამს, ნუ ხარ ცუდის მოუბარი!
სულა მე რას მეუბნები, ხომ არა ხარ სხვათ უბარი?
რა ვაზს ძირი გახმობოდეს, იმას რალად ძირს უბარი?

(არჩილი, სტრ. 655-657).

იშვით შემთხვევაში გამლექსავს შეუცვლია მოქმედი პირის სახელი. ერთხელ შეცვლილია გეოგრაფიული სახელწოდებაც კი. ვ ი რ ო ს სანაცვლოდ ტექსტში იხმარება კ ვ ი რ ო ს.¹ მოაბადის რეზიდენციას პოეტი ხან მ ა ვ რ ს უწოდებს, ხან მ ა რ ა ვ ს, ხან ერთსაც და მეორესაც (209,1):

¹ ეს ნაბიჯი, ალბათ, გამოწყულია ცნობილი ცხოველის სახელის მსგავსების გამო.

ურიცხვი შეკრბა ლაშქარი მარავეს და მავრის გარებსა.
გორაბი არჩილს გორბად (გორბი) უქცევია. დედან-
ხელნაწერის გავლენით გამლექსავს ერთგან უსწოროდ უხმარია
გამოთქმა „ფალავანთ ენა“ (85,2), თუმცა სხვაგან (88,2) მართებულ-
გაგებას იძლევა:

ფახფურ ენას ფალაურსა მუნ სპარსულად ათარგმნებდა.

* * *

არჩილი ცნობილია თავისი თარგმანებითაც, ასეთებია:

1. ალექსანდრიანი, განთქმული საგმირო რომანი ალექ-
სანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან ფაევდო-კალისტენის რედაქციისა-
თარგმანი შესრულებულია პროზით. გადმოღებულია სერბული ენიდან-
არჩილის ნათარგმნი ტექსტი ჯერ ლექსად შეაწყო და შემდეგ
პროზულადვე დაამუშავა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პეტრე.
ჩხატარაის ძემ (იხ. ამის შესახებ ქვევით).

2. მსოფლიო ისტორია, ანუ ხრონოლოგია. დასაბა-
მი თგან სოფლისა კოსტანტინე პალეოლოღამდე. პი-
რადად არჩილს ამ უზარმაზარი თხუხულების მეორე ნაწილი უთარ-
გმნია. პირველი ნაწილის თარგმანი შეუსრულებია არჩილის მხლე-
ბელს რუსეთში მღვდელმონაზონ ბაგრატ სოლოღაშვილს.
(პროფ. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია I, 358-359).

3. „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე-
და სამოციქულოისა ეკლესიისაი“ იერუსალიმელ პატრიარქის
ნექტარიოსისა (იქვე 1,358).

4. არჩილი გამოსაცემად ამზადებდა თავისსავე სტამბაში-
მოსკოვს ქართულ ბიბლიას. ამ მიზნით არჩილს შეუყრებია.
ბიბლიის სხვადასხვა ევრსიები, შეუღარებია ისინი სლავური ტექს-
ტისათვის და ხელახლად უთარგმნია (სლავურიდან) ისოზირა-
ქისა და მაკაბელთა წიგნები, რადგან უკანასკნელნი
ქართულად ვერ უპოვია. არჩილის დამზადებული მასალა დაედვა-
საფუძვლად ბიბლიის ცნობილ ბაქარის ეულ გამოცემას (იქვე,
1,358).

* * *

არჩილის შემოქმედების მხატვრული მხარის შესახებ ჩვენ მწერ-
ლობაში ორი უკიდურესი შეხედულება არსებობს. ერთი რიგის

მკვლევარნი სრულიად უარყოფენ ამ მხრით „არჩილიანის“ მნიშვნელობას. გ. წერეთლის სიტყვით: „არჩილიანს აკლია ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც ჰბადებს მალალს და ნამდვილს პოეზიას“¹. უფრო შორს მიდიოდა პ. უმიკაშვილი, რომლის აზრით „არჩილიანს“ აკლია ის-აღმატურენა, ურომლისოდაც თხზულებაში ყველაფერია პოეზიას გარდა“².

ჩვენ დროში არჩილის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ადგია პოეტი და მკვლევარი კ. ჭიჭინაძე. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ უკანასკნელისათვის (კ. ჭიჭინაძისათვის) არჩილის პოეტური ღირსების დისკრეტიზაცია ერთგვარად დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართების საკითხთან. როგორც ცნობილია, არჩილი იძლევა პირველ ეკვიპოტანელ დოკუმენტურ მოწმობას „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებლებისა და ყალბის მქნელების შესახებ, რა არ ეგუება კ. ჭიჭინაძის კონცეფციას. კ. ჭიჭინაძეს ზოპყავს არჩილის ცნობილი მოწმობა („ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ გაუგა, წმინდა რამ აუმღვრევია“) და ყოვლად უსაფუძვლოდ ასკვნის: „ვეფხისტყაოსნის მკვლევარებმა დაიხვიეს უნიკო პოეტის ეს ორი სტრიქონი: ხელზე და მოისურვეს ამის საშუალებით პოემის ყველა სიმბარეების აღება... არჩილ მეფის ზემოთ მოყვანილ ერთ ულაზათო თქმაში არც ერთმა მათგანმა უბრალო ეპიც კი არ შეიტანა“-ო³.

დამახსიათებელია, რომ კ. ჭიჭინაძეს გარკვეული ფორმალური თვალსაზრისით ერთმანეთისთვის შეუღარებია რუსთველი, თეიმურაზ პირველი, არჩილი, გურამიშვილი და ბესიკი. ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემს არჩილი თეიმურაზის წინ მოუქცევია, რასაც გამოუწვევია მკვლევარის უკმაყოფილება⁴.

მეორე უკიდურესობის გამომხატველია პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც საერთოდ სამართლიანად ცდილობს არჩილის რეაბილიტაციას, მაგრამ ამ მხრით აჭარბებს და სრულიად დაუმსახურებლად აყენებს ჩვენ პოეტს გენიალური რუსთველის გვერდით. პროფ.

¹ დავითიანი, მესამე გამოცემა, 1994, გვ. XIX.

² იქვე, პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა, გვ. X.

³ ალიტერაცია ქართულ შიროში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა, ტფ., 1925, გვ. 40 (დაყოფა ჩვენია, ა. ბ. შდრ. აგრეთვე მისივე, რუსთაველის გარშემო ტფ., 1928, გვ. 18—19).

⁴ შდრ. იქვე, გვ. 27 (რასაკვირველია, ჩვენ ოდნავ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს არჩილი პოეტური ღირსებით თეიმურაზს სჯობდეს, მაგრამ მანც საგულისხმოა კ. ჭიჭინაძის დაკვირვება).

ქ. კეკელიძე წერს არჩილას „სამიჯნურონის“ მიმოხილვისას: „თავისი მოხდენილობითა და პოეტური მშვენიერებით ეს ნაწარმოები, მსგავსად თეიმურაზის მაჯამისა, პირდაპირ შედევრად უნდა ჩაითვალოს ქართულს პოეზიაში; ტყვილად კი არ იხსენებს ამაში არჩილი რუსთველს, მას სრული უფლება აქვს ამ ლექსით გვერდში ამოუდგეს ვეფხის-ტყაოსნის ავტორს. თხზულება შესდგება სულ 46 ტაეპისაგან, რომლებიც ერთი მეორეზე უკეთესია პოეტური თვალსაზრისით“-ო¹.

კარგი შეხედულებისაა არჩილზე, როგორც პოეტზე, აკად. მ. ბროსე. ბროსეს სიტყვებით: „Это был дурной христианин и дурной государь, но храбрый воин и отличный поэт“². დადებით შეფასებას აძლევს არჩილს პავლე ინგოროყვა: „მეფე არჩილი, ავტორი ამ სტრიქონებისა (ლაპარაკია ნანუქასტყალბის-მქნელობის მოწმობაზე, ა. ბ.) რაც არ უნდა იყვეს, ნიჭიერი პოეტი იყო და მას ჰქონდა იმდენი ესთეტიური ტაქტი, რომ აღწეფოფებულები იმ ბარბაროსული დანართებით, რომლებიც შეუტანიათ რუსთველის „წმინდა“ წიგნში ნანუქას და სხვა ყალბისმქნელებს“³.

განსაკუთრებული ფორმალურ-მხატვრული ღირსებით ვერ დაიკვების არჩილის ვერც „სამიჯნურონი“ და ვერც მისი სხვა რომელიმე ნაწარმოები. არჩილის შემოქმედების დიდ იდეურობას, სამწუხაროდ, ვერ ამშვენიებს შესაფერისი მხატვრული სამოსი. პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით „არჩილიანს“ ბევრი აკლია. განსაკუთრებით აღსანიშნავია არჩილის ლექსების რიტმული მოუქნელობა, რითმული სიღარიბე და პოეტური ფიგურალობის უფერულობა (ავტორი ამ მხრით ან პრიმიტიულია, ან, და უმეტეს შემთხვევაში, ეპიგონურად იმეორებს რუსთველისა, თეიმურაზისა და სხვების უკვე გაწყალბებულ შედარებებს, მეტაფორებს, ეპითეტებს და მისთანებს). მხოლოდ ალაგ-ალაგ და იშვიათად ამკლავნებს არჩილი გამომსახველობითს მოქნილობასა და მხატვრული გამოთქმის ენერჯიას; დიდი პოეტური ტემპერამენტით არის აღბეჭდილი „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ ცალკეული თავები (მაგალითად, გიორგი სააკაძის თავდადება, მარაბდის ომი, გლოვა დედოფლისა და სხვ.). გულწრფელი და ამალელებელი პათოსით სავსეა არჩილის პატრიოტიკა, ღრმა და ნაზია არჩილის ღირიკა. იშვიათად მოქებნება,

¹ ქართული ლიტ. ისტორია, II, 417; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.

² О Грузинском письме шара Арчила, стр. 577, დაყოფა ჩვენია.

³ რუსთველიანა, I, გვ. 5.

მაგალითად, ბადალი ქართულ მწერლობაში ჩვენი ნარკვევის ეპიგრაფად წამძღვარებულ ორ შესანიშნავ აფორისტულ სტრიქონს:

თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოუნა უცხოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნალველად აღმოიწებსა.

სიტყვამ მოიტანა და ცოტა რამ არჩილის აფორიზმების შესახებ. არჩილი დიდად ნაყოფიერი აფორისტია. მართალია, არჩილი ამ მხრით მოკლებულია რუსთველურ სიღრმეს და სიმკვეთრეს, მითუმეტეს მხატვრულ მოხდენილობას, მაგრამ თავის დროის კვალობაზე ჩვენი ავტორიც საკმაოდ ახერხებს ბრძნული (და ზოგიერთ შემთხვევაში გაბედული) აზრების სხარტ და პოეტური მოქნილობით გადმოცემას. არჩილის „ასნი ორმუხლნი“ მთლიანად აფორიზმებისა და სენტენციებისაგან შედგება. აი სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითი (16, 58, 63, 67, 86, 97):

ეტლთა ბრუნვათა მსგავსია ამ სოფლის ლხინი და შვება.
წამიერთ იცის ორივე, ამალოება და დაშვება.
შეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი ერთი ოდენ.
სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა,
არ ეთხოება კეთილი კაცსა ცრუ, ცნობა ვნებულსა.
ბერს კაცს ნუ გიობ, ჰაბუკო, ნუთუ შენც სამე დაბერდე,
დამწვარსა კვალად ნუ დასწვავ, დასაშუშებლად დაბერდე.
უჟამოს მწუხარებისა სიბერე არის ნაყოფი,
გაადუხპირებს კეკლუცოაც კმუნვა და ავი სამყოფი.
შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული,
კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთამად შემოდლეული.

არჩილს მშვენიერად ესმის მხატვრული სიტყვის ადგილი პოეზიაში და ერთგან ლამაზად ამბობს („ამიცანა სათარგმანებელი“):

თქმას ლექსისას ეს ზნედა სქირს, სიტყვას უცხოს
შემოიტანს-ო.

ის საგანგებოდ აფრთხილებს კიდევ პოეტებს:

არსად წაგდეს ცული ენა, ლექსობ ვინ თუ იამბიკობ-ო.

ყურადღებას იქცევს „არჩილიანის“ ლექსიკა. თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ არჩილმა პირველად წამოაყენა ქართულ მწერლობაში ენის პურიზმის პრობლემა. ეს პრობლემა მან თავისებურად გადაჭრა საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით, მაგრამ—უნდა მართალი ითქვას—გადაჭრა ცალმხრივად. არჩილი საერთოდ გაურბის აღმოსავლური (ირანულ-თურქული) წარმოშობის სიტყვებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში აქაც კომპრომისი დაუშვია. ამიტომაც ირანული ლექსიკა, მართალია, გამონაკლისად, მაგრამ მაინც შეინიშნება „არჩილიანის“ ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად:

სრბა იქი-აქად, მარტოდ, იაქად (მეფეთა, 101, 3).

იაქ ირანული სიტყვაა და ნიშნავს ერთს, იაქად—მარტოდ. შედარებით უფრო ხშირია ირანული სიტყვების ხმარება გალექსილ „ვისრამიანში“ და ეს მაშინ, როცა ამისი საჭიროება დედნით (ე. ი. ქართული პროზული ტექსტით) არ არის გამართლებული. აქვე მოგვაქვს ირანული სიტყვის ხმარების სამი შემთხვევა, არცერთ მათგანს პროზული „ვისრამიანი“ სათანადო ადგილას მაინც არ იცნობს:

ჯერ ქაბუკო ქცევა ლალო, კარგ ან დამო, კარგ უსულო
(358, 4)-

სახელოვანო ქაბუკო, აროდეს არსად ნამარდო (698, 2).
დროშა ტყეს გვანდა, ალაში ფურცელსა ხაზალოვანთა
(224, 1)-

სამივე დაყოფილი სიტყვა ირანულია და სწორი ტრანსკრიპციით არის ქართულად გადმოცემული. ირანულობას ამჟღავნებს შემდეგი ორი დაყოფილი სიტყვაც (60, 1; 60, 4):

მათ მიჯნურთ ცრემლთა ნაკადმან მართ დამაფიწყა ისალავთქვა, თუ ნუ ვიტყვი, რას მირჩევთ, ჰეი, არიფნო, ჩისალა?

ორგან არჩილი არაბულ-ირანული სახელწოდებით იხსენებს ქრისტეს („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“):

რას მერჩი, რას გარდმეკიდე, სამართალი ქნას ისამან (111, 4)-
მოიგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ (551, 2).

მაგრამ თუ ირანული სიტყვები არჩილისათვის მაინც შემთხვევითია, ეს არ ითქმის რუსულის შესახებ. არჩილის გვიანდელი ნაწერები რუსულს ბლომად შეიცავს, რუსიციზმებით გაელენთილია არჩილის როგორც ნათარგმნი ძეგლები (მაგალითად, „ალექსანდრიანი“¹), ისე ორიგინალური თხზულებანი. აქ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითზე მიყუთითებთ;

1. ეგება კიდევ სხვაც რამ ეთქვა, სულ რუსთა ენახო რა
ცარი (ზნეობანი. 4, 4).
2. ბედნიერი აღარ იყოს, აღარც ეთქვას მას ცარიცა
(ვისრ. 204, 4).
3. ვინცა ვეშიშვით უფალსა, არ მივიწვეით ბესისად¹
(ასდაათნი, 104, 4).
4. იგი ბოროტი, სატანას როტი (მეფეთა, 43, 1).
5. მცემს რასმ იმედსა, სიტკბოთი მედსა² (მეფეთა, 62, 7).
6. მიაშის ხლება, მე ამის ხლება ოდეს ვისერი
წინამდებარე (მეფეთა, 68, 1—2).
7. არ წარვალ შაროს წინაშე, ვეკვ, ვქამო იქაც მე ხლება
(ვისრ. 665, 4).
8. მე ტიტა პიტნა და პური სიტნა უფროს ვირჩიევ
ცრუთა საზრდელსა (მეფეთა, 89, 1—2).
9. მოვირთე შემწედ ამისდა წმინდათა კაცთა იკონი³
(ასეულნი, II, 65, 3).
10. ძმამ და ცოლად ვინ შეირთო, ან დამ ქმარად თავის
ბრათი (ვისრ. 160, 1—2).
11. ბაღე მოვსდვა სანადირო, ეს დიდი ზღვა მოვირიბო⁴
(ვისრ. 66, 4).

ვერსიფიკაციის ხაზით არჩილი ჩვეულებრივად იმეორებს რუსთველურ შაირსა და ჩახრუხაულს, ოღონდ ზოგიერთი გადახრებიც აქვს ამ კანონიზირებული მეტრებიდან. მაგალითად, პოეტი ხანდისხან იძლევა უშიაგანრითმო ოცმარცვლოვან „ჩახრუხაულს“ 98, 1-2):

¹ Б е с.

² М е д.

³ Икона.

⁴ ნაწარმოებია სიტყვისაგან Р ы б а.

ადამისითგან მოაქამომღე იქმნა ღიდ-ღიდი საკვირველება.

სამაგიეროდ მოეპოება შინაგანი რითმებით გაწყობილი შაირის სტროფები (მაგალითად, 79):

რა არია გარდარია, ძის სწორება მამის არო,
მისი მცნება, შემეცნება კარგა ვერვინ მოიხმარო.
ვლიდეს გზასა, არა მზასა, ვერ ნათელსა მიეკარო,
კაცი თუ სკეთეს ბორიტისდა, უმჯობეა ის იკმარო¹.

„თამარიანის“ ცნობილი სტროფის „თამარ წყნარი“-ს წაბად-
ვით არჩილს „მეფეთა საქებელსა და სამხილებელში“ შემდეგი აღ-
გილი მოეპოება (70):

გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი,
შვენიერი, ნივთიერი, არ-მცბიერი, სახნიერი,
მქონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი,
ამღონი ერი, ამქვეყნიერი, მონებრი არი გამგონიერი².

არჩილს შემოუღია ანბანთქების ერთი ახალი ფორმა „ანბანთ
ქება“ ახალი შემოღებული“ (არჩილიანი, 1, 255—261). პირველად
ვხვდებით „არჩილიანში“ შემდეგში გავრცელებულ „ამიცანა სათარგ-
მანებელ“ ლექსებს. არჩილსვე შემოუღია რაღაც „ჩარხებრ მბრუნავი
ლექსი“, რომელიც—უნდა მართალი ითქვას—სრულ უგემურობას
წარმოადგენს (ამ ლექსს ჰბაძავს ვახტანგი, შდრ. Описание, II,
404). ვირტუოზობას იჩენს არჩილი, როგორც სამართლიანად აღ-
ნიშნა პროფ. კ. კეკელიძემ (ქართ. ლიტ., II, 419) აკროსტიხებით.
იამბიკოებში ჩვენ ვხვდებით აკროსტიხულ მთელ სტროფებს და, ერთ
შემთხვევაში, ცალკე დამოუკიდებელ მოზრდილ ლექსსაც (შდრ.
ჩვენი „არჩილიანის ტექსტისათვის“, არჩილიანი, 1, გვ. XV).

¹ უკანასკნელ ტაეპში შინაგანი რითმა დარღვეულია.

² უკანასკნელი ტაეპი დაწერილია ოცმარცვლოვანი ჩახრუხაული საზო-
მით. სხვათა შორის, ამ სტროფს ძლიერი ნათესაობა აქვს „აბდულმესისათანაც“
(შდრ. სტრ. 97, ნ. მარის გამოცემით, T. P. IV, 1902).

არჩილმა ბევრი რამ შეიძინა წინამორბედი ქართველი მწერ-
ლებისაგან, კერძოდ—როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს—ის-
დიდათ არის დავალებული რუსთველითა და თეიმურაზით, განსა-
კუთრებით უკანასკნელით. თეიმურაზის გავლენით არის დაწერილი
არჩილის „სამიჯნურონი“, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავისი
პროტოტიპის უბრალო პარაფრაზს იძლევა. თეიმურაზის გავლენით
აქვს არჩილს გამოყენებული თვითონ „გაბაასების“ ფორმაც. ჩვეულ-
ებრივია არჩილისათვის თეიმურაზის პოეტური ხერხების გამეორება.
ისიც აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ჩა-
ნასახი თავდაპირველად თეიმურაზმა მოგვცა. რუსთველს ჰბაძავს
არჩილი პოეზიისა და მიჯნურობის თეორიით, აფორისტიკით, მეტ-
რიკით, გამოთქმებითა და პოეტური აქსესუარით...

მაგრამ თავისი მხრითაც ბევრი რამ მისცა არჩილმა ქართულ
მწერლობას: ის გახდა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების
დამმკვიდრებელი და მეთაური საქართველოში. ოღონდ აქ არ შეი-
ძლება არ მოვიგონოთ პოეტ ფე შ ა ნ გ ი ს ლეაწლიც. ფეშანგი, ზედ-
წოდებით ფაშვიბერტყაძე, იყო არჩილის თანამედროვე მწერალი,
კიდევ მეტი, არჩილისა და შაჰნავაზის ქარის მგოსანი. ტრაქტატ-
ში „მელექსეთათვის“ ფეშანგს შემდეგი სტროფი აქვს მიძღვნილი:

ფეშანგიმ ფაშვი-ბერტყაძემ ახლა თქვა ფირმალიანი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით ვით ლიტრიანი;
გებრალეზოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით თვალცრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი.

მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ ფეშანგს არჩილის და-
ვალებით „უთქვამს“ საშუალო ლირსების მოთხრობა „ფირმა-
ლიანი“ (რომელიც, სხვათა შორის, ჩვენამდის მოღწეული არ არის);
ეს საგულისხმო გარემოებაა. საქმე ისაა, რომ ამავე ფეშანგის ეკუთვ-
ნის დიდი ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“. უკანასკნელი მოგვი-
თხრობს შაჰნავაზ მეფის (და აგრეთვე არჩილის) ცხოვრების ამბავს
და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „თეიმურაზისა და რუსთველის
გაბაასებას“¹. ამავე დროს „შაჰნავაზიანის“ პროლოგში განხილულია
და თითქმის გადაწყვეტილიც „არჩილიანით“ ცნობილი ზოგიერთი

¹ შაჰნავაზიანი შეთხზულია დაახლოებით 1665 წელს (პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 346).

სერიოზული საკითხი. ფეშანგი საყვედურით აღნიშნავს, რომ რუსთველმა, სერაპიონმა („შაპ-ნამეს“ ქართული რედაქციის ერთი ნაწილის გამლექსავემ) და თეიმურაზმა „აქვს უცხონი, ინდო და არაბელია, ზოგი სხვაც ვინმე ახსენეს ცუდად ნადირთან ვლელია“. ფეშანგის აზრით რუსთველმა „შეატმასნა“ „ტყუილი“ ამბავი (10):

რას ეხელყვის საქებარად ტარიელ და ავთანდილი?
სად იცნობდეს უცხოს უცხო, ან რა ნახეს მათგან ქნილი?
ყველა ტყვილი შეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი.

ამრიგად, „უცხო“ და „ტყუილი“ ამბის გმობითა და ისტორიული თემატიკის გამოქომაგებით ფეშანგის აზრი ემთხვევა არჩილისას (თუმცა, რასაკვირველია, ფეშანგი მოკლებულია არჩილის სიმკვეთრეს, სიზუსტეს, სისტემატიკას და თანამიმდევრობას. ენის პრობლემა მისთვის არც კი არსებობს). ამიტომ შეიძლება ბუნებრივად დაისვას პრიორიტეტობის საკითხი. ამ საკითხს ჩვენ ფეშანგის სასარგებლოდ ვერ გადავწყვეტდით, მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად „შაპნავაზიანი“ უკრო აღრეულია, ვიდრე „არჩილიანი“. სხვა რომ არა იყოს რა, ფეშანგი იყო არჩილის ხელქვეითი პოეტი, მუშაობდა არჩილის უშუალო დავალებით და მითითებით. ჩვენ ისიც დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ ისეთს, შედარებით დაბალი ლირსებისა და დაბალი წონის პოეტს, როგორც იყო ფეშანგი, საკუთარი ინიციატივით დაეგმო რუსთველისა და თეიმურაზის ლიტერატურული მიმართულება. ასეთი კადნიერებისათვის ფეშანგს არც პოეტური ძალა ეყოფოდა და არც მოქალაქობრივი გამბედაობა. ჩვენი აზრით, ფეშანგი უნდა ამქალაქებდეს თავის პატრონთა წრეში (კერძოდ არჩილის წრეში) შემუშავებულ საერთო შეხედულებას. ასეთი შეხედულება, ალბათ, დროთა განმავლობაში მუშავდებოდა. აკი არჩილი თვითონ აცხადებს: „მათ მელექსეთ (ე. ი. რუსთველისა და თეიმურაზის) შედარება მრავალჯერ მესმოდა მე მეფეს არჩილს“-ო. დასასრულ ისიც აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია არჩილი არც კი იცნობდა ფეშანგის „შაპნავაზიანს“: თავის ტრაქტატში არჩილი ამაზე სიტყვას არ სძრავს, ხოლო სპეციალურად ჩერდება ნაკლები მნიშვნელობის მქონე „ფირმალიანზე“.

არჩილის უახლოესი მიმდევარია იოსებ სააკაძე (ტფილელი) თავისი „დიდ მოურავიანი“-თ. ეს შესანიშნავი (თუმცა ძალზე

ტენდენციური) ისტორიული პოემა არჩილის უშუალო ბრძანებით ყოფილა შეთხზული. წინასიტყვაობის პირველსავე სტროფში იოსები პირდაპირ იმოწმებს „არჩილიანს“:

მეფესა „ქართლის ცხოვრება“ ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთველის ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით.

შემდეგ ავტორი უშუალოდ მიჰმართავს არჩილს:

მეფევე, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშო შეილო,
ღრმის სიტყვისა აღმომცნობო და ძნელისა გამადვილო:
„ცოტა სიტყვა განმმარტე“—გებრძანა თუ—ჩემო ჩრდილო,
„შენ სიბრძნისა ვერ მიმწომო, მაგრამ რიტორთ კაცთა
ზრდილო“.

არჩილის „საქართველოს ზნეობათა“ შემდგომი დაზუსტება უკისრია თეიმურაზ მეორეს (1700—1762) „ღლისა და ღამის გაბასების“ სათანადო თავებში. თეიმურაზ მეორესვე ეკუთვნის არჩილით შთაგონებული „რუსთველთან გაბასება“¹. აქ ავტორი მთლიანად იმეორებს თავის პროტოტიპს. დიდი გავლენა მოახდინა არჩილმა დავით გურამიშვილზედ. პროფ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს ამ გავლენის მრავალი კონკრეტული ფაქტი². გურამიშვილი აგრძელებს და აღრმავებს არჩილით განმტკიცებულ ისტორიულ-პატრიოტულ მიმართულებას. გურამიშვილი იზიარებს და ავითარებს არჩილის დიდაქტიკას, მოძღვრებას სწავლა-განათლების შესახებ. არჩილის მიხედვით არის შეთხზული გურამიშვილის „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“³ და „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკობა“⁴. აქ გურამიშვილი იმეორებს არჩილის როგორც თემას, ისე იდეურ თვალსაზრისს. ერთი სიტყვით, გურამიშვილის პოეზია ხშირ შემთხვევაში მართლაც უნდება არჩილის მიერ წამოწყებული პრობლემების გარკვევას, მაგრამ—თქმა არ უნდა—მოწაფის შემოქმედებითმა გენიამ დიდად დაჩრდილა თავისი მასწავლებელი. არჩილის გავლენას არაა მოკლებული არც იესეტლ ა-

¹ ტექსტი გამოვკვეყნეთ „ანთოლოგიის“ მეორე წიგნში II, (177—179).

² ქართ. ლიტ. ისტორია, II 459—463.

³ დავითიანი, მეხუთე გამოცემა (აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით), ტფ., 1931, გვ. 186—192).

⁴ იქვე, 192—204.

შიძის „კათალიკოზ-ბაქარიანი“ და არც ისტორიულ-ნაციონალური მიმართულებით აღბეჭდილი სხვა რომელიმე ნაწარმოები. ზნეთსწავლულება და წუთისოფლის არჩილისებური განსაზღვრაც ქართული მწერლობის შემდგომი თაობის ჩვეულებრივად დამახასიათებელი მხარეა. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება არჩილის დიდი ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე. „არჩილიანის“ პუბლიკაციით, ვფიქრობთ, ბოლო მოეღება არჩილის შეუფასებლობას, მით უმეტეს, მისდამი აშკარად ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების ტაქსტისათვის

„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ დაუცავს შემდეგ რვა ხელნაწერს:

A—საქართველოს მუზეუმის წ. კ. კოლექციის № 424.

B—იმავე კოლექციის № 2663.

C—საქართველოს მუზეუმის ს. ს. ს. კოლექციის № 338.

D—აღმოსავლეთის მცოდნეობის საკვლევა-ძიებო ინსტიტუტის (ლენინგრადშია) ქართულ ხელნაწერთა ფონდის № 2⁷.

E—საქ. მუზეუმის ს. ს. ს. კოლექციის № 2116.

F—საქ. მუზეუმის წ. კ. კოლექციის № 418.

D—იმავე კოლექციის № 1729.

H—იმივე კოლექციის № 1543.

დასახელებული ხელნაწერებიდან მეტნაკლებ ინტერესს იწვევს პირველი სამი. D ხელნაწერი, როგორც „არჩილიანის“ პირველი ტომის წინასიტყვაობაშია გარკვეული, ძირითადად A-ს პირია. თავის მხრით D-ს უბრალო პირია E. F ხელნაწერი XVIII საუკუნის გასულს უნდა ეკუთვნოდეს, დეფექტურია, თავში აკლია 260 სტროფი და რედაქციულად A-ს მისდევს. DH გვიანდელია (XIX საუკუნის პირველი ნახევრისა), ხშირად შეიცავს წაკითხვების მხრით დამახინჯებულ ტექსტს, რედაქციულად A-ს იმეორებს, თუმცა სიმოკლითაც ხასიათდება.

A ხელნაწერის თაობაზე ვრცელი საუბარია „არჩილიანის“ I ტომში. აქ ის უნდა მოვიგონოთ, რომ A გადაწერილია 1701—1705 წლებში (ზოგიერთი ნაწარმოები შემდეგაც აქვს ჩამატებული) გივი თუმანიშვილის მიერ, შეიცავს არჩილის საკუთარ ჩანაწერებს, იძლევა უკანასკნელად რედაქტირებულ ტექსტს და ფაქტობრივ წარმოადგენს არჩილის თხზულებათა კრებულის („არჩილიანის“) ნამდვილ-

პირველ ხელნაწერ გამოცემას. ყოველივე ეს A ხელნაწერს დიდად ღირსეულად ხდის. დიდი ღირსებისაა B ხელნაწერიც. მეტიც, სიძველის მხრით B კიდევაც სჯობნის A-ს. „არჩილიანის“ სხვა ხელნაწერებთან ერთად B-ც აღწერილია (Описание, II, 163—165). აღმწერელი აღნიშნავს, რომ თუმცა გადამწერი უცნობია, მაგრამ „пришняя во внимание характер письма и филигрань бумаги, мы относим разбираемую рукопись к самому концу XVII века. Она, по всей вероятности, одна из ранних списков этого произведения“ (II, 164). აღმწერელს ისიც კი შეუნიშნავს, რომ ნუსხას შემოუნახავს „повидному“ არჩილის საკუთარი შესწორებანი. სამართლიანია დასკვნა: „Таким образом, не подлежит сомнению, что разбираемая рукопись просмотрена и исправлена самим царем Арчилом и некоторым образом является автографом“ (II, 165). მართლაც, ხელნაწერის დაწვრილებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ რამოდენიმე შესწორება უთუოდ ავტოგრაფული ხასიათისაა. ერთი სიტყვით, B ხელნაწერი უძველესია, შექველად XVII საუკუნის გასულისაა და ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონეა. სამწუხაროდ, ხელნაწერი ნაწილობრივად დეფექტურია, თავში დაკარგული აქვს 1—9, 19—26, 54—55 სტროფები და ვრცელი პროზული შესავლის დიდი ნაწილი, ბოლოში აკლია სტროფები 1047—1061. დიდ ინტერესს იწვევს B ხელნაწერი თავისი რედაქციული რაობით.

C ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს უმთავრესად არჩილის ტექსტებისას (შეიცავს აგრეთვე ვახტანგისა და დავით გურამიშვილის ზოგიერთ ნაწარმოებთ), უნდა ეკუთვნოდეს არა უადრეს XVIII საუკუნის შუა წლებისა. არჩილის ტექსტს, კერძოდ «გაბაასებას», ეტყობა დეფექტური დედნიდან ჩამომავლობა. ამ მხრით საყურადღებოა, რომ ხელნაწერი იწყება მოკლე სათაურითა და 77 სტროფით, ხოლო წყდება 1070 სტროფზე, თუმცა ბოლო ფურცელზე საკმაო თავისუფალი ადგილია დატოვებული. რედაქციულად C უფრო B-სკენ იხრება, მაგრამ ხშირად A-ს იმეორებს, ცალკე შემთხვევებში კი ორივესგან განზეა და დამოუკიდებელ წაკითხვას იძლევა. ამასთან C-ს თავისებური წაკითხვანი უმეტესად ტექსტის დამახინჯების შედეგია.

ამრიგად, «გაბაასების» კრიტიკული ტექსტის დასადგენად საუკეთესო წყაროა A და B ხელნაწერი, ნაწილობრივად C. დანარჩენი ხელნაწერები ანგარიშში მისაღები არაა.

A და B-ს საერთო ასპექტში შესწავლამ რედაქციული ხასიათის მრავალი საყურადღებო გარემოება გამოარკვია. A და B ხელნაწერი სხვაობს როგორც სტროფული შედგენილობის, ისე, და განსაკუთრებით, წაკითხვების მხრით. ამასთან A-ს ცხადლივ ემჩნევა ერთგვარი რედაქციული გამართულობა—დახვეწილობა. ვარიანტების დაპირისპირებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ზოგ და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში რედაქციული ნაირობა, რედაქციული გამართულობაც კი, მომდინარეობს რომელიღაც მდივან-მწიგნობრისაგან და არა თვით ავტორისაგან: აღნიშნულის საილუსტრაციოდ დამახასიათებელია 713 სტროფის შენიშვნა. A ხელნაწერში ეს სტროფი წარმოდგენილია ორი რედაქციული ტექსტით, ამასთან ძირითად ნაწილში შეტანილია ჩვენ მიერ ვარიანტულად მიჩნეული რედაქცია, ნამდვილი სტროფი კი აშიაზეა გატანილი და შენიშნული აქვს: „პირველი ლექსი ეს არის და მწერალს მაგიერ ის დაუწერიაო“. მაშასადამე, გადამწერს („მწერალს“) თავისი რედაქცია თვითნებურად შეუტანია ძირითად ტექსტში, ხოლო ავტორი უგულვებელუყვია, შემდეგში საკირო გამხდარა საავტორო რედაქციის აშიაზე მოთავსება. აშის ტექსტის ძირითადობას ისიც ადასტურებს, რომ B ხელნაწერი მხოლოდ მას იცნობს. შემდეგ-დროისად და მდივან-მწიგნობრის წვლილად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის სტროფი, რომელიც მხოლოდ A-ს ახასიათებს და B-სთვის უცნობია. ასეთი ექვსი სტროფია (64 ვარ., 65, 198, 713 ვარ., 8 5 ვარ., 1123). B-ს შემონახული აქვს პირველადი, ავტორის ხელიდან შავად გამოსული, ანუ „გაუმართავი“ ტექსტი.

აქ ერთი პრინციპული საკითხი ისმის: მართლაც ყოველთვის თვითნებურად იქცეოდა მდივან-მწიგნობარი, ე. ი. ტექსტის შესწორებისას მდივან-მწიგნობრივი პროფესიული ჩვევა იჩენდა თავს, თუ სხვა მიზეზია ამ მხრით საძიებელი. დასმული კითხვის საპასუხოდ საინტერესო ცნობას იძლევა 1123 სტროფი, რომელიც მხოლოდ A ხელნაწერში მოიპოვება. ეს სტროფი კონტექსტს სრულიად არ ეხამება, უადგილოდ არის ჩაჩხირული პოემაში და უდაოდ ჩანართს წარმოადგენს. აი ეს სტროფიც:

ეთქვა: „გამართე ლექსები, მომწყინდა სიტყვის ძებანი“.

მას ეთქვა ტკბილად გაწყობით, ვეს აქვს მეფისა ძებანი“.

მწერალსა ველარ ევარგა დაღრმობილთ გამოძებანი.

სახლსა ვერ ამკობს სართული, სწორებით თუ არ ძე ბანი.

ამის ზედმეტობას ადასტურებს B ხელნაწერიც. შინაარსის მხრით სტროფი დიდ ინტერესს იწვევს. მეორე ტაეპი უთუოთ არჩილს ჰგულისხმობს („ვის აქვს მეფისა ძებანი“, ე. ი. ვინც მეფის შვილია, ძეაო). მაშ, არჩილს უთქვამს: „გამართე ლექსები, მომწყინდა სიტყვის ძებანიო“. მაგრამ „მწერალსა ველარ ვვარგა“, ვერ შეუსრულებია პატრონის ბრძანება, ვერ მოუძებნია შესაფერისი „დაღრმობილი“, ე. ი. ღრმა აზრიანი სიტყვები. უკანასკნელ ტაეპში მოცემულია აფორისტულად განზოგადოებული დასკვნა: „სახლსა ვერ ამკობს სართული, სწორებით თუ არ ძე ბანი“, რაც ნიშნავს: თუ საქმის საფუძველი სწორი არ არის, გარეგნული შემკობა („სართული“) ვერას უშველისო. ამით, ცოტა არ იყოს, გაჰკილულია ყოველი პირველ-მთქმელი ავტორი, აქაო და თუ თქმული იმთავითვე უძგვანოდ გაიწყო, მწერლის „გამართვა“ სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებსო¹. ვინც არ უნდა იყოს 1123 სტროფის დამწერი, ის არც არჩილია და არც გამმართავი მდივან-მწიგნობარი, ის მესამე პირია. A ხელნაწერი კიდევაც ასახელებს ერთერთ რედაქტორ-რესტავრატორს. 64 სტროფის ვარიანტულ ტექსტს აშიაზე წითურით უწერია: გივი. ექვი არაა, ეს გივი თუმანიშვილია, არჩილის ცნობილი მდივან-მწიგნობარი და თვითონ ხელნაწერის გადამნუსხავი. 65 და 1123 სტროფებს კი აშიაზე მიწერილი აქვს ინიციალი ტ. თქმა არ უნდა, სწორედ ამ ინიციალს ამოფარებული პირია ზევით მოხსენებული მეორე ინტერპოლატორი, ავტორს რომ ერთგვარად ჰკილავს. სამწუხაროდ, დაბეჯითებით ვერას ვიტყვით ტარის ვინაობის შესახებ. საფიქრებელი კია, რომ ის იყოს ტფილელი იოსები. ამას ორი გარემოება ამართლებს:

1. უკანასკნელ ხანებში ცნობილი გახდა, რომ ტფილელი დიდად დახელოვნებული ყოფილა ინტერპოლატიურ საქმიანობაში²,

¹ აღსანიშნავია, რომ 198 დაწარით სტროფის ავტორი—ინტერპოლატორი არსებითად ეკამათება არჩილს, ცუდად ახასიათებს თვიმურაზს და საერთოდ აბათილებს „გაბაასების“ მთელ კონცეფციას:

რუსთელის ნათქვამი ზანდუკს ჰგავს მორათულსა ოქრო-თვალითა,
იაგუნდით და აღმასით სავსესა ჩანათვალითა.

კახის ბატონის—მორათულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,
არასფერითა სავსესა, არც ქვითა, არცა სალითა.

² ტფილელის ინტერპოლანტობა „ვეფხისტყაოსანში“ პირველად გამოარკვია პ. ინგოროყვამ, ეს საკითხი განხილული იყო იმის საჯარო მოხსენებაში 1934 წლის შემოდგომაზე.

კერძოდ მას „ვეფხის-ტყაოსანში“ ჩაურთავს როგორც ცალკეული სტროფები, ისე მთელი თავებიც კი. ზოგიერთი ინტერპოლირებული სტროფის აშიაზე ტფილელს მიუწერია ინიციალი ტარი.

2. იოსებ ტფილელი იყო ცნობილ მდივან-მწიგნობარი და პოეტი, თანამედროვე არჩილისა, არჩილის ლიტერატურული სკოლის მიმდევარი, კერძოდ არჩილის „გაბაასების“ დიდი გავლენის ქვეშ იყოფი. ტფილელის ისტორიული პოემა „დიდ-მოურავიანი“ შთაგონებულია არჩილის „გაბაასებით“. კიდევ მეტი, ის არჩილის პირდაპირი ბრძანებით ყოფილა დაწერილი, თანაც ტფილელს სპეციალური მითითებებიც ჰქონია მიცემული. ტფილელი „დიდ-მოურავიანის“ პირველსავე სტროფებში გვიამბობს:

მეფესა¹ ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთვლისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შეგება, სიამე. ხან ვარდი დანასრულობით,
სიბრძნე, ხნალი და ომები სიკვდილმდე აღსასრულობით.

მეფევ, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ
შვილო,
ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გაჰადვილო,
„ცოტა სიტყვა განმმარტე—გებრძანა თუ—ჩემო ჩრდილო,
შენ სიბრძნისა ვერ მიმწთომო, მაგრა რიტორთ კაცთა
ზრდილო“.

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება,
ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება,
საქართველოს დასუსტებას მით ბელაარ ექენება,
ამ ქვეყნისა შიგნით რევას ზოგს ოცნებით ეჩვენება².

მოტანილი ნაწვეტები ვგონებ საკმაო საბუთს იძლევა ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ე. ი. ტარი არ იყოს ტფილელი, თავისდათავად ფაქტია საგულისხმო: არჩილის ტექსტი სხვას გაუმართავს, „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“ რამდენიმე ინტერპოლანტის რამდენიმე ინტერპოლირებული

¹ იგულისხმება არჩილი.

² ციტირებულია საქ. მუზეუმის წ. კ. კოლექციის ხელნაწერ № 15-ის მიხედვით.

სტროფი შერევია. ორი ინტერპოლატორი ცნობილია. მაშასადამე, საქართველოში ისე ძლიერი ყოფილა ინტერპოლაციური მიდრეკილებანი, რომ თანადროული აეტორები და აეტოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერებიც არაა დაზღვეული ინტერპოლატორთა გავლენისაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრით არჩილი¹. უკანასკნელი თვითონ დაუზოგავად ამხელდა „ვეფხისტყაოსნის“ განთქმულ ინტერპოლატორ ნანუჩას (26):

ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამაუშღვრევია.
მასთან² რას სწერდა მის ლექსსა, სირეგენე მით მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია.

არჩილი სასაცილოდ იღებს ნანუჩობას (41,3):

კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო.

ამ ტაეპში საყურადღებოა გამოთქმა „ნანუჩაო“. ჩანს, არჩილი ამას ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს, ნანუჩობა მას ინტერპოლატორობის (ყალბისმქნელობის) აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ესმის. არჩილი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ნანუჩობას ქართულ მწერლობაში ძალზე ჰქონია ფეხი მოკიდებული და ბლომად ჰყოლია მფარველ-წამქეზებელნი („ვისრამიანი“, 719,4):

რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა-ო.

მართლაცდა, XVII ს. პირველი ნახევრის ცნობილი პოეტი შამუგა მდივანი თავაქალაშვილი ნანუჩას („ნანუჩარს“) „ტკბილი სიტყვების მხმოებელს“ უწოდებს და XII საუკუნის ქართველი კლასიკოსების გვერდით ათავსებს.

მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ნანუჩობის ეგოდენ მოძულე არჩილი ერთგვარად თვითონ გამხდარა ამ ნანუჩობის მსხვერპლი და, რაც მთავარია, ნებისთ თუ უნებლად თვითონვე შეუწყვია ხელი

¹ ერთი სტროფი ჩაურთავს არჩილის გალექსილ „ვისრამიანში“ აგრეთვე ბოქაულთუხუცესს, ფარემ ჩხვიძის-შვილსაც (იხ. არჩილანი, I, გვ. 140, სტრ. 46, შენიშვნითურთ).

² ე. ი. რუსთველთან.

ნანურობისთვის. ამ მხრით დამახასიათებელია თეიმურაზ პირველის მაგალითიც. „ქეთევან დედოფლის წამების“ ბოლოს თეიმურაზი აცხადებს (84): „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი-ო“¹, ოღონდ კატეგორიულ გაფრთხილებასაც იძლევა:

თქმული ჩემი ვინც შეცვალოს, კარგად იყოს, თუნდა ავი,
რჯულისაგან შეიცვალოს, რისხაეს მისი საესავი-ო.

თეიმურაზის პოემას მართლაც გამოსჩენია ინტერპოლატორ-გამგრძელებელი, ორი სტროფი ტექსტში ჩაურთავს სულხან-საბა ორბელიანსაც. ერთი სიტყვით, ინტერპოლანტობა უჩვეულო ამბავი არყოფილა საქართველოში. მსგავს პირობებში იოლი ასახსნელია „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციების წარმოშობაც.

A ხელნაწერის მიმართ რამდენიმე ზედმეტი სტროფი (90, 172, 1132) დაუცავს B ხელნაწერს. არავითარი ეჭვი არაა, რომ ყველა არჩილს ეკუთვნის. თარიღის აღმნიშვნელი ბოლო სტროფი სპეციალურ კომენტარიას არ საჭიროებს. 172 სტროფის ძირეულ ტექსტისადმი კუთვნილებას, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო დეტალი ადასტურებს: ერთერთ თავის პასუხში (208,) რუსთველი იმოწმებს:

ერთხელ ფხად სთქვი ჩემი ცოდნა, ახლა ბძანე გინდა სითმე.

ფხად კი რუსთველი ნაწოდებია მხოლოდდამხოლოდ B ხელნაწერით შემონახულ 172 სტროფში, სახელდობრ, სტროფის მეოთხე ტაეპში (სხვაგან ეს სიტყვა „გაბაასებაში“ არსად არ გვხვდება):

ძნელს საქმესა შეეჭიდე უმეცრულად, წ[ვ]ლილო ვით ფხავ-

მაშასადამე, 172 სტროფის არსებობას თვითონ ჰგულისხმობს „გაბაასების“ ნაანდერძევი ტექსტი. რაც შეეხება 90 სტროფს, საფიქრებელია ის თვითონ არჩილმა შეგნებულად გამოსტოვა, ცოტა-არ იყოს, უხამსი იგავური შედარებისა გამო:

ერთს ქვეყანას არ იყო და ვირს დაარქვეს მთვარისახარ,
თუ სცოდნოდათ მოახლობა და ენახათ ან ისახარ,

¹ არჩილსაც „ვისრამიანის“ მიმართ ანდერძად დაუგდია (720, 1): რაც დარჩა, ამის გაღვექსვას აღარვის დაგეცილები-ო.

ვირსა რადლა დაარქვამდენ, აგრე ბრიყვი რასთვისა ხარ?
-სხვა არ იყო, შენ გაქებდენ, რაზე პირჯვარს დაისახავ.

მართალია, B ხელნაწერი უფრო ძველია და უფრო ახლოსაა არჩილის ხელიდან ნუსხად გამოსულ ტექსტთან, მაგრამ ჩვენი გამოცემის საფუძვლად მაინც A ხელნაწერია მიღებული: A-ს ტექსტი უმეტეს შემთხვევაში უფრო გამართულობის შთაბეჭდილებას სტოვებს, ამასთან ის—როგორც აღენიშნეთ—წარმოადგენს არჩილის მიერ უკანასკნელად გადათვლიერებულ, ნამაჟილ ავტორიზებულ ხელნაწერ გამოცემას. A-სთან შედარებით B უნდა იქნას მიჩნეული პირვანდელ შვგ რედაქციად. ცალკე შემთხვევებში B ცხადლივ ამჟღავნებს უპირატეს წაკითხვებს და აქა-იქ კიდევაც ასწორებს A-ს lapsus-ებს, თუ სხვა დამახინჯებებს. ამიტომაც ზოგან B-მც ითამაშა ძირეული ტექსტის როლი. ხოლო A ვარიანტში მოექცა. იშვიათ შემთხვევებში ტექსტი დადგენილია თვითონ გამოცემის რედაქციის მიერ ხელნაწერთა მცდარი წაკითხვის წინააღმდეგ, ოღონდ ვარიანტები, რასაკვირველია, სრულადაა წარმოდგენილი. საერთოდ სრულადაა B ხელნაწერის ყველა ვარიანტი, არაა დატოვებული არცერთი აზრობრივად განსხვავებული წაკითხვა, მაგრამ მოვერიდეთ ზედმეტ პედანტიზმს და პარალელური ფორმების ამოწერას, როგორცაა მაგალითად: მამიპყრიან] მომიპყრიან 12,2; მაგრამ] მაგრა 14,2; კარგად] კარგა; კვლავ] კვლა და მისთანები. სანიმუშოდ ერთ ასეულ სტროფამდე ნაწევნებია C-ს ვარიანტიც. A-ს ყოვლად უმსგავსი „ვპოქვა“/ „ვპოქვი“—ყველგან გასწორებულია „ვსთქვა“/ „ვსთქვი“-თ.

ჩანართი სტროფები დაბეჭდილია განსხვავებული შრიფტით (პეტიტით).

ახლა ისლა დაგვრჩენია გავარკვიოთ, თუ როდის დაიწერა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთელისა“. ამ მხრით პოემას შემოუნახავს მთელი რიგი პირდაპირი მითითებანი. ბოლო სტროფსა და მის წინ ცალკე სათაურად გამოყოფილ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში არჩილი აცხადებს: „ეს ლექსი დასაბამილად ამ წიგნის გალექსვამდისინ რამდენი წელიწადი ჩამოსულა, და ამის დაწყებაზე რამდენის წლის ვიყავ, და აწ თქვენამდი რა მოვა სოფლის დასასრულამდი, გაუწყებსთ. ამის უწინ ქართულის ლექსით არ თქმულა, ესეც იცოდეთ, ქორონიკონი ლექსად“.

ვიწყე ოდეს ესე წიგნი წლისა ვიყავ სამათოთხ-ტნით,
დასაბამით წელიწადი ეს წასულა ჩემ არ ბასტნით,

შვიდიათას ას-ოთხმოცობრას, სათვალავს ნურას დასტმასნით, ეს ჯდებოდა ქორონიკენად, სხვას ასოსა ნუ დამეტნით.

როგორც დასაბამითი წელთაღრიცხვა, ისე ქართული ქორონიკონი და ავტორის დაბადების თარიღის დამოწმება იძლევა 1681 წელს. ამის მიხედვით „აღწერილობათა“ ავტორი (II, 163) და პროფ. კ. კეკელიძე (II, 357) მთელი „გაბაასების“ შეთხზვას ვარაუდობენ დასახელებული წლით. მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არაა. მართლაცდა, ბიბლიოგრაფიულ ცნობაში არჩილი ლაპარაკობს პოემის წერის არა დასრულებაზე, არამედ დაწყებაზე („ამის დაწყებაზე რამდენი წლისა ვიყავ... ვიწყე ოდეს წიგნი ესე...). ამასთან ავტორი სხვაგან კატეგორიულად აცხადებს, რომ პოემა დაუსრულებია რუსეთში ქ. ასტრახანს (1130,4):

აქ აშთარხანს გავათავე არჩილ მეფემ ასრე ზრდილმა-ო.

„არჩილიანის“ წინასიტყვაობად წამძღვარებულ გამოკვლევაში გარკვეულია, რომ არჩილი რუსეთში გადავიდა 1682 წელს: თერგს მისულა ის 1682 წლის ოცდაათ ივლისს, ხოლო ასტრახანს—იმავე წლის პირველ სექტემბერს. მაშასადამე, „გაბაასება“ ყოველ შემთხვევაში 1682 წლის სექტემბრამდე ვერ დასრულდებოდა.

მთელი თხზულება თქმულა 9 თვის განმავლობაში (1130):

ცხრა თვეს ყველა გავათავე, სულ ამაზედ არ მოცლილმა,
ოსეთს ვიყავ ფაიქომში, საქართველოს გამოცლილმა-ო.

ავტორს ისიც კი ზუსტად განუსაზღვრავს, თუ რომელი ნაწილი სად ითქვა (725,1):

ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს-ო.

ე. ი. პირველი 724 სტროფი შეთხზულია ოსეთს (ფაიქომში) 1681—1682 წლებში, ხოლო დანარჩენი ნაწილი ასტრახანში არა უადრეს 1682 წლის შემოდგომისა.

საყურადღებო ბიბლიოგრაფიული ცნობები დაცულია „გაბაასების“ პროზულ შესავალში და 725 სტროფის წინ სათაურად გამოყოფილ ჩანაწერში. აი ეს ცნობებიც:

1. „ამის ქორონიკონს ქვემორ ლექსად მოგახსენებ, როდის ითქვა. კიდევ ქვემორ ერთი ლექსი სხვა არის, ის გაუწყებთ. (იმ

ლექსს ზემოთ ორი გალექსული იამბიკო, რომ თავბოლო ლექსად არის, ერთის ანბანთქებით,—რომ ცხრა ლექსია,—ოსეთს და დვალეთს მითქვამს ორს [B ოთხს] თვესა). იმას ქვემოთს აწ აშთარხანს ვამბობ²“.

2. „ამას ზეით ლექსები სამისა ერთგვარი იამბიკოთ, რომ თავბოლო ლექსად აქვს, ერთს კიდევ სხვის იამბიკოთ ზეით-ქვეითი სტრიქონი და თავბოლო ლექსი აქვს, ცხრა ლექსი ანბანთქებისა ოსეთს არის ნათქვამი ქრონიკონის ლექსით ორმოცს დღეს“. მოტანილი ბიბლიოგრაფიული ცნობების გამო პროფ. კ. კეკელიძე შენიშნავს: „ამოდის, მთელი წინა ნაწილი პოემისა, 51⁷ ტაეპი, არჩილს დაუწერია ფაიქომში, ხოლო დანარჩენი ნაწილი 430 ტაეპამდე რუსეთს, ქ. აშთარხანს; სულ თხზულება მას ცხრა თვის განმავლობაში დაუსრულებია: ოსეთში შეთხზული ნაწილი მას დაუწერია... 40 დღეში, ხოლო ხელნაწერთა №№ 424 [A] და 1729 [G] პროზითი წინასიტყვაობით, ორს თვეს; ძნელი დასაჯერებელია, ნახევარზე მეტი თხზულებისა ორს თვეში (მით უმეტეს 40 დღეში) დაეწეროს ავტორს, ხოლო ნაკლების დაწერას შეიძლება თვეს მოსდომებოდეს; ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ უფრო სწორია ხელნაწერის № 2663 [B] პროზითი წინასიტყვაობის ტექსტი, სადაც ორი თვის მაგიერ ოთხი თვეა ნაჩვენები. ამნაირად, მთელი პოემა არჩილს დაუწერია 1681 წელს, 517 ტაეპი ოსეთს, ფაიქომში, ოთხი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 430 ტაეპამდე აშთარხანს, ხუთს თვეში“ (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 457: დაყოფა ავტორისა).

ჯერ ერთი, ოსეთში არჩილს უთქვამს 724 და არა 517 სტროფი (პროფ. კ. კეკელიძით ტაეპი), ხოლო აშთარხანზე მოდის 408 სტროფი¹. მეორე და, რაც მთავარია, პროზული შესავლის მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული ნაწყვეტი და მთელი მეორე ჩანაწერი ჰგულისხმობს არა „გაბაასების“ ტექსტს, არამედ აკროსტიხულ იამბიკოებს და ანბანთქებას „ასულ ასულა“ (იხ. არჩილიანი, I, გვ. XVI). „გაბაასების“ თაობაზე პროზულ შესავალში შენიშნულია: „ამის ქორონიკონს ქვემოთ ლექსად მოგახსენებ როდის ითქვა. კიდევ ქვემოთ ერთი ლექსი სხვა არის, ის გაუწყებლთა“. მაშასადამე, „გაბაასების“ ქორონიკონი ავტორს ლექსურად ჰქონია გამოთქმული. ესაა სტროფები 725 და 1132. ამრიგად, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ,

¹ პროფ. კ. კეკელიძეს, ჩანს, სტროფების რიცხვი ნაჩვენები აქვს პ. იოსელიანის გამოცემული ნაკლული ტექსტის მიხედვით.

რომ „გაბაასების“ ერთი მოზრდილი ნაწილი (725 სტროფის ჩათვლით) შეთხზულია რუსეთში გადასვლამდე 1681—1682 წლების მიჯნაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი თქმულია ასტრახანში არა უადრეს 1682 წლის შემოდგომისა. ჩვენ ღიად ვტოვებთ საკითხს პროზული შესავლის ორი, თუ ოთხი თვის თაობაზე, რადგან დაბეჯითებითი საბუთი არ არსებობს არცერთის სასარგებლოდ; ისე კი თითქოს უფრო სწორი უნდა იყოს ორი თვე, რადგან მეორედ შესატყვის თარიღად მიჩნეულია ორმოცი დღე.

ქართული ალექსანდრიანი

ძველ საქართველოს პოპულარულ საგმირო თხზულებათა რიგს ეკუთვნის განთქმული „ალექსანდრიანი“. ეს ნაწარმოები შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის ვრცელ ზღაპრულ-ფანტასტიკურ თავგადასავალს და მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას როგორც საისტორიო წყარო. მაგრამ თავისი საინტერესო თემით და მიმზიდველი სამხედრო-ფალაენური ამბების სიუხვით „ალექსანდრიანი“ სამაგალითო საგმირო-სარაინდო რომანად იყო მიჩნეული საშუალო საუკუნეებში.

შედარებით უფრო გავრცელებული იყო „ალექსანდრიანის“ ე. წ. ფსევდო-კალისტენისეული რედაქცია. ამის გვერდით კარგად იყო ცნობილი აგრეთვე გამოჩენილი სპარსელი პოეტის, ნიზამი განჯელის „ისკანდერ-ნამეც“, ანუ იგივე „ალექსანდრიანი“. ფსევდო-კალისტენისეული „ალექსანდრიანის“ ქართულ ენაზე არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია ჯერ კიდევ IX-X საუკუნიდან¹. მაგრამ იმდროინდელ ტექსტს ჩვენამდის არ მოუწევია. სამაგიეროდ მესამე პერიოდიდან დღემდის ცნობილი იყო „ალექსანდრიანის“ ორი რედაქცია: ერთი პროზითი და ერთიც გალექსილი.

აღ. ხახანაშვილმა ექვმიუტანელად გამოარკვია, რომ ქართული „ალექსანდრიანის“ პროზული რედაქცია გადმოთარგმნილი ყოფილა სერბულიდან (შესაძლებელია რუსული გზით). ოღონდ მთარგმნელს ალაგ-ალაგ შეუმოკლებია და ალაგ-ალაგაც ოდნავ გაუყვრია თავისი ტექსტი². აღ. ხახანაშვილმა სისწორით გამოარკვია აგრეთვე მთარგმნელის ვინაობაც, რამდენადაც ამ საგანზე პირდაპირ ცნობას იძლევა გალექსილი „ალექსანდრიანის“ პროლოგი:

¹ პროფ. კ. ქეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები („უნივ. შობაზე“, III, 48-51) და ქართ. ლიტ. ისტორია, II, 28-30.

² Грузинская повесть об Александре Македонском и Сербская Александрия (ЖМНП, 1893, IX, 241-252); აგრეთვე მისივე „Очерки“, III, 100-112 და მოკლე წერილი „კვალში“ (1893, № 20).

ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყნად იყო დებული, ჟამთა სიგრძისა ძველქმნითა ყოვლს ქვეყნად დავიწყებული, გარდმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული, მიბრძანეს, ლექსად გამოვთქვი, მსმენნო, იყვენით შვებული.

ზოტანილი მოწმობით ცხადი ხდებოდა, რომ „ალექსანდრიანის“ მთარგმნელი უნდა ყოფილიყო არჩილი (1647-1713), რომელიც 1699 წლიდან სამუდამოდ განშორდა საქართველოს და რუსეთში დაესახლა. სავსებით მართებული იყო ალ. ხახანაშვილის მოსაზრებაც, რომ გალექსილ „ალექსანდრიანს“ სწორედ არჩილის პროზული თარგმანი უნდა დასდებოდა საფუძვლად. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ გამლექსავის ვინაობა და გალექსვის დრო, თუშეცა ამ მხრივაც მოიპოვება საყურადღებო ცნობა ტექსტის ბოლოში:

ვინებე პეტრე გალექსად ამა ალექსანდრიანისა.

პ. ყვიციარიძე ფიქრობდა, რომ ეს პეტრე განათლებული სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო და თხზულების გასალექსავად ბრძანება უნდა მიეღო უშუალოდ არჩილისაგან¹. დაახლოებით ამავე აზრს ადგია ალ. ხახანაშვილიც². ვინმე თადეოზ ბერაძე „ალექსანდრიანის“ გამლექსავ პეტრედ სთვლიდა XVIII ს. გასულისა და XIX ს. პირველი ნახევრის მოღვაწე პეტრე ლარაძეს (ყარიბს): „ალექსანდრიანის“ ლექსთა წყობა პეტრე ლარაძის ლექსებს ძლიერ წააგავს-ო³. პეტრე ლარაძის ავტორობას (გამლექსველობას) უქანასკნელად იცავდა პროფ. კ. კეკელიძე⁴.

უნდა ითქვას, რომ მკვლევარნი უმართებულოდ აძსგავსებენ „ალექსანდრიანისა“ და პეტრე ლარაძის პოეტურ ენას. „ალექსანდრიანის“ გამლექსავისათვის სრულიად უცხოა აგრეთვე ლარაძის თავმომწონე და ამპარტავენულად კანონური კილო. სიმპტომატიურია ის გარემოებაც, რომ თავის თხზულებებზე მითითებას ჩვეული ლარაძე ერთხელაც არ ასახელებს „ალექსანდრიანს“.

¹ კრებული „ცდა“, ქუთაისი, 1889, I, გვ. 229.

² Очерки, III, 110.

³ „ივერია“, 1900, № 284.

⁴ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 215-216.

სამწუხაროდ არავინ მიაქცია ყურადღება ანტონ კათალიკოსისა და იოვანე ბატონიშვილის პირდაპირ ცნობებს ჩვენი საკითხის თაობაზე. ანტონს თავის ცნობილ „წყობილ-სიტყვაობა“-ში ერთგან ცალკე თავად აქვს გამოყოფილი „თვის მამისა პეტრე მონოზონისა ჩხატარისშვილისა, გურიელისა“¹. ამ პეტრეს შესახებ იქ იკითხება:

პეტრე მესტიხე, მეშაირე მაღალი,
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს თ ა დ ი დ ის ა თ ა მ ო მ თ ხ რ ო ბ ი;

ისტორიათა, შაირთა შინა სიბრძნით
კაცი რიტორი, შვენიერ მოუბნარი,
სიბრძნის-მოყვარე, სიბრძნისათ შედგომილი.
პეტრე საქებ არს პიიტიკათა შინა,
ხოლო სხვათაცა აზნაურთა სწაველათა
მაღალ გამომტქმელ სადიდებელად ღვთისა.
მონოზონებრთა ქცევათა შინა კმადლა
გამოცდილ ყოვლად, ამით ჩვენდა საქებელ.

ამავე პეტრეს შესახებ იოვანე ბატონიშვილიც გვაუწყებს:

„მამისა პეტრე ჩხატარაძისა გურიელისათვის. მამა პეტრე: გურიელი ჩხატარაძის-ძე იქმნა სიყრმითგანვე მონოზონ. მან ისწავა-ხელდითი ხელოვნება და იქმნა მეცნიურ და წერილთა შინა გამოცდილ. ამან შეაწყო ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა მშვენიერ 'ენასა ზედა. ამანვე აღსწერნა მრავალნი კარგნი სტიხნი და შაირნი. ეგრეთვე განსწავლნა მრავალნი მოწაფენი და კეთილისა მონოზონობისა წესით განვლო ცხოვრებჯ თვისი“².

ამრიგად, ანტონ კათალიკოსისა და იოვანე ბატონიშვილის ფრიად ავტორიტეტული მოწმობით „ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობი“ და „გამწყობი“ (გამლექსავე) ყოფილა გურული პეტრე ჩხატარაძის-ძე. არც რაიმე საბუთი არსებობს მოტანილ მოწმობაში ექვის შესატანად. ამიტომ უდაოდ ცხადი ხდება, რომ „ალექსანდრიანის“ გამლექსავე მართლაც პეტრე ჩხატარაძის-ძე ყოფილა და არა სხვა რომელიმე პეტრე. მაგრამ ეს თავისდათავად ურყევი დებულება კიდევ ზედმეტად დაადასტურა „ალექსანდრიანის“ ხელნაწერების შესწავლამ...

¹ „წყობილსიტყვაობა“, 1853, გვ. 275 [სტროფები 785-786].

² მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, „ძველი საქართველო“, განყ. III, 21.

ერთი რიგის პროზული „ალექსანდრიანის“ ტექსტებს სათაურშივე წამძღვარებული აქვს ჩვეულებრივად წითურით შესრულებული შემდეგი საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა: „ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა საქართველოს სამთა საპატრონოეთა: იმერთა-ოდიშ-გურიის აქიმის და განმგებელის და დიანისა ბეჟანისათა და დისწულისა მათისა შვილებრ აღზრდილის და შეყვარებულის; ღვაწლისა მძლისა, ახოვნისა სარდლისა, წმიდის გიორგის სეხნისა, მისებრ ქრისტეს მოყვარისა და მის მიერ შეყვარებულის ჩიჩუას გიორგის ბრძანებით—მე მდივან-მგალობელმწიგნობარმან ჩხატარას-ძემან პეტრე რუსეთით მოღებულის ამბავისა განგარდმოღებით გავლექსე და აწ ხელახლა გამოთქმით ამბათ აღმიწერია წიგნი ესე“.

უკანასკნელი საბუთითაც უწინარესად ყოვლისა ცხადი ხდება, რომ „ალექსანდრიანის“ გამლექსავია პეტრე ჩხატარაძე და რომ გამლექსავს ხელთ ჰქონია „რუსეთით მოღებული ამბავი“, ე. ი. რუსულიდან (თუ სერბულიდან) ნათარგმნი პროზული ტექსტი [ტერმინი „ამბავი ძველ ქართულში თავის ჩვეულებრივ მნიშვნელობას გარდა აგრეთვე პროზასაც ნიშნავდა]. მოწმობა შეიცავს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცალკე დეტალებს: სახელდობრ, რომ ტექსტის გალექსევა ნაბრძანები ჰქონია არა უშუალოდ არჩილს (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა), არამედ იმერთ-ოდიშ-გურიის განმგებელ ბეჟან დადიანს და მის დისწულ გიორგი ჩიჩუას.

ბეჟან დადიანი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, რომელიც 1728 წელს გარდაიცვალა¹. მაშასადამე, 1728 წელი ე. წ. post quem non-ია, ე. ი. ისეთი თარიღია, რომლის უგვიანეს თხზულება ვერ შეიქმნებოდა. თანაც ტექსტი გალექსილი უნდა ყოფილიყოს არჩილის გარდაცვალების შემდეგ (არჩილი 1713 წ. გარდაიცვალა), რამდენადაც ამის უფლებას გვაძლევს წარსული დროის ფორმა: „გარდმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული“-ო. ამით „ალექსანდრიანის“ გალექსევა მოდის XVIII ს. პირველ მეოთხედზე, უფრო ზუსტად 1713-1728 წელზე². სხვა საბუთებითაც სწორედ

¹ იმერთის ისტორია, ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 77.

² თუმცა აღსანიშნავია, რომ გალექსილი „ალექსანდრიანის“ ერთერთ უძველეს ხელნაწერს (წ. კ. № 355) დართული აქვს ხევეული მინაწერი: „მეფე არჩილ და ქეთევან“. ეს მინაწერი ძალიან გვაგონებს არჩილის ხელრთვის (ქეთე-

ამ დროს არის ცნობილი პეტრე ჩხატარაძის-ძე. გიორგი გურიელის ერთერთი შეწირულების სიგელი, რომელიც 1713 წლით არის დათარიღებული, დაწერილია -ხელითა მდივან-მგალობელ-მწიგნობრის პეტრესითა¹. „მდივან-მგალობელ-მწიგნობრად“ იწოდება პეტრე „ალექსანდრიანის“ უკვე ზევით დამოწმებულ მინაწერშიც. საყურადღებო ისიც არის, რომ პეტრეს შეუთხზავს მოხსენებული გიორგი გურიელის ხოტბა, რომელიც იმდროინდელი გურიის ისტორიული ამბის მიმოხილვასაც შეიცავს².

ამრიგად, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ „ალექსანდრიანის“ არჩილისეული თარგმანი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ალექსად გაუწყვია გურიასა და სამეგრელო-იმერეთში განთქმულ „მდივან-მგალობელ-მწიგნობარ“ და პედაგოგს (პედაგოგად რაცხს მას „მცირე უწყება“) პეტრე ჩხატარაძის-ძეს.

მაგრამ არც თუ მარტო არჩილის პროზული ტექსტის გაწყობით (გალექსებით) დასრულებულა ჩხატარაძის-ძის ღვაწლი „ალექსანდრიანის“ მიმართ. უკვე ციტირებულ მინაწერში პეტრე ჯერ აღნიშნავს „რუსეთით მოღებულის ამბვისაგან გარდმოღებით გაელექსე“-ო დაშემდეგ განაგრძობს: „და აწ ხელახლა გამოთქმით ამბად აღმიწერია წიგნი ესე“-ო. ე. ი. ტექსტის გალექსვის შემდეგ ის ხელმეორედ დავაშუშავე პროზითო³. მართლაც-და, ეს შესანიშნავი მინაწერი დართული აქვს „ალექსანდრიანის“ პროზულ ვერსიას (არა არჩილის რედაქციისას). ჯერ კიდევ ალ. ხაზანაშვილმა აღნიშნა, რომ გამლექსავმა თავის პოემაში შეიტანა ქართული ცხოვრების დამახასიათებელი მოტივები⁴. ახალი პროზული ვერსია ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის და დიდად განსხვავდება არჩილის ნაანდერძევი ტექსტისაგან. ამაში დასარწმუნებლად საკმაო იქნება სათანადო პარალელური ნაწყვეტების დაპირისპირება. სანიმუშოდ ავიღებთ ალექსანდრესა და როკსანას ქორწილის ეპიზოდს:

ვანიც არჩილის ცოლს ერქვა) და არაა გამორიცხული, რომ სწორედ მისეულად (არჩილისეულად) ჩაითვალოს. თუ ეს ასეა, მაშინ რამოდენიმედ შეიცვლება ტექსტის გალექსვის post quem non თარიღი და ისიც ცხადი გახდება, რომ გალექსვა მთარგმნელის სიცოცხლეში მომხდარა.

¹ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართვე. საეკლესიო საბუთები, I, 108-109 გვ.

² ამ თხზულების ერთი ნაწილი ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ანთოლოგიის“ მეორე წიგნში (1928 წ., გვ. 159—160).

³ ალბათ, ზმიტომაც არის, რომ ანტონი პეტრეს „მესტიხეობის“ გარდა „ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობს“ უწოდებს.

⁴ Оперки, III, 110.

და შემდგომად ამისა გვირგვინოსან იქმნა როკსანასთანა. ხოლო როკსანა იყო უფროსი შვენიერი ყოველთა დედათა ქვეყანისათა, არა მარტივითა შვენიერებითა ხორცთათა, არამედ სულითაცა კეთილის მოქმედებითა შემყულ იყო (არ ჩილის რედაქცია, წ. კ. № 111, გვ. 50—51).

ქორწილი ალექსანდრესი და შერთვა როკსანა სპარსთ მეფის
ააულისა, უბროსა და წარჩინებულისა

როკსანა ასული სპარსთა მეფისა დარიოზისა იყო უებრო და კეთილქმნილი აგებულებით და შვენიერ ჰაეროვნებით. რამეთუ ქებისა ხმა, ვითა მზისა შარაევანდედი, განფენილიყო კიდით კიდემდე ქვეყანისა. რამეთუ ესოდენი ზარი და მძვინვარება, ზავთხეიმი განფენილიყო ყოველსა ქვეყანისა პირსა. დარიოზს ვერა რომელნი ქვეყანისა მპყრობელნი ჰკადრებდიან მზახლობასა. იყო უმანკო და წრფელ, თმით გრუზ და მწყაზართვალ-წარბსათ, ყელ-ყური ძოწ-სადაფ, კბილ წყობილ მარგალიტ და ბაგე-ლაწვ ლალ-ბადახშ მქვირვალ, ცხვირ სტვირსოთ, ენა და სიტყვა მღუმარ და თაფლ გოლეულ, ჰაედონ-ბულბულ-ებრ მქიკქიკებელი, უშლელ ვარდ-ძუძუ კოკებედ გამომუტყული. მკერდ დრუნგლის ფიცრებრ, ვეცხლ ხალასებრი კისერ-მკლავ-მაჯა, ოქროთ შთამოსმულ თითნი ხელთა მისთანი. ტანსარო, ალვისა ნორჩ, სურნელ შტახს-კასია და კინამოდ ნაზმარად მუშკ-ამბრეული, ედემით გამომავალი ვარსკვლავი, ნათლისა მზისა სხივებთა სურნელებათა მიმფენელი. ამის პირ-მზისა ქალისა ბრძანა ალექსანდრე: არა ძინდა შერთვა ცოლისა, მაგრამ დარიოზს მეფესა ღმერთი თავსმდებად მიეცე, მისგან კიდე სხვა არა მინდეს ცოლად ჩემდა, და ესეცა განგები-საგან აღესრულოს. და იწყეს კაზმად ყოველთა საქორწილოთა მოკაზმულებათა ქალთა და კაცთა ბოლუქ-ბოლუქად და ხოროდ გაწყობილთა ქვეყნითი-ქვეყანად და ქალაქითი-ქალაქად. წერილთა შეიქმნა განტეგება ყოველთა მეფეთა და ხელმწიფეთა, ერისთავთ-ერისთავთა და სპასალართა, აზნათა და ვითაზთა, და ყოველთა მდიდართა და გლახაკთა მიუმცნეს ესრეთ, ვითარმედ: „მე დიდმან მაკედონელმან ალექსანდრე, სრულიად ქვეყანისა მპყრობელმან, ძალითა ღვთისა საბაოთისათა ესძლიე. მეფესა დიდსა და ძლიერსა სპარსეთისასა დარიოზს და მოიკლა ომსა შინა. და მე დავიპყარ ქვეყანა სპარსეთისა და ასული მისი პირმზე როკსანა მან პირითა თვისითა მომცა ცოლად. შეამდგომელობითა ღვთისათა მნებაეს შერთვა მისი და,

ვისცა გესმასთ ბრძანება ესე ჩემი, ადრე მოიწიენით წინაშე ჩემსა ძღვნითა შვენიერთა და პატიოსნითა. ადრე მოისწრაფენით, რამეთუ სპარსეთით აღმოსავლად წიაღსღვა მეგულვების“. და ვითარცა სცნეს, მოიწივნეს ყოველნი მეფენი დასავლეთისანი, სამხრისა და გარემოს შორ-მახლობელნი, ერისთავთ-ერისთავნი, ამირსპასალარნი, აზნანი და ვითაზნი, სულტანნი და თავადნი და აზნაურნი, დედოფალნი და ბანოანნი; და დედოფალიცა აღუმპიადე, ვითარცა ქვეყანისა მპყრობელისა, საყვარელისა ძისა თვისისა ალექსანდრეს ქორწილსა ზედა. მოვიდნენ ყოვლითა კერძო ძღვნითა და არმაღანითა მრავალ სასყიდლისათა. ვითარცა იყვის ყოველთა მეფეთა უმეტეს და უძლიერეს, უმდიდრესი და უწარჩინებულესი მიმსგავსებულისა ქორწინებისა ლხინნი და მუშაითობანი, აღმზადნეს ქნარ-წინწილ ორღანო და ვითარცა მეფისა და წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა სირინიამელი. მას აქენდა სტვირი სამათას პირად-პირადად მხმობელი; რამეთუ სიტკბოებისაგან მისისა მთრვალივით კაცი ჰქვიანი შეეცვალებოდის, და ყოვლისა ქვეყანისა მკერელებდა. საზანდრებთაგან ხმები სასიხარულოდ აღიძვროდის გულებსა მოლხინეთასა. მეფეთა და დიდთა ხელმწიფეთა, ყოველთა ქვეყანისათა დიდებულთა ბედაურ-ცხენთა ოქროანთა ზედა სხდომანი და დგენანი, ბურთ მოასპარეზობანი დაიწყებოდინ და გარდანაქსოვთა კედება გახშირდებოდინ. ბანოანთ კეკლუცობა და ნაზად ჰაეროვნება ზოალ-მუშტარსა სწორევედის. უმეტეს აღუმპიადესა და სძლისა მისისა როკსანას შეყრა და მათი ურთიერთარს სიყვარული იგავად იქადაგებოდის, მათ უებროთა და უმაგალითოთა შეყრითა ცისკარი აღმობრწყინდებოდის და მთოარე ქოისტანს გათხუთმეტდებოდის, და ელვა-ეთეროან იქმნებოდის, მზესა ბაკნი მოეძარცოდის, და ნესტანდარეჯან ქაჯთაგან დაიხსნებოდის, და არაბეთით მოვანება გათინათინდებოდის, იოსებს ზილიხა ეტრფიალებოდის და ბაზიყა უნაწილოდ გარდახდებოდის, შაჰი მოაბად მოაკლდებოდის და რამინ გავისდებოდის, სად გაუქმდებოდის, დალალმანო გამზემასულდებოდის, ლეილ უფრტვინველ-ვარდ გასაროტანდებოდის და უქმად მაჯნუნი გამიჯნურდებოდის მეფეთა შორის სვე-დოვლათიანობით და შარიერობითა. აგრეთვე დედოფალთა შორის აღუმპიადეს, დედასა ალექსანდრესსა, და როკსა-

ნასა, ასულსა დარაოზისსა, არცა პირველნი, არცა შექმდგომნი არა ედარებოდინა.

ამისთვის განითქვა სახელი და ქება კიდემდე ქვეყანისა და ქმნეს ლხინი და განცხრომა საკვირველი და ყოვლად მიუთხრობელი, რომლისა მსგავსი არცა ქმნილ არს და არცა ყოფად არს.

დიდისა მეფისა ალექსანდრეს საჯდომათ დასდგეს ტახტი დარიოზისა ყვითლისა იაგუნდისა, ევოდენნი ძვირფასნი და პატიოსანნი თვალნი სხდეს მას ზედა მჯდომელსა, ზრუნვა და ნაღვლი გულსა შინა არა შეუვიდოდის. და დაირქვა თავსა ზედა გვირგვინი ერთისა ქვისა ძოწისა ინდურისა, კვიროზ სპარსთა მეფისა, ვინც ღირს იყო დარქმასა მისსა. ვერ და-
აწრობდა ლხინი, არამედ უფრო და უფრო უმეტეს მოუნდის. მას ტახტსა ზედა აღიყვანეს როკსანა ყოვლად ქებული და დასვეს გვერდით ალექსანდრესსა გვირგვინოსანი, რომელსა ანდამატისა გვირგვინი თავს ერქვა. კვლად გვერდით ალექსან-
დრესა ზრწყინვალე ტახტი ღვა და მას ზედა მზე ალუ[მ]ქიადე დედოფალი დაბრძანდა; და ერქვა თავსა გვირგვინი ზურკუხ-
ტისა, რომელი ღირდა ფასად ქვეყანისა. და როკსანას გვერ-
დით ტახტსა დარიოზისა ცოლი ჯდა და სხვანი შემდგომნი დედოფალნი თვის-თვის ტახტსა ზედა სხდენ. ეგრეთვე ყო-
ველნი მეფენი და სულტანნი, ერისთავთ-ერისთავნი, ხალარ-
ხანნი, აზანნი და ვითაზნი, და მათნი გამგებელნი ხუთნი გული-
თაღნი და საჩინონი თვისნი დიდებულნი.

მოიღეს, ვითარცა შეგვანდა მის თავისა ქორწილსა. არა სადა იხილვებოდის, თვინიერ ოქროსა წმინდასა, არცა სპი-
ლენძი, არცა ეცხლი, არცა რვალი და კალა. ყოველივე ოფაზისაგან წმინდისა ოქროსა. მინანი იაგუნდისა, ლალი-
სანი და ზურმუხტისანი, ეგრეთვე საწდე, ჯამნი და ფიალნი. ქვევრები იყვნეს ოქროსა და ბროლისანი. და ფერად-ფერადნი სასმელნი ესხნეს საწდევლად ყოველთა. მაშინ რომელიცა მოიღეს, ყოველივე სანუკვარნი და ძვირფასად მომზადებულნი იყვნეს. აღდგეს ათასნი მეფენი და ხელმწიფენი და აღიღეს ათასნი ჯანნი და ათასნი ფიალნი ოქროსა, დალიენეს, თაყვა-

ნისცეს ალექსანდრეს და დალოცეს და მოახსენეს: „ცხონდი უკუნისამდე, მეფეო ალექსანდრე, და აღ[გ]ამაღლოს ღმერთმან და განაძლიეროს მეფობა შენი!“ და ათასთა მათ მეფეთა და სულტანთა, სპასალართა, ერისთავთ-ერისთავთა «გაამოს» მოახსენეს და მდაბლად მადლნი გარდუხადეს. ეგრეთვე მათცა დალივნეს, დალოცეს. და ათასთა ვითაჴთა, აზანთა, თავადთა მდაბლად მადლი მოახსენეს. ხოლო ალექსანდრეს ყოველთა თაყვანისციან, დალოცვიდიან, აქებდიან და ამალლებდიან. და ათასნი იგი ორასთა სხვათა თავადთა და აზნაურთა დაუღვედიან და ყოველნი სულნი ალექსანდრეს თაყვანისცემდიან, დალოცვიდიან და ქებასა შეასხმიდიან. ყოვლის კიდითგან ისმოდის ხმა ტკბილი მგოსანთა და საზანდრებთა, უმეტეს ხმანი ამონი სირინამელისანი. მეტის სიტკბოებისაგან კაცი გონებისაგან განვიდის სმენითა მისითა. და არა იყო უმეტეს შევნიერ მას ჟამსა და სასურველად საქერეჴელ, არცა სატრფიალო მსგავსი ალექსანდრესსა—ლომებრ ასოანი ჭაბუკი, უებრო თვალად და ჯავარ-სრულობით; შუა მზისა და მთოარისა ჯდა სიხარულით და განცხრომითა.

კვირიაკესა ერთსა ამა ლხინსა და განცხრომასა შინა გარდავლეს. მერმე განახვნეს ძველნი და ახალნი სალარონი და ზარდახზანთა კარები, და გამოიხვნეს ურიცხვნი და დაუტეჴარნი, და მიფინეს საბოძკარი დიდთა და მცირეთა ყოველთა; და აღავსნეს ყოველნი ოქროთა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, და მადლიერ ყვნეს ყოველნი, და აღასრულეს ქორწილი იგი ათორმეტსა დღესა.

განვიდა ბრძანება ალექსანდრესი მეორმოცდაათესა მე[ე]-რგასესა ნოსვლად ყოველთა ლაშქართა და წარსვლად აღმოსავლად. რომელიცა სიშორისაგან ვერა მოვიდოდა, არა განუშენა, შემდგომად ქორწილისა მის. იყვნეს მის წინაშე ლხინ-შეებით და განსვენებით.

(ჩხატარაჲს-ძის რედაქცია, წ. კ. № 1514).

მოტანილი ტექსტების შედარება ნათელყოფს მათ მნაშენელოვნად სხვადასხვაგვარობას. „ალექსანდრიანის“ არჩილისეული და ჩხატარაძისეული რედაქციები არსებითად განსხვავდება ერთერთისაგან, თუმცა უკანასკნელი რედაქციის ძირითადი წყარო

პირველისაში უნდა ვეძიოთ. ჩხატარაძესძე, რა თქმა უნდა, სისწორით იმეორებს არჩილის ნათარგმნი ტექსტის ფაბულურ მხარეს, მაგრამ მასალის დამუშავებაში უსათუოდ დიდ თავისუფლებას იჩენს. ცალკე წვრილმანებს რომ არ გამოვეციდოთ, აღსანიშნავია, რომ ის სრულიად ასხვადფერებს ზოგიერთ ეპიზოდს, ურთავს ახალ თემატიკურ დეტალებს, შემოაქვს უცნობი ამბები და სხვა. ჩხატარაძესძე ფართოდ სარგებლობს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ლეგენდებით ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის შესახებ და სათანადოდ ამდიდრებს თავის თხზულებას ამ ლეგენდებზე დამყარებული ცნობებით. სამწუხაროდ, ავტორი შედარებითაც კი ვერ იცავს ერთგვარ ისტორიულ პერსპექტივს და აქა-იქ მეტად კურობულ ანაქრონიზმებს იძლევა. ერთგან, მაგალითად, ავტორი ერთმანეთს შეახვედრებს რომის პაპსა და ალექსანდრე მაკედონელს: „რომთა პაპი კართა ტაძრისათა წინა მოეგება ალექსანდრესო“ (წ. კ. № 1514, გვ. 74).

ჩხატარაძესძე კარგად ყოფილა განსწავლილი ძველ სასულიერო და საერო მწერლობაში. თავისი ტექსტი მას გამდიდრებული აქვს მრავალი შედარებით სხვადასხვა ცნობილი თუ უცნობი ძეგლებიდან. ცნობილთაგან ავტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია „შაჰ-ნამეს“, „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანის“, „იოსებ-ზილიხანიანს“, „ლეილ-მაჯნუნიანს“ და სხვებს. მაგრამ ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ჩვენთვის დღეს უცნობი ძეგლების დამოწმება. ასე, მაგალითად, „რამინ გავისდებოდის“ ანალოგიით საყურადღებოა „დალალმანო-გამზემასულდებოდის“.

[ორივე მაგალითი ამოღებულია ალექსანდრეს ქორწილის ეპიზოდებიდან]. რამინი და ვისი „ვისრამიანის“ ცნობილი გმირებია. მაშასადამე, დალალმანო და მზემასულიც გმირების სახელს უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ მსგავს ნაწარმოებს ჩვენამდის არ მოუღწევია (ყოველ-შემთხვევაში ჯერ მას არ ვიცნობთ). იქვე დამოწმებულია აგრეთვე უცნობი გმირი სადი.

ჩხატარაძესძის „ალექსანდრიანისათვის“ ფრიად დამახასიათებელია, ერთი მხრივ ანტიმუსულმანური ტენდენცია და მეორე მხრივ: ქრისტიანული მოტივის სიძლიერე. ერთიც და მეორეც უცნობია არჩილის ტექსტისათვის. ერთი სიტყვით, ჩხატარაძესძის „ალექსანდრიანი“ ერთგვარად დამოუკიდებელი და თავისებური ვერსიაა.. ამიტომ სრული უფლებაც გვაქვს ჩხატარაძესძეს „ალექსანდრიანის“ ავტორი ვუწოდოთ. როგორც აღნიშნული გვაქვს, თავისებურო-

შას არც გალექსილი ტექსტია მოკლებული, მაგრამ თავისებურობა მეტია პროზულად შემუშავებულ ძეგლში. სხვათა შორის, ეს პირველი მაგალითია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, როდესაც მწერალი ტექსტს ჯერ ლექსით ამუშავებს და შემდეგ კი პროზით. პირიქითი მდგომარეობა, ე. ი. პროზული ტექსტის გალექსვა კი (რასაც ადებულ შემთხვევაშიაც აქვს ადგილი) ჩვეულებრივად იყო მიღებული. მაინცდამაინც ჩხატარაძეს ამ მხრივ სრულიად განზე დგას და ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს.

ჩვენი მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევიდან შემდეგი დადებითი დასკვნების ჩამოყალიბება შეიძლება:

1. ქართულ ენაზე „ალექსანდრიანის“ სამი რედაქცია შენაჩულა, აქედან ორი პროზული და ერთი გალექსილი.

2. პირველი პროზული რედაქცია სერბული, თუ რუსული ენიდან უთარგმნია არჩილს 1700—1713 წლებს შუა.

3. არჩილის ნათარგმნი ტექსტი 1713—1728 წლებს შუა ჯერ ლექსად გაუწყვია და შემდეგ ხელახლა პროზულად გადაუმუშავებია მდივან-მგალობელმწიგნობარ პეტრე ჩხატარაძეს-ძეს.

4. ჩხატარაძის პროზული „ალექსანდრიანი“ თავისებური კომპილატური ნაშრომია და ერთგვარ დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული¹.

ამის შემდეგ სულ მოკლედ მინდა შევეხო „ალექსანდრიანის“ ხელნაწერების საკითხს. ალ. ხახანაშვილი აღნიშნავდა, რომ შას გალექსილი „ალექსანდრიანის“ სამი ეკზემპლარი სკოდნია, ხოლო პროზული ტექსტი ჯერ მხოლოდ მე მაქესო“ო (Очерки, III, 110). ამის გამო პროფ. კ. კეკელიძეც სწერს: „პროზითი თარგმანი ალექსანდრიანისა, რომელიც არჩილს ეკუთვნის, ცნობილია ერთადერთი ცალით, რომელიც ა. ხახანაშვილს ჰქონია ხელთ, სად იპოვებდა ის დღეს, არ ვიცით“ო. და იქვე სქოლიოში შენიშნავს: „ერთი ცალი მისი ვიპოვეთ ჩვენ 1924 წლის ზაფხულს ს. ქუერთაში ალექსანდრე დავითის-ძის მაჩაბლის სახლში; ეს ცალი, სამწუხაროდ, დეფექტიანია“ო (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 216).

¹ აქვე მინდა აღნიშნო, რომ „წყობილისიტყვაობის“ კომენტარებში ჩვენი პეტრეს შესახებ პ. იოსელიანი წერს: „პეტრე მონაზონი სცხოვრებდა 1725 წელსა. იყო თემისაგან ქობულეთისა, სიყრმითგან აღზრდილი ტრაპეზუნტსა და მუნ ხელდასმული მონაზონად. მან აღსწერა მოთხრობა ქრისტიანობისა ქობულეთისა კერძოთა შინა“¹. სამწუხაროდ, ამის შესახებ სხვა საბუთი არ მოგვცაოვება.

უნდა ითქვას, რომ „ალექსანდრიანის“ პროზული ვერსიის მოჩვენებითი იშვიათობა გამოწვეულია მხოლოდ გაუგებრობის შედეგად. ნამდვილად კი ჩვენი სიძველეთსაცავების ფონდების შესწავლამ არა ერთი და ორი ხელნაწერი გამოაჩინა. გაუგებრობის სათავე იქიდან დაწყებულა, რომ კატალოგის შემდგენელ მუშაკებს (დ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ს, ს. გ ო რ გ ა ძ ე ს და სხ.) „ალექსანდრიანი“ ისტორიული ხასიათის ძეგლად მიუჩნევიათ და კ ე ნ ტ ო ს კ უ რ ც ი ო ს ი ს თ ხ უ ლ ე ბ ა დ („საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისათა“) მიუღიათ. ალექსანდრე მაკედონელის შესახებ არსებული ყველა ხელნაწერი წყაროების შესწავლით ჩვენ ვიპოვეთ პროზული „ალექსანდრიანის“ 14 ეგზემპლარი. ესენია: a. (საქართველოს მუზეუმის H კოლექცია): №№ 105, 188, 376, 841, 1204, 1249; b. (იმავე მუზეუმის S კოლექცია): №№ 111, 185, 1514, 3619; c. (იმავე მუზეუმის A კოლექცია): № 364 და d. (საქ. ცენტრ. არქივის კოლექცია): №№ 19, 123, 137A¹. ამ ხელნაწერებიდან XVIII საუკუნეს მხოლოდ ორი ცალი ეკუთვნის: № 1514, გადაწერილი 1789 წელს ბესიკის ძმის ოსე გაბაშვილის მიერ, და № 137A—1794 წლისა. დანარჩენი ხელნაწერები XIX საუკუნისაა. საყურადღებოა, რომ ცენტრარქივის კოლექციის № 123 ხელნაწერი სწორედ ის ეგზემპლარია, რომელიც თავის დროზე ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ჰკუთვნებია, პატრონის გარდაცვალების შემდეგ ლაზარაანთ სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს დარჩენია, ამ ინსტიტუტის ლიკვიდაციის გამო გადასცემია სომეხთა კულტურის სახლს, ხოლო უკანასკნელად 1924 წელს დაბრუნებია საქართველოს.

აღნიშნული ხელნაწერები რედაქციულად ასე ნაწილდება:

a. არჩილისეულა რედაქციისა: 19, 105, 111, 123, 137A, 185, 188, 364, 841, 1249.

b. ჩხატარაძის-ძის რედაქციისა: 376, 1514, 1204, 3619.

¹ გალექსილი „ალექსანდრიანი“ 5 ხელნაწერით არის ცნობილი: საქ. მუზეუმის S კოლექციიდან №№ 355, 2841, 3623; H კოლექციიდან № 2418; A კოლექციიდან № 697.

სულხან-საბა ორბელიანი

რადგან დაშვრა ასე საბა,
ქება მმართვეს აწლა მეცა.
ვახტანგი

ჩვენ დრომდე მოღწეულია სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, ავტობიოგრაფიული ხასიათის იგავ-არაკები (ქილილა და დამანას წინასიტყვაობიდან) და ვრცელი დღიური (მოგზაურობა ევროპაში). მრავალი ცნობა შემოუნახავს სულხან-საბას შესახებ მის თანამედროვე სხვადასხვა პირებს. საკმარისად მოგვეპოვება აგრეთვე ოფიციალური ისტორიული დოკუმენტები. ამ მასალებით კარგად ირკვევა ქართული კულტურის გამოჩენილი მოამაგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი მომენტები.

სულხანი მწერლის თავდაპირველი, ერისკაცობის სახელია. საბა ეწოდა ბერად აღკვეცის შემდეგ. სულხანობის პერიოდთან დაკავშირებულია მწერლის მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოღვაწეობა. ამიტომ მას ბოლომდე შერჩა ეს ორმაგი სახელი სულხან-საბა (და არა საბა-სულხან). ავტობიოგრაფიული მოწმობით: „დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართლის ქორანიკონს ტმც [1658], ოკდომბერს კდ [24], რომ ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება, დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუალამისასა“ (ქართული ლექსიკონის ეპილოგიდან). სულხანი იყო პირმშო „ბართიანთ დიდის ორბელის-შვილის, ყაფლანის ძის, საქართველოს ბრქედ მთავრისა და მოსამართლეთ-უხუცესის, პატრონის ორბელ ვახტანგისა“. სულხანი მამით ძლიერ მახლობელ ნათესაურ კავშირში იყო ქართლის სამეფო დინასტიის წარმომადგენლებთან (შაჰნავაზთან, არჩილთან, გიორგისთან, ლეონთან, ვახტანგ VI-სთან). ხოლო სულხანის დედა თამარი იყო ასული კახელ მეფეთა მეტოქის ზაალ არაგვის ერისთვისა. ამგვარად, მომავალი გამოჩენილი მეიგავე ორივე მხრივ ქართველ ფეოდალთა უმაღლესსა და უწარჩინებულეს წრეს ეკუთვნოდა. ორბელიანთა ოჯახი იყო შეძლებული, გავლენიანი და დიდი კულტურული ტრადიციების მატარებელი. სულხანმაც თავის დროისათვის

ჩინებული აღზრდა მიიღო. ბრწყინვალე წრიდან გამოსულს და ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვს გზა ყოველმხრივ ჰქონდა გახსნილი. ყრმა სულხანის საპატიო აღმზრდელად ითვლებოდა სახელმწიფოვეკილი მეფე გიორგი XI (თვითონ სულხანი ამბობს, რომ ის იყო გიორგისაგან „შვილურად გაზრდილი და გასწავლებული“), პრაქტიკულად მწვრთლ-მასწავლებლად ჰყოლია მცხეთელი ზედგენიძე ბერუკა („მწვრთიდა მცხეთელი, ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა“). სულხანი გვაუწყებს, რომ ეს ზედგენიძე „მზრდიდა სათუთად და ნებიარად, ვითაც შვენის თავადთა ძეთაო“. საღვთო წერილში ბავშვი განსწავლა, ალბათ, რომელიმე სასულიერო პირმა, სიმღერა-გალობას კი ასწავლიდა იაშვილი გიორგი. სულხანი ყოფილა დიდი ნიჭის პატრონი: „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარეო“. ნიჭიერი და ბეჯითი ყმაწვილი-კაცი საუცხოოდ გაწაფულა საერო-სამხედრო ზნეთსწავლულებაში და მწიგნობრული განათლების მწვერვალზე ღირსეულად დაუძლევა. სულხანი სპეციალურად დახელოვნებულა ფილოლოგიურ დისციპლინათა დარგში, იჩენს ბუნებისმეტყველების კარგ ცოდნასაც (რამდენადაც ეს ჩანს მისი ლექსიკონიდან). უცხო ენებიდან საფუძვლიანად სცოდნია თურქული, რომელიც იმ დროს საერთაშორისო ენის უფლებით სარგებლობდა მთელ აღმოსავლეთში და ნაწილობრივად დასავლეთშიც. სულხანმა პრაქტიკულად იცოდა სომხური, მეცნიერულ-ლექსიკოლოგიური მიზნით სარგებლობდა ბერძნულით, ლათინურით და ნაწილობრივად რუსულით (ოღონდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სულხანმა არ იცოდა სპარსული და არაბული ენები). სულხანის განცხადება ლექსიკონის ანდერძ-ნამაგში „ქართულის ენისაგან კიდე სხვა ენა არ ვიცოდი“—პირობითად უნდა გავიგოთ. ერთი სიტყვით, სულხან ორბელიანი იყო საფუძვლიანად და ენციკლოპედიურად განათლებული პირი.

სულხანი როდი კმაყოფილდებოდა თავისი ცოდნით. ლექსიკონის შედგენისას, მაგალითად, ის ფართოდ სარგებლობდა უცხოელების, თუ უცხო ენების მცოდნეთა კონსულტაციით, თუმცა აქაც დიდ ზომიერებას და კრიტიციზმს იჩენდა, შეუმოწმებელ ცნობას არ ღებულობდა; ერთის მოწოდებულ ცნობას მეორესთან შეამოწმებდა ხოლმე. „რომელნიცა სწორედ თქვეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დაეწერე. რომელნი არა ემოწმენ, არცა მე დაეწერე“ო. სულხანი მუდმივად აფართოვებდა და აღრმავებდა თავის ცოდნას, მიღებული წარმატებით არ კმაყოფილდებოდა, კითხულობდა, სწავლობდა, იძიებდა, იკვლევდა. პირდაპირ განსაკვიფრებელი ბეჯითობით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველგვარ საქმეს. თავის

თხზულებებს რამდენჯერმე საკუთარი ხელით გადაწერდა ხოლმე, თანდათანობით ამუშავებდა, ასწორებდა, აუმჯობესებდა.

წარჩინებულმა, განათლებულმა და დარბაისელმა სულხანმა თავიდანვე საპატიო ადგილი დაიკირა სამეფო კარზე. თუმცა სულხანი გრძნობდა, რომ მისი მოწოდება იყო ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეები აყენებდა. სულხანი მწუხარებით გვაუწყებს: „ერისაგანი იყო და წარჩინებული, და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო“ო. სხვათაშორის, მას მიანდევს უფლისწული ვახტანგის (შემდგომ ვახტანგ VI) აღზრდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ სწორედ ამ გარემოებასთან უნდა იყოს რაღაც კავშირში სულხანის ლიტერატურული შედეგრი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“.

„სოფლის“ საქმეში კიდევ უფრო ჩაება სულხანი დაოჯახების შემდეგ. მას აღრევე ცოლად შეურთავს ბაგრატიონთა ასული დარეჯანი. დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ (1683 წ.) სულხანი დაესიძა სამცხე-საათაბაგოს მფლობელს.

როგორც აღვნიშნეთ, ორბელიანთა ოჯახი ახლო კავშირში იყო ქართლის სამეფო დინასტიასთან. ქართლის საქმეები კი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ძალზე აიწეწა. როსტომ ხანის დროიდან (1634—1658) ქართლ-კახეთი იქცა სპარსეთის უბრალო პროვინციად (სახანოდ). მართალია, ნომინალურად თითქოს ქართლს განაგებდნენ ნაციონალური დინასტიის წარმომადგენლები, მაგრამ არჩევანი და საბოლოო სანქცია შაჰზე იყო დამოკიდებული. ამასთან გამეფების (და ხშირად გამთავრების) აუცილებელი პირობა გახდა შაჰმადიანურ რჯულზე გადასვლა. ტახტის მაძიებელ ავანტიურისტთა დასი მუდმივ მზად იყო მოქმედებისთვის. ამ ნიადაგზე ფართო სარბიელი ეძლეოდა უთავბოლო დინასტიურ ინტრიგებს. თავის შხრით სპარსეთი აშკარად მფარველობდა გამთიშავ ელემენტებს, მოქიშპეებს ერთიმეორეს უსისინებდა და ყოველ ნაირად ღონისძიობდა ადგილობრივი ძალების შეშქიდროებისა და გაძლიერების წინააღმდეგ. სპარსეთის ეს ვერაგული პოლიტიკა, სამწუხაროდ, გასაეალს ჰპოულობდა საქართველოში. ქვეყნის ყველაზე დიდ უბედურებას სწორედ შინათაშლილობა წარმოადგენდა. თითქმის ყოველ დიდებულს ჰყავდა საკუთარი კანდიდატი მეფობისათვის. ეს უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში კი თვითონ დიდებული ცდილობდა გაბატონებას. სულხან ორბელიანი აქტიურად მონაწილეობდა საქვეყნო საქმეებში. ის ერთერთი ბურჯთაგანი ყოფილა ქართლის ლეგიტიმისტთა წრისა. სულხანმა პირადად იწვინა

ის დევნა და დამცირება, რაც წილად ერგო ქართლის ლეგიტიმური დინასტიის წარმომადგენლებს.

XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან (1676 წლიდან) ქართლის ტახტზე დამტკიცებული იქნა ფორმალურად მაჰმადიანი და მოჩვენებით სპარსეთის ერთგულებაში მყოფი გიორგი XI, სულხანის საპატიო აღმზრდელ-მასწავლებელი. მაგრამ გიორგის დამტკიცებასთან ერთად ფარული სპარსული დიპლომატია მოპირდაპირე კანდიდატის არჩევანსაც შეუდგა. არჩევანი წილად ხვდა თეიმურაზ პირველის შვილის-შვილს, რუსეთში აღზრდილ „ნიკოლაი დავიდოვიჩს“, ქართულად ერეკლე პირველის სახელით ცნობილს (მაჰმადიანობაში ეწოდა ნაზარალიხანი). მართლაც, 1688 წელს სპარსული საანტერვენციო ჯარების დახმარებით ნაზარალიხანმა გააძევა გიორგი და ტახტი თვითონ დაიპყრა. ნაზარალიხანი ორმაგად მიუღებელი აღმოჩნდა ქართლის გავლენიანი საზოგადოებრიობისათვის: ჯერ ერთი, ამით საქართველოში მტკიცდებოდა უხეშ ძალმომრეობაზე დამყარებული ხელისუფლება ულტრა სპარსულ-მაჰმადიანური კურსით. მეორეც, ნაზარალიხანი კახეთის ბაგრატოვანთა შტოს ეკუთვნოდა და ლეგიტიმისტური თვალსაზრისის მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდა. თვითონ ნაზარალიხანიც კარგად გრძნობდა თავის ორქოფულ მდგომარეობას და დროებით უფლებამომიტაცებლის სატრაპული წესით უსასტიკეს დესპოტიურ რეჟიმს აბატონებდა, მთლიანად სპარსულ სამხედრო-ჩინოვნიკურ კასტას ემყარებოდა, ადგილობრივ ელემენტს კი იშორებდა და სდევნიდა. ცხადია, ეს კიდევ უფრო ზრდიდა ქართლის მოსახლეობის უკმაყოფილებას. ორბელიანთა ოჯახი, მათ შორის სულხანიც, ლეგიტიმისტთა ჯგუფს ეკუთვნოდა და გიორგი XI-სთან ერთად ემიგრანტული ყოფის მძიმე განსაცდელს იტანდა. ორბელიანთა უპატრონოდ დარჩენილი სახლკარი ნაზარალიხანმა აოხრებას მისცა.

მდელვარე და უჭულმართი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებმა ძლიერ იმოქმედა მგრძნობიარე სულხანზე, ერთხანს მან საზოგადოებრივი სარბიელი ვიაცოვა, თავი მონასტერს შეაფარა და ~~1692~~ 1692 წელს ბერად აღიკვეცა დავით გარეჯას (მაშინ ეწოდა სულხანს მეორე სახელი საბა). მაგრამ დავით გარეჯის მყუდრო უდაბნო ვიწრო აღმოჩნდა დაუდგრომელი ბუნების მქონე სულხან-საბასთვის, ის ვერ ელევა „სოფლიურ“ საქმეს...

მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ გიორგი XI იძულებულად გახდა კომპრომისის გზას დადგომოდა და შეწყალების გამოსათხოვად ისპაჰანს გაემგზავრა. ისპაჰანმა „შეიწყალა“ გულადი მეფე;

კიდევაც უხვად დააჯილდოვა, წარჩინება მისცა და ქართლის ტახტიც აღუთქვა, ოღონდ წინასწარ ერთი დიდად სახიფათო საქმის მოგვარება მოთხოვა. იმ ხანად სპარსეთს შიშის ზარს სცემდა ავღანთა გამუდმებული თარეში გამოჩენილი ამირის მიგრაციის მეთაურობით. სპარსეთი უძლური აღმოჩნდა მამაცი ავღანელების წინააღმდეგ. ავღანთა ალაგმვა შაჰმა დააკისრა გიორგის. გიორგიმაც საუკეთესო მხედრობა გაიწვია საქართველოდან და მრავალი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა, მაგრამ ამ სახელოვანმა ბრძოლებმა მრავალი სახელოვანი ქართველი იმსხვერპლა. ყანდაარის მიდამოებში დაიღუპნენ გიორგი XI, იმისი ძმა ლევანი, ლევანის-ძე ქაიხოსრო და მათთან ბევრი რჩეული ქართველი გეომარი. ასეთი აღმოჩნდა შაჰის უანგარო წყალობა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის გამგებლობა დაეკისრა სულხანის მიერ გაწერთილ ვახტანგ VI-ს. ვახტანგის გამგებლობამ მხოლოდ რამდენიმე წელს (1703—1711) გასტანა. მაგრამ ეს იყო ხანა დიდი დაძაბული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობისა. ვახტანგის ყოველი კულტურული წამოწყების სულიანამდგმელად ითვლებოდა სულხან-საბა ორბელიანი. 1710 წელს სულხანი ხვარასანს ეახლა მეფე ქაიხოსროს, ვახტანგის მამას („ქორანიკონს ჩლი, დეკენბერს ა, ხვარასანს წაეიდა, — მეფეს ქაიხოსროს ეხმო და ფებერვალს ოცს გამოისტუმრა მრავლის ნიჭითა“). 1712 წელს ვახტანგი სპარსეთში გაიწვიეს. იმას თან გაჰყვა საბაც. ვახტანგის საქმე გართულდა. ამიტომ საბა უკანვე გამობრუნდა საქართველოში, რომ სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ევროპაში დიპლომატიური მოლაპარაკების საწარმოებლად ვახტანგის დახსნისათვის და საერთოდ ქართულ-სპარსული ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. 1713 წლის 17 აგვისტოს საბა შეუდგა სახიფათო გზას.

საბას დიპლომატიური მოგზაურობა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ოფიციალურად ის თითქოს საკუთარი ინიციატივით „გაიპარა“. შიშობდნენ, რომ საქმის ნამდვილი ვითარების გამჟღავნებას კიდევ უფრო არ ევნო ვახტანგისათვის. საბა გაემგზავრა მისიონერი რიშარდის („მუსუ რუშარის“) თანხლებით. ცხადი პოლიტიკური ანგარიშით საბამ გამგზავრების წინ მიიღო კათოლიკობა.

საბამ ევროპაში დაჰყო სამი წელი. საქართველოს საქმეებზე რამდენიმეჯერ წარუდგა მოხსენებით რომის პაპს და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს, მაგრამ ამაო გამოდგა ყოველივე ცდა. საქართველოს ელჩის შეამდგომლობას რეალურად მოჰყვა მხოლოდ ლუდოვიკოს ცალიერი თანაგრძნობა და პაპის ფლიდური ლოცვა—

კურთხევა. ოღონდ ეს კია, რომ სწორედ ევროპაში მოგზაურობას უნდა უმადლოდეს ქართული ლიტერატურა საბას ერთერთი შესანიშნავი ნაწარმოების („მოგზაურობა ევროპაში“) წარმოშობას.

ევროპაში ყოფნისას საბა უკვე საკმაოდ იყო ხანში შესული, დღიურებში ის ხშირად აღნიშნავს თავის ფიზიკურ უძლურებას: „მე თავად ბერიკაცი ვიყავ და სნეული“ო. ევროპაში ტკბილად გატარებული დღეები ჩვენ მოგზაურს დაშხამებია უკან დაბრუნების დროს. ტრაპიზონის მახლობლად საბა მხლებლებით ხომალდიდან ხმელეთზე გადმოუსხამთ (საბას თან ახლდა რამდენიმე კათოლიკე მისიონერი და ბურსელი ვაჭარი). მგზავრებს ხოფასთან თავს დასხმიან ზღვის აბრაგები. ყოველივე ამ გაჭირვებასთან საბა დაავადებულა მალარიული სენით („ბერიკაცი ვიყავ და სნეული, და მაცხელებდა“ო). დიდი ვაივავლახით საბა სამშობლოში დაბრუნებულა ხოფა-არტანუჯის გზით 1716 წლის ივლისის თვეში. მაგრამ მშობლიური ქვეყანა მტრად დახვდომნია მრავალტანჯულ მოგზაურს. ქართულ ორტოდოქსალურ-კლერიკალურ ეკლესიას საბა თითქოს შეუჩვენებია კიდეც კათოლიკობაში გადასვლისა და კათოლიკე პატარების მოყვანის გამო. თვითონ საბა გვიამბობს: „სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზე. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს“ო. კლერიკალების ინტრიგებს აპყოლია მეფე იესე. გზაში საბა ბურსელი ვაჭრების მოვალე გახდა და ერთ დროს ეს უმდიდრესი და უწარჩინებულესი კაცი ფაქტობრივად დატყვევებულის როლში მოექცა. საბა ქედს მაინც არ იხრიდა. მას სიცოცხლე მოუწამლა მხოლოდ ვახტანგის უმადურობამ. საბა ცდილობს ეპიური სიმშვიდით მოგვითხროს საქმის ეს მხარე: „ეს სულხან-საბა ორბელიანი... ვახტანგ მეფის ბიძად და გამზრდელად წოდებულ და დიდად საყვარელი [იყო]. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორა, და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს“ო. როგორც ჩანს, ვახტანგს უკუღმართად მიუთხრეს საბას მგზავრობის ამბავი. საბა განაგრძობს:

მეფისთვის მოგვკვდი, ვერა ცნა, არც ვინ აუწყა შორითა,
ჩემნი ერთგულნი სარჯელნი ბოროტად უთხრეს კორითა.

საბას მტრების არც ეშინოდა, არც ეთაკილებოდა. მას გულს უკლავდა შვილურად გაზრდილი მეფის საშინელი უმადურობა. რუსთველური მანერით აღუბეჭდია ეს საბას:

მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა;
ეგრე მტერმან ვერ მატკინა, მოყვარემან შემალონა.

საბას გამოუთქვამს სამი შესანიშნავი ავტობიოგრაფიული იგავ-
არაკი, რომელიც ჩაურთავს „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობა-
ში. მოვიტანთ ერთერთის შინაარსს.

ერთ მეფეს ჰყოლია ერთგული და მისანდო მეძებარი. მეძებ-
არი არ შორდებოდა პატრონის კარ-მიდამოს, გუშავობდა, ფრთხი-
ლობდა; საუცხოვოდ უკვლევდა ნადირთა კვალსაც და მეფეს „გე-
მოანთა ნადირთა ანადირებდა“. მეფესაც დიდად უყვარდა თავისი
მეძებარი, „ანებიერებდა კეთილად“, საკუთარი „ტაბლისაგან ზრიდ-
და“. განცხრომაში მყოფი მეძებარი თავის ტოლ-მეგობრებს არ
იეიწყებდა, თავის საზრდელს მათ უნაწილებდა. ხშირად ამით პატ-
რონიც კი „განარისხის“. მაგრამ ტოლ-მეგობრებმა უმადურობა
გამოიჩინეს, სიკეთის ნაცულად შურით აღბორჯდნენ „ცოფიან იქმნეს“,
„მეფისა იგი საყვარელი ძალი განიოტეს“, და „მერმე მეფეცა იგი
დალედეს“. გავიდა ხანი, გამოჩნდა უცხო ნადირი. აღარვინ იყო
მისი შემპყრობი. ზეფე დალონდა. მას მოავონდა განპატიებული
თვისი მეძებარი. ბევრი უყივლა, უსტვინა. სიბერიით დღე მოკლებულ,
კბილებ-შემუსვრილ, მშიერს და მწყურვალს, დაჩაჩანაკებულ მეძე-
ბარს ესმა პატრონის სტვენა. არად ჩაავდო ძველი დამცილება,
სამსახურისათვის მსწრაფლად ეახლა, მაგრამ „რითლა უნდა შესძ-
ლებოდა ძაღლსა მას შეპყრობა მის [უცხო] ნადირისა?“. .

რა თქმა უნდა, ამ იგავ-არაკის მეფე ვახტანგია, ერთგული მე-
ძებარი—საბა, ხოლო უცხო ნადირია „ქილილა და დამანა“. ვახ-
ტანგმა სპარსეთში თარგმნა ეს შესანიშნავი წიგნი. მაგრამ ტექსტს
აკლდა გამართვა, ხოლო ლექსი რჩებოდა გაუწყობელი. მხოლოდ
საბას შეეძლო ამ დიდი საქმის შესრულება. ვახტანგს მოავონდა
თავისი ერთგული „მეძებარი“, „მაღალმა“ „მდაბალი ბოდიშები“
მოიწერა. ითხოვა დახმარება. საბა ჩვეულებისამებრ კრძალვით შე-
ნიშნავს, სადღა შემეძლო იმ „უცხო ნადირის შეპყრობა“ო. ჩვენ კი
დაბეჯითებით ვიცით, რომ ნამდვილად საბამ ღირსეულად მოინადი-
რა იგი ნადირი, „ქილილა და დამანას“ ბრწყინვალე ტექსტი შეს-
ძინა ქართულ მწერლობას¹.

¹ ამის შესახებ ჩხ. ალ. ბარამიძის „ქილილა და დამანას ქართული-
ვერსიები“ (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ.
170—320).

საბა ბოლომდი დარჩა ვახტანგის ერთგული მიმდევარი და მისანდო მოყმე. 1724 წელს სხვა მრავალ ორბელიანთან ერთად საბაც გადაყვა ვახტანგს რუსეთში. ღრმად მოხუცი მწერალი არ შეუშინდა შორეულ მძიმე მგზავრობას. კიდევ მეთი. ის ერთერთი პირველი ჩასულა მოსკოვს, ან უკეთ, დიდი გაჭირვებით ჩაუტანია სული. მოუძებნია ქართული ახალშენი და იქ, „დიდს მოსკოვს, სე-სენცკას [ვსეხსვიატსკოვს]. ბატონის არჩილ მეფის სასახლეში“ საუკუნო განსასვენებელს სწევია 1725 წლის იანვრის 26-სს. საბას ძმის, დიმიტრი ორბელიანის სიტყვებით ეს „ფრიად მაშვრალი მუშაკი შოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“.

* * *

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი ლიტერატურული შემკვიდრება დაგვიტოვა. დღესდღეობით ამ შემკვიდრების მხოლოდ ნაწილი ვიცით. საბას მინდობილი ჰქონდა „ქილილა და დამანას“ გალექსვა, ცხადია, როგორც პოეზიის გამოჩენილ ოსტატს. ამავე დროს „ქილილა და დამანას“ გარეშე ცნობილია საბას მხოლოდ რამდენიმე ლექსი. მოღწეული ძეგლებიდან საკუთრივ ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1. „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, 2. მოგზაურობა ევროპაში, 3. ქილილა და დამანას რედაქცია და 4. (ნაწილობრივად) ქართული ლექსიკონი. აქედან მხატვრულ შედეგად უნდა ჩაითვალოს „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ანუ უბრალოდ „სიბრძნე-სიცრუისა“.

წიგნი სიბრძნე-სიცრუისა

ბერს კარგს მარგალიტს იპოვის იგავთა გამოძებნელი.

ქილილა და დამანა

„წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ წარმოადგენს იგავ-არაკთა კრებულს, ოდონდ იგავ-არაკები გაშლილია ფაბულური მოთხრობის ფონზე (მსგავსად „სიბრძნე ბალავარისა“, „ათასერთი ლამისა“, „ქილილა და დამანასი“ და სხვ.). ამით წიგნი უვრო იოლი საკითხავი და მიმზიდველი ხდება. „სიბრძნე-სიცრუისა“ მოკლე შინაარსი ასეთია: იყო ერთი სახელოვანი მეფე, სახელად ერქვა ფინეზი. მას ჰყავდა ორი ვაჭირი—გონიერი და კეთილი სედრაქი, ცბიე-

რი და ბოროტი (თუმცა ქკუიანი) საქურისი რუქა მეფეს მოგვანებით მიეცა ერთადერთი შვილი, უწოდა ~~ჯუმბერ~~ ჯუმბერ. უფლისწულის აღსაზრდელად მამამ მიიწვია უცხო გონიერი ქაბუკი ლეონი. ლეონმა წინასწარ წერილობითი პირობა ჩამოართვა მეფეს, რომ განუსჯელად და განუკითხავად მას არ დასჯოდა. შექმნე შეუდგა აღმზრდელის მოვალეობის შესრულებას.

ლეონმა ცალკე სასახლე აიშენა. ბატონად დაჯდა, ნადიმს შეექცეოდა და ლხინობდა, ჯუმბერი კი მსახურად (მწოდებ. ღვინის მიმწოდებლად) დაიყენა, „არც დასვა და არცა აქამა. ფეხზე დგომით და შიმშილით ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა“¹. ნხოლოდ ამის შემდეგ ეღირსა უფლისწულს „დაჯდომა და ჭამა პურისა“. „ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა“. ერთხელ სანადიროდ რომ გაემგზავრა, თვითონ ბედაურს მოახტა, ჯუმბერს კი „ქორი ხელთა შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, სალამომდის არბენინა. ქორსა და ქორის ნაბულს აადევნა“ (26). მეორე დღეს ლეონმა უფლისწულს მწვერებე ჩააბარა, „მთათა და გორათა არბენინა. [ჯუმბერს] ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო“. მესამე დღეს „შიკრიკად გაიმძღვანა“. დალილ-დაქანტული ჯუმბერი „მალ-მალ დაეცემოდის“, მაგრამ ჰაინც „არ მოეშვა, მუნამდის არბენინა“ (26—27). სხვა დროს ლეონმა სრულიად უდანაშაულოდ გააროზგენა უჩლისწული, სიკვდილის პირამდის მიიყენა. ცხოვრი რუქა თავიდანვე მტრად უდგა ლეონს და მის საქმიანობას ექვით თვალყურს ადევნებდა. რუქამ რამდენიმეჯერ დააბეჭდა კიდევაც მეფესთან. ერთხელ ძალზე განრისხებულმა რუქამ მეფეს შეუთვალა: „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგიკლინა. შენ მიეც ერთ ღვთის წყრომით აღვსებულს კაცსა. შეუპურია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდის სულს ვერ მიატანს, და ლეონ შენ ძედ ისეი და ჩვენდა პატრონად“ (29).

მეფემ ლეონი დაიბარა და პასუხი მოსთხოვა. გაიმართა ცხოველი პაექრობა. ლეონი იცავდა აღზრდის თავის სისტემას. რუქამ განავითარა საპირისპირო თვალსაზრისი. კამათში ჩაებნენ აგრეთვე მეფე და ვეზირი სედრაჰი. სედრაჰი გარკვევით თანაუგრძობდა ლეონს. მეფემ დაიბარა ჯუმბერი, გამოსცადა, აღზრდა მოეწონა და ტახტიც გადააბარა. მეფის სიმპატიებიც ცხადლივ ლეონის მხა-

¹ სიბრძნე-სიცრუისა ს. იორდანიშვილის რედაქციით, ტფ. 1938, გვ. 22.

რეზე იხრებოდა, მაგრამ მან მაინც მორიგება არჩია. თხზულება იხუ-
რება მეფის შემარიგებელი სიტყვებით: „თქვენი ამგვარი საუბარი—
მიჰმართავს ფინეზი ორივე მხარეს—არასოდეს არ დაიღვეა. ჩემი-
ისმინეთ და იკმარეთ ესოდენი გაკიცხვა ერთმანერთისა და მით
დაასრულეთ საუბარი თქვენი“ (170).

მაინცაღამაინც საბოლოოდ გამარჯვებული გამოდის ლეონი.
პაექრობა წარმოებს უმთავრესად იგავ-არაკების საშუალებით. იგავ-
არაკებს სცელის ზღაპრები, ლეგენდები, ანეგდოტები, მოსწრებული-
და მახვილ-გონივრული ამბები, აფორიზმები, შეგონებანი, სენტენ-
ციები, გამოცანები, ანდაზები და მისთანანი. თხზულების მთელი
ინტერესი სწორედ იგავ-არაკებშია. ფაბულის ჩარჩო მხოლოდ
აწესრიგებს იგავ-არაკის ადგილს. იგავ-არაკები წარმოადგენს მოთხ-
რობით, თუ მსჯელობით წამოჭრილი დებულებების ცხოველმყოფელ
მხატვრულ ილუსტრაციას. თვითვე იგავ-არაკს აქვს საკუთარი
დამოუკიდებელი მნიშვნელობა, საკუთარი გააზრება, მაგრამ მთლიან
სუვეტურსა და იდეურს რკალშიც აქვს თავისი გარკვეული ადგილი.
მიჩნეული, მთლიანის ორგანიულ ნაწილს შეადგენს. ასეთია „სიბრძნე-
სიცრუის“ საერთო კონსტრუქციული სქემა. რა თქმა უნდა, არც
კომპოზიციური თავისებურებით, არც საინტრიგო კვანძით, მით-
უმეტეს, არც თხრობის ფინალით, „სიბრძნე-სიცრუისა“ არ წარ-
მოადგენს რაიმე იშვიათსა და განსაკუთრებულს ლიტერატურის
ისტორიაში. ფაბულა და ჩარჩო აქ ასრულებს მეორე-ხარისხოვან
მომსახურეობითს როლს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულ-
ხან-საბა ორბელიანმა სრულიად მარტივი ფაბულური ჩარჩოს პირო-
ბებში მაინც მოახერხა მკაფიოდ ჩამოეყალიბებია ისეთი მხატვრულად
სრულყოფილი სახე, როგორცაა რუქა. რუქა შემდგომ ზოგად
სახელად იქცა. ეს სახელი ზოგადი მნიშვნელობით შეითვისა ლიტე-
რატურამაც და ხალხმაც. მაინცაღამაინც „სიბრძნე-სიცრუის“ დიდი
ღირსება მის იგავ-არაკებშია. როგორც იგავ-არაკული ჟანრის ნა-
წარმოები, „სიბრძნე-სიცრუისა“ უცილობელად ერთერთი უმნიშვნე-
ლოვანესი ძეგლია მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით. „სიბრძნე-
სიცრუისა“ არაფრით არ ჩამოუვარდება, მაგალითად, მსოფლიოში
სახელმძოხვეკილ სინდბადის წიგნს (თიმსარიანს), პანჩატან-
ტრას, ან, თუ გინდ, თვითონ ქილილა და დამანას...

„სიბრძნე-სიცრუისა“ იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებია.
ამიტომაც აქ მოქმედ პირებად ჩვეულებრივად გამოყვანილია ცხო-
ველები; ფრინველები და სხვ. ხოლო ესენი იგავურად, გადატანითი
მნიშვნელობით, ანუ ალევორიულად ასახავენ ადამიანთა საზოგა-

დოებრივი ურთიერთობისა და ყოფა-ცხოვრებითს მხარეებს. ამ მხრით საყურადღებოა თხზულების სათაური „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. ავტორს უნდა თქვას, რომ თუმცა წიგნში მოთხრობილია არა ნაძვლილი, არამედ გამოგონილი, ცრუ, ზღაპრული ამბავი (იგავი, არაკი), მაგრამ სიცრუეში იგავურად სიბრძნეა ჩაქსოვილი, რომ სიცრუით სიბრძნე ასახული, ეს სიბრძნე უნდა გამოიტანოს თხზულებიდან დაკვირვებულმა მკითხველმა. მცდარია პროფ. ალ. ცაგარელის მიერ შესრულებული რუსული თარგმანის სათაური „Книга мудрости и лжи“ (უნდა: „Книга мудрости лжи“, ან, უფრო მარტივად, „Мудрость лжи“). სწორია გერმანული თარგმანი: „Die Weisheit der Lüge“.

„სიბრძნე-სიცრუისა“ დიდაქტიკურ-აღმზრდელიობითი ხასიათის ნაწარმოებია. თუ მოვიგონებთ, რომ სულხან-საბა ორბელიანს ქართლის სამეფო კარზე თავისებური კამერგუვერნიორის თანამდებობა სჭერია და პირადად აღუზრდია ვახტანგ VI, მაშინ ცხადი გახდება „სიბრძნე-სიცრუის“ პრაქტიკულ-აღმზრდელიობითი დანიშნულება. ავტორი იცავს აღზრდის დემოკრატიულ-საპარტანულ პრინციპებს. სულხანის აზრით, ფუფუნება და განცხრომა მოზარდს ფიზიკურად ვნებს, აჩვენებს სიზარმაცეს და მკონარეობას, ზნეობრივად ამახინჯებს და გონებრივად აჩლუნგებს. ამასთან ნებიერი აღზრდა მოზარდს აშორებს დაბალ სოციალურ ფენას, ხალხს, უღვივებს მას ავადმყოფურ ვნებებს. საღისტურ და ეგოისტურ გრძნობებს, ხდის მტარვალს, შეუბრალებელს, უგულოს. სულხანი მოზარდისაგან თხოულობს შრომას, გარჯას, ბეჯითობას. გაწაფულ, ჯანმრთელ და გამძლე ქაბუკს უნდა ამშვენებდეს სპეტაკი გრძნობიერება და საღი აზროვნება. სულხანი ებრძვის სულწასულობას, მსუნაგობას, სიხარბეს, მეშურნეობას და სხვა მსგავს თვისებებს. ერთი სიტყვით, სულხანის პრინციპია „ჯანმრთელი სული ჯანმრთელ სხეულში“.

„სიბრძნე-სიცრუის“ აღმზრდელიობითი თვალსაზრისი საზოგადოების ყველა ფენას გულისხმობს. ეს თვალსაზრისი უნივერსალური ხასიათისაა, მაგრამ, რასაკვირველია, ავტორი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას უფლისწულის აღზრდის საკითხებზე. სულხანი აიდეალებს კეთილ, კაცთმოყვარე, ჰუმანიურ, ქვეშევრდომთა მფარველ-მოამაგე, სამართლიან მეფეს. იდეალური მეფე სულხანს აგონებს კეთილ მწყემსს, რომელიც კარვად ერკვევა ქვეშევრდომთა პირსა და ვარაშში, არ აკლებს მათ საჭირო მზრუნველობას და ყუ-

რადლებას. თავის შეხედულებებს სულხანი შემდეგი პოზიტიური მსჯელობით აყალიბებს:

„მწყემსი ხამს ცხოვართათვის იკირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძროს, აძოდ ატაროს, დაკოდელი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს, სამწყსო შეუძმირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა; მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჰამა და მწემა იცოდეს. თუცა [ჯუმბერ] ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი მცნება, სამსახური ვით სცნას, რას მიიჭირებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარ იყო, რამცა იცოდა, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლია?.. თუცა უცხენოდ სლეა და ფენშიშველობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ეცნა? რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა,—იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენტა ჯდეს, გინა ეტლითა ვილოდეს?“ (გვ. 30).

სულხან-საბა ორბელიანმა შესანიშნავად იცის, რომ მდიდარს და მძღარს სრულიად არა გაეგება რა სიმშვილის ჭირისა, სიმშვილის ძალისა: „მძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშენეტდა და ზედა აყვედრიდა, რად ღორულად სჰამო!“ (იქვე). სულხანი აშიშველებს მძღარის საშინელ ცინიზმს, ღარიბ-ღატაკთა სევტებს მოსარჩლეობს. ვისაც არ განუცდია „არგნის (გაროზგვის) სიმწარე“, მისთვის შეიძლება გასართობი სანახაობაც კი გახდეს ვაჟკაცის გვემა. მხოლოდ ია შეიძლებაო იყოს ღმობიერი, კაცთმოყვარე და ჩაგრულთ მოამაგე, ვისაც თვით უწნევიანო სიმშვილის ძალაც, დევნის სიმწარე და „მართლმსაჯულების“ სუსხი.

• სულხანი ქადაგობს სწავლა-განათლების საჭიროებას. ამ გზითაა შესაძლებელი ველური და ტლანქი ჩვევების დაძლევა. სწავლა-განათლება აკეთილშობილებსო და აფაქიზებს ადამიანს, ღირსებას ჰმატებსო მას, თორემ შთამოშავლობა, გვაროვნობა თავისდათავად არაფერს ნიშნავს. ამ მხრით სულხან-საბა ორბელიანი ისეთ რადიკალობამდე მიდის, რომ კატეგორიულად აცხადებს: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“ო (30). მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სულხანი არიგებს უგვანო მეფეს: „თუცა ყმანი ჭკუათ მყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე“ო (43). სულ-

ზანი აღიარებს მეფობის განსაკუთრებულ ღირებულებას და მნიშვნელობას. მეფე ამქვეყნიური უმაღლესი არსებაა, ერთი შეხედვით თითქოს მიუწვდომელი და განუცდელი: „მეფენი საქურისთა და სხვათაცა საქმეს სცნობენ და მეფეთა საქმეს ვერაინა სცნობენ... რომ მათი საჯდომი მაღალია, დაბლიდამ არ ინახება“ (74). საგულისხმოა, რომ ამას აცხადებს საკუთრივ მეფე, მაგრამ უფლაწულ ჯუმბერის პირით სულხანი აგონებს მეფე მამას: „რა გინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი“ (52). ამიტომაც არის, რომ „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი ჰგმობს გულზეიადობას, ზედმეტ თავმომწონეობას, მკრეხელობას. ყოველი სულდგმული, მათ შორის მეფეც, ჩვეულებრივი მომაკვდავია. მეფე ადაშიანია, თუმცა რჩეული და წარჩინებული, მაგრამ მაინც მომაკვდავი ადაშიანია. დიდი თანამდებობა მეფეს დიდ მოვალეობას აკისრებს. დიდი მოვალეობა დიდ ჰკუას თხოულობს. მეფესაც დიდუნებოვანობა შეჰპყრის, დიდი გონიერება, დიდი განათლება, ნამდვილად დიდი კაცობა (და არა ყოყოჩა „დიდკაცობა“). სხვასთან ერთად და სხვაზე მეტად თვითონ მეფეს სპირდება კარგი, წესიერი, ორგანიზებული სწავლა და აღზრდა. სწორედ მეფე უნდა იძლეოდეს გონიერების და ზნეობრიობის საუკეთესო მაგალითსო.

აღზრდის საკითხში სულხან-საბა ორბელიანი დიდ როლს ანიჭებს ოსტატს, მასწავლებელს. მართალია, ის არ გამორიცხავს მემკვიდრეობითს, ჩამომავლობითს მომენტს, მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული მწვრთნელზე, მასწავლებელზე, ხელოვან ოსტატზეო. ჯუმბერი ასე მიჰმართავს კრებულს და კერძოდ თავის მამას: „ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკეხებ და ნურც მე მადებ. გალატოზმან, რონელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიციან საქებელია, თუ მხედრისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე—შენგან, და წვრთილობა—ლეონისაგან“ (77).

პოლიტიკურ ცხოვრებაში სულხან-საბა ადგია განათლებული აბსოლუტიზმის პრინციპს. ის იცავს მეფის უფლების უზენაესობას, ებრძვის პარტიკულარიზმს, თჳადაზნაურულ გათიშულობას, შინაურ შუღლს, ქადაგობს გაერთიანებას, პოლიტიკურ ცენტრალიზმს, სამშობლოს სიყვარულს, პირადულის და წოდებრივ-ჯგუფურის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარების იდეას. „აღორძინების“ პერიოდის სხვა მოწინავე მწვრლებთან ერთად სულხან-საბა გრძნობს, რომ ქვეყნის მთავარი უბედურება მარხია შინაურ აშლი-

ლობაში, ფეოდალურს კინკლაობაში, დინასტიურ ქიშპში. სულხანი-აიდელებს შეკავშირებულ, შემქიდროებულ, ორგანიზებულ და მონოლიტურ სახელმწიფოებრივ ძალას. ასეთ სახელმწიფოს მიმართ უძლეურიაო მტრის რისხვა. ძალა ერთობაშია—აცხადებს სულხანი და ამის საილუსტრაციოდ ურთავს მეფის ნაამბობ პატარა ცოცხალ არაკს: „მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა: თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გაგტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგღეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“ (47—48).

სულხანმა ისიც კარგად იცის, რომ: „მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას“ (124). სულხანი ითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ყურადღებას ყველა შენიღბული, ფლიდურად დამოყვრებული ორგულ-დუშმანის მიმართ. ლმობიერი, გულთბილი, მოწყალე, უხვი და უშურველი ერთგულ ქვეშევრდომთა მიმართ, მეფე-მმართველი დაუზოგავია და შეუბრალებელი მტერთათვის.

ურთიერთ დაუნდობლობას, გაუტანლობას და შურიანობას სულხანი უპირისპირებს მეგობრობას, ძმობას, ამხანაგობას. რუსთველის შემდეგ სულხანმა მიუძღვნა ამხანაგობა-მეგობრობას შეუღარებლად მაღალ გრძნობიერი, ამაღელვებელი, მხურვალე პათეტიური ჰიმნი. აი ამ მშვენიერი ჰიმნის ერთი ნაწყვეტი:

„~~კარგი ამხანაგი აღვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იათად ვერაჲინ იყიდის. ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მანალია, სიმაგრე დაუოღვეველია. ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია. ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიჰედოვნეა, უცხოსთანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა. ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია. ამხანაგი კირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია. ამხანაგის უკეთესს შენ რას იშოვნი?“ (138).~~

აბსოლუტისტურ-თვითმპყრობელური მმართველობის მომხრე სულხან-საბა ორბელიანი პრინციპულად როდი უარყოფს კოლეგიალობას, პირიქით, კოლეგიალობა მას თანამშრომლობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია: „ერთი ქეუა და რჳევა უამხანაგოდ სწორედ არ იქმნების, რაგან ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორი-სა და სამის კაცის რჩევა სჯობს“ო (48). ამდენადვე ავტორი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მეფის უმახლობელს მრჩეველ-თანამშრომლებს, ვაზირებს: „ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა“ო (-9). რა თქმა უნდა, „ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს“ო (48). მაგრამ ყოველივე ეს ავტორს ეხატება საიდელალოდ. სინამდვილეში კი ჩვეულებრივად მეფის სასახლე სავსეაო ყოველი ჯურის ნაძირალებით, მედროვეებით, ანგარებიანი, გაიძვერა და ბოროტი კარისკაცებით. სულხან-საბა ორბელიანს ორ კატეგორიად აქვს წარმოდგენილი სამეფო მრჩეველ-კარისკაცთა საზოგადოებრიობა. „სიბრძენ-სიცრუეში“ ერთნი განსახიერებულთა სედრაქით, მეორენი კი რუქათი. სედრაქი კეთილშობილების, გონიერების და ბრძნული სულგრძელების გამომხატველია. რუქა ვერაგია, გაიძვერა ინტრიგანი, ცბიერი და ფლიდდ მოხელე. რუქა ფიზიკურადაც გონჯია, კაცობაწართმეული საქურისი, გაქსუებული ქოსა, არც მამაკაცი, არც დედაკაცი. ტყუილად კი არ კითხულობს მშვენიერი და ახოვანი ჭაბუკი ლეონი: „თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სად არს? თუცა დიაცი ხარ, სადა არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადაა ძლიერება მაჯათა? და თუ ქალი ხარ, შვენიერთა ძუძუთა შემძხვრე“ (15). რუქას მახინჯ სხეულში ავი და ბოროტი სულია დამკვიდრებული. ის თავისებურად ასახიერებს ბოროტ საწყისს, უკულმართობას. რუქა უღარესად ანტიპათიური, ამორალური პიროვნებაა. რუქა ადამიანთა მოძულეა. ის პირდაპირ ეუბნება სედრაქს: „შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს, და მე ყველანი მძულან“ (139). მას არაფერი სწამს სიკეთისა და ადამიანობისა. რუქას ამოსავალი პრინციპია: „არას კაცს კარვის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნია“ო (126). ამის სწილესტრაციოდ, სწავთა შორის, დამოწმებულია განთქმული არაკი „კაცი და გველი“, ანუ „სიკეთის მუქათა“. რუქა პრინციპულად ამართლებს სიკეთის წილ ბოროტით ზღვევას. ამ ანტისაზოგადოებრივ, ველურ და პესიმისტურ თვალსაზრისს სულხან-საბა უპირისპირებს სიკეთის (ყოველად შემძლებლობის ოპტიმისტურ

იდეას. სულხანს ღრმად სწამს ადამიანთა ბუნებითი სიკეთე, ზნეობრივი სიფაქიზე და აქედან გამომდინარე საუკეთესო მერმისი. ზნეობრივი სიმდაბლის წუმპეში ჩაფლობილ საზოგადოებას სულხანი მოუწოდებს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ, ხოლო ზნეობრივი და ფიზიკური სიმახინჯის სიმბოლო რუქას მიწასთან ასწორებს თავისი მადლიანი კალმით. სულხანს სჯერა, რომ საზოგადოების უმრავლესობა პოტენციურად სიკეთის საწყისს იძლევა, ბოროტი საწყისის ნაშიერი რუქა ცალკეული ერთეულია. მაგრამ ეს ერთეულიც ძალზე საშიშია. ვერაგ ბუნებასთან ერთად რუქა დაჯილდოვებულია მაღალი გონებით. ნიკის და ცოდნის წყალობით რუქას მიუღწევია დიდი წარჩინებისთვის, საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეშია დასკუპებული, მეფის მრჩეველი კარისკაცია, გავლენას ახდენს მმართველობაზე. მის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი საქმე როდია. საჭიროა ლეონისებური და სედრაქისებური გამჭირახობა, უნარი და ნებისყოფა, რომ აპრიმანის ამ ბოროტმა ნაშიერმა ხმა ჩაიწყვიტოს. სულხანის აზრით, რუქათა ძლევა და „პირის დაყოფა“ შესაძლებელია მხოლოდ განათლებული კკუით და სწავლით. უკეთესი მერმისის საწინდარი მხოლოდ სწავლაა—აცხადებს საბა— და აქეთკენ მოუწოდებს კიდევაც ყველას.

სულხანი სტუქსავს და ჰგმობს როგორც დესპოტიურ, ისე ფუქსავატ ხელისუფლებს, რომელთაც სრულიად დაეიწყინათ ხალხის ინტერესები და ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეები გადაუციათ გარყვნილი და გაქნილი მრჩეველ-მოხელეებისათვის. მსგავს ხელისუფალთა ბედი განწირულიაო, ასკენის სულხანი, მხოლოდ განათლებულ, კაცობოყვარე და სამართლიან ხელისუფალს შეუძლიაო ძალა-უფლების შენარჩუნება. სულხანი საოცარი გულახდილობით ასწერს სასახლეების კამარილიას, ინტრიგანობას, კორიკანობას, საზეიმო პირფერობას, ფლიდობას. სულხანი მხატვრული საღებავებით სახავს სასახლის ბიწიერებას, კარბად აზავებს მუქ ფერებს მისთვის კარგად ნაცნობი სასახლეების ყოფა-ცხოვრებითი მხარეების სრულყოფილად გადმოცემისათვის. „მეფისა კარსა მდგომნი კაცი—ამბობს სულხანი—მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხს და ხრიკს ცდილობენ, რათა შეგაძაგონ [ერთგული მონა], მაგრამო—აფრთხილებს მეფეს—„პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზლოსო“; საქმე გასინჯეს და ისე გადაწყვიტისო. „ქილილა და დამანის“ წინასიტყვაობაშიც აღნიშნულია: „მანამდე უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თვარა რა მოკვდება, ტირილი

აღარ გააცოცხლებს, არცა წყენა წასულს საქმესა—ლა მოაბრუნებს“ო.

დიდ-მოხელეებისა და კარისკაცების უარყოფითი ყოფაცხოვრებითი მხარეების მხილებასთან ერთად სულხან-საბა ორბელიანი დიდ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში შედარებით უფრო წვრილი მოხელეების გაიძვერობა-მუხანათობას, მათგან ხალხის უსამართლოდ ყვლეფას, რბევა-აწიოკებას და ა. შ. მახელი იგავებით აეტორი ამათრახებს ავ-მოურაეებს, გახრწნილ მამასახლისებს, წურბელა გზირებს და სხვა მისთანებს. განსაკუთრებული სიმძაფრით და მძულვა-რებით ასახა სულხან-საბა ორბელიანმა უმეცარი, ჩერჩეტი, ყრუ, ამასთან ბრიყვი, ყბედი და მექრთამე მოსამართლენი („ყადები“). ერთგან გაიძვერა, მსუნაგი და წუწ.ი მელა პრეტენზიული ყოყორობით აცხადებს: „ლომ-ნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ვ ა რ ო“. მელა—მდივანბეგის მკათიო ალეგორია მშენივირად აგონებდა თხზულების მკითხველს მწარე სინამდვილის ნაცნობ სურათებს. მელა მდივანბეგის გაიგაეება მოსწრებულები უნდა ყოფილიყო და ძალზე გაბედულიც. სხვა რომ არა იყოს რა, მდივანბეგი იყო თვითონ სულხანის მამა, მდივანბეგის ოჯახში და წრეში აღიზარდა და განისწავლა ჩვენი სახელოვანი მწერალი. მამულების გაყოფა, გაყრა, განწილადება უმნიშვნელოვანესი მხარე იყო ფეოდალური საქართველოს სინამდვილისა. პატარა არაკში „თხა და მელა“ აეტორმა შეუდარებელი ოსტატობით ამხილა გაიძვერა მოჩივარების, მსუნაგი შუაკაცების, ცილისმჩამებელი მოწმეების და მოძალადე მოსამართლეების შეთანხმებული საქმიანობა უწყინარი, მშვიდი, პატიოსანი და გამრჯელი მშრომელის მიმართ. თხამ და მელამ, თურმე, ზიარად დათესეს ყანა, ჭირნახული კარგი მოსულა. ყანა მომკეს, გალეწეს, გაანიავეს. ხორბალი ცალკე დააგროვეს და ბზე ცალკე. მელას უთქვამს: „ხვაეი ნე და ბზე შენა“-ო. გულმართალ თხას კი უთხოვია: „ორივ შუა გავიყოთ“-ო. ვითომცდა შეურაცხყოფილი ცბიერი მელა გაშურებულა შუაკაცის მოსაწვევად. თხა არ დაბნეულა, მელას ოინები კარგად სცოდნია, ორი ნაცნობი ქოფაკი მოუყვანია და წინასწარ ბზეში დაუმალა. მალე მელაც გამოჩნდა, შუაკაცად მოჰყაედა მგელი. შუაკაცი და მოსამართლე მგელი ყალბი რეზონერული პათოსით იკითხება: „ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო?“ უდანაშაულოდ სამართალში მიცემული თხა მშვიდად მიუგებს მართლმსაჯულების ქეშმარიტ მოძღვარს: „მაშ, რადგან მოწმად მოყოლიხარ, მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან,—მის საფლავზე

შედგე, ისულე და მართალი მოწამე იქნები“ო. მართლმსაჯულების მოციქულმა თურმე „თხის შექმა მოინდომა“ დროულად. მაგრამ „მივიდა და ზედ ძაღლებს შეადგა. წამოხტნენ ძაღლები, მეჲი და მისი მოწამე ისე გახადეს, შარშანდელიც დააიწყეს, არამც თუ წლეული ეშოვნათ“.

სულხან-საბა ორბელიანი დიდაქტიკოსი იყო და მორალისტი. დამოწმებული არაკიდან მას გამოჰყავს გარკვეული მორალური დასკვნა: მოძალადეს და ცილისმწამებელს ღირსეული სასჯელი მიეზღვისო. ეს იყო ავტორის რწმენა, უკეთ, ავტორის სურვილი. სინამდვილეში კი (და ეს მწერალმა საუცხოვოდ გვანიშნა) მელა და მგელი საშინლად ყვლეფდა და გლეჯდა უწყინარ პირუტყვს. რაც მთავარია, ამ მოძალადურ წამგლეჯელობას მგელ-მტაცებელი ხშირად იკანონებდა მართლმსაჯულების მაღალი წესით.

წერილი მოხელეების აუტანელი საქმიანობის დასახასიათებლად საინტერესოა იგავ-არაკი „მაოხრებელი მკვდარი“ [43-50]. კლარჯეთის თემში ყოფილა ერთი გზირი, „ანჩხლი და მტერი სოფლისა“. ამ გზირმა თურმე სოფელი „სრულიად ააოხრა“. დამდგარა გზირის სიკვდილის დღეც. გზირს მიუხშია სოფლელები და პირფერული ვერაგობით შეუგონებია: „მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და რადგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოგკედე, თოკი ყელთ მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთო“. გულუბრყვილო სოფლელები მოტყუებულან, გზირის ფლიდობა მათ ჩაუთვლიათ სასინანულო სინდისის ქენჯნათ, ანდერძი სისრულეში მოუყვანიათ. ხელისუფლების წარმომადგენლებს კი გადაუწყვეტიათ: „ჩვენი გზირი დაურჩვიათო“ და სოფელი მკაცრად დაუსჯიათ. დაღონებული სოფლელები თურმე ამბობდნენ: „ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო“.

სულხან-საბა ორბელიანი არ ინდობს არც სამღვდლოების ფარისევლობას და მსუნაგობას. ის ირონიულად ჰკილავს ბერად შედგომის პირფერულ კდემამოსილებას, დასცინის წმინდა ადგილების მოლოცვის ფორმალობას, სასაცილო ზღის წმინდა ზიარებისა და საიდუმლო აღსარების თვალთმაქცობას („მელა მოძღვარი“). „სიბრძნე-სიცრუე“ გვიხატავს ზნედაცემული და წუწკი მოღების საქმიანობას, გვითვალისწინებს ფლიდი და ქურდი სადრების (რჯულის თავების) „სასახელო“ მოღვაწეობას. ერთ-ერთ იგავ-არაკში („გოძნეული ცოლის პატრონი“) პირდაპირ ქურდ-ბაცაცისა და მეკობრის როლშია გამოყვანილი სასულიერო საზოგადოებრიობის

უმალესი წარმომადგენელი (სადრი). მართალია, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში მუსულმანური სამღვდლოების საიერარქიო ტერმინებით („მოლა“, „სადრი“) სარგებლობს, მაგრამ იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებში ეს სრულიად ბუნებრივად უნდა იქნას მიჩნეული. დაკვირვებულ მკითხველს სადრის საქციელი რომელიმე ეპისკოპოსის საძრახის საქციელს მოაგონებდა, ხოლო გარყვნილი მოლა აღუბეჭდავდა ნაცნობი მღვდელ-დიაკვნის სახეს.

დიდად საგულისხმოა, რომ „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი იძლევა ერთგვარ დაქვემდებარებას ღვთიურ სამართლიანობასა და ღვთის ყოვლად შემძლებლობაში. ერთი გლახაკი შემდეგი საყვედურით სავსე სიტყვებით მიჰმართავს გამჩენს: „დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცს სისხლს არ დაანთხევიანებ, არას მისცემო“ (124). დიდად საყურადღებოა შემდეგი არაკიცი: ერთ პირფერულად მლოცველ ბოროტმოქმედ კაცს სამოთხის კარები ჰქონია გამოკეტილი, მაგრამ ყოვლად მოწყალე ღმერთს შესცოდებია მისგანვე ქმნილი ადამიანი და ანგელოსის პირით უცნობებია—ყოველგვარ სურვილს შეგისრულე, ოღონდ სამოთხეში ადგილს ნუ მთხოვო. ცოდვილს უპასუხია, რადგან სამოთხე არ მეღირსება, ბარემ ისეთი დიდი გამხადე, რომ ჯოჯოხეთმა ჩემს გარდა ვერავინ დაიტოვოსო. ღმერთი საგონებელში ჩავარდნილა. „ეს ველარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსა“—ო. როგორც უნდა გავიგოთ ღვთის საქციელი, ერთი აშკარაა, ის დამარცხებული რჩება, კაცმა აჯობა ქკუით, ღმერთი ანგარიშში მოტყუვდა. სადღაა ღვთის ყოვლად გონიერი და ყოვლად შემძლე ბუნება?! სადღაა ღვთიური გამჭირახობა და შორსმჭკრეტელობა?!

სხვაგან სულხან-საბა ორბელიანი იმას ამტკიცებს, რომ გლახაკთა და დავრდომილთა შეწყალებას, ქველმოქმედებას და საზოგადოდ ყოველ კეთილ საქმიანობას ადამიანი სიცოცხლეში უნდა ეწეოდესო, თორემ სიკვდილის შემდეგ „გაცემას“ სამადლო ძალა ეკარგებაო და ემსგავსებაო უკან მიდევნებულ ლამპარს. ასეთი ლამპარი, აბა, ცხოვრების გზას როგორ გააშუქებსო?

სულხან-საბა ორბელიანს კარგად შეუმჩნევია ძველი მამა-პაპეული ადათ-ჩვეულების რღვევის პროცესი. ძველ ადათ-ჩვეულებას ასაზრდოებდა სოციალური ყოფის განსაზღვრული მდგომარეობა. ამ მდგომარეობის შერყევამ შეარყია თვითონ მორალის საფუძვლებიც. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საინტერესოა „ყასაბი და მყიდველი“ (161). ერთმა კაცმა ყასაბს ნისიათ სთხოვა მთელი ცხვრის ნახევარი, საფასურს შემდეგ მოგართმევთო. ყასაბმა ირონიულად

უპასუხა: „შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპყრას და მიხვი-
ლოდე; სადგომს მიდი, ერთის პონის ხელით შენის თმის ბეწვი
გამომიგზავნე. ვინიშნებ და [ხორცს] გამოგიგზავნიო“. გულუბრყვი-
ლო მყიდველი ასეც მოქცეულა. მოგზავნილ კაცს ყასაბი მკვებედ
დახვედრია და უპასუხია: „ვაჟო! თვით აქ იყო, წვერიცა და ულ-
ვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნე-
ლი არ მივეც, და ახლა ერთის ბალნით ბევრს რად გავუგზავნიო?“

მოტანილი არაკით ავტორი ამბობს, რომ თამასუქების ჩარ-
ჩული სისტემის თვალსაზრისით, რასაკვირველია, სასაცილოა ბეწვით
ანგარიშიანობის წესი. ამ წესს ერთგვარად ამართლებდა ფეოდა-
ლურ-რაინდული ყოფისა და კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეო-
ბის პირობები. მაგრამ, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზ-
რისით, საქართველოს ჩამორჩენილობის მიუხედავად, სულხან-საბა
ორბელიანის დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა
ახალი სააღმშენებლო მეურნეობის ფორმა. ეს ფორმა კი „სალი“
ანგარიშიანობის პრინციპს ემყარებოდა. „ბეწვის“ საზოგადოებრივი
მორალის ხვედრითი წონაც ბუნებრივად ღებულობს სასაცილო
ხასიათს. პრაქტიკოსი და ანგარიშიანი ჩარჩ-ვაჟარი აბა როგორ
ენდობა ჯიბე-ცარიელი მუშტრის ქედმალღურ დარდამანდობას?
საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ახალი მხარეც სულხან-საბა ორ-
ბელიანმა საუცხოვო მხატვრული დამაჯერებლობით ასახა.

თავის მხრით ვაჭრული საზოგადოებრივი წრის წარმომადგენ-
ლებს სულხან-საბა ორბელიანი ახასიათებს, როგორც ძუნწებს, გაუ-
მაძღვრებს, ხარბებს, ზნეობაშელახლებს. ერთგან ავტორი მწარე
დაცინვით გვიამბობს: რომელიღაც დიდვაჟარი დააწინაურეს, მეფის
სალარო ჩააბარესო. თურმე შემთხვევით სალაროს კლიტე გაფუქდა,
ძუნწმა მოლარემ „ორი ფული არ გამოიმეტა, რათა მკედელს გაე-
კეთა“ და სამაგიეროდო—აქედან ავტორს მორალური დასკვნა გა-
მოჰყავს—თავიც წააგოვო (13). სულხან-საბა ორბელიანს არ მოსწონს
ვაჟართა ვიწრო პრაქტიციზმით შეზღუდულობა, მწერალი კიცხავს
ვაჟართა სულმოკლეობას, სიჯაბნეს და ფლიდობას. სულხანის აზ-
რით მოუწესრიგებელია ანგარებით გატაცებული ვაჭრების ოჯახური
ცხოვრება. საყურადღებო დეტალი—(ვგონებ, „ვეფხისტყაოსნით“
შთავგონებული) ფიზიკური უილაჯობისა და მოუქნელობის გამო.
ცოლები ჩვეულებრივად ღალატობენ ხოლმე თავიანთ ჩარჩ-ვაჟარ
ქმრებს.

კიდევ ერთი შესანიშნავი დეტალი: სულხან-საბა ორბელიანი
ყოველგვარ სიმდიდრეზე მალლა აყენებს პურით სიმდიდრეს

(„ორი მდიდარი“, გვ. 80). რა თქმა უნდა, ეს დეტალი უმნიშვნელოა როდია ავტორის იდეური ზრახვების ცხადყოფისათვის. სულხან-საბა ორბელიანი გოლისტივილით აღნიშნავს, რომ შეუღლება-დაქორწინებაც ანგარიშობისა და ანგარების საგნად გადაქცეულა. ერთმა ხელმოკლე მეფემ თავის შვილს ცოლად მოჰგვარაო გამდიდრებული მკედლის ასული. მეფე დიდ მზითევს გამოელოდა. მკედელმა ქალს გაატანა ძვირფასი მისნური ქვა. მაყრიონის დაბრუნებისას მეფის პირველი სიტყვა ყოფილა: „ჩემას რძლის მზითევი მიჩვენეთო, ვნახო, რა მოჰყოლიაო“. ბრძანება აუსრულეს. მეფემ მისნური ქვის ძალა არ იცოდა, იწყინა: „ამიტომ ვითხოვე გლეხის ქალი, მრავალი ქონება ჰქონოდა, ბევრი მზითევი გამოეტანებინაო“. და იგი ქვა [უგნურად] ზღვაში გარდაავლო (90).

სულხან-საბა ორბელიანი სტუქსავეს ხელოსნების თავგასულობასაც („ქურდი მკერვალი“ და სხვ.). ერთი სიტყვით, „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი დაუზოგავად ამხელს და კიცხავს საზოგადოების ყველა ფენის მათე ჩვევებს და ზნეობის მახინჯ მხარეებს. ავტორი ირონიულად ჰკილავს და გესლავს ყოველი ჯუროს ამპარტავან, ტრახახა და უქნელა ადამიანებს; დასცინის და ამათრახებს ზანტებს, უნებოებს, ძუნწებს, მსუნაგებს, ფანტაზიორებს, ბაჭიებს, უგნურებს, ურჩებს, ყბედებს, უკეთურებს, პირფერებს, ფლიდებს, ლოთებს, ენატანიებს, შურიანებს, ცრუებს, ქვემძრომლებს, მოლაღატე-გამცემლებს, მხდლებს და სხვა მისთანებს. მაგრამ ამასთან ავტორი უარყოფითს უპირისპირებს დადებითს, ყოველი იგავ-არაკიდან გამოჰყავს ბრძნული მორალური შეგონება, მკითხველს არიგებს, ასწავლის, მოძღვრავს.

თავისი იდეების გადმოსაცემად სულხან-საბა ორბელიანმა მიჰმართა იგავ-არაკულ ჟანრს. იგავ-არაკულ ჟანრს კი ძლიერ უხდება მხატვრული მეტყველების იუმორისტულ-სატირული ხერხი. ამ ხერხით ავტორი სარგებლობს ოსტატურად. აქა-იქ საოხუნჯო იუმორისტულ კილოს ცვლის მძაფრი ირონია და გესლიანი სარკაზმი. მაგრამ ყველაფერში მწერალი იცავს მხატვრულ ზომიერებას. არც ენა-კვიმატური გადამლაშება ახასიათებს „სიბრძნე-სიცრუეს“, არც სიტყვიერი კდემამოსილება. ცრემლნარევი სიცილის ხმაური თხზულების ძირითადი მელოდიაკური ტონია. შესანიშნავია ამ მხრით სედრაქ ვეზირის მიერ კაცობაწამხდარ რუქას შეგონებად თქმული არაკი „მოტირალი და მოცინარი“ (152-153). ერთი კაცი თურმე სულმუდამ ტიროდა: „რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი“ო. მეორე თურმე, პირიქით, სულ იცინოდა და თავის.

საქციელს შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შერებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინერა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან მათი რა სარგებელია?“.

სულხან-საბა ორბელიანი სედრაქის სახით მოცინარის მხარეზე დგება: „მის მსგავსად, შენთვის ეიურვე, ვიწუხე, ვინაღლე, გასწავლე... ახლა მეც სიცილს ძალი მივეცო“.

„სიბრძნე-სიცრუისა“ დაწერილია იშვიათად სუბუქი, დახვეწილი და მხატვრული უბრალოებით აღბეჭდილი ძარღვიანი ენით. სულხან-საბა ორბელიანი ქართული მხატვრული პროზის ერთერთი უბრწყინვალესი ოსტატია. დიდი ხელოვანი, დიდი სტილისტი, ნათელი აზრის ნათელი სიტყვიერი ფორმით გამომხატველი ვირტუოზია, უბადლო მწიგნობარი. სწორედ „სიბრძნე-სიცრუის“ იდეურ-მხატვრული სიდიადის შესატყვისია ავტორის ნაქვედი სიტყვა: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“—(30-31). სულხან-საბა ორბელიანი თამამად არღვევს ქართული მწიგნობრობის მრავალ საუკუნოვან ტრადიციებს. სულხანი გაეძიჯნა გაბატონებულ მაღალფარდოვან მწიგნობრულ სტილს („სტილს“), მან შემოიღო და დააქანონა სასაუბრო, ხალხური კილო. ოღონდ ამ კილოს მისცა ლიტერატურული მოქნილობა და გამართულობა. სულხანმა გამოიყენა ახალი, მანამდის მწერლობაში გაუგონარი „მდაბიური“ თქმები, მოსწრებული დიალოგები, ხალხური „მარილიანი“ ანეგდოტები და სხვ. ერთი სიტყვით, სულხანმა მწერლობა დაუახლოვა ფართო მკითხველ საზოგადოებრიობას, მწერლობა დააყენა გახალხურების გზაზე. აქაც იჩინა თავი სულხან-საბას პედაგოგიურმა გულისხმიერებამ. ის როგორც დიდაქტიკოსი, მოძრალისტი, ფართოდ გაგებული ხალხის გულის შემატკივარი, ხალხს მოძღვრავს და ასწავლის მისთვის გასაგები, უბრალო, მაგრამ ლიტერატურულად გაკეთილშობილებური მხატვრული ენით.

„სიბრძნე-სიცრუისა“ დაწერილია მხატვრული პროზით. ესეც დიდად საგულისხმო გარემოებაა. ე. წ. აღორძინების ხანაში, როგორც უკვე ვიცით, პროზა არ სარგებლობდა საზოგადოებრივი ყურადღებით, პროზა ათვალწუნებული იყო, პროზულ ტექსტებს მკითხველი გაუბრბოდა. იმ დროს მხოლოდ ლექსი ფასობდა, ლექსი ითვლებოდა ლიტერატურული გემოვნების საზომად, მხატვრული აზროვნობა ლექსითი ფორმით იხატებოდა. სულხან-საბა ორბელიანი ამ მხრივთაც გაემიჯნა ლიტერატურულ წარსულს, ჩინებული პოეტი—ოსტატი აუმხედრდა გაბატონებულ ლიტერატურულ გემოვნებას, არ ითაკილა პროზული სტილი, პროზას მიჰმართა, მხატვრული პრო-

ზის შედეგრი შექმნა, მხატვრულ პროზას აღუდგინა დიდების დღენი. „ვისრამიანის“ შემდეგ მხატვრული პროზის კლასიკური გამართულობა ქართველმა მკითხველმა მხოლოდ სულხანით იგრძნო. სულხან-საბას დიდ პოეტურ ღირსებებზე და ნოვატორობაზე სხვაგან ვლაპარაკობთ¹. აქ იმას აღვნიშნავთ, რომ ცნობილთა შორის სულხან-საბა პირველია, რომელმაც თავის არსებაში საოცარი ზომიერებით შეაერთა მხატვრულად მოაზროვნე მელექსე-პოეტი და ოსტატი პროზაიკოსი. ახალი დროის მრავალი გამოჩენილი მწერალი მიჰყვება სულხან-საბა ორბელიანის მიერ არჩეულ სალიტერატურო გზას.

მთელი რიგი მკვლევრებისა (ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი და სხვ.) იმ აზრს ადგია, რომ „სიბრძნე-სიცრუისა“ გვიან არის შედგენილი, ან რედაქტირებული. ა. ცაგარელი წერდა: „Если не составление, то, по крайней мере, окончательную редакцию ея можно приурочить не к юности, а скорее зрелому возрасту, или даже к преклонным летам“². ეს აზრი საფუძვლიანად უარყო ჯერ კიდევ აკაკი წერეთელმა: „ზოგი იმ აზრის არის ჩვენში, რომ ის არაკები საბამ ევროპაში მოგზაურობის დროს მოაგროვა და რომ დაბრუნდა, გადმოაქართულაო. შემცდარი აზრია (დაყოფა აქაც და ქვეითაც ჩემია, ა. ბ.), „სიბრძნე-სიცრუე“ საბამ ყმაწვილობაშივე შეაგროვა და ევროპაში კი სიბერის დროს მოგზაურობდა³. „სიბრძნე-სიცრუეს“ ავტორის ყმაწვილობის („ქაბუკობის“) დროინდელ ნაწარმოებად თვლიან პროფ. კ. კეკელიძე⁴ და გ. ლეონიძე⁵. მართლაც, „სიბრძნე-სიცრუის“ ჩვენამდე მოღწეული ყველა სათაურიანი ხელნაწერი ასეთ წარწერას იძლევა: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა [და არა სულხან-საბა, ან საბა-სულხან] ჟამსა სიქაბუკისა თვისისა“. ამ სათაურით საგანგებოდ გახაზულია,

¹ აღ. ბარამიძე, ქილილა და დამანას ქართული ვერსიები („ნარკვევები“, I, 1932, გვ. 286—284).

² Книга мудрости и лжи (Грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.) Саввы.—Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Чагарели, СПб, 1878, стр. VII; ср. Н. Я. Марр, Сборники притч. Вардана, I, 516; А. Хаханов, Очерки, III, 236).

³ აკაკის კრებული, 1898, მაისი, IX, განყ. I, გვ. 29—31, შენიშვნა.

⁴ ქართული ლიტ. ისტორია, II, 303.

⁵ სიბრძნე-სიცრუისა, თბ., 1928, გვ. CLXVII — CLXXVI; სიბრძნე-სიცრუისა, თბ. 1938, LXX—LXXIII.

რომ კრებული შედგენილია „სიკაბუჯეში“, სულხანობის პერიოდში, მაშასადამე, ყოველ-შემთხვევაში, 1798 წლამდე (სულხანის ბერად შედგომამდე). როგორც ცნობილია, სახელოვანი მეიგავე ბერად შედგომის შემდეგაც ვერ ელეოდა თავის ერისკაცობის სახელს სულხანს. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მისი ლიტერატურული შედეგები („სიბრძნე-სიცრუისა“) სულხანის სახელით გამოქვეყნდა. „სიბრძნე-სიცრუის“ ადრინდელი ჩამოყალიბება გასაგებს ხდის მის გარკვეულ ანტიკლერიკალურ ტენდენციას. საბასეულ „ქილილა და დამანას“ კი კლერიკალური ტენდენცია ახასიათებს. დამახასიათებელია, რომ „ქილილა და დამანა“ სტილისტიკურადაც სულ სხვა პოზიციაზე დგას და იდეურობის მხრივაც ზოგიერთ ახალ ბომენტს შეიცავს (ქილილა და დამანაში უკვე საკმაოდ იგრძნობა რედაქტორის როგორც ძლიერი რელიგიური განწყობილება, ისე ერთგვარი პესიმიზტური სულისკვეთება¹).

„სიბრძნე-სიცრუის“ ორიგინალობის საკითხში თითქმის არავინ დაეჭვებულა. თხზულების პირველი სერიოზული მკვლევარი, პროფ. ა. ცაგარელი ამ მხრით დიდ სიფრთხილეს იჩენდა და ასკვნიდა: „Кн. Мудрости и лжи не представляет ни перевода, ни подражания, ни даже крупного и сплошного заимствования... в целом она является произведением оригинальным, туземного, грузинского происхождения“ (XI). პროფ. ა. ცაგარელი ფიქრობდა, რომ ავტორის უშუალო წყარო უნდა ყოფილიყო ხალხური სიტყვიერება, იგავ-არაკების ძირითადი მარაგი სულხანს ხალხიდან უნდა აეღო; თუმცა არც ლიტერატურული პროტოტიპის არსებობას უარყოფდა მეცნიერი-მკვლევარი. პროფ. ა. ცაგარელის მოსაზრება შემდეგში განმტკიცდა, თუმცა ნ. მარი, ცოტა არ იყოს, სექტიკურად შენიშნავდა: „Прежде чем пользоваться для сличения в научных целях баснями из книги мирской мудрости [ასე თარგმნის ნ. მარი „სიბრძნე-სიცრუეს“], желательнее было бы установить более прочный взгляд на источники названного груз. памятника²“. პროფ. კ. ქეკელიძის შეხედულებით „სიბრძნე-სიცრუის“ კრებულიდან „არც ერთი [იგავ-არაკი] საბას მიერ მოგონილი არ უნდა იყოს, უმეტეს ნაწილად ისინი ამოღებულია

¹ ალ. ბარამიძე, ქილილა და დამანას ქართული ევრსიები (ნარკვევები, I, 1932, გვ. 268—295).

² Сборники притч. Вардана, I, 516, შენ. 2.

ხალხის წილიდან, მხოლოდ ზოგიერთი ნასესხებია უცხო კრებულ-
დან და, ცოტად თუ ბევრად, შეკეთებული საბას მიერ¹.

მართლაც, შეიძლება დასახელებული იქნას საქვეყნოდ ცნობი-
ლი მთელი რიგი კრებულებისა, რომელთაც „სიბრძნე-სიცრუის“
შესატყვისი იგავ-არაკები მოეპოვებათ. ასე, მაგალითად, „ქილილა
და დამანას“ ექვსი იგავ-არაკი ახლოს ემთხვევა ჩვენს კრებულს. ესე-
ნია „კუ და მორიელი“ (122), „გზაური და გველი“ (241—245),
„გლახა და ერბო“ (379—380), „მშიერი არაბი“ (427—428), „რკი-
ნის მკამელი თავი“ (167—168), „მარტომყოფელი და ძალი“
(304—305)². რვა არაკს პარალელი მოეძებნება „მელის წიგნთან“³.
„ბახთიარ ნამეს“ უბედური ვაჟარი, „ბარამ-გურიანის“ VII
ამბავი უნაღვლო კაცის თაობაზე, „ათასერთი ღამის“ სინდ-
ბადის ზღაპარი მეტ-ნაკლები სიზუსტით ემსგავსება „სიბრძნე-
სიცრუის“ სათანადო ტექსტებს. „სიბრძნე-სიცრუის“ რვა არაკი და-
მოწმებულია ესოპეს კრებულთ („უმადური გველი“, „მელია და
წერო“, „ვირი და მგელი“, „ძუნწი“, „ძალი, მამალი და მელა“,
„მამაშვილები“, „რძის გამყიდველი“, „ენა“). ზოგიერთი პარალელი
მოიპოვება „სიბრძნის სალაროსთან“⁴ („ბალხეთის მეფის შვილი
და მოხუცი მებაღე“, „ბაჰრამ გური და ბროწეული“) და სხვა
კრებულებთან⁵. ყოველივე ამისდამიუხედავად მხოლოდ დიდი
სიფრთხილით შეიძლება ლაპარაკი, „სიბრძნე-სიცრუის“ უცხო ლი-
ტერატურული წყაროების შესახებ. მაგალითად, დაბეჯითებით
შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანს არ შეეძლო ესარ-
გებლა „ქილილა და დამანათი“ (მით უმეტეს ამის წყარო „პანჩა-
ტანტრათი“). უკვე გამორკვეულია, სულხანმა სპარსულ-არა-
ბული ენა არ იცოდა, რომ დედანში გასცნობოდა „ქილილა და
დამანას“. ხოლო „სიბრძნე-სიცრუის“ შეთხზვისას ქართულად მოი-
პოვებოდა „ქილილა და დამანას“ მხოლოდ მცირედი ნაწილი. ყო-
ველ შემთხვევაში „ქილილა და დამანას“ ჩვენთვის საინტერესო ყვე-

¹ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 304.

² გვერდები ნაჩვენებია ილია ჭყონიას გამოცემის მიხედვით (ტფ., 1886).

³ შდრ. არაკები „გველი და კაცი“, „ვირი და მგელი“, „სახამტრო და
ნიგოზი“, „ღვდაკაცი და მამალი“, „მეფე. მისი დისწული და ვაზირი“, „ვეცხ-
ლის მოყვარე დიდებული“ [Иртычъ Вардана, 37], „ბროწეულის წენი“, „მყვარ-
ნი“ [Иртычъ, 361] (ე. თაყაიშვილი, მელის წიგნი, 1899).

⁴ ნაწყვეტები აქედან დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“ (II, 1928).

⁵ А. Сагарели (183, 188, 189, 195), კ. ქეკელიძე (II, 304—305).

ლა არაკი (შეიძლება ექვი გამოიწვიოს მხოლოდ პირველმა) ტექსტის იმ ნაწილშია, რომელიც გვიან ითარგმნა. ასევე საეკვოა დანარჩენი წყაროები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულხან-საბა ორბელიანი უმეტეს წილად ზეპირის გზით უნდა გასცნობოდა დასახელებულ და სხვა მის მსგავს (რა თქმა უნდა, შესატყვისი ტექსტების რიცხვი დაახლოებითაც არ არის ამოწურული) იგავ-არაკებს. სულხან-საბა ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ~~ფოლკლორი~~. სულხანს შეეძლო ესარგებლა მწიგნობრული წყაროებითაც, მაგრამ ქართულ ენაზე არსებული წყაროებით. ვფიქრობ, შესაძლებელია დასახელებულიც კი იქნას „სიბრძნე-სიცრუის“ ერთგვარი ლიტერატურული პროტოტიპი. ესაა სახელგანთქმული „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც IX—X საუკუნიდან მაინც ცნობილია ქართულ ენაზე. სულხანი შთაგონებულია „ბალავარის“ ტექსტით. სათაურიც კი იქიდან აქვს აღებული. გარეგნულ მსგავსებას („სიბრძნე ბალავარისა“, „სიბრძნე-სიცრუისა“) რომ თავი დავენებოთ, საყურადღებოა თვითონ საგანის არსი. ბალავარიც და „სიბრძნე-სიცრუის“ გმირებიც სიბრძნეს სიცრუის გზით გამოხატავენ, ალევორიულად, იგავ-არაკების საშუალებით. ორივე თხზულება წარმოადგენს ფაბულურ ფონზე გაშლილ იგავ-არაკთა კრებულს. კომპოზიციური თვალსაზრისით სრული ერთგვარობაა. დიდი მსგავსებაა ცალკე დეტალებშიც: აზნესს და ფინეზს გვიან მიეცათ შვილი. ორივეს მხოლოდ თითო ვაჟი გაუჩნდა. ერთმაც და მეორემაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბავშვის აღზრდას. ერთმაც და მეორემაც ბავშვი აღსაზრდელად მიაზარა საგანგებოდ შერჩეულ მასწავლებელს. იოდასაფიც და ჯუმბერიც იზოლირებული იქნა მეფის საკარო გარემოდან. ორივეს ცალკე სასახლე აუგეს და იქ აღზარდეს..

ამრიგად „სიბრძნე-ბალავარისა“ და „სიბრძნე-სიცრუის“ მსგავსება უდაოა. მაგრამ თავიანთი იდეური მიზანდასახულობით ეს ორი სრულიად სხვადასხვა ხასიათის თხზულებაა. „სიბრძნე-ბალავარისა“ სულისმარგებელი, ასკეტობა-განდევილობის მაიდეალებელი ნაწარმოებია, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისა“ ადამიანის ამქვეყნიური ლამაზი და ჯანსაღი მალალ-ზნეობითი ცხოვრების მქადაგებელი უბაღლო დოკუმენტია.

მოგზაურობა ევროპაში

როგორც ვიცით, 1713-1716 წლებში სულხან-საბა ორბელიანმა იმოგზაურა ევროპაში. ამის შედეგია დღიურების სახით შედგენილი მხატვრული ნარკვევების წიგნი, რომელსაც პირობითად

ეწოდება «მოგზაურობა ევროპაში». სამწუხაროდ, მოგზაურობის ტექსტს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია. იწვიათია ხელნაწერებიც (დღეს-დღეობით ცნობილია მხოლოდ ოთხიოდე დეფექტური ნუსხა). ტექსტი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ცისკარში» (1852, №№ 1-4). დამატებითი ნაწყვეტი ჩვენ გამოვაქვეყნეთ «ანთოლოგის» მეორე წიგნში (თბილ. 1938, გვ. 132—134). შედარებით უფრო სრული და ძველი აღმოჩნდა ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისა და თბილისის რუსთველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ხელნაწერები (ქუთაისისა № 271, რუსთველის ინსტიტუტისა № 30). ორივე ერთგვარია და გადაწერილია 1780 წელს. თვითონ ეს უფრო სრული ტექსტის შემცველი ხელნაწერებიც იტალიის ამბებით იწყება. ხოლო იტალიისას, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა საფრანგეთის აწერილობა. ყოველ შემთხვევაში, ავტორი რამდენიმეჯერ იმოწმებს პარიზის აწერილობას: «წალკოტები, როგორც ფარიზისა დავსწერე, ესეც [ლაპარაკია ბურგონიაზე] მისთანა იყო» (ცისკარი, № 1, გვ. 9). სხვაგანაც შენიშნულია: «მისის წალკოტის ამბები ფრანცისისა დამიწერია, მაგრამ ამისი ასე სჯობდა» (ცისკარი, № 3, გვ. 57). ამრიგად, «მოგზაურობის» ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. გადარჩენილი ნაწილი კი საკიროებს მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას¹.

სულხან-საბა ორბელიანს ცნობისმოყვარე მეცნიერი ტურისტის თვალსაზრისით აღუბეჭდია მრავალი ნახულ-განცდილი ამბავი. ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: «რაც არ მინახავს, არ დავსწერო» (№ 4, გვ. 73). თვითონ ამბავი გადმოცემულია მოკლედ და სხარტად: «გრძელი ამბავი თავის საწყენია» (იქვე, 63). დღიურებში შეტანილია მხოლოდ მთავარი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თორემო—შენიშნავს საბა—«პრომი [მავალითად] ასეთია, ასს წელს სულ იაროს კაცმა, მისს საკვირველებასა ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს» (№ 1, გვ. 11).

თავისი მდგომარეობის გამო და თანამგზავრ-თანამშრომლების წყალობით სულხან-საბას დაუთვალეირებია უმთავრესად ეკლესიამონასტრები და სასულიერო დაწესებულებები. ამიტომაცაა, რომ «მოგზაურობაში» დიდი ადგილი უკავია სწორედ ეკლესია-მონასტრების აწერილობას. აღსანიშნავია, რომ ავტორი ძლიერ გაუბრძნობდა ზღაპრულ-ფანტასტიური სასწაულმოქმედების ამბებს (რის შესახებაც მას ცნობებს ბლომად აწვდიდნენ), საპილიგრიმო მისტიკური განწყობილებით არ იზღუდება, რვეულში შეაქვს დასათვალეირებელი

¹ ამჟამად ასეთი გამოცემაც მოგვეპოება (მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1949).

ობიექტის მართლაცდა თავისებური და ღირსშესანიშნავი მხარის დახასიათება. ერთერთ მონასტერში, მაგალითად, საბას უკრადღე-ბა შეუპყრია ღვინის საკერპოს და ის მოსწრებულად აღუწერია. მეორეგან საბას ჩაუწერია საინტერესო მოარული ლეგენდა სიმარ-თლის ღმერთზე. გზა-და-გზა საბას დაუთვალეიერებია ქსენონები, თავშესაფრები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები. ყველა ამის შესახებ ნა-ამბობია დაკვირვებულად და ცოცხლად. ერთგან საბას დიდის ინ-ტერესით აღუწერია თავისი შთაბეჭდილება ზოოლოგიური მუზე-უმიდან (ცისკარი, № 2, გვ. 22). კონსტანტინეპოლის შესახებ მოგზაურს შეუქრებია საყურადღებო სტატისტიკური ცნობები. სხვათა შორის, ამ განთქმული ქალაქის შესახებ საბა შენიშნავს: „დიდი ქალაქია და მრავალი შენობა [აქვს], მაგრამ საფრანგეთიდან მოსულს აღარ მოგვეწონა“ო (№ 4, გვ. 76). აქა-იქ საბა გვიანბრბს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის თაობაზე, აღწერს ჰავას, მო-სახლეობის საქმიანობას, ყოფა-ცხოვრებითს მხარეებს, პოლიტიკური წყობილების ფორმებს, მმართველობის წესებს და ა. შ. ქალაქ ჯე-ნევიას [ე. ი. გენუას] შესახებ მოგზაურს შეუნიშნავს: „ღუქას ორს წლამდინ დასმენ, მერმე გამოსცვლიან. პაპლიკა [ე. ი. რესპუბლიკა] ეწოდება“ო. საბა განცვიფრებაში მოუყვანია გენუას სიმდიდრესა და სიმშვენიერეს: „ჯენევიას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა. გარედამ ფრანცისის [ე. ი. პირიზის] შენებულობა სჯობდა, მაგრამ შიგნიდამ ამისი“ო, ხოლო—უმატებს ავტორი— „ზოგი ასეთები რამ ვნახე, არც ფრანციცის მეფის სახლში მინა-ხავს“ო.

შედარებით უფრო დაწვრილებით ჩერდება საბა სამხრეთ იტალიაზე. ავტორს დიდის გულისხმიერებით აღუწერია იქაური პრიმიტიული ხომალდები, მძაფრი ქარები, ბუნება, ჰავა... სანი-მუშოდ აქ მოვიტანთ სუბტროპიკული კუთხის შემდეგ აწერილობას: „მალთა დიდი თბილი ადგილია. დეკენბერში იასამანი და ყვავილე-ბი ყვაოდა. ლედეს გასცივოდა ფურცელი, თვარა ვენახს ისევ ესხა. არც თოვლი, არც თრთვილი, არც ყინვა არ იცის იქაურმა ზამთარმა. რა ჩრდილის ქარი აქროლდება, ცოტა რამ სიცივე შეიქნება. ზაფხულს მე-ტად ცხელს ამბობენ. სულ კლდია, ვაკე და ყორე. მრავალი გველია და ვერას ავნებს კაცსა. უნაყოფოა. სადაც წალკოტია, ნარინჯ-თურინჯი დგა, თვარა უწალკოტოდ ხე არსად არის. ზამთარ სულ მწვანია. ბალახი ზაფხულ არ იქნებაო სიციხისაგან“ (№ 4, გვ. 71).

საუცხოოდ გადმოსცემს საბა ოსმალთა მოხელეების, განსაკუთ-რებით ნებაყეების, თავგასულობას, ზღვის თუ ხმელეთის მეკობრეთა

თარეშის ამბავს, საერთოდ შავ ზღვაზე და მცირე აზიის ნაპირებზე შეზავრობის არაჩვეულებრივ სიძნელეს და ხიფათს. რა თქმა უნდა, ავტორი არ ივიწყებს დღიურებში აღბეჭდოს იქაური ჰაეისა და ბუნების დამახასიათებელი სურათები: „წვიმა და ნისლი, ღამე და ავი დაღმართი... ამასთან ყაჩაღები, აბრაგები... მალარიული სნება, უძლურება: „ბერიკაცი და სნეული-და მაცხელებდა“ო...

როცა ნახული ადგილი, თუ საგანი, საბას აგონებდა რამე მშობლიურს, ჩქარობდა ესეც გულმოდგინედ აღენიშნა დღიურში: „ვაკე [იყო] უფლისციხისა მსგავსი“. ანდა „ასეთი ღვინო იყო, რომ ატენურის ღვინის მსგავსი“ო. ერთგან ნახული ძვირფასი წითელი იაგუნდის თვალი საბას შედარებული აქვს ხახულის ღვთისმშობლის თვალთან (№ 3, გვ. 51). პაპის ბიბლიოთეკაში საბას ბეჯითად უძებნია ქართული წიგნები, მაგრამ „ვერ ვიპოვე“ო, მწუხარებით დასძენს (№ 2, გვ. 24).

სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში მხატვრული დოკუმენტური პროზის პირველი და შესანიშნავი ნიმუშია ქართულ ენაზე. ენობრივი სისადავე და სტილებრივი ეკონომია „მოგზაურობის“ დამახასიათებელი ნხარებია. „მოგზაურობის“ წიგნით სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა მანამდის უცნობი ლიტერატურული ჟანრი. შემდეგში საბას ამ მხრივთა მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. არსებითად საბას გზას აგრძელებენ ვახტანგ ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და სხვები.

* * *

სულხან-საბა ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობაზე ვრცელი საუბარი გვაქვს გამოკვლევაში „ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ (ნარკვევები, I, 1932) და აქ აღარ გავიმეორებთ. „ქილილა და დამანას“ გარეშე, როგორც შესავალშიც აღენიშნეთ, საბას ლექსებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულია ძლიერ უმნიშვნელო რამე, სახელდობრ, სამი სტროფი, თეიმურაზ პირველის „ქეთევან დედოფალში“ ჩართული, ანბანთქება (ე. თაყაიშვილი, Описание, II, 153, 210), სასულიერო შინაარსის ფრაგმენტი (ა. ბარამიძე, I, 208) და ერთიც ორ სტროფიანი ნაწყვეტი, რომელიც დაუცავს „მოგზაურობის“ ხელნაწერებს. სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სასულიერო საეკლესიო ხასიათის მრავალი ნაშრომი (პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 371-372).

დავით გურამიშვილი

სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს
დავით გურამიშვილი.

უკვე ერთი სრული საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მაშინ ახალგაზრდა აკადემიკოსი მარი ბროსე სამეცნიერო აკადემიის ახლად დაარსებული ქართული ფილოლოგიის კათედრიდან ამბობდა: „Хотя я далек от того, чтобы считать Давида [Гурамишвили] поэтом первого разряда; однако здравая философия, которою дышат его произведения, его религиозные выражения, его благопристойная веселость, наивная простота его слога,—все это пазначает ему почетное место между писателями его народа“.¹ ბროსეს თავის სიტყვაში გათვალისწინებული აქვს გურამიშვილის ბიოგრაფიის მთავარი ხაზები. ბროსეს შემდეგ მრავალი მკვლევარ-კრიტიკოსი შეეცადა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხების გარკვევას (ბოლო დროს ამ საქმეში ჩაებნენ უკრაინელი მწერლებიც), დადგენილია გურამიშვილის მრავალი უცილობელი ბიოგრაფიული ფაქტი, დაზუსტებულია „დავითიანის“ იდეურ-მხატვრული რაობის ცალკეული მხარეები; მაგრამ მაინც გვაკლია ცოტად-თუ-ბევრად სრული მონოგრაფიული გამოკვლევა.² ჩვენი ნარკვევის მიზანია უკვე მოპოებული, თუ ახლად დადგენილი, ფაქტობრივი მასალის ნიადაგზე მთლიან ასპექტში წარმოადგინოს გარდასულ დროთა დიდი ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მომენტები.

I

დავით გურამიშვილი პირველი პოეტია საქართველოში, რომელსაც ავტობიოგრაფიული ფაქტები თავისი მხატვრული შემოქმედების

¹ ЖМНП, 1838, VIII, 329.

² ამ მხრით საპატიო გამოწაკლის წარმოადგენს თავის დროისათვის ჩინებულად შესრულებული შრომა თედო ჟორდანიასი: „დავით გურამიშვილი და მისი დრო“ („ივერია“, 1880, №№ 1,2; 1882, №№ 1,2). ოღონდ აქ განხილულია გურამიშვილის მხოლოდ ბიოგრაფია.

საგნად გაუხდია. ზოგჯერ უშუალოდ („პირი ქართლისა“, ლირიკული ლექსები), ზოგჯერ წუთისოფლის წინააღმდეგ მოპაექრე კაცის სახით („კაცისა და საწუთროს ცილობა“) და ზოგჯერ შემგონებელი მამის პირით („ქაცვია-მწყემსი“) გურამიშვილი მოგვითხრობს თავის ცხოვრების ამბებს... პოეტი ჰკუთვნებია გურამიშვილთა ცნობილ არისტოკრატიულ ოჯახს, რომელიც მახლობელ ნათესაურ კავშირში ყოფილა ქსნის-ერისთავთა გვარეულობასთან. დაიბადა დავითი საგურამოში, სახელდობრ, საგურამოს გორის უბანში („მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორის-უბანსა“). პოეტის დაბადების თარიღი ზუსტად ირკვევა „კაცისა და საწუთროს ცილობით“. საწუთრო, სხვათა შორის, ეუბნება კაცს (—დავით გურამიშვილს):

დასაბამითგან მოგითხრა რიცხვი ჩემისა ხნისაო:

შიდ-ათას-ორას-ოთხმოც-და-ორისა მე ვარ წლისაო,

შენ მე საწუთროს მეძახი, წლისა სამოც-და-ცხრისაო.

დასაბამითი წელთაღრიცხვის 7282 წელს, ანუ ჩვენი ერის 1774-ს, გურამიშვილი ყოფილა 69 წლისა. იმავე თხზულებაში დაწუთრო მეორეგანც აყვედრის პოეტს თავის ხანდაზმულობას (39):

სამოც-და-ცხრის წლის კაცი ხარ, ეგ რად არ იცი შენაო?

მაშასადამე, დაბადებულა გურამიშვილი 1705 წელს. ბოლო დროს უკრაინის არქივებში აღმოჩნდა პირდაპირი დოკუმენტური მოწმობა პოეტის დაბადების თაობაზე. მთავრობის განკარგულების თანახმად, 1782 წელს გურამიშვილს საკუთარი ხელმოწერით მიუცია ცნობა თავისი ოჯახის წევრთა შემადგენლობაზე და წლოვანებაზე: „По силе состоявшегося 1781 года, ноября 16 числа... манифеста, для сию сказку о себе и семействе своем... по самой истине без всякой утайки.“ თვითონ ეს „сказка“ შედგენილია 1782 წლის 17 აგვისტოს, როდესაც დავითი 76 წლისა ყოფილა. ამრიგად, თუ ამოსავალ წერტილად მივიღებთ აღწერის თარიღს, მაშინ დავითის დაბადება მოვა 1706 წელზე. მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეუსაბამობას მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. „თხრობაში“ ორი თარიღია აღნიშნული: ერთი მანიფესტისა, რომლის საფუძველზედაც არის შედგენილი აღწერილობა, მეორე—აღწერის ფაქტიური განხორციელებისა. პირველი უჩვენებს 1781 წელს, მეორე 1782-ს. ამიტომ შესაძლებელია, რომ პოეტის წლოვანება მანიფესტის თარიღს ეფარდებოდეს, ანდა განსხვავებას ქმნის თვის ანგარიში. ერთი სიტყვით,

შეიძლება უეჭვოდ ჩაითვალოს, რომ დავით გურამიშვილი დაბადებულია 1705 წელს. „თხოობაში“ დავითი იწოდება „ეგორგიევის“ შვილად. ეგორგი იგივე გიორგია.

პატარა დავითი აღსაზრდელად მიუზარებიათ ძიძისათვის. ღვთაების პირით პოეტი ერთგან ასე მიჰმართავს თავის თავს:

მიგიღე, ძიძას მიგვეარე, ძუძუს მოგვიდგეო,
გასვი, გაქამე, ჩაგაცვი, ჩჩვილი გაგზარდეო.

წუთისოფელსაც აყვედრის გურამიშვილი, რომ დედამ „სხვას მიძეცა ქირით, ფასითა ძვირით“ო და „ბევრჯელ მატირით მუცლისა მშივრით“ო. ძიძა მღაბიოთაგანი უნდა ყოფილიყო, ღარიბ-ღატაკი, რაკი პოეტი ჩავის ხშირ-სიმშლილობაზე. პოეტი სწორედ ბავშვობის დროს, ძიძისას უნდა გასცნობოდა და დაახლოვებოდა იმ გლეხურ-მწყემსურ სოციალურ ფენას, ღრმა მოხუცებისას რომ ასე მშვენივრად ასახა „ქაცვია მწყემსში“.

როგორც თავის ადგილას აღნიშნულია, XVIII საუკუნის ოცინანი წლებიდან ძალზე აიწეწა საქართველოს ცხოვრება (ვახტანგის ეპოქა). ეს იყო დავითის ყრმობისა და ქაბუკობის ხანა. ამიტომაც ბავშვს შესაფერისი განათლება ვერ მიუღია. თვითონ დავითი ასე გვიამბობს „ქაცვია მწყემსით“:

. . ჩემსა ყრმობაში
სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;
მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნნი წარსტყვენა.
დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები.

შვილის თხოვნაზე ასწავლოს რაიმე მცნება, მამა (—გურამიშვილი) მიუგებს:

არც მე ვარ სწავლით კარგად ნაზარდი.

არც მე მაქვს, შვილო, ცოდნა მაგდონი,
ძლივ მისწავლია ან-ბან-გან-დონი.

რა თქმა უნდა, გურამიშვილის ეს განცხადება დიდი კრძალულობისა და თავმდაბლობის შედეგია. ნიკიერ და მუყაით ბავშვს

წიგნი ხელიდან არ გაუგდია; თვითგანვითარების გზითა, თუ შინაური მწერთელ-მასწავლებლის დახმარებით მას აღრითგანვე საუცხოოდ შეუწავლია ძველი ქართული მწიგნობრობა, ხოლო შემდეგში განათლებული ტექნიკოსიც გამხდარა. დავითი კარგად გაიწაფა სამხედრო საქმეშიც.

2

დავით გურამიშვილი ადრე ჩაბმულა პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. დავითი, როგორც ირკვევა, ვახტანგს თანაუგრძნობდა. მაინცდამაინც ის მონაწილე ჩანს ქართლის ბრძოლებში მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, კერძოდ დავითს მონაწილეობა მიუღია დიდ ბრძოლაში გორის ციხესთან 1724 წელს უშუალო შთაბეჭდილებით უნდა იყოს გამოწვეული პოეტის მწარე სიტყვები ზედაველში დამარცხებაზე:

ვაი მე, ამის სათქმელად პირი გამიხდა წკალტევით!
 არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით;
 მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,
 მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალალატევით.
 ვაი იმ დღეს !

ვახტანგის საბოლოო დამარცხების შემდეგ ქართლი სათარგუმო მოედანი გახდა შინაური, თუ გარეშე მტრისა. გურამიშვილისავე სიტყვებით:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი. მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღღა ძმასა ყისტი...

მუდმივი თარეშისა, რბევისა და ძარცვა-გლეჯის პირობებში შეუძლებელი გახდა ბარშა ცხოვრება. მოსახლეობა ტყეებსა და მთებში იხიზნებოდა. თავის მამულიდან გახიზნულა გურამიშვილთა ოჯახიც, ლტოლვილებს თავი შეუფარებიათ ნათესაებთან ქსნის ხეობაში, სოფელ ლამის-ყანას:

ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრებდი სხვის ქვეყანასა,
 სადაც უხმობენ სახელად, ქსნის-ხევზე, ლამის-ყანასა.

მძიმე იყო და საზარელი ის დრო. განსაკუთრებით აუტანელი გახდა ლექთა თარეში. ლექების პარტიზანულ-ბანდიტური ბრბოები ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიდოდნენ დაღისტანის მთებიდან, მშვიერი მგლე-ბივით დათარეშობდნენ მთელ ქართლ-კახეთში, ყაჩაღურად ესხმო-დნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობას, აწიოკებდნენ, არბევდნენ, ტყვედ იტაცებდნენ. ქვეყანა გადაშენდა, გავერანდა. ხელისუფლება უძლური იყო ლექების ასალაგმავად, კიდეც მეტი, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თვითონ იწვევდა მარბიელ ბრბოებს მოპირდაპირეებთან ანგარიშის გასასწორებლად. ფეოდალური წრე-ები შინაგანი კინკლაობით იყვნენ გართული. ქვეყნის ბედი ჩალად ფასობდა. უპატრონოდ იყო მიტოვებული ისედაც კარმიდამოდან აყრილი ხალხი.

ლექების-თაჭვის-მსხვერპლი გახდა დავით გურამიშვილიც. ერთხელ ზაფხულში, დილა ადრიან, ის, თურმე, მუშებს ელოდა ყანა-ში. წყაროსთან მყოფ დავითს მოულოდნელად ტყიდან თავს დაეცა ხუთმეტი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ლექების ჯგუფი. და-ვითი შეუპყრიათ და ტყვედ წაუყვანიათ შორეულ მთებში:

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდევს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;
მუდამად თვალთა ნაკადი მღულარე ცრემლი მდენია,
მაჰამეს ღუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

ნებიერი არისტოკრატი მალე უარეს ყოფასაც შესწრებია. მონხიბლავი უბრალოებით მოგვითხრობს გურამიშვილი ქვევითაც: „არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს“ო. ხოლო იმის სანაცვლოდ „არც მასვეს და არც მაჰამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს“ო. თითქოს ამასაც კი შერიგებია ჩვენი პოეტი, მაგრამ როცა განუზრა-ხავთ მისი ტყვედ გაყიდვა, მაშინ თავი გამოუღვია და გაპარულა. გაპარულა და ისევ დაუქერიათ, კიდეცაც შესაფერისად დაუსჯიათ ურჩი პერობილი.

გავეპარე, დამიქირეს: „რათ წახველო“—დამპალურეს.

ამის შემდეგ დავითი ჩაუგდიათ ბნელ და ნესტიან ორმოში მშვიერ-მწყურვალნი, ტიტველი. ფიზიკურსა და მორალურ ტანჯვასთან ერთად პოეტს სულიერ ტკივილებს უორკეცებდა მშობლიური კერისა და მშობლიური ქვეყნის ბედკრული ყოფა. პოეტი თავდავიწყებას მისცემია, კვლავ გადაუდგამს სახიფათო ნაბიჯს, მეორედ გაპარუ-

ლა. თერთმეტი დღე-ღამის განმავლობაში ის უგზო-უკელოდ დაეხეტებოდა დაღისტნის ხრიოკ მიდამოებში. ფეხ-შიშველი, ტანთ-შემოძარკული („კოქამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მაქენდა შიშველი“, „მუხლთ ქვეით გავხდი შიშველი“...) სუსხიან ღამეებში ცივ ნაპარალებს ანდობდა თავის მღელვარე ზრახვებს და ბნელ გამოქვაბულებს უამბობდა თავის საშინელ წუხილს. დაღესტნის შემზარავი ქექა-ქუხილი და ქარიშხლიანი სეტყვა უმძაფრეს განცდებს აუშლის და მთელი სიმძლავრით აგრძობინებს პოეტს მზის მხურვალეების მაცოცხლებელს და შემოქმედებითს ძალას. სწორედ აქ აღწევს ზენიტურ მწვერვალებს რელიგიური საბურველით შეფუფენილი დავითის ზვიადი ასტრალური ჰიმნები... აქვე დიდი სიღრმითაა აღბეჭდილი დავითის მძაფრი ირონია, მაგალითებრ:

თუმც არ მექამა მე პური თბილ-თაჯა ჯავახურია,
 არც მესვა ღვინო კახური, არ ვიყავ ნაბახურია;
 ათას დღის მშიერს მომერთვა სადილი საკვეხურია:
 მოუწევარი კვინჩი და მკუახე მე კოწახურია.

მისტიკური შიშით შეპყრობილი პოეტი მაინც არ ჰკარგავდა იმედს ღვთის „მადლიანი კალთისას“ და გზას განაგრძობდა. თუმცა იმასაც კი ირწმუნება, რომ: „სულია ღვინო კეთილი, ხორცი კურკელი მყრალია“ო, მაგრამ ყველაზე ძლიერ მოთხოვნილებებს სწორედ ეს „მყრალი კურკელი“ ადგენდა. პოეტიც იძულებული ხდებოდა „მადლიან“ ოცნებას განშორებოდა და რაიმე საკვები ეძებნა ჯაგნარში.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, მეთორმეტე დღეს დავით გურამიშვილი დაეშვა ჩრდილო-კავკასიის დაბლობში. აქ ბედმა შემთხვევით არგუნა კიტრი და საზამთროს მტვრიანი ნაქერი, დავითი მდინარის პირას მისულა საზამთროს გასარეცხავად, მაგრამ უღმობელი განგების განჩინებით მისი უკანასკნელი იმედი წყალს წაუღია. სიმპტომურია, რომ უაღრესად მორწმუნე დავითს, კუქის წვით შეზარებულს, გულის სიღრმიდან აღმოხდომია ღვთის წრფელი საყვედური:

ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტყვი:
 თუ ზომეც, რათა წაპაროვი, აწ ასე რად გავიწირე?!

მძაფრი იუმორით აწერს გურამიშვილი ჩალაში ღამის თვეის ამბავსაც:

წაველ, უკუ-ვსწევ ჩალასა, სად უფრო იყო ხშირია,
 ღმერთმან თქვენს მტერთა შეყაროს, რაც მე ამიტყდა ჭირია;
 წამოდგა კოლოს ლაშქარი, რა შეესძარ ჩალის ძირია.
 მე დამარჩობდენ უცილოდ, თუ არ დამეცა პირია.

მღიწარე თერგის პირას დავითს ხალხი დაუნახავს და ზარებში
 ხმა სმენია. ეკლესიასთან მიჰრილა, პირჯვარი გადუწერია. იქ მყოფთ
 გლახაკად მიუჩნევიათ. ერთმან, თურმე, მეორეს წასჩურჩულა: „დაი
 ხლებათ, ლაზარი“. „ხლებას“ გაგონებამ „სინხარულის თავზარი“
 დამცაო, გვიამბობს პოეტი. მიხვდარა, რომ რუსებთან ჰქონია საქმე
 („რუსულად ხლება“) პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო“. აწ კი თავი-
 სუფლად ამოიხუნთქა განაწამებმა (რუსეთში გურამიშვილს ეგულ-
 ვებოდა ვახტანგი და მისი დიდი ამაღა). ვილაც „ფხოველ იან-
 ვარას“ თარჯიმნობა გაუწევია, თავგადასავალი გამოუქითხავთ,
 პატივით მოპყრობიან. იმ დროს თერგის, ყიზლარის და სოლალის
 (—წმიდა ჯვრის ციხე) მიდამოებში ბლომად ესახლა ლტოლვილი
 ქართველობა. აღბათ, პირველად ამათ ეწვია გურამიშვილი. მაგრამ
 აწ ის ძალიან ძუნწობს, ლაკონიკური ქრონიკული შტრიხებით
 გადმოგვცემს მხოლოდ:

შევამოკლო, აწ რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენს ხანსა?
 თერგიდამე სოლალს წაველ, სოლალიდამ აშტარხანსა,
 მუნით მოსკოს, მეფე ვახტანგს, ბაქარს—შანაოზსა ხანსა—
 ვიახელ და თაყვანი ვეც.

3

სანამ დავით გურამიშვილის შემდეგი თავგადასავლის თხრო-
 ბას განვაგრძობდეთ, საჭიროა დაახლოვებით მაინც დათარიღდეს.
 მისი ტყვეობისა და რუსეთში გაპარვის ამბავი. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს
 თქმით: „რომელ წელს ჩაეარდა [გურამიშვილი] ტყვედ და რამდენ
 ხანს იყო, არ ვიცით“¹. თედო ქორდანიას მოსაზრებით კი:
 „არსაიდან სჩანს, თუ რომელ წელს შეემთხვა პოეტს ეს უბედურება;
 მაგრამ უეკველია, რომ ეს მოხდა ზედაველის (გორის ახლო) ომი-
 ნობის შემდეგ, ე. ი. შემდეგ 1724 წ., ზაფხულში. მაშასადამე, 1725
 წელს, ან ერთი თუ ორი წლის შემდეგ. უფრო დასაჯერებელი კია,

¹ დავით გურამიშვილი და იმის დავითიანი, დავითიანის მეორე გამოცემა, თბ., 1881, გვ. VII.

რომ ეს მომხდარიყოს 1725 წელს, როდესაც პოეტი მეოცე წლის ქაბუკი იყო¹. 1725 წელს დებს მ. ჯანაშვილი და პროფ. კ. კეკელიძე. ხოლო ალ. ხახანაშვილი ყოველი პირობის გარეშე 1724 წლის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს². აკად. ბროსე უფრო შორს მიდიოდა, მისი ცნობით დავით გურამიშვილი დატყვევებისას თითქოს 16-17 წლისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ეკონებ, არც აკადემიკოსს სჯეროდა ამისი სისწორე, რადგან საგანგებოდ შენიშნავს: „Если справедливо мне рѣсказывали“³.

გურამიშვილი ვახტანგს მოსკოვში 1730 წელს წარდგომა. პოეტი თვითონ გვიამბობს (მოსკოვში ჩასვლის შესიღგომად):

ექსის წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი,
რა მიველ მფსკოს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი.

როგორც ჩანს, დავითი დაუყონებლივ გამგზავრებულია თერვიდან ასტრახნისაკენ და ასტრახნიდან მოსკოვისაკენ. თერგში ჩასულა ის ზაფხულის მიწურულში, თუ შემოდგომის დასაწყისში (ყურძნისა და საზამთროს მოწვეის დროს). სატიქრებელია, რომ დავითი ადგილობრივ არ დაიზამთრებდა და ვახტანგის მსგავსად დროიანად შეუდგებოდა შორეულ მგზავრობას. იმ დროს თერგვიდან მოსკოვამდე მგზავრობას სკირდებოდა დაახლოვებით 6 თვე. ამის მიხედვით პოეტის თერგში გადასვლის (და, მაშასადამე, ტყვეობიდან გაპარვის) თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1729 წლის შემოდგომა. მართლაც, დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, თუ სახელდობრ რამდენი ხანი დაჰყო პოეტმა ტყვეობაში. მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს ტყვეობა მაინცდამაინც ხანგრძლივი ყოფილიყოს. პირიქით, დავითს იმთავითვე უძძიმდა ტყვეობის რეჟიმი და ამიტომაც გაპარვას იჩქაროდა. ყოველ შემთხვევაში, ტყვეობა ორ წელს მაინც ვერ გადასცილდებოდა. ამგვარად, ჩვენი აზრით, გურამიშვილის დატყვევებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოვებით 1727 წლის ზაფხულში. 1725 წელი მეტად ნაადრევია, მით უმეტეს 1724, ან ამის უწინარესი დრო.

დავითი ტყვედ იყო სოფელ ოსოქოლოში:

¹ ივერია, 1880, № 1, გვ. 254.

² Очерки, III, 203.

³ გვ. 322.

მე ეს მიმძიმდა მხარ-შეკვრით მოეყვანდი ოსოქოლოდა-ო.

4.

ვახტანგის კარზე დავითი პატივით მიუღიათ და საპასუხის-შგებლო თანამდებობაზედაც დატინშნავეთ, სახელდობრ, დავითი განაწესეს იარაღის საწყობის გამგედ, ანუ ჯაბადარ-ბაშად.

ვახტანგის საქმიანობას ჯერ კიდევ პრაქტიკულად საჭიროებდა რუსეთის მთავრობა აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამიტომაც იყო, რამე ქართლის ყოფილ მეფეს მრავალრიცხოვანი ამალითურთ შედარებით გულუხვად უმასპინძლებოდნენ. ვახტანგის კარს თითქმის არ აკლდა ადრინდელი ბრწყინვალება. დავით გურამიშვილს სახელი გაუთქვამს სადღესასწაულო მეჯლისებში პოეტური შეჯიბრებისას. დავითს აწერილი აქვს ერთერთი ასეთი შემთხვევა, შაირში გაჯიბრება ვიღაც ჯავახიშვილთან:

ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მკლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუერიანს ხესა მრუდსა;
რაც მე უთხრი, მას მოაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა,
ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

დავით გურამიშვილს მაშინ ანებივრებდნენ და აღაღებდნენ, ასაჩუქრებდნენ ძვირფასი სამოსელით (ხალათით, ქათიბით, ახალუხით და სხვ.), თუ სამკაულით. იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს დავითის მოსწრებული „ზმიანი შაირები“¹. პოეტის იმდროინდელი განწყობილების ამსახველია დავითის ერთი პირდაპირ წარმართული ლექსი „სიმღერა“ (რომელ არს ამისი ხმა რუსულად: „ახ, სკოლკო ცველა ვ ლეტახ მოლოდინ“). თავისი არაჩვეულებრივი ინტერესის გამო ამ ლექსს ქარბად დავესესხებით.

ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი!
არ ვიცოდი ჯავარი დროთა, ავთ ხანი;
ბალად ვიჯდი მასთან, ვისაც ვყვარობდი,
ვარდთა სუნით, ყვავილთ ქვრეტით ვხარობდი;
არა მაქვნიდა კვენესა, ვაი და ვიში,

¹ დავითიანი, V გამოცემა, აღ. ბარამიძისა და ს. იორდანი შვილის რედაქციით, ტფ., 1931, გვ. 178-179.

არცა წარწყმენდისა ჩილი და შიში,
 ვნაღვლობდი არასფერსა..
 ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი,
 მოყვარესა ჩემსა თავს ვაყვარებდი,
 განვსცხრებოდი, ვიშვებდი, ვიხარებდი,
 ჯავრთა და სევდათა მე ვიქარებდი
 მას ბალში შექცევითა..

წარმტაცი მოგონებებით თავბრუდასხმული პოეტი მწარე ნა-
 ღველით უბრუნდება თავის ცხოვრების დაისს, ჩივის ფიზიკურ უძ-
 ლურებასა და სიბეჩავეს, სიმწუხარეს, სიმართოვეს, მიუსაფრობას..
 მართალია, მოხუცი მორალისტი მისტიკოსი თავის გამოცდილებას
 ანდერძად უდებს ჩამომავლობას, მაგრამ საკუთარ ყოფას ვერაფ-
 რით შეელის. გურამიშვილი ქვევით განაგრძობს:

შამადგომამ მოუწოდა ყინვასა,
 სიყვითლესა და ფოთოლთა ცვიენასა;
 მამეშალა მე მით წუთისოფელი,
 წამიხნდა ქირნახული...

აწ გათუხილდით, ვისაცა კჳუვა გქონდესთ,
 რომე არა წარსწყმდეთ,—სულითა ცხონდეთ,—
 ჩემსავეთ ნუ მოსცდებით .

ვამი მოკლებულსა, სიბერით ბრმასა!
 ნეტავი მატებულს მოზარდსა ყრმასა!

ეს ლექსი მშვენიერი ჰიმნია ახალგაზრდული სიჯანმრთელისა,
 სიხალისისა და უდარდელობისა. აქ მკაფიოდ აღბეჭდილია პოეტის
 ახალგაზრდული პერიოდის ტრფობით და განცხრომით სავსე ცხოვ-
 რების ანალები. მეორეგანაც გურამიშვილი დაბეჯითებით ამბობს:

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შვებასა,
 მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასა...

დავითი უნდა ყოფილიყო კარგი მომლხენი და მომღერალი.
 (და სწორუპოვარი დეკლამატორი). როგორც ქვევით დავინახავთ,
 „დავითიანის“ ლირიკული ნაწილი (და თვით პოემა „ქაცვია მწყემს-
 სი“) ჩვეულებრივად შეწყობილია სასიმღერო მოტივზე. ერთგან

პოეტი კიდევაც იუწყება სასიმღერო ლექსის დაკვეთის თაობაზე („სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობიდან გამოსვლის დროს):

ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათბო, გამაშუშაო.
დამიდგა კარგი სადილი, წინ ლენით სავსე შუშაო,
მან შემიკვეთა: იმღერე, დავით, ის ჩემო ყურშაო!»
— კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ, ვიქნები შენი ზუშაო.

მაგრამ დრონი იცვალნენ.

5

დავით გურამიშვილი პირდაპირ არაფერს ამბობს თავის სამიჯნურო თავგადასავალზე (ალბათ, ამიტომაც საქმის ამ მხარეს პოეტის არცერთი ბიოგრაფი არ შეხებია), მაგრამ ერთგან სრულიად გულახდილად და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე შემდეგს მოგვითხრობს:

როცა დავკაცდი, კეკას მაშინ შავსკდი,
ლამაზ ქალს შეეხვიდი, მიჯნურად გავხდი;
ამაზე წავხდი, მცნებას გარდაეხდი,
როგორც ვიგემე, ეგრეთ ვიგემე.

მოტანილი ნაწყვეტით დადასტურებულია მიჯნურული ცთუნების ფაქტი. უკვე ზევით დამოწმებულ ლექსშიდაც ზომ ნათქვამია: „ბალად ვიჯდი მასთან, ვისაც ეყვარობდი“ო. და „ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი, მოყვარესა ჩემსა თავს ვაყვარებდი... განვსცხრებოდი, ვიშვებდი... არა მაქენდა კენესა, ვაი და ვიში, არცა წარწყმენდისა რიდი და შიში“. ხოლო რომ აქ მისტიკურ სიყვარულზე არაა საუბარი, ესეც ცხადია. ამ მიჯნურობას, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა საქართველოშიც. დატყვევების დროს დავითი იყო 22-23 წლის მომწიფებული, ჯან-ლონით სავსე ქაბუკი. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სატრფიალო ისტორია უნდა მომხდარიყო რუსეთში (ან უკრაინაში). რუსეთის მთავრობამ ერთხანს მაინც (ვახტანგის სიცოცხლეში) სრულიად უზრუნველი და ნებიერი ცხოვრების პირობები შეუქმნა ქართულ ემიგრანტულ არისტოკრატიას. ემიგრანტების ერთი ნაწილი სავსებით ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა. დამახასიათებელია ემიგრაციის ერთი საქმიანი წევრის, ონანა მდივნის სიტყვები, რომლებიც ჩაურთავს მის მიერ

გალექსილი პოემის („ბარამ-გულიჯანიანის“) ანდერძნამაგში: „ბევრი რამე დამიშთა ამაღ, რომე ჩვენად დასახედავად ბევრი ვინმე თავადნი, დიდებულნი და მცირებულნი მობრძანდიან და საუბართა შეექცოდნიან; ზოგნი ლაღობდიან და იცინოდნიან; ზოგნი ნარდსა და ქადრაქსა ზედან იმღეროდნიან. და მათთან ტკბილმან საუბარმან გულნი მიძილის და წერაში ლექსი ველარ გავსჩაღხიო“¹. ხოლო მიჯნურულ საცთურს რომ დიდად იყო ჩვეული ქართული ემიგრანტული საზოგადოებრიობა, ამისთვის დავიგმოწმებდით დავით გურამიშვილის თანამედროვე ემიგრანტ პოეტ დიმიტრი სააკაძეს. უკანასკნელი სიბერის უამს ხშირად იგონებდა ენება-გაცივებული მწუხარებით:

ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მეღება ალები,
 ჰნახეთ სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები?.

ანდა კიდეც:

ქალებს მოვსძულდი, უწინ კი ვსურდი, ამაღ ვემღურვი ჩემსა
 წერასა².

სათიქრებელია, რომ დავით გურამიშვილიც არ იქნებოდა მოკლებული ქალთა ყურადღებას: დავითი ირჩეოდა გარეგნობითაც, ნივთიერად თავს კარგად გრძნობდა (როგორც დიდი სახელის პატრონი და კარის პოეტი), ჩამომავლობასა და გვაროვნობაში მოცილვე მცირედი ჰყავდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ხელს უმართავდა დავითს თავისუფალი, ხელგაწლილი და უზრუნველი ცხოვრებისათვის. ასეთ პირობებში რომანული შემთხვევანიც ბუნებრივია. ამასთან ლაკავშირებით უნდა გაიკვეს დავით გურამიშვილის ოჯახური ცხოვრების ამბავი (არც ამ გარემოებისათვის მიუქცევიათ მკვლევართ ყურადღება).

ვახტანგის ამაღაში უმთავრესად მამაკაცები ირიცხებოდნენ (ეს ამაღა ერთგვარ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რომელიც მოხერხებული რეგანშის დროს-ლა უცდიდა). მრავალ უცოლშვილო ემიგრანტს რუსეთში შეუქმნია საკუთარი ოჯახური კერა. სხვათა შორის, ერთგან გურამიშვილი შემდეგნაირად ალაპარაკებს ვახტანგ მეექვსეს:

¹ Описание рукописей общ. грзм., I, 529.

² ანთოლოგია, II, 1928, გვ. 222.

³ იქვე, 224.

რომელნიც კახნი, ქართველნი ქართლიდამ გადმოგვეყოლია,
ზოგს ქართლშივე ყავთ ცოლშვილი, ზოგს აქ შეურთავეს ცოლია.

უკანასკნელთა რიცხვს უნდა ჰკუთვნებოდა თვითონ გურამი-
შვილიც. საყურადღებოა, რომ ლეკების ტყვეობაში და შემდეგ
რუსეთის ემიგრაციაში პოეტი ხშირად იგონებდა სამუდამოდ გაყ-
რილი მშობლიური ოჯახის წევრებს (დედას, მამას, დებს, ძმებს),
მაგრამ ცოლშვილს კი არასოდეს, მაგალითად:

გულს მიკოდს სევდის ლახვარი, აღმასის დანის სადარი,
დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი დანი სად არი.

ანდა:

სად მიმიყვანა სად მყოფი, კიდევ მიყვევარ სადო?
მამა, დედა, ძმა, თვალითა ველარა მხედავს ა დაო.

ანდა კიდევ სოფლის სამღურავიდან:

დამივსე ვანი, კარავ-სევანი,
ბალთ ხეივანი, გარს გალაფანი;
დედ-მამა, ძმანი, გამყარე დანი .

‘ უკანასკნელად სიკვდილს მიწურვილი პოეტი შემდეგნაირა დ
აყვედრის თავის თავს:

ჩანს შენი მხსნელი აღარცადაო,
აღარც ქვეყნადა, აღარც ცადაო;
აღარც მამა გყავს, აღარც დედაო,
აღარცა ძმა და აღარცა დაო,
ვაიმე, მამავ, ვაიმე, დედავ,
ძმაო და დაო, ვერც ერთსა გხედავ!

მიუხედავად ამისა, მაინც გვხვდება ერთი ნაწყვეტი, რომლი-
თაც ყოველგვარი ექვის გარეშე პოეტის ოჯახის წევრად ნაგულის-
ხმევია „მოყვარე“, ანუ ცოლი. აი ეს ნაწყვეტი:

ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნავარდისა!
სად ამოსული ხნარცვითა, კიდევ მეორედ ვარდისა;
ვაიმე, მამა-დედისა, ძმის დამკარგავი ვარ, დისა,
ველარ მნახავი მოყვარისა, ტან-ლეწამ, პირად
ვარდისა.

ამ სტროფის მეოთხე ტაეპში რომ უთუოდ ქალზე—(ცოლზე) არის საუბარი, ეს აშკარაა. მაგრამ თუ მთელი სტროფის შინაარსს კარგად ჩაუვყვირდებით, ცხადად შევამჩნევთ შემდეგ გარემოებას: პოეტი მშობლებისა და და-ძმის და მკარ გავია, ხოლო „მოყვარეს“ დაშორებულია დროებით, ველარ მნახავია. ამასთან სტროფით გარკვევით გახაზულია გაფრენა, ქმნა ნავარდისა, ე. ი. ჯარში განწესება, ფრონტზე გაგზავნა (ამაზე ქვევით), ევროპულ ომებში მონაწილეობა, მეორედ დატყვევება („სად ამოსული ხნარცვითა, კიდევ მეორედ ვარდისა“) და ამ მიადაგზე დროებითი, თუმცა საკმაოდ ხანგრძლივი განშორება. წინა სტროფში გურამიშვილი სინანულით და თავის ყვედრებით ამბობს: „უძღებებამან რა მიყო... შევსციდი და მწყემსსა (ე. ი. ბაქარ ბატონიშვილს) წაუველ“ო. ეს კი მოხდა რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარებითა და ჯარში განწესებით, რასაც აღგილი ჰქონდა 1738 წელს. მაშასადამე, „მოყვარე“ გურამიშვილს რუსეთში დარჩენია და რუსეთშივე შეუძენია. მართლაცდა, გამჩენი ერთგან ასე აქადნის პოეტს:

გასწავლე, გაგაოსტატე, კაცად გაგხადეო,
მოგირთვე ზე-ქვე სავანე, ცოლიც გიბედეო.

მოყვრის (ცოლის) ლექსებში ხშირი ხსენება დავითს არ ყვარებია (ალბათ, რელიგიური განწყობილების პოეტს ეს ზედმეტ ქვეყნიურობას თუ აგონებდა). მხოლოდ ერთი დამატებითი მაგალითის დასახელება შემიძლია კიდევ. უკვე წელში მოხრილ, 69 წლის დავითს სიკვდილი დამუქრებია:

ჯერ შენთვის არა მცალია, ცელს უსვამს სალესავსაო,
როცა გავლესავ, თავს მოგპრი, შენს ცოლს ჩავაცმევ
შავსაო.

ეს არის და 'ეს. უშვილობასა და უნაყოფობას კი დავით: ყოველთვის ჩივის¹. ჩენი დასკვნა დავით გურამიშვილის ცოლი:

¹ შდრ. პროფ. კ. ქეკელიძის მოსაზრება, თითქმის დავით გურამიშვილი „ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მუშაობას... უცოლ შვილო და უპატრონო“ (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 458). პოეტ-კრიტიკოსის ვ. გაფრინდაშვილის სიტყვით: „გურამიშვილის ლირიკა არის ერთი უცოლო კაცის აღსარება“ (დავით გურამიშვილი, «მეოცნებე ნიამოვბი», 1920, IV, გვ. 14; შდრ. იქვე, გვ. 11).

თაობაზე ამჟამად საბოლოოდ დადასტურდა უშუალო დოკუმენტური წყაროს აღმოჩენით. ზევით დასახელებულ აღწერილობითს თხრობაში დავით გურამიშვილის გვერდით მოხსენებულია მისი მეუღლე „ტატიანა ვასილევნა“, 56 წლისა (თვითონ დავითი მაშინ ყოფილა 76 წლისა). მაშასადამე, დავით გურამიშვილს ცოლი მართლაც ჰყოლია. დავითს ცოლი გვიან უნდა შეერთო. ტატიანა ვასილის ასული დავითზე ოცი წლით ახალგაზრდა ყოფილა. გათხოვებისას ტატიანა 16-17 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. ე. ი. დავითს ცოლი შეურთავს სწორედ „დაკაცებისას“, როგორც ერთგან იუწყება, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 35-36 წლის ასაკისა (თუ ტატიანას არ მივიჩნევთ დავითის მეორე ცოლად). სინორჩესთან ერთად ტატიანა ვასილის ასული ყოფილა მომხიბლავი გარეგნობისა. საერთოდ კრძალული პოეტი თავს ვერ იკაეებს და კლასიკური ეპითეტებით ამკობს თავის მოყვარეს: „ველარ მნახავი მოყვრისა, ტან-ლერწამ, პირად ვარდისა“¹.

¹ ამ ტატიანა ვასილის ასულის ვინაობის თაობაზე გ. ლეონიძეს ერთ თავის ბოლოდროინდელ ნარკვევში უწერია: „პოეტს (ე. ი. დავით გურამიშვილს ა. ბ.), ჩემის ცნობით, ცოლად ჰყავდა თინათინ გარაყანიძის ასული, რომელიც რუსეთში ყოფნისას, რუსული შესატყვისით, ტატიანად იწოდებოდა“ (დავით გურამიშვილი, გახ. „კომუნისტი“, 14. VIII. 40). სრულიად შეუძლებელი ამბავია, რადგან ლეკებთან დატყვევებისას ტატიანა ვასილის ასული შეიძლება დაბადებულიც არ ყოფილიყო. როგორც აღნიშნული გვაქვს, 1782 წლის სულადი აღწერილობის დროს ტატიანა ყოფილა 56 წლისა და, მაშასადამე, დაბადებულა 1726 წელს. გ. ლეონიძის აზრით, დავით გურამიშვილი ჯერ კიდევ საქართველოში დაცოლშვილებულა, ტყვეობიდან გაპარვის შემდეგ, 1729 წელს მოსკოვში ჩასულა და „ეტყობა, ცოლშვილი და მსახურნი მოსკოვში გამოუწერია საქართველოდან“, უკვე იმავე 1729 წელს. გურამიშვილი მოსკოვში იმყოფებოდა „ცოლით, სიდღდრით, ასულით, ერთი მსახურით, ორი მოახლით („კომუნისტი“, 14. VIII. 40). საბუთად გ. ლეონიძე საერთოდ იმოწმებს „რუსეთში ჩასულ ქართველ ემიგრანტთა აღრიცხვის რეესტრს“. დიდად საინტერესოა ცნობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარი არ ასახელებს, ასე ვთქვათ, საბუთის პასპორტს და არც დოკუმენტურ ციტირებას იძლევა. თავისდათავად კი მოტანილი მოწმობა ზოგიერთ იქვს ბადებს: ჯერ ერთი, 1729 წელს გურამიშვილის მეუღლე ტატიანა ვასილის ასული (გ. ლეონიძით იგივე თინათინ გარაყანიძე) თვითონ წაოლოდ სამი წლის ბალდი იქნებოდა და არა „ასულის“ დედა. მეორე, დავით გურამიშვილი მუდმივ აყუდრის სოფელს: „არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის მამასო“. შესაბამე, დავით გურამიშვილი ერთგან თვითონვე გვირკვევს მოსკოვში ჩასვლის თარიღს: „ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი, რა მიველ მოსკოს, ვიხილე მეფე და ქართველთ კოებულნი“ო. როგორც კარგად ცნობილია, ვახტანგ VI რუსეთში გარდაიხვეწა 1724 წელს.

6

1730 წელს სპარსეთ-ოსმალეთის ომით გამოწვეულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გამოაფხიზლა უსაქმურობით გაზარმაცებული ემიგრაცია. რუსეთის მთავრობამ საჭიროდ დანახა ვახტანგის მივლანება კასპიის მხარეში. გურამიშვილის მოწმობით იმპერატრიცა ანას 1734 წელს შემდეგი წინადადებით მიუმართავს ვახტანგისათვის:

მე მიქირავს ზღვის მიდამო, გაღმა მხარი,
სოლალსა და დარუბანდსა, ბაქოსა დგას ჩემი ჯარი;
შენ მიბრძანდი, საქურკლისა მუდამ მზა არს ღია კარი,
ლაშქარი და ხაზინანი—ვით გენებოს—მაიხმარი.

ამ ექსპიდიციის დროს ვახტანგს თან ახლდა გურამიშვილიც („ნაწიში ჩავსხედით, წავედით... ედილისა წყალს დავყევით“). მაგრამ დიდი რიხით დაწყებული საქმე უდღეური გამოდგა: ძღვევამოსილმა შაჰ-ნადირმა ჯერ თურქები განდევნა საქართველოდან, შემდეგ რუსეთი აიძულა უომრად დაეთმო დაპყრობილი პროვინციები, დაენგრია სოლალის ციხე და უკან დაეხია ყიზლარისაკენ¹. ამით სამუდამოდ დასამარდა ვახტანგის რომანტიკული ილუზიები და მოხუცი მეფე კვლავად აღმოჩნდა გაბზარული ვარცლის წინაშე:

რუსთ დარუბანდი დასცალეს, ყიზლარისაკენ არესა,
მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტრახნის არე-მარესა,
იქ უვარესად შეისწრა ამბავსა საწყინარესა,
მაშინ თქვა: წუთო-სოფელო, ფუ შენ და შენს მოყვარესა!

უკულმა დატრიალდა ქართული ემიგრაციის და მათ შორის დავით გურამიშვილის ბედი. რუსეთის მეფის მთავრობას არასფრად მოსწონდა მუქთახორა ემიგრანტების უსაქმურობა. ვახტანგის სამეფო ოჯახის ბრწყინვალე შტატის ღირსეული შენახვა უამრავ ხარჯებს თხოულობდა. ღირსებაზე პრეტენზიები კი დიდი იყო.

ხოლო ეს კი მომხდარა გურამიშვილის მოსკოვში ჩასვლის „ექვსის წლით წინათ“, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გურამიშვილი მოსკოვში ჩასულა ვახტანგის ჩასვლიდან ექვსი წლის შემდეგ, ე. ი. 1730 წელს.

¹ П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб 1869, I, 130—132, 139.

პეტრე პირველი, როგორც ჩანს, კარგად ითვისებდა ამ მოსალოდნელ პრეტენზიებს და იმთავითვე უარს ამბობდა ვახტანგის სატახტო ქალაქში მიღებაზე. როცა ასტრახნის გუბერნატორმა ვოლინსკიმ წინდაუხედაობით ვახტანგს აღუთქვა პეტერბურგში გაგზავნა, პ. ბუტკოვის სიტყვით: «Монарх негодовал за сие позволение, приметив, что хотя царь и в бедстве, но гордости не оставляет»¹.

მთელი ათი წლის განმავლობაში რუსეთი (მართალია, ჩუმი საყვედურით) მდიდრულად მასპინძლობდა ქართულ ემიგრაციას. რუსეთის პოლიტიკოსებს იმედი ჰქონდათ, რომ ვახტანგს სარგებლიანად გამოიყენებდნენ აღმოსავლური პრობლემების გადასაწყვეტად. მაგრამ როცა რუსეთი ფაქტიურად დამარცხდა (ყოველ შემთხვევაში იძულებული გახდა, რომ დათმობაზე წასულიყო) სპარსული საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა და ქართული ემიგრაცია ჩიხში მოექცა. ამ დროიდან მთავრობა უარს აცხადებს ემიგრაციის უფასო კვებაზე. ჩანს, ვახტანგს გარკვეულად დამამცირებელი წინადადებითაც მიჰმართეს ოფიციალურ წრეებში. ყოფილ მეფეს შეუკრებია თვისი ამაღა და სასოწარკვეთილებით გამოტყუებია:

მთხონ და მივსცემ ვერავის, მე ვერ ვიტვირთავ ამასა:

მე წაუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა?!

მე ღმერთი მიზამს რას კაის, ორმო უთხარო, ჭა მასა..

სჯობს უქმელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასა!

ერთი ამბავი მომესმა, მე გასაგონლად მენასა.

დიდად მერჩინა სიკვდილი მე ცოცხალს იმის სმენასა..

ამაზე ვსტირი, ცრემლითა ვავსებ ქვევრსა და მენასა:

მე თქვენი სხვათა მიცემა ვერ ვათქმევინე ენასა..

ვახტანგმა პოლიტიკური ანდერძი დაუტოვა ქართველობას (ბაქარს მიაშურეთ და სამშობლოსაკენ იბრუნეთ პირიო), ხოლო თვითონ ასტრახანს დაემკვიდრა კერძო მოსახლედ და 1737 წლის 25 მარტს წუთისოფელსაც გამოესალმა. ვახტანგთან ერთად გარდაიცვალა ემიგრაციის უმრავლესობის პატრიოტული რომანტიზმი. ბუმბერაზი პოეტური სახეებით გამოიტირა გურამიშვილმა მისი მწყალობელი ბატონი:

¹ Материалы, I, 63.

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო,
 ლხინი, შვება და სიამე სულ ქირად გარდაგვექცაო;
 ჩვენ, ყმანი დაერჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
 გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მადლსა¹, მაგრა
 დექ ცაო!

ამისდამიუხედავად იმავე გურამიშვილმა ბაქარის სიტყვებით
 საქვეყნოდ დაგმო და გაკიცხა ქართველთა ყოფილი მეფის ხანგრძ-
 ლივი პოლიტიკური მოღვაწეობა:

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწლომარე,
 რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხლომარე.

ვახტანგის სიკვდილით ძლიერ გამწვავდა ქართული ემიგრაცია-
 ციის ყოფა. რუსეთის მთავრობამ აწ კატეგორიულად გამოაცხადა:

ჩვენ ოც წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზასაო,
 შემოგვეწვევის თუ არას, მუდამ ვერ ვაქმევთ მზასაო;
 თუ რომ დასდგებით, ჩვენ თქვენთვის მოვმზადებთ კარგს
 მზასაო,
 თუ არ დასდგებით, დრო არის მიბრძანდებოდეთ გზასაო.

მეფის მთავრობამ გადაჭრით მოთხოვა ემიგრაციას: რუსეთის
 ქვეშევრდომობის აღიარება და სამხედრო სამსახურში განწესება,
 ან რუსეთის საზღვრების დაუყონებლივი დატოვება (საზრდო ქარ-
 თველებს შეუწყვიტეს ვახტანგის გარდაცვალებასთან ერთად). ემი-
 გრანტებს საქართველოში ელოდებოდა აოხრებული, აწიოკებული,
 დარბეული და დამშუული ქვეყანა, გაპარ-ჯახებული, ჩამქრალი კერა.
 რუსეთის ქვეშევრდომობა (და, მაშასადამე, ვახტანგის ანდერძის
 დარღვევა) კი ქმნიდა დიდ წამახალისებელ პერსპექტივებს. ქართულ
 ემიგრაციას ხიბლავდა რუსული ჯარის ორგანიზაცია, ტანსაცმელი
 (ბჭყერიალა ეპოლეტები! ტყუილად კი არ აყვედრიდა გურამიშვილს
 წუთისოფელი «ფერად საცმელთა, ოქროსა, ვერცხლის ღილებსა»),
 წარჩინება, ჩინ-ორდენები. სამხედრო სამსახურში განწესებულთ
 მთავრობა აღუთქვამდა კარგ გასამრჯელოს ფულით და სამკვიდრო
 მამულებს ყმებით, ერთი სიტყვით, ნივთიერად სრულ უზრუნველ-
 ყოფას.

¹ დედანში: ღვთის მაცა.

მაგრამ მორალი? ქართულმა ემიგრაციამ ამჯობინა ვახტანგის ანდერძის გატეხა და რუსეთში დარჩენა. საერთო ფეხს აპყვა გურამიშვილიც, თუმცა ის კიდევაც ჰკიცხავს თანამოდმეთა ნაბიჯს:

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო,
წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო,
სწორედ იმ გზაზე წავიდენ, საითაც იყო სნებაო.

1738 წელს ქართველობამ უმდაბლესი პეტრიციით ითხოვა რუსული ქვეშევრდომობა და სამხედრო სამსახურში განწესება. იმავე წლის 25 მარტს (ვახტანგის გარდაცვალების წლისთავზე) იმპერატრიცა ანამ უმაღლესი უქაზით შეიწყნარა ეს უმდაბლესი თხოვნა¹. ემიგრანტები ჩაირიცხნენ საგანგებოდ დაარსებულ ქართულ ჰუსართა პოლკში. სამკვიდრო მამულები მათ დაურიგდათ უკრაინაში—თავადებს 30, ხოლო აზნაურებს 10 მეკომური გლეხით². მაგრამ აქ თავი იჩინა თავად-აზნაურულმა შურიანობამ და ქიშპობამ. გვაროვნულმა არისტოკრაციამ იუკადრისა „უგვარობთან“ ნასუფრალში გათანაბრება. შეიქნა ურთიერთ მტრობა, დაბეზლება და მლიქვნელობა მმართველობის წინაშე. ამ ამბების მომსწრე და ერთგვარად მონაწილე დავით გურამიშვილი სინანულით მოგვითხრობს:

შურსა რა ესმა სისწორე. ერთობა მან იწყინაო,
რკინა რბილი და ფოლადი, თქვა, განასწორა ვინაო?
მართებელთანა დაგვიჩნუბა, ავ-რიგად შეგევასმინაო.
ათ-ათი ისევ მოგვიპურეს, სხვა კი მოგვიგდეს წინაო.

ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პირადად დავით გურამიშვილს რგებია ოცდაათკომლიანი მამული მირგოროდში და ზუბოვკაში³ (პალტაის გუბერნიაში). უკრაინელმა მწერლებმა უკანასკნელ დროს აღმოაჩინეს ახალი საარქივო მასა-

¹ П. Бутков, Материалы, I, 66; М. Плохияцкий, Поселение грузин в Малороссии в XVIII веке (Сборник харьковского историко-филологического общества, т. 5, вып. I, Харьков, 1893), стр. 2—3.

² Бутков, I, 66; Плохияцкий, 3.

³ Н. Плохинский, დასახელებული შრომის გვ. 7, შენიშვნა.

ლები გურამიშვილის შესახებ¹. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ დავითის უმთავრესი მამული (ქართველობას მამულები ნაკვეთ-ნაკვეთებად ეძლეოდა ხშირად სხვადასხვა ადგილას) ოცი კილომეტრის მანძილით ყოფილა დაშორებული მირგოროდიდან. საქართველოს საგურამოს ანალოგიით ახალი მამულისათვის დავითს უწოდებია „გურამოვშინა“, შემდეგში სოფელს დარქმევია „გურკა“ და „გურა“. ჩვენ დროში მამულის მფლობელია კოლექტიური მეურნეობა, ხოლო ადგილი ცნობილია ზაირის სახელით. ზაირს მახლობლად ჩაუდის მდინარე ხოროლი. ეს ის მდინარეა, რომლის საირიგაციო მიზნებით გამოყენებაზე ბევრი უფიქრია მოხუც გურამიშვილს... მუდმივ საცხოვრებელ ადგილად დავითს აურჩევია ქალაქი მირგოროდი. მირგოროდის ცენტრში ახლაც უჩვენებენ დავითის ნამოსახლარს. მირგოროდშივე ამჟამად სახლობს დავითის შინაყმის საგინაძის შთამომავალთა რამდენიმე ოჯახი. საგინაძეების ოჯახში დღემდის ცხოველია მოგონებანი დავით გურამიშვილის დროინდელი ამბებისა. მირგოროდსა და ზაირის შორის მდებარეობს სოფელი ზუბოვკა. ჩანს, დავითს ხშირად უხდებოდა უკრაინის საგურამოში (აწინდელ ზაირში) ყოფნა, გზად მას უნდა გაეგლო ზუბოვკა. ამ გარემოებასთან უნდა იყოს კავშირში გურამიშვილის შესანიშნავი ლექსი „ზუბოვკა“:

ზუბოვკი დამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შეენიერი, მაზე დამრჩა თვალი.

1782 წლის აღწერილობით დავით გურამიშვილის მამულებში სახლებულა 203 სული (104 სული მამრი და 99 მდედრი). ჩანს, თანამომემთაგან განსხვავებით გურამიშვილი გაურბოდა გლეხებისა და მამულების გაყიდვას. მამულით და საცხოვრებელი ადგილით დავითის უახლოესი მეზობლები ყოფილან ილია, ივანე, პეტრე და ვასილ ოდიშელიძეები.

ემიგრანტულ ქართველობას მამულები დაურიგდა პალტავის, მირგოროდის, ლუბენსკის და პრილუცკის პოლკებში. უცხოელების ჩასახლებას ადგილობრივ მიწისმფლობელთა წრეებში (შლიახტაში) დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ქართველთა ახალშენების შექმნა შლიახტას ჩაუთვლია საკუთარი უფლებებისა და პრივილეგიების

¹ Дз. Косарик, Давид Гурамяшвили (Биографические материалы), «Заря Востока», 5. I. 38; მისივე, Нові біографічні відомості про Давида Гурамяшвілі (Сборник «Шота Руставелі», Київ, 1938, გვ. 203—207; აღ. ბარამიძე, დავით გურამიშვილის შესახებ („ლიტერატურული საქართველო“, 26. VI. 38).

შელახვად. მართლაცდა, მეფის მთავრობამ ქართველები უკრაინის შუაგულში ჩაასახლა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით; მეფის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ კავკასიელ „ინოროდ-ცებს“ კარგად გამოიყენებდა უკრაინელთა ეროვნული ჩაგვრის იარაღად. ადგილობრივ მკვიდრთა და ახლად ჩასახლებულთა ურთიერთობა მტრულად მიმდინარეობდა. შლიახტა 1764 წელსაც კი კატეგორიულად მოითხოვდა უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული ქართველების აყრას. რუსეთის ხელისუფლება ერთგვარ ანგარიშს უწევდა შლიახტის უკმაყოფილებას და ჯერ კიდევ 1742 წლის უქაზით აპირებდა ემიგრანტების შორეულ ორენბურგში გადასახლებას. მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელებულა და ქართველობა საბოლოოდ უკრაინაში დარჩა, თუმცა მტრობა და შუღლი არ შეწყვეტილა. უკრაინული შლიახტა და ქართული თავადაზნაურობა დაუზოგავად არბევდა და აწიოკებდა ერთიმეორეს. ამ მხრით განსაკუთრებული უნარი მაინც შლიახტას გამოუჩენია. ომში წასული ქართველების უპატრონოდ დატოვებულ სახლ-კარს შლიახტიჩები თვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით თურმე „гвалтовно и самоправно“ აობრებდნენ და ანადგურებდნენ. მაგრამ სტუმრებიც შესაფერისად უპასუხებდნენ მასპინძლების თავდასხმებს. ქართული თავადაზნაურობა ოდნავ არ ჩამორჩებოდა რბევაში თავის უკრაინელ კოლეგებს. ამიტომაც სავსებით მართებულია მ. პლოხინსკის მოსაზრება: „Грузины никогда не играли страдательной роли и очень часто старались не отстать от малороссийских владельцев на поприще захватов, насилий и своеволий...“¹

ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ რბევა-აწიოკების მსხვერპლი გამზდარან ყათლანის შვილი ტეტია და ადამა ციციშვილი, რომელთა შესახებ გურამიშვილი ამბობს:

შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყათლანის შვილი ტეტია,
შურმან ციციშვილს ადამას დაარტყა თავში კეტია².

სიმპტომურია გურამიშვილის ბიოგრაფიისათვის მომდევნო ტექსტი:

¹ დასახელებული შრომის გვ. 1. შენ.

² უფრო საფიქრებელი კია, რომ დასახელებული პირები გამზდარიყვნენ ქართველთა შინაური შფოთის მსხვერპლნი, რადგან პოეტი ხაზგასმით ამბობს „შურმან დაჩაგრა თ“...

დაშავებული მეც შურით დავიარები ხეტია,
დამბნელებია გონება, თავზე მეხვევის რეტია.

უმოწყალოდ ექცეოდა თურმე ქართველობა თავის ყმებსა და შამულებს, უკრაინიდან აყრის მოლოდინში წესიერი მეურნეობის წარმოებაზე აღარ ფიქრობდნენ და მთელი გულისყური ძარცვა-გლეჯაზე ჰქონიათ მინდობილი, ანიავებდნენ ყმების საარჩო-საბადებელს, ითვისებდნენ მათ ნაამაგარ ყოველგვარ ნივთიერ საგანძურს (თუკი ასეთი გააჩნდათ), აუტანელ გადასახადებს აკისრებდნენ მათ და ფიზიკურადაც სტანჯავდნენ. ყოველმხრივ შეჭირვებული ყმებიც მასობრივად გარბოდნენ საცხოვრებელი ადგილებიდან. იმ დროს ხშირი ყოფილა საჩივრები: «Грузинские князья отведенных им в подданство мещан и простых посполитых не малыми отягачают поборами, побоями и прочими грабительствы»¹. უაზრო იქნებოდა ამაში დაექვება. ქართული თავად-აზნაურობა კარგად იყო ჩვეული მტაცებლურ საქმიანობას. მაგრამ არც შლიახტა და კაზაკობა აყრიდა ხეირს თავხედურ ხიზნებს. ასეთი შულღისა, მტრობისა, გაუტანლობისა და ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა ქართველი ემიგრანტების, და მათ შორის გურამიშვილის, ცხოვრება ახალ სამკვიდრებელში...

ამჟამად კი თავისუფალი, აყვავებული უკრაინა ნიშნად საბჭოეთის ხალხთა სტალინური სოლიდარობისა და მეგობრობისა დიად ძეგლს უგებს ძველი ქართული კულტურის შესანიშნავ წარმომადგენელს, უკრაინის მკვიდრს დავით გურამიშვილს.

7

მალე გამოირკვა ბრწყინვალე გვარიშვილთათვის არა-სახარბიელო შემდეგი გარემოება: სამხედრო სამსახურში ჩარიცხულთა დიდი უმრავლესობა უბრალო ჯარისკაცებად იყო განწესებული² (ყველა მეთაური ხომ ვერ იქნებოდა!). მაშინდელი ჯარისკაცობა, როგორც ცნობილია, მძიმე დისციპლინის რეჟიმს იტანდა. ქართული არისტოკრატია კი სრულიად არ იყო დისციპლინას ჩვეული. ამ ნიადაგზე იფეთქა უკმაყოფილებამ. წარჩინებულ გვარიშვილთა ერთმა ნაწილმა კიდევაც დატოვა ქართული პოლკი და ამჯობინა რუსულ ნაწილებში გადასვლა. დარჩენილი ჰუსარნი დაუყონებლივ გაგზავნეს შო-

¹ Плохинский, стр. 11.

² Бутков, I, 66.

რეულ ფრონტებზე. ტკბილი ილუზიებით გატაცებულებმა იგემეს-მეტად მწარე სინამდვილე: ბრწყინვალე კარისკაცი ნაპოლისკაცი უბრალო ხამ ფარაჯაში, სასტიკი და უღმობელი დისციპლინა, უცნობ ქვეყნებში საშიში ომი, არც სახელი, არც პატივი და არც „სახრავი“. აღშფოთებულ გრძნობას შეუპყრია ჰუსარი დავით გურამიშვილი, ის მწვავედ თავს ესხმის ვილაც „მეშურნეს“, ალბათ, პოლკის უფროსს მამუკა დავითიშვილს, როგორც ფიქრობდა თედო ყორღანიანი¹:

მას მეშურნესა პირველად არა აქენდა-რა ძალები,
გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული, დანაკრძალები;
გვიმტყუნა, ხორცი თვით ჭამა, ჩვენ მოგვიყარა ძეალები,
ხე ვარჯოვანი დაგვახმო, აყოვა ნაკუნძალები.

ამ სტროფიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბოლო ტაბები: სახელოვანი გვაროვნობის შთამომავალნი („ხე ვარჯოვანი“) „დაგვახმო“, ხოლო აამალა და ააყვავა უგვარონიო („ნაკუნძალები“). მდაბიოებმა გვიმტყუნეს, „თვით ჭამეს“ კარგი ნაჭრები, დიდებულებს კი ნასუფრალი, ძელები მოგვიყარესო. რუსეთის მთავრობა ქართველ ემიგრანტებში ეძებდა გამძლე, ენერგიულ და მორჩილ ჯარისკაცებს, ამიტომაც უფრო ერთგულ და თავგამებულ, უპრეტენზიო „ნაკუნძალებს“ დამყარებია, ვიდრე კადნიერ ფუქსაგატებს „ვარჯოვანი ხის“ შტოდან. მაინცდამაინც დავით გურამიშვილი თავისთავს აკუთვნებს დიდებულთა შეურაცხყოფილ წრეს. ამისდამიუხედავად პოეტს არ დაუტოვებია ქართული პოლკი, იქ იმსახურა. ღრმა მოხუცებამდე და თავის დროისათვის კარგ დაწინაურებას მიაღწია, მაგრამ ერთხელაც კი არ წამოცდენია კმაყოფილების გა-

¹ „ივერია“ 1882, № 1, გვ. 54. საყურადღებოა, რომ წუთისოფელი პოეტს გარკვეულად წინამძღომელის ორგულობაზე მიუთითებდა:

ვეკობ, ის იყოს ორგული, ვინც გახლავთ წინამძღომელი,
თვალ-გული ხარბი, ანგარი, მუცელი გაუძღომელი.

„წინამძღვართან“ კონფლიქტის თაობაზე გვიამბობს გურამიშვილი „ადა-მის საჩივარში“:

გულს მაძგერა მტერმაწ შუბი,
გამადინა სისხლი ღვარად,
წინამძღვართან მიგდო ჩხუბი...

მომხატველი სიტყვა. გურამიშვილი ბოლომდე დარჩა შეურიგებელი, ის მუდმივად ჰკიცხავს და ჰკმობს თავის საბედისწერო ნაბიჯს (რუსული ქვეშეერთდობის მიღებას და ჯარში განწესებას). ღრმა სინანულით აღიარებს ერთგან პოეტი:

შევსცდი და ვწყემსა წაღველ, გაუდექ მრუდად ძოვნასა,
 აწ დაეჰკარგულვარ თავთათვის, აღარ მოველი
 პოვნასა;
 უძღებებამან რა მიყო, ხედავთ, ამ ჩემსა შოვნასა!

მრავალ დიდ ევროპულ ომში მიუღია დავითს მონაწილეობა, პოეტი ლაქონიკურად ჩამოთვლის:

ჩენი გითხრა სამსახური, სხვა რა გვექნა ამის მეტი:
 ათას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
 ორმოც-და-ორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი,
 ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი;
 ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვეკრა, თავსა დაგვახვივა რეტი,
 მე ჩემ ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი,
 მალდებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ დანაკლეთი.
 მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა-ფეტი.

აქედან ჩანს, რომ 1739 წელს (ჯარში განწესების მეორე წელს) გურამიშვილი ყოფილა ყირიმის ფრონტზე, ხოთინის ციხესთან, ოსმალების წინააღმდეგ; 1742 წელს უბრძოლია შვედებთან ფინლანდიაში ფრიდრიხსგამს. 1757—1763 წლებში, ე. ი. შვიდწლიანი ომის დროს, ქართული პოლკი მოქმედებდა პრუსიის ფრონტზე ავსტრიის სასარგებლოდ. ამ ომის დროს, სახელდობრ 1758 წელს, დავით გურამიშვილი ტყვედ ჩავარდნილა და მალდებურგის ციხეში მჯდარა. ტყვეობიდან გაუნთავისუფლებიათ დავითი, ალბათ, 1762 წელს, როცა რუსეთი და პრუსია დაზავდა.

სხვათა შორის, თ. ჟორდანიას ფიქრობდა, თითქოს გურამიშვილი დაჭრილიყოს რომელიღაც ომში¹. მკვლევარი თავის მოსაზრებას ამყარებდა პოეტის შემდეგ სიტყვებზე:

ტკბილად მიჩანს ცრუი სოფელი,
 წუთი, ანაზდისა მყოფელი.

¹ შდრ. „ივერია“, 1882, № 1, გვ. 48.

ვამე, ვამე, სულო ცოდვილო,
ხორციოთ დაქრილ და დაკოდოლო!

მაგრამ თ. ეორდანიას მოსაზრება გაუგებრობაზეა დამყარებული. დამოწმებული ტექსტიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ აქ ლაპარაკია არა ხორცის დაქრა-დაკოდვაზე პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ხორცისაგან სულის შეურევებაზე, სულის დაქრაზე, როგორც ამბობს თვითონ პოეტი. არ ვიცით რა საბუთით და ვ. გაფრინდაშვილი დავითს ერთგან კოჭლად აცხადებს¹. შესაძლებელია, რომ კრიტიკოსი ამ შემთხვევაში ემყარებოდეს გურამიშვილის ტყვეობიდან გაპარვის ამბავს („ოდეს... დავით გურამისშვილს უცხონი შეხვდენ და მათის შიშით მუხლი მოექრა“, ანდა კიდევ: „უცხოთ ნახვის შიშით მუხლთ-მოქრის დროს დავითის ლოცვა და გალობა“). მაგრამ თუ ეს ასეა, ვ. გაფრინდაშვილი შეცდომაშია შეყვანილი ტექსტის უმართებულო ინტერპრეტაციის ნიადაგზე. ტყვეობიდან გაპარვის ეპიზოდში დავით გურამიშვილი მოგვითხრობს შიშით (მისტიკური შიშით) დაერდომაზე, შიშით მუხლთ-მოქრაზე და არა პირდაპირი მნიშვნელობით დაკოჭლებაზე.

ბრუსიის ტყვეობიდან დაბრუნებული გურამიშვილი იქნებოდა 57 წლისა. პოეტი სახლში მისულა ხელცარიელი, გაძარცვული და გაჩაჩანაგებული. საინტერესო სათაური შემოუნახავს გურამიშვილის იმდროინდელ ერთ ლექსს: „ოდეს დავით გურამისშვილი ბრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“. ეს ლექსი საყურადღებოა შინაარსითაც:

გავხდი გლახაკი და დაერდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე;
ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე... .

როგორც ჩანს, პოეტს დახვედრია აფორიაქებული მამული, აკლებული და გადამწვარი სახლ-კარი. უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ომში წასული ქართველების სარჩო-საბადებელს არბევდა

¹ დავით გურამიშვილი, გვ. 11.

შლიახტა და ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. ამ საერთო მოსაზრებას ადასტურებს გურამი შვილის საკუთარი სიტყვები:

შურმან მე დიდათ დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიკრა, წვრილები ფეხით მისრისა;
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვამე, ჯავრი
მკლავს მის სრისა,
ვით აღლესილი ლახვარი, მით სევდა გულსა მისრისა.

გურამი შვილს ძლიერ სჩვევია ალეგორიული მსჯელობა. ალეგორიულობა ახასიათებს დამოწმებულ სტროფსაც. ქვევით გარკვეული იქნება, რომ შვილებს პოეტი უწოდებდა თავის თხზულებებს. მაშასადამე, მეორე ტაეპში ნაწერების (პოემების და წვრილი ლირიკული ლექსების?) დაკარგვაზეა ჩივილი. მაგრამ მესამე ტაეპი ექვებს არ ტოვებს, რომ იქ პირდაპირი საუბარია პოეტის სახლ-კარის დაწვის შესახებ.

დავითი შედგომია მყუდრო ცხოვრებას და ხელი მიუყვია მეურნეობისათვის („ქერი ვხან და ყანა-ფეტი“). განუახლებია სამწერლობო მოღვაწეობაც. მაგრამ ეს შესვენება ხანმოკლე გამომდგარა..

ახალდაბას ნულარ ხარო, მეძახიან, ამო ბოლსა.
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა¹ ?!

ჩანს, წინააღმდეგ თავის სურვილისა, პოეტი „ძალ-უნებრივ“, გ. ი. იძულებით წაუყვანიათ:

მე მომითხრეს: „მანდელდამე ახლა აღექ, სხვაგან წადი“.
ძალ-უნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი.
ვამე, ტკბილო სიტოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი!

დავით გურამი შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგი ეპიზოდები ჩვენთვის უცნობია. დანამდვილებით არ ვიცით, პოეტმა სამუდამოდ დაანება თავი სამხედრო სამსახურს, თუ კვლავ პოლკს დაუბრუნდა. ვგონებ, უფრო სწორი უნდა იყოს მეორე მოსაზრება, თუმცა თ. ჟორდანიას სიტყვით: „უსაფუძვლო იქნება ვიფიქროთ“.

¹ იგულისხმება პოეტის თხზულებანი.

რომ პოეტი ვითომ აქ შესჩვიოდეს ხელახლა ომში გაგზავნას და მოუსვენარს ცხოვრებას, რადგან მეომარისთვის სირცხვილად სჩანს დაზარება ომში წასვლისა, და იმ დროს ეს უფრო სასირცხვიოდ მიაჩნდათ¹. თ. ჟორდანიას მაინცადამაინც შეუპოვარ და უწყინარ იდეალურ რაინდად წარმოუდგენია ჩვენი პოეტი. მაგრამ უკანასკნელი ერთგან სრულიად აშკარად აცხადებს თავის საყვედურს უთავბოლო სამსახურის („მეფეთა სამსახურის“!), ე. ი. ომიანობისა და ხეტიალის გამო:

მე რაც ვშობე, შვილად² ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელ-
მან გამიზარდა.

ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა;
თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად
გამიზარდა.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მოტანილი სტროფი უშუალოდ აგრძელებს ახალდაბიდან აყრის მომთხრობ სტროფს. „ქაცვია მწყემსით“ მამაც (ე. ი. თვითონ გურამიშვილი) საყვედურობს მუდმივი მგზავრობის გამო მოუცლელობას:

ერთს ამაზედ ვზარობ, აქა-იქა ვმგზავრობ,
ვერ მომიცლია.

მაგრამ, ჩვენი აზრით, გურამიშვილი კვლავ დაბრუნებია მომქმედ არმიას. სამხედრო სამსახურს საბოლოოდ უნდა გამოემშვიდებოდა პოეტი მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში³ (ამ დროზე მოღის დავითის ინტენსიური სამწერლობო საქმიანობაც...). პოლკი დაუტოვებია გურამიშვილს პორუჩიკის ჩინით. 1787 წელს შედგენილ მანქანათა ნახაზების აღწერილობის ქვეშ დავითი ოფიციალურად აწერს: *Поручик княз Давид Гурамозь.*

საცოცხლის დღეებს უშაბამავდა ხანში შესულ პოეტს უნაყოფობის (უშვილობის) გრძნობაც⁴. ყარბი, უთვისტომო, უმემკვიდრო დავითი ხშირად უჩიოდა საწუთროს:

¹ ივერია, 1882, № 1, გვ. 51.

² იგულისხმება პოეტის თბულუბათა კრებული.

³ დაახლოებით ასევე მსჯელობს თ. ჟორდანიაც (ივერია, 1882, № 2, გვ. 3).

⁴ სხვათა შორის, დავით გურამიშვილს უშვილებია ვიღაც ობოლი ბავშვი დარეჯანი, რომელიც გარდაცვლილა ერთი წლის ასაკისა 1777 წლის 26 აპრილს (იხ. დ. კოსარიკის წერილი, გაზ. „Заря Востока“, 26.VII.40).

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო,
სად მიმიყვანა სად მყოფი, კიდევ მივეყვარ სადაო?
მამა, დედა, ძმა, თვალითა ველარა მხედავს ა დაო,
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო.

ერთგან პოეტს უმძაფრესი განცდით და უძლიერესი მხატვრული სიტყვით გამოუხატავს თავისი უნაყოფობისა და უთესლობის მთელი სიმწარე:

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა;
ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა,
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.

გურამიშვილმა დიდ ხნოვანებამდის მიაღწია. დაიხოცნენ მისი თანამოძმენი, თანამოღვაწენი, თანამებრძოლნი. ამაშიც საწუთრო ყოფილა, თურმე, დამნაშავე. პოეტიც საყვედურის სიტყვებს არ აკლებს: „სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დაღინღილებსა“-ო. გურამიშვილი წუხს, რომ მის საფლაფზე გულწრფელ ცრემლს არაეინ დაღერის, ვინ იცის იქნებ განაწამები და ცოდვილი სულიც შეუგინონ, არაეინა ჰყავს სანთლის ამნთები, აბა, ალაპს ვინ გადაუხდის!—„ასე მალალმან მე დამამდაბლა“-ო—გულისტკივილით დასძენს. დავითს კარგად სცოდნია მღვდლების გაუმძღრობის ამბავი და ირონიული გესლით ნარევი ანდერძიც კი დაუგდია სულიერი თაღლითებისთვის:

ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მღვდების მე ფასი დიდი?
მღვდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი,—
რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი!

ღრმა მოხუცებისას პოეტი გამხდარა მელოტი. ერთგან საწუთროს იმას უყენებს ბრალად, რომ: „გამაყრევეინე თავზე თმა ხშირი“-ო, მეორეგან ჩივის ქაჩლობას:

ამად ქაჩალმან მის თმის ნავარცხნი ქოჩრად მოვისხი,
თავზედა ვითმე.

საფიქრებელია, რომ თავის ღროზე გურამიშვილს ამშვენებდა ხშირი წვერ-ულვაშიც. „ქაცვია მწყემსიდან“ შვილი აშინებს მამას:

ვინ წაიკითხავს გრძლად შენს ნაწერსა,
სულ გაგინებენ თეთრს ულვაშ-წვერსა...

ხოლო თავის მხრით მამაც აგონებს პირმშოს:

ბერს-კაცს თეთრ-წვერასა, ნუ მიკვეთ წერასა,
ცუდად ნუ გამრჯი.

ამ ნაკვეთის ბიოგრაფიულ უშუალობას ადასტურებს მომდევნო სტროფი, რომლითაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღბეჭდილია გურამიშვილის ნარ-ეკლიანი ცხოვრების სპეციფიკა:

ვარ ბერი-კაცი დიდად ნასარჯი,
საწუთროსაგან მწარედ ნატანჯი,
შიშველის ფეხებით აქა-იქ ხეხებით
ტყვეობისაგან.

მაგრამ ჩვენ დრომდე მოღწეულია გურამიშვილის თხზულებათა კრებულის ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელსაც დაუცავს დავითის ავტოპორტრეტიც. ავტოპორტრეტით დავითი მელოტია და უწვერ-უულვაშო, ამასთან ცალი თვალით ბრმა. ბრმობაზე პოეტი საგანგებოდაც ჩივის ნახაზების აღწერილობაში: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ, ცალის თვალით ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი“ო. „ქაცვია მწყემსითაც“ შვილი ასე აფრთხილებს მამას:

მამავ, რომ ლექსავ, ყოყმნობ, აყენებ,
ფიქრით სენს რასმე თავს მიაყენებ;
ბრმა ცალ-თვალა ხარო, ეგეც არ მოსთხარო,
რომლითაც ხედავ...

8

მიუხედავად თავისი ხნოვანობისა, ფიზიკური უძლურებისა ¹ და ბრმობისა, დავით გურამიშვილს სიკვდილამდე შერჩენია საოცარი

¹ დავითი უძლურებაზე ჩივის თავის არხაშიც (იხ. ალ. ბარამიძის „დავით გურამიშვილის უცნობი არხა“, სერიიდან: ფაქტები და შენიშვნები, 2-ე აღიარებული საქართველო, 2. VII. 36).

სულიერი მხნეობა, გამძლეობა და შრომისმოყვარეობა. დიდი წლოვანებით დამძიმებული გურამი შვილის შემოქმედებითი გული მაინც მთელი ყოფილა, გაუბზარავი. თავისი განუმეორებელი ენერჯის ძალა და პოეზიის ღრმა სიყვარული ღირსეულადაც აღუბეჭდია პოეტს მშვენიერ აფორიზმში:

სიბრმე უდროთ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს.

ღიალაც ბევრი რამ უმღერია ნაზ სევდიან ხმაზე წლებით ხანდაზმულს, მაგრამ ჭკუით უძლეველს და გრძნობის გოლიათ პოეტს. დავითის ცხოვრების უკანასკნელი ცნობილი თარიღია 1787 წლის სექტემბერი. ამ დროს პოეტი ოთხმოცდა-ორ შემოდგომას ითვლიდა. მაგრამ მსოფიანი მგოსანი დაძაბულ შრომას არ ელეოდა: აწესრიგებდა ლექსების დავთრებს, უვლიდა მამულს და, რაც ყველაზე უფრო საკვირველია, ეწეოდა საინჟინერო-გამომგონებლობითს საქმიანობას. დავითს მოუგონია შინდვრების საარწყავი და წისკვილის ასაბრუნებელი რთული მანქანები, საკუთარი ხელით დაუმზადებია ჩინებულად შესრულებული ტექნიკური ნახაზები. დავითს განზრახული ჰქონია საირიგაციო მიზნით გამოეყენებია თავის მამულების მახლობლად მდებარე მდინარე ხტროლი. სამწუხაროდ, პოეტი-გამომგონებელი ნივთიერად იმდენად ხელმოკლე ყოფილა, რომ საჭირო საღსარი ვერ უშოვია გამოგონებათა შემოწმებისთვის. იმ დროს პოეტს გაუგია, რომ პეტერბურგში ელჩად ჩასულა ბატონიშვილი მირიან. ამის გამგონეს უკანასკნელი ძალღონე შეუკრებია, მცირე დროის განმავლობაში გადაუნუსხავს თხზულებათა სრულხ კრებული, შეუდგენია ნახაზები და ინსტრუქციები და ყველაფერი ეს საგანგებო არზით მიუერთმევია მირიანისთვის. დავითს ბოდიშით აღუნიშნავს: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ, ცალის თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედვედი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძლე და სხვას ვერაფერს ვენდევ ამის მოუპარაობის მიზეზითა“ო. ლექსების წიგნში ჩართული ტექსტით და ცალკე არზით დავითი თხოვს ბატონიშვილს გამოგონებათა სადაც ჯერარს („საცა ალაგი იყოს“) წარდგენას, რომ „გაიშინჯოს. თუ რომ ჩემი ნაჩვენები საქმე და მოხსენებულობა სიცრუე არ იყოს და საქმეში შევიდეს, ერთი ნასოსის მხერეთელი კაცი მაშველიონ და ოცი თუმანი მიბოძონ“ო. ეს ფული დავითს სპირდებოდა ცდის ჩასატარებელი წინასწარი ხარჯებისათვის. გამომგონებელი ცდის ჩატარე-

ბას აპირებდა 1788 წლის გაზაფხულზე (როცა მდინარე ხოროლი ყინვებისაგან განთავისუფლდებოდა). როგორც ჩანს, დავითს დაკარგული ჰქონია სიცოცხლის იმედი და თავისი თხოვნა პირობით განუსაზღვრავს: „თუ რომ სიკვდილმან მისწრას,—ან სხვის მიჭესით იმისი დადგმა ვერ შევიძლო,—ის ოცი თუმანი ისევ უკანვე მიერთვას. და თუ რომე დავსდგა ორივე მომავალს მარტსა და აპრილში, ის ოცი თუმანი აღარ გამომერთოსო“. არზით დავითი ითხოვს შუამდგომლობას მაშინ ყოვლადშემძლე „სვეტლიშის კნიაზის“ (ე. ი. ფელდმარშალ გრიგორი ალექსანდრეს-ძე პოტიომკინის) წინაშე.

ჩვენდა სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ამ შესანიშნავი წამოწყების შესახებ. ეს კია, რომ ხელნაწერი მირიან ბატონიშვილს მართლაც მიუღია და შემდეგ საქართველოში ჩამოუტანია (ამჟამად გურამიშვილის ეს უძვირფასესი ავტოგრაფი ამშვენებს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს, ესაა წ. კ. კოლექციის ხელნაწერი № 1598). არა გვგონია, რომ მირიანს ვერ გამოეძებნა დავედრებული სუბსიდია. უფრო საფიქრებელია, რომ ფულმა გურამიშვილს ვეღარ მიუსწრო სიცოცხლეში. თუმცა ისიცაა შესაძლებელი, რომ საქართველოს ელჩმა უურადლება არ მიაქცია უცხოეთში გადაკარგული „ყმა-ყოფილის“ ჩივილს, ხოლო „დავითიანის“ წარმტაც¹ ლექსებით კი დაიტკბო. სმენა პეტერბურგის ზამთრის გრძელ ღამეებში. გურამიშვილი წერდა მირიანს: „მათი (იგულისხმება თვითონ მირიანი, ა. ბ.) გავიგონე დიდროანს ღამეებში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამკირნოება. და ამაღ კაღნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვაპი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“...

დავით გურამიშვილის გარდაცვალების თაობაზე დიდხანს არაფერი ვიცოდით დანამდვილებით, თუმცა ჯერ კიდევ 1838 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ბროსე აცხადებდა: «По свидетельству одного сведущего грузинина Давид умер в начале нынешнего [XIX] столетия в Малороссии»¹. აკად. ბროსე მართლაც ბევრ ძველ ქართველს (მათ შორის ბატონიშვილებს) იცნობდა კარგად, მაგრამ

¹ ЖМНП, VIII, стр. 322. სხვათა შორის, თ. ჟორდანიას დასახელებული აქვს ერთი წყარო (Справочный энцикл. словарь Старческого, т. IV, СПб, 1855, стр. 4), სადაც საკვებით განმეორებული ყოფილა ბროსეს მოწმობა: „ერთის მცოდნე ქართველის სიტყვით [გურამიშვილი] მოკვდა ღრმა სიბერეში ამ (XIX) საუკუნის დამდეგს მცირე რუსეთში, სადაც დამარხულია კიდევ“ო („ივერია“, 1882, № 2, გვ. 36). უეჭველია, რომ სტარჩევსკის ლექსიკონის ცნობა ბროსედან მომდინარეობს. თვითონ თ. ჟორდანიას ბროსეს შრომას, ვგონებ, არ იცნობდა, ყოველ შემთხვევაში, არსად არ ასახელებს.

კრიტიკამ მაინც ეჭვი შეიტანა უცნობი მოწმის ცნობის სისწორეში. სულ უკანასკნელ დროს უკრაინელმა მკვლევარმა დიმ. კოსარიკმა მოიპოვა უტყუარი ცნობა დავით გურამიშვილის გარდაცვალების თაობაზე, სახელდობრ, ლუბენსკის სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა მეტრიკული წიგნი, რომელიც შეიცავს დავითის გარდაცვალების თარიღს¹. ამ წიგნის მიხედვით დავით გურამიშვილი გარდაცვლილა მირგოროდში 1792 წლის 21 ივლისს (ძველი სტილით), მაშინ პოეტი 87 წელს მიწვენილი ღრმა მოხუცი ყოფილა. 1794 წლის აპრილში გარდაცვლილა დავით გურამიშვილის მეუღლე ტატიანა ვასილის ასული.

9

დავით გურამიშვილის თხზულებათა კრებულს ეწოდება „დავითიანი“. კრებულის ბოლოს ავტორს დაურთავს საგანგებო ლექსი საყურადღებო სათაურით: „ამ წიგნთა გამლექსაეის გვარისა და სახელის გამოცხადება“. ლექსის პირველსავე ტაეპში აღნიშნულია:

და ვ ი თ ი ა ნ ი ვ ს თ ქ ე ი დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ - შ ე ი ლ მ ა ნ გ ვ ა რ ა დ ო ,

ს ხ ე ა გ ა ნ ა ც პ ო ე ტ ი გ ა რ კ ვ ე ვ ი თ ა მ ბ ო ბ ს :

ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ,
დავით შევაწყევ, შევკონე ვით ვარდნი და ვით იანი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მირიან ბატონიშვილისადმი გაგზავნილ არზაშიც ნათქვამია: „ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების დ ა ვ ი თ ი ა ნ ი“. „და ვ ი თ ი ა ნ ი ს“ ცალკეული ნაწილები სხვადასხვა დროს ითხზებოდა. „ქართლის ჭირ“-ში, მაგალითად, ერთგან შენიშნულია: „სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა“ო. მართლაცდა, დავით გურამიშვილს გამოჩენილი პოეტის სახელი მოხვეჭილი ჰქონდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის კარზე (ვახტანგი გარდაიცვალა 1737 წელს). მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გურამიშვილის ახალგაზრდული

Дм. Косарик, Найденны материалы к биографии Давида Гурамышвили («Заря Востока», 26.VII.40); ალ. ბარამიძე, დ. გურამიშვილის გარდაცვალების თარიღის დასადგენად («კომუნისტი», 14. VIII, 40).

პერიოდის ლექსებს ჩვენ დრომდე ნაკლებად მოუღწევია¹. „დავითიანის“ ავტოგრაფი დამზადებულია, როგორც აღნიშნული გვაქვს, მირიან ბატონიშვილისათვის 1787 წელს. ესაა „დავითიანის“ უკანასკნელი რედაქციის ტექსტი. კრებულის დიდი ნაწილი შეთხზულია დავითის სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ე. ი. XVIII საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში. „დავითიანის“ ყველაზე უფრო საყურადღებო ისტორიული ნაწილი „ქირი ქართლისა“ დამთავრებულია, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 1762 წლისა, რადგან პოემაში მოთხრობილია დავითის მეორე ტყვეობის ამბავი, სახლში დაბრუნება და კვლავ იძულებითი აყრა (ხოლო დავითი ტყვეობიდან განთავისუფლდა 1762 წელს). „ქაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბქობა“ დაწერილია 1774 წელს, როდესაც პოეტს 69 წელი შესრულებია. „ამ წიგნის გამლექსავეის სულის მოხსენებას“ დაუცავს თარიღის აღმნიშვნელი ტაეპი: „ვსთქვი წელსა ათას-შვიდას-სამოც-და-ოთხმეტსა“ო. მრავალ სხვა წერილ ლექსს აღუბეჭდია გვიანდელი წარმოშობილობის ნიშანი, მაგალითად: „ვაი მოკლებულსა სიბერით ბრმასა“, ანდა „ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა, და ვ რ დ ო მ ი ლ ო ბ ი თ უხუც-უმღრდლოსა“ და ა. შ. უცილობელად ღრმა მოხუცებისას არის შეთხზული „ქაცვია მწყემსიც“, მაშინ პოეტი ცალი თვალით ბრმა ყოფილა და მეორითაც ცუდად მხედველი.

ერთი სიტყვით, კვლავ ვიმეორებ, დავით გურამიშვილი დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას გვიან შედგომია, მოხუცების, ანუ მოცლის ემს. „მეფეთა სამსახურმა“, სხვადასხვა ფრონტებზე ხეტიალმა და დაუდგრომელმა ყოფამ ფუქად გარდუველო დავითს ცხოვრების დღენი. ამიტომაც დიდი სინანულით ამბობს პოეტი:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეტქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!

უმემკვიდრო და უთვისტომო პოეტს შვილად აუყვანია თავისი ლექსების წიგნი:

შვილდს მომიწვია მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის მამასო,

¹ გურამიშვილის ახალგაზრდული პერიოდისად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად, „ზმიანი შაირები“ (დავითიანი, V გამოცემა, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, ტფ., 1931, გვ. 178-179) და „სავეარგონიას“ ვარიანტული ტექსტი (რქვე, გვ. 308):

მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,
და ვჯექ და ლექსვა და ვიწყე, ვსტქვი თუ, ვიშვი-
ლებ ა მ ა ს ო .

ანდა კიდევ:

მე საწუთრომ ბერწონება მომახვედრა თავში კობლად,
ძე არ მომცა, არც ასული, შემქნა სახლ-კარ დასამხოზლად;
ამ ლექსთ თავი მოუქარე, საცა შეთქვა თვითო ობლად...

მე უშვილომ ეს ობოლი ძლივ გაეზარდე დიდის კირით...

დიადაც დიდი მშობლიური მზრუნველობით და სიფაქიზით
აღუზრდია და განუსწავლია სასიქადულო პოეტს ობლად შთენილი
თვისივე პირმშო...

დავით გურამიშვილი აგრძელებს და აღრმავებს ქართულ
მწერლობაში ისტორიულ ნაციონალურ მიმართულებას. „დავითია-
ნას“ პირველს და საუკეთესო ნაწილს შეადგენს ისტორიული პო-
ემა „კირი ქართლისა“. ამ პოემის იდეებით გამსჭვალულია და გან-
საზღვრული კრებულის წვრილი ლირიკული ლექსებიც. ისტორიულ
ნაციონალური მიმართულების სხვა მწერლების მსგავსად (და უფრო
ნეტად) გურამიშვილიც „მართლის თქმას“, ანუ თავისებურ რეალის-
ტურ მეთოდს აღიარებს შემოქმედების ერთადერთ სახელმძღვანე-
ლო პრინციპად. „ქართლის კირის“ შესავალში ავტორს ზუსტი მხატ-
ვრული ფორმულების სახით მოცემული აქვს შესანიშნავი პოეტური
დეკლარაცია. სწორედ „მართლის თქმის“ პრინციპების ცხადყოფა
შეადგენს ამ დეკლარაციის ძირითად მიზანს. საყოველთაოდ ცნო-
ბილია გურამიშვილის საპროგრამო განცხადების შემცველი ბრწყინ-
ვალე სტროფა:

მ ა რ თ ა ლ ს ვ ი ტ ყ ვ ი , შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე თუ გინდა თავიც მომპრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

ასევე თავგამოდებით იცავს პოეტი „მართლის თქმის“ თვალ-
საზრისს სხვაგანაც:

პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქვეყოფნასა, ზე სიმართლით ავიბარგო.

„ქაცვია მწყემსში“ გურამიშვილი მართლის თქმას უპირისპირებს არაკსა და კორს და, რა თქმა უნდა, თვითონ პირველს ადგია:

მე სიტყვებსა სწორსა, არ-თუ არაკს, კორსა,
გეტყვი მართალსა.

აღნიშნულ დეკლარაციაში ავტორი თავის თავს საგანგებოდ, ამხნეებს და აგულაონებს სიმართლისადმი ერთგული და თავგანწირული სამსახურისთვის:

რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ, ჩემო ულვაშ-ბილო!

სიმართლის თქმა უკვე გულისხმობს მიუკერძოებას, პირუთვნელობას. გურამიშვილიც მიუკერძოებას პოეტის წმინდა მოვალეობად აღიარებს. მაგრამ ამასთანავე ის ოდნავ საკმარისად არ თვლის მარტოოდენ შიშველი, თუ გინდ მიუკერძოებელი, ობიექტურად სწორი ფაქტის დადგენას. გურამიშვილი მოითხოვს პოეტისაგან ფაქტის სრულყოფილ, ჩვენ ვიტყოდით, პოლიტიკურ ანალიზს და შეფასებას. ამიტომაც გურამიშვილის წარმოდგენით პოეტი უნდა იყოს კეშმარიტების მლაღადებელი, აუგის დაუფარავად მძრახველი, მამხილებელი, მებრძოლი. დავითმა კარგად იცოდა, რომ მართლის მთქმელს და აუგის მძრახველს ზაშინ მრავალი მტერი და ღუშმანი ჰყავდა: „მართალი ვთქვა, მეშინიან, ვა თუ გავხდე დასაკარგი“ო. მაგრამ საბოლოოდ ეს როდი აშინებს პოეტს; ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ: „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“. საზოგადოებისა და ქვეყნისათვის მავნებელია და დაძლუპველი სწორედ „ფარვა სიავისა“, პირფერობა, მლიქვნელობა და მისთანანი. ამიტომაც პოეტი მზადაა დაიმსახუროს საზოგადოების რისხვა, ტანი გაუხდეს გასაბერად, ოღონდ პირნათლად ემსახუროს თავის გულისთქმას, კეშმარიტებას, საქვეყნო საქმეს. გურამიშვილის აზრით, ყოველგვარი პირადული ზრახვა თუ ინტერესი უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივს; პირადული, თუ საკუთარი უნდა ისაზღვრებოდეს საქვეყნო და სახელმწიფოებრივი ინტერესებით. ამ შეგნებით არის გამსკვალული გურამიშვილის მთელი პოეზია. ეს შეგნება ამოძრავებს გურამიშვილის მებრძოლ შემოქმედებითს სულს.

დავით გურამიშვილი იყო ღრმად მოაზროვნე პოეტი სკეპტიკოსი, მორწმუნე და მორალისტი. გურამიშვილს შემუშავებული აქვს მწყობრი ისტორიული კონცეფცია. ეს კონცეფცია თავის მხრით

დიდად არის დავალებული „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელთა ისტორიოგრაფიულ თვალსაზრისს. ხოლო უკანასკნელი ყალიბდებოდა ქრისტიანული იდეოლოგიის ზეობის პირობებში. გურამიშვილის შეხედულებით ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერების ნამდვილი საფუძველია მორალური სიმტკიცე და სისპეტაკე; ზნეობრივი სიტუაციის დუღაბი აბამს და აკაეშირებს, აერთებს და ასაღკლდევებს საზოგადოებას, ქვეყანას, სახელმწიფოს... საზოგადოების ზნეობრივი შერყევა არყევს ქვეყნის საფუძველს; ზნეობრივი აშლილობა თიშავს, ასუსტებს და აუძღურებს საზოგადოებას, ამით ზიანს აყენებს და აუძღურებს ქვეყნიერებას; ზნედაცემულობა ღუპავს ქვეყანას, საბოლოოდ სპობს მის სასიცოცხლო ენერჯიას.

ასეთია მოკლედ გურამიშვილის საზოგადოებრივ — ისტორიოგრაფიული კონცეფცია.

პოეტის ზნეობრივი სრულყოფის ნორმა გულისხმობს ქრისტიანული მრწამსის სჯულიერებას, სიტაქიზეს და სიჯანსაღეს ოჯახურ ცხოვრებაში, კაცთმოყვრულ საფუძველზე აგებულ პატრონყმური რეჟიმის სიწმინდეს, მტკიცე საზოგადოებრივ შეგნებას და ქვეყნის სამსახურს.

✓ გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XV^{III} საუკუნეში. გურამიშვილმა გავლო მძიმე ცხოვრების გზები. გურამიშვილი მომსწრე, მოწამე და მონაწილე გახდა საქართველოს საშინელი ტრაგედიისა, საქართველოს საშინელი კატასტროფისა. გურამიშვილმა თავის ცხოვრებით განიცადა ეს ტრაგედია, გურამიშვილმა თავის პოეტური სიტყვით აღბეჭდა და გამოიტერა იგი. გურამიშვილმა მკითხველსაც აგრძნობინა საქართველოს ტრაგედიის ძალა და მასშტაბი. პოეტური ხედვის სიმახვილე, თვალსაზრისის სიღრმე და სინათლე, გრძნობის სიწრფელე, პათოსი, მხატვრული წარმოსახვის საოცარია სიმძლავრე და სიმდიდრე — ყოველივე ეს მაქსიმალური შეწონილობით გამოიყენა გურამიშვილმა, რომ მასთან ერთად თანადროულობასა თუ შთამომავლობას მთელი სისავსით ეგრძნო ქვეყნის ტრაგიზმი. გურამიშვილმა დასახულ მიზანს კიდევაც გადააჭარბა, მაგრამ მაინც კრძალულად ამბობს:

ქართლის ქირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მკვერი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.

გურამიშვილმა ასწერა მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის (თურქის, სპარსის, ლეკის, ოსის, ჩერქეზ-ლიღვის, დიდოს,

ქისტის...) გამუდმებული, გათავხედებული, ყაჩაღური თარეში საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის რბევა, აწიოკება, ძარცვა და გლეჯა. ამასთან შინაგანი უთანხმოება, კუთხური განკერძოება, ქიში, მტრობა, აურ-ზაური: „კახელების აღმახნული ქართველებმა¹ დაღმა ფარცხეს“. მაგრამ განა კახეთი კი იყო ერთიანი, ან კიდევ ქართლი? კუთხურ განკერძოებას ეპატებოდა ძმათაშორისი ბრძოლა („ძმამ ძმას სახრე გარდუქირა“... „ძმამ მოუღდა ძმასა ყისტი“...), უთავბოლო ფეოდალური მეტოქეობა, შუღლი, მედასეობა და ა. შ. აბა, ვისლა ახსოვდა ცენტრალური ხელისუფლება, მეფის სამსახური? „მოწყალე მეფე“ ვახტანგ VI-ის „გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა“, „გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი“. მტერი კი, ამ შემთხვევაში გარეშე მტერი, სწორედ იმას ღონობდა, რომ შინაგან გართულებაზე მოეთბო ხელი. და აი, მოულოდნელად ბედი უღიმის ვახტანგს: დიდი რუსეთის ძლევამოსილი მბრძანებელი პეტრე პირველი ხელსაყრელ სამხედრო კავშირს სთავაზობს ქართლის უმთავრესი მტრის სპარსეთის შესამუსრავად. პეტრეს წინადადებას მოხიბლა ქართველთა მეფე. მომავალ გამარჯვებათა წარმოდგენებით თავბრუდასხმული ის ზეიმობდა და იხარებდა, ყურს არ უგდებდა შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსთა გონივრულ რჩევას. შორსმჭვრეტელნი კი კარგად ხედავდნენ ხიფათის საცთურს: „ვინც ზედვედა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს“. მაგრამ ვერვინ ბედავდა მეფესთან აშკარა რჩოლას („მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა“), ისე კი ჩუმი დრტვივით, ჩუმი ცრემლებით „მეფეს სძრახავდენ, იტყოდენ ეგვეითარსა გმობასა: სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყეენის სპასალარია, თავს ირკვეამს მის რაყმობასა; რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!“ ერთი სიტყვით, ასკვნის შორსმჭვრეტელთა თვალსაზრისის მიმდევარი დავით გურამიშვილი: „მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება“. ვახტანგის იმედები აღარ გამართლდა, ხიფათმა მალე იჩინა თავი: პეტრემ დერბენტიდან პირი იბრუნა რუსეთისაკენ, სპარსეთის გამძვინებულ ლომს ვახტანგი შერჩა:

ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური,
ყეენზედაც ავად დარჩნენ, მათ დაკარგეს ორგნივ პური.

¹ ქართველს გურამიშვილი ხმარობს ქართლელის მნიშვნელობით.

ვახტანგი ხელმეორედ „გაათახსირეს“, ვერაგმა შაჰმა ქართლის ტახტი ნობათად უძღვნა კახეთის გამაჰმადიანებულ მეფეს მამადყულიხანს (კონსტანტინეს). ვახტანგი უომრად არ ნებდებოდა. მამადყულიხანმა მოიშველია სპარსთა გარნიზონი და დაქირავებული ლეკების ჯარი. მამადყულიხანმა ტფილისი ბარბაროსულად შემუსრა:

სახლ-დუქნები დაქცავეს.

დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქცივეს,
თეთრსა მტკვარსა წითლად ლებდა, რაც მათ სისხლი დააქცივეს.

ვახტანგი კვლავ არ ტყდებოდა, დახმარება სთხოვა ოსმალეთს. ხონთქარიც კმაყოფილია, აუსრულდა ფარული ნატვრა, სათარეშოდ ტფილისს იწვევენ ოსმალთა ლაშქარს. მალე ოსმალთა სარასკირები დაერივნენ და დაეპატრონენ ქართლ-კახეთის მიწებს: მორიგი რენე-გატებიც ამ ეჟამს უცდიდნენ, ვახტანგს განუდგა სუნის მმოსავე იესე მეფე, ოსმალთ მიემხრო, რისხვა უწვიმა ქართლის მიწა-წყალს:

იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ ჯარები,
მან შეიყარა ოსმალთ, იქმნა თიფლისით მარები;
მოხვდნენ ერთმანერთს. დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები.

ვახტანგ მეფე გარდაიხვეწა. ასეულობით გარდაიხვეწნენ ქვეყნის საუკეთესო მოამბაგენი, ქართლის ერთგული ჰირისუფალნი. ქვეყანა დარჩა რენეგატებს, გამცემლებს, მზაკვრებს. აფორიაქებულმა ცხოვრებამ წაახალისა ბნელი ძალები, სოროებიდან გამოძვრნენ გველნი. შინაური თუ გარეული ყველა ხალხს ეურჩება, შეიქნა მასობრივი რბევა, აოხრება, აყრა, აწყვეტა. შემზარავი სურათი გადაგვიშალა გურამიშვილმა:

შეიქნა დიდი მტრობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავენობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზედ დასხდომა შვირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა.

ბარში ცხოვრება არ ხერხდებოდა, მოსახლეობა იხიზნებოდა ტყეებსა, ღრეებსა და მთებში. სასოფლო მეურნეობა მთლიანად ჩაკვდა, ხენა თესვისათვის არვის ცხელოდა, პური გაძვირდა, ხალხი დაიმშა:

რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკადესა, რაც აქვნდათ თვისი საუნჯე სულ პურ-ღვინოზე ყიდესა.

ანდა:

აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ქურისა,
შემცირლის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა.

ამას მოყვა „დიდი სიყმილი“, ძვირობა („მოვიდა დიდი ძვირობა“), მმუსრავი სენი:

შეჰყარა უცხო, უწყალო სენები,
ხოცა კაცნი და პირუტყვნი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები.

ყოველივე ამ უბედურებამ ხალხი ფიზიკურად გაანადგურა, მცხოვრებთა რიცხვმა უზომოდ იკლო, სოფლები და დაბები გადაშენდა (აბა წიგნისთვის ვისღა ცხელოდა? სკოლები გაქრა...), ვინც სიკვდილს გადურჩა, მას სულიერი დამბლა დაეცა, სასოწარკვეთა— განუმეორებელი მხატვრული ძალით აღბეჭდავს გურამიშვილი:

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლად,
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლად.
დადედლებულნი შიშთაგან აღარ ეარგოდენ მამლად,
აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლად.

საზოგადოებრივ უკულმართობას და ქვეყნის განსაცდელს ზედ მიემატა პოეტის პირადული უბედურებაც. უკეთ რომ ვთქვათ, პოეტის პირადული უბედურება თვითონ გამოიწვია უკულმართულმა ყოფამ. იშვიათი ბუნებრიობით ჩაუქსოვია გურამიშვილს პირადული ხვედრის ამბავი ქვეყნის ოხრების ანსახავ ეპიურ ძეგლში... ტყვეობა, ემიგრაცია, წანწალი, კიდევ ტყვეობა, ფიალა „მწარე შხნაკვისა“, ცივი სამარე მიუსათარ, უცხო მხარეში, უცხო, უცნაური ლოდის წარწერით:

წმინდა იონე კახეთს ზედაძენს, —
სასწაულობით ქვეტკირს ცრემლთ აღენს —
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძვლებს აელენს,
ორნივე შერებიან სასწაულს ამდენს.

ამ ორ მონასტერს მაქენდა ალაგა,
სასათლაო და ძვალთ შასალაგი;
ორიე ქვიტკირით აღშენებული,
სახლ-გალაენებით დაშვენებული.
ახლა მობძანდი, მნახელო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!

ულრმესი, უსპეტაკესი და უმძლავრესი სიყვარულის გრძნობით უყვარს დავით გურამიშვილს თავისი მშობლიური მიწა, თავისი მშობლიური მხარე, ქვეყანა. გურამიშვილის ყოფის მთელი სიმწვავე, მისი ურვის ძირი-სათავე მარხია მშობლიური ქვეყნიდან იძულებითს გამოძებაში, ეს აწყულულებს და სიცოცხლის დღეებს უშხამავს მოხუცს, მაგრამ გრძნობიერ პოეტს. რა წრფელი ნაღველით აღბეჭდილია, მაგალითებრ, დავითის ეს ჩივილი:

საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული,
სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით

გამოძებული.

მიუსათრობის გრძნობით განაწამები გურამიშვილი, უწყინარი და ღრმად ზორწმუნე კაცი, ერთხელ ტკბილი „ღეთის“ წინააღმდეგაც კი გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილებისა და უმადურობის სიტყვით მიმართა გამჩენს:

მამაო, თავსა მთარავი დაგედგა ქარგი ქარავი,
განიარი და მაღალი, ხელთაგან მიუქარავი;
შიგ ვიყავ, სადღაც გამაგდე, პალური ამამქარ ავი,
მით ცრემლი ჩემი ზღუად გახდა თვალთაგან ნაწანწქარავი.

შემადრწუნებელია გურამიშვილის ურვის სიმწვავე. ყველაზე უფრო მწარე და ბოროტი ქიტყვა, რომელიც ოდესმე კი დასცდენია პოეტის ბაგეს, არის უნუგეშო ხვედრით გამოწვეული სიტყვა წყევლისა: „ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს“ო. გურამიშვილის ამომთხრელი იყო ის ისტორიული უბედურება, რომელიც საქართველოს თავზე დაატყდა. პოეტის რწმენით, ისტორიული უბედურება თვითონ ქართველმა საზოგადოებამ, საზოგადოების მოწინავე ფენამ გამოიწვია. ქვეყნის განსაცდელი იყო „საწყაულის მოწყვა ღეთისაგან“. ხოლო ეს „საწყაული“ გამოვლინდა ზნე-

ობრივი უკეთურების შედეგად, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი სექსუალური აღვირაბსნილობის გზას გაჰყოლია, ქრისტიანული სჯულიერების საფუძვლები შეურყევეია ოჯახურ ცხოვრებაში, ქრისტეს მცნებისათვის უღალატნია და უწამებია მაჰმადის მადლი:

გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაქასთან შექნეს რბოლანი, ყმაღ წაუვიღნენ ისასა.¹, იქმნენ მამადის² ქოლანი.

ამ „ცოდოს“ კვამლი აღვლინდა ზეცას, შეჰყარა რისხვის ღრუბლები და შუროსძიების სეტყვად დაეშვა დედამიწაზე: „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა: ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა“. არც ამან გამოაფხიზლა, თურმე, ქვეყანა. მრისხანე ღმერთი საცთელს არ აკლებს, რისხვის „მიშები“ უფრო მატულობს. მაგრამ „არც მით მოიქცნენ“... გამჩენის წყრომას ბოლო არ უჩანს და ქართლის მიდამოც იქნა „ვერანად, ტრამლად“.

ასე ეხატება დავით გურამიშვილს საქართველოს ისტორიული ხვედრი. რა თქმა უნდა, აქ ავტორის ისტორიული კონცეფცია როდია მთავარი. მთავარი ისაა, რომ დავით გურამიშვილმა მომხიბლავი მხატვრული სრულყოფით, პოეტური შემოქმედების ვირტუოზული სიმძლავრით ასახა XVIII საუკუნის საქართველოს ცოცხალი, შეუფერავი სურათი. „ჭირი ქართლისა“ მხატვრული უბრალოებით აღბეჭდილი მატინაია იმის შესახებ, თუ „ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით“. პოემა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სამშობლო ქვეყნის წრფელი და ღრმა სიყვარულით. ჯანსაღი პატრიოტიზმი, სამშობლოს უანგარო სიყვარული პოემაში მიჩნეულია უმაღლეს და უწმინდეს გრძნობად, რომელიც განსაცდელის დროს მსხვერპლს საჭიროებს, თავგამეტებას. პოეტის ნათელი კჷუა, მოსიყვარულე გული და წრფელი მგრძნობიერი არსება შეუშფოთებია მშობლიური ქვეყნის უბედურებას. პოეტი აღბორგებულია ზნეობრივი უზურპაციის წინააღმდეგ. პოეტი საშინელი დაუნდობლობით და პირდაპირი სიმძულვარით ამხელს თავისივე თანამოძმე გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის იდეურ სილატაკეს, ზნეობრივ სიმჩატეს და გონებრივ სივაგლახეს. პოეტი იბრძვის გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ვიწრო წოდებრივი

¹ იესო ქრისტეს.

² მაჰმადის.

შეზღუდულობის წინააღმდეგ, დაუზოგავად და პირუთვნელად სტუქსავს თავადაზნაურულ ეგოიზმს. კუთხურ განკერძობებას, კინკლაობას, ქვეყნის ინტერესების დალატს, უპრინციპობას ზნეობრივ ცხოვრებაში, ანგარების მიზნით სჯულის განდგომას და ა. შ. გურამიშვილი მწარედ განიცდის ქვეყნის განსაცდლის ყოველ მოვლენას, პოეტს სტანჯავს და სდაგავს უკუღმართობის ყოველი ფაქტი, ბოღმით ივსება მისი მგზნებარე გული, ცრემლად იღვრება მისი თალხი თვალები. ნაღვლით აღსავსე პოეტი სამაგალითო პირდაპირობით ამხელს დიდს და პატარას, ერსა თუ ბერს. აღსანიშნავია, რომ მან მწყალობელი პატრონიც კი არ დაინდო ამ მხრით და საშინელი განაჩენი გამოუტანა ვახტანგის მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობას:

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწლომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხლომარე.

განსაკუთრებული ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღრმად მორწმუნე გურამიშვილი თანაბრად ებრძვის გაბატონებული საზოგადოებრიობის ორივე ფრთის (საეროს და საეკლესიოს) წარმომადგენლებს. გურამიშვილმა ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრა ეკლესიის მსახურთა ზნეობრივი დაცემულობა, ფლიდობა, ფარისევლობა, მსუნაგობა... ანათორიანი არაშაადები ბერული კდემამოსილი ოინბაზობით შფოთისა და შულლის ცეცხლს აღვივებდნენ მოძმეთა შორის, რომ ამ კოცონზე ხელი მოეთბოთ. ქრისტეს მმოსავთა დიდი ნაწილი ლოცვისა და სათნო ცხოვრების ნაცვლად საკუთარი სტომაქის გამოყორვაზე ზრუნვით თუ იწუხებდა თურპე ნაძრახ სიცოცხლეს. კახეთის მეფე კონსტანტინეს მოძმეთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად ქართლის მეფესთან მოციქულებად გაუგზავნია „ჩინით რჩეული ბერები“. „ჩინით რჩეული ბერებიც“ სიხარულით ცას მიწვენილან და აი რისთვის:

მიუხაროდათ დიაკვნებს საქართლოდ გაჩაფრულებსა,
გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალ ფრულებსა,
საქონლით სავსეს მოვასხამთ ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა-ო.

შემდეგი დამახასიათებელი დიალოგი გაუმართავთ გზად თაღლით მოციქულებს:

ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურიითა,
მეორემ—თევზით გავძლები ზურგიელ-გელაქნურიითა,
მესამემ—მივიბრუეები ღვინითა ატენურიითა.

აბა რა სარგებელი უნდა მოელო მსგავსი მოციქულების საქმიანობას?! ვახტანგის პირით გურამიშვილი მწვედ ამთარახებს ღვთისნიერ ფლიდებს:

რად არა ხარტ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავეთ?! გამოსულხართ და დასდინხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავეთ, ჩვენთა ხმალთა გამახულთა მაგით უფრო თქვენ აღლესავეთ!

11

უნიადაგო გამოდგა გურამიშვილის პოლიტიკური იდეალები, ხოლო პირადულ ცხოვრებაში მან საშინელი მარცხი განიცადა. სოციალურმა „უძღებებამ“ (როგორც თვითონვე ამბობს) კი საბოლოოდ გარიყა. პოეტმა დაკარგა რწმენა თავის თავის დახსნისა, საზოგადოების წინსვლისა, ქვეყნის უკეთესი მერმისისა. ამაზეა აღმოცენებული გურამიშვილის უსასო პესიმიზმი.

საწუთროსა და სიცოცხლის გმობა „დავითიანის“ უაღრესად დამახასიათებელი მოტივია. რასაკვირველია, ეს მოტივი როდია ახალი მესამე პერიოდის მწერლობისათვის, მაგრამ გურამიშვილისებური სიძლიერით არვის აღუბეჭდია მისი აუგი (ამ მხრით გურამიშვილს თეიმურაზი თუ შეედრება მხოლოდ). გურამიშვილის თვითეული შხამიანი სიტყვა—ყოველგვარი გადაქარბების გარეშე—მართლაც მისი გულის ფსკერიდან აღმოხეთქილი ნაღვლის ნაჟურია და არა ლიტერატურული მოდით ნაკარნახევი რიტორიული მანკვა (ზოგიერთთან რომ შეინიშნება). წუთისოფელი პოეტს აგონებს მუდამ დაუდგარ, მბორგავ, ქარიშხლიან ზღვის ღელვას:

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს,
უკან მისდევს დრო და ჟამი.

ეს ქარტეხილი ცხოვრების ხან ერთ ყურეს ახეთქებს პოეტს და ხან მეორეს. და ასე: წუთისოფელი ცრუა და მატყუარა, უნდო და მიუსაფარი, მუხთალი, ბნელი და რომელი ერთი აღვნიშნოთ კიდევ? „დავითიანის“ ეპითეტების სიუხვეს ანგარიში არ შეეგება. პოეტი მეტად უდიერია საწუთროს მიმართ—საწუთრო საძაგელია, საზიზლარი, ღირსი ფურთხისაო. სოფლის სიგლისპე პოეტს პერსონალურად აქვს გამოცდილი და რწმენას ვერვინ შეურყევს: „ამად გემდური, კარ უბედური“ო. გურამიშვილისათვის ჩვეული სიმძაფრით

და სიღრმით ასახულია საწუთროს შინაგანი წინააღმდეგობებით და-
ლადრული ვერაგი სახე ერთს, უკვე სათაურითვე გარკვეული გან-
წყობილების გამოწვევს ლექსში „გოდება დავითისა, საწუთროს
სოფლის გამო ტირილი“:

თუ ხარ ლეიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

პოეტის კენესა ხშირად გადადის ტყება-გოდების შემზარავ
ხმებში. პოეტი სწყევლის და ჰკრულავს თავის გაჩენის ქამთა სიძვეს:

გული ღონდება, ვიწყო გოდება: ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორცნა-ბოდება, რაც მაგონდება: ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო.
სული მშორდება, ხორცი შმორდება: ვაი საწუთრო, ცრუო
სოფელო!
რად მშვა დედამან, შავმან ბედამან: ვაი საწუთრო, ცრუო
სოგელო!

აბა, რომელი იერემიადა შეედრებოდა გურამიშვილის გოდების
ძალას და სიღრმეს? მაგრამ გურამიშვილის წრფელი პროტესტან-
ტიზმი ბოლოს ჩაახშო თეოლოგიურმა რაციონალიზმმა. პოეტი იძუ-
ლებული გზდა აღლესილი ხმალი ჩაეგო და პატიებაც კი გამოე-
თხოვა სოფლის წინაშე. რელიგიურმა გზნებამ ჩაჰკლა გურამიშვილის
გულის სკეპსისი, ანტიმაც გურამიშვილის წყევის ქარიშხალი ხში-
რად ნელდება... პოეტი ღრმად უკვირდება წყეულ საკითხებს: აბა
რა იწვევს ადამიანთა ტანჯვა-ვაებას, რას განუსაზღვრავს წუთი-
სოფლის გაუტანლობა, საბოლოო ხვედრი რა არას?

გურამიშვილი მკვებედ ეკამათება სოფელს („კაცისა და საწუ-
თროსაგან ცილობა და პქობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“, „სიკ-
ვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“) და იმას მრავალ
დასაბუთებულ ბრალდებას უდგენს, პასუხს კი არცერთს იწყნარებს.
მაგრამ როდესაც პოეტს მოაგონეს ბიბლიური ადამის ცოდო, რო-
მელიც საშინელი ტვირთად დასწოლია თავს ადამიანთა მოდგმას,
მაშინ შეკვდილი პოეტი დაზავებას თხოვს ვერაგ საწუთროს. ასე
კომპრომისულად გადაჰკრა გურამიშვილმა დასმული კითხვა. საწუთ-
რო არაფერ შუაშია. ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისუფალი და
ბედნიერი. ადამიანმა ბედნიერება ვერ შეიღირსა, ბოროტად შეცთა

და უნდა იტანჯოს კიდევ, იტანჯოს მარადიულად, ეს არის იმისი გარდაუვალი ხვედრიო. ამითაც როდი კმაყოფილდება ჩვენი პოეტი. როგორც აღნიშნული გვაქვს, საქართველოს ისტორიული ხვედრიც ხომ დასახულია „საწყაულის მოწყვად ღვთისაგან“. ამიტომაც, რომ გურამიშვილის მთელ შემოქმედებას აფეროვანებს ღრმა რელიგიური განწყობილება.

პოეტის შეხედულებით (რაც იმავე დროს ქრისტიანულ-ეკლესიური შეხედულება ციო) ყოველი გონიერი არსება, ე. ი. ადამიანი შედგება ორი თვითმყოფი ელემენტისგან, სულია და ხორცისგან. აქედან ხორცი წარმავალი, ხრწნადი ელემენტია, ხოლო სული—წარუვალი, ცხოველმყოფელი მარადიულად. როგორც წარმავალი, ხორცი უნდა ექვემდებარებოდეს მარადისობის მატარებელ სულს. მოხდენილი პოეტური ფორმით გადმოუცია დავით გურამიშვილს ცნობილი თეოლოგიური დებულება: „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ქურქელი მყარალია“ო. სხვაგანაც მრავალგზის ასკვნის:

ხორცია მიწა-ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი,
სული უსხნულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი;
ხორცი მკვდარ-ხმელი ბალახი, აყოებულად ნანახი,
სული ცხოვრების მპყრობელი, ვით ბაზმა გაუქრობელი.

პოეტი მხურვალედ ქადაგობს სულიერებას, ხორცის დაგმობას. ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობა იმქვეყნიური ზრახვებით განისაზღვრება. ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია საიმქვეყნიოდ. საიმქვეყნიო მარადიული ბედნიერება მხოლოდ სულის სრულყოფით მოიპოება ხორცის დათრგუნვის ხარჯზეო. ხოლო „ნებიერობა ხორცისა სულისა წარსაწყვიდია“. პოეტი მკითხველებს ურჩევს:

ამად სჯობს, ხორცი უფარპყო, სულსა ულოცო, უწირო.

ასეთ უარყოფამდის თეიმურაზ პირველიც კი არ მისულა. გურამიშვილი აღიარებს აბსოლუტური ასკეტიზმის იდეას. ამ აღიარებას ლოგიკურად მიჰყვება პრაქტიკული შეგონებაც; თავისი შეცოდება ადამიანმა საქმით უნდა გამოისყიდოს აქვე, ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე:

ისე ხორციით შეინანე, რაც ხორციით სცოდეო,
თორემ სულით ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეო.

ასეთმა გზამ კი პოეტი კვლავ მღვდელს დაუკავშირა, რომლის თაღლითი სახე მანვე ამხილა შესანიშნავად. გურამიშვილი გემოდღვრავს:

რაც გეცოდოს, შეინანე, მღრღელს აღუარეო,
ილოცე და იმარხულე და ეზიარეო!

ანდერძითაც იგივეა დამოწმებული:

ჩემს ცოდვილს სულსა ეს შეაწვევა,
მღრღელის წირვა-ლოცვა, საკმევლის კმევა.

გურამიშვილი არ კმაყოფილდება ასკეტიზმის უპირატესობის თეორიული დადგენით, პოეტი აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს, ყოველ შემთხვევაში, თავის საკუთარ თავს, ხორცის ტანჯვისთვის სულის საოხად:

ადექ, ადექ, ნულარ სწევხარ, ზეზედ წამოჯეო...
თუ სულით გსურს განსვენება, ხორცი გასარჯეო.

გურამიშვილის მთელი რიგი ლექსები შთაგონებულია წრფელი და ძლიერი რელიგიური გრძნობით. პოეტი ღიღების მონუმენტალურ ჰიმნებს უგალობს სულიერებას, ღვთაებრივ იდეას. მან გადაახალისა და ახლებურად დაამუშავა ბიბლიური თემები. ამ ძველ, თითქოს გაცვეთილ თემებს, ახალი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სული შთაბერა. გურამიშვილი იღებს ბიბლიიდან ყველაზე უფრო მწვავე დრამატიულ სუჯეტებს, რომლებიც ასე აღელვებდა მორწმუნე კაცობრიობას საუკუნეთა განმავლობაში. ამ ისედაც მწვავე დრამატიულ მოტივებს პოეტი მეტ ბუნებრიობას აძლევს, აცლის სასწაულებრივ სიმშრალეს, უფრო გასაგებს ხდის, უახლოებს ადამიანურ განცდებს, ერთი სიტყვით, აბუნებრივებს და აადამიანურებს, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგალითად, ჯვარცმის ამბავი უდიდეს ადამიანურ ტრაგედიად აქვს პოეტს საუცხოოდ გადმოცემული. ღვთისმშობლის ტირილი—ეს განატანჯი, პირმშო შვილდაკარგული, „ნაწლევ დამწვარი“ ღედის მწარე კენესაა, სასომიხდილი ქალის უნუგეშო ტყება-ვაება. სიკვდილის პირას მიწევილ, ფიზიკურად გვემულ და განაწამებ, მაგრამ მორალური სიმტკიცით ურყევ ჯვარცმულ შვილს სულს უშფოთებს და ტკივილებს უორკეცებს ღედის ქვითინის სმენა.—„შაემულაბნა მშობელი“—ო, უსწორო პოეტური

გზნებით ამბობს პოეტი. შვილის თანაგრძნობიანმა ტკბილმა სიტყვებმა ცეცხლი მოუღდა დედის ძუძუებს: „რა გაიგონა დედამა ხმა-ტკბილი თავის ძისაო, მოხსენდა მის ძის ხელთ-ქერა, ძუძუთწოება ძისაო“... მარიამი თავის გოდებით ნამდვილ დედა-ქალს ასახიერებს და ამიტომაც გასაგებია პოეტის მიმართვა არა მორწმუნე საზოგადოებისადმი საერთოდ, არამედ შვილმკვდარი დედებისადმი:

„მოდით, ყოველნო შვილ-მკვდარნო დედანო, შეიყარენით,
შემწყნარებელი აწ თქვენი მარიამ შეიწყნარენით,
ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრემლი გადმოყარენით.

დავით გურამიშვილს ჯვარცმის ამბავში განსაკუთრებულად ხაზი გაუსვამს სტოიციზმის, გამძლეობის და მოთმენის მომენტისადმი. დავითის იდეათა სამყაროსათვის, რასაკვირველია, სწორედ მორალური შეუღრეკლობა უნდა გამხდარიყო შთამბოძნებელ ძალად. პოეტიც საგულისხმო რეფრენით სალტავს მთელი ამბის თვითეულ ხანას:

• დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

გურამიშვილმა ხალხური სუბუქი საზომები გამოიყენა რელიგიურ-ბიბლიური თემების დასამუშაველად. ამის წყალობით ახლებურად აულერდა და საინტერესო საკითხავი გახდა ისეთი ბიბლიური ეპიზოდებიც კი, როგორცაა, მაგალითად „ნოეს რღვნის ამბავი“. აღსანიშნავია, რომ მესამე პერიოდში მკითხველი საზოგადოებრიობა დიდ გულგრილობას იჩენდა საღვთის-მეტყველო ძეგლებისადმი. თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, რომ მაშინ უყურადღებობით ლპებოდა თურმე თვითონ „სახარება“ და „სამოციქულო“. გურამიშვილი შეეცადა გაერღვია ეს საზოგადოებრივი ინდიფერენტუზმი საღვთო წერილისადმი. პოეტი კარგად გრძნობდა, რომ შეუძლებელი იყო ამის მიღწევა ძველი ხერხებით, ძველი, უკვე შერყეული და გაცვეთილი მეთოდით. გურამიშვილმა თავისი უზადო ნიჭით მოახერხა საღვთო წერილის თემების სხვაგვარად ამეტყველება, მათი თანადროული იდეურობით გაცეცხება, ახალი მიმზიდველი ფორმების გამოძებნა და მკითხველი საზოგადოებრიობის კვლავინდებურად დაინტერესება თითქოს სამუდამოდ მივიწყებული ძველი ამბებით. გურამიშვილმა არსებითად მხატვრული ხორცი შეასხა მამუკა ბართაშვილის დევიზს: „ღვთის ქება-დიდება კარგები ითქმის, რომ სულის სარგებელი იყოს“.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უდაოდ ცხადყოფს გურამიშვილის გულწრფელ რელიგიურობას, პოეტი ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ზნეობითს მოძღვრებაში ხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალს. ოღონდ ეს კია, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებრივი მორალის პოზიციაზე მდგომი პოეტი დაუზოგავად ებრძოდა ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენლებს. პოეტის აზრით, დავიწყებული იყო მაღალი ეთიურობის გამომხატველი ნამდვილი ქრისტიანული სარწმუნოება. ეკლესია გადაქცეულა „ქვაბად ავახაეთა“ მორალურ გახრწნას, უწინარესად ყოვლისა, სწორედ სასულიერო პირნი შეუპყრია, ზნეობრივი უზურპაცია ეკლესიაში დაბუდებულა. მსუნაგი, წუწკი, თაღლითი სამღვდელეოების ხელში ქრისტიანული სარწმუნოება გამხდარა სარფიან სააღებ-მიცემო სავნად. გესლიანი ირონიით არის გაქლენილი „მღრღელთ ვედრება დავით გურამის-შვილისა“:

ახლა მე თქვენა ამასა გვედრებ:
 ღვთის ნაწყალობევს ნუ დანაყვედრებ,
 მკედრისა პატრონსა, სიკვდილის დროსა,
 ბერს ნუ შეუკვეთთ სამარხს-სამკედროსა.

ცოცხალი რომე პატარად ვლირდი,
 მკედარს რად მეღვდების მე ფასი დიდი?
 მღვრდელო, შენს მაღლსა, ძვირად ნუ მყიდი, —
 რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი¹.

12

დავით გურამიშვილი მორალისტი დიდაქტიკოსია. ის არ კმაყოფილდება საზოგადოებრივი ყოფის უარყოფითი მხარეების მართაოდენ მხილებით. პოეტს შემუშავებული აქვს პოზიტიური ზნე-

¹ „ქაცვია-მწყემსში“ გურამიშვილი არკვევს ფატალიზმის ბუნებას, უწოდებს მას ცრუმორწმუნეობას, ემიჯნება და თავის მხრით ასკენის:

საწუთროს სოფლის ქამთა ცვლილობა, —
 დღეს შერიგება, ხვალ აშლილობა,
 გლახობა, მეფობა, სიძვირ-იეფობა
 ღვთით არს არ ბეღით.

ობითი მოძღვრება. თვითონ მხილება და ძრახვაც ზნეობრივი შეგონების ერთერთ ფორმად აქვს ავტორს მომარჯვებული:

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულაე აღარ ჩაიდინოს,
სხვა გაფთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვინ ჩაიდინოს.

გურამიშვილი ზნეთსწავლულების თავისებური მთლიანი სისტემის ავტორია. ქვეყნისა და საზოგადოების წყლულთა მაკურნებელ წყაროდ პოეტს მიაჩნია ზნეობრივი სიფაქიზე, სარწმუნოებრივი სიმტკიცე და გონებრივი სისრულე. ამ ძირითადი იდეური თვალსაზრისით არის განსაზღვრული გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრების პრაქტიკული მხარეები.

„დავითიანი“ ავტორს განკუთვნილი აქვს მოზარდი თაობის სასწავლო წიგნად:

ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექნან დასახვევლად.

და კიდევ:

თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ ქვეყნათ ჩემგან უფრო ბრმათა,
ბერს გამოცდილთ არა ვჰკადრებ, მოგახსენებ ახალ ყრმათა.

გურამიშვილის ზნეთსწავლულობას საფუძვლად უძევს სარწმუნოებრივ-ქრისტიანული აღზრდის პრინციპი. ყოველმა ყმაწვილმა კაცმა კარგად უნდა შეიცნოს ღვთიური სიბრძნე, ანუ „ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“. განსწავლილი და მცოდნე იოლად აიცდენს ცხოვრების მრუდე გზას. პოეტი აფრთხილებს მოზარდს: სკან, „საწუთრო მუხანათი, საღმობიარეო, არს გზა ვიწრო, ორმო, ხნარცივი მოგანიარეო“. პირველი და ძირითადი მოთხოვნებიანია: „კაცმან უნდა სიწმინდით თავი შეინახოსა, არაფერი ბოროტი გულით განიძრახოსა, თვით ერიდოს საძრახავს, სხვასა არა სძრახოსა“. ამ მოთხოვნების წყაროდ პოეტს დასახული აქვს ბიბლიური ათი მცნება:

უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეირაცხოსა,
ათის მცნების სიტყვები გულში დაიმარხოსა.

გურამიშვილის ზნეობრივი მოძღვრებისათვის ბუნებრივია ასკეტიზმის ქადაგება. პოეტი მოითხოვს საზოგადოებისაგან საერთოდ და

მოზარდისაგან კერძოდ თავშეკავებას, ხორციელი გრძნობიერების აღკვეთას: „ხმა მოუდაბლე ორღანოს, აშიყ-მაშიყად სტვენასა“ო, და „იქმოდე გულისთქმისასა გემოვნებისა თმენასა“ო. პოეტი აცხადებს, რომ „ნდომა“ ბრმაა, „ბნელს ნათლად აჩენს“, ახალგაზრდას ხდის თამამს და უკმეზს, თავხედს. ნდომით გათამამებული თავნება კაცი აღარ კადრულობს სწავლას, კიდევაც „ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყმენდელსა“. პოეტი გმობს ნდომას, როგორც გაუმაძღრობის და სიხარბის წყაროს.

ქრისტიანული მორალის სიწმინდით დაცვა და ღვთიური სიბრძნის შეცნობა—გურამიშვილის აზრით—შესაძლებელია მხოლოდ სწავლა-აღზრდის საშუალებით, რადგანაც უწვრთნელი კაცი „საღმართოს რომ ვერას ვალობდეს, იმღერდეს „ხართა ლალასა“. ამ გარემოებამ პოეტი მიიყვანა სწავლის პრიმატის აღიარებამდის. აქედან მოდის სწავლა-აღზრდისადმი მხურვალე მოწოდება. მიუხედავად თავისი რელიგიური სარჩულისა, გურამიშვილის ეს მხურვალე პოეტური სიტყვა მუდამ დაუვიწყარი რჩება და სასარგებლო. უკვდავია გურამიშვილის განთქმული აფორიზმი:

სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერაჲინ, არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი.
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

უკვდავია გურამიშვილის სიტყვები:

ისმინე სწავლის მძებნელო, მოყეე დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე კამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, გურამიშვილის გულწრფელი ბრძოლა საზოგადოებრივი უმეცრების წინააღმდეგ თვითვე უწყობდა ხელს რელიგიური შეზღუდულობის ბჭეების დარღვევას.

სწავლას სჭირდება ბეჯითი შრომა და ხალასი ჭკუა. მართალია, ჭკუა თავისდათავადაც დიდი განძია: „ქკვის უკეთესი საქონლად არა-რა საქონელია“, მაგრამ ჭკუის გამოყენება ხერხდება ცოდნით: „ქკუვა უხმარ არს ბრიყეთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“. გურამიშვილის ფიგურალური გამოთქმით: ჭკუა პურია, ზოლო „ცოდნა და საქმის ხმარება მარილი დასაწებელი“. უსწავლელი ჭკვიანი კაცი პოეტს აგონებს „უხორთუმოს სპილოსა“, „მამაცს

უსაკუროვლოს“ და „ვეფხს უკლანქოს“. სწავლა ცხოვრებისათვის ბრძოლის აუცილებელი იარაღია: ამის გარეშე ადამიანი უძლურია, მკაცრი ბუნებისა და დაუნდობელი წუთისოფლის მონა-მსახურია. ყველა ღირსებათაგან პოეტი მალლა აყენებს სიბრძნეს. სიბრძნეს დაუფლებულ, ბრძენ კაცს კი ყველაზე ღირსეულად თვლის. ბრძენი კიდევაც უნდა იფერებდეს და ღირსეულად იყენებდესო თავის ღირსებას, თორემ „ბრძენის ურიგოდ ქცევისა ბაძით წახდების ერია“.

როგორც ზნეობითი აღზრდა, ისე გონებრივი წვრთნა უნდა იწყებოდესო ბავშვობიდანვე. ბავშვის უმწიკვლო გრძნობა და ხალასი გონი კარგად იგუებს და ითვისებს სწავლას. ბავშვის ქარბი ენერგია და შეურყენელი ბუნება საუკეთესო ნიადაგია ფაქიზი ზნეობითი ჩვევების ასაღორძინებლად. ასაკს ჯადასული ხნერი კაცი „გასაწვრთნელად“ უვარგისია. ფუქია ამ მხრით გაწეული ყოველი შრომა:

ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი დაიგრხების წნელადა,
 ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა;
 ვით ახალ-მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
 ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა—ოსტატს გასაწვრთნელადა.

მართალია, „სწავლის ძირი მწარე არის“, მაგრამ „კენწე-როში გატკბილდების“. ამიტომაც მოზარდს იმთავითვე მოეთხოვება შრომა, ბეჯითი გარჯა, ძლიერი ნებისყოფა... ისე როგორც „რკინა ცეცხლში გარბილდების“, „ყრმა სწავლაში მომშვიდდების“. ბავშვობის ძვირფასი და განუშეორებელი დრო დაუზარებლად უნდა მოხმარდეს სწავლას, თორემ შემდეგ გვიან იქნება თითზე კბენანი: „უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების“. უსწავლელი ყმაწვილი თავისთვის ხომ დაღუპულია, მშობელთათვის შემარცხენია, „გვართა და ნათესავეების“ გამწბილებელია, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მავნეა. სწავლა აკეთილშობილებს და აფაქიზებს მოსწავლეს, ამხნე-ვებს და აძლიერებს საზოგადოებას, უკეთეს მერმისს უქმნის ქვეყანას. სწავლა ქვეყნის კეთილდღეობის საძირკველია, ერის აღორძინების საწინდარია, ადამიანური, სალი ცხოვრების წყაროა. სწავლა ძნელი, საკირო, მაგრამ საბედნიერო გზაა მშვენიერი მყობადისათვის. ასეთია გურამიშვილის პოზიტიური აზრი. ღრმად დარწმუნებული თავისი იდეების სასარგებლო მიზნებში, პოეტი შთაგონების საუკეთესო ხერხად მიიჩნევს, როგორც ცნობილია, თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებით დაგმობილ ფიზიკური ზემოქმედების მეთოდს:

ნუ გენაღვლები სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი, მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლურების ტკივილი.

სხვათა შორის, ის გარემოება, რომ დავით გურამიშვილი ასეთი დაბეჯითებითი მოწოდებით მიმართავს სწორედ ახალთაობას, იმის მაჩვენებელია, რომ პოეტს მართლაც დაკარგული ჰქონდა თავის თანამოდმეთა და თანამებრძოლთა რწმენა, იმათ გამოსწორებაზე აღარც ფიქრობდა.

13

დავით გურამიშვილი მიჰყვება ვახტანგისა და მამუკა ბარათაშვილის გზას „საღვთო მიჯნურობის“ თაობაზე. „ქაშნიკში“¹ ერთგან იკითხება: „მაშ, მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს, თუ სა[ა]შიყო ლექსი უნდა, ღვთის სა[ა]შიყო, ეკლესიისა [და] წმინდათა [ამბავი გალექსოს]“. ამ აზრს იზიარებს გურამიშვილი.

„დავითიანისთვის“ არაა იშვიათი წრფელი და ფაქიზი სიყვარულის გრძნობით აქლერებული სტრიქონები, თუ მთელი ლექსები. პოეტი თითქოს შეუპყრია და გაუხელებია კიდევ მხურვალე ეროტიკულ გზნებას:

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა.

პოეტი სასოებით თხოვს გამჩენს: „ვით წესია, საყვარლისა ტრფიალს შემაყვარე“ო. გურამიშვილის მიხედვით, მიჯნურობა არის ორგვარი: 1. ამქვეყნიური და ხიორციელი (ქვენა, წუთიერი და საძრახისი), 2. იმქვეყნიური და სულიერი (ზენა, ღვთიური, მკვიდრი). რაღაც ყრუ, უჩინარი ხმა პოეტს ამგვარად ურჩევს:

ორი გივის სატრფიალო, ორივ გასინჯეო,
რომელიც ჩნდეს უფრო მკვიდრად, მას ებლაუჯეო.

მაგრამ დავითის განწყობილება იმთავითვე გარკვეულია. უფრო მკვეთრი შინაგანი ხმა აქეზებს პოეტს:

აღე, აღე, არ დასზარდე, რაც დაგპატიჯეო,
აღე პირი ღვთის საქებრად, ნუ გაიმუნჯეო,

¹ საქართველოს მღზეუმის ხელნაწერთა ფონდი, S1550, გვ. 5.

ნუ აკმუნვებ მკვიდრს მიჯნურსა, წუთი დაღ-
რიჯეო,
თუ სულით გასურს განსვენება, ხორცი გასარჯეო.

სხვაგან გურამიშვილი ცხადლივ აშიშვლებს საღეთო ტრფია-
ლის განცდებს:

ამად გადიდებ, მავნეს მარიდებ,
ხარ ჩემი მყვარი¹, მრწამს შენი ჯვარი სარწმუნოვებით!
ამად გიგალობ, მე შენა მწყალობ,
ჩვენთვის ჯვარცმულო, საყვარლად თქმულო. აწ შე-
მიყვარე!

ტკბილო იესო, მხამს განვილესო
წამლად სასმელად, წყლურზე სასმელად, მე სისხლი შენი.

საყურადღებოა, რომ დამოწმებული ლექსი შეთხზულია რუ-
სული ხალხური მოტივის ხმაზე („ჩტო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუ-
ჩინა“). ხალხური ლექსის საერო მოტივი დავით გურამიშვილს და-
უგმია და უქუუგდია, გაცხარებით შენიშნავს კიდევ:

„არანანინას“, „თარანანინას“
ესე სჯობია, ღვთის სამკობია, ალილუია!

ხალხური ლექსებიდან გურამიშვილი სისტემატურად და შეგ-
ნებულად დვენის საერო შინაარსს, საეროს სანაცვლოდ შეაქვს სა-
სულიერო შინაარსი. უცვლელად ტოვებს ლექსის მხოლოდ სუბუქ
ფორმას (საზომს) და სასიმღერო მოტივს. ამდენადვე გურამიშვილის
ლექსი ხალხურიცაა და სარწმუნოებრივ-სულისმარგებლობითიც.

გურამიშვილის პირველი ტყვეობის ეპიზოდში ჭარბია საღეთო
მისტიკური მიჯნურობის განწყობილებით აღბეჭდილი სტრიქონები.
ერთგან დავითი ამბობს:

სჯობს ვეტრფიალო მზეთ ა-მზეს,
მზისათვინ თავი ვახელო,
ნათლისა გავხდე მიჯნური...

და ჩქარობს იქვე განმარტოს ამ ალეგორიის შინაარსი:

¹ ე. ი. საყვარელი, მიჯნური.

ისმენე, ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა:
 ძეს ღმერთს კაცებათ მზედ ესახავ, სახით მზეს თინათინადა,
 ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ესახ თქჲად სასმინადა.

პოეტს ეშინია, რომ პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოს მკითხველმა მისი სიტყვება: „ეს წიგნი წმინდად სახმარი არა-ვინ გამიჩირქოსა“ო.

გურამიშვილის სამიჯნურო პოეზიისათვის დიდად დამახასიათებელია ერთი პატარა, მაგრამ შესანიშნავი ფაბულური ლექსი „ზუბოვკა“ (რომელ არს რუსულად ამისი ხმა: „კაზაკ, დუშა პრაე-დივია“). ლექსი იწყება დამაინტერესებელი შემთხვეულობის აწერით:

ზუბოვკი დამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
 მეტად ტურფა, შვენიერი. მაზედ დამრჩა თვალი...

პოეტი დაატყვევა და მოაჯადოვა ამ ლამაზმა ქალმა. პოეტი გამიჯნურდა, გახელდა. თხოვს შეწყალებას და თანაგრძნობას. უცხო ლამაზი ქალი აღმოჩნდა ჯიუტი, ცივი და მკაცრი. პოეტის მხურვალე გრძნობებს არ თანაუგრძნო, მკვახე და უდიერი პასუხი გასცა:

ესე მითხრა: ჩამომეხსენ, გამეცალე, მარი.
 არ მინდინხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი,—
 შენგან თვალად უკეთესი, ვაჟიკაცი, ქმარი.

პოეტს გული შეღონებია და იქვე ჩაკეცილა. მაშინ კი მოლ-მობიერებულა იმ ქალის გული, შებრალებია თვისი მიჯნური, ახლოს მისულა, თავს დადგომია „ვითა ნათლის სვეტი“, ალერსი არ დაუშურაეს, დაუყოვია, გაუღიმი, იმედის შუქი მიუფენია, აღუთქვამს კვლავად შეხვედრა და გრძნობიერად განშორებია. პოეტს სიცოცხლე მიმატებია, სანდომიან ყრჲოლას შეუპყრია, მოქაველი შეხვედრით დამედებული სიხარულით ცას მისწვდენია, კიდევე უფრო გამბჲრეველებულა მისი ისედაც მხურვალე გული. პათეტიურად ამბობს პოეტი:

აჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა...

მაგრამ ეს მგზნებარე განცდა ერთბაშად და მოულოდნელად შენელებულია გულახდილობის წყალით. თურმე ნუ იტყვით, პოეტის

სატრფო რეალური არსება როდი ყოფილა, ან საერთოდ ქალი, არამედ ქრისტე, ჯვარცმული ქრისტე, ვნებული და წამებული სიყვარულისთვის:

ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელ-შეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა-ო.

ეს მშვენიერი ლექსი იხურება მისტიური საყვარლისადმი ასევე მისტიური ვედრებით:

აწ, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?

ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა...

ამრიგად, გურამიშვილის პოეზიის სატრფიალო მოტივი ალღეგორიულ-მისტიკური და სიმბოლიური ბუნებისაა. რეალური მხატვრული სახეების ასპექტში პოეტი ემიჯნურება და მხურვალე გრძნობიერ ჰიმნებს უგალობს ღმერთს, იესო ქრისტეს, ღვთისმშობელს, წმინდანებს. გურამიშვილი ცდილობს აქაც გადაახალისოს, გარდაქმნას, გარდაანივთოს ქართული პოეზიის უძველესი და უპოპულარესი ბუნებითი სამიჯნურო მოტივი. გურამიშვილი ჩვეულებრივად აქაც იმარჯვებს თავის მკვეთრ პოეტურ ალღოს. ნათელი გონების და მხატვრული სიტყვის მოქნილი საკურეველის წყალობით დავითი ახერხებს მკითხველის დაინტერესებას, გატაცებას, მიზიდვას, ერთი სიტყვით, მკითხველის მთელი ყურადღების შეპყრობას. ბოლოს კი მოულოდნელი თემატიკური გაშიშვლებით მისტიციზმის წვეთებს ასხურებს მკითხველის გულში. გურამიშვილი დიდი ოსტატი დადგა ამ ახალი პოეტიკური სტრატეგიისა.

დავით გურამიშვილი იწონებს ერთგვარ ბუნებითს სიყვარულს, amor naturalis-ს, ანუ „სუჟულიერ“, ქორწინებით განმტკიცებულ ცოლ-ქმრობას, ცოლ-ქმრულ სიყვარულს. „ნდობა ცოლ-ქმრობის სურვილით“ ისევე ბუნებრივია, როგორც „საკმეღ-სასმელით რჩენა“ო, — ამბობს პოეტი.

საცოლ-ქმრო მიჯნურობის თემაზეა აგებული „დავითიანის“ ერთი დიდად საყურადღებო, აგრეთვე ფაბულური ლექსი-სიმღერა („რომელ არს რუსულად ამისი ხმა: ულეტელა ზაზულნიკო ჩერეს ღუბინუ“) და რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „ვარდ-

ბულბულიანი“. ¹ ვარდ-ბულბულიანური სიყვარულის ბუნებაზე საუბარია თეიმურაზ პირველის შემოქმედების მიმოხილვაში. აქ განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულ-აღმოსავლური წარმოშობის „ვარდ-ბულბულიანი“ ალეგორიულ—მისტიკური (სუფიური), ან სიმბოლიკური სიყვარულის აპოლოგიაა. თვითონ სიყვარული გაგებულია როგორც უძლიერესი გზნება, ყინმოუქლავი და მიუწვდომელი ლტოლვა, მულმივი ტანჯვისა და კაეშნის წყარო. ეს ძირითადი მოტივი სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ პირობათა წყალობით, ღებულობდა სხვადასხვა სახეს. ქართული „ვარდ-ბულბულიანის“ პირველ მოქმელია თეიმურაზ პირველი. შემდეგში ეს თემა ვითარდებოდა თეიმურაზის ნაანდერძევი ხაზით. სიახლე და თავისებური გააზრება მოგვცა მხოლოდ დავით გურამი-შვილმა. დავითმა თემა გაშალა საცოლ-ქმრო სიყვარულის ფონზე.

ბულბულს ვარდი შეჰყვარებია (ცოლად შერთვა განუზრახავს). ვარდმა უღალატა საქმროს (ბულბულს), „იყვარა ყვავი“. ბულბულიც შემოსწყრა, ძველი სიყვარული გულში ჩაიხშო და „ასკილზედა დაიბუდა“. შეურაცხყოფილ თავმომწონე ვარდს აკვირვებს ბულბულის ქცევას, ვარდმა უთხრა: „მე, ბულბულო, აკი გიყვარდი, რატომ აგრე განმეშორე?“ ბულბული აყვედრის უგულობას, პირფერობას—და ლალატს, დაბოლოს დასძენს:

მე გაქმევდი, მე გასმევდი, მე გაცქევდი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა სხვისგან მონატანთ...

ამისთვისო, ასკენის ბულბული, „შენს საცოლ-ქრძოდ მე სურვილი მაქვს დაკარგული“ო და განშორდება. ნაზი ლირიკული აკუნესებით ურთავს თვითონ პოეტი:

ფუ, შენ, ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი,
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს, არს რა საფერი?!

ახალია ამ ლექსის იდეურობაც, თემატიკური მოტივირებაც, სუბეტური კონსტრუქციაც და სავერსიფიკაციო „ხმინერებაც“. ჩვეულებრივი გაგებით, ბულბული მარადიულად ერთგული რჩება სატრფოსი, თუმცა ტრფობა ვითარდება ცალმხრივად, ბულბულის ალტყინებულ გრძნობებს ვარდი ცივად უზღვდება. ამიტომაც ბულბული-

¹ დავითიანი, 1931, გვ. 180.

მუდამ მკენესავია, ნაღვლიანი კილოს მგალობელია. ასეთი სახე ზერჩა ბულბულს მთელ ქართულ პოეზიაში. გურამიშვილის ბულბული კი ეგუება ვარდის განშორებას, ახალ „სატრფოსაც“ იძენს. მართალია, ეს ახალი „სატრფო“ გარეგნულად საკმაოდ უმგვანია და შეუფერებელი, მაგრამ ზნეობრივად სუფთაა, მისანდო საცოლვა და კარგი, ერთგული მეოჯახე გახდება. ამრიგად, ბულბული თავის ბედს კი ურიგდება, მაგრამ მთლად მაინც ვერ ამოიხოცა თავისი გულის ჟანგი. ის ეუბნება ვარდს:

მე ესე მკლავს, მით ლახვარი გულს გამიყარე,
ჩემგან თვალად უვარესი შენ შეიყვარე-ო.

გურამიშვილი აღშფოთებულია წუთისოფლის წესებით. მას დიდ უსამართლობად მიაჩნია ვარდისა და ყვავის ტრფიალი, ბულბულის ასკილთან ყოფნა. მაგრამ ვერც იმას ურიგდება, რომ გონიერი ბულბული ხორციელ გრძნობებს დაუმორჩილოს, ბრმა ქინის მონა გახადოს, პირფერ და ორგულ ვარდს მიაჯაკვოს. გურამიშვილის აზრით, ვარდის სილამაზე უკვე შეიცავს საშინელ საცთურს, სილამაზე და ზნეობრიობა აეტორს შეუთავსებელ მოვლენად მიაჩნია (ამაში ბრალს სდებს წუთისოფელს). მისთვის კი მთავარია, რა თქმა უნდა, ზნეობრივი მხარე. ამიტომაც პოეტისათვის უფრო მისაღებია ბულბულისა და ასკილის ზნეობრივ საფუძვლებზე აგებული კავშირი, ვიდრე ბულბულისა და ვარდის უზნეო სატრფილო ურთიერთობა..

საცოლ-ქმრო სიყვარულის პრობლემა უფრო მკაფიოდაა დასმული და გადაწყვეტილი გურამიშვილის ერთერთ ყველაზე უფრო გვიანდელ და შესანიშნავ ნაწარმოებში— „ქაცვია მწყემსში“.

14

„ქაცვია მწყემსს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით გურამიშვილის პოეზიაში. სათაური შერქმეულია. თვითონ ავტორი პოემას უწოდებს „მზიარულ ზაფხულს“ („რუსულად ამის ხმის სიმღერას ეწოდების ვესელა ვესნა“). პოემა რომანიული შინაარსისაა. შინაარსის საფუძველია მტკიცე, ორგანიზებული, ჯანმრთელი და ზნეობითი ოჯახური სიყვარულის („სჯულიერი“ სიყვარულის) იდეა. ზნეობიანი და წესიერი სქესობრივი ლტოლვა პოეტს მიაჩნია ბუნებრივ და უაუგო გრძნობად. ოღონდ წესიერება გარკვეულ ფორმალურ (პოეტისათვის არსებითს) ზღუდეს გულისხმობს.

„ქაცვია მწყემსი“ შინაარსეულად ორი ეპიზოდური ამბისაგან შედგება. პირველი ეპიზოდური ამბის სიყვარული დაგვირგვინებულია „სჯულიერი“ შეუღლებით, მეორე ამბავი ასევე „სჯულიერი“ ქორწინების მოლოდინშია შეწყვეტილი.

მკაცრ და ცივ ზამთარს ჰოპყვა გაზაფხული. ბუნების ცხოველ-მყოფელმა ძალებმა დაამარცხა ზამთარის სუსხიანი ქარბუქი. ამწვანდა და აყვავდა მდელო. ტყე და ველი მოიცვა ფრინველების მხიარულმა ყივილ-ხივილმა, ნადირმა დასტოვა ზამთარის ბუნაგი, საქონელი მოედვა მინდორს და ველებს. განახლებულა ბუნების შეილებს. ბუნებრივი გრძნობებიც აუჩქაროლდათ: „მგზავსად-მგზავსადმან იპოვა ტოლი, ყველამ დანერბა თავისი ცოლი. გამოვიდა დოლი, გაიზარდა-მოლი, ხეთა ფოთოლი“. ბუნების საერთო ხმას აპყენენ ადამიანები. უწინარესად ყოვლისა, ბუნების ნამდვილი შეილები, თვითონ ბუნების წილნი—მწყემსები, გლეხები, მიწის მუშები:

მხიარულს ზაფხულს მოყავს ყვავილი,
 მოწყენილს ზამთარს თან გაყვა თრთვილი.
 აწ მწყემსნი ხარობენ,
 ვინ-ვისა ყვარობენ,
 პირობას სდებენ.

აიყარნენ მწყემსები, დასტოვეს საზამთრო სადგომი, მიაშურეს. ქალებს, ველებს, მთებს, ტყეებს. სიხარულით, ყიჟინით, ვნებით შეუერთდნენ ბუნების საერთო ზეიმს. მწყემსი ქალები და მწყემსი ვაჟები ერთად სთელავენ ნამიან ბალახს, ერთად მიდიან იალაღებზე, ერთად ღრეობენ. მწყემსი ქალები და მწყემსი ვაჟები ერთნაირად ჰმონებენ გრძნობებს. ვნებათა ღელვას, სქესობრივ ლტოლვას. ქაცვია მწყემსიც შეიპყრო მხურვალე ვნებამ. ბუნების ჯანმრთელი შეილი, შრომის მოყვარე, გამრჯელი, მხნე, გრძნობიერი ბუნებისავე ლამაზ წიაღში პოულობს მშვენიერ ასულს, მასავით გამრჯელს და გრძნობიერ ტურფა მწყემსის ქალს. ქალ-ვაჟი ერთმანეთს შეიყვარებს, შეიყვარებს ბუნებრივი, ძლიერი, მხურვალე მწყემსური სიყვარულით. ორივეს მორივა ნდომის სურვილმა. „შჯულთ უწესურად“ გაიპრენ, ქალად... მაგრამ ბუნებამ იუკადრისა ქალ-ვაჟის ფარული ნდომა. მთელი ბუნება ფეხზე დადგა და დაუძლეველ ზღუდედ გადაეღობა ქალ-ვაჟის წადილს. ჩხიკვი, შაშვი, ეკალი, ქაცვი, ხის მკრელი კაცი—ყველა ამხედრდა მათ წინააღმდეგ. ქალ-ვაჟმა ჟინი ველარ მოიკლა, ვიდრე კანონიერი, „სჯულიერი“ ქორწინებით არ განამტკიცეს თვისი ტრფიალი.

საყურადღებოა, რომ პირველი ეპიზოდური ამბით ქალი აქტიურია, ხოლო ვაჟი თავშეკავებული (ეს ვაჟი ქაცვიას შვილია, გოგოს უამბობს მამის თავგადასავალს). მეორე ეპიზოდური ამბით, პირიქით, ვაჟია გახელდებული, ქალი კი ღვთის მშობავია და დროულ დათმენას არჩევს. საგულისხმო გარემოებაა. ავტორის აზრით, ასაკში მოსულ გოგო-ბიჭს თანაბრად ახასიათებს ქარბი გრძნობიერება, სქესობრივი ლტოლვა. მაგრამ გრძნობიერების მოხეტიალი ნიაღვარი ზნეობრიობის კალაპოტში უნდა მოექცეს, მორალურმა საწყისმა უნდა დააცხროს ახალგაზრდული ვნებათა ღელვა, ბუნებრივ სტიქიონს უნდა გადაეღობოს გონიერების ზღუდე. თორემ ადამიანი პირუტყვს დაემსგავსებაო. ზნეობრიობა და გონიერება გოგოსაც შესწევს და ბიჭსაც. პოეტი სწორედ ზნეობრიობას და გონიერებას ანიჭებს პრიმატს, თუმცა—როგორც სინამდვილის ამსახავი ხელოვანი—ის საუცხოოდ ხატავს გრძნობიერების სტიქიურ ძალას, შეუფერავად და უტენდენციოდ ხაზავს მწყემსი ქალ-ვაჟის თავისთავად უმწიკვლო, წრფელი სიყვარულის სწორედ ბუნებრივს, ხორციელ მხარეს, რომლითაც სრულიად გამორიცხულია გარყვნილების ყოველგვარი ნატამალი ქალ-ვაჟთა ლტოლვას ავტორი უკავშირებს ბუნების განახლებას, მზის მობრუნებას დედამიწისკენ. მაგრამ გურამიშვილი მორალისტია, დიდაქტიკოსია. ის ქალ-ვაჟს ასწავლის, რომ გონიერებას დაუმორჩილონ გრძნობიერება, დრომდე არ აპყვენენდომის ხარბ წადილს, ქალწულებრივი სიწმინდით წარდგნენ სამეუღლეო სარეცელზე. გურამიშვილისათვის ესაა მთავარი. პოეტი აიდვალებს ერთგულ, მოყვარულ, ზნესრულ ქალ-ვაჟთა მტკიცე ოჯახურ ცხოვრებას. პოეტისათვის საოცნებოა იდილიური და სალი ოჯახი, სათავე ჯანმრთელი შთამომავლობისა. ამიტომ გადაქარბებული იქნებოდა გურამიშვილის მიჩნევა ამ შეძთხვევაში ბერული ასკეტიზმის მქადაგებელად.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ქაცვია მწყემსისათვის“ მეორე მხარე. როგორც აღნიშნული გვაქვს, ესაა წარმტაცი ბუკოლიკური პოემა. პოემის მთავარი მოქმედი პირები გლეხები და მწყემსებია. მეორე ეპიზოდური ამბავი ასე იწყება:

იყვნენ ერთ დაბას მოსახლე ორნი,
გლეხნი, სიმდიდრით, საქონლით სწორნი...

ესენია ქაცვიას და იმისი ცოლის მშობლები. მათი ზნეობრივ-გონებრივი ღირსების შესახებ პოეტი საგანგებოდ და ხაზგასმით ამბობს:

ორ [5] ივე ქვეიანნი, მართალი, ღვთიანი კაცი
კეთილნი.

ავტორისათვის არც კი არსებობს ამაზე უკეთესი ადამიანური ღირსებები. ზნეობრიობის ყველა დადებითი თვისებებით ყოფილან ეს გლეხები დაჯილდოებული. ესაა საგულისხმოდ. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა როლს აკუთვნებს გურამიშვილი ზნეობას საერთოდ, რომ პოეტს ზნეობა მიაჩნია კაცობრიობის წინსვლის ქვაკუთხედად. გურამიშვილის სევდა-ნალღელი განსაზღვრა გაბატონებული ქართველი საზოგადოებრიობის ზნეობრივმა უკეთურებამ; ამ უკეთურებამ დალუპა ქვეყანა, ამ უკეთურებამ მიიყვანა გურამიშვილი კატასტროფამდის. და აი ღრმად მოხუცი, რწმენა შერყეული სკეპტიკოსი პოეტი ერთხელ კიდევ უბრუნდება თავის საკირბოროტო კარდინალურ კითხვას, ზნეობის კითხვას. და რუბიკონიც გადალახულია, „ვერიკა!“ თავისი საზოგადოებრივი კლასის გადაღმა, გლეხებისა და მწყემსების ყოფა-ცხოვრებაში პოეტი გურამიშვილმა ზნეობრივი სრულყოფის იდეალი. თურმე, გლეხების წრეში დაუბუღებია სიმართლეს, სიკეთეს, სჯულიერებას და გონიერებას. გურამიშვილმა ეს დაინახა და აღიარა. სამწუხაროდ, ამაზე შორს ის არ წასულა. რა თქმა უნდა, გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, თითქოს გურამიშვილმა გაძალახა თავისი სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისი და გლეხური იდეოლოგიის წარმომადგენელი გახდა. არა. გურამიშვილი ბოლომდე დარჩა ჰუმანიური პატრონ-ყმური სოციალური ინსტიტუტის ერთგული მომხრე. ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ „ქაცვია მწყემსის“ გლეხებსაც კი მიაწერა მათთვის სრულიად შეუფერებელი ვარემოებანი. მაგალითად, ასე არიგებს თავის ახალგაზრდა შვილს მოხუცი მამა:

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო...

აქ ჩანს გურამიშვილის ჰუმანიურობა, ის კაცთმოყვარეობის შოსარჩლეა პატრონ-ყმურ ურთიერთობაში. ის დამგმობია რბევა-აწიოკებისა, ურთიერთობის უმსგავსო ფორმებისა და არა თვითონ სოციალური სისტემისა. ეს ერთი. ხოლო მეორე ისაა, რომ გლეხი გლეხს უქადაგებს: „ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო“. ამ გლეხს უკვე წარხოცილი აქვს გლეხური სახე. ასეთი სიტყვები შეშვენოდა რომელიმე ლიბერალ ბატონს და არავეითარ შემთხვევაში გლეხს.

მაგრამ როგორათაც უნდა იყოს, კვლავ ვიმეორებთ, ზნეობრივი სიწმინდე გურამიშვილმა მაინც გლახებში პოვა. სიყვარულით და მხატვრული სიცხოველით აგვისახა გლახურ-მწყემსური ყოფაცხოვრების უალრესად მიმზიდველი მხარეები. გურამიშვილამდის ქართული მწერლობა თაკილობდა დაბალი სოციალური ფენების ცხოვრების აწერას. თუ აქა-იქ ეს ტრადიცია დარღვეულია, მაინც არ შეიძლება ლაპარაკი ამ ფენის ასახვაზე თანაგრძნობით და სიყვარულით. ძველი ქართული სამიჯნურო და საგმირო პოეზია ჩვეული იყო ზღაპრულ ფანტასმაგორიას, უცხოური ქვეყნების ეგზოტიკას, ზე-ბუნებრივ განცდებს და ა. შ. გურამიშვილმა დაარღვია ეს ტრადიცია, მან პოეზიაში შეიყვანა ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები, გლახები; აამეტყველა ისინი ჩვეულებრივ სასაუბრო ენაზე; გადმოსცა მათი ჩვეულებრივი, ბუნებრივი განცდები; მოქმედება გაშალა ჩვეულებრივ, ბუნებრივ გეოგრაფიულ სივრცეში. როცა კითხულობთ „ქაცვია მწყემს“, თვალწინ წარმოგიდგებათ ქართლ-კახეთის ფართო კალები, მთიულეთის ხეები, მთები, ტყეები. აქაური გარემო არაფრით წააგავს შაბლონად ქცეულ სავარდებს, წალკოტებს და მულღაზანზარებს. ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის უცხო ხრიოკი უდაბნოებისა და ჩოლების ნაცვლად პოეტმა ასახა ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნება, წარმტაცი პეიზაჟები, მწვანით შემოსილი, ტყეებით დაბურვილი, ნაკადულებით დასერილი მიდამოები (პოემაში გვხვდება უკრაინის ბუნების დამახასიათებელი ელემენტებიც). არცერთ ზღაპრულ შემთხვევას არ აქვს პოემაში ადგილი. გურამიშვილი რეალისტური თვალსაზრისით ასახავს მწყემსურ ცხოვრებას. ამ მხრით ის წინამორბედი ალექსანდრე ყაზბეგისა-ხალხის და ქვეყნის ღრმა სიყვარულით გამთბარმა გურამიშვილის პოეზიამ მოხიბლა ახალი ქართული პოეზიის ისეთი ბრწყინვალე, ვარსკვლავი, როგორიც იყო ვაჟა-ფშაველა. ვაჟა წერს „დავით გურამიშვილის ხსოვნად“:

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!

შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძობების ფაფაო.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ვერავეთარ შემთხვევაში ვერაგავიზიარებთ პატივცემული პროფესორის კოტნ. კეკელიძის ულ-

მობელ განაჩენს დავით გურამიშვილის პოეზიის მიმართ: „არც ერთი ახალი აზრი, არც ერთი ახალი მოტივი, არც ერთი ახალი გრძნობა, რომელთაც სხვების ნაწერებში არ ჰქონდეთ ადგილი, დავითს არ მოეპოვება“¹.

„ქაცვია მწყემსის“ ერთ სპეციალურ კარში დავით გურამიშვილი ამკლავნებს თავის დამოკიდებულებას დედაკაცისადმი, ეს კარია: „მამისაგან რჩევა და ჩვენება, თუ როგორი ცოლი შეერთოს“². გულახდილად უნდა ითქვას, რომ დავითის თვალსაზრისი ამ შემთხვევაში საკმაოდ ვიწროა. პოეტი დედაკაცს აკისრებს ოჯახის მეურნისა, მეუღლისა და დედის როლს. დედაკაცი უნდა იყოს ოჯახის მეთაურის, ქმრის ერთგული მონა-მორჩილი:

ისო ზირაქში ბრძენმან დასწერა:
დედაკაცისა პყრობა და ქერა;
კარ-გვარად ქადაგებს, აქებს და აძაგებს
ისუ დედაკაცთ.

ოღონდ ეს კია, რომ გურამიშვილს მხედველობაში ჰყავს საერთოდ ბოროტი დედაკაცი.

მეუღლეობრივ-დედობრივი ვალდებულების შესრულება—დავითის აზრით—უკეთ შეუძლია გარეგნულ მიმზიდველობას მოკლებულს, მაგრამ ზნეობით ფაქიზ ქალს. მამა ასე არიგებს შვილს: „ქალს ნუ უარყოფთ თვალად ნასობით, თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით; ოღონც ფხიზლად ვლიდეს. ქმარს არ სხვაზედ სცვლიდეს, არ იყოს ანჩხლი. ამგვარი ცოლი არ გიორგულებს, გაუფრთხილდების შენს ბალში რგულებს“ და სხვ. სამაგიეროდ, ბოროტი დედაკაცი ოჯახის დამქცევია, ქმრის შემრცხვენია, შვილების მტერია. ბოროტებისა და საცთურის სათავე თითქოს მარხია გარეგნულ სილამაზეში: „ნუ გასურს ლამაზი, პირ სირინოზი... ბევრი ყავს მას მტერი, მღევნელი და მჭერი, მახის დამრწყმელი. ნუ გასურს ქალთა ქრმობა შავ თვალ-წარბისა, რომლისაც გული სხვასთან წარბისა“ და სხვ. გურამიშვილი აძაგებს გაიძვერა მაცთურ დედაკაცს, ანჩხლს, კაპასს, ცბიერს. აქებ-ადიდებს გამრჯელ, მოსიყვარულე და ერთგულ მეუღლეს. ერთი სიტყვით, პოეტი აქაც მალლა აყენებს და აიდელალებს ზნეობრივ მხარეს.

¹ ქართული ლიტ. ისტორია, II, 471, დაყოფა ჩვენია.

² დავითიანი, 1931, გვ. 256—263.

გურამიშვილის შემოქმედება გაპოზიერებულა ხალხური სიბრძნის და ხალხური სიტყვის სასუქით. გურამიშვილი კარგად იცნობდა თავისი ხალხის ცხოვრებას და მის სულიერ საგანძურს, კერძოდ, პოეზიას. ალბათ, ჯერ კიდევ აღმზრდელი ძიძის ღარიბ ქოხმანში ესმოდა მომავალ პოეტს ქართული ხალხური სიმღერის წარმოქმნის პანგი. იმავე ქოხმანში ეცნობოდა გურამიშვილი ხალხურ მეტყველებას, მდაბიო, სასაუბრო კილოს, ხალხურ თქმას, ხალხურ მახვილგონიერებას. შემდეგში გურამიშვილი აღრმავებდა და აფართოვებდა ამ თავის ცოდნას. ის ღრმად დაეწაფა რუსულ-უკრაინული ხალხური პოეზიის შარბათსაც. გურამიშვილმა ხალხი გაიხადა შთამგონებელ ძალად და მასწავლებლად. გურამიშვილმა ფართოდ შეაღო ქართული პოეზიის კარები და ამ კარებში ხალხური წყარო მიუშვა, ხალხიდან ჰკრებდა პოეტი სიტყვიერ მარაგს, ნაწილობრივად სუჟეტს, უპირატესად კი ჰანგებს. ხალხიდან სწავლობდა გამოთქმის სისუბუქეს, მოქნილობას, ლაკონიურობას. მაგრამ პოეტი არაოდეს არ დამონებია თავის მასალას, არამედ იგი მაღალი შემოქმედებითი ნიჭით გარდაუქმნია, დასრულებული, მაღალ მხატვრული ლიტერატურული სახე მიუცია. გურამიშვილმაც გაბედულად დაარღვია ძველი მწიგნობრული სტილის ტრადიციები. „დავითიანში“ ველარ იპოვით მაღალფარდოვან, ენაწყლიან და ღვლარკნილ გამოთქმებს, მძიმე არქაულ სიტყვებს, ხელოვნურ ფორმებს, ვერც განზრახ შეტმანნილ რთულ მხატვრულ ფიგურალობას და ა. შ. მხატვრული უბრალოებაა გურამიშვილის საყრდენი შემოქმედებითი პრინციპი. გურამიშვილმა ხალხური სასაუბრო კილო, კერძოდ მოხვეური კილო დაამკვიდრა პოეზიაში. ამ მხრით მისი დამსახურება პოეზიის მიმართ ისეთივეა, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება მხატვრული პროზის მიმართ. სამწუხაროდ, გურამიშვილი უჩინარი რჩებოდა შორეულ უკრაინაში, როცა აქ, საქართველოში, ანტონ კათოლიკოსი და იმისი სკოლა სქოლასტიკური გრამატიკის, მეტყველების და ორთოგრაფიის წესებს აკანონებდა¹.

¹ ამით აიხსნება, რომ გურამიშვილი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა XVIII საუკუნის საქართველოში მოღვაწე პოეტებზე (ოლონდ მისი ნიმუშებით უხვად სარგებლობდნენ რუსეთში მოქცეული ქართული პოეზიის მოამაგენი). გურამიშვილის პოეზიას საქართველოში არცკი იცნობდნენ. საგულისხმოა, რომ „კალმასობის“ სპეციალურ ტრაქტატში გურამიშვილი არცკია ნახსენები, ხოლო „კალმასობა“ შეთხზულია XIX საუკუნის პირველ მესამედში, 1813—1828 წლებში (იხ. „კალმასობა“, ქ. ქველიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. II-II).

გურამიშვილმა გაამდიდრა ქართული პოეზია ვერსიფიკაციის ახალი ფორმებით. „ქირი ქართლისა“ და ზოგიერთი სხვა ნაწარმოები შეთხზულია რუსთველური შაირით, მაგრამ ლირიკული ლექსების დიდი უმრავლესობა ახალი საზომების მიხედვითაა გაწყობილი. ამ შემთხვევაშიაც ხალხი გამოდიოდა დავითის შთამგონებლად. დავითს უხვად უსარგებლია ხალხური სასიმღერო ლექსების მოტივებით და ჰანგებით. საგულისხმოა, რომ თვითონ დავითის თითქმის ყველა ლირიკული ლექსი განკუთვნილია სასიმღეროდ (როგორც ჩანს, ჩვენ პოეტს განსაკუთრებულად ხიბლავდა ხალხური პოეზიის სწორედ ეს სასიმღერო მხარე). იქნებ ამიტომაც, რომ დავითის ლირიკულ ლექსებში მუდმივ ძლიერია მუსიკალობა, მელოდიურობა. მელოდიურობა გურამიშვილის პოეზიის უაღრესად ნიშნეული და დამახასიათებელი მომენტია. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ მელოდიურობის მხრით გურამიშვილს ბადალი არ მოეპოება ძველ საქართველოში. გურამიშვილს გამოუყენებია ისეთი პოპულარული ხალხური სასიმღერო ჰანგი, როგორიცაა „პატარა ქალო თინაო“, „ეეო, მეო, ქალო, ქალთა მზეო“ და სხვ. მამუკა ბარათაშვილის მსგავსად, დავით გურამიშვილი ქართულთან ერთად იყენებდა რუსულ-უკრაინულ სასიმღერო მოტივებს („ჩტო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა“, „კაზაკ დუშა პრავდივაია“, „ჩუესთუიუ სკობი ლუტი ვსიაკაო მინუტი“ და სხვა მრავალი). საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივად დავითის მიერ ხალხიდან აღებული სასიმღერო ჰანგი თავისი ნაღვლიანი განწყობილებითაც სავსებით ეგუება პოეტის სულიერ ვითარებას. მაგრამ როცა ამ მხრით დამთხვევას არ აქვს ადგილი, მაშინ პოეტი თავისთვის სასურველი მიმართულებით ცვლის სიმღერის შინაარსობრივ მხარეს. მაგალითად, იმავე „პატარა ქალო თინაო“ს ჰანგით დავითს გაუწყვია რელიგიური შინაარსის ლექსი:

ვაქოთ, ვადიღოთ ვინაო?

—ღმერთი მალალთა შინაო,

ვინცა შეამკო ქვეყანა...

ასევე ითქმის „ეეო, მეო“ს შესახებაც:

ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,

რას მომიოხრობს საყვარელი, ყური დაუგდეო!

არავინა არს უფროსი, ღვთისგან უდიდესი.
 ღვთის სიტყვასა—კაცთა ძესა—სიტყვას მისმენდეს...

დავითის შემოღებულმა პოეტურმა საზომებმა შემდეგ (და თვით მის სიცოცხლეშიც) მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა საქართველოში¹.

ამჟამად მინდა ხაზი გაუსვა გურამიშვილის შემოქმედების ერთ თავისებურობას, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი და დაფასებული, თუმცა იმას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ აკად. ბროსემ და პ. უმიკაშვილმა. მე მხედველობაში მაქვს იუმორი და სატირა, ანუ პ. უმიკაშვილის სიტყვით: „მოსწრებული სიტყვა, მწარე დაცინვა, სასაცილოდ გამომხატველობა, ოხუნჯობა“². მართლაც, „ქაცვია მწყემსი“ სავსეა მოხდენილი კომიკური სცენებით. იშვიათად მახვილი იუმორისტული მანერითაა აწერილი ალაპის მოხერხებულად მოკორილი მთელი ეპიზოდი, ქორწილის ჩუმი სამზადისი, დედაკაცის ქირვეული ქცევა, ღვინით გაღეშილი ხუცის ცუნდრუკი და „მოყვრის“, ასე ვთქვათ, კეთილშობილური ოინბახობა. პოემის უცნაური სუეტური ხლართები, მოულოდნელობის პრინციპზე გაშლილი თხრობის დინამიკა, საოხუნჯო სიტუაციები გულწრფელსა და თავმუშუაებელ სიცილსაც იწვევს მკითხველში. ზოგიერთი პერსონაჟი კომიზმის ვირტუოზული ხერხითაა ასახული, მაგალითად, „მოყვარე“ თავისი ქირვეული, ცრუმორწმუნე ცოლით და ჭამა-სმის ტრფიალი ხუცესი... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ გურამიშვილი უთუოდ აქარბებს და ერთგვარი პორნოგრაფიული ელემენტიც შეაქვს პოემაში (თუმცა იქნებ ამ შენიშვნით ჩვენ სუბიექტურსა და თანამედროვე თვალსაზრისსაც ვამხელდეთ). „ქართლის ქირში“ გურამიშვილი ოხუნჯობით აღარ კმაყოფილდება და გესლიანი სარკაზმით ჰკილავს ქვეყნის ყველა მტერს, განსაკუთრებით კი გაიძვერა და გაუმადლარ ანაფორიან ფარისეველებს. ირონიული შხამი ერგო თვითონ ვახტანგსაც („მეფე იყო და ბრძანებდა“...). მწარე ირონია ძლიერ იგრძნობა გურამიშვილის ავტობიოგრაფიულ ამბებში.

„ქაცვია მწყემსი“ ამშვენებს ბუნების სურათების მხატვრული აწერილობა, მთა-გორიანი მიდამოს ლამაზი პეიზაჟები ასახულია

¹ იხ. ს. გორგაძე, ქართული ლექსი, თბ., 1936, განს., გვ. 32, 48, 61, 66-67, 84.

² დავით გურამიშვილი და იმის დავითიანი, XXIV.

შემოქმედების უზადო ძალით. გრანდიოზულ მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს ქარების ბრძოლა და ზამთარ-ზაფხულის კიდილი. ტრაგიული სიმძაფრის შინაგანი სილამაზით აუწერია გურამიშვილს საქართველოს ბრძოლებისა და ოხრების შეშაძრწუნებელი ამბავი. მხატვრული შედარებანი პოეზიის უმაღლეს მწვერვლებს აღწევს „დავითიანში“ თავისი კლასიკური უბრალოებით და სიძლიერით („მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“...). მხატვრული შედარების უბადლო ნიმუშად დარჩება დიდხანს ქართულ პოეზიაში „ქართლის კირის“ პირველი შემწარავი სურათი:

ქართლის კირსა ვერვინ მოსთელის, თუ არ ბრძენი, ენა-მწვეერი!
ი ფ ქ ლ ი ღ ვ ა რ ძ ლ ა დ გ ა რ დ ა ი ქ ც ა, ზ ე დ მ ო ბ რ უ ნ დ ა
ც ე ც ხ ლ ი ს კ ე ვ რ ი.

გურამიშვილს უყვარს უბრალო, მაგრამ გავრცელებული, მრავალ სახოვანი პოეტური შედარებანი:

ვით შამალი სხვის შამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დალალულნი ძალღმან ნახოს, პირი ჰკიდოს,
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

საერთოდ, შედარება გურამიშვილის პოეზიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი პოეტური ხერხია. შეტაფორებს პოეტი შედარებით ნაკლებ მიმართავს, მეტაფორიულობა არაა გურამიშვილის პოეზიის სტილური ნიშანი. ესეც საგულისხმოა. ამით გურამიშვილი თვალაჩინოდ გამოირჩევა აღმოსავლური ორიენტაციის ქართველი პოეტებიდან (მაგალითად, თეიმურაზიდან).

16

ცოტა რამ ლიტერატურული გავლენის შესახებაც. ჯერ კიდევ პ. უმიკაშვილმა სამართლიანად აღნიშნა მამუკა ბარათაშვილის გავლენა დავით გურამიშვილზე. უმიკაშვილი წერდა, რომ ბარათაშვილის „ქაშნიკში“ გამოთქმულ „აზრებს შეუბყრია და მტკიცედ შესდგომია“ დავითიო¹. სწორი მოსაზრებაა. გურამიშვილი დიდადა დავალებული „ქაშნიკით“. აქედან აულია პოეტს ღვთიური და ცოლ-

¹ დავით გურამიშვილი, XXI.

ქმრული სიყვარულის იდეა. რამდენადმე ბარათაშვილის ნიმუშების შთაგონებით მიუძარბავს გურამიშვილს რუსულ-უკრაინული ფოლკლორული მასალებისათვის. ყოველ შემთხვევაში, დღეს-დღეობით ცნობილი წყაროების მიხედვით, ქრონოლოგიურად ბარათაშვილის „ქაშნიკი“ უსწრებს გურამიშვილის უკრაინული პერიოდის ლექსებს. ჩვენ დრომდე მოღწეულია „ქაშნიკის“ ავტოგრაფული ტექსტი გადაწერილი მოსკოვის 1731 წელს¹. ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონია დავით გურამიშვილს, კიდევ მეტი, დავითს „ქაშნიკის“ ამ ცალში საკუთარი ხელით ჩაუწერია თავისი ლექსი „სავარგონია“².

დავით გურამიშვილს უსარგებლია თომა ბარათაშვილის „ხმითაც“ (საზომით, მეტრით). დავითი ერთგან სრულიად გულწრფელად აცხადებს³:

თომავე, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო,
წაიკითხე, შენ გასინჯე, კარგათ შეიტყუო,
რომელიც ხმა შენ შეგეწყუო, მეც ის შევაწყუო,
თუ რამ შენთვის მამეპაროს, შენთვის გარდიწყუო.
ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ შემირყუო!
უკაცრაოდ ნუ ვიქნები, ძმაო, ამაზეო,
რომ ეს სიტყვა შემოგკადრე, ვერ გითავაზეო:
შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა-მზეო,
ქვეყანაზედ არცად არის იმ სილამაზეო,
თუ ნახედე. იკადრებდი მთხვევნას ფეხებზეო.
ამოვარჩივე მე იფქლი, შენ შახვეტე ბზეო,
ჩემს თეთრს თულუნს არეინ გასცვლის შენს შავს არაბზეო!

აქედან ჩანს, რომ გურამიშვილს თავისი წიგნის ერთი ცალი მიუძღვნია ვილაც თომასთვის, რომელსაც დასცხებია პოეტურ საზომს („რომელიც ხმა შენ შეგეწყუო, მეც ის შევაწყუო“). შინაარსს დავითი თავისად მიიჩნევს და საოხუნჯო გამოჯავრებით ეპაექრება: „შენ ქალთა მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა-მზეო“. დავითი თავმომწონეობს თავისი ლექსის შინაარსეულ-იდეური უპირატესობით,

¹ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის წ. კ. კოლექცია, ხელნაწერი № 1550.

² ალ. ბარამიძე, დავითიანის ტექსტისათვის („დავითიანი“, 1931, გვ. 317—318).

³ „დავითიანი“, 1931, გვ. 98.

თავისას უწოდებს „იექს“ და „თეთრ თულუნს“, ხოლო მოძმისას „ბზესა“ და „შავს არაბს“. რა თქმა უნდა, გურამიშვილს სხედველობაში აქვს ლექსის ალეგორიულ-სიმბოლიური ხასიათი: თავის მზეთა-მზეში გულისხმობს ღმერთს, ხოლო თომას ქალთა-მზე რეალურ, მიწიერ ქალად მიაჩნია. მაინცადამაინც ჩვენთვის ამეამად საყურადღებოა ფორმალური მიბაძვის (მეტრის სესხების) თავისთავად საყურადღებო ფაქტი¹.

ეს თომა ყოფილა გვარად ბარათაშვილი. იმისი ერთ-სტროფოვანი ლექსი დაუცავს მამუკა ბარათაშვილის „ჯიშედიანის“ ხელნაწერს².

ბარათაშვილის თომასგან³ ისვენდათ ამა თქმულებსა,
რამთენიც დავყოთ ამ სოფელს, დღეს ვნახავთ ნაკენესულებსა;
რით დააწყნარებ საწუთროს, ან რით დაუხვევ გულებსა,
თითონ რაცა სწადს, იმას იქს, ჩვენ ამოგვართმევს სულებსა.

სამწუხაროდ, თომა ბარათაშვილის „ქალთა-მზეს“ ჩვენამდე არ მოუღწევია. არ მოუღწევია თომას არც სხვა რაიმე ნაწერს, გარდა დამოწმებული ჩანაწერისა.

პროფ. კ. ქეკელიძეს გამოჩვეული აქვს აარჩილის გავლენის საგულისხმო მომენტები⁴. ჩვენ დედასახელებდით აგრეთვე თეიმურაზ პირველს, სულხან-საბა ორბელიანს და ვახტანგს. თემცა დავით გურამიშვილი თეიმურაზისაგან პრინციპულად განსხვავებულ ლიტერატურულ პოზიციაზე დგას, მაგრამ ნაწილობრივი გავლენისაგან მაინც ვერ დაუღწევია თავი. თეიმურაზი ითვლება ქართულ პოეზიაში „მაჯამური“ ლექსის დამამკვიდრებლად და იმის სწორუპოვარ წარმონადგენლად. ძნელია და-

¹ საყურადღებოა დავითის სიტყვებიც: „ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ შეძირავო“. საქმე ისაა, რომ თომასადმი მიმართვა წინ უსწრებს დავითის აქროსტიხული „ლოცვა“ („ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოვიდა და ღმერთს პური სთხოვა“). აქროსტიხი იძლევა მთელ „მაჟაო ჩვენოს“, რასაც პოეტი უწოდებს „თავს“, „ტანად“ ნაგულისხმევია ლექსის შინაარსი. სხვათა შორის, როგორც ჩანს, სწორედ ამ „ლოცვის“ ხმას უნდა დაესხებოდეს დავითი თომას.

² საქართველოს მუსეუმის ხელნაწერთა ფონდის № 3905, გვ. 157.

³ პ. ინგოროცვას ერთ დაუბეჭდავ წერილში გარკვეული აქვს, რომ ეს თომა ყოფილა მამუკა ბარათაშვილის ძმა.

⁴ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 45²—463.

ასახელოთ XVII—XVIII საუკუნის ისეთი პოეტი, რომელსაც არ გაეღოს ხარკი მაჯამის (და თეიმურაზ პირველის) მიმართ. სანიმუშოდ აქ მოვიტანთ თითო პარალელურ სტროფს ორივე პოეტის თხზულებათაგან:

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა, თუ სიკვდილისა—გლახ—ლახვარი დამელია;
მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია,
აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ. რადგან დამე ღია.

(თეიმურაზი).

ნაღვლით დღენი შემიმოკლდა, აღარა მაქვს, დამელია,
ყველა მწარედ გარდამექცა, რაც რამ ტკბილად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაქმელად მზა არს ტურა და მელია,
აწ წამოვალ მეც თქვენთანა, სად ძმა მიცდი, და მელია.

(გურამიშვილი).

მნიშვნელოვანი გავლენა განუცდია გურამიშვილს ვახტანგისაგან¹.

დავით გურამიშვილის ცნობილი ლექსი „სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია“ ბევრად გეგავონებს „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციის ტექსტს:

ბრძენთაგან მრუდი სათქმელი, თქვი, თუ რა გასაგონია,
კაცურსა კაცსა ტყუილი არ შეენის, გამიგონია!²

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილი საოცრად გამოირჩევა გავლენის ათვისების ალლოთი³. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გავლენა პირობითია და უმნიშვნელო საბოლოო ანგარიშში. გავლენის ძალუმობის მიუხედავად დავით გურამიშვილი უბრწყინვალესი და უორიგინალესი პოეტია ძველი საქართველოსი.

¹ ამის შესახებ იხ. ქვევით, ვახტანგთან.

² ქილილა და დამანა, ილია კყონიას რედაქციით, თბ., 1886, გვ. 244 (შდრ. აგრ. გვ. 129 და 237).

³ აღსანიშნავია ზოგიერთი, შედარებით უმნიშვნელო, სწავლული მომენტები დავითის ორ თხზულებასა („სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და პკობა“) და ძველ რუსულ მწერლობაში ცნობილ ძველის „Прение живота и смерти“-ს შორის. შესაძლებელია ამ თემას დავითი გასცნობოდა ხალხური პოეზიის საშუალებითაც. როგორც ვიცი, „გაბაასება სოფლისა და კაცისა“ შეუთხზავს არჩილსაც.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება ორი საკითხი: 1. გურამიშვილის ადგილი ქართულ პოეზიაში და 2. გურამიშვილის გავლენა ქართულ მწერლობაზე. პირველ საკითხზე უახლესმა კრიტიკამ გურამიშვილის დიდი მოყვარულის კ. გამსახურდიას სახით შემდეგი, ჩვენი აზრით, არსებითად სრულიად მცდარი, დებულება წამოაყენა: „დავით გურამიშვილი ისევე „ციდან ჩამოვარდნილია“ ქართულ სინამდვილეში, როგორც გოეტეზე იტყოდნენ ხოლმე გერმანიაში. იგი არავისაგან გამოსულა, მას არავისაგან საკმაოდ არ უსწავლია, ალბათ რომელიმე ქართველმა დიაკონმა ანაბანა ასწავლა და მერე თავად ისევე გაიკვლია გზა თავის საუკუნის კულტურის წილში... გურამიშვილი არც მოტივებით ჰგავს დანარჩენ ქართველ პოეტებს“¹.

კ. გამსახურდიას დებულების მიუღებლობა ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ზევით აღნიშნულს ლიტერატურული გავლენის თაობაზე. დავით გურამიშვილი ციდან მოწყვეტილი მეტეორი კი არაა, არამედ თავის დროის ღვიძლი შვილია, რომელიც წარმოშვა ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიულმა განვითარებამ. გურამიშვილი მოტივებითაც დიდად ჰგავს მის წინამორბედს, თუ უფროს თანამედროვე მწერლებს, განსაკუთრებით არჩილს, ვახტანგს და მამუკა ბარათაშვილს.

დავით გურამიშვილის ადგილის შესახებ ქართულ პოეზიაში თავის დროზე დიდად მახვილგონივრული აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ. სამწუხაროდ, ილიას ნააზრიდან ამ მხრით მოღწეულია ერთი კონსპექტური ნაწყვეტის მხოლოდ ერთიღა ფრაზა. სახელდობრ, ილიას მოსაზრებით, დავით გურამიშვილმა: „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში“². ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ დავით გურამიშვილმა თავი დააღწია („თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია“) სპარსული მწერლობის გავლენით ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულს „ფიგურობას და ალლეგორიას“. სავსებით სწორი დებულებაა. დავით გურამიშვილმა უსათუოდ ჩამოიცილა სპარსულ-აღმოსავლური

¹ უკრაინის თემიდი (კაზი IV, დავით გურამიშვილის ნატურფალზე), თბ., 1933, გვ. 40—41; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.).

² ცისკარი 1857—1862 წლამდინ (ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, IV, თბ., 1927), გვ. 383; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.

გავლენის ტვირთი როგორც თემატიკის, ისე მხატვრული აზროვნობის, მხატვრული გამოსახვის მხრით. თავის ადგილას ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ „დავითიანი“ თავისუფალია მაღალფარდოვანი ენაწყლიანობისა და სპარსული ყაიდის ქარბი ფიგურალობისაგან, კერძოდ, მეტაფორალობისაგან. ხოლო თემატიკის დარგში გურამიშვილმა სრულიად ამოკვეთა სპარსულობის ყოველგვარი ელემენტი. ამ მხრით დავითი ყველაზე უფრო თანმიმდევარია ისტორიულ-ნაციონალური, თუ ისტორიულ-პატრიოტული სკოლის პოეტთა შორის. ამ სკოლის ქვეშარიტი მამათმთავარი არჩილი ნაწილობრივად მაინც ჩაითრია აღმოსავლურმა სტიქიამ. არჩილმა ხარკი გაიღო „მაჯამური“ ყაიდის სატრფიალო თემატიკის წინაშე („მაჯამურს“ აქ ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ). კიდევ მეტი, არჩილმა გალექსა მხურვალე აღმოსავლური ეროტიკით აღბეჭდილი, სპარსული წარმოშობის ფანტასტიკური რომანი „ვისრამიანი“. მხატვრული ფიგურალობით არჩილი თეიმურაზის მიმდევარია (ხოლო თეიმურაზი სპარსული სკოლის მეთაურია), სპარსული ელემენტი შეინიშნება „არჩილიანის“ ლექსიკაშიც. ერთი სიტყვით, არჩილს ჯერ კიდევ სავსებით ვერ ჩამოუბერტყავს, სპარსული მტვერი. გურამიშვილი აგრძელებს, აღრმავებს და ერთგვარად ამთავრებს კიდევ არჩილის მიერ დაწყებულ საქმეს. გურამიშვილი დადგა მკვიდრ ქართულ ნიადაგზე¹, სრულიად გაწყვიტა კავშირი აღმოსავლეთთან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უთუოდ ისარგებლა რუსულ-უკრაინული, ე. ი. დასავლური პოეტური მასალით. გურამიშვილი მთელი თავისი პოეტური მონაცემით, რასაკვირველია, უფრო დასავლეთს ეკუთვნის, ვიდრე აღმოსავლეთს. აღმოსავლეთთან, ანუ, უკეთ, სპარსეთთან, მას უკვე არაფერი აქვს საერთო. ამ მხრით თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილმა ქართულ მწერლობაში მართლაც შემოიტანა „ევროპეიზმი“.

ამისდა მიუხედავად, გურამიშვილმა შესაფერი გავლენა ვერ მოახდინა XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაზე. ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, რაც ზევით უკვე არის აღნიშნული და აქ აღარ გავიმეორებთ. გურამიშვილის დათვასება მოხერხდა XIX ს. მეორე ნა-

¹ საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთლის სიტყვით დავით გურამიშვილი იყო „პირველი მწერალი, რომელმაც... საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა“ და თავი დააღწიათ რუსთაველის მონურ მიმბაძველობას (სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, კრებული, 1898, VI, გვ. 24).

ხევიდან. აქაც პირველი, თამაში და ავტორიტეტული სიტყვა სთქვა ილია ჭავჭავაძემ. ილიას ბანი მისცა ვაჟა ფშაველამ და აკაკი წერეთელმა. როგორც ვიცით, ვაჟა გურამიშვილს უწოდებს „პაპას“ და „წინამორბედს“. ამაში არის თავისებური სიმართლე. გურამიშვილის მსგავსად, ვაჟას პოეზიაც ხომ დიდადაა დავალებული მთის ხალხის შემოკმედებით. ხალხური პოეზიის ნაკადი ერთგვარად ძლიერია გურამიშვილთან და ვაჟასთან (ეს საკითხი ღირსია სპეციალური განხილვისა). დიდი და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დავით გურამიშვილმა იოსებ დავითაშვილზე...

საიათნოვა

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას—არუთინას იტყვიან.

საიათნოვა

არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით XVIII საუკუნის საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური ფენის თავისებური პოეზია, რომელიც ცნობილია აშულურ-ყაჩაჩოღლური პოეზიის სახელწოდებით. აშულები საქართველოს პირობებში ასახიერებდნენ დასავლეთის ტრუბადურების ტიპის პოეტ-იმპროვიზატორებს, რომლებიც საკუთარ ლექსებს თხზავდნენ, მღეროდნენ კიდეც და სპეციალურ ინსტრუმენტებზედაც უკრავდნენ. ქალაქის დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული აშულ-ტრუბადურები ჩვეულებრივად მოკლებული იყვნენ რაიმე სისტემატიურ სასკოლო განათლების და, უკეთეს შემთხვევაში, უბრალო წერაკითხვის მცოდნეებად თუ ჩაითვლებოდნენ. აშულთა ცხოვრება-მოდვაწეობისა და შემოქმედებითი საქმიანობის ასპარეზი იყო უპირატესად ქუჩა, მოედანი, სარდაფი, ყავა-ხანა... ეს პირობები ბუნებრივად თავის წარუშლელ დაღს ასვამდა აშულურ პოეზიას. აშულური ლექსები უმეტეს წილად ზეპირად ითხზებოდა და ზეპირადვე ვრცელდებოდა. აშულური პოეზიის საუკეთესო მკვლევარის, ი. გრიშაშვილის, სიტყვით: „მომეტებული ნაწილი აშულებისა უსინათლო იყო, პავკურ-დაკრული! ხოლო ვისაც თვალში ჩინი ჰქონდა, იმანაც წერაკითხვა არ იცოდა თურმე. [სამაგიეროდ] აშულებს საოცარი მეხსიერება ჰქონდათ. ისინი ზეპირად სწერდნენ ლექსებს გონების ფირფიტაზედ, ზეპირადვე აშალაშინებდნენ, ჰქლიბავდნენ, აკობტავენდნენ, ამუსიკალებდნენ ლექსის ზომა-წყობილებას და ზეპირადვე ჰფანტავდნენ ხალხში «თესლსა კეთილსა»—ჰმღეროდნენ და სიმღერის საშუალებით ავრცელებდნენ კვიანურ სიტყვა-აზროვნებას“¹.

¹ ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, ტფ., 1918, გვ. 16.

აშულებმა ქართულ მწერლობაში შემოიტანეს ტფილისის ქალაქური დიალექტის ჟარგონი, ქუჩის, ბაზრის და მოედნის ლექსიკა, არმენიზმები და თურქიზმ-სპარსიზმებით სავსე ვაქარ-ხელოსანთა სპეციფიკურ-პროფესიული ტერმინოლოგია, თუ ყოველდღიური სასაუბრო ენა. დამახასიათებელია, რომ ტფილისის აშულები ხშირ შემთხვევაში ეროვნულად არა-ქართულ ელემენტს შეადგენდნენ, მაგრამ ისეთებს, რომელთაც „ტვინი მხოლოდ ტფილისის ცხოვრების დარჯაჟში იყო გამოსულ-გამოწობილი და სწორედ ეს ტფილისის ცხოვრების სკოლა ჰხდიდა მათ სანთიან ადამიანად“¹. ტფილისის აშულები ჩვეულებრივად რამდენიმე ენაზე (ქართულზე, სომხურზე, თურქულ-აზერბაიჯანულზე, სპარსულზე) სწერდნენ და მღეროდნენ. ამ მხრით ისინი ასრულებდნენ ერთგვარი ინტერნაციონალური მგოსნების როლს და კიდევაც მაღლა იდგნენ ყოველგვარი ნაციონალური განსაზღვრულობისა და ნაციონალისტურ-შოვინისტური ინტერესებიდან; თუმცა, რასაკვირველია, არც საკაცობრიო დემოკრატიულ იდეებს ავითარებდნენ, როგორც ზოგიერთი მკვლევარ-კრიტიკოსი ფიქრობს. არც ის აზრია მისაღები, თითქოს აშულები თავისუფალი იყვნენ მწიგნობრული პოეზიის შტამპისაგან, პირიქით—ეს საიათნოვას კერძო მაგალითზედაც გამოჩნდება—თავდაზნაურული მწერლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აშულურ პოეზიაზე როგორც იდეების, ისე ფორმის მხრით. მიუხედავად ამისა, აშულურმა პოეზიამ მაინც შეინარჩუნა თავისი სპეციფიკური სახე. ეს სპეციფიკა გამოიხატა ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური წრის სოციალური განწყობილებების ასახვასა და შესაფერისი სალაპარაკო ჟარგონის სალიტერატურო ნორმებამდე აყვანაში. თავის მხრით აშულური პოეზიის ნაკადმა საკმაოდ გაანაყოფიერა გაბატონებული საზოგადოებრიობის სალიტერატურო ნიადაგი. საკმარისი იქნება თუ ამისათვის დავასახელებთ ბესარიონ გაბაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ავტორიტეტულ სახელებს.

* * *

აშულური პოეზიის ერთერთი პიონერთაგანი და იმავე დროს მისი ტიპური და საუკეთესო წარმომადგენელი იყო საიათნოვა. საიათნოვა პოეტური ფსევდონიმია. პოეტს ნამდვილად პრკმევია

¹ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, ტფ. 1918, გვ. 50.

არუთინა: „საიათნოვა მკვიან, არუთინა ვარ“ო, აცხადებს ერთგან აეტორი და სხვაგანაც იმეორებს: „საიათნოვას-არუთინას იტყვიან“ო. ამასვე ადასტურებს საიათნოვას სომხური ლექსები¹.

საიათნოვა ყოფილა «საქართველოს სომეხთაგანი», გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულო ყმა: „საიათნოვას გურგენ ხანის² ყმას ამბობენ, მართალია“ო. პოეტის მამა ყოფილა ალაბელი (ალე-პიელი), ხოლო დედა ავღაბრელი. ერთ თურქულ ლექსში მგოსანი ამბობს: [ჩემი] სამშობლო ტფილისია, მხარე ქართლისა, დედა ავღაბრელი, მამა ალაბელი“ო. სოციალური წარმოშობით საიათნოვა გლეხობას ჰკუთვნებია, მაგრამ ამას როდი თაკილობს, პირიქით, სიამაყითაც კი აცხადებს:

მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა...

არ მყავს მეუღლე, არცა მძახალი,
მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი.

პოეტს მხოლოდ ისლა აშინებს: „ვაჰ, თუ [სატრფომ] დაიწუნოს გვარზედა“. მამას, ეკლესიის უბრალო მსახურს („მნათესა“), დიდი გაქირვებით გამოუზრდია თავისი პირმშო არუთინა. ერთი ქართულ ლექსიდან ჩანს, რომ საიათნოვა თითქოს დედისერთა ყოფილა. ბავშვს სასკოლო განათლება არ მიუღია და ბოლომდის თითქმის უწიგნური დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში, არუთინა

¹ საიათნოვას ლექსები უწერია ქართულად, სომხურად და თურქულ-აზერბაიჯანულად. საიათნოვას ქართული ლექსები ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის დართვით დაბეჭდა ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ შ ა (საიათნოვა, ტფ., 1918). პატრევცემულ გამომცემელს საიათნოვას ლექსებისათვის ერთგვარი თვითნებობით „ჩაღხი“ გაუკრავს, ან, როგორც თვითონვე ამბობს: „ზოგიერთ ლექსს კი ზედმეტი ხორკლები მოვაცილე, ესეც ისე რალა—ზერელედ. ხოლო თვით ლექსის ტანს კი არ შეეხებია“ო (გვ. 45). საიათნოვა საპირობებს მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. საიათნოვას სომხური ლექსები ქართულად თარგმნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა. (საიათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული, თარგმნილი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ, ტფ., 1935). მასვე ეკუთვნის საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევა (საიათნოვა, «ქართული წიგნი», თბ., 1930) და წერილები (1. საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები, «ლიტერატურული მემკვიდრეობა», I, 1935, გვ. 232—254; 2. იონა ხელაშვილი სომხეთში და საიათნოვა, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», IX B, 1935—1936, გვ. 121—135). აღსანიშნავია აგრეთვე გ. ლეონიძის საყურადღებო წიგნაკი, მგოსანი საათნავა, ბიოგრაფიული ესკიზი, თბ., 1930.

² ე. ი. გიორგი მეფის (1798—1800).

საიათნოვას განათლება წერაკითხვისმცოდნეობას არ აღემატებოდა: „ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ“ო. საიათნოვას დაბადების თარიღის თაობაზე დანამდვილებითი ცნობები არ მოიპოვება. ზოგიერთი არაპირდაპირი ჩვენებით ირკვევა, რომ მომავალი პოეტი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს 1722-ისა და არა უადრეს 1711 წლისა. არ ჩანს, თუ სად გაატარა საიათნოვამ თავისი ბავშვობა. შესაძლებელია, ის მართლაც ადრე მოქცეულიყო ქალაქის ცხოვრების დარჯაჟში. 12 წლის არუთინა მამას შეგირდად მიუბარებია რომელიღაც ოსტატისათვის. ოსტატთან დაუყვია ორი წელი. საიათნოვა ერთ თურქულ ლექსში გვიამბობს:

თორმეტი წელი შემისრულდა, რა მიმაბარეს ოსტატსა;
ცამეტი წელი შემისრულდა, ხელობა საესებით შევისწავლე;
თოთხმეტი წელი შემისრულდა, ოსტატს მივართვი ხალათი¹.

ერთი სიტყვით, ხელოსნობის „კურსი“ დაუმთავრებია საიათნოვას 14 წლის ასაკში, ოღონდ არც ის ჩანს ექვმიუტანელად, თუ სახელდობრ რა სპეციალობის ოსტატი დამდგარა, თუმცა ერთ სომხურ ლექსში პოეტი თავის თავს უწოდებს დურგალს: „ეაი, დურგალო საიათნოვა“ო². ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საიათნოვა უნდა ყოფილიყო ფეიქარი, ზოგს ის დერკიკ-მკერვალად მიაჩნია, ზოგი ბაზაზად (ფართლელთ მოვაჭრედ) თვლის, ზოგი უწოდებს მღებავს. ყოველ შემთხვევაში, უსაფუძვლო იქნებოდა საიათნოვას გამოცხადება ეაქრად, ის უნდა ყოფილიყო რომელიღაც სპეციალობაში განსწავლული ხელოსანი, უფრო კი დურგალი³.

მაგრამ საიათნოვას ჰქონდა მეორე, უფრო საყვარელი ხელობა. ეს იყო აშუღობა. ნამდვილი აშუღისათვის, უწინარესად ყოვლისა, საჭირო იყო განვითარებული სმენითი გრძნობა, რითაც საიათნოვა უხვად ყოფილა ბუნებისაგან დაჯილდოვებული. ერთ ქართულ ლექსში პოეტი დიდი თავმომწონეობით ამბობს: „მე, საიათნოვას, ხმაში მაქვს ძალი“ო. მართლაც, საიათნოვა პოეტობასთან ერთად ყოფილა თავის დროის უზადლო დამკვრელ-მომღერალი, რომელსაც პირველად სა-

¹ პროფ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, 1930, გვ. 38.

² სომხური ლექსების ნაწყვეტები ყველგან მოტანილია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანის მიხედვით.

³ ი. ბაღაჩაშვილი, ორი საკითხისათვის საიათნოვას ბიოგრაფიაში („ჩვენი თაობა“, 1939, № 7, გვ. 59—62).

ქართველოში სპარსულ ჰანგებზე გაუწყვია ქართული ლექსები. იოვანე ბატონიშვილის მოწმობით „პირველ შემოდებელნი ამა [სპარსთა] ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთ მოსაკრავენი საათლამად წოდებული და სხვანი; მერეთ ბესარიონ გაბაშვილი“¹. თვითონ საიათნოვას შემდეგნაირად აღაპარაკებს იგივე ავტორი: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზედ გავაკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოდებული, და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში, და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა და ხალათიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბადესო“².

საუცხოვო ხმის მქონე მომღერალი და მოლექსე-აზული მალე აპყოლია ქალაქის ყარაჩოღლურ წრეებს, ლხინისა და ქეიფისათვის მიუცია თავი. ტფილისის არცერთი დიდკაცური ლხინ-მეჯლიში არ ჩატარდებოდა უსაიათნოვოდ. „ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა“ო, აცხადებს აზული საკუთარ თავზე და აღტაცებული გრძნობით იძახის:

დაელიოთ ღვინო,—არაყი ჩვენია,
მეჯლიშ-საზანდარი, საზი ჩვენია!
გავაგდოთ შებაღე, ბალი ჩვენია!
ლხინი კარგი... დრო კარგი.. დღე კარგი...

მაგრამ საიათნოვა თურმე დიდად თაკილობდა ქეიფის მოყვარული საზოგადოების მავნე ჩვევებს:

საიათნოვა მეჯლიშებში შავიდეს,
ლხინი უყვარს. აყალ-მაცალს და იწუნებსო.

და აი ნიჭიერ საზანდარსა და მგოსან-მომღერალს მიზნად დაუსახავს თავისებურად გაგებული ხალხის სამსახური, ხალხის ნოქრობა. პოეტი პირდაპირ მოუწოდებს თავის თავს: „მოდი, საამოდ გვემსახურე, ხალხის ნოქარო საიათნოვა“ (სომხური ლექსიდან). აზულურ ლექსებს, როგორც ქალაქის ფართო მასებში დიდად გავრცელებულ და მიღებულ მხატვრულ სიტყვას, დიდი აღმზრდელობითი

¹ კალმასობა, I, კ. კეკელიძის და აღ. ბარამიძის რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 296.

² იქვე, გვ. 227 ვ. ლეონიძე, მგოსანი საათნავე, 30.

მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრით ფრიად საგულისხმოა ერთი გვიანდელი აშულის, პაპი ირას მოწმობა: „რომელ ერთ მწერალს, რომელ ერთ მოძღვარს, რომელ ერთ ლექციას, რომელ ერთ მოქადაგეს შეეძლო ჩაეგონებინა ხალხისათვის ის, რასაც ჩვენ ვაწოდებდით ჩვენი ტკბილი დაკვრით და სიმღერით“¹.

უკვე სახალხოდ განთქმულ საიათნოვას დიდი წარმატებისათვის მიუღწევია და თვითონ ირაკლი მეორის კარის მგოსანი გამხდარა:

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას-არჟიანის იტყვიანო.

საზანდრობასთან ერთად საიათნოვას სამეფო კარზე უხდებოდა ერთგვარი ხუმარის როლის შესრულებაც: „ბან ხუმარი ვარ ღეთინარიო“, ანდა კიდევ: „მომაქვს ზარის ხელმანდილი, ხუმარი ვარ, იცი განა?“ იოვანე ბატონიშვილიც ასე ალაპარაკებს საიათნოვას: „მე ყოველგან ადგილი მქონდა არა თუ მხოლოდ სიმღერით, ხუმრობითაც და სოფლიურს საქმეშიაც“². სხვათა შორის, აქედან ისიც ირკვევა, რომ საიათნოვა „სოფლიურ“, ანუ საზოგადოებრაგ-საქვეყნო საქმიანობას ეწეოდა. მაგრამ არსაიდან ჩანს, თითქოს პოეტი დესპანად იგზავნებოდა უცხო სახელმწიფოებში. პოეტური გაიგავებით უნდა იქნას გაგებული საიათნოვას შემდეგი სიტყვები ირაკლის მისამართით:

საიათნოვა შეინახე შენთანა,
საჯინიბოს დააყენე ცხენთანა;
ველარ წავა ხონთქართან, ყეენთანა,
ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა...

რა თქმა უნდა, საიათნოვა დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქვეყნის დიდებულთა და წარჩინებულთა წრეებშიც. პოეტისვე მოწმობით, ის ყოფილა:

მეფეთაგან მეჯლისს მიწოდებული,
თავადებთან პატივცემით ქებული,
ალისფერის კაბით განშვენებული...

¹ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, 21.

² კალმასობა, I, 1936, გვ. 227; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, 17.

მაგრამ საიათნოვას დაწინაურება დროებითი გამომდგარა და ერთ მშვენიერ დღეს რალაც გამოურკვეველი მიწეზების გამო ის დაუთხოვიათ სასახლიდან. შომხიბლავი უბრალოებითა და აშუღური გულწრფელი ნაღვლიანობით გადმოგვეცემს მგოსანი სასახლიდან გაძევების ამბავს:

ხელმწიფეს ვეახელ უცხოდ მორთული,
საზი ხელთ მეჭირა მე გამართული,
მათასავით დამაბრუნეს დართული...
ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული:
«წადი, ქუჭყიანი ხალიჩა ხარო!».

* * *

ნათქვამია: ერთხელ მთა-მთას ეცემა,
ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა!
შენის ხელით იუოს ჩემი გაცემა,—
ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა,—
ჩემი სულიერი დედმამა ხარო!

* * *

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები,
ცოცხალი თავით არ მოგშორდები!
თუ მტკვარი ვერ მომსპობს, ზღვას ჩავარდები...
ენით მოიმატე შენი დარდები,
საიათნოვაჲ, ნაღველისთვის მზა ხარო!

საიათნოვას თავი უმართლებია მეფის წინაშე, შეწყალება უთხოვია საგანგებო ლექსით და ერთგვარად გაუფრთხილებია კიდევ მრისხანე ბატონი:

თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა,
მუხის ქერქი კიდევ—დარიჩინათა!
საიათნოვა შეინახე ჩინათა,
ვერ იშოვი იმისთანა კარგ ყმასა!

თხოვნას და ჩივილს ნაცოფი ვერ გამოუღია.

საიათნოვას კონფლიქტი ერეკლე მეფესთან უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1762—1765 წლებში, რადგანაც 1765/1766 წლებ-

ში პოეტი სასულიერო სამსახურში განწესებულა¹. სამწუხაროდ, ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია საიათნოვას ცხოვრების გეზის რადიკალური შეცვლა. შესაძლებელია მართალიც იყოს ის სიტყვები, რომლებსაც იოვანე ბატონიშვილი ათქმევინებს მგოსანს: „მე თუ ჩემი მოძღვარი დამხსნადა, ის ერობა [ე. ი. ერისკაცობა] პერჩინა ამ ბერობას“². ერთერთ ლექსშიც საიათნოვა თავის ბერად შედგომას აბრალებს ვილაც ნოდღვარს: „ესე ხვედრი ჩემის მოძღვრისგან არს“³. ისე გამოდის, თითქოს პოეტი ძალით განუწყესებიათ ბერად. როგორც პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოარკვია³, საიათნოვა ჯერ კურთხებულა სამრევლო მღვდლად სტეფანეს სახელწოდებით, ხოლო დაქვრივების შემდეგ (დაქვრივებას ადგილი ჰქონია 1768 წელს) ბერად აღკვეცილა. დამახასიათებელია, რომ საიათნოვას ბერობის დროსაც არ გაუნებებია თავი აშუღობისათვის. თურმე ლექსების წერასაც განაგრძობდა, არ ეშვებოდა სიმღერა-დაკვრას და დრო-გამოშვებით თავის ძველ ამფსონურ საზოგადოებასაც ნახულობდა სარდაფებსა და ყავახანებში. ერთხელ ახპატის მონასტერში საიათნოვას სწევია მოკალმასე იონა ხელაშვილი. იონას ვართაპეტისაგან საუცხოო სიმღერა მოუსმენია ჩონგურის ხმაზე. განცვიფრებულ იონას უთქვამს: „რადგან სოფელი დაუტევეთ, საკრავსა და სიმღერაზედაც ხელი უნდა აიღოო“. ამაზე ვართაპეტს ხუმრობით უპასუხნია: „ჩემმა წინამძღვარმანც მიბძანა, და მე პირობა ასე მივეც, რომ: ვინემ ეს სიმები ამ ჩონგურს ასხია და არ დაუწყდება, ხელს არ აღვიღებ, ამისთვის რომ, ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სინები უბეში დამრჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხს სიმებზედ უკრავ ხმებს“⁴. იონას თანდასწრებით ვართაპეტს იშვიათი გრძნობიერებით დაუმღერია ჩონგურზე განთქმული ლექსი «შე საწყალო ჩემო თავო», სადაც მწვავედ გაკიცხულია ბერად შედგომის ამბავი:

შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ?
 ქვეყანაში სასაცილო შეიქენ;
 საითაც გაიქეც, იქით წაიქეც,
 ბოლოს დროსა ბედოვლათი შეიქენ!

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, გვ. 87.

² კალმასობა, I, 227.

³ საიათნოვა, 1930. გვ. 81—92.

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა?
 ქორი ვიყავ, ძერობა რათ მინდოდა?
 ერი ვიყავ, მღვდელობა რათ მინდოდა?
 მოდი მითხარ, ბერობა რათ მინდოდა?!¹

რა თქმა უნდა, თვითონ ფაქტი იონა ხელაშვილის კალმასობისა გამოგონილია იოანე ბატონიშვილის მიერ, მაგრამ ვართაპეტ-საიათნოვას შესახები ამბავი კი თავისდათავად არავითარ ეჭვს არ იწვევს.

უსათუძვლოა მთელ რიგ მკვლევართა მტკიცება, თითქოს ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი საიათნოვა მოწამებრივად დაღუპულიყოს აღამაჰმადხანის შემოსევის დროს 1795 წელს. ადრინდელი დარღმინდი აშული საბოლოოდ ბერ-მონაზვნად უნდა დარჩენილიყო ახპატის მონასტერში და ღრმად მოხუცი იქვე უნდა გარდაცვლილიყოს ბუნებრივის სიკვდილით XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე². ყოველ შემთხვევაში, საიათნოვა მომსწრე ყოფილა გიორგი XIII მეფობისა (1798—1800). როგორც თავის ადგილას აღენიშნეთ, საიათნოვა ერთგან იწოდება გურგენხანის, ე. ი. გიორგი მეფის ყმად:

საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია-ო.

საიათნოვას გარდაცვალების თარიღის გასარკვევად დიდად საგულისხმო და სანდო ცნობას უნდა იძლეოდეს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი: „საათნამა, სომეხი თფილისელი, ცნობილი გვამი, გამოჩენილი მოღეჟსე, მოკვდა 1801 წელსა“³.

* * *

საიათნოვას პოეზიის ძირითადი მოტივია სიყვარული, ხოლო ძირითადი თემა—ვარდისა და ბულბულის აშოიკობა, „ვარდ-ბულბულიანობა“. პოეტი სიამაყის გრძნობით აცხადებს ერთგან: „სიყვარულით ლაპარაკი თუ გინდა, საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული“⁴.

¹ კალმასობა, I, 1936, გვ. 226—227; გ. ლეონიძე, 28—31.

² ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, გვ. 134—138; გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, 26—46.

³ ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936, გვ. 263.

მაგრამ „სიყვარულის ბალზა“ მას „ქკვა დაჰკარგვია“ და ბულბულივით კაეშნისათვის მიუცია თავი. მომჯადოებელი მხატვრული უბრალოებით ამბობს ერთგან მგოსანი:

მე, საწყალი საიათნოვა, დღე და ღამე შენთვის ვტირი,
უძილოდ ღამე ვათიე, ვით ვარსკვლავმან
მთვარისათვის.

თვითონ აშული შეყვარებული ბულბულია, სატრფოს კი ვარდი ასახიერებს: „საიათნოვა მოგახსენებს: შენ ვარდი ხარ, მე ბულბული“ო. ანდა სომხური ლექსით:

ნეტა დედას არ ვეშობე, ვაი იმ დღეს, რომ გნახე,
ბულბული ხარ, მე კი ვარდი.

საიათნოვა დაეძებს თავის ტრფობის ვარდს და კვალი ვერ უპოვია:

ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავდეგ, ქალას ჩავიარე,
ვარდის კვალი ვერ ვიპოვე, სულ უბრალოდ გავიარე.

ბოლოსდაბოლოს, მგოსანმა მიაგნო ამ კვალს, მაგრამ ტრფობის ბუჩქი დაკრეფილი დახვდა, სიყვარულის ფურცელი კი დამზრალი:

შენმა ძებნამ გამათავა, სისხლი ოფლად მომეძინა,
ვარდი ვნახე დაკრეფილი, ბულბულივით დამეძინა-ო.

მზურვალე სასიყვარულო ხოტბას უძღვნის მგოსანი ჭირვეულ სატრფოს, თუმცა კარგად სმენია მისი გულცივობის ამბავი:

ბევრი მოგიკლავს, მეც მომლალე შენის ქებითა-ო.

საიათნოვა თავის სატრფოს ამკობს მეტად თავისებური, ორიგინალური, ასე ვთქვათ, აშულური ენაწყულიანობით:

გიხდება ოქროს ფიცრები, მარმარილოს კოშკიანო,
პატარა ციხევ ლამაზო, შენ ქურდის კარი ნუ გინდა!

ეგ შენი უბის რეჰანი მხოლოდ ჩვენ ორმა გაეყოთ!

თავისებურობითა და მოხდენილობით აღბეჭდილია საიათნოვას შემდეგი სატრფიალო სიტყვებიც:

საიათნოვა ამას ეჩივი, სამალი ვერ მიშოვია,
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია,
შენი უბის ბროწეულის წამალი ვერ მიშოვია!

საიათნოვას ლექსებს ახასიათებს პოეტური სიტყვის უბრალოება, აზრის სიწრფელე და ერთგვარი გულუბრყვილობა, სახოვან წარმოდგენათა სიმდიდრე და მოულოდნელობა. სანიმუშოდ მოვიტანდით ასეთ მაგალითს:

შენი წიგნი მომივიდა,—ჩემი რათ არ
წაიკითხე?

აგრე როგორ მამიძულე, ერთხელ აღარ მამიკითხე?
ავად ვიყავ; დასაბურად შენი საბანი მინდოდა!

საიათნოვას იტაცებს სატრფოს გარეგნული სილამაზე, სხეულის შნო. მართალია, პოეტი ამ შემთხვევაში ხშირად იმეორებს ცნობილ შედარებებს და გაცვეთილ თქმებს, მაგრამ ორიგინალური სტრიქონებიც მოეპოვება. საიათნოვამ შექმნა საკუთარი პოეტური ფიგურალობა, პოეტური სახეების საკუთარი სამყარო, მაგალითად:

თითები გაქვს ჩამოსხმული, მოყვანილი ფარგლებშია;
შენი სული მიხაკი და ჰილია

თავისებურობითა და უშუალობით ხასიათდება საიათნოვას სურვილებიც:

ნეტავი ერთსა ოთახში მარტოკა მე და შენ ვიყოთ,
საიათნოვა გეხვეწება: შენ ბევრი ჯარი ნუ გინდა!

ყოველ დილას გამოვიდე, მზე ვიყო,
თქვენს ეზოში გადარგული ხე ვიყო,
მოგინდები, ცულს ნუ დამკრავ, დე ვიყო!
შენი კარის მეზობელი მე ვიყო,
შენს სახლსავით ჩვენს სახლშია შახვიდე!

ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ მ ა სამართლიანად აღნიშნა, რომ: „საიათნოვა თუმცა თავის ლექსებში ეამითი-ეამად რთულ საკითხებსაც ეხება, მაგრამ მისი თემა მაინც სიყვარულია და ამ სიყვარულის დამბადებელი სილამაზე“¹. სოფლის გამუდმებული გმობა, წუწუნნი, უსასოობა უცხოა საიათნოვასთვის. ლხინისა და ნადიმის კერპი— ლეინისა და სიყვარულის მომღერლად გვევლინება პოეზიაში, თუმცა ხანისხნობით კაეშნის ქარიც დაჰბერავს ხოლმე პოეტის განწყობილებას. ამ კაეშანს იწვევს ადამიანთა გაუტანლობა, გულცივი სატრფოს ახირება, ანდა მწყალობელი ბატონის დაუმსახურებელი რისხვა. „საიათნოვავ, ნაღველისთვის მზა ხარო“, შეუძახია მგოსანს, როცა უმოწყალოდ გამოუგდიათ მეფის კარიდან. სატრფოსგან იმედგაცრუებულიც სხვაგან კითხულობს:

რა დაეჯდე და რა ვიტურო, რომელ ერთ ნაღველისათვის?

ანდა კიდევ:

მე ამ ნაღველს ვერ გაუძლებ, გული მაქვს მისხალივითა;
რაც მოგშორდი შენ, ლამაზო, თვალები მაქვს წყალივითა.

საიათნოვას სომხური ლექსები სავსეა „ყარიბი ბულბულის“ ჩივილით. პოეტი მრავალგზის სტერეოტიპულად იმეორებს: „შენის ეშხით ჩავლოვინდი“, „შენის ეშხით ვავთავდი“, „შენის ეშხით დავსნეულდი“, „შენმა დარდმა დამაბერა“, „შენის ეშხით სულ ვტიროდი“, „საიათნოვა მუდამ ტირის, ვით ყარიბი ბულბული“. საყურადღებოა შემდეგი სტრიქონებიც:

შენ რომ თესლი სიყვარულის დათესე ჩემს გულშია,
მთელი ყოფა ჩამიმწარე, ჩახედე ჩემს სულშია!

^ საიათნოვაც შენ მოკალი, აამღვრიე რჯულშია!

მართალია, საიათნოვას აღრინდელ ლექსებს არ ახასიათებს წუთისოფლის ღრმა პოეტური ანალიზი, მაგრამ სევდა-ნაღველის მოტივი იქაც საკმაოდ შეინიშნება. პოეტი ხშირად სჩივის ადამიანთა ვერაგობაზე, უმადურობაზე, ერთგულებისა და სიკეთის წილ ბოროტით მიგებაზე:

¹ საიათნოვა, 74.

ზოგი კაცი დადის ქიაყელასავით,
ვეელის შხამი უძევს პირში იმ თავით!

როგორც ჩანს, ბოროტი ადამიანის ქმედობას მიაწერს მგოსანი თავის არა-ერთგზის მარცხს ცხოვრების გზაზე. მწარე ნაღველით აღნიშნავს ერთგან:

ვის წინაც გავცარე გულის ხახალი,
ყველამ მითხრა: უსარგებლო მთა ხარო!

სასახლიდან გაძევების ამბავთან უნდა იყოს უშუალო კავშირში საიათნოვას შესანიშნავი „დამეხსენიც“. პოეტი აქ ერთგულობასა, ყმურ მორჩილებასა და კეთილსინდისიერებაში ეფიცება თავის აღრესატს, თუმცა წინასწარ არის დარწმუნებული თხოვნის უნაყოფობაში. გულამღვრეული პოეტი მკეახედ პასუხობს პირფერ პატივისმცემლებს და გრძნობიერი სიტყვებით მიჰმართავს საკუთარ თავს:

გადავიდა შენი დრო საიათნოვა!
რალად გინდა «ოხო-ხო» საიათნოვა?
ყველა მეუბნება: ჰო, საიათნოვა!
საით მიხვალ, ჩემკენ მო, საიათნოვა!
—შენი პურ-მარილის ქმობა არ მინდა!

ამასთან მგოსანი თავის საკუთარ თავსაც, როგორც ადამიანთა მოდგმის ნაშიერს, არარაობად რაცხავს და მწვავე მელანქოლიკური ტონით არწმუნებს გულის მესაიდუმლე სატრფოს:

თუ გინდ ვიყო, თუ გინდ არა,
მეჯლისებს საზი არ დააკლდება;
თუ დაგაკლდები, შენ დაგაკლდები,
ქვეყანას კი ერთი ბეწვიც არ მოაკლდება.

პოეტი საშინელი მძულვარებით იგონებს და კრულავს ავ-კაცებს: „ავი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს“ (ქართული ლექსით), ანდა კიდევ: „ავი კაცი გაშავდეს“ (სომხური ლექსით). საიათნოვა საყვედურიით იხსენიებს მოყვასთ:

მოთმინება დამელია, ველარ უძლებ ხალხის ქორს,
მოყვასნი მტრად გადაიქცენენ; მოძულენო, ჩემგან შორს!

გარკვეულ პერიოდში საიათნოვას, როგორც სასახლის მგოსანს, უწერია სახობო ლექსები. ამ შემთხვევაში იგი ტრადიციული ეთიკეტის ნორმებს იცავდა და ზვიად ფერებში უხუად ამკობდა მწყალობელი ბატონის ზნეობითს, გონებითს და ფიზიკურ ღირსებებს. ოღონდ ეს კია, რომ საიათნოვა აქაც რჩება თავისებური, თავს აღწევს სახობო პოეზიის დაკანონებულ შაბლონს და აშუღური ხობების ორიგინალურ ნიმუშს იძლევა:

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს, მორთულხარ ქირმანშალშია,
 კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია;
 ფალაუანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ხალშია,
 თუ ჩვენსა არ მობრძანდები, წავიდეთ სამართალშია...
 საიათნოვას ხელმწიფე ყენ-შაჰბაზი ირაკლია!

პოეტი მეფეს უწოდებს „სულიერ დედ-მამას“ და თვითონ „ერთგულ მოსამსახურე-ყულად“ მზადმყოფი, ფეხთ-ქვეშ ფიანდაზად გართმმას ჰპირდება:

არ ვიცი, რა ვიფიქრო, რა მოვიგონო!
 რომ შენი ზიანი არ გამავონო!
 როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,
 ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!

საიათნოვას სახობო ლექსებიდან საგანგებოდ გამოირჩევა მდიდრული, ორიგინალური, აშუღური შედარებებით სავსე „ხარ ტურფა“. მოგვაქვს ამ ლექსის პირველი—სამი სტროფი მთლიანად:

ხარ ტურფა საკრავი, საზებიანო,
 მიჯნურისა მკვლელი, ხაზებიანო,
 ალვის ხეე გასულო, ვაზებიანო,
 დაუშრელი ზღვა ხარ, მაზებიანო,
 ოქროს თვალში ზიხარ, რაზებიანო!

ნადირში ნაქებო რაშო, ჯეირანო,
 ვარსკვლავსავით ბრწყინავ ლალო, მარჯანო,

უსანთლოდ ანათებ, ბროლის შამდანო,
ხ მ ა ლ ი ხ ე ლ თ გ ი ჭ ი რ ა ე ს, ე რ ე ე კ ლ ე - ხ ა ნ ო,
ფეჰლის ფანჯის ოინბაზებიანო!

—

ანათებ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ!
ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ,
შტოები ასული, რა ტურფა ხე ხარ,
ტრიალი მინდორი, რა შავი ტყე ხარ,
შიგ ნადირი სავსე, ბაზებიანო!¹

* * *

საიათნოვას ახალგაზრდული პერიოდის ლექსებს ძირითადად ხალისიანი კილო ატყვია, ავტორს ცხოველმყოფელი ოპტიმისტური განწყობილება ახასიათებს. პოეტის გვიანდელ ლექსებში კი რელიგიურ-მისტიკური მოტივებია საკმაოდ ჩაქსოვილი (მეორე პერიოდზე უმთავრესად სომხური ლექსები მოდის), თუმცა საიათნოვა აროდეს ყოფილა მაინცდამაინც მორწმუნე კაცი და, მით უმეტეს, ფანტიკურად მოაზროვნე. პოეტს კარგად სცოდნია! „თუ რომ ასრულებ სულის ნება-მყოფლობას, სხეულს ხოლმე ეწყინება“. ამისდამიუხედავად, მან ხანგრძლივად ანებივრა სხეული და სული „გასტანჯა“. საიათნოვას ამდენადვე თავისი წარსული თითქოს სასინანულოდ გაუხდია: „რომელ ერთ დარდს შენ გაუძლო, ო, ჯაწყალობელო საიათნოვა“ო.—ეკითხება თავის თავს. სევდა-ნაღველის ხმებიც თავს ძლიერ აჩენს. ერთერთი სომხური ლექსი გარკვევით ამჟღავნებს დაცემულობის განწყობილებებს:

კაცი მუდამ ერთგვარი არ იქნება,
ეჰ, მომბეზრდა თვით ლექსების მღერაცა-ო.

სასოწარკვეთილების მოტივი: ისმის თურქული ლექსიდანაც:

ეს ქვეყანა მართლაც სიზმარეთია.
მეშინიან ქეიფის და საზისა-ო.

ხანში შესულ პოეტში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. პოეტს ეტყობა დაღლა, დაცემულობა, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე გულის

¹ საიათნოვას უწერია სატირული ლექსებიც.

აქრუება და სულიერი მოღვაწეობისათვის მზადყოფნა. საიათნოვას აშინებს მღელღარე წარსული. ი. გრიშაშვილის სიტყვით: „საიათნოვას ბოლო დროს ცოდვით მიაჩნდა თავისი წარსული, აშუღობა-მელექსეობა. «მოდი, საიათნოვაე, შენ ცოდვილი ხარო»— ამბობს ერთ ოთხ ენაზედ დაწერილ ლექსში“¹. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ადასტურებს, რომ: „მისტიციზმის არაერთი კვალიც აღბეჭდილია მგოსნის სომხურ ლექსებში. ხოლო ეს ლექსები, როგორც ცნობილია, შედარებით ქართულსა და თურქულ-სპარსულ ლექსებთან, მაინც ნაგვიანეე ხანას ეკუთვნიან“². საიათნოვა ხშირად სხვაგვარ ჰანგებზე მღერის: „ის საქმე ჰქმენ, რომელიც რომ ღეთის წყებაშია“³. ანდა უფრო მკაფიოდ:

ნეტამცა შენ, საიათნოვა, საქმეს ისეთსა ჰქმნიდე,
სულის ხათრით სხეულს ყოფად ხელს რომ აღარ უშლიდე;
სანამ სასჯელს დაესწრები, სალი შეიყვარე,
მონასტერი და უდაბნოც ისე შეიყვარე.

აქა-იქ საიათნოვა ქადაგობს წმინდა ქრისტიანულ მორალს: „ვინც შენ ნაღველი მოგართვას, შაქარი მიეც, საიათნოვა“⁴. პოეტი თავის თავსაც სხვარივ არიგებს: „იკითხე მამათა ცხოვრება ლამაზი“, „სახარების სიტყვები“, „სვინაქსარი“, „ღმერთი შეიყვარე“, „სული შეიყვარე“ და ა. შ. „ერთი სიტყვით—ასკენის პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი—მგოსანი საკმაოდ სიმპათიით იხსენიებს. როგორც მონასტერს, ეამის-წირვას. გალობას და სულის საქმეს, ისე მამათა ცხოვრებას, სვინაქსარსა და სახარებას“⁵. საყურადღებოა, რომ სომხურ ენაზე დაწერილ საიათნოვას სატრფიალო ლექსებსაც საეკლესიო-სააულიერო იერი გადაჰკრავს (სომხური იყო საიათნოვასთვის როგორც მშობლიური, ქართულთან ერთად, ისე სარწმუნოებრივ-კონფესიური ენა). ამ მხრით ტიპურია შემდეგი ზაწყვეტი:

მეჯლისების სიმღერა შენა ხარ,
მონასტერთა გალობა შენა ხარ,
საიათნოვას ბალი შენა ხარ!

ანდა „სვინაქსარისა სიტყვა ხარ“ და სხვა.

¹ საიათნოვა, გვ. 78.

² საიათნოვა, გვ. 63.

³ საიათნოვა, გვ. 65.

* * *

საიათნოვა საუცხოო ოსტატია მახვილგონიერული გამოთქმებისა და თავისებური აშუღლური ბრძნული აზრებისა, სენტენცია-აფორიზმებისა. მართო ერთი ლექსიდან «ზღვას ვით გააშრობს» თითქმის მთელი ათეული აფორიზმი ამოიკრიფება:

ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!

*

მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?

*

ქარი რას დააკლებს ქვითვირის კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს?!

*

ქიქას არ ედება აღმასის ფასი,
თუ გინდ ოქროს ბეჭედშიაც გაიწყოს!

*

გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდ მალლა თახჩაშიაც შაიწყოს!

*

თუ გინდ თევზი დაკლა, არ დაიყვირებს,
ფეხთ ჰინის დადება რათ უნდა ვირებს?

*

ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს,
თუ გინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!

როგორც ხელოვანი—პოეტი, საიათნოვა მოისუსტებს (ქართულ ლექსებში), მისი მხატვრული ხერხები ხშირად პრიმიტიულია, ანდა ორიგინალობას მოკლებულია. პოეტი ხშირად იმეორებს გაცვეთილ მეტაფორებს, ეპითეტებს, შედარებებს და ა. შ. ბლომად მოეპოვება საიათნოვას ნაძალადევი და ულაზათო რითმები, გაუმართავე სტრიქონები და სხვ. მაგრამ მაინც გადაჭარბებულად მიმაჩნია ი. გრიშაშვილის მხრით საიათნოვას ლექსებისათვის «დაბდაბუდას» წოდება (საიათნოვა, 47). ამის გასაბათილებლად საკმარისია იმავე ავტორის სხვა შემთხვევაში უკვე მართებული მსჯელობა: «საიათნოვას უყვარს—როგორც ყველა ყარაჩოღელს—

გაბედული და ორიგინალური შედარებანი: მაგ., ქალის ლოყაზედ ამოსულ ხალს «ინდის პილპილს» უწოდებს, სატრფოს სუნთქვას «მიხაკ-დარიჩინის სურნელებას» აღარებს. სახე კი აგონებს თეთრ ქალადს... ხოლო ქალის მკერდის და მის კოხტა თავის შესახებ ამბობს: «გშენის ოქროს ფიცარი, მარმარილოს კოშკიანო» (იქვე, გვ. 78). ი. გრიშაშვილი იმასაც საგანგებოდ შენიშნავს, რომ საიათნოვას «სომხური ლექსები—აბა რა შედარებაა—გაცილებით უმჯობესია, ვიდრე მისი ქართული ლექსები» (იქვე, 76).

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საიათნოვა ძლიერ განიცდის „მაღალი“ მწიგნობრობის გავლენას; საიათნოვას თემატიკა უმეტეს წილად მოკლებულია სიახლესა და ორიგინალობას. საიათნოვაც „ვარდ-ბულბულიანური“ მოტივის მგოსანია, მზისა და მთვარის ამიკი, მაგრამ მაინცადამაინც საიათნოვამ სათავე მისცა სრულიად ახალ მიმართულებას ქართულ პოეზიაში, შექმნა საკუთარი ინდივიდუალური პოეტური ფიზიონომია, პოეზიას შესძინა არა ერთი და ორი მოხდენილი მხატვრული სახე, თქმა, აფორიზმი; შემოიტანა თავისებური ლექსიკა და სტილი, ჰანგი, რიტმიკა, ზოგ შემთხვევაში განწყობილებაც. არისტოკრატიული კრიტიკის (თეიმურაზ ბატონიშვილის) შეფასებითაც კი საიათნოვას ლექსები „აზრიანი და შესაბამიერი[ა]; თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარზედ, მაგრამ დიდად მოსაწონი“¹. საიათნოვას პირველად საქართველოში სპარსულ ჰანგებზე შეუწყვია ქართული ლექსი. საიათნოვა პირველი შემომღებია ქართული მუხამბაზური ჰანგისა, რომელმაც ერთ დროს სრული ბატონობა მოიპოვა ქართულ პოეზიაში². ამ მხრით საიათ-

¹ გ. ლეონიძე, მგოსანი საათნა, გვ. 10.

² მუხამბაზი იმ სახით, როგორც ეს ქართულ პოეზიაში შემუშავდა, ლექსის გარკვეულ საკომპოზიციო სქემას გულისხმობს. ტერმინი მუხამბაზი არაბულია (და სპარსულ-თურქულშიც იხმარება), ქართულად ნიშნავს „ხუთუღს“. მართლაც, მუხამბაზური ლექსი ხუთი სტროფისაგან შედგება. თითოეული სტროფი კი განუსაზღვრელი, ყოველ შემთხვევაში დაუხუსტებელი, რაოდენობის სალექსო სტრიქონს, ტაქსს შეიცავს (გვხვდება 4, 5, 6, 7 და 9 ტაქსოვანი სტრიქონები). მუხამბაზური ლექსის პირველი სტროფის ყოველი ტაქსი ჩვეულებრივად გაწყობილია ერთ რითმაზე (თუმცა, მოიპოვება ჯვარედინი, თუ სხვაგვარი რითმებიც). დანარჩენი სტროფები იძლევა საკუთარ რითმას, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: ყოველი მომდევნო სტროფის უკანასკნელი ტაქსი პირველი სტროფის ტაქსებს ერთმეება. მუხამბაზის რითმული სისტემის თავისებურ მხატვრულ დისონანსს ქმნის. მარჯვე წაკითხვისას (და, ნით უმეტეს, სიმღერისას) რიტმულ-რითმული წყობის ძოულოდნელი ცვლა მთელ ლექსს აძლევს იშვიათ მუსიკალურ ძალას, ბგერულ ჰარმონიას და სიმტკიცეს (მუხამბაზის სახეცვლილი ფორმაა მუსტაზადი). მუხამბაზური ლექსის ნიშუზად შეიძლება დასახელებული იქნას საიათნოვას «სამართალი მიყავ», ან «ზღვას ვით გააშრობს».

ნოვას მოწაფედ გვევლინება ქართული მხატვრული სიტყვის ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორც იყო ბესიკი (სხვა საქმეა, რომ მოწაფემ აჯობა თავის მასწავლებელს). ბესიკთან ერთად საიათნოვას პრაქტიკული მიმდევარი და მიმბაძველი გაუჩნდა XVIII—XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ვის არ სმენია გრიგოლ ორბელიანის «საიათნოვას მიბაძვა»:

ქიანურო, მაღლად ტკბილად დაუკარ!
ვინცა გაქოს, თავი დაბლად დაუკარ,
შენსა მტერსა კბილის კრიკა აუკარ!

ანდა გრიგოლისვე განთქმული «გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ», რომელსაც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული საიათნოვას მიმდევარის, ჩ ა მ ჩ ი მ ე ლ ქ ო ს საგულისხმო ტაეპი: «მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო!» მუხამბაზური ჰანგით მოქარბებულ გატაცებას ერთგვარი რეაქციაც კი გამოუწვევია «მაღალი შტილის» მოყვარე არისტოკრატ პოეტთა წრეში. ამ წრის ტიპური წარმომადგენელი ვახტანგ ჯამბაჯურ-ორბელიანი მედიდური ტონით აცხადებს ერთგან:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა!

ჩენი თაობა, რა თქმა უნდა, ვახტანგ ორბელიანის გამოჯავრებას დამსახურებდად უთვლის ძველ აშუღ მგოსანს.

ბ ე ს ი კ ი

ბესიკი ერთგვარი ლიტერატურული ფსევდონიმია XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილისა. ბესარიონი იყო შვილი თეიმურაზ მეორის კარის მოძღვრის, ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, მწიგნობრის და პედაგოგის ზაქარია გაბაშვილისა.

დაბადებულა ბესიკი 1751 წელს. 1779 წელს პოეტი დიპლომატიური მიზნით სპარსეთს გაიგზავნა¹. გზად მას შეუდგენია დღიური. დღიურში აღნიშნულია: „მე იობის ნათესავი გაბაონელიძე, ძე მოძღვრისა ზაქარია ყოვლად ღირსისა, ოდეს ვიყავ წლისა კვ [28], მაშინ... წარვივლინე... ერანად“². ბესიკის დაბადების თარიღი ამით გარკვეულია (1779—28=1751)³.

XVIII საუკუნეში გაბაანნი ეკუთვნოდნენ აზნაურთა წოდებას. ეს წოდება მათ რალაც განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიუღიათ, თორემ აღრიდან უბრალო მღაბიონი ყოფილან. XVIII საუკუნეში კარგად ახსოვდათ გაბაანთ წარსული და არაერთგზის დაუგესლავთ კიდევაც აწმყოში განდიდებული გვარიშვილები. ამ მხრით საყურადღებოა აეთანდღილ თუ მანიშვილის სატირული მუხამაზი კარნეტ ოსე გაბაშვილის მისამართით:

სალამ ალექ, კარნეტო, რისთვის მოგიწყენია?
მინდა ღირსად შეგამყო, ქება შენი მსმენია!
არ გშვენის აფიცრობა, აბა რისთვის ჰქენია?!
ჰსჯობს, ისევე მამა-პაპათ მოიგონო ზნენია,
თბილისს ჰქერო ქევანი, აქ ეთრევი ბენია,
პეტრებუხში რა გიძეს, რისთვის მოგიბენია?
არ გიხდება სერთუკი, თვალთა ცრემლი
● გღენია,

¹ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმებისა, ტფ., 1905, გვ. 26; მ. ბროსე, Histoire de la Géorgie, II, 247.

² ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურაის რედაქციით, თბ., 1932, გვ. 104.

³ ამ თარიღს ადასტურებს პოეტის საფლავის ქვის წარწერაც.

პსჯობს, ძველებურ გვარისებრ ტივათა
კკრა ხენია!

არ გიხდება მუნდერი, არც სულთანი თავზედა,

შენ ხომ დაჩვეული ხარ კურტნის დადგმას ტანზედა,
ზედ ნახშირი გეკიდოს¹

ამ ლექსს დედანში დართული აქვს გრიგოლ ბატონი-
შვილის საინტერესო კომენტარია: „ავთანდილ თუმანისშვილისა-
გან ნათქვამი მუხამბაზი იოსებ გაბაშვილზე, რადგან ორნივე დავით
ბატონისშვილს ახლდნენ. ვინაიდან გაბაშვილი იგი იოსებ ფრანცუ-
ცის დროს ჯარში შევიდა და აფიცრობა მისცეს, ე. ი. კარნეტობა.
და წავიდა გაბაშვილი ფრანცუცების საომრად და როდეს იქილამ
მობრუნდა იგი, მაშინ[ნ] ჩხუბი უყო გაბაშვილმა ამ თუმანიშვილსა-
და კიდევ გალახა ძალიან. და ამ თუმანიშვილმა ცემის მაგიერათ
ეძღვანა ლექსი დაუწერა, რადგანაც გაბაშვილს ვირებს
ეძახიან ძველადგან და მეჩვიდწამი ყოფილან აღ-
რიდგან“ო.

ამავე გრიგოლ ბატონიშვილს თავის ხელნაწერ კრებულში
(H2130) შეტანილი აქვს ბესიკის ცნობილი სატირული ლექსი ჭი-
ბუა ორბელიანზე („დამპალო ლეშო“) შემდეგი შენიშვნით:
„ქაბუა მდივანბეგი დიდი საბატო და მეცნიერი და შემაქცევარი
კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდათ უყვარდა; და ხუმრობაებიც
იცოდა, და მოთხრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა.
და ამის გამო კურთხეულმა მეფე ირაკლიმ უბძანა: „ქაბუავ, რა-
ტომ ბესარიონს მაგიერ ლექს[ს] არას დაუწერო“. და მაშინვე იმავ
წამს მოახსენა: „შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექს[ს]ის გაეწყო-
ბაო. იქ მყოფთა დიახ ბევრი იცინეს“².

ქაბუას ირონიული მახვილი, რა თქმა უნდა, ბლიაძეს ხედე-
ბა. ამ სახელით ნათლავს არისტოკრატი პოეტი და მდივანბეგი ბე-
სარიონ გაბაშვილს. ხოლო ბლიაძე იყო ნიჭიერი, მაგრამ მდაბიო
სოციალური ფენიდან გამოსული სახალხო მელექსე, მესტვირე. სა-
ყურადღებოა, რომ აკაკი წერეთელი თავის თავს სწორედ ამ
სახალხო მგოსან ბლიაძეს ადარებს³ (იერემიას გოდების გამო):

¹ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, H2130, გვ. 63.

² საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის № 2130H.

³ აკაკის რჩეული ნაწერები, II, (1926), 292; IV (1928), 89 (შდრ. აგრ. აკაკის შენიშვნა, IV, 89, სქოლიო).

მაგრამ მე რა მზჯის მიბაძვას?
 სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი!
 სად ჩემი სტვირი, სად მისი
 იერიქონის საყვირი?
 —ის მაღალ ჰანგზე ჰგოდებდა,
 მე ბლიაძურად გავეყვირი.

მაინცდამაინც, ბესიკის მამა ზაქარია დიდი პატივით სარგებლობდა თეიმურაზ მეორის კარზე. ის იყო დიდად განათლებული და განსწავლული კაცი. როგორც ცნობილია, ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა იმ ორტოდოქსალურ საეკლესიო ჯგუფს, რომელიც მკვეთრად წინააღმდეგა განთქმულ ანტონ კათოლიკოსს. ზაქარიამ შესძლო თავისი ავტორიტეტით თეიმურაზის დაყოლება და საეკლესიო კრებამ ანტონი თანამდებობიდან გადააყენა, ვითარცა კათოლიკობისადმი მიდრეკილი პირი.

მაგრამ ირაკლი მეფე სხვაგვარად აფასებდა ანტონის ნიქს. განათლებული ექს-კათოლიკოსი მეფეს თავისი სახელმწიფოებრივი იდეალების მომხრე პირად მიაჩნდა და ერთგულ თანამშრომელს ხედავდა ამ ანაფორიან ბაგრატიდში.

თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ირაკლიმ რუსეთიდან დაიბარა ანტონი და კვლავ ძველი თანამდებობა შესთავაზა. ეს კი ზაქარია გაბაშვილისა და მისი დასის აშკარა გამოწვევა იყო. ზაქარიას ბრძოლა მიუღია, მაგრამ უთანასწორო ომის პირობებში უცხო ძალისათვის მიუმართავს დასახმარებლად. ასეთ ძალად იმერეთი გამოჩენილა. ზაქარიას იქ დიდი თანაგრძნობა უპოვია როგორც საეკლესიო, ისე საერო წრეებში.

ჩვენამდე შენახულა ერთი დოკუმენტი, რომელიც ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. ესაა ღვანჩინება და მსჯავრი სამოციქულოდ ზემოჯსა საქართველოჯსა მამამთავრისა ანტონის მიერ და ეპისკოპოსთა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისს პალატსა საქათალიკოზოსა შეკრებულთაჯან ზაქარიასთვის ხუცისა და ვიეთთაჲმე მიმდგომთა მისთა ცხადად დამთრგუნველთა სჯულთა საღეთთა და მამათა კანონისათაჲ (წ. კ. ხელნ. № 3182).

ამ განჩინების აქტში, სხვათა შორის, წერია¹, რომ ზაქარია: „განიპარა სამეფოით საქართველოჯსითა სხვად სამეფოდ [ე. ი. იმე-

¹ ამ ამბებს ჩვენ იმდენად ვიხილავთ, რამდენადაც მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, კერძოდ, ბესიკის ბიოგრაფიისთვის.

რეთად, ა. ბ.] ესე გვარითარე სივერაგითა, ვითარმედ იტყოდა ურ-
ცხვინოდ რეცა მეფისაგან განტევეებასა თვისსა. წარვიდა სხვად სა-
მეფოდ ამისთვის, რათა ეკლესია საქართველოდსა კეთილ-
მსახურით მეფითურთ მწვალებელად, ესე იგი შემწყნა-
რებელად ლათინთა სარწმუნოებისა“ გამოეცხადებინაო.

განჩინება 1764 (ჩლად) წელს ეკუთვნის. მაშასადამე, ზაქარიას
იმერეთს გადასვლა ამის უწინარეს დროს უნდა მომხდარიყო, მაგრამ
არა უადრეს 1762 წლისა (ამ წელს დაბრუნდა კათოლიკოსი ან-
ტონი).

როგორც ჩანს, ზაქარიას ბრალდებოდა ირაკლის საწინააღმ-
დეგო ინტრიგების მოწყობაც. ეს ბრალდება უფრო მკაფიოდაა გა-
მოთქმული განჩინების პირველსავე მუხლში: „გამოჩნდა უკვე ჩვენსა
ამას ეპარხიასა შინა კაცი განმრყენელი ქრისტეს სავენახისა ზაქა-
რია უკვე ხუცესი... აღდგა [იგი] ცილის წამებად
კეთილმსახურსა ზედა მეფესა ჩვენსა და მამადმთავა-
რსა ზედა ჩვენსა“...

საეკლესიო კრებაზე ზაქარია ნებით არ გამოცხადებულა, მაშინ
«მოვიყვანეთ კრებად პურობილი»-ო—ამბობს განჩინება. შთაგონე-
ბითს ზომებს რომ არ გაუჭრია, კრებულს სასტიკი განაჩენი გამოუ-
ტანია „ოპოზიციონერების“ მიმართ: „ყოვლად უკეთურსა მას და
უსჯულოსა ზაქარია ხუცეს-ყოფილსა განკვეთილყოფთ წმიდისაგან
მღვდელობისა. შევაჩვენებთ, ვსწყევთ, შევეკავებთ ჩვენდა მოცემულთა
მღვდელმთავრობითითა ხელმწიფებითა...“

განკვეთთ ღიაკენობისაგან და შევაჩვენებთ შვილსაცა მისსა
იოსებს, ვითარცა მამისა თვისისა შემწყნსა... შევაჩვენებთ კურსაცა
მას ეშმაკისასა, მოწათესა მისსა ისაკსა..

წელსა 1764, თვესა ოკტომბერსა 18“.

საეკლესიო კრების განჩინებას იოსებ კათოლიკოსის მხრივ სა-
წინააღმდეგო შეჩვენება გამოუწვევია. და „შეიქმნა ჩვენსა და იმათ-
ში განხეთქილება და შფოთი“-ო, სწერს ზაქარია გაბაშვილი თავის
არზაში ასტრახნის ეპისკოპოსის სახელზე.

ჯერ კიდევ მოხსენებული განჩინების გამოტანამდე ბრძოლას
მწვავე ხასიათი მიუღია და, სხვათაშორის, ლიტერატურული პაექრო-
ბის საგნადაც გამხდარა. ვინმე ურია-ყოფილ დავით მღვდელს მოზრ-
დილი პასქილი გამოუთქვამს ზაქარია ხუცესზე (წ. კ. ხელნ.
№ 1511, გვ. 969—973):

ზაქარია გაბაშვილი უწინ იყო რის მოქმედი?

მან ჰგმო ანტონი მეფის-ძე, მისი კეთილის მოქმედი,

ემშაკებსა გაეზრახა, მათ ექმნა წინამორბედი,
განსუქნა და განსსეა, განზრქნა, დაუტევა შემოქმედი.

ვერ ვნახეთ მისებრივ კაცი ურცხვი, პირმიუტეხელი,
ძმათ მოძულე, დამკარგავი, ქართველთა მკვდართა
მკრეხელი;
სისხლის სმითა გაბერილი, წალმართ-უკულმართ მბედველი,
ვინც მოატყუის—იამის, იუღებრ ვეცხლის მხკეპელი.

«მოძღვრის ერთგულთა ვიეთმე» უწმაწურობით სავსე პასუხი
შეუთხზავთ (№1511, გვ. 973—974):

უროიათ გვარო, შემცდარო, თაქთაქთგან გამონაცემო,
არკადის ნაპალურევო, ბაქკაშვილისგან ნაცემო;
ლანძღვის არ დასაჯერებო, ჯოხით და კეტით საცემო,
პოჰკვეთე, დავით, შენ შორის ეგ ვირის შესასაცემო.

შენებრ გიჟი არ მინახავს არცა ყმა და არცა ბერი,
ზაქარია როდის მოგცემს, თავრიზს ჰპოვე შესათერი¹...

¹ ფრიად საყურადღებოა, რომ ამ უწმაწური ლექსის ავტორი შესაძლებელია ყოფილიყო ცნობილი სატირიკოსი ჭაბუა ორბელიანი (რომელსაც შემდგომ საკმაოდ მწეავე ურთიერთობა შეექნა ბესიკთან).

უთუოდ მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტექსტის შემდეგი ტაქები:

დავითს უჩივის გინებას ორბელიანი ჭაბუა,
ამბობს: მტრად გარდამეკიდა იუდიანთა რაბუა;
გვეტყვის: მიხედეთ, რასა ჰგავს, ბუიოტია, რა ბუა!

ბერსა ხოჯას და ჭაბუას გეწადს, დავით, შენი
ყივნება,
ბერჯელ გინახავს ახრუმში შენი ფალაუნად რკინება...

უკანასკნელი ტაეისათვის დამახასიათებელია უშუალო მიმართვის ფორმა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ჭაბუა ორბელიანი ზაქარია ხუცის მოწაფე ყოფილა (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 242, შენ.). ყოველ შემთხვევაში უდაოდ ცხადი ხდება, რომ ჭაბუა ორბელიანს, მაინცდამაინც, ზაქარიას მხარე სჭერია.

აღსანიშნავია ისიც, რომ პაექრობას თვითონ ზაქარიაც გამოხმაურებია. ამის ნაყოფია მისი ცნობილი სატირა ანტონ კათოლიკოსზედ «კატის ომი» (დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“, II, 232—237).

* * *

საეკლესიო კრების განჩინების გამოტანის შემდეგ ყოფილი მოძღვრის მდგომარეობა უნუგეშო შეიქნებოდა (სამეფო კარიდან კი ის, ალბათ, აღრიდანვე იქნა გაძევებული). ყოველ შემთხვევაში, ზაქარიას საშუალება მისცემია ქართლში დარჩენილიყო და მონანიებას შესდგომოდა. განჩინებაც შეიცავს ამის დასტურს: „უკეთუ მოვიდენ სინანულად... შევიწყნარებთო“. მაგრამ ზაქარია გაჯიუტებულია: „მიერთგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედი“ გამხდარა.

მაშინ კი მოთმინებიდან გამოსულ მონარქს გათავხედებული ხუცესი სრულიად გაუძევებია თავის სამფლობელოდან. ეს ამბავი 1767 წელს მომხდარა. ჩვენ მოგვეპოვება ამ საგანზე ირაკლის ოფიციალური მიწერილობა ყიზლარის კომენდანტ გენერალ-მაიორ პოტაპოვთან (სიმოკლისა და ინტერესისათვის. დოკუმენტი მთლიანად მოგვაქვს):

უწყება ესე ჩვენგან—ვითხოვთ, რათა მოისმინოთ!

ხუცესი ვინმე სახელით ზაქარია, ნათესავით გაბაშვილი, ჩვენისა სამეფოხსაგანი, ბოროტ განმსჯელი და უუკეთურესსა ზედა გზასა დადგრომილი, მისმან უწმიდესობამან მამათმთავარმან ჩვენმან და ეპისკოპოსთა სამეფოხსა ჩვენისათა შეკრებით შეაჩვენეს და ყოვლისაგან მადლისა განაშიშვლეს წელიწადსა ჩლდდ [1764], თთვესა ოქტომბერსა იმ [18] ქალაქსა ტფილისს.

და ოდეს იგი შეიჩვენა, მიერთგან უუკეთურესთა საქმეთა მოქმედი წელიწადსა ამას ჩლმზ [1677] განვაგდეთ სამეფოხთ ჩვენით და გვესმის, რომელ ყიზლარ ქალაქად მისრულ არს, რომლისა ქეშმარიტი უწყება მოგართვით თქვენსა ზეაღმავლობასა. ნუ შევიწყნარებთ მას ვითარცა ქრისტიანესა, ამად რომელ ყოვლისაგან ქრისტიანეთადლისა შიშველ არს.

მეფე ირაკლი¹.

ანალოგიური მიწერილობა—ანტონ კათოლიკოსსაც გაუგზავნია. საეკლესიო ხაზით (იქვე).

ოფიციალური დოკუმენტებიდან არაფერი ჩანს ზაქარიას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ შეჩვენებისა და გაძევების აქტებთან

¹ წ. კ. კოლექციის ხელნაწერი № 3182..

დაკავშირებით, ხოლო ასტრახნის ეპისკოპოსისადმი მირთმეულ არზაში ზაქარია თვითონ აცხადებს: „სახლი და კარი წამართვეს“-ო. ასეთი სასჯელი თითქოს ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მსგავსი დანაშაულისათვის.

როგორც ირაკლის წერილიდან ჩანს, ზაქარიას რუსეთისაკენ უქნია პირი. საეკლესიო წრეების გარდა ნამოძღვრალს დასახმარებლად მიუმართავს ირაკლის მოქიშპე ემიგრანტულ ბაგრატიონებისათვის, სახელდობრ, ვახტანგ მეექვსის შთამომავლობისათვის.

ჩვენამდე მოღწეულია „ნამოძღვრალის ზახარია გაბაევის მიერ მიწერილი ასტრახნით მოსკოვს მათისა უგანათლებულესობისა მეფის ვახტანგის ძისა გიორგისადმი“. ამ წერილის ერთი ცალი თვითონ ბესიკის მიერაა გადანუსხული¹.

ეს წერილი ერთსადიამავე დროს ქებასაც წარმოადგენს და არზასაც. აქ ზოგი მეტად საინტერესო ცნობა გვხვდება:

წიგნი დადევს ქუფრი-ბინდი, მითხრეს: „ალიარე ინდი, ფრანციცულად გალილინდი, თორემ გაგცრკვით ვით სიმინდი!“

პაპის სჯულზე მე შეეწყინდი, იყო სულის წარმაწყმინდი, მითხრეს: „რადგან დაგვიყინდი, ოვსეთის მთას გადაფრინდი“.

მოიპარსა რა ნიკაპი, მით უარვჰყავ დიდი პაპი!
 აღმაფრინეს ვით რომ ლაპი, აღმათრივეს მწვირე ტლაპი;
 რაც მე ბადა, უყვეს ხლაპი, გამომამძეს შიშველ
 ღლაპი,
 ზეცას გადგან გვირგვინ-შლაპი, თუ წყალობა აღმასლაპი.

როგორც ჩანს, ზაქარიას ქონების კონფისკაციასაც არ დაჯერებულან და მისი ოჯახის წევრებიც წაუგვრიათ. ამავე არზაში ქვევით ვკითხულობთ:

მე მტირალს ქართლი გამომაარეს,
 ყვედრება-გმობა ზედ დამაყარეს,
 მე უღლის წართმას არ მიმაკმარეს,
 შვილნი რვანიცა ერთ-ქამ წამგვარეს,

¹ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პართულ ხელნაწერთა ფონდის № 79 (იხ. აგრეთვე საქ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის № 303 ა).

მყავ მწირი-მონა აქ შესაწყნარეს,
რათა გაგთქმიდენ მთასა და ბარეს.

ზაქარია გაბაშვილი მრავალრიცხოვანი წერილი შვილების პატარონი ყოფილა. მოხსენებულ რვა შვილში, ალბათ, უსააკონი უნდა ვიგულისხმოთ, თორემ უფროსი შვილი ოსე—როგორც ვიცით—მამასთან ერთად იქნა შეჩვენებული.

თავისთავად ცხადია, რაოდენ თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ზაქარიას ოჯახისათვის მომხდარი ამბები.

შესაძლებელია ოჯახის ნაწილი სამეფო კარზედაც გადაიყვანეს და ნიეთიერად უზრუნველჰყვეს, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, აფორიაქებული ცხოვრების პირობები ნამოძღვრალის ცოლშვილს თავის დაღს დაასვამდა.

ჩვენ განსაკუთრებით პატარა ბესიკის ბედი გვაინტერესებს, თორემ ოსე გაბაშვილი ასე გადმოგვცემს თავისი აღზრდის ბეჩავ სინამდვილეზე: „ერთი გლახაკი და უცხო და მწირი ობლობასა და სიღარიბესა და განსაცდელსა შინა აღმზარდა მამამან ჩემმან ზაქარია მოძღვარმან“¹.

თემურაზის გარდაცვალებისას (დაახლოვებით იმ დროს უნდა დაწყებულიყო ნამოძღვრალის მდგომარეობის შერყევა) 11 წლის ბესიკს პირველდაწყებითი განათლება მიღებული ექნებოდა. ზაქარიას ოჯახი ერთერთ უწარჩინებულეს ინტელიგენტურ კერას წარმოადგენდა მწერლობასა და მწიგნობრობაში დიდად დახელოვნებულს. თვითონ ზაქარიას და ბესიკს რომ თავი დავანებოთ, ოსეც ცნობილი მდივან-მწიგნობარი იყო და კალიგრაფი, ამასთან პოეტი და გრამატიკოსი. მდივან-მწიგნობარი ყოფილა ბესიკის მეორე ძმა ნიკოლოზიც. 1785 წლის ერთი საბუთი დაწერილია „ხელითა მწირისა ნიკოლაოს გაბაონელისათა“². ნიკოლიზის ძმობა დადასტურებულია ოსეს წერილობითი მოწმობით (მიმოწერა, 44). ზაქარიას ოჯახს უნდა ჰქუთვნებოდა 1816 წლის ერთი სიგელის გადაწერი

¹ ეს ნაწყვეტი ამოღებული გვაქვს ოსეს წერილების კრებულიდან ანა დედოფლის სახელზე. ეს კრებული ცალკე ანაბეჭდის სახით დასტამბული აქვს ს. კაკაბაძეს. მისი ნებართვით ჩვენ საშუალება მოგვეცა გვესარგებლნა ამ ძვირფასი მასალებით, რისთვისაც პ-ლ მკვლევარს დიდ მადლობას მოვხსენებთ.

² დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1921, II, 85.

დიაკონი გაბაონის-ძე დავითი¹. ოჯახის დანარჩენი წევრების შესახებ არაფერი ვიცით.

მართალია, პ. ბუტკოვი ბესიკის ძმად თვლის პოეტთან ერთად რუსეთში დიპლომატიური მიზნით მივლინებულ სვიმონ გაბაშვილს², მაგრამ, ოსეს გადმოცემით, სვიმონი მათი ბიძაშვილი ყოფილა და არა ძმა. ოსე ერთგან წერს ანა დედოფალს: „მერმეთ ჩემი ბიძაშვილი სვიმონ მოემზადებინა წამოსასვლელად ბესარიონის მაგიერად“-ო (მიმოწერა, 33). იონა რუისის მიტროპოლიტსაც იასაში ენახა: „ბესარიონ გაბაონი და სვიმონ, ბიძისა მისისა ძე“³.

მაინცდამაინც, ეს სვიმონიც ზაქარიას ოჯახის წრეს ეკუთვნოდა.

თვითონ ზაქარია მოძღვარი-მასწავლებელიც ყოფილა და, საფიქრებელია, შვილების აღზრდაზე პირადად იზრუნებდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბესიკის ბუნებრივმა ნიქმა შესაფერისი გამოვლინება პოვა.

ოჯახის მეთაურის შეჩვენება და საქართველოდან გაძევება, ცხადია, მძიმე პირობებში ჩააყენებდა ცოლშვილს და ბავშვების ნორმალური აღზრდის მსვლელობას შეაფერხებდა.

მამის გავლენისაგან თავის დასაღწევად, როგორც ვთქვით, ბესიკი დედითა და უსასკო და-ძმებით შესაძლებელია სასახლემშიც გადაიყვანეს, ყოველ შემთხვევაში, სასახლის ერთგვარ კონტროლს მაინც დაუქვემდებარეს.

ზაქარიას აღმზრდელობითი მეთოდი ბუნებრივად ორტოდოქსალურ-კლერიკალური უნდა ყოფილიყო, ახალ წრეში ბავშვი უფრო საერო ხასიათის ჩვევებს შეითვისებდა. შესაძლებელია, ძველი ეანგის ამოსახოცად ბესიკში განსაკუთრებით გააღიზიანეს სწორედ ანტი-კლერიკალური, ანტი-ეკლესიური ტენდენციები. სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი უშუალო ცნობები არ მოგვეპოვება ამ მხრით, ხოლო, ტრადიციული გადმოცემით, პატარა ბესიკს თითქოს ხელობად მიუჩნევია ბერ-მონაზვნების კილეა ლექსებით. ამაზე თურმე ბერებმა შემდეგი გამოთქკეს:

გაბაანდგან აღმობრწყინდა ახლად ეამად ანტექრისტე,
შე, დალოცვილო უფალო, ეს რა გამოგვიქოფიტი?

¹ რაკის ერისთავის-ძის დიმიტრის სიგელი № 7978H.

² Матрешалы, II, 184, прим.

³ მიმოსვლა, 111.

ჯოჯობებით აღუშენე, ხელთა მიე მისი კლიტე,
დაგვიხსენი ამის[ა]გან, უფალო იესო ქრისტე¹.

როგორც ჩანს, ბესიკს კარგად უნდა შეესწავლა სპარსული და თურქულ-აზერბაიჯნული. რასაკვირველია, ის მშვენივრად ყოფილა განსწავლული ძველ ქართულ მწერლობაში და, სხვათა შორის, თითქოს ზეპირად სცოდნია საბა ორბელიანის მთელი ლექსიკონი. იოანე ბატონიშვილი ამ საგანზე გვიამბობს: „მოუთხრობენ ამისთვის, რომელ სცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული“²—ო. უთუოდ საყურადღებოა, რომ ბესიკის ხელში ყოფილა ლექსიკონის ერთი საბასეული ავტოგრაფი, რომელიც პოეტს სპარსეთში მივლინებისას თან წაუღია და საკუთარი დღიურებიც ჩუროთავს ხელნაწერში.

ბესიკი მალე დაახლოვებია იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებას, მრავალი ერთგული და მოყვარული ტოლ-ამხანაგი შეუძენია უმაღლეს წრეებიდანაც. დავით ორბელიანი—ირაკლის სიძე, პირველი კაცი სახელმწიფოში, სარდალი და სახლთუხუცესი უინტიმესი გრძნობებით იყო დაკავშირებული ქაბუკ მგოსანთან. მოწინავე საზოგადოებასთან სიახლოვე გარკვეულ დაღს ასვამდა პოეტის აზროვნობასა და ფსიქიკას.

ბესიკს არ გაუწყვეტია დავით სარდალთან მიმოწერა შორეულ კრემენჩუკ-იასადანაც კი, პოეტის ელეგიური ტონები შესანიშნავად ესაღბუნებოდა შემდგომ აგრეთვე სასახლიდან გაძევებული სარდალის გულის ტკივილებს. სასახლის ფავორიტებისა და დარეჯან დედოფლის ინტრიგებით ირაკლი მეფემ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოაშორა ადრინდელ დროში მისთვის საყვარელი ასპინძის გმირი, ხოლო ბესიკმა ამის გამო მხურვალე გრძნობებით მიუსამძიმრა სარდალს «ცრემლთა მდინარით».

მარტო რაღა ღირს ამ ლექსის ორი გაბედული ტაეპი, სადაც არორაზროვნად დაგესლილია სასახლის ინტრიგანთა მთელი ხროვა:

ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან
გმირსა ქედასა დაგდვა საცილო!

¹ ეს ეპიზოდი ბესიკის თითქმის ყველა ბიოგრაფს (კიკინაძე, ხაზანაშვილი, გორგაძე, თორაძე და სხვ.) აქვს გადმოცემული.

² მცირე უწყება, 45.

ამაში აშკარად ისმის ბესიკის პოლიტიკური განწყობილებისა და პატრიოტიკის ხმები...

მეგობრული ინტიმობით ყოფილა ბესიკი დაკავშირებული განთქმულ ლევან ბატონიშვილთან, რომლის დაკარგვა პოეტმა ლირიკულად გამოიტირა ვრცელ ელევია-ოდა «სამძიმარში».

ბესიკის მახლობელი ყოფილა მირიან ბატონიშვილი, ირაკლისძე კათოლიკოსი ანტონი (II) და სხვები. «ბესიკის მიმოწერა» ნათელს ჰფენს მის სიახლოვეს XVIII ს. პოლიტიკურ მოღვაწე სულხან ორბელიანთან (რასაკვირველია, ეს სხვა პირია, ვიდრე სულხან-საბა ორბელიანი).

უდაოა ბესიკის სიახლოვე ირაკლი მეორესა და გიორგი ბატონიშვილთან. ოღონდ არსაიდან ჩანს, თითქოს პოეტი ყუენის კარზე ყოფილიყოს გაგზავნილი ირაკლის დავალებით (როგორც ამტკიცებენ ჭიჭინაძე, გორგაძე და სხვები).

ბუნებრივი იქნებოდა ახალგაზრდა მგოსნის მეგობრობა იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციასთან. დავით რექტორი ამ წრის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო უთუოდ. გადარჩენილა რექტორის მეგობრული გრძნობით საესე რამდენიმე ბარათი ბესიკის სახელზე. ერთგან ის პოეტს წერს ჩვეული რიტორიკული «შტილითა»:

საყვარო ძმაო, სულითო მეგობარო,

ვერღა ველირსე შენთანრე განცდა-ხილვად,
შენნი მასურენ მშვიდობისა ჰამბავენი...¹

დამახასიათებელია ასეთი მიმართვა: „სულთა საწყურო, გულისა შენაყვარო“ (იქვე, 140). „მისს კეთილშობილებას გაბაონ მოძღვრის-ძეს, საყვარელ ძმას და მეგობარს ბესარიონს—შენი უსაკუთრესი ძმა და მეგობარი ალექსის-ძე დავით“ (195, 206).

და რომელი ერთი ჩამოვთვალო? მთელი მოწინავე ახალგაზრდობა ბესიკში პოვებთა საყვარელ ტოლ-ამხანაგსა და ერთგულ მეგობარს. გადმოცემით, პოეტი ახლო ურთიერთობაში ყოფილა „მდაბიო“, ლხინის მოყვარულ „ამფსონურ“ წრეებთანაც. მაგრამ, მაინცდამაინც, უმაღლესი არისტოკრატიული საზოგადოება შეადგენდა იმის იდეალს. ცდილობდა ამ საზოგადოების მანერების შეთვისებას, იყლინებოდა ამ საზოგადოების იდეური „ბაგაეით“.

¹ წ. ა. კოლექციის ხელნაწერი № 105, გვ. 127.

მართალია, მაღალი არისტოკრატიული საზოგადოებაც არ წარმოადგენდა ერთ მთლიან მასას, იქ ადგილი ჰქონდა ჯგუფურ ინტერესთა კოორდინაციას, დასობრივ შულსს. სასახლეების დამახასიათებელი ინტრიგის ქსელი ყველა კუნძულში იყო გაბმული. მრავალი გაიძვერა და საექვო ყოფაქცევის პოლიტიკოსი თვითონ დედოფლის საკუთარ აპარტამენტში პოულობდა მყუდრო თავშესაფარს და თბილ ბუნავს.

ბესიკის სასახლედ უნდა ითქვას, რომ მისი მეგობრები სასახლის კამარილის მოწინააღმდეგე კეთილშობილ პატრიოტთა დასს ეკუთვნოდნენ. მარტო დავით სარდლის პიროვნება რად ღირს ამ მხრით! ეს გულადი კაცი თავგამეტებით ებრძოდა სასახლეში ფეხმოკიდებულ ანომალიას. მაგრამ უსათუოდ ისიც აღსანიშნავია, რომ დავით სარდალმა სრულიად ვერ გაითვალისწინა ახალი დროის ისტორიული პერსპექტივი და ანტირუსული ორიენტაციის დროით ბრძოლა წააგო. ასეთ პირობებში ოსეთა ყორღანაშვილის მსგავსი მედროვეები იოლად ახერხებდნენ მდიდარი ნაყოფის მოსთვლას. ხოლო დავით სარდალი კეთილშობილი კონსერვატორის როლში იძულებული გხდა გზა დაეცალა.

დავით სარდლისადმი მიძღვნილი ბესარიონ გაბაშვილის „ასპინძის ომზედ“. ეს პატარა პოემა შეიცავს საუცხოო ეპიურ ფონზე ასახულ დავითის გმირული პიროვნების ზვიად ქებათა-ქებას. თხზულების უკვე პირველი შესავალი ტაეპი საზღვრავს ქება-პოემის მთელ იდეურ სარჩულს:

ასპინძის მიწა გიწამებს...

საოცარი სიღრმით და მხატვრული ძალით გადმოუცია ბესიკს ძველი ქართული ხმალის ეს უკანასკნელი ძლიერი გაელვება ასპინძის ველზე. სხვათა შორის, ასპინძის ომში პირველად მოხდა რუსული კურსის ცხადი გამოცდა. ამდენად ამ განთქმულ ბრძოლას დიდი ისტორიული დემონსტრაციის მნიშვნელობა მიეცა, განსაკუთრებით თანამედროვეთა თვალში. როგორც ცნობილია, მეფის რუსეთმა აქ შეირცხვინა სახელი. ბნელი წარსულისა და არა ნაკლებ საექვო აწმყოს ნქონე გენერალმა ტოტლებენმა ცუდად ამხილა რუსული კურსი. ამ გარემოებამ ბევრ ურწმუნო თომას შემატა ძალი, ეჭვი დაბადა რუსული ორიენტაციის თვითონ ზოგიერთ მომხრეთა შორის, ხოლო დიდი აღშფოთება გამოიწვია აშკარა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. დავით სარდალი, ვგონებთ, უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ირაკლის სტრატეგიულმა ნიქმა და დავით სარდლის უზომო სიმამაცემ საშინელი კატასტროფისაგან იხსნა ქვეყანა. ბესიკის პოემა სარდლის

რანდობით არის შთაგონებული. შემდგომ მაინც რუსული ორი-ენტაციის თავგამოდებული მოსარჩლე პოეტი „ასპინძის ომში“ და-უზოგავად ამხელს ტოტლებენის ვერაგ საქციელს:

ვაი, მას დღისა მომხსენმან ვითარ ვინ რით განვაქიქო?!

ცილი დასდევს მეფეს რუსთა; ჩვენთვის კეთილს არა იქო!

ღრაფი ჯარით გამობრუნდა,—მით სახელი ვერა იქო,—

სხვა პასუხი არვის მისცა: სითაც მოველ, წავალ იქო.

ბესიკს ატყვევებს და ახარებს დავით სარდლის მამაცური თავგამე-ტება, პატრიოტული გზნება და პერსონალური გულადობა. ბესიკი დავით სარდლის რანდული ხმლის მოტრფიალეა. დავით სარდალი ბესიკს აგონებს ძველ საქართველოს გმირული სულის გახმაურებას.

უმნიშვნელო როდია, რომ დავით სარდალი და სახლთუხუცესი იყო იმავე დროს გრძნობიერი პოეტი და განათლებული მწიგნობარი, ავტორი ლამაზი მუხამბაზებისა და განთქმული „ყარამანიანის“ გადმომღებელი ქართულ ენაზე. ტყუილად კი არ უწოდებს სარდალს ბესიკი „ყარამან დავითს“. მწერლობის სიყვარულიც, ალბათ, დიდად აახლოვებდა XVIII საუკუნის ამ ორ დიდ ადამიანს.

*

ნაზი და გულთბილი მეგობრულ გრძნობებში, ბესიკი მოური-დებელი და დაუნდობელი იყო ყოველი მოწინააღმდეგის მიმართ. ძლიერი და გესლიანი სიტყვა-პასუხით ბესიკი მკვეთრად ესხმოდა მოპირდაპირის ყველაზე უფრო მტკივნეულ მხარეს. განსაკუთრებული სიმწვავეთ ჰკილაეს ბესიკი თავის ლიტერატურულ მოპაექრეს, ცნო-ბილ მზექაბუჯ, ან, უბრალოდ, ჭაბუა ორბელიანს. ჭაბუა უაღრესად საინტერესო პიროვნება ყოფილა. ის იყო სახელმოხვეჭილი პოლიტი-კური მოღვაწე, მდივანბეგი, მსწავლული ბრძენი, ფილოსოფოსი, პოეტი, ანეგდოტისტ-სატირიკოსი, პედაგოგი. გარეგნობით—ფრიალ მახინჯი, კუზიანი, უშნო, შესაზარი. ხასიათით—მყარალი, უხეში, ამა-სთან გაბედული, პირდაპირი, პატივმოყვარე ავადოპამდე. როგორც პოეტი-სატირიკოსი, ჭაბუა იყო მახეილგონიერი და მწვავე სიტყვის პატრონი. ბოროტი და შხამიანი სატირული პამფლეტებით ის თით-ქოს ღინს იკლავდა თავის ფიზიკურ ნაკლზე.

და იყო ერთი პოეტური ციებ-ცხელება, ბასრობა, კილვა, უწმაწური სიტყვების კორიანტელი. პაექრობაში ჩაბმული იყო მთელი იმდროინდელი მადალი საზოგადოებრიობა, სასახლის არისტოკრატია, დიდუცობა, ქალი თუ კაცი. გაშიილება, ლექსით გაჯიბრება გარ-თობის ერთერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა. არცერთი ლხინ-მეჯლიში, თუ დარბაისლური შეკრებილობა, არ აცდებოდა ამ

გზას. მეფის სასახლეში მოკალათებულ უსაქმო არისტოკრატთა წრე უფრო გამაღიზიანებელ სახუმრო, თუ საკილავ ნომრებს ითხოვდა პოეტებიდან. უბოროტო იუმორისტულ ხაზით ნათქვამი სიტყვა ხშირად იღებდა მკვეთრი დაცინვის სახეს. ჩაღვებოდა შეუწონავი, ტონით მაღალი, აზრით მდაბალი, შემპარავი და მჭირდავი სიტყვების დოლი. მადაზე მოსულ საზოგადოებას უფრო ახალისებდა მეტი სიმწვავე, უწმაწურობა, უტიფრობა. ამ თავისებურ პაექრობაში პირველობა მუდმივ რჩებოდათ ბესარიონ გაბაშვილს, ცუკიად წოდებულ დავით რექტორ ალექსიშვილს და საყოველთაოდ ყბადაღებულ ფილოსოფოსს, მზეკაბუკ ორბელიანს. ნაგრამ ვაი იმას, ვინც ბესიკს კბენდა! დაუზოგავი და ენამახვილი ბესარიონიც ამას უცდიდა. შეუდარებლად ძლიერ პოეტურ სახეებში აქვს ბესიკს აღბეჭდილი ქაბუას კილვა:

დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულლაღარაო,
 ეშმაკთ ბუდეო, ბექმრუდეო, კერპთ საღარაო,
 არ-უზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
 ხილვად საშიშო, გულმავიშო, გარსა გარაო,—
 • მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო.

გამანადგურებელ ირონიად ჟღერს მოტანილი სტროფის ბოლო ტაეპი („მე შენი ქება მომენება“), მაგრამ ეს მხოლოდ პრელუდიაა. სარკაზმის შხამი უფრო მატულობს შემდეგ სტროფებში. მეორე სტროფში ეკითხულობთ:

ბექ-მკერდი, კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,
 გვერდი, კისერი, პირის ფერი გონჯად დანართი,
 უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი:
 სჯობს დაიკარგო, იმაღვოდე, მოგესხას ღართი,
 ეს მიკვირს: სახლში რად გიშვებენ, მეტიჩარაო!

ირონიული გესლის სიმწარე კულმინაციურ წერტილს აღწევს მესამე სტროფში:

სამართალია, არ ღირს იყო მაგ სახელისა,
 რადგან გიწვრთნია სიცრუე და ქცევა მელისა,
 შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა,
 შენმა გახეთქამ, ეშხი მოჰკლავსთ შენის წელისა!

ქაბუას სხვა არა დარჩენოდა რა, ის უკბილო მასხრობით ცდილა შთაბეჭდილების შენელებას და პასუხის აცილებას. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ირაკლის შეკითხვაზე, თუ რატომ არ პასუხობს ქაბუა ბესიკის ამ კილვას, ქაბუას უთქვამს: ბ ლ ი ა ძ ე ს რ ა ლ ე ქ ს ი გაეწყობაო. და პაექრობაც ამით დასრულებულა.

გესლიან სარკაზმებთან ერთად ბესიკს ბევრი უწერია სუბუქი სახუმრო ლექსები. ამ მხრით საყურადღებოა კრემენჩუკის დროინდელი შემოქმედებითი ფაქტები (ზმები, შაირები, იუმორისტული ლექსები და სხვ.).

* * *

ამდენხანს ჩვენ ვლაპარაკობდით ბესიკის მოღვაწეობაზე თბილისის პირობებში. მაგრამ ისტორიულად ცნობილია, რომ პოეტს არ დასცალდა იქ დიდხანს ყოფნა. შედარებით ადრევე ვხედავთ მას იმერეთში. საძიებელია როდის გაუწყვეტია პოეტს კავშირი ირაკლის სასახლესთან და რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი.

ტრადიციული გადმოცემით, ბესიკის ქართლიდან წასვლარომაწული შემთხვეულობით უნდა აიხსნებოდეს. ამის გარშემო ლეგენდარული თქმულებაც კი არის შექმნილი.

გარეგნულად მომხიბვლელი სახის პატრონი ბესიკი თურქე ძალზე დაუახლოვდა სამეფო გვირგვინის წივერ ქალებს, ისინი ანებივრებდნენ და გულის მესაიდუმლედ იხდიდნენო მგოსანს. თეიმურაზ მეფის ასული, დაქვრივებული ანა თითქოს სიყვარულის გრძნობამაც კი შეიპყრო პოეტის მიმართ (ალ. ხახანაშვილისა და მ. ჯანაშვილის აზრით, ეს ანა უნდა ყოფილიყო ირაკლის ასული). ამბის გამჟღავნებას ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია სასახლეში და ბესიკი დაუთხოვიათ. უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი პოეტი თურმე აყვა ქალაქის ბოგანო ტრუბადურულ წრეს (ე. წ. ყარაჩოღლელ აშულებს) და ღვინოსა და ტკბილ ბაიათებში ახშობდა მწუხარე განცდებს. აშიკი ქვრივი კი დასასჯელად მონასტერში გაგზავნესო. ერთხელ თურმე მიჯნურმა პოეტმა სასახლეს ჩაუარა, აივანზე შვეებში გამოწყობილი ორი მოლოზანი შეამჩნია, ერთ მათგანში გულის ტრფიალი იცნო და ამ შემთხვეულობას «შაენი შაშენი» მიღძღვნა. ლექსი ჩქარა გავრცელებულა და ამ ამბავს ირაკლის ყურამდე მიუღწევია. შეურაცხყოფილი მეფე შეურაცხმყოფელ პოეტს სამაგალითო დასჯას უპირებდაო (მეტეხის ციხიდან მტკვარში გადაგდებას). ბესიკმაც დაუყოვნებლივ დატოვა ქართლის საზღვრები და იმერეთის ტახტს შეათარა თავიო.

ასეთია ლეგენდის სქემატიური სახე¹.

¹ ამ ლეგენდიდან დოკუმენტურად მტკიცდება მხოლოდ ის, რომ ბესიკის ტრფობის ობიექტი ყოფილა ვინმე ანა დედოფალი. ამისათვის უძღვნია პოეტს თავისი ცნობილი ლექსი ანა დედოფალსა (ანას ვინაობაზე ქვევით).

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით—წერდა ს. გორგაძე, ბესიკის საუკეთესო ბიოგრაფი—რომელ წელს დაიწყო ქაბუჯის მგონისა და ქვრივის ბატონიშვილის რომანი. მაგრამ, ცხადია, იგი ვერ დაიწყებოდა 1772 წლის უადრეს, რომელსაც ეკუთვნის ანა ბატონიშვილის დაქვრივება, და ვერც 1779 წლის უგვიანეს, როდესაც ბესარიონ გაბაშვილი, ამ რომანის გამო, უკვე ქართლიდან ჩანს განდევნილი და იმერეთის მეფისაგან სპარსეთში იგზავნება საიდუმლო მინდობილობით. ერთი სიტყვით, ეს რომანი მომხდარა 1772 და 1779 წლებს შორის“-ო¹.

ეს შეხედულება დიდხანს იყო უკრიტიკოდ მიღებული. სკეპტიციზმი ამ მხრივ გამოიჩინა პროფ. კ. ქეკელიძემ, რომელმაც ისტორიული საბუთებით დაამტკიცა, რომ თეიმურაზის ასული ანა ვერ იქნებოდა ბესიკის ტრფობის საგანი². პროფ. კ. ქეკელიძის მოსაზრებებს ს. გორგაძეც დაეთანხმა და გამოაცხადა, რომ: „ანა ბატონიშვილის შესახები ტრადიცია საბოლოოდ უკუგდებულად უნდა ჩაითვალოს“-ო³.

მართლაც, უდაოდ ცხადი გახდა, რომ დიმიტრი ორბელიანის ნაქვრივალი ანა ბატონიშვილი ვერ იქნებოდა ბესიკის სატრფო, ხოლო ირაკლი მეფეს ქალი ანა სულაც არ ჰყოლია (ანა ერქვა გიორგი მეცამეტის ერთერთ ქალიშვილს).

პროფ. კ. ქეკელიძის შენიშვნები იყო ნეგატიური ხასიათისა, პოზიტიური ძიება ისევ ს. გორგაძემ იკისრა. 1927 წელს მან გამოაქვეყნა პატარა წერილი «ერთი სადავო საკითხის გამო ბესიკის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან» (ქართული მწერლობა, 1927, II, 81-84). ს. გორგაძე აქ შენიშნავს, რომ ამიერიდან ანა დედოფლის ვინაობა უნდა მოძებნილ იქნას: „არა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, არამედ სულ სხვა ალაგას და სხვა საგვარეულო წრეში“-ო (82). მკვლევარმა კონკრეტულადაც კი დაასახელა სათანადო პირი, იმერთა მეფე დავითის (მეორის) ცოლი ანა, ორბელიანთა ასული: „სწორედ ამ პერიოდში [როცა ბესიკი იმერეთში იყო გადახიზნული] იმერეთის სამეფო კარზე მოიპოვებოდა პირი, რომელსაც, როგორც წლოვანობით, ისე სოციალური მდგომარეობით, ბესიკის თანამედროვე ქალთა შორის, ყველაზე მეტად შეეფერებოდა ეპითეტები: «კოკობი ვარდი», «პაწაწინა» და

¹ ბესიკი, 1912, გვ. X.

² ქართ. ლიტ. ისტორია, II, 476.

³ ქართული მწერლობა, 1927, II, 84.

«დედოფალი». სახელდობ, ეს გახლდათ იმერეთის მეფის დაეითის (II) მეუღლე, მათე ორბელიანის ასული, ანა დედოფალი¹, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, ე. ი. როცა ბესარიონ გაბაშვილს იმერეთის სამეფო კარზე დიდი და პასუხსაგებელი თანამდებობა ეპირა, სულ რაღაც 17 თუ 25 წლისა იქნებოდა, მეტის არაა². ს. გორგაძის ეს ახალი მოსახრება უთუოდ დამაჯერებელია, მაგრამ—მეორე მხრივ—სრულიად უპასუხო დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ბესიკის ქართლიდან განდევნა.

სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, თუ როდის ჩავიდა პოეტი პირველად იმერეთში. ზაქარია, როგორც ვიცით, 1767 წელს გაუგდია ირაკლის ქართლიდან, მაგრამ ის მარტოხელად გარდახეწილი ჩანს³. ამასთან ნამოძღვრალი პირველად რუსეთს ეწვია და შემდეგ გაბრუნდა იმერეთისკენ.

ჯერჯერობით ცნობილ თარიღებში, რომელიც კი ბესიკის იმერეთში ყოფნას აღნიშნავს, ყველაზე უფრო უქვეყლად კვლავ 1779 წელი ითვლება (ამ წელს გაგზავნილა ბესიკი სპარსეთს სოლომონის დავალებით).

ამჟამად წავაწყდი დავით რექტორის ბესიკისადმი მიმართულ ერთ თარიღიან წერილს, რომელსაც ჩვენი საკითხისათვის რამდენიმედ ეძლევა მნიშვნელობა. ეს წერილი 1775 წლის ოქტომბრის 25-ით თარიღდება და ამგვარად იხურება: „შენცა იყავ ოდესმე, რომელი ურვისა მიწათა გლოვისა მოლთა აღმოამწვანებდი, მე ქირისა გუშაკობითა სამოვნონი ვერა მოვიგენ, სხვათა რასალა ხელნი წარვაწოდნი!

სადა იყო მაცნობე და ვითარისა* ყოფითა მაუწყე, ნუ ოდეს იურეებ—ეს არი ონესა* გვარიანსა ამხედრებული ვინა იხილო, სამაგიერონი წერილნი ნიშთამოვნენ.

თქვენი ძმა და მეგობარი ალექსის—ძე დავით⁴.

რიტორიული ენაწყლიანობით სავსე ამ წერილით დავით რექტორი თხოვს ბესიკს, აცნობოს თავისი ვითარება და აღვილსამყო-

¹ ხაზი ავტორისაა, ა. ბ.

² დასახელებული შრომის გვ. 83-84.

³ სხვათა შორის, იმერეთის ერთერთი საეკლესიო საბუთი 1766 წლის თარიღით ვინმე «ზაქარია ქართლელ ბერს» დაუწერია (დას. საქ. საეკლ. საბუთები, II, 30), მაგრამ საეკლესიო ეს რომ ზაქარია გაბაშვილი ყოფილიყო. უკანასკნელს 1764-1767 წლები (გაძეგებამდე) ქართლში უნდა გაეტარებია. ეს დრო მონანიგბისთვის ჭკონია მისჯილი, როგორც თავის არხაში აცხადებს: „პირველად ჩემზე განაჩენი დაწერეს [1764 წელს]... სამ წელიწადს და ნახევარს აღსარებას ნურავის ათქმევინებს“⁴.

⁴ წ. კ. კოლექციის ხელნაწერი № 105, გვ. 197-198.

* გახაზული ნაწყვეტები იძლევა ზმას: დავით—ბესარიონ.

ფელი. რექტორს იმედი არ აქვს პოეტის პირადი ხილვისა და «სამაგიერონი წერილნი» რომელიმე მგზავრის საშუალებით მომავლოდო, აფრთხილებს.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მოხსენებული დროისათვის მანც ბესიკი აღმოსავლეთ საქართველოში არ უნდა ყოფილიყო. მასასადამე, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ დაახლოვებით შეგვიძლია განვსაზღვროთ პოეტის ქართლიდან გაძევების თარიღი. ესაა 1775 წელი.

ამ საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია ბესიკის ერთი გვიანდელი წერილი ქაბუა ორბელიანის მიმართ (ბესიკი, გვ. 82-87). წერილი გაგზავნილია კრემენჩუკიდან 1788 წლის მაისის 12-ს. სხვათა შორის, იქ ორჯერ დამოწმებულია „თორმეტი წელი“, რომელიც რაღაც საბედისწერო მზღვრადაა მიჩნეული ბესიკისა და ქაბუას ურთიერთობის საქმეში. წერილი ძლიერი მომნანიებელი კილოთია დაწერილი. დასასრულ აღნიშნულია: „გვიმით მიძინებულსა. ათორ წლის მკედარსა განგაღვიძებ აღდგინებად ჩემთა სულთა. და გულთა საწადილოსებ“ო. ჩვენი აზრით, ამ თარიღით პოეტი უნდა ანგარიშობდეს ქართლიდან გაძევების მომენტს. მაშინ ბესიკის გაძევება კონკრეტულად 1776 წლით განისაზღვრება (1788—12=1776). ეს კი საერთოდ ემთხვევა სხვა გზით წარმოებული ძიების შედეგს. ამრიგად, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ბესიკის ქართლიდან გაძევებას ადგილი უნდა ჰქონოდა 1775—1776 წელს. მაშინ პოეტი 24—25 წლის ვაჟაკი იქნებოდა.

ბესიკის ქართლიდან წასვლასთან დაკავშირებით კვლავ უნდა დაუბრუნდეთ პოემას „ასპინძის ომზედ“. როგორც აღნიშნული გვაქვს, „ასპინძის ომზედ“ დავით სარდლის ზვიადი ქებათა-ქებაა. მეფე ირაკლი პოემაში თითქმის სრულიად არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ძალზე დაჩრდილულია მისი პიროვნება, მიჩქმალულია მისი ამაგი. პოეტი თითქოს განზრახ ხაზს უსვამს დავითის ღვაწლს, ხოლო მამაკი მეფის დამსახურებას ღუმილით უვლის გვერდს. ეს ტენდენციური ღუმილი დემონსტრაციას უდრის. პოეტი ამით ცხადლივ ამქდავენებს ირაკლი მეფით უკმაყოფილების განწყობილებას.

უკვე აქედან ცხადი იყო ბესიკის ყველა გამომცემლის (ჩუბინაშვილის, ჭიჭინაძის, თაყაიშვილის, გორგაძის, თორაძის და სხვ.) ისუხეში შეცთობა, რომ პოეტს მიაწერეს მირიან ბატონიშვილის მიერ კრემენჩუკში შეთხზული ლექსი „ირაკლი მეფის ქება“.

თუ ამ ხოტბას ბესიკისეულად ჩავთვლიდით, პოეტი ან ცხადშარლატანად უნდა მიგვეჩნია, ან უპრინციპო ოინბაზად. ამ გარემოებისათვის არცერთ მკვლევარს დღემდე ყურადღება არ მიუქცევია.

სპეციალურ წერილში «ტექსტისათვის» ჩვენ გარკვეული გვაქვს როგორი გაუგებრობით მიაწერეს ბესიკს ჩვენთვის აქამად საყურადღებო ლექსი¹, ამიტომ ამ საგანზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ბესიკის მთელი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ქართლიდან წასვლის შემდგომ ირაკლის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ირაკლის ტახტიდან განდევნის მიზნით ბესიკი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ერთ დიდ პოლიტიკურ შეთქმულებაში... უკანასკნელ ბესიკის დიპლომატიური საქმიანობაც აშკარა მიზნად ისახავდა ირაკლისა და საერთოდ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ზიანს.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ის საიდუმლო მოხსენება, რომელიც 1790 წელს პოტიომკინისათვის მიუერთმევია «კნიაზ ბესარიონ გაბაონელს²». ეს რუსთატურად შედგენილი დოკუმენტი ირაკლის პოლიტიკურ დაბეზლებას შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მოხსენების ავტორი ერთხელაც კი არ ასახელებს პირდაპირ ირაკლის ან ქართლის სამეფოს, თუმცა ყოველ სტრიქონში ამისი გაბიპრუება არის ნაგულისხმები. რასაკვირველია, ეს დოკუმენტი ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის ნაყოფია. პოეტი, როგორც ოფიციალური პირი, იმერეთის სამეფო კარის დირექტივების მიხედვით მოქმედებდა; ამიტომ მის ზნეობრივ მხარეს ოდნავადაც კი ვერ მოსცხვებს ჩირქს მოხსენების ამ თვალსაზრისით განხილვა, მაგრამ—როგორც უნდა იყოს—ბესარიონ გაბაშვილი შეგნებულად იღვწოდა ქართლ-კახეთისა და ირაკლის სააუგოდ.

მფარველობის საძიებლად ბესიკს იმერეთისათვის მიუმართავს. მიუხედავად ფორმალურად კეთილმეზობლური განწყობილებისა, იმერეთის სამეფო არსებითად ანტიქართლური ელემენტების თავშესაფარს წარმოადგენდა (ქართლიც სამაგიეროს უხდიდა იმერეთს). აქ პოვა მყუდრო ბინა სამფლობელო ჩამორთმეულმა ქსნის ერისთვისშვილმა ელიზბარმა. აქ მომზადდა ის პოლიტიკური შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ირაკლის ტახტიდან გადაყენება და მის სანაცვლოდ ვახტანგის შთამომავლობის გაბატონება. სხვათა შორის, აქვე პოვა თავშესაფარი ქართული ეკლესიიდან გარიცხულმა და შეჩვენებულმა ბესიკის მამამ, ნამოდღვრალმა ზაქარია გაბაშვილმა და მრავალმა სხვამ...

ბესიკის მარშრუტი (სპარსეთის მიმართულებით) ცხადად ამჟღავნებს ირაკლის საზიანოდ გადადგმულ მოფიქრებულ ნაბიჯს. ყო-

¹ ბესიკი, გვ. 175—176.

² იქვე, გვ. 105—107.

ველივე ეს კი უეჭველს ჰყოფს, რომ პოეტის ქართლიდან წასვლანებაყოფლობითი არ უნდა ყოფილიყო, ის რაღაც დანაშაულობისათვის გაუძევებიათ ქართლიდან. მართლაც, «ცრემლთა ისარნი»ს კომენტარიაში დავით რექტორი პირდაპირ ამბობს: „ბესარიონისაგან თქმული... ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისით განდევნილ იქმნა იმერეთად“ო, ხოლო სხვა ხელნაწერები ამ შემთხვევაში გამოთქმად ხმარობენ «ექსორიობას».

«ცრემლთა ისარნი» მრავალმხრივ არის საინტერესო. უპირველესად ყოვლისა, ეს ლექსი პოეტის გაძევების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ არის დაწერილი და მშვენივრად ასახავს პოეტის ლირიკულ განწყობილებას ამ ფაქტთან დაკავშირებით.

«ცრემლთა ისარნი» სპეციალურად პოეტის ტოლ-ამხანაგთადმი არის მიმართული:

როს გვაგონდებით, შევლონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა კიდეგანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო...

ტოლმეგობრების დაშორება, უცხო ქვეყანაში ხეტიალი უნდოდ, უაზროდ, ყარიბი ყოფა—სიცოცხლის დღეებს უმწარებს პოეტს. «ცრემლთა ისარნი»და დაჩჩენია მას გულის საოხად და თავდავიწყებით ითხოვს შეწყნარებას:

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი ქირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით, გავიგარენით...

ამ სტროფში და მთელ ლექსში დიდ მხატვრულ შთაბეჭდილებას ტოვებს მოულოდნელობითა და მოხდენილობით საესე ტროპი «ცრემლთა ისარნი». ეს გაბედული თქმაც არის და ლამაზიც. ამით ბესიკმა დაარღვია ტრადიციული მეტაფორა «ცრემლთა ფონები», «ცრემლთა ტბა», «ცრემლთა ზღვა» და სხვ. (უნდა ითქვას, რომ მსგავსი ფიგურები ბესიკის პოეზიაშიც მოიძებნება...).

მძლავრ პოეტურ სახეებშია გადმოცემული პოეტის ხვედრი, სამკვიდროთგან გაძევებით გამოწვეული:

ღაგვებრნა ქარმან ღაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით!

უცხოობაში მყოფი პოეტი მზესაა დანატრულებული ცხუნია დღეში, სინათლესა და სიამეზე შორით ოცნებობს:

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს...

პოეტი თითქოს ცოცხალ ლეშს დამსგავსებია, სმენა მოკლებულს, «კრემლით და ოფლით» დანესტილ-დაბინდული თვალით, დამდგარი, გახვევებული მკლავით. მას მხოლოდ გამოფიტული გულილა დარჩენია კიდევ მოქმედი და ისიც მზადაა გაილოს... მსხვერპლად ხელმწიფისათვის. ბესიკი პირდაპირ მიმართავს მეფეს:

ხელმწიფე, გული ცეცხლდადაგული, სულით გამყოფლით
კირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით!

პოეტის თვალწინ თინათინობს ძველი მფარველის «სახე უსახო» აწ «საახვახოდ» გადაქცეული და გულაყურებული გრძნობით წამოიძახებს:

სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერღა დავსახეთ!

ბესიკის უკანასკნელი თხოვნით იხურება «კრემლთა ისარნი»:

მოყვასთა კრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

მოტანილ ლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოეტის აზრი ხელმწიფის, ე. ი. ირაკლის შესახებ განდევნის უშუალო პერიოდში (შემდეგი დროის განწყობილება ჩვენთვის ცნობილია). როგორც ჩანს, ბესიკს ირაკლი უმაღლეს მწყალობელ პატრონად ჰყოლია წარმოდგენილი. მისი მფარველობის ქვეშ გატარებული დროის სანაცვლო «ვერღა დავსახეთაო, — ამბობს მწუხარედ. პოეტს რაღაცა მწვავედ აწუხებს, გულს ზღადრავს, მაგრამ ვერც ამხელს; თითქოს დანაშაულს გრძნობს, ვერც თავს მართლულობს და იცრემლდება...

აქედან აშკარად ჩანს, რომ ბესიკი თავის დროზე დიდად მიჩნეული და პატივცემული ყოფილა ირაკლის მიერ, პოეტიც აფასებდა კეთილისმყოფელ პატრონს. შემდეგ... რაღაც ამბები უნდა მომხდარიყო, პოეტს რაღაც დიდი დანაშაული უნდა ჩაედინა, რომ ასე შეუბრალებლად გააძევეს სახელმწიფოდან; არ შეიწყნარეს მისი ცრემლები და სამუდამოდ წყალობამოკლებული დასტოვეს.

ეს არის და ეს. პოეტის პირველ ლირიკულ ცრემლებს მოჰყვა სიბრაზე, გაბოროტება.

«ცრემლთა ისარნი» ბესიკის ჩვენამდე მოღწეულ ლექსებში ერთადერთია, სადაც სანაქებო ხაზებშია მოცემული ირაკლის პიროვნება. შემდგომ ის ან ტენდენციურად გვერდს უვლის ამ საკითხს, ან არაპირდაპირ თავს ესბმის კიდევ «ასპინძის» განთქმულ გმირს (ეგულისხმობთ ირაკლის) და ეს მაშინ, როცა პოეტი მოწიწებით მხურვალე ქებათა-ქებას უძღვნის იმერეთისა და სამეგრელოს მეორე ხარისხოვან მეომრებს («რუხის ბრძოლა»).

მამასადამე, უდაოა მეფესა და პოეტს შორის მომხდარი კონფლიქტის არსებობა. ახლა საძიებელია ამ კონფლიქტის საჩუღი. ამ მხრივ სამი შესაძლებლობა იჩენს თავს.

1. ბესიკის მამის, ზაქარიას ისტორიასთან დაკავშირებული ამბები.

2. ირაკლის საწინააღმდეგო რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების თანაგრძნობა.

3. ტრადიციული გადმოცემის დადასტურება (რომანული ისტორია).

გავარჩიოთ თითოეული ეს მოსაზრება ცალკე-ცალკე. დავიწყოთ ბოლოდან.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ს. გორგაძის უკანასკნელი დროის მოსაზრებას, რომ ბესიკის ტრფობის საგანი უნდა ყოფილიყო ორბელიანის ასული, იმერთა მეფე დავით მეორის ცოლი ანა (რამდენადაც მხედველობაში გვექნება ცნობილი ლექსი «დედოფალს ანაზედა»). ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვევით შევეხებით. აქ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ანა ორბელიანის ასული ირაკლი მეფის მახლობელი ნათესავი ყოფილა, სახელდობრ, შვილისშვილა იმ ანა ბატონიშვილისა (თეიმურაზ მეორის ასულისა), რომელიც ტრადიციით სწორედ ბესიკის სატრფოდ ითვლებოდა.

ანა ბატონიშვილი, როგორც ცნობილია, დიმიტრი ორბელიანს იყო მითხოვილი და 1772 წელს დაქვრივდა. ამისი შვილისშვილი ანა მალე დაობლებულა მამით, ბავშვის ჯალზრდა ირაკლი მეფეს უკისრია და საახალეშიც გადაუყვანია¹.

¹ Бутков, II, 136; შტრ. აგრეთვე ალექს. ორბელიანის მემუარებს (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1914, გვ. 36).

ცხადია, შეიძლება სასახლეში გასცნობოდა ანა ბუნებით მხიარულ, მახვილგონიერ, ტოლ-ამხანაგებისა და ქალთა წირის მოყვარულ ახალგაზრდა ბესიკს. ამ შემთხვევაში რომანული ისტორია იოლად აიხსნებოდა. ბუნებრივია, რომ ირაკლის შეურაცხყოფად მიელო ასეთი ამბავი. სად უბრალო აზნაურისშვილი, ვთქვათ ნიჭიერი პოეტი და მიღებული კარისკაც, მაგრამ მაინც უგვარო, სახელმწიფოს მოლაღატის, მეფის პირადი მტრისა და საჭვეყნოდ შეჩვენებული კაცის ოჯახის შვილია? სად დიდი ორბელის ქალი, ირაკლის სისხლით ნათესავი და სად თავხედი, ლაზღანდარა ბლიაძე (ასე ეძახდა ხომ ბესიკს იმავე ორბელიანთა ერთერთი წევრი, მდივანბეგი, კუზიანი ქაბუა!). აბა როგორ შეათვალდა ამ უთანასწორო სიყვარულის ამბავს იმდროინდელი ცხოვრების მესვეური ბრწყინვალე არისტოკრატიული კლასის საზოგადოებრივი აზრი? ეს ხომ წარმოუდგენელი თავხედობა იქნებოდა და წრესგადასული უტიფრობა! და ვინ აპატიებდა ასეთ მეტიჩრობას თავმომწონე მგოსანს!

ამრიგად, თითქოს მართლდება ტრადიციული აზრი. ირაკლის მართლაც შეეძლო ამ ნიადაგზე სამაგალითოდ დაესაჯა ბესარიონ გაბაშვილი. მაგრამ ზოგიერთი ფაქტიური მხარე ამას არ ადასტურებს.

ლექსი «დედოფალს ანაზედ» 1784 წლის უადრეს ვერ შეითხვებოდა. ესაა წელი სოლომონ დიდის სიკვდილისა და დავითის გამეფებისა, ანუ ანას გადედოფლებისა. ხოლო ამ დროისათვის ბესიკი იმერეთის ძველი ხიზანია (1779 წელს სპარსეთშიც იმგზავრა სოლომონის დავალებით).

რასაკვირველია, შეიძლება ამ საბუთს გვერდი ავუაროთ. ბესიკს შეეძლო ანა ადრევე ყვარებოდა, ხოლო მოხსენებული ლექსი გვიან შეეთხზა. მაგრამ ერთი დამაბრკოლებელი გარემოება გველობება წინ.

ზევით აღნიშნული გვექონდა ბესიკის გაძევების თარიღის post quem non-ი 1775-6 წელი, ხოლო ბროსეს მოწმობით ანა დედოფალი 1765 წელს დაბადებულა, რადგან 1810-ში 45 წლისა ყოფილა¹. მაშასადამე, ბესიკის გაძევების დროს ანა რალაც 10 წლის იქნებოდა. მართალია, 13—14 წლის ქალის გათხოვება ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია 10 წლის²

¹ Histoire... II, 644. სხვა დოკუმენტური ცნობით ანა უნდა დაბადებულიყო 1770 წლის 17 ივლისს (Б. Мсалае, Летопись Грузии, I, 361).

² ან 5—6 წლის (მეორე ცნობის მიხედვით).

ბავშვის სიყვარული უკვე მომწიფებული (24—25 წლის) ვაჟაკის მიერ.

• გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებაც. ორბელიანის ქალი ანა ირაკლი მეფემ დავით ბატონიშვილს (გიორგის, იმერთა მეფის ძეს) მიათხოვა ჯერ კიდევ ემიგრანტობის დროს ტფილისში. დავითი ირაკლის მფარველობით სარგებლობდა, მისივე ხარჯით მყოფდროდ და კრძალულად ცხოვრობდა ქართლში უკეთესი მერმისის მომლოდინე.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ მართლაც შესაძლებელი გახდა ამ დავითის გამეფება, თუმცა პრეტენდენტის როლში ჯერ სრულიად ახალგაზრდა, ირაკლის დეიძლი შვილისშვილი დავით არჩილის-ძე გამოდიოდა (არჩილს ცოლად ჰყავდა ირაკლის ქალი). ბესიკი პირველი კაცი გახდა დავით. მეორის კარზე ფრიად საეჭვოა პოეტის დაწინაურება, თუ კი დედოფალთან მისი სკანდალური კავშირი საქვეყნოდ ცნობილი იყო (და სასჯელიც ამ მიზეზით იყო გამოწვეული). ასეთ პირობებში ბესიკს იმერეთში ყოველ შემთხვევაში არ მიესვლებოდა.

ისიც მართალია, რომ ოსე გაბაშვილი თავისი და ბესარიონის სახელით პირდაპირ წერს ერთხელ ანა დედოფალს: „ჩემი ვედრება ხომ არასოდეს ისმინე, არცა მოიხსენე მსახურება არცა ძმისა და არცა ჩემი, რომელთაც ერთგულებისათვის თქვენისა მიგვიღეს ყოველივე საცხოვრებელი და სოფლებიცა¹... მაგრამ ეს წერილი (1816 წლის თარიღით) იმ სამსახურის ამბებს შეეხება, რომელიც გაბაშვილებმა მართლაც მოიხადეს მეფე დავითისა და დედოფალ ანას წინაშე (ამ სამსახურის შედეგი იყო გამარჯვებული სოლომონ მეფის მიერ წერილში აღნიშნული «ზღვევა»).

ყოველივე აქ მოტანილი მოსაზრება საეჭვოდ ხდის ბესიკის ქართლიდან გაძევების მიზეზად მივიჩნით ანა დედოფლის რომანული შემთხვეულობა. კვლავ ვიმეორებთ, შესაძლებელია სხვა რომელიმე რომანს ეთამაშა ამ მხრივ საბედისწერო როლი. მაგრამ ამის შესახები საბუთები არ მოიპოვება, ხოლო განხილული კონკრეტული ამბავი დადებითი დასკვნისათვის საჭირო საკმაო საფუძველს სრულიად არ იძლევა.

არც მეორე მოსაზრებაა, ყოველ შემთხვევაში, მთლიანად მისალმები.

¹ მიმოწერა, 3.

ირაკლის საწინააღმდეგო პოლიტიკური შეუქმელებანი უმთავრესად დიდებულ გვარიშიღოდა წრეებიდან გამომდინარეობდა და გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციით აიხსნებოდა: ეს წრეები ფიქრობდნენ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებაზე საკუთარი კუთხურ-კარჩავეტილი კეი:ილდღეოზა აეგოთ. ანტიცენტრალისტური ტენდენციების გაძლიერებას სპარსეთ-ოსმალეთიც უწყობდა ხელს, რამდენადაც ირაკლის საორიენტაციო კურსი რუსეთზე იყო აღებული.

მეორე მხრივ, ირაკლის საწინააღმდეგო ხლართის დაგებას ყოფილი ლეგიტიმური დინასტია (ვახტანგ მეექვსის შთამომავლობა) ცდილობდა. ხოლო ამასთან იქერდა კავშირს იგივე გვაროვნული არისტოკრატია და საერთოდ ირაკლით უკმაყოფილო ყოველი საზოგადოებრივი ფენა, თუ ცალკე პირი.

საყურადღებოა, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოს რეალურ სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეს ითვალისწინებდა და სრულიად არ უწყევდა დახმარებას ადრიდანვე მასთან შეხიზნულ ქართლის ტახტის ფორმალურად კანონიერ პრეტენდენტებს. ასეთ პირობებში უკანასკნელნი სპარსეთ-ოსმალეთში ეძიებდნენ ხოლმე მფარველობას.

ქართლის სახელმწიფოში, განსაკუთრებით სამეფო კარზე, გარკვეულ როლს თამაშობდა, ასე ვთქვათ, სავაქრო-ფინანსიური ფენა უმთავრესად სომხური საზოგადოებრივი წრიდან, რომელიც ზოგ შემთხვევაში ცხად ანტი-ნაციონალურ დაჯგუფებას წარმოადგენდა.

ძნელია ბესარიონ გაბაშვილის აპრიორულად რომელიმე მოხსენებულ დაჯგუფებაში მოთავსება. გვაროვნულ არისტოკრატიას ბესიკი უტიფარ მეტიჩარად მიაჩნდა, ხოლო ოსეთა ყორდანაშვილისთანა ტიპის საზოგადოებრიობასთან უალრესი ანტაგონისტური განწყობილებით იყო პოეტი გამსჭვალული. სხვათა შორის, არაპირდაპირ ამ ტენდენციას ამუღავენებს დავით სარდლისადმი მიერთმეული ეპისტოლეს შემდეგი ადგილი (მხედველობაში მისაღებია, რომ დავით სარდალი ნაციონალ-ფეოდალური და სამხედრო კონსერვატიული დასის ერთერთი მეთაურა იყო და სომხური სავაქრო წრის მოსიხბლე მტრად ითვლებოდა):

ქურდო ვაქარო, ერთს ყიდი საზად, არ ღირდეს დრამად,
ყანდებრ გვაგემებ, თუ გვნახე ხამად; ბოლოდ ხარ შხამად.

ბესიკი თავისი სოციალური მდგომარეობით (მნიშვნელოვანაა ამ მხრივ «ცრეზღთა ისარნი»ს ტენდენციები) უფრო ირაკლის რადი-

კალურ-ცენტრალისტური პოლიტიკის მიმდევარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ... ბესიკს ჰქონდა საფუძველი უკმაყოფილო ყოფილიყო სწორედ ირაკლი მეფით (დამოუკიდებლად მისი საერთო სოციალურ-პოლიტიკური თვალთახედვისა). ირაკლისაც აგრეთვე ჰქონდა საფუძველი ეპკით ეცქირა ახალგაზრდა პატივმოყვარე პოეტისათვის. ამ ურთიერთი უნდობლობის შესაძლებლობა ზაქარია გაბაშვილის ოჯახის სინამდვილეში იყო დამარხული.

მართლაცდა, პოეტის ღვიძლ მამას და სრულ ასაკოვან ძმას იმ დროისათვის სამარცხვინო და საშინელი სასჯელი არგუნეს წილად, და ეს პირადად ირაკლის დასტურით.

მართალია, საეკლესიო კრებამ პერსონალურად ზაქარია შეაჩვენა უფროს შვილ ოსეთურთ, მაგრამ ფაქტიურად ეს მთელი ოჯახის შერცხვენა და დამცირება იყო. ხელისუფლებამ სცადა ოჯახის დანარჩენი წევრების შენარჩუნება და იქნებ, როგორც აღვნიშნეთ, სათანადო ნივთიერი კმაყოფის პირობებიც შეუქნეს, მაგრამ ეს ხომ ვერ შეამსუბუქებდა მორალური ტანჯვის სიდუხჭირეს.

მანცდამანც, მეთვალყურეობის ქვეშ დაყენებული ოჯახი (რომელსაც ეკრძალებოდა „შეჩვენებულებთან“ კავშირი) არსებითად პატიმრობის რეჟიმს იტანდა. ბუნებრივია, რომ ასაკში მოსულ ბესიკს, თუ გინდ დარღვეული ოჯახის სხვა რომელიმე წევრს, ეცადა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. ყოველ შემთხვევაში, შშობლიური გრძნობების შეზღუდვის გარღვევა მაინც გასაგები იქნებოდა. ხოლო ეს კი ეწინააღმდეგებოდა განჩინების უღმობელ წესებს.

ჩვენ მიერ მოხაზული შესაძლებლობა ფაქტიურად კიდევ განხორციელებულა. ბოლოსდაბოლოს, ზაქარიას ოჯახის თითქმის¹ ყოველი წევრი ახალ ადგილ-სამყოფელში გადახიზნულა. ოსე გაბაშვილის წერილიდან ვტყობილობთ, რომ, როცა ის 1819 წელს პატიმარი ტფილისში ჩაიყვანეს, იქ ერთი მახლობელი მოკეთეც კი არ აღმოჩენია, ნუგეში რომ ეცა; ოსე წერს ანა დედოფალს: „გახლავართ აქა ტფილისის ქალაქს პყრობილად ყარაულთა ქვეშე, იქნება წელიწადი ერთი და თვე სამი. და არავინ არს თანაშემწე, ანუ მზრუნველი, გინა ნუგეშისმცემელ, ანუ განმამართლებელ, გარნა მხოლოდ ღმერთი... არლა მივის მამა, დედა, არცა ძმანი თანაშემწედ, არცა მეულღე და შვილნი ჩემნი საყვარელნი“²...

¹ ამ გამოთქმას ჩვენ სიფრთხილისათვის ვხმარობთ, თორემ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, თითქოს ზაქარიას ოჯახის რომელიმე წევრი ქართლში დარჩენილიყოს.

² მიმოწერა, 5.

ზაქარია შვილებითურთ (და ახლო ნათესაეებითურთ) გელათში დაუსაფლავებიათ. იგივე ოსე 1821 წლის თარიღით აცნობებს ანას: „სრულად სოფელი დაუტევე, და გაენათის მონასტერს მიემართე და დავესადგურე, მუნ დამარხვა შენება მამა ზახარიასთან და ჩემ საყვარელ ძმებთან“-ო¹.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ზაქარია გაბაშვილის ოჯახი თავისი სურვილით, თუ გაძევების შედეგად იმერეთში გადახიზნულა. გაბაშვილები იქ დიდი პატივით მიიღეს, საუკეთესო თანამდებობაზე მოეწყვნენ, მამულიც იწყალობეს (რაჭაში) და კერძოდ ბესარიონი— განსაკუთრებული დამსახურებისათვის—თავადობის ხარისხშიც იქნა აღზევებული²...

ყოველივე აღნიშნული ასაზრდოებდა ზაქარია გაბაშვილის ოჯახის წევრთა და ირაკლის შორის ურთიერთი უნდობლობის გრძობას. ამას დაემატა ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარემოებაც.

სამოცდაათიან წლებში ძალზე გაცხოველდა ქართლის ძველი ლეგიტიმური წრის აქტიური საქმიანობა. ამ საქმიანობის ზელის-შემწყობი, თითქმის ინიციატორიც იყო იმერეთი. სოლომონ პირველს ძალზე აფრთხობდა ირაკლის გაძლიერების საშიშროება. საუკუნეების განმავლობაში გათიშული ქართლ-კახეთის შეერთება იმერთა მონარქს მთლიან საქართველოს პოლიტიკურ სხელს აგონებდა, ახალი გაერთიანების სტიმულად მიაჩნდა და იმერეთის ბედიც ამ შემთხვევაში საფრთხეში მყოფად ეხატებოდა. ამაში სოლომონს არწმუნებდა როგორც ირაკლის აშკარა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ისე ქართლიდან გამოქცეული ემიგრანტული წრეების ცხოველი აგიტაცია. ამიტომაც სოლომონი გარკვეულად წინააღმდეგა ირაკლის გამაერთიანებელ ტენდენციას. სოლომონი მოითხოვდა ქართლ-კახეთის კვლავინდებურად გაცალკეებას: ის ირაკლის კახეთს უთმობდა (ლეგიტიმური ხაზით), ხოლო ქართლის ტახტზე ბაქარის ძეს ალექსანდრეს იწვევდა (იმავე ლეგიტიმური მოტივით).

რამდენადაც სოლომონის პოლიტიკა ირაკლის საწინააღმდეგო საქმიანობაში გამოიხატებოდა, იმდენად ქართლის მეფის ყოველი

¹ მიმოწერა, 42.

² როგორც ნ. ნიკოლაძის მოგონებიდან ჩანს, გაბაანთ შთამომავალი (ნიკოლაძე იმათ «ბესიკის შვილის-შვილებს» უწოდებს) ქ. ქუთაისში სახლებულან „დანგრეული ციხის და ბაგრატის ტაძრის“ ახლოს, სახელდობრ „გიორის მეორე წვერზე, წმინდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები ს. ხუნდაძის რედაქციით, ტფილისი, 1931, გვ. 4; შტრ. აგრ. 369)

უკმაყოფილო ელემენტი იმერეთში პოულობდა მკვიდრ თავშესაფარს.

1779 წელს მასთან შეხიზნულ ბესარიონ გაბაშვილს სოლომონი საიდუმლოდ სპარსეთში ვზავნის ალექსანდრე ბატონიშვილთან, გადმოიყვანს უკანასკნელს იმერეთში და აჯანყების საქმეს მეთაურობს. მაგრამ ეს წამოწყება უღღეური აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების მხადება დიდი კონსპირაციით ხდებოდა (ამ მხრივ საყურადღებოა ბესიკის მარშრუტი: ის შიდა ქართლით კი არ წავიდა სპარსეთში, ან ახალციხით, არამედ რუსეთის შორეული გზა მოიარა), ირაკლიმ კვალს მალე მიაგნო და შეთქმულობას ჩქარა მოუღო ბოლო. რუსეთში გადახვეწილი აჯანყების მეთაურნი—ალექსანდრე ბატონიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი—ირაკლის თხოვნით დარუბანდში შეიპყრეს და სასტიკად დასაჯეს კიდევც...

მოტანილ ამბებთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი აზრიც დაიბადოს: რახან ბესიკი აქტიურად მონაწილეობდა ირაკლის საწინააღმდეგო აჯანყებაში, მისი გაძევების მოტივიც მოიძებნაო. მაგრამ ეს ასეა ერთი შეხედვით, რადგან ბესიკის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობას ჩვენ ვხედავთ გაძევების შემდეგ დროებში. რა უსწრობდა ამას წინ, ძნელი სათქმელია. კვლავ ვიმეორებთ, ანგარიშგასაწევია «ცრემლთა ისარნიას პოლიტიკური ტენდენცია. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ზაქარია გაბაშვილის ვითარებასთან დაკავშირებულ ამბებს (ანუ ჩვენი კლასიფიკაციით გაძევების პირველ საფუძველს).

სწორედ იმ პერიოდში, როცა ვახტანგის შთამომავლობა ირაკლისთან შებრძოლებსთვის ემზადებოდა, ქართლიდან გაძევებული ნამოძღვრალი რუსეთს მიაშურებს, თავის ერთგულებას უცხადებს ვახტანგის ძეს, ბატონიშვილ გიორგის, და იმისგან ითხოვს შემწეობას და დახმარებას (ცხადია, ზაქარია ამ შემთხვევაში მოფიქრებულად იქცეოდა). ინტერესთა ერთიანობამ აქ სრული თანხმობა პოვა.

რუსეთიდან ზაქარია იმერეთში გადადის, ხოლო აქედან ემისარი (-ბესიკი) სპარსეთს იგზავნება და აჯანყებაც პრაქტიკულად მზადდება. საგულგებელია, რომ ზაქარია შუამავლის როლსაც ასრულებდა ვახტანგის მემკვიდრეთა და სოლომონ მეორის შორის. ის, ალბათ, გარკვეული ღირექტივებით იგზავნებოდა იმერეთში სამოღვაწეოდ. ყოველ შემთხვევაში, ზაქარია გაბაშვილი ირაკლის ნოპირდაპირე დასების პოლიტიკური მეგობარი და მოკავშირე ხდება. ერთი სიტყვით, „შეჩვენებული“ ბერი საშიშ პოლიტიკურ ფიგურად იქცა.

პოლიტიკურ პორიზონტზე ღრუბლები აიშალა და აჯანყების სუნი ჰაერში დატრიალდა. ირაკლი გამჭაფრებით ადევნებდა თვალყურს ყოველივეს. ენერგიული და პარდაპირი მეფე მტკიცედ შეუდგა შეთქმულების ძირების დაჭრას. მრავალ ხიფათში გამობძრმედილი ირაკლის გული, აბა, ვის დაინდობდა ამ საბედისწერო დროს? მით უმეტეს, როცა მის ყოვლად ქვეშევრდომთა ცხადი განდგომის ჩუმი საბუთები ხელში ეჭირა!

ასეთ მომენტში ყველაზე უფრო საეჭვო ნამოდღვრალის ოჯახი ხდებოდა (დროებით მიუყრებულმა მტრებმაც თავი წამოყვეს. აკი თვითონ ბესიკი თავდავიწყებით ამბობს: «მტერთ იხარენითო»). ყოველი გონივრულად მოაზროვნე პირი მსგავს შემთხვევაში რადიკალურ ზომებს მიმართავდა და საეჭვო ოჯახის წევრებს ან „დილეგში“ შეუძახებდა, ანდა სახელმწიფოდან გააძევებდა.

ასე უნდა მოქცეულიყო ირაკლი მეფეც.

ამგვარად, ბესიკის გაძევება პირველი მოჭივით აიხსნება, თუმცა რამდენადმე მეორე მიზეზიც არის საქმეში გარეული. ეს გარემოება მხედველობაში მისაღებია. ჩვენ პირადად არ გვგონია, რომ ბესიკს მუხთლად ზურგში მახვილის ჩასმა ეტეირთოს ირაკლის მიმართ და საიდუმლო შეთქმულობის საიდუმლო ჯაშუშის როლში გამოსულიყო. ამას ეწინააღმდეგება «ცრემლთა ისარნიას ლირიკული „აღსარება“. ბესიკი უფრო მაშის დანაშაულებრივი მოქმედების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო: პატივმოყვარე ჭაბუკი, ალბათ, მამის განწირვას არ იკადრებდა.

წარმოდგენილი დებულების დასამტკიცებლად, უკანასკნელ, ერთი პირდაპირი საბუთიც მოგვეპოვება. დავით ბატონიშვილი თავის ისტორიაში ასე გადმოგვცემს ბესიკის სპარსეთში გაგზავნის ამბავს: „ამან სოლომან წარგზავნა სპარსეთს გაბაშვილი ბესარიონ, ძე ზაქარიას მოძღვრისა, რომელი ესე იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს ანტონის გამოკათალიკოზისა“¹.

ამ წინადადებაში ნაცვალსახელა «რომელი ეია» ბესიკს გულისხმობს, რადგან ის «ექსორია ქმნილი» ყოფილა მამითურთ თვისით», ხოლო თვით «ექსორია» (გაძევება) «ანტონის გამოკათალიკოზისა» მომხდარა. აქედან ვასაგებია ბესიკის „აპელაცია“ ირაკლის მიმართ.

ამგვარად, კათოლიკოზ ანტონს უმსხვერპლია როგორც ზაქარია, ისე ბესიკიც (და საერთოდ გაბაშვილთა მოღმამა). ამ პირობებ-

¹ მასალები, 26.

მა კი თეიმურაზ მეორის ტახტის ერთგული და თავდადებული მსახურნი ძველი ლეგიტიმიზმების (ვასტანგის მემკვიდრეების) წრეში მოაქცია და სახელმწიფოებრივი „ლაღატიც“ ატვირთია¹.

პირველ ხანებში, ცხადია, მძიმე იქნებოდა გარდასვენებული პოეტის სულიერი განწყობილება: მას ქართლში რჩებოდა მოყვარულ ტოლ-ამხანაგთა და უმახლობელეს მეგობართა მრავალრიცხოვანი გუნდი... ვინ იცის, კიდევ რა აკავშირებდა სახელოვან პოეტს თავის ძველ სამკვიდრებელთან! ბესიკი კარგად მიიღეს იმერეთის სამეფო კარზე: «დაუყოვეს», დააშუშეს, პატივი დასდევს, დააწინაურეს, დააჯილდოვეს, საქმეში ჩაითრცეს, დიდი თანამდებობა შესთავაზეს ნიკისა და გამოცდილების მიხედვით. როგორც ჩინებულ მწიგნობარსა და მრავალი ენის მცოდნეს, ჯერ სამეფო დავთარხანა ჩაუგდეს ხელში (მდივანთუხუცესად განაწესეს) და შემდეგ კი დიპლომატიური საქმიანობის მძიმე ტვირთიც აჰკიდეს...

1784 წელს სოლომონ პირველი გარდაიცვალა და იმერეთის საქმეებიც ძალზე აიწეწა. მეფეს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, სამაგიეროდ ორი მოქიშპე პრეტენდენტი დარჩა: დავით გიორგის-ძე და დავით არჩილის-ძე². ორნივე ნათესაური კავშირით იყვნენ ირაკლი მეფესთან შეკრული (დავით არჩილის-ძე იყო ირაკლის შვილის-შვილი, ხოლო დავით გიორგის-ძეს ცოლად ჰყავდა ირაკლის დის შვილის-შვილი) და მისი მონარქიული მფარველობით სარგებლობდნენ აღრიდანვე.

ირაკლი ცდილობდა გავლენის მოზღდენას სამეფო კანდიდატის არჩევანზე. ის ამ შემთხვევაში დავით არჩილის-ძის სასარგებლოდ გადაიხარა, მაგრამ იმერეთის დიდკაცობამ მთავარსარდალ პაპუნა წერეთლის მეთაურობით დავით გიორგის-ძე აიყვანა ტახტზე³.

იმდროინდელი რუსი დიპლომატის, ბურნაშოვის, სიტყვით ახლად გამეფებული დავითი უნდა ყოფილიყო: „Человек молодой, без воспитания и просвещения, расположения же однако ж и сердца весьма доброго и персонально отличной храбрости“⁴.

¹ ანტონის ბესიკისადმი სიძულვილს სხვა მოტივიც ექნებოდა სარჩულად: ცნობილია ამ განთქმული კათოლიკოსის გააფთრებული ბრძოლა საერო პოეზიის წინააღმდეგ.

² დავით არჩილის-ძე მაშინ სულ 12 წლისა იყო.

³ სხვათა შორის, პაპუნა წერეთელი ამ დავითის ახლო ნათესავი იყო.

⁴ Картина Грузии, 22—23.

თითქმის ამავე სიტყვებით ახასიათებს დავითს ბუტკოვიც: „Царь Давид не имел ни воспитания, ни просвещения, а только имел сердце весьма доброе и отличную храбрость“¹.

ეს «გულკეთილი» და უნებისყოფი მეფე მალე მოექცა ზოგიერთი მოხერხებული კარისკაცის ძლიერი გავლენის ქვეშ. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ ამ შემთხვევაში სრულიად ახალგაზრდა ლამაზი დედოფლის ბიძა ელიზბარ ერისთავი (—ქართლის ყოფილი დიდი ფეოდალი და სოლომონ მეფის სიძე) და იმავე დედოფლის რჩეული მიჯნური, განთქმული პოეტი და დიპლომატი ბესარიონ ზაქარაის-ძე გაბაშვილი.

იმავე ბურნაშოვის სიტყვით: „Бежавшие от царя Ираклия, князь Еристов, зять царя Соломона, дядя родной царице, супруге царя Давида, вместе с бежавшим же грузином поповичем Висарионом, овладели царскою волею“².

ბუტკოვი აქაც იმეორებს ბურნაშოვს: „Зять царя Соломона князь Элизбар Еристов, дядя родной супруге царя Давида Аяне Матвеевне, и Висарион, сын поповский, также из Грузии бежавший, овладели царскою волею“³.

¹ Материалы, II, 184.

² Картина, 22.

³ Материалы, II, 184. როგორც იესე ოსეს-შვილის თავგადასავალიდან ჩანს, ამ „მათეს“ ნამდვილი ქართული სახელი მაშუკა ყოფილა (შდრ. «თავგადასავალი» ს. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 12). ამ საგანზე პირდაპირ ცნობას იძლევა ალექსანდრე ორბელიანიც თავის მემუარებში (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი, I, თბილისი, 1914, გვ. 36). პ. ბუტკოვი და ა. ორბელიანი ადასტურებენ მაშუკას (—მათეს) ადრე გარდაცვალებას. საქართველოს მუზეუმში შენახულია ერთი ხელნაწერი (H1334) «სამდივნო წიგნი»ს სახელწოდებით, სადაც, სხვათა შორის, მოთაუხებულია სანიშნოდ ამ მაშუკას გარდაცვალებით გამოწვეული რამდენიმე საეკლესიო (სამძიმრის) წიგნის პირი. ერთერთ წერილში მაშუკას დედა ანა ბატონიშვილი თვითონ პასუხობს თავის მძახალს, თარხნის ასულს თამარის, სამძიმრის წიგნს. ეს უკანასკნელი კი დათარიღებულია 1771 წლის დეკემბრის 15-ით. მაშასადამე, მაშუკას გარდაცვალებაც ამ წელს უნდა მომხდარიყო. მაშინ მომავალი დედოფალი ანა სულ რაღაც 6 წლის პაწაწა ბავშვი იქნებოდა. ანა დედოფლის შთამომავლობა დედის ხაზით (თარხნი-შვილთა გვარეულობიდან) გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ ამისი (ანა) შეწირულება ერთაწმინდის (ერთაწმინდა თარხნიშვილთა სამფლობელოს შეადგენდა) ეკლესიაში აღმოჩენილა (შდრ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, I, 215). ამასთან აღსანიშნავია, რომ 1770 წლის 2 დეკემბრის თარიღით ირაკლი მეფე სწერს ზაალ ორბელიანს: „ჩემი საყვარელი და ჩემი სასურველი

ჩვენთვის სავსებით გასაგებია ელიზბარ ერისთავის და ბესარიონ გაბაშვილის პოლიტიკური ნაბიჯი: ორივენი ირაკლის საწინააღმდეგოდ იყენენ განწყობილი და დავით არჩილის-ძის (ე. ი. ირაკლის კანდიდატის) გაბატონება მათ დიდ საფრთხეს უქადდა.

ფაქტიურად ეს ასეც მოხდა. დავით გიორგის-ძის შემდეგ გამეფებული სოლომონ მეორის, ანუ დავით არჩილის-ძის, დროს ელიზბარ ერისთავი იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებია, ხოლო გაბაშვილთა გვარმა ყოფილი გავლენა დაკარგა და დიდი მატერიალური ზარალი ნახა. სათანადო აღვილას ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ოსეს სიტყვები ანა დედოფლის მიმართ: „ერთგულებისათვის თქვენისა მიგვიღეს ყოველივე საცხოვრებელი და სოფლებიცა“-ო.

დავითის კარზე ბესიკი ოფიციალურად პირველი მდივნის— „მდივანთუხუცესის“¹—ანუ ოსეს გამოთქმით „ობერ სეკრეტარის“ თანამდებობას ასრულებდა. პოეტს სპეციალურად მინდობილი ჰქონია საგარეო მიმოწერის წარმოება..

ლიბლომატიური მოღვაწეობის ასპარეზზე ბესიკმა დიდ წარმატებას მიაღწია და 1788—1791 წლებში საგანგებო მისიას მეთაურობდა („უსეთში“²..

* * *

ბესიკი გარეგნულად მოხდენილი ქაბუკი უნდა ყოფილიყო,³ მხიარული, მომლხენი, ლაღი. პოეტის საზოგადოებრივი მდგომარეობა (უკანასკნელ ხანებში მაინც) სახარბიელო იყო და საამაყო.

პოეტს თავიდანვე ანებივრებდა ქალთა საზოგადოება, ისიც არ აკლებდა ამ წრეს ყურადღებას. სიყვარული ბესიკის პირადული

მამუქა მიმტაცა სოფელმან“ო (Грამоты, т. II, № I, გვ. 68). შესაძლებელია ამ მამუქაში მამუქა ორბელიანი იგულისხმებოდეს, მაშინ უკანასკნელის გარდაცვალება მოვა 1770 წელზე.

¹ ასე უწოდებდნენ პოეტი თავის თანამდებობას ერთი ლექსის მიწაწერში.

² ამ მისიაში, სხვათა შორის, ბესიკის ბიძაშვილი სვიმონიც შედიოდა.

³ სამწუხაროდ, მისი პორტრეტი არ შენახულა. ბესიკის პირველი გამომცემელი ამ საგანზე 1885 წელში პრესის საშუალებით აცხადებდა: „ბმები ისმის, რომ გაბაშვილებში ბესიკის სურათიც უნდა იყოს დაცულიო; ადრე ზოგიერთებსაც უნახავა, მაგრამ დღეს აღარ იციან ვისა აქვს და სად; კარგი იქნება, რომ ამასაც მიაპყრან ყურადღება და ვგები ესეც გადმოგვიცენ“ (ზ. ჭიჭინაძე, წერილი რედაქტორთან, «დროება», № 152). როგორც ჩანს, ამ მოწოდებას არავინ გამოხმაურებია.

ცხოვრების მძლავრი მამოძრავებელი იმპულსი იყო, შეზოქმედებითს არესაც ამდიდრებდა ეს გრძნობა. ბესიკის პოეზიას აღუბეჭდია ავტორის უშუალო ბიოგრაფიული ფაქტები. ამ მხრივ განსაკუთრებით გახმაურებულია ანა დედოფლის ამბავი. სიყვარულით დამთვრალი კაცი სატრფოს სილამაზის ობიექტური შეფასების აღლოს მოკლებულია, თორემ თუ ბესიკს დაუჯერებთ, ანა ფიზიკური სიმშვენიერის სრულქნილი განსახიერება უნდა ყოფილიყო. პოეტი ფიცით გვარწმუნებს: „ვეფუცავ, მე არვინ მიხილავს, რომ არს შენებით ანარ“. ხოლო ქვევით შენიშნავს: „ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური, ან მოკლას ამის თანამან“¹.

მხურვალე გრძნობებს აყოლილი პოეტი სატრფოს ეფიკება შეურყეველ ერთგულებაში:

ხელმწიფევ, გული
 შენთან-ა ბმული,
 წყალობიანად მომცემო შევების!
 ნაზად ვინ ირთვის,
 პირი მიმირთვის
 სიკვდილმდე ბტკიცე შენთანა ხლების!
 თუმცაღა გცოდე,
 ვიყო შემცოდე,
 შენგან წყალობით ნუ მეღხინების!
 გიმუხთლე ესე,
 ვიყოცა მკვნესე,
 შენგანცა კიდე ვიყოცა სხიების!

შესაძლებელია, რომ ბესიკი ამ სიტყვას შერჩა, თუმცა მისი ქცევა საკმაო ეჭვებს ბადებდა. ანას სიყვარული, ყოველ შემთხვევაში, პირველი, ან ერთადერთი არ უნდა ყოფილიყო.

თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ბესიკი მალე დაშორებია ანა დედოფალს და ამ ქალის ცხოველი მოგონება დიდხანს გულს უმხურვალეობდა პოეტს ჩრდილოეთის ყინულოვან მხარეში. რასაკვირველია, დედოფალთან ინტიმური სიახლოვე პოეტის პოლიტიკურ კარიერას დიდად უწყობდა ხელს. უნდა ვიფიქროთ, რომ ანა დედოფალი გატაცებით პასუხობდა მოხდენილი ჰაბუკისა და განთქმული პოეტის თავდავიწყებულ ტრფიალებას. ცნობილია, რომ

¹ ამ ლექსის ტაეპები ზმურად ანას სახელს იძლევა.

ფიზიკური სიკეთით დაჯილდოვებული დედოფალი სუბუქ აშიკობას არ თაკილობდა.

ოჯახურ გადმოცემათა შთაბეჭდილების ქვეშ აკაკი წერეთელი¹ ერთ ანეგდოტურ თხრობაში გაკვრით შემდეგ სტრიქონებს უძღვნის ანა დედოფლის ზნეობრივი თვისების კითხვას: „იმერეთის ტახტზე დიდი სოლომონის შეპდეგ დავით მეფე იჯდა. თვითონ მეფე დასაწუნი არ იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა ცოტა ნაძრახი და მიტომაც იმერლებმა მოახსენეს ქუთათელის პირით: «ჩვენი ცოლები დედოფლის შემყურე უნდა იყონ და მისი მიბაძვით [იქცეოდენ], და მაგის ქცევაკი მოსაწონი არ არისო!.. გთხოვთ: ან დედოფალი გაუშვათ და ან ტახტზე ხელი აიღოთო»².

ლამაზი, ქკუიანი და ცბიერი დედოფლის ხელში გაუნათლებელი და გულუბრყვილო დავით ჰეორე სათამაშო ბურთად იყო გადაქცეული, ხოლო სამეფო საქმეებს განაგებდნენ ქალის ბიძა და მიჯნური³.

ბესიკის დიპლომატიურმა მოღვაწეობამ მიჯნურნი ხანგრძლივად და საბოლოოდ დააშორა ერთიმეორეს (პოეტს რუსეთში სიკვდილმა უსწრო). იმერეთშიც საქმეები ძალზე აიწეწა. დინასტიურ-ჯგუფურმა კინკლაობამ გრანდიოზული სახე მიიღო. დავით მეორემ რამდენიმეჯერ დაჰკარგა ტახტი, ბოლოს ახალციხეში გარდახვეწილი დაიღუპა იქ 1795 წელს. იმერეთში ირაკლის კანდიდატი და-

¹ აკაკი წერეთელი დედის ხაზით იმერთა სამეფო გვარეულობას ენათესავებოდა.

² რჩეული ნაწერები, I, 314. დაყოფა ჩვენია ა. ბ.

³ ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ გვიან ბესიკს ძლიერი მომნანიებელი წერილი გაუგზავნია ჰაბუა ორბელიანისთვის. პოეტი პირდაპირ აცხადებს: „მანასესნი მომაქენ ნანვანი“ და კრძალვით ითხოვს დანაშაულის პატიებას: „გარდასტერნ ვნებანი სიძულელისა“ და „ცრუდ სადღე თქმული“ ჩემ მიერ დაფიწყებას მიეცო. თავის წარსულ საქციელს ბესიკი „საძაგელებად“ რაცხავს და მოძღვარი მამის ძველ მეგობრულ კავშირს აგონებს. ჰაბუას არც გონებრივი და ფიზიკური მხცოვანების მიმართ აპელაცია ავიწყდება პრაქტიკულ საქმიანობაში გამობრძმედილ პოეტს— ვით ძმასა მყმარსა სიყვარული მამისა მომიწყვე ვალადო“, და ვატაცებთ ნატრობს: „ნეტარ თუმცა მეუწყა დასცხრაო ზლუაი გონიერი დაწყენარბითა!“ ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეიწყნარა „ბლიადის“ მუღარა კუზიანმა ფილოსოფოსმა. ყოველივე ეს ერთი შეხედვით უნდაურ შთაბეჭდილებას სტოვებს გესლიანი სატირული პამფლეტების შემდეგ. მაგრამ ჩვენ ვეფიქრობთ, რომ ბესიკის წერილი ანა დედოფლით იყო შთაგონებული. ანა იყო ჰაბუას მახლობელი პირი და ნათესავი. ის შეეცდებოდა ჰაბუას და ბესიკის დახვედბას.

ვით არჩილის-ძე გამეფდა (სოლომონ მეორის სახელწოდებით) და ანგარიშიც სასტიკად გაუსწორა თავის მოპირდაპირეთ.

მძიმე მდგომარეობა შეექნა ყველასაგან მიტოვებულ ანა დედოფალს, ამისი ერთადერთი შვილი კონსტანტინეც სოლომონმა ციხეში დაამწყვდია. ამაყი და პატივმოყვარე ყოფილი დედოფალი იძულებული ხდება დახმარებისათვის ისევ ირაკლის მიმართოს. ირაკლის ანასთვის ქეთინისხევის მამული უწყალობებია, მაგრამ მეფის გარდაცვალების შემდეგ ანას შევიწროება დაუწყვეს. განსაკუთრებული გაბოროტება გამოუჩენია გოგია აბაშიძეს. აქვე მოგვაქვს ფრიად საინტერესო ცნობები ანა დედოფლის შესახებ, რომელიც პ. ბუტკოვს შეუკრებია: „Начал прежде угнетать царицу Анну Матвеевну имеретинский соседний ей князь Гогиа Абашидзе, желая предать ее татарам, и настроил людей зажечь ее дом; но она зло сие отвратила. Потом царь Соломон прислал туда войска, чтоб ее поймать и представить к нему. Преданные ей люди собравшись, отразили сие войско с уроном своим; убито у нее двое дворян и ранено два человека; искали убить и ее, но она скрылась в лесу, и спасена от смерти, бывшим в Сураме с ротою, капитаном Бартепьевым, который, услышав оную тревогу, с ротою к той стороне выступил...“ (II, 509).

ამის შემდეგ ანა თბილისში ჩასულა და კნორინგის საშუალებით პეტერბურგიდან დახმარება უთხოვია. თხოვნა შეუწყნარებიათ და 1801 თუ 1802 წელს ანა რუსეთშიც წასულა (II, 509; III, 362). რუსეთის დაქინებითი მოთხოვნით კონსტანტინე ბატონიშვილიც განთავისუფლებულა. ტყვეობიდან და დედასთან გამგზავრებულა (II, 509). როგორც ჩანს, ანა პირველი გამგზავრების შემდეგ უკანვე უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში, რადგან იმავე ბუტკოვის სიტყვით: „Вдовствующая имеретинская царица Анна Матвеевна вторично едет из Грузии в Россию и приезжает в Петербург 28 мая [1809 года]“ (III, 391).

მართლაც, ჩვენამდე შენახულა ანას ავტოგრაფული წერილები პეტრე მაქსიმეს-ძის ლიტვინოვის სახელზე 1804 წლის თარიღით (წ. კ. ხელნ. № 2911).

აუტანელ გაკირვებასა და შევიწროებაზე ჩივის ანა დედოფალი ალალო ყორღანი შვილისადმი მიმართულ წერილებშიც (ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, 350—355). მოგვაქვს ამ წერილების ზოგიერთი ნაწყვეტი: „მოგკდი, ალალუავ: ილაჯი აღარ არის. ჯერ ჩემი მწუხარება და მასუკან ეს შიმშილი. ვისაც ბევრი აქვს, იმასაც ლუკმა ვერ უშოვნია, თორემ მე ვინ მომ-

ცემს? გაშინჯე, ვარ ასე მწარეთ შეწუხებული და გაქირვებული... ვიცი, ჩენს ამბავს იკითხამ და ვყრივართ ამ თელავში უსარგებლოთ. ახლა ბატონს დედოფალს [დარეჯანს] შემახვეწე და შემავედრე... ჩემისთანას ობლისა და ოხრის შეწყალებას ღმერთი არ დაგიკარგავს და თქვენის ბედნიერებით მეც ნუგეში მომეც-თქო...

უბრალოთ და უსამართლოთ ბატონი დედოფალი მე გამიწყრა გაბერილის და ეშმაკის გოგია აბაშიძის ეშმაკობისთვის. რომ ჩამოველ მანდედგან, მას უკან სულ სასიკვდილოთ დამდევენ ეს კაცები. და ახლა კიდევ წყრომის ოქმი ებოძებინა ბატონს და ახლა კიდევ, რასაკურველია, უვარეს მიზეზდენ. ხან იქ ვიმაღვი და ხან იქ, არ მეშვებიან უსიკვდილოთ. ბატონის ოქმი გვაქვსო, რომ მო[გ]კლათო. ახლა ვარ ასე გაქირვებული, ალაღუავი... ალაღუავ, ძმობაც ახლა უნდა, ნამუსიც და სიყვარულიც⁴.

ბლოსდაბლოს, მაინც ანა პეტერბურგში კარგად უნდა მოწყობილიყო, რამდენადაც ეს ოსე გაბაშვილის წერილებიდან ჩანს. პ. ბუტკოვიც ამბობს, რომ: „При дворе принята яко царица, со всеми знаками милости и уважения, получила орден св. Екатерины“ (II, 509). ანა დედოფალი გარდაცვლილა მოსკოვში 1832 წელს, ივნისის 18-ს (იქვე, III, 406)¹.

სხვათა შორის, რუსეთში გადაუსახლებიათ ოსე გაბაშვილი და ერთერთ შორეულ მონასტერში მოუთავსებიათ. ჩვენამდე მოღწეულია ოსეს ამ პერიოდის წერილთა კრებული ანა დედოფლის სახელზე.

პირდაპირ საარაკოა ის მზრუნველობა, რაც ანას ოსესთვის გაუწევია. უკანასკნელი ერთგან სავსებით დამსახურებულად წერს თავის კეთილისმყოფელს: „ჩემო მამაო და დედაო, შვილო, ძმაო და დაო და ნათლულო და ყოველო კეთილობაო ჩემთვის დამყარებულო“ (56). გაოცებას იწვევს ანას მხრით ნივთიერი დახმარების სიუხვე. მაგრამ ამასთან აღსანიშნავია ოსეს პირველი ბარათების კანდიერი და უტიფარი კილო. თუ გინდ ასეთი ნაწყვეტი (რომელიც ჩვენ ნაწილობრივ უკვე გამოვიყენეთ): „ჩემი ვედრება ხომ არაოდეს ისმინე, არც მოიხსენე მსახურება არცა ძმისა და არცა ჩემი, რომელთაც ერთგულებისათვის თქვენისა მიგვიღეს ყოველივე საცხოვრებელი და სოფლებიცა, და თქვენ ამდენი ხანი გთხოვ ერთს

¹ ან იმავე წლის ივლისის 4-ს (Б. Эздзе, Летопись Грузин, I, გვ. 361.

შავს ანათორას და ერთს საათს და არ მიბოძე“-ო (გვ. 20). ეს წერილი დათარიღებულია 1816 წლის ივნისის ოცით.

მართლაც შეიძლება დედოფლის უმადურობაში დაექვევა, რომ შემდეგი წერილები არ ქმნიდეს სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას. გვიანდელ წერილებში ოსე სავსებით იცვლის კილოს: „თქვენც თავი შეგეწყინა მრავლის გზაენით და მრავლის ნუგეშინისცემით და მრავლის ნუგეშინის წაილით“-ო (56).

ოსეს პრეტენზიულ „თხოვნებს“ კი საზღვარი არ უჩანს. დამახსიათებელია მისი ერთერთი წერილის ასეთი ადგილი: „მოწყინებაში ბურნუთს გავეწყვე და გვედრები ერთი ლამაზი შევნიერი ბურნუთის კოლოფი მიბოძო. თუ გინდა შენ გხედვიდე მარადღე, ისე მივითვალავ, და ჩემს სიცოცხლეში არ განვიშორებ. თქვენცე უწყი ჩემი ამბავი, პროსტოვს არაფერს ვეწყობი და, ჩემო ბატონო, კარგი თაბაქერქი მიბოძე, რომ მუნ ვიხარებდე შენითა ქერეტითა“ (65).

სამწუხაროდ, ანა დედოფლის საპასუხო წერილები არსად ჩანს. ოსეს წერილებში კი ყურადღებას იქცევს რაღაც ზნეობრივ მოვალეობისა, თუ ვალდებულების მომენტებზე მითითება...

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. აქ წერილებიდან ჩვენ მეორე მხარე გვიანტერესებს. როგორც ჩანს, მოხუც დედოფალს დიდ სიამეს გვრიდა დიდი ხნიდან დაღუპული ბესიკის მოგონება. დედოფალს რამდენიმეჯერ დაჟინებით უთხოვია ოსესთვის ბესიკის ლექსები.

1816 წელს, ივნისის ოცის თარიღით ოსე იწერება: „...ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, ყოველივე ერთად წარმოგზავნე თქვენისა უმაღლესობისა წინაშე და არა უწყი, მოგერთვა თუ არა. ეს ორჯელ მომირთმევაა, რაც მებრძანა და შერა ვყო, თუ არაეინ მოგართმევს. მე ვისაც გამოვატანე, ვგონებ, თვისად განისაკუთრებს, და თუ კიდევ არ მოგერთვა, განსაკუთრება ეს იქნება და ყოველივე მიბრძანეთ“-ო (3).

1821 წლის 28 მარტის თარიღით: „ლექსები რომ გებრძანათ ბესარიონის, აქ არ მომყოლია და, თუ რამ ზეპირ ვიცი, გავიხსენებ, დავსწერ და მოგართმევ, ხელმწიფეო“ (10).

იმავე წლის მაისის ორს ოსე კვლავ იტყობინება: „უწინარეს ამისსა გებრძანათ ლექსნი ძმისა ბესარიონის თქმულნი. მაშინ საჩქაროდ ველარ მოვასწარ, არა მაქენდა დაწერილი. შორიდ ვიფიქრე დავიწყებული და გავიხსენე რომელიმე და მივეცოგი აღმწერელობასა“ (34).

ოსეს არ ასვენებდა დედოფალი ბესიკის ლექსების დაკვეთით. ერთი თვის შემდეგ ის კვლავ იწერება: „ჩემის ძმის ბესარიონის თქმული ლექსები, რაც გამახსენდა, დაგიწერეთ“ო (37).

ლექსების უკანასკნელ რვეულს ადრესატამდე დაზიანებულად მიულწევია. 1821 წელს 13 სექტემბრის რიცხვით ოსე ასე ანუგეშებს დედოფალს: „გებრძანა, გზაზე წამხდარიყო რვეული ლექსთა ჩემ მიერ მორთმეული. ამისთვის ნუ შესწუხდებით, უმჯობესად განგიახლებთ. ახლა ვეღარ მოვასწარი, შევასრულებთ და მალე გაახლებთ, რომ გზაზე აღარ წარხდეს“ (38)¹.

ეს ამონაწერები ბევრს ლაპარაკობს ანა დედოფლის, თუ გინდ, აღრინდელ განწყობილებაზე პოეტის მიმართ. ბესიკის ლექსები უძვირფასეს რელიკვიას წარმოადგენდა ანას, ალბათ, არც ისე ძვირფას საგანძურში. ამ ლექსების კითხვით იქარებდა აწ უკვე შევერცხლილი დედოფალი ჟამთა სიაყით გამოწვეულ მწუხარებას.

1 სხვათა შორის, როგორც დასახლებული მიმოწერიდანაც ჩანს, ანა დედოფალს მრავალი წიგნის გადაწერა დაუკვეთია ოსესთვის საკუთარი ბიბლიოთეკის შესავსებად. ჩვენ მოგვეპოვება ერთი ასეთი ვგზემლარი (A301), რომელიც დიდის სასობებით შეუსრულებია კალიგრაფს და კეთილისმყოფელი დედოფლისათვის მიურთმეოდა. სატიტულო ფურცელზე გადამწერი ლამაზი ხატოვანი დამწერლობით აღნიშნავს: „ორბელითთა ასულმან უმაღლესმან იმერთა დედოფალმან ანანამან მიბრძანა სახსოვრად სასარგებლოდ სულიერთა მკითხველთათვის და აღუწერე“-ო. საყურადღებოა ამ წიგნის ანდერძი: „მათ უმაღლესობას ჩემს ხელმწიფას იმერთა დედოფალს ანანას, ორბელითთა ასულს ებრძანა გარდაწერა წიგნისა ამის და აღუწერე მე ხაზარია მოძღურის ძემან პროთოიერმან ოსე გაბაონმან.“

გარდა ამისა ექსორიობასა შინა რუსეთს ბელელოროდის ქალაქსა მონასტერსა წმიდისა ნიკოლოზისისა აღუწერე ორი სამოციქულო, ორი დიდი ანტიფრასი, ერთი კონდაკი წლის წმიდის იამბიკოდ თქმული იოანე პეტრიწისა, ერთი კლიმაქსი, ერთი ჟამნი მისის თვეებით, სხვა ; ლოცვები, დაუჯდომელი პარაკლისი, იესო ტკბილი. ოთხი ესენი აღუწერე და ჯერეთ კიდევ აქ ვართ მადლითაღმთისათა დატულნი. ჰოი მე, ვითარ განმიგრძდა მე მწირობა ჩემი წელთა ქრისტისით: ჩუკი[1822], დეკემბრის კ[20]“ (ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს და მოტანილი ნაწყვეტიც შევლომებით დაბეჭდილი თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს თავის „აღწერილობაში“, 1, 301-302).

ხელნაწერის პირველ გვერდზე მიწერილია: „შემდგომად დედოფლის ანანას გარდაცვალებისა, ვიყიდე მე დიმიტრიმ კონსტანტინე ბატონიშვილისაგან“-ო. კონსტანტინე ანანას ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. კონსტანტინეს ბ რ ო ს ე ს თ ა ნ. მიმოწერიდან (წ. კ. № 4797) ჩანს, თუ როგორ ანიავებდა ეს ფუქსაეპტი ბატონიშვილი მწიგნობრობის მოყვარული დედის შეგროვილ მდიდარ კოლექციას. ანადედოფლისეული ბესიკის თხზულებანი, ალბათ, კერძო პირზე გაიყიდა და დაიკარგა.

* * *

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ანა დედოფალი არ უნდა ყოფილიყო ბესიკის პირველი, ან ერთადერთი ტროფობის საგანი. ამ მხრივ საინტერესოა „სვედის ბალის“ შინაარსი. ალეგორიული ნარკიზი ვარდის (—სატრფოს) გულცივობას პოეტის მიმართ შემდეგნაირად ხსნის:

ვარდი მით არის გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა—
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა,—
რად გიკვირს, გასწყურეს ცეცხლმოდებითა?
ნაცვალი მოგხედა დანახსოვნები!

პოეტიც მალე მიუხედა „მისა ბრალესა“, თავიც იმართლა „ვარდის“ წინაშე, მაგრამ ამოდ, — მით უმეტეს, რომ თურმე არც „იას“ სთმობდა. თანაბარის გულმხურვალებით აბარებს პოეტი ნარკიზს სიმბოლიკური სახეების ალერსს:

ვარდი მიკითხე, აგრეე იანი,
მეცა გახსოვდე მცირე-დღიანი...

ბესიკის სატრფილო ლექსების „ყვავილებში“ რომ სატრფოს სიმბოლიკური ნიშნები იგულისხმება, ამის შესახებ შესანიშნავ კომენტარიულ ცნობას იძლევა დავით რექტორი: „ბესარიონს ვარდად თქმული უყვარდა და ვარდსაც ბესარიონ უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუედა სხვის შეყვარებით, ვარდმა შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა. მაშინ სთქვა „სვედის ბალს შეველ“. შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და ვარდის ხადუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში [„მე მიეხვდი მაგა შენსა ბრალესა“] ამბობს.

მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ, ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა. და ან მეორე, ბესარიონისაგან შეყვარებული, ვინ არის. მე სახელები არ დავსწერე: არა სჯობდა. თქვენ გამოსცანით¹.

¹ შტრ. ბესიკი, „ვარიანტები და შენიშვნები“.

ამ მოწმობიდან ცხადი ხდება, რომ ბესიკს ერთხანს ვილაც „ვარდი“ ყვარებია და „ვარდსაც ბესარიონ უყვარდა“. მაგრამ ბესარიონი, თურმე „მოტყუვდა სხვის შეყვარებით“. ამას პირველი სატრფოს სამართლიანი რისხვა გამოუწვევია. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად რექტორი არ ხსნის სიმბოლიკის ნიშნებს.

ამ ჩვეულ სიმბოლიკურ ხაზებშია მოცემული ბესიკის უკანასკნელ გამოცემაში პირველად დასტამბული ლექსები „ვარდო სასურო“ და „მიწურვილობდა ზამთრისა ეამი“.

ძნელია რომელიმე სიმბოლიკურ ნიშანში, მაინცდამაინც, ანა დედოფლის ამოცნობა. შესაძლებელია, ანა პოეტური გატაცების უკანასკნელი საგანიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, „ვარდთან“ ერთად რომ „იაც“ მოქმედებს, ეს დოკუმენტურად ცხადია რექტორის მოწმობით. ჩვენ ახლა შემთხვევა გვეძლევა „იას“ ვინაობა გამოვიცნოთ, სხვათა შორის, იმავე რექტორის ერთი დღემდე უცნობი საბუთის საშუალებით. ბესიკის პატარა მშვენიერი ლექსის „ჰაერი ციენამიანი“ს შესახებ რექტორი შენიშნავს № 1512 ხელნაწერში: „ესეც ბესარიონ გაბაონისაგან არის ნათქვამი [. . .] აზედ სიკვდილის შემდგომად. საბრალობელი თავის თავს [. . .] უძახდა. და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს ერთი შაირი კრემენჩუკს ეთქვა“.

კვადრატულ ფრჩხილებში საგულევებელი სიტყვები დავით რექტორს გულმოდგინედ ამოუფხეკია ხელნაწერიდან. ხოლო ლექსის ლირიკული მოტივაცია და დაწერის ადგილის ზუსტად აღნიშვნა კრიტიკას არწმუნებდა, თითქოს ბესიკმა ამით ანა დედოფლის (თუ ბატონიშვილის) სიკვდილი გამოიტირა (გორგაძე, XIII; თორაძე, 12 და სხვ.). ჩვენ კი ვიცით, რომ „ჰაერი ციენამიანი“ დაწერის დროს ანა დედოფალი თავს შესანიშნავად გრძნობდა, ყოველ შემთხვევაში, სასიკვდილო მას არაფერი სჭირდა. მაშასადამე, აქ სხვა ვინმე უნდა ვიგულისხმოთ.

მართლაც, დავით რექტორის გადაწერილ მეორე კრებულში (№ 1164) კომენტარია მთლიანად შენახულა (და ამით შესაძლებელი ხდება № 1512-ის ამოუფხეკილი ტექსტის აღდგენაც)¹: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად ყულარად ასის ქალს მაიაზედ სიკვდილს შემდგომად. ჰაზრი იმასა ჰგავს. და საბრალობელი თავის თავს მაია იას უძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს ერთი შაირი კრემენჩუკს ეთქვა“.

¹ შდრ. ბესიკი, გვ. 121.

აბრიგად, ცხადი ხდება, რომ ბესიკის ტრფობის საგანი, სხვა-თა შორის, ვიღაც ყულარალასის ქალი მაია ყოფილა.

ჩვენ ვიცნობთ ერთ ყულარალასს, რომლის სახელი ბესიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ესაა ელიზბარ ქსნის ერისთვის-შვილი, ქართლიდან გაძევებული და იმერეთის სამეფო კარის უპირველესი მრჩეველი ბესარიონ გაბაშვილთან ერთად. იოლი წარმოსადგენია, რომ ტემპერამენტიანი პოეტის გული ამის ქალს დაესეტყვა. ქალ-ვაჟი, ალბათ, ერთმანეთს ხშირად ხედებოდნენ და „მეგობრული“ გრძნობების კვანძიც მალე შეიკვროდა. ანა დედოფლის მოსიყვარულე და იკვირანი გული ამას კარგად შეამჩნევდა (სიყვარულის დრამა მის სასახლეში გათამაშდებოდა). ყვედრება, ჩივილი და ისტერიკა (შეურაცხყოფილი ქალური პატივმოყვარეობა!) ბუნებრივ ნიადაგს პოევბდა (შესაძლებელია ამბების განვითარების პირუკუ მიმართულებაც).

ბესიკს არასოდეს არ დავიწყებია თავისი მწყალობელი ხელმწიფე ქალი (—ხელმწიფე არა შეტაფორული ვაგებით), მისდამი ტრფობა ახალისებდა და აქაბუკებდა მგოსანს უცხო ქვეყანაში, ეაგრამ „იას“ სიმბოლიური სახეც ღრმად აღბეკდილა მის გრძნობითს წარმოდგენაში. ბესიკის ჭოეტური გული ღრმად დაუსეტყვია საზარელი სიკვდილის ცნობას:

ჰაერი ცივ-ნამიანი
ჩემთვის აღარა დლიანი!..

* * *

ბესიკის პოეზიის ძირითადი მოტივი საყვარულია. ფეოდალური პერიოდის ლირიკოსებში ამ მხრივ ბესიკი შეუდარებელ ვირტუოზად რჩება, მან ყველაზე უფრო კონკრეტულად, ცხოვლად და მხატვრული უშუალობით ასახა მძაფრი სატრფიალო განცდები. ბესიკი მოკლებულია მშრალ, განყენებულ და უსაგნო მწიგნობრულ სამიჯნურო რეზონერობას. ბიოგრაფიული ფაქტებით დადასტურდა, რომ ნამდვილი, წრფელი ლირიზმითაა აღბეკდილი ისეთი პოეტური შედევრები, როგორიცაა „სევდის ბაღს შეველ“, „მე მივხედი მაგას შენსა ბრალეგსა“, „დედოფალს ანაზედ“ და სხვ. სიყვარულის გრძნობას პოეტი განიცდის ორგანიულად, ღრმად და ძალუმად. ის მზადაა საკუთარი მე-ს უარყოფით სავარადისო ძეგლად დაედვას

ტრფობის სამსხვერპლოს, თუმცა ადამიანური წაყვედრებითაც ხშირად შესჩივის უმადურ სატრფოს:

მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა არ გამეცე!¹

ბესიკის წარმოდგენით, სიყვარული ვეება კოცონია, ყოველივეს რომ ნთქავს და ანადგურებს, მაგრამ ამასთან მაგნიტური მიმზიდველობის ძალიც ახასიათებს. პირფერად მოლიმარე მიჯნურის სახეს პოეტის გული წარუტაცნია, მონად გაუხდია, გაულეგია, დაულუპავს. პოეტი ბრმად აპყოლია გრძნობას, გონი დაუქარგავს, ცეცხლს მიუზიდავს:

მლიმარის პირით წამეპარე, დამიდგი მახე,
ასე მეგონა შემრჩებოდა ეგ შენი სახე:
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე.

პოეტი უპრეტენზიოა თავის სურვილებში, ის მხოლოდ ღმო-ბიერებას და სიბრალულს ითხოვს:

დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახე!

სტროფი იხურება მტკიცედ შეკრული მუხამბაზური რეფრენით:
ვა, შენი ბრალი, ჩემო თავო, ღრუბელს შახველი!

ხშირად ბესიკი თავის გრძნობიერებას სოციალურად გააზრებულ მხატვრულ სახეს უძებნის:

მონა ვარ მისი მუდამ-ყამ
და მისი შემამკობელი,
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადნობელი.

პოეტის ჯანი გაულეგია მოსიყვარულე გულის მღელვარებას, სიცოცხლის ძალა გამოლევია, სიკვდილის კანგს შეუპყრია. კვლავ ნელი საყვედურის კილოთი აგონებს სატრფოს ბესიკი:

თვით შენმა გულმა კარგად იცის, ვარ შენი მკვდარი:
შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი.

სამაგიეროდ კრძალული თხოვნა:

ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა!

სატრფო კირვეულია, გულზეიადობს, თითქოს იქვიანობს კი-
დეც, აუტანელი გულცივობით კარზე მიუთითებს მხურვალე გრძნო-
ბით შეპყრობილ პოეტს. ირონიის გესლი ინთხევა სატრფოს ბა-
გიდან:

ხელი აიღევ მაგ საევანებით,
შემწე იძიე ბანის-ბანებით!
აგრე ვერ მომკი ვარდსა ყანებით!

სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალებსა!

ტრადიციული სახეთი ავლენს პოეტი თავის სიმწარეს:

შენმან გონებამ მიმამსგაესა მიღეულ მთვარეს-ო.

რომანტიკული აკენესებით გადმოგვეცემს ბესიკი სიყვარულის
გრძნობის სიმწვავეს და დაუკმაყოფილებელი წყურვილით აშლილ
ვანცლის სიშპაგეს. უძლიერესი მხატვრული სიტყვითაა აღბეჭდილი
პოეტის ურვა:

ვა, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო!

* * *

ბესიკი აგრძელებს «ვარდ-ბულბულიანური» პოეზიის ტრადი-
ციებს. ჩვეული სიმბოლიკა: სატრფო ვარდია, მოტრფიალე—ბულბუ-
ლი. სანეტარო სატრფოს გულის სამყაროს სდარაჯობს გამუდმებუ-
ლად მკაცრი მებაღე. მებაღეს სისხლი ცივი აქვს და გრძნობა გა-
ყინული. უგულო და მიუსაფარი მკვახედ პასუხობს ნაზი ბულბუ-
ლის სიყვარულით სავსე ვედრებას, გულაყუჩებულ მკენესარე მგოსანს
ტლანქად უეტიავს აღსავლის კარებს; ცივად აძევებს ტრფობის
ბაღიდან:

ბულბული მოდის მწუხარებით, ცრემლის დენითა,
ვექობ, მებაღეს დაუტუქსავს ცეცხლმოდებითა...

მებაღე ახლოს არ უშვებს «მკენესარე» ბულბულს, რომ «ნარ-
ვიზი» ნახოს «ვარდთან» სამოციქულოდ. მებაღე ყრულ ირწმუნება:

კოკობი ვარდი არ მივიღებს თავის ნებითა.

ასე უწყალოდ „მებაღემ დასწყლა და დაჰკოდა ბულბულის გული“. უთანაგრძნობო და შერისხული ბულბული სასოწარკვეთით მიმართავს სიკვდილს:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული!

ბულბულის სახე ბესიკის პოეზიაში კონკრეტულია, მისტიკური ალეგორიზმის სარჩული აქ წარხოცილია. ამ სახეს პოეტი საუცხოოდ იყენებს უშუალო ლირიკული განწყობილების გამოსახატავად. ნაწი, გრძნობიერი და მკენესარე ბულბული თვითონ ბესიკია, ზრუნვით რომ დასტრიალებს „სევდის ბაღს“ და ფაქიზ სასიყვარულო ჰიმნებს უგალობს ტრფობის საყუდარს, თუ თვითონ სატრფოს.

* * *

ბესიკის ძლიერი და მგზნებარე სიყვარული ხორციელია, მიწიერი. ეროტიკა და ჰედონიზმია ბესიკის სიყვარულის ნამდვილი სახე. ბესიკის სიყვარულის საგანს მხოლოდ ხორციელი ატრიბუტები ახასიათებს, პოეტს ახელებს და გრძნობას უტყვევებს სატრფოს ფეერიულად რიტმული რხევა, ვნების აღმძვრელი მისი „ციალი“. „კვლავ მომკლა მისმან ციანმან და წელთა მიმოტანამან“, — ამბობს პოეტი ანა დედოფლის სახელობაზე დაწერილ ლექსში. თავის სატრფოში პოეტი ამჩნევს და დიდ-ფასეულად რაცხავს გარეგნულ მოხდენილობას, სხეულის სიკეკლუცეს. სატრფოს სხეულის ნაკეთთა შნო და ლაზათი იწვევს პოეტის სატრფიალო ექსტაზს. სატრფოს ლამაზი სხეულითაა შთაგონებული ბესიკის შემოქმედებითი შედეგრი „ტანო ტატანო“. პოეტური ფიგურალობის სიმდიდრე, სიტყვიერი გამართულობის ძალი, ბგერული ჰარმონიკის მოხდენილობა, ლექსის რიტმული წყობის გრაცია, მეტრული აგებულობის მკაცრი სიზუსტე, კომპოზიციური აღნაგობის სიმეტრიული შეზომილება და შინაარსეული რიგის იდეალური შეხანება მთლიან მხატვრულ ასპექტთან „ტანო ტატანოს“ ანიჭებს განსაკუთრებულად საპატიო ადგილს ბესიკის პოეზიაში. საილუსტრაციოდ მოტანილია პირველი და მეორე სტროფი:

ტანო ტატანო, გულ წამტანო, უცხოდ მარებო,
ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო,

წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო შემაზარებო,
 ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო. სულთ წამარებო,
 პირო მთიარეო, მომიგონე, მზისა დარებო!
 თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშენის მწველად,
 ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად,
 გესხნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად,
 ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
 მიწვეედენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

ბესიკისათვის არ არის უცხო არც სევდა-ნალველი და კაემანი. ერთგან იშვიათი პოეტური ძალით არის გამოხატული ეს მომენტი:

სევდის ჟამი ვსვი, გულს დავისვი ეკალთა ნარი.

გლოვისა და ტირილისაგან პოეტის „ღაწვეები ცრემლით ნალარია“ „სტირს დღე და ღამე“, ის „ბედკრულია“, „ბედბმული“, „ბედისაგან იავარკმნული“, მისთვის „გამოჩნდა სოფელი უბედობისა“, მისთვის სიცოცხლე „უქუღმართია, დანაცარები“. ბესიკს „ჰკლავს და აწყლულებს სევდისა შხამი“, „სულმიწურვილია“, კენესის: „ვა, ჩემსა ბედსა“, რადგან მისი „დღენი არს შესაზარი“. ბესიკის ხშირი სტუმარია „სევდის ლაშქარი“ და „ცრემლთა ისარნი“. ბესიკის სამყოფელია „სევდის ბალი“, სხვაგან ფრენს მისი „სიცოცხლის ფრინველი“. ერთი სიტყვით, პოეტი უკმაყოფილოა ცხოვრებით, ის სოფლის მაგინებელია, მკმობელი:

ვარ უცხო ვინმე ყარიბი
 ამა სიტყვისა მხმობელი,
 ამა მუხთლისა სოფლისა
 მაგინებელი, მკმობელი.

ბესიკსაც „მოხვდა სოფლის მკვლელი ბრკალები“, თუმცა ის „სიკვდილს არ ემალება“, პირიქით, „თავი აქვს მისთვის შენაწონები“, ნატრობს კიდევაც:

სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.

ცხადია, წუთისოფლის პრობლემა ბესიკისათვის არსებითია. პოეტი თითქოს სიკვდილის იდეალად აღიარებამდისაც კი მისულა-

პოეტი ამჟღავნებს უპერსპექტიობას და უიმედობას, მისი მელანქოლია მძაფრია და მყარი. ერთი შეხედვით ეს თითქოს იოლი ასახსნელია: მაინცდამაინც, ბესიკი ღვიძლი შვილია თავადაზნაურული საზოგადოებრიობისა, გაქვინთილია ამ საზოგადოებრიობის იდეურობით. XVIII საუკუნის საქართველოში ფეოდალურ-მიწადმფლობელური კლასი ბატონობდა, ეს კლასი მეთაურობდა ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, თუმცა საკმაოდ იყო შერყეული მისი დიდება, ცხადლივ ისახებოდა მისი უპერსპექტივო მომავლის მრისხანე აჩრდილები. აქედან თითქოს მოძებნილია ბესიკის მელანქოლიის სოციალური ძირი. მაგრამ ეს იქნებოდა საკითხის გაიოლება ცნობილი სოციოლოგიური სქემის მიხედვით. ნამდვილად კი ბესიკის მელანქოლიას ისევ სიყვარულის გრძნობა განსაზღვრავს. ბესიკის ურვა სატრფიალო ურვის თვისებას ანხელს. ბესიკის „სევდის ბალი“ და „სევდის ლაშქარი“ ამჟღავნებს სატრფიალო ჟინის დაუკმაყოფილებლობის ძლიერ სიმპტომს. სიკვდილის ნატვრაც სასომიხილი მიჯნურის სულიერი ვითარების ამსახველია:

შენმა გონებამ მიმამსგავსა მიღეულ მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა
მწარეს.

მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს.
ვა, სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო!

პოეტი შესდგომია „ბულბულის შურსა“. „მკვდარი მიჯნური“, ანუ „მკვდარი ბულბული“ იგივე ბესიკია, რომელიც „დასწყლა და დაჰკოდა“ გულცივმა მებალემ. პოეტის ორეული ბულბულიც სასომიხილი ჩივის:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული!
მებალემ დასწყლა და დაჰკოდა ბულბულის გული!
მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე, ჩამიდგი სული,
თუ გინდ მიწასაც მიმაბარე მოყვრის ენითა!

საყურადღებოა, რომ გულშემზარავი „სევდის ლაშქარიც“ სატრფიალო გრძნობიერებას შემოუყრია. ყოველ შემთხვევაში, სატრფიალო მოტივი ამ განთქმულ ლექსს („სევდის ლაშქარს“) თავიდან ბოლომდის ძლიერად აფერვანებს:

სევდის ლაშქარი შებომისდება,
 სურვილის ცეცხლი მომეკიდება,
 სულთქმა და ტირილი გამიბჰირდება,
 საყვარლის ჰერეტა დამიძვირდება,
 სიცოცხლის ფრინველი გამაფრინდება.

—

დავკარგე სატრფო, ჩემი ცხოვრება,
 დავკარგე განცხრომა და გახარება,
 დავკარგე სამოთხე და უკუდაება
 დავკარგე მთვარე,—ვის ემთვარება?
 დავკარგე მინერვა, სიბრძნის დიდება!

—

მომაკლდა უებრო კეთილობანი,
 მომაკლდა ალერსი და ზრდილობანი,
 მომაკლდა აშიკთა მორთულობანი.

ამრიგად, ხშირ შემთხვევაში (თუ ყოველ შემთხვევაში არა): ბესიკის მწუხარე განცდა განსაზღვრულია სატრფიალო განწყობილებით. მაინცდამაინც, სიყვარულის მოტივი ჭარბობს ბესიკის პოეზიაში, სიყვარულია ბესიკის შემოქმედების სამოტივო ღერძი. ერთი კუთლი სიყვარული ბესიკის პოეზიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და ნიშანდობლივი მხარეა. კერძოდ, წუთისოფლის პრობლემა ბესიკის პოეზიაში გარკვეულად ექვემდებარება სიყვარულის პრობლემას.

ბესიკის სატრფიალო მოტივების ძირი ისევე ძველია, როგორც იმ საზოგადოებრივი კლასის ასაკი, რომლის განწყობილებაც ლირიკულად ასახულია კოხტა მუხამბაზებში. ლიტერატურულად ბესიკს ჰყავდა წინამორბედნი. ამ მხრით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თეიმურაზი (1589-1663). ბესიკი აგრძელებს, აღრმავებს და კლასიკური ფორმებით ასრულებს ფაქტობრივ ე. წ. აღორძინების პერიოდის ლიტერატურას. ბესიკი ობიექტურად თავისებური პოეტური სკოლის მეთაური ხდება, რომელსაც წამბაძვლელებისა და ეპიგონების მთელი პლეადა ახვევია. ნიჟიერი წამბაძვლელები კიდევ ახერხებენ წონასწორობის შენარჩუნებას და ზოგ შემთხვევაში ორდონალობის მწვერვალს აღწევენ (დიმიტრი თუმანიშვილი, ელიზბარ

ერისთავი და სხვ). მაგრამ მაინც გარკვევით შეინიშნება ბესიკის უშუალო იდეურ-ფორმალური გავლენის ძლიერი ქავლი. ბესიკით იმიჯნება ძველი ქართული პოეზიის განვითარების გზები. ამიერიდან ახალს უკვე ვეღარ ვნახულობთ, ანდა ვნახულობთ გამონაკლისად. ძირითადში ამოწურულია ძველი პოეზიის მხატვრული სიტყვის საგანძური. აქედან იწყება უკან დახვევა, დეკადანსი. პოეტური თემა შინაარსისგან იცლება, ბატონდება მშრალი რიტორიკა და ტრაფარეტული სახეები, განმეორება, გადამღერება, მუდმივი გაწყალებული ეპითეტები, გაცვეთილი ფიგურალობა. ამრიგად, კვლავ ვიმეორებთ, ბესიკი ასრულებს ძველი ქართული პოეზიის რკალს. რა თქმა უნდა, „დასრულება“ ჩვენ პირობითად გვესმის. რადგან ფაქტიურად ძველი პოეზიის ტრადიციები—უმთავრესად ბესიკისვე წყალობით—კიდევ კარგა ხანს ცოცხლობდა მეცხრამეტე საუკუნეშიც. ალექსანდრე ქავჭავაძე ცალი ფეხით ძველი პოეზიის მყარ ნიადაგზე დგას. ბესიკია ამ შესანიშნავი პოეტის მრავალი შესანიშნავი ლექსის შთამგონებელი.

საიათნოვასთან ერთად ბესიკმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში სპარსული ლირიკული ლექსის კულტურა და სასიძღვრო ჰანგები—ბაიათები, მუხამბაზები და მუსტაზადები. მაგრამ ბესიკისათვის უცხოა სპარსული სუფისტურ-მისტიკური პოეზიის რაიმეგვარი გამოხატულება. საფიქრებელი ხდება, რომ საიათნოვასა და ბესიკს სპარსული მწერლობის თურქულ-აზერბაიჯანული განშტოებითაც ესარგებლათ. XVIII საუკუნის საქართველოში ფართოდ ვრცელდებოდა როგორც ლიტერატურულად, ისე ზეპირის გზითაც სპარსულ-თურქული მუხამბაზები და ბაიათები. ამას განსაკუთრებით ეტანებოდნენ აშული ყარაჩოღელი პოეტები. საიათნოვა, რასაკვირველია, არც შემთხვევითია და არც კერძობითი მოვლენა. საყურადღებოა, რომ ბესიკი ახლოს იცნობდა აშულურ საზოგადოებას. არისტოკრატიული სალონების სახელგანთქმული პოეტი ყარაჩოღელთა ლიტერატურული კლუბების (ყავახანების) მუდმივი სტუმარიც ყოფილა. ი. გრიშაშვილმა მოსწრებულად უწოდა ბესიკს ინტელიგენტი ყარაჩოღელი.

საკმაო ადგილი უკავია ბესიკის პოეზიაში ს ა ხ ო ტ ბ ო მოტივებსაც. ძველი ქართული სახოტბო პოეზიის ტრადიციების გაცოცხლების საუკეთესო მაგალითია „რუხის ბრძოლა“. საზეიმო განწყობილება, სტილისტიკური ზვიადობა და მოქარბებული რიტორიკული ენაწყლიანობა ამ ვრცელი ხოტბა-პოემის დამახასიათებელი თვისებებია. ბესიკი აქაც ჩვეულებისამებრ დიდ ოსტატობას აღწევს, მაგრამ რომელიმე

ჩიქოვანს, თუ ჩიჩუას რალაც არ ეხამება ძველი რაინდული ბუმბერაზების კეთილშობილი სიღარბისლე და სამხედრო რიხი. ხელოვნურობა ძალზე იგრძნობა „რუხის ბრძოლაში“. სამწუხაროდ, მოქარბებული ენაწყლიანობა ბესიკის სხვა ლექსებსაც ახასიათებს. საერთოდ, ენის საკითხში ბესიკი ჩამორჩა მის სახელოვან წინამორბედს და უფროს თანამედროვეს დავით გურაძეშივილს. ბესიკი ამ მხრით დიდად განიცდის ანტონ კათოლიკოზის გავლენას (ბესიკის ავტოგრაფული ტექსტების ორთოგრაფიაც კი ანტონისებრ სქოლასტიკურია). მწიგნობრული მაღალ-ფარდოვანობა ხშირად ჰკლავს ბესიკის პოეტური სიტყვის სიწრფელეს. აქა-იქ მძიმე ხელოვნური ენამკვერობა სრულიად გაუგებარ მწიგნობრულ „შტილში“ გადადის. განსაკუთრებით ითქმის ეს ბესიკის პროზულ ტექსტებზე და ეპისტოლურ ლექსებზე. უცნაურ ხელოვნურობას იჩენს ბესიკი კერძო მიმოწერაშიც. ბესიკი თითქოს ეჯიბრება ფუყე სიტყვის იმდროინდელ განთქმულ ვირტუოზებს (დავით რექტორს, ჭაბუა ორბელიანს და სხვ.). ერთი სიტყვით, ბესიკის ზოგიერთ თხზულებას საკმაოდ ახასიათებს რიტორიკულ-ხელოვნურობით გადამლაშების ტენდენციები.

ბესიკი, უპირველეს ყოვლისა, ლირიკოსია. როგორც ასეთი, ის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საქმე ისაა, რომ ქართულ პოეზიაში დიდხანს ათვალწუნებული იყო ლირიკული ჟანრები. როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველმა დააკანონა ეპიკური ჟანრების უპირატესობის აზრი: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ო. ლირიკოსი რუსთაველს ნამდვილ პოეტად, მოშაირედ, არ მიაჩნია (ხოლო „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“). ლირიკოსი სუბუქი მელექსის სახელს თუ იმსახურებს მხოლოდ. მართალია, ლირიკული ლექსი გამოსადეგია „სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“, „ჩვენ მათიცა გვეამების“ო—განაგრძობს მხატვრული გემოვნების კანონმდებელი, მაგრამ ნამდვილი მოშაირის საპატიო წოდების მისაღებად ეს არააო საკმარისი. უკეთეს შემთხვევაში ლირიკოსი მაინც „ნაწილია მოშაირეთა“.

დიდი და განუსაზღვრელი იყო რუსთაველის გავლენა ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაზე. რუსთაველის დიდმა ავტორიტეტმა ერთგვარად შეაფერხა ლირიკული ჟანრების განვი-

თარება¹. XVIII საუკუნეში მინც სთქვა ახალი სატყვა. სულხან-საბა ორბელიანმა, მამუკა ბარათაშვილმა და დავით გურამიშვილმა მნიშვნელოვნად შეარყიეს ძველი სალიტერატურო ნორმები როგორც მეტრიკის, ისე ჟანრის და ლექსიკის მხრით. აღნიშნული ოსტატების მეოხებით დაიწყო ქართული ლექსის გაბედული დეფორმირება. სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიან საკუთრივ ლირიკოსებიც. ბესარიონ გაბაშვილი ერთი პირველთაგანია, დავით გურამიშვილთან ერთად ის სწორუპოვარი წარმომადგენელია ლირიკული ჟანრისა. კერძოდ, ბესიკი მუხამბაზური პოეზიის ვირტუოზია. საგულისხმოა, რომ მუხამბაზური კილოს მგმობელი ვახტანგ ორბელიანიც („მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“) კი აღტაცებით ამბობს ერთ თავის ლექსში (ვ. ორბელიანის ლექსები, თბ., 1928, გვ. 18):

აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა.

დიდად აფასებდნენ ბესიკს მისი თანამედროვენიც. იოვანე ბატონიშვილი, მსწავლული მწიგნობარი, ავტორი ბიბლიოგრაფიულ-კრიტიკული ტრაქტატისა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ბესიკის შესახებ ამბობს: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოსი; მოშაირე მქს-გავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა“². ასევე მალალი აზრისაა ბესიკის პოეზიაზე თეიმურაზ ბატონიშვილი: „ესე ბესარიონ არს, რომელიცა ფრიად საქებელ არს და ქართველთა პიტიკოსთა მიერ ფრიად ქებულ არს, და შერაცხიან რიცხვთა შორის პირველთა სტიხატეორთაცა“³.

¹ საყურადღებოა, რომ აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ 1898 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში წერდა ამ საგანზე: „აქ უნდა მოვიხსენიოთ, სხვათა შორის, რომ „ვეფხვის-ტყავოსანს“ ორგვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე. ერთი მხრით, მიაი წყალობით წერაკითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში და—მეორე მხრით—საკუთრათ პოეზიაზე რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდა. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთველისგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარცკი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არ თექვსმეტ მარცვლოვან და ოთხ-ტაეპიან შაირისა. მიდიოდნენ რუსთველისაგან ურთხელვე გათელილ გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო“ (კრებული, 1898, VI, გვ. 24).

² ვ. თაყაიშვილის გამოცემა, საისტორიო მასალანი, I, თბ., 1913, გვ. 45.

³ საქ. მუხუმის ხელნაწერთა ფონდის № 1091 A, გვ. 98.

ბესიკმა შემოიღო რამდენიმე ახალი სალექსო ზომა¹ და საკომპოზიციო ერთეული. უდიდესი ოსტატობითაა აღბეჭდილი ბესიკის მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, მდიდრული და ორიგინალურია ბესიკის პოეტური ენა, მომხიბლავია ბესიკის ლექსის მუსიკალობა, ბგერული ჟღერა, ჰარმონიკა, ალიტერაცია. ბესიკმა შექმნა მთელი რიგი ახალი კლასიკური პოეტური თქმები, როგორცაა „სევდის ბალი“, „სევდის ლაშქარი“, „ცრემლთა ისარნი“ და სხვ. საერთოდ ბესიკმა გადაახალისა და გააცხოველა შედარებანი, მეტაფორები, მეტონიმიები, ეპითეტები და ა. შ. ბესიკი რითმის ვირტუოზია. ერთი სიტყვით, საოცარი მხატვრული სრულყოფისაა ბესიკის თითქმის ყველა ლირიკული ლექსი. აქ არ შემიძლია არ დავიმოწმო ქართული პოეზიის ორი მარგალიტი—სტრიქონი:

შენის ბაგისა ორნი მეცნეს: ტკბილი და მწარე,
ორკეცად შენი სიყვარული თავს დამათარე!

* * *

დიპლომატიურ მიღვაწეობასთან დაკავშირებით ბესიკს უხდებოდა ყოფნა კრემენჩუკში, იასაში, მოსკოვში, პეტერბურგში... განსაკუთრებით ხანგრძლივად ცხოვრობდა პოეტი კრემენჩუკსა და იასაში, რადგან ამ მხარეში მდებარეობდა მთავარსარდლის „უგანათლებულეს კნიაზის“ გრიგოლ ალექსანდრეს ძის პოტიომკინის სამხედრო ბანაკი. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობას ეს პოტიომკინი ხელმძღვანელობდა უშუალოდ.

ბესარიონ გაბაშვილს უხდებოდა საქმიანი კავშირის დაქერა როგორც რუსული ხელისუფლების ორგანოებთან, ისე სხვადასხვა ქვეყნის დესპანებთან, თუ კერძო პირებთან.

პოტიომკინის ბანაკში იმყოფებოდა იმ დროს ქართლ-კახეთის წარმომადგენლობაც მირიან ბატონიშვილის, გაიოზ არქიმანდრიტის, სულხან თუმანიშვილის და სხვათა სახით.

ბესიკის იქაური ქცევა გამოცდილი დიპლომატის ჩვევებს გვაგონებს. კერძო ურთიერთობის სახით ის უახლოეს კავშირს აბამდა ყველა ოფიციალურ, თუ არაოფიციალურ წრეებთან. ამ გზით ქვეყანი დიპლომატი ყოველგვარ პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრებით წვრილმანს იგებდა და შეკრებილ მასალას ოფიციალური (უმთავრესად საიდუმლო ხასიათის) მემორანდუმებისათვის იყენებდა.

¹ ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 58-59, 61, 66, 70, 116-119. ა. გაწერელია, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 97-102.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ბესიკის კერძო ურთიერთობა ქართლის დესპანებთან, რომლებიც ფაქტიურად მოპირდაპირე ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდნენ პოტიომკინის კარზე.

ზრდილი, თავმდაბალი, მხიარული და გულთბილი კერძო ურთიერთობაში, ბესიკი ცივია, მკაცრი და „საქმიანი“ დიპლომატიური მოღვაწეობის სარბიელზე. ამით აიხსნება პოეტის—ერთი მხრივ—ამხანაგური დამოკიდებულება მირიან ბატონიშვილთან (და მის მხლებლებთან), ხოლო—მეორე მხრივ—თითქმის დამაბეზლებელი ტონით დაწერილი საიდუმლო მოხსენება ამათ წინააღმდეგ...

ბესიკის დიპლომატიურ საქმიანობას დიდი ნაყოფი გამოუღია. თავადი პოტიომკინის განკარგულებით დავითის დასახმარებლად ბესიკთან ერთად იმერეთში 12 ათასი მხედარი იგზავნებოდა ერთი გენერალ-მაიორის თანხლებით. დედოფლისა და მეფის სახელზე ძვირფასი ძღვენიც ჰქონიათ დამზადებული. მაგრამ პოტიომკინის და ბესიკის სიკვდილმა ეს ფართო გეგმები ჩაშალა.

* * *

რუსეთში ბესიკს პოეტური საქმიანობა არ შეუწყვეტია. ჩვენამდე შენახულა პოეტის ავტოგრაფული რვეული ამ პერიოდისა. როგორც ავტოგრაფული ჩანაწერებიდან ჩანს. ბესიკს იქ ერთგვარი დღიური უწარმოებია, სადაც აღუნიშნავს საყურადღებო პოლიტიკური და სამხედრო შემთხვევანი.

სამწუხაროდ, ბესიკის ეს ავტოგრაფული რვეული ძალზე დეფექტურია (შდრ. შენიშვნები «ტექსტისათვის»¹. ბესიკის შესახები ზოგიერთი მასალა მირიან ბატონიშვილის ავტოგრაფულ რვეულებშიც მოგვეპოვება (მირიანის ავტოგრაფიც კრემენჩუკშია გადაწერილი), მაგრამ საერთოდ მნიშვნელოვანი მასალა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ ბესიკი რუსეთში უფრო სახუმარო სუბუქი ჟანრის პოეზიით ყოფილა გატაცებული (ხუმრობა, ზმები, კუპლეტები, პოეტური მიმოწერა, პაექრობა), თუმცა მოსკოვში—რომელიც სასახლეში—ღვთის მშობლის ქებაა შეუთხზავს, ხოლო კრემენჩუკშია დაწერილი «ჰაერი ცივანამიანი». ამავე პერიოდს ეკუთვნის რამდენიმე ეპისტოლე.

¹ ბესიკი, გვ. 164—186.

ბესიკის ავტოგრაფულ რეეულში სასულიერო ჰიმნიც აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ეს დროის ხარკია და ბესიკის შემოქმედებასთან უშუალო კავშირში არ იმყოფება. ბესიკის მთელი პოეზია, თუ გნებავთ, ერთგვარი „წარმართული“ სიყვარულის ჰიმნია, სადაც „სულიერების“ ელემენტიც კი არ მოიძებნება. ჰელონიკი ბესიკი სარწმუნოებრივ რეზონერობას სრულიად მოკლებულია¹.

ბესიკი ფრიად საინტერესოა თავისი მცირე ჟანრის იუმორისტული ლექსებით. მოხდენილია ამ მხრივ ხუმრობა «გაიოს არქიმანდრიტსა».

მირიან ბატონიშვილი ამ ლექსის გენეზისის თაობაზე გადმოგვცემს: „წელსა ჩღპ [1788], სექტემბრის იზ[17] კრემენჩუკს მე და ბესარიონ გაბაშვილი ერთად ვიყავით, სადილს ვაპარებდით. არქიმანდრიტი გაიოს დავპატიყეთ, რომელსაცა ბოდიში შემოეთვალა: ენასადილევი ვარ, ქარიშხალიც არისო და ტალახიცაო, ვერ გაიხლებიაო.

ამაზედ ბესარიონმან მისწერა ხუმრობა“ (წ. კ. № 3723, გვ. 303).

საყურადღებოა აგრეთვე ბესიკის ეპისტოლურ-იუმორისტული ლექსები (მირიან ბატონიშვილს). თუ დავით სარდლისადმი მიმართული ეპისტოლენი მძიმე ელემენტურ-რიტორიკული პოეზიის თვისებებს ატარებს, აქ იუმორისტულ-პაროდული მანერით მშვენივრადაა ასახული საინტერესო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ყოფა-ცხოვრებითი ფაქტები. სტილიც შესაფერია. პოეტი არა იშვიათად კალამბურული გაიგავებით საჩოთირო გამოთქმასაც კი არ თაკილობს. თუმცა უბრალოება და მოხდენილი ძირმწარე სიტყვები მხატვრულ საზომს კი არ სცილდება.

დამახასიათებელია ამ მხრივ მირიან ბატონიშვილისადმი მიმართული შემდეგი სტროფები:

კრემენჩუკს გრიგოლ უწოდა სახელად: ესახლო უკარო,
მენიშნა, დავრთე ნებანი, თანხმობით თავი უკარო,

¹ ზ. კიკინაძის გადმოცემით, თითქოს ბესიკსა და სვიმონ გაბაშვილს (სვიმონი შვეთომით ბესიკის ძმადაა გაგებული) „რუსეთში მგზავრობის დროს ყირიმისკენ მოსვლიათ მგზავრობა. ყირიმელეებში ესენი ტყვედ ჩავარდნილან, მაგრამ ბოლოს განთავისუფლებულან. ამ ტყვეობის დროს ბესიკს დაუწერია ლექსი «ცრემლთა ისარნი» (10). არ ვიციტ რა წყაროებს ემყარება ეს ცნობა, მაგრამ «ცრემლთა ისარნი» რომ რუსეთის პერიოდს არ ეკუთვნის, ეს ცხადზე უცხადესია (შდრ. აქვე, გვ. 386—388).

ყოველი სოფლისა დესპანნი აქ ყრია განათხუჯარო;
დაბმულთა ღორთა გვამსგავსებთ, რომ გენახოთ განატრუჯარო.

„აიოს თეოს, აიოს“, — ამას ხშირად ხმობს გაიოს;
სტეფანა უტირაცუებს, შეაწყობს ტალის ხმაიოს,
მაიორს ზილი წილად ხვდა უსულთ სულის დგმაიოს,
ბასისტად მანუჩარ გვრგვინავს ყვავის ხმით: «ვალალ, ვაიოს».

აღნიშნული ჟანრი ბესიკმა პირველად შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს, თუ ვნებავთ, ერთგვარი რეაქცია იყო იმ ზვიადი ეპიკური მწერლობის წინააღმდეგ, რომლის არსებობას ჯერ კიდევ ამართლებდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება (ეპიკურ-რიტორიკულმა ტალამ ბესიკიც ჩაითრია).

რამდენადაც უბოროტოა ბესიკის სახუმარო იუმორისტული ლექსები, იმდენად უფრო გესლიანია მისი ზოგიერთი სატირული ნაწარმოები (მაგალითად, როგორც აღნიშნული გვაქვს, ქაბუა ორბელიანის მიმართ). ოღონდ უკანასკნელნი განეკუთვნება კერძო ხასიათის ციკლს. უფრო საყურადღებოა საზოგადოებრივი ყოფის მახინჯი მხარეების სატირული კილევა, რომელიც მოცემულია ცნობილ პოემაში «რძალ-დედამთილიანი».

„რძალ-დედამთილიანის“ თემა ხალხურია. ეს თემა ლიტერატურულად პირველად დაამუშავა ბესიკმა. პოეტს საკმაოდ უნდა ესარგებლა ხალხური მასალებით, თუმცა ფაბულური ამბავი განგებ გადააქვს შორეულ ქვეყანაში, და, თითქოს, უცხოური საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენად ასალებს:

სოფელსა ვიყავ სამარყანდს, ვნახე საქმე სა-
კვირველი,
დილა მუნვე გავითენე, სახლსვე ვიყავ წარმომსვლელი;
იქ ვიხილე: ყივილითა ქალი მოქრის თავშიშველი,
ზილფთა შუა გამოსკვირდა დანაკაწრი ბროლის ყელი...

„რძალ-დედამთილიანი“ საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ერთი პატარა კუთხის მაჩვენებელია. მაგრამ ეს კუთხე ასახულია საკირო სისავსიო და სისრულით, თუმცა, რა თქმა უნდა, პოეტს ყოფის მხოლოდ სასაცილო მხარე აინტერესებს. ამბავი გაშლილია კომიკური ინტრიგის ფონზე. მოხდენილი სახუმარო სცენები ერთ-

მანეთს ხშირად ენაცვლება. თხრობის განვითარება აგებულია მოულოდნელობის პრინციპზე. თხზულების მიზანია ყოფა-ცხოვრების მახინჯი და სასაცილო ფორმების მხილება და კიცხვა.

მუდმივი შუღლი ძველსა და ახალ თაობის (დედამთილსა და რძლის) შორის არღვევს ოჯახის მეუღროებასა და მშვიდობიანობას, განხეთქილებისა და ურთიერთი უნდობლობის მიზეზი ხდება. ეს დიდ ზიანს აყენებს ოჯახის კეთილდღეობას. განსაკუთრებული მორალური ტანჯვის მსხვერპლი ხდება პატარძალი, რომელიც თავს უფრო ტყვეობაში გრძნობს. პატარძალი იტანს თავისი ქირვეული დედამთილის ათასგვარ შეურაცხყოფას, დამპირებას. თავის მხრით ქმარიც დედამთილის მოსარჩლეა ჩვეულებრივად, განუსაზღვრელია ქმრის უფლება დედაკაცის მიმართ, ხოლო ქმარი დესპოტია, მტარვალი. არა-ადამიანური, პირუტყვეულ-მხეცურია ქმრის კოლთან დამოკიდებულება. სიტყვიერ შეურაცხყოფას ხშირად თან ახლავს ქალის საშინელი ფიზიკური გვემაც. ასეთ პირობებში ქალის, რძლის, გულში ბლომად გროვდება ბოლმა; მოთმინების ფილა რომ აიყვება, ბოლმაც გადმოხეთქს და გამწარებული რძალი ორმაგად მრუზღავს თავის მტარვალ დედამთილს. საგულისხმოა, რომ ქალის მშობლებიც შერიგებიან სიძე-მძახალის დესპოტურ ქცევას.

პოემაში მშვენივრადაა ასახული სასულიერო წრის წარმომადგენლის, ტერტერას, ვერაგი როლი. გაიძვერა და ფარისეველი სჯულის მასწავლებელი ხელს იოლად ითბობს მოუწყვრივებნილი ოჯახური ცხოვრების ანგარიშზე. სჯულის მასწავლებელი კიდევ უფრო აღვივებს ოჯახის წევრთა შორის არსებულ ურთიერთ უქმყოფილების გრძნობას და მატერიალური გამოსარჩენის მიზნით დანაშაულებრივ საქციელსაც კი არ თაკილობს. ბესიკმა მწვავედ ამხილა ეკლესიური საზოგადოებრიობის ზნეობრივი სახე, მაგრამ მაინც ერთგვარი წინდახედულობა იჩინა და ქართველი მღვდელ-დიაკვნის ნაცვლად პოემაში ტერტერა გამოიყვანა...

საოჯახო ყოფაცხოვრების მანე მხარეების იუმორისტული კილეა პირველად მოგვცა დავით გურამიშვილმა. ბესიკმა ამ მხრით ნაბიჯი წადგა წინ (როგორც ცნობილია, გურამიშვილის ლიტერატურულ გავლენას ბესიკის შემოქმედებაზე ადგილი ვერ ექნებოდა). გამოჩენილი სატირიკოსი იყო ბესიკის მამა ზაქარიაც. ამისი „კატის ომი“¹ და ეპისტოლე გიორგი ბატონიშვილის მიმართ * სატირული

¹ ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232-37.

პოეზიის საუკეთესო ძეგლებია. ბესიკი ღირსეულად აგრძელებს ამ მხრით მისი მამის ლიტერატურულ გეზს.

ბესიკის ზარდაცვალების თარიღი

დანამდვილებით ცნობილია, რომ ბესიკი გარდაიცვალა რუსეთში, იმერთა დიპლომატიური მისიის მეთაურობის დროს. მაგრამ დღემდის გაურკვეველი რჩებოდა, თუ სახელდობრ სად და როდის გარდაიცვალა პოეტი. ამ საგანზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.

პ. ბუტკოვი მხოლოდ ზოგად და საკმაოდ ბუნდოვან ცნობას იძლევა: «Виссарион, под именем князя Габаиова, с братом своим Семеном Габаиовым, были посланниками в России от царя Давида в 1790 году, и в России умер¹».

აკად. მ. ბროსეს გამოქვეყნებული ერთი ცნობით (რომელიც ემყარება ბესიკის ძმის, ოსეს წერილს) ბესიკი უნდა გარდაცვლილიყო კრემენჩუგს. თარიღის შესახებ კი ეს მოწმობა არაფერს ამბობს².

საყურადღებო, მაგრამ წყაროს დაუსახელებელ, მოკლე ცნობას იძლევა პლატონ იოსელიანი³: „ბესიკი, ანუ ბესარიონ გაბაშვილი, მოღეჟსე, მოკვდა 1793 წელსა. ამაზედ მრავალი სწერია და მე არლა განვიმეორე“-ო.

ბესიკის გარდაცვალების თარიღად ასევე დაუსაბუთებლად სდებს გრ. ღარელი (გრ. ჯაფარიძე) 1796 წელს⁴. ამ აზრს იმეორებს მ. ჯანაშვილიც⁵.

ზ. ჭიჭინაძის აზრით, ბესიკი უნდა გარდაცვლილიყო ქ. იასას 1791 წლის 24 იანვარს. ზ. ჭიჭინაძეს გამოქვეყნებული აქვს ბესიკის ეპიტაფიის ფრიად საყურადღებო ტექსტიც⁶:

¹ Материалы для новой истории Кавказа, СПб, 1869, II, стр. 184, прим.

² Histoire de la Géorgie, II, 1857, p. 398.

³ ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1895, გვ. 320.

⁴ Из грузинской литературы XVIII века: О радостях жизни и о Бесики, их томном певце, «Закавказье», 1911, № 276).

⁵ К материалам по истории и древностям Грузии и России, Тифлис, 1912, стр. 63, прим.

⁶ ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან, ტფილისი, 1885, გვ. 11.

„საფლავსა ამასა შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იობიან-გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისაგან დესპანათ რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მიი-ცვალა აქა, იასსა, წლისა¹ მ[40], წელთა ჩლეა [1791], იანვრის კდ [24]. მხილველნო, შენდობის მთხოველი [ვარ]“.

ამ ტექსტს გამომცემელი ურთავს შემდეგ კომენტარიას: „საფლავს ბოლგარიული წარწერაც აქვს. დასაფლავებულია ბოლგარიის ერთს ეკლესიაში. ბესიკის ძმისთვის კოლეცკის ასესორობა მიუციათ რუსეთში, ბესიკის გარდაცვალების გამო იმერთის მაქსიმე კათალიკოზსაც მიუწერია წერილი იასში და უკითხავს მისი ამბები, განსაკუთრებით დასაფლავების გამო. კათალიკოზიც თავადის ხარისხით მოიხსენიებს ბესარიონს“-ო². კიკინაძის აზრს იზიარებს ს. გორგაძე (ბესიკი, 1912, VII).

პროფ. კ. ქეკელიძის სიტყვით, ბესიკი „მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1791 წლის 24 იანვარს და დასაფლავებულ იქმნა ადგილობრივ საკრებულო ტაძარში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც გარდაცვალების ადგილი და წელიწადია მისი ზედმიწევნით ცნობილი“ (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 477).

ბესიკის ტექსტსა და გამოკვლევაზე მუშაობისას ჩვენ პირადად ჯეროვან ანგარიშს ვუწევდით ზ. კიკინაძის ყოველგვარ ცნობას, კერძოდ ეპიტაფიის შესახებ გვიწერია: „ეკვი არაა, რომ მოტანილი ცნობა მეტისმეტად საინტერესოა, მაგრამ ავტორი ჩვეულებრივად წყაროს არ ასახელებს და დასკვნას კატეგორიულ ხასიათს აძლევს“³.

ბესიკის ეპიტაფიის მოწმობას უპირისპირდებოდა ორი საბუთი: პოეტის ძმა, ოსე გაბაშვილი, ერთერთ თავის წერილში ანა დედოფლის მიმართ შემდეგს იუწყება ბესიკის გარდაცვალების თაობაზე: „ჩემს ძმას ბესარიონს შეემთხვა უბედურება და გარდაიცვალა იმ ჟამად კრემეჩუკის ქალაქს და მუნ დაამარხებინა დიდმან კინიზმან⁴ (sic) სამიტროპოლიტოსა სობოროსა შინა“ (გვ. 071). მაშასადამე, წინააღმდეგ ეპიტაფიის მოწმობისა, ოსეს ცნობით ბე-

¹ დედანში: წელსა.

² იქვე.

³ ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და ვ. თოდურიას რედაქციით, ტფ., 1932, წინასიტყვაობის გვ. 070.

⁴ ე. ი. ფელდმარშალმა პოტიომკინმა.

სიკი კრემენჩუგს გარდაცვლილა. გარდაცვალების თარიღზე-კი ოსე არაფერს ამბობს¹.

ჩვენ უფრო საფუძვლიანად მივიჩნიეთ მეორე საბუთი. პროფ. ა. ცაგარელს თავის ცნობილ სერიაში «Трамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии» 1791 წლის 3 დეკემბრის თარიღით დაბეჭდილი აქვს ბესიკის ერთი მოხსენება შემდეგი სათაურით: „Содержание пунктов поданных е. св. кн. Потемкину имеретинским посланником князем Виссарионом Габашовым. Перевод с грузинского“². ალ. ცაგარელის გამოქვეყნებული ეს საბუთი სრულიად აქარწყლებს ეპიტაფიის თარიღს: ეპიტაფიით ბესიკი გარდაცვლილა 1791 წ. 24 იანვარს, ხოლო ა. ცაგარლით იმავე წლის (1791) 3 დეკემბერს, ე. ი. თითქმის სრული 11 თვის შემდეგაც ბესიკი თითქოს თავს მშვენიერად გრძნობს და ფრიად საპასუხისმგებლო მოხსენებასაც ადგენს. ეს ხალასი ცნობა ბუნებრივად ძალზე გაგვიტაცებდა, მაგრამ მაინც წინდახედულობა ვიჩიეთ, ჩვენ ვწერთ: „მოტანილ საბუთისათვის ჯერ არავის ყურადღება არ მიუქცევია, ხოლო ბესიკის საბიოგრაფიო კვლევა-ძიებას ეს ახალ მიმართულებას აძლევს. ამის მიხედვით ერთგვარი საფუძველი ეძლევა პლატონ იოსელიანის მოწმობას, მაგრამ ჩვენ მაინც სიფრთხილეს ვამჯობინებთ“³. ჩვენ ერთი გარემოებაც გვაეჭვებდა: ცაგარლით ბესიკი მოხსენებას უდგენს ფელდმარშალ გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს პოტიომკინს, რომელიც იმ დროისათვის (1791 წლის 3 დეკემბრისათვის) უკვე მკვდარია (პოტიომკინი გარდაიცვალა 1791 წლის 5 ოქტომბერს), ამიტომ ჩვენ ვგონებდით, რომ ბესიკის აღრესატი უნდა ყოფილიყო არა უკვე გარდაცვლილი გრიგოლ ალექსანდრეს-ძე პოტიომკინი, არამედ პაულე სერგის-ძე პოტიომკინი⁴.

1934 წლის დეკემბერში მოსკოვს სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაგვესინჯა ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქისა) იმერეთის საქმეების წიგნი № 18 (1774—1804 წლებისა). როგორც მოსალოდნელი იყო, იქ მართლაც აღმოჩნდა დიდად საინტერესო მასალები ბესიკის ელჩობისა და გარდაცვალების თაობაზე. უწინარესად ყოვ-

¹ სხვათა შორის, სწორედ ამ წყაროს ემყარებან ბროსეს ზევით აღნიშნული მოწმობა.

² დასახელებული სერიის т. II, вып. II, СПб, 1902, стр. 70—71.

³ ჩვენი წინასიტყვაობის გვ. 073.

⁴ იქვე, გვ. 072, შენ. 5.

ლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ეპისტოლე-მოხსენებამ, რომელსაც 1791 წლის 3 დეკემბრის თარიღით ხელს აწერს „იმერეთის დესპანის ძმა, კნიაზი სვიმონ გაბაშვილი“. მოხსენება წარდგენილია ვილაც „ბრწყინვალე ღრაფისადმი“. ამ ღრაფს სვიმონ გაბაშვილი მოახსენებს, რომ იმერთა მეფე დაეთოს წარმოეგზავნა დესპანად მისი „უფროსი ძმა, კნიაზი ვისარიონ გაბაშვილი“. ბესარიონს კრემენჩუგში ყოფნისას „სათხოველი წერილით“ გამოუცხადებია ფელდმარშალ პოტიომკინისათვის „აზრი და სათხოველი“ იმერთა მეფისა, რაც „შემოკლებით - ამ წიგნში ძვეს“-ო (წერილს მართლაც დართული აქვს ეს „სათხოველი“). მაგრამო—განაგრძობს სვიმონ გაბაშვილი—„ორ წელიწად შემდგომად“ ბესარიონის წარმოგზავნისა „მეფე იმერეთისა გამოსცვალეს“ და ტახტზე ავიდა დაეთოს ნაცვლად სოლომონ [მეორეო]. ახალ მეფეს „ყურიელი გამოეგზავნა“ და დაემტკიცებინა ბესარიონის რწმუნების სიგლები. პოტიომკინმა ბესარიონი „კრემენჩუკილამ დაიბარა და ამ ჯარიანობაზე თან ახლდა განუშორებლად“, მაგრამო—მწუხარებით დასძენს წერილის ავტორი—„მეწია უბედურება და ჩემი ძმა მიიცვალა იანვარს 25“. გავიდა ცოტა ხანი და თითონ „უგანათლებულესი კნიაზი[ც] მიიცვალა და დავრჩი შეიღის კაცით ამ უცხოს ქვეყანაში. ეს თერთმეტი თვეა რომ განწესებული ულუფაც აღარ მიგვიღია და რაიცა გვაქმდა ყოველივე განესყიდეთ, და ვართ უნუგეშოთ ამ მდგომარეობაში. ვითხოვთ თქვენის ღრაფობის ბრწყინვალეებისაგან, რომ დაუგდებელი ვიყოთ თქვენის მოწყალებისაგან“-ო.

ჯერ უნდა გავარკვიოთ აჰ. შესანიშნავი საბუთის ავტორისა და ადრესატის ვინაობა.

როგორც დასახელებულ საქმეში დაცული სხვა მასალებით ირკვევა, სვიმონ გაბაშვილის ადრესატია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე (მინისტრი, კანცლერი) ღრაფი ალექსანდრე ანდრიას-ძე ბეზბოროდკო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხს (პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ).

წერილის ავტორი, სვიმონ გაბაშვილი, თავის თავს აცხადებს „კნიაზად“ და „იმერეთის დესპანის“, ე. ი. ბესარიონ გაბაშვილის, ძმად. მთელი რიგი ისტორიკოსები და მკვლევრები და, უწინარესად

¹ ჩვენი წინასიტყვაობის გვ. 073.

² იქვე, გვ. 072, შენ. 5.

ყოფლისა, პ. ბუტკოვიც (რომელიც ამ შემთხვევაში პირველი წყაროს მაგიერობას ასრულებს) სვიმონ გაბაშვილს სწორედ ბესიკის ძმად იცნობს. სვიმონი რომ ბესიკის მისიაში მონაწილეობდა, ეს აქამდისაც კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ჩვენ იმისი უტყუარი საბუთებიც მოგვეპოვება, რომ ეს სვიმონი ბესიკის ძმა არ ყოფილა. ბესიკის ღვიძლი ძმა ოსე სვიმონ გაბაშვილს უწოდებს ბიძაშვილს. ოსე ერთგან სწერს ანა დედოფალს: „ჩემს ძმას ბესარიონს შეემთხვა უბედურება და გარდაიცვალა... მერმე ჩემი ბიძაშვილი სვიმონ მოემზადებინა წამოსასვლელად ბესარიონის მაგიერად“-ო¹. ბესიკის ბიძაშვილად იცნობს სვიმონს რუისის მიტროპოლიტი იონაც, რომელიც პირადად შეხვდა იასაში იმერეთის ელჩებს. ამ შეხვედრის თაობაზე იონა გვიამბობს: „მოველ ქალაქსა იასსა და დაესდგე მონასტერსა ტრისიარხის სახლსა... ამის მერმე მოვიდა იმერეთის მეფისაგან გამოგზავნილი დესპანი, ანუ ელჩი, ბესარიონ გაბაონი და სვიმონ ბიძისა მისისა-ძე“².

სვიმონ გაბაშვილის ბესიკის ძმად გამოცხადება უნდა ყოფილიყო გამოწვეული დიპლომატიური მოსაზრებით. ბესიკი, როგორც ვიციტ, იმერთა ოფიციალურ დესპანად ითვლებოდა, მას თან ახლდა (—ეს ჩვენი საბუთებით გამოირკვა) მ თანამშრომელი. ბესიკი მოულოდნელად გარდაიცვალა, მისი თანამშრომლები დიდ გასაქირში ჩაყარდნენ. ვის უნდა შეეცვალა მეთაური, ან უკეთ, ვის უნდა ეკისრა მისიის მეთაურობა ბესიკის შემდეგ? როგორც ჩანს, შესაფერ კანდიდატად მიჩნეული ყოფილა სვიმონი. ის გაბაშვილიც იყო და ბესიკის ახლო ნათესაეი (ბიძის-შვილი). ბესიკის ძმად გამოცხადებით სვიმონის კანდიდატურას ელჩობის თანამდებობაზე, რასაკვირველია, მეტი სიმტკიცე მიეცემოდა რუსეთის მთავრობის თვალში. ხოლო, აბა, ვინ გაუწევდა კონტროლს, სვიმონი ბესიკის მართლა ღვიძლი ძმა იყო თუ არა? შესაძლებელია ასეთ გამოსავალზე მიუთითა იმერთა დელეგაციას ცნობილმა სიმონ ეგნატაშვილმა (Премиер-майор Семен Игнатьев), რომელიც მთავარი თარჯიმანის როლს ასრულებდა რუსეთის მთავრობასთან. ყოველ შემთხვევაში, ამ ეგნატაშვილს უკისრია სათანადო შუამდგომლობა და სპეციალური წერილით მოუხსენებია ბეზბოროდკოსთვის, რომ „имеретинского посланника Виссариона Габаонова брат его Семен Габао-

¹ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ბესიკი, გვ. 071.

² მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა, პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1852, გვ. 111.

„იოს“ შეუდგა დესპანის მოვალეობის შესრულებას და, სხვათა შორის, საელჩოსათვის დაწესებულ ულუფას თხოულობსო როგორც თავისთვის, ისე საელჩოს პერსონალისთვის (ბესიკის გარდაცვალების დღიდან საელჩოს თურმე შეუწყვიტეს ულუფის ძლევა). ალბათ, სწორედ სიმონ ეგნატაშვილის¹ წყალობით შევიდა სვიმონ გაბაშვილი რუსულ ოფიციალურ წყაროებში „ქინაზ“ გაბაონელად და ბესარიონის ძმად.

სვიმონ გაბაშვილის, ვითარცა ბესიკის ჯერ თანამშრომლისა და შემდეგ მოადგილის, მოწმობას მეთაურის გარდაცვალების თაობაზე არავითარი ეჭვი არ შეიძლება ჰქონდეს: ბესიკი სვიმონის თვალწინ გარდაცვლილა. ამიტომაც ბესიკის გარდაცვალების თარიღად საბოლოოდ და ექვმიუტანელად უნდა მიჩნეული იქნას 1791 წლის იანვრის 24/25. იანვრის თვის ეს ორმაგი რიცხვი ასეა მიღებული: ეპიტაფიით 24 იანვარია, სვიმონით-კი—25. სხვა მხრივ ეპიტაფია² და სვიმონის მოწმობა ერთმანეთს ემთხვევა აბსოლუტური სიზუსტით და, მაშასადამე, ერთიმეორეს ადასტურებს და აჩაგრებს. ეს ფრიად საგულისხმო შეხედრება და საფიქრებელს ხდის, რომ პოეტი უნდა გარდაცვლილიყო ღამით 24 იანვრიდან 25-ის ჯამთენიერს. თავისთავად ცხადია, რომ ზ. კიკინაძის მიერ გამოქვეყნებულ ბესიკის საფლავის წარწერას ამიერიდან უნდა მიეცეს პირველხარისხოვანი დოკუმენტის მნიშვნელობა².

მიღებულ დასკვნასთან დაკავშირებით ბუნებრივად კვლავ დაისმის საკითხი ალ. ცაგარლის დაბეჭდილი საბუთის შესახებ. ამ საბუთით ბესიკი ხომ ცოცხალი ჩანს 1791 წლის 3 დეკემბერს.

იმერთა საქმეების დასახელებულ წიგნში, სადაც აღმოჩნდა სვიმონ გაბაშვილის წერილი ღრად ბეზბოროდკოს მიმართ და ჩვე-

¹ სხვათა შორის, ეს ის სიმონ ეგნატაშვილია, რომელსაც რუსულად უთარგმნია «ბარამ გულანდამიანის» წიგნი; «Похождение новомодной красавицы принцессы Гулавланы и храброго принца Барамы». Перев. с грузинского. Семен Игнатьев, СПб, 1773 (6. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 256, შენ. 1.

² სხვათა შორის, ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი საბუთიდან (№ 1417) ჩანს, რომ სვიმონ გაბაშვილი უნდა ყოფილიყო ბესიკის ღვიძლი ბიძის, დავითის, შვილი. ბესიკისა და სვიმონისათვის თავადობა უბოძებიათ, ოდეს წარავლინეს „უმალღესისა კარისადმი“, ე. ი. რუსეთს. სოლომონ მეორე 1800 წლის თარიღით უმტკიცებს თავადობას ზაქარაის (ბესიკის მამის) და დავითის (სვიმონის მამის) შთამომავლობას. ეს საბუთი პროფ. ნ. ბერძენიშვილმა მომაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ნნი საკითხისათვის საყურადღებო ზოგიერთი სხვა მასალაც¹, დაცულია აგრეთვე ერთი ოთხ-ფართო-ფურცლიანი რვეული, რომელიც სწორედ ბესიკისეულ იმ საბედისწერო მოხსენებას შეიცავს. როგორც ჩანს, აქედანაა ამოღებული ცაგარლის ტექსტი. მოხსენების სათაური ასეთია: „Содержание пунктов, поданных его светлости императорским посланником князем Висарионом Габаловым. 1791 года, декабря 3-го дня. Под № 2-м. Перевод из императорского. Переводил премьер-майор Семен Игпатьев“.

ჯერ ერთი, მოხსენება წარდგენილია „его светлости“-ს მიმართ, ხოლო ამ პირად იგულისხმება არა პოტიომკინი [светлейший князь], როგორც ეს ცაგარელს უფიქრია და რომლის სახელი უადგილად აღვიღას ჩაურთავს ტექსტში, არამედ აწ უკვე ჩვენთვის ნაცნობი ღრაფი ალექსანდრე ანდრიას-ძე ბეზბოროდკო. მოხსენების საკუთრივ პუნქტები დასტამბული აქვს ცაგარელს და აქ აღარ გავიმეორებთ (ჩვენი თემისათვის ამას არც აქვს მნიშვნელობა). მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ მოხსენების რუსულ ტექსტს თან ახლავს შუაში ჩაყვრებული ქართული დედანიც. ქართული დედანი დაწერილი და ხელმოწერილია სვიმონ გაბაშვილის მიერ. ტექსტი იწყება მიმართვით: „ბრწყინვალეო ღრაფო, მოწყალე კელმწიფევ!“ მიმართვის შემდეგ მოდის სათაური: „აზრი და სათხოველი მეფისა ჩვენისა“. ეს „სათხოველი“ ჩამოყალიბებულია 7 პუნქტად (ისე როგორც რუსული თარგმანი). ტექსტის ოფიციალური ნაწილის ბოლოს მიწერილია: „ბრწყინვალეო ღრაფო! ეს პუნქტები მის უგანათლებულესობას კნიაზს [პოტემკინს] მივართვი, როგორც მისი [ბესარიონ გაბაშვილის] ანდერძი მქონდა, როდესაც ჩემი ძმა [ბესარიონი] მიიცვალა, იმისი კელით დაწერილი. და კვალად თქვენს ბრწყინვალეობას განუახლებ. თქვენის ბრწყინვალეობის მსახური, იმერეთის დესპანის მიცვალებულის ძმა, კნიაზ სვიმონ გაბაოვი. წელთა 1791, დეკენბერს 3“.

თქმა არ უნდა, რომ მხოლოდ ქართულ ტექსტში დაცული ბოლო მინაწერი სრულიად სცელის ამ შესანიშნავი დოკუმენტის აზრსა და მნიშვნელობას, კერძოდ ჩვენ საკითხთან დაკავშირებით. ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ 1791 წლის სამი დეკემბრის მოხსენების წარმდგენი ყოფილა სვიმონ გაბაშვილი და არა ბესიკი. არა გვეგონია, რომ ეს გარემოება არ შეენიშნა სიმონ ეგნატაშვილს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეგნატაშვილი ჩვეულებრივად ტექსტს, თუ

¹ დაბეჭდილია დამატების სახით ჩვენ წერილთან ერთად ტფ. სახ. უნივ. შრომების პირველ წიგნში (იხ. ბესიკის გარშემო, გვ. 157—162).

მას უშუალო დოკუმენტური მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირდაპირ და სიტყვასიტყვით კი არ სთარგმნიდა, არამედ თავისებურად აფორმებდა და ასხვაფერებდა. ამისი მაგალითი მრავლად მოიპოვება „იმერთა საქმეებშიც“. თავის ერთერთი წერილით სვიმონ გაბაშვილს დახმარება უთხოვია სიმონ ეგნატაშვილისათვის ღრფთან საშუამდგომლოდ და მიუწერია: „თანამდებობა გაქუს, რომ გამოუცხადოთ ჩები გაქირება“-ო. ამ „თანამდებობის“ საფუძვლით ეგნატაშვილს თავის მხრივ საგანგებო შუამდგომლობის ქალაღი შეუდგენია და მთავრობისათვის წარუდგენია. დაახლოვებით ასე მოქცეულა ეგნატაშვილი მოხსენების მიმართაც: მოხსენების პუნქტები სრულად უთარგმნია, მაგრამ თავ-ბოლო მინაწერი მოუკვეთია და საერთოდ ტექსტი „გაუჩაღხავს“. მოხსენების ავტორად ბესიკის გამოცხადების უფლება, როგორც ჩანს, თითონ სვიმონის წერილს მიუცია: „ეს პუნქტები მის უგანათლებულესობას კნიაზს [პოტემკინს] მივართვი, როგორც მისი [ბესარიონის] ანდერძი მქონდა, როდესაც ჩემი ძმა მიიცვალა, იმისი ქელით დაწერილი“-ო. მაშასადაჲე, მოხსენების ტექსტი თავის ღროზე ბესარიონს დაუწერია, ბესარიონის ხელნაწერი სვიმონს დაჩენია „ანდერძად“ და ჯერ პოტიომკინისათვის წარუდგენია, ხოლო პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ „განუახლებია“ და ღრაფ ბენზბოროდკოსთვის მიუცია. ერთი სიტყვით, მოხსენების ავტორი ბესარიონი ყოფიღა, ხოლო სვიმონს წიღად რგებია ამ მოხსენებისათვის სათანადო მსელელობის მიცემა. შექმნიღი პირობებით სიმონ ეგნატაშვილს მართღაც ერთგვარი საფუძვეღი ჰქონიღა ბესიკის სახელით აღენიშნღა ფრიღდ მნიშვნეღოვანი დიპლომატიური დემარში (ასეთი ნაბიჯი მოხსენებღს, აღბათ, მეტ ძღღასღა და დღამაჯერებღობღს მისცემღდა). პროფ. ცაგარელს, როგორც აღენიშნეთ, უადგიღლოდ ჩღურთავს ტექსტში პოტიომკინის სახელი და ტექსტის გამოქვეყნებისღს რუსული თარგმნისათვის მიუცია უპირატესობღა ქართულ დედანთღან შედარებით... რასღკვირვეღიღა, ამღს დიღდი მნიშვნეღლობღა არ ექნებღღღა, გამომცემელს რომ ტექსტური სხვობღა მიღიც აღენიშნღა.

ღად გარღდიცვღღა ბესიკი? ოსე გღბღაშვიღის მოწმობით ქ. კრემენჩუღს, ხოლო საფღღავის ქვის წარწერიტ ქ. იღსღს (ბესარღბიღში). ჩენი აზრით, სწორი უნღღა იყოს საფღღავის ქვის წარწერღ. ამის სღსარგებღოდ ლღპარღკობს წარწერიღს დოკუმენტური ხღსიღთი. მეორეც, მართღღიღა სვიმონ გღბღაშვიღი გღღაქრით არღფერს ამბობს ბესიკის გარღღაცვღღების ადგიღის თღობღზე, მაგრამ

უკვე ციტირებული წერილიდან ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა შემდეგი ადგილი, პოტიომკინმა ბესიკი „კრემენჩუკიდან დაიბარა და ამ ჯარიანობაზე თან ახლდა განუშორებელად. მეწია უბედურება და ჩემი ძმა მიიცვალა“. მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ბესიკი გარდაცვლილა კრემენჩუკიდან წასვლის შემდეგ, პოტიომკინის ბანაკში ყოფნისას. რომ ბესიკი თავის სიცოცხლის ბოლო წლებში იასაში ცხოვრობდა, ამას ადასტურებს მისი აწ უკვე ცნობილი „წერილი პოტემკინთან“¹. ერთი სიტყვით, ყოველი მოსაზრება უჩვენებს ქ. იასაზე, როგორც ბესიკის გარდაცვალებისა და საბოლოო განსასვენებლის ადგილზე².

ბესიკის ერთი ახალი ავტოგრაფის გამო

1932 წელს გამოვიდა ბესიკის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა (ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, გამომცემლობა «ფედერაცია»). ტექსტის დადგენისას რედაქცია, სხვათა შორის, ერთ ასეთ დამაბრკოლებელ გარემოებას წააწყდა: ბესიკის ზოგიერთი ლექსი ცნობილი აღმოჩნდა მხოლოდ ზ. კიკინაძის გამოცემით („ლექსნი თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან“, ტფილისი, 1885). ამის მიხედვით ზოგიერთ წინანდელ რედაქტორს (მაგალითად, ს. გორგაძეს) ესათუის ლექსი სადაოდ მიუჩნევია, ან სრულიად უყურადღებოდ დაუტოვებია და ახალ გამოცემაში არ შეუტანია.

უკანასკნელი გამოცემის რედაქციის მიერ ჩატარებული კვლევაძიების წყალობით დადასტურდა კიკინაძისეული გამოცემის რამდენიმე ლექსი, მაგრამ რედაქციამ მაინც მეცნიერული სიფრთხილე იჩინა და ხელნაწერებით დაუდასტურებელი ლექსები კვლავინდებურად სადაოდ დასტოვა და შენიშნა: „ჩვენ იმედს სრულიად

¹ ბესიკის თხზულებათა სრული კრებული, 1932, გვ. 105—107.

² ოლონდ საკვირველია, რომ, იონა მიტროპოლიტს საკმაოდ ვრცლად აქვს აწერილი თავის „მომოხილვაში“ პოტიომკინის გარდაცვალების ამბავი (გვ. 122), ხოლო ბესიკზე არაფერს ამბობს. პოტიომკინი გარდაიცვალა იასის მახლობელ სოფელში.

არ ვკარგავთ, რომ ახლო მომავალი უფრო დასაყრდენ რეალურ ცნობებს წარმოაჩინს, ხოლო მანამდე საკითხის ღიად დატოვება საქმეს არ აენებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ იმ ლექსების ბედი, რომლებიც მხოლოდ ზ. ჭიჭინაძის გამოცემით არის გერჯერობით ცნობილი“ („ტექსტისათვის“, გვ. 177).

რედაქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ჭიჭინაძის ეულ გამოცემას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ხელნაწერის მაგივრობას ასრულებდა, და ხაზგასმით ამბობს: „ჭიჭინაძის მნიშვნელობის მიფუჩეჩება და მისი ზერელედ გვერდის ავლა არ შეიძლება (ეს მარტივი ხერხი იქნებოდა, მაგრამ უმართებულო). უთუოდ საყურადღებოა, რომ ჭიჭინაძის დაბეჭდილი ერთერთი ლექსი („პირველ სიმდაბლეს აღეკარ“) ს. გორგაძემ სადაო განყოფილებაში მოათავსა, როგორც ხელნაწერებით გაუმართლებელი ტექსტი, ამ უკანასკნელად-კი ეს ლექსი ბესიკის ავტოგრაფულ რეველშიც აღმოჩნდა! მეორე „სადავო“ მხარად შენ მიმაჩნდე უბრალო დამახინჯებული ვარიანტი ყოფილა ბესიკის უდავო ლექსისა «რა გული დავაგე შენად სარებლად». ან ალვა ხარ ტანადობით“ დადასტურდა № 656 ხელნაწერით“-ო (გვ. 177).

ამჟამად ჩვენ ხელთ ჩავვივარდა ბესიკის კიდევ ერთი სადავოდ მიჩნეული ლექსის „სოლომონ მეფის ეპიტაფიის“ ავტოგრაფი. ლექსი აღმოჩნდა საქართველოს მუზეუმის ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გაურჩეველი და აუნუსხავი საბუთების კოლექციაში. ლექსი დაწერილია ცალკე ქალაღლის ნაჭერზე, ზომით 22×12 სანტიმეტრი და ბოლოში დართული აქვს ტექსტისავე ხელით შემდეგი მინაწერი: „კურთხეულის [დედანში: კხლის] მეფის სოლომონის[ს] საფლავის ქვაზედ დასაწერი იამბიკონი, რომელი[რ] თქვა ვისარიონ ძემან მოძღურისა ზაქარიასმან, მღივანმან უმაღლესისა მეფისა დავითიანისა დავითისმან“.

ასეთივე მინაწერი ჰქონია ზ. ჭიჭინაძის მიერ ნახულ ხელნაწერსაც, ოლონდ გამოცემელს შეცთომით ამოუკითხავს „ზაქარიასგან“ (იქვე, 161).

ამ ლექსის აღმოჩენა ერთი მხრივ ამართლებს 1932 წლის გამოცემული ტექსტის რედაქტორთა ზევით ციტირებულ მოსაზრებებს, ხოლო მეორე მხრივ კიდევ ზედმეტ სიფრთხილეს ავალებს ყველა იმათ, ვინც ხელაღებით მოინდომებს ზ. ჭიჭინაძის შეკრებილი ცნობების აბუჩად ავღებას.

მელის წიგნის ქართული რედაქციისათვის

(ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნა)

XII-XIII საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწე ვარდან აიგეკელს შეუდგენია თავის მოძღვრებათა კრებული, რომელიც შეიცავდა სულისმარგებელ ზნეთსწავლულებათა ქადაგებას. ავტორს უსარგებლია ეზოპისა და სხვათა იგავ-არაკული სუეეტებითაც, ნასესხები სუეეტები მას განუვრცია მორალურ-დამარიგებლობითი ხასიათის ელემენტებით. კრებული ავტორის საცოცხლეშივე ფართოდ ვრცელდებოდა საეკლესიო-სასულიერო სფეროებში და რედაქციულ ცვლილებებს განიცდიდა. ვარდანის სიკვდილის შემდეგ ანონიმი წამბაძველ-გამგრძელებელნი კიდევ უფრო თავისუფლად ეკიდებოდნენ ტრადიციულ ტექსტებს. შესაფერისად ნაირდებოდა თავდაპირველი სასუეეტო მასალაც: კრებულში შექმნდათ მხითარ გოშის იგავები, ქილილა და დამანას არაკები, სულის-მარგებელი და გასართობი სხვადასხვა მოთხრობები. სხვათა შორის, ფოლკლორული ნაკადიც მძლავრად შექრილა ადრინდელ სასულიერო-საეკლესიო თხზულებაში.

ამგვარად, ვარდანის თხზულების ბაზაზე ჩამოყალიბებულა სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის სხვადასხვა კრებულები. აქედან განსაკუთრებით პოპულარული გამხდარა ე. წ. მელის წიგნი, რომელიც ცნობილია XVII საუკუნის დასაწყისიდან. მართალია, მელის წიგნსაც მძლავრად აზის საქრისტიანო-საეკლესიო ბეჭედი, მაგრამ აქ მაინც კარბადაა წარმოდგენილი საერო ხასიათის დიდად საინტერესო მახვილგონიერული იგავ-არაკები. თითოეულ მოთხრობას ჩვეულებრივად (ოღონდ არა ყოველთვის) დართული აქვს საგანგებო თარგმანი (განმარტება), რომელიც შეიცავს სულისმარგებლობით დარიგებას და მთელ წიგნს გარკვეული მორალისტურ-აღმზრდელობითი ხასიათით აფეროვანებს. ამ თარგმანების გამოკლებით მელის წიგნი საინტერესოდ საკითხავი იგავ-არაკთა კრებულია.

ვარდანის კრებულის, კერძოდ მელის წიგნის დიდი პოპულარობა აიხსნება იგავ-არაკული სალიტერატურო ენარის

სოციალური ბუნებით. იგაგურ-ალეგორიული, ანუ ეზოპური ენით უფრო მოსახერხებელი ხდებოდა სხვა მხრით შეუძლებელი აზრების მხატვრული გამოხატვა. ამიტომაც იგაე-არაკული ქანრი ძალზე იყო გავრცელებული საშუალო საუკუნეების მწერლობაში. ფეოდალური სომხეთიც და საქართველოც თავიანთი სოციალური წყობითა და პოლიტიკური რეჟიმით საუკეთესო ნიადაგს ქმნიდნენ ამ ქანრის აღმოცენებისათვის. ქართული ლიტერატურა მდიდარია იგაე-არაკული ქანრის ძეგლებით („სიბრძნე-ბალავარისა“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნის სალარო“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „ესოპეს არაკები“ და, სხვათა შორის, „მელის წიგნის“ თარგმანი).

მეიგავენი მიმართავდნენ როგორც დადებითი ზნეობრივი მოძღვრების ქადაგებას, ისე, და უმეტესად, ზნეობის უარყოფითი მხარეების მხილებას (და, ცხადია, ამდენადვე სათანადო აღმზრდელობითი გეზის ჩვენებას). უკანასკნელი გარემოება (ე. ი. მამხილებლობა) განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის იგაე-არაკულ ძეგლებს. მელის წიგნის ხშირად საოცარი პირუთენელობით ამხელს საზოგადოების გაბატონებული წრეების უარყოფით ზნეობრივ ფიზიონომიას. აქ, მაგალითად, ნათლად ნაჩვენებია სპლვდელოების საერთო ზნეობრივი დაცემულობა (გარყენილება, ანგარება, მექრთამეობა და მისთანანი). ავტორი საუცხოო მხატვრული უბრალოებით აშიშვლებს ფილონ-წამოსხმული კატის ფარისევლობას. ძეგლი არ ზოგავს არც მსუნავ და გაიძვერა მოსამართლეებს, მტარვალ მეფეებს, ბობოლა მოხელეებს, ყოყოჩა და ფუქსაეატ გვარიშვილებს; ავტორი ასწერს ღარიბ-ღატაკების უმართებულო ჩავვრის ამბებსაც, მაგრამ ის აქ მხოლოდ პასიური აღმწერლის როლში გვევლინება და მჩაგვრელებს ქრისტიანული კაცთმოყვარეობისაკენ მოუწოდებს. მელის წიგნი ჰკიცხავს საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ უმეცრეებს, ხორციელ აღვირაზნნილობას, გაუტანლობას, სიხარბეს, ამპარტავნობას. ამასთან აიდელებს საზრიანობას, ხერხიანობას, მახვილგონიერებას და მის მსგავს თვისებებს. მოხსენებულ თვისებებს სიმბოლიკურად ასახიერებს მელა, ამით აიხსნება თხზულების სახელწოდებაც მელის წიგნი.

მელის წიგნი სომხურიდან უთარგმნიათ არაბულსა და ქართულ ენებზე. ვარდანის იგაე-არაკების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს მიუძღვნა აკად. ნ. მარმა თავისი განთქმული სადისერტაციო შრომა: Сборники притч Вардана, I, Исследование, С-Петербург, 1899.

„მელის წიგნის“ ქართული ვერსია ერთერთი ნაკლები ხელნაწერის მიხედვით აღმოაჩინა და გამოსცა ექ. თაყაიშვილმა (ე. თაყაიშვილი, მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისი, ტფილისი, 1899). თავის გამოცემას ე. თაყაიშვილმა დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საინტერესო მიმოხილვაც (ბოლოსიტყვაობა).

გამომცემელი აღნიშნავს, რომ: „მელის წიგნი დაისტამბა ერთადერთ ხელნაწერიდან, რომელიც შეძენილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისათვის № 2966... ხელნაწერს აკლია მხოლოდ ერთი ფურცელი“ -ო (გვ. 143). გამომცემელს ისიც კი შეუნიშნავს, რომ: „აგრეთვე აკლია კიდევ ჩვენს ტექსტს სომხურ და არაბულ მელის წიგნთან შედარებით ექვსი არაქი 159-164“, მაგრამ მკვლევარის აზრით: „ეს ნაკლი ჩვენს ხელნაწერს კი არ ეკუთვნის, არამედ იმ დედანს, რომლიდანაც ჩვენი ხელნაწერია გადმოღებული“ -ო (143—144).

ექ. თაყაიშვილს ოდნავი ეჭვიც კი არ შეჰპარგია, რომ მისი აღმოჩენილი ტექსტი სომხური „მელის წიგნის“ თარგმანი უნდა ყოფილიყო: „უეჭველათ უნდა ჩაითვალოს, რომ ქართული მელის წიგნი სომხურიდან არის ნათარგმნი“ -ო (145). ქართული ტექსტის შედგენილობას ე. თაყაიშვილი თითქოს დაურწმუნებია რაღაც თავისებური სომხური რედაქციის არსებობაშიც: „ქართულის მთარგმნელს ხელში ჰქონია ხელნაწერი სომხური მელის წიგნი ცოტა განსხვავებულის რედაქციისა. შესაძლებელია ვიფიქროთ, ის არაკები, რომელიც ბოლოს აკლია ჩვენს დედანს, არ იყო იმ დედანში, საიდანაც ქართული მელის წიგნია ნათარგმნი“ -ო (147). თარგმანის დროის შესახებ გამომცემელი ასკვნიდა: „ქართული მელის წიგნი ძველ თარგმანს არ უნდა შეადგენდეს, უფრო საჭეშმარიტოა, რომ ის არის ნათარგმნი სომხურიდან მეთვრამეტე საუკუნეში“ -ო (148). XVIII საუკუნის თარგმანად მიუჩნევია ქართული „მელის წიგნი“ ე. თაყაიშვილს ნ. მარისადმი გაგზავნილ კერძო წერილშიც, რაზედაც ნ. მარი უნიშნავს: „Особелно древним, конечно, не может быть грузинский перевод Лисъей книги, раз, как мы теперь знаем, появление ея оригинала на армянском языке относятся приблизительно к началу XVII века“ (Сборняки, გვ. 574, შენ. 1).

ამრიგად, ქართული „მელის წიგნის“ სომხურიდან წარმოშობილობა უდაოდ არის მიჩნეული. თარგმანის დროდ ზოგადად ითვლება XVIII საუკუნე, ხოლო უცნობი რჩება მთარგმნელის ვინაობა.

ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ქართული „მელის წიგნის“ კიდევ ორი ახალი ხელნაწერი ეგზემპლარი. ეს ხელნაწერები ერთი მხრით ავსებს და ადასტურებს უკვე არსებულ ცნობებს და მეორე მხრით ახალ დადებით ცნობებსაც იძლევა. ეს ხელნაწერებია საქართველოს მუზეუმის ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის № 59 და იმავე მუზეუმის ყოფილი საუნივერსიტეტო კოლექციის № 1786.

ხელნაწერი № 59 შეიცავს სხვადასხვა თხზულებათა კრებულს და გადაწერილია 1816 წელს (ჩვივ წელს), კერძოდ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო თხზულება დასრულებულია 1316 წლის აგვისტოს 4-ს. გადამწერია ვინმე „ქეთილშობილი მოსესა ყორღანოვი“.

„მელის წიგნი“ კრებულში მეორე ნაწილად მოდის. ამის სათაურია: „საარაკო სათქმელი, რომელნიმე თარგმანი და სწავლა, და ცნობა ყოვლისა ცოდვისა და მადლისა, და გავლიძება უმეცართა კაცთათვის და სასიამოვნოდ სასმენი“. ნ. მარის ტაბულის მიხედვით (Сборники, 4—5) აქ სულ 73 იგავ-არაკი გვაქვს. ესენია: 1, 2, 4, 5, 7, 8, 9, 14, 15, 16, 17, 21, 22, 23, 24, 28, 29, 31, 32, 41, 42, 43, 50, [49], 50, [50], 51, 53, 55, 56, 57, 58, 59, 61, 63, 64, 66, 68, 69, 70, 72, 73, 74, 75, 84, 87, 88, 89, 102, 105, 107, 110, 117, 122, 123, 124, 125, 129, 133, 135, 143, 144, 145, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 157, 158, 159, 161, 164. ამას გარდა აქა ტაბულით უცნობი ერთი ზედმეტი იგავიც.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, „მელის წიგნი“ ჩვენ ხელნაწერში (№ 59) წარმოდგენილია მხოლოდ ექსცერპტულად: 164 იგავ-არაკიდან მხოლოდ 73 გვაქვს¹. მაგრამ ყურადღებას იქცევს აქ ორი გარემოება: პირველი ის, რომ კრებულს დაუცავს არაკები 159, 161 და 164, რომლებიც ე. თაყაიშვილისეულ ხელნაწერს აკლდა და რამაც მკვლევარს აფიქრებინა რაღაც თავისებური სოპხური რედაქციის არსებობა. მოტანილი მასალით ცხადი ხდება, რომ „მელის წიგნი“ თავის დროზე სრულად ყოფილა თარგმნილი და სწორედ გავრცელებული რედაქციისა, ტექსტის ექსცერპტული ხასიათი ამ დებულების საწინააღმდეგოდ არ გამოდგება. მეორე გარემოება კი ის არის, რომ ყორღანაშვილისეულ „მელის წიგნს“ შემოუწახავს ერთი არაკი (რიცხვით მეთერთმეტე) პირობითი სათაურით «ლეონ ბრძენი და სამი მტევანი ყურძენი», რომელსაც არ იცნობს არც სომხური ორიგინალი „მელის წიგნისა“ და არც ვარდანის

¹ არაკები 16-17 და 143-144 ხელნაწერში გაერთიანებულია და ოთხის ნაცვლად ორ თავს იძლევა.

სხვა რომელიმე კრებული, რამდენადაც ამის გათვალისწინება შესაძლებელი ხდება ნ. მარის წიგნით.

საინტერესო აღმოჩნდა კრებულის გადამწერის, მოსესა ყორღანოვის, შემდეგი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნაც: „ესე საარაკო წიგნი იყო პირველ სომეხთა წიგნთაგან ნათარგმ[ა]-ნევი. და გარდმოწერილი. შენდობილი. იოვანე პენტელაშვილისაგან. და ოდეს. მეცა. ვიხილე. და გარდავიკითხე (sic), მიამა. შესაქცევრად. და ყრმათათ. და ყრმათათვის სწავლად. და დავასრულემე. წერითა ვითა. ჩემგან. შეიძლებოდა. კელითა. მისივე. პატრონისა. კეთილშობილი. მოსესა. ყორღანოვისათა. საკითხავათ. და. მოსაგონებლად ჩვენდა. აგვისტოს. დ. დღესა. წელსა. ჩყივ [1816]“.

მოტანილი მოწმობით ქართული „მელის წიგნი“ გადაჭრით არის გამოცხადებული „სომეხთა წიგნთაგან ნათარგმანევედ“. რაღაც ბუნდოვანი გამოთქმებით მთარგმნელად თითქოს მიჩნეულია იოვანე პენტელაშვილი, მაგრამ მაინცდამაინც კატეგორიული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, რადგან ყორღანოვის სიტყვით «მელის წიგნი» ნათარგმანევი და გადმოწერილი ყოფილა პენტელაშვილისაგან. არ ჩანს გარკვევით პენტელაშვილი მხოლოდ „გარდმომწერია“, თუ გადმომწერთან ერთად მთარგმნელიც. ამ გაუგებრობას ფარდა ახადა ზევით დასახელებულმა მეორე ხელნაწერმა (№ 1786), რომელიც იოვანე პენტელაშვილის ავტოგრაფს წარმოადგენს და შემდეგ მინაწერსაც შეიცავს: „დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესის მეფის გიორგისა და მამათმთავრის მის უწმიდესობის კათალიკოსის ანტონისა გარდმოვთარგმნე სომეხთაგან ქართულს ენაზედ. მე იოანე პენტელაშვილმა, ნოენბერს იდ [14], ქკს უპე [1798].“

უკანასკნელი მოწმობით საბოლოოდ გამოირკვა, რომ 1. «მელის წიგნი» თარგმნილი ყოფილა სომხური ენიდან. 2. თარგმანი შესრულებულია 1798 წელს. 3. მთარგმნელია იოვანე პენტელაშვილი.

პენტელაშვილისეული ხელნაწერი, როგორც ავტოგრაფული, დიდ ინტერესს იწვევს ტექსტური თვალსაზრისით. ნუსხა დეფექტურია: თავში აქლია ორი ფურცელი (ხუთი არაკი), შუა ნაწილიდან აღსანიშნავია 111 არაკის დანაკლისი (თუმცა სათანადო აღგილი დატოვებულია). სხვა მხრით ტექსტი ზრულია. აქ მოიპოვება ე. თაყაიშვილის გამოცემით დაკლებული არაკები 158—164¹.

¹ ეს არაკები დაბეჭდილია ჩვენ მიერ „თბ. უნ. შრომებ“-ში (VI, 1937, გვ. 165-168).

ამით ისიც საბოლოოდ გამოირკვა, რომ მელის წიგნი ქართულ ენაზე სრულად ყოფილა ნათარგმნი და მოიხსნა ქართული რედაქციის საშუალებით თავისებური სომხური რედაქციის ძიების საკითხი. პენტელაშვილის ნუსხა არ იცნობს არცყორღანოვისეული ხელნაწერის ლეონ ბრძნის არაკს. სამწუხაროდ, უკანასკნელის ბედი კვლავ გაურკვეველი რჩება.

მელის წიგნის მთარგმნელი იოვანე პენტელაშვილი თავის დროზე ყოფილა ცნობილი მდივან-მწიგნობარი (მოღვაწეობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX-ის პირველ მეოთხედში), მაგრამ ჩვენ დრომდის მოღწეული მისი ხელნაწერები¹ კალიგრაფიული თვალსაზრისით სუსტია. მოიკოჭლებს პენტელაშვილის ენაც.

¹ აქედან უძველესია 1765 წლით დათარიღებული საიათნოვას დაეთარი (ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 41; ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, გვ. 23).

V A R I A

ვახტანგ VI

(ლირიკა)

ვახტანგ VI თავის დროისათვის იყო მრავალმხრივ გამოჩენილი პიროვნება. ის სათავეში ედგა ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებას, მეთაურობდა ქართული ისტორიისა და სამართლის დამუშავების საქმეს, მფარველობდა მეცნიერებას და ხელოვნებას, მეცენატობდა მწერლობას, თვითონაც უშუალოდ და ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურის ასპარეზზე. ვახტანგის მეოხებით საქართველოში პირველად ამუშავდა სასტამბო დაზვა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა როგორც სასულიერო-საეკლესიო წიგნები, ისე სასკოლო სახელმძღვანელოები და საერო ტექსტები. აქ დაიბეჭდა ვახტანგის ვრცელი კომენტარიებით „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერული გამოცემა, ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია რუსთველის პოემისა.

ვახტანგის სასახლე წარმოადგენდა ერთგვარ პატარა აკადემიას, სადაც თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრიობის მთელი ინტელექტუალური აქტივი. ახალგაზრდა და სწავლული მეფის ენერგიული ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერისად ეხმაურებოდა ეპოქის კულტურულ მაჯისცემას. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური უკუღმართობის წყალობით მეტად ხანმოკლე გამოდგა ვახტანგის ნაყოფიერი მოღვაწეობა. მართალია, განათლებული მეფე ექსორიობასა და ემიგრანტობაში განაგრძობდა კულტურულ, კერძოდ, ლიტერატურულ საქმიანობას. მაგრამ ეს საქმიანობა, რასაკვირველია, მოკლებული იყო სახელმწიფოებრივი მასშტაბით წარმოებული თავდაპირველი კოლექტიური და გეგმიანი მუშაობის ეფექტს.

დაიბადა ვახტანგი 1675 წლის 15 სექტემბერს. განათლება კარგი მიიღო. უფლისწული აღზარდა და გაწაფა ისეთმა ჩინებულმა ოსტატმა-მასწავლებელმა, როგორც იყო სულხან-საბა-ორბელიანი. ვახტანგი საფუძვლიანად დაეუფლა ძველ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას („სამღვთოც ვიკოდი, საეროც“-ო), შეისწავლა სპარსული ენა და პოეზია. 1703-1711 წლებში ვახტანგი ქართლს

განაგებდა ქართლის მეფის მოადგილის („ჯანიშინის“) ტიტულით. სწორედ ქართლის გამგებლობის დროს გააჩალა ვახტანგმა ზევით აღნიშნული კულტურული მუშაობა.

1712 წელს ვახტანგი გაიწვიეს ირანში. ორი წლის განმავლობაში ის ცხოვრობდა ირანის სატახტო ქალაქ ისპაჰანში. 1714 წელს „გაათახსირეს“ და ქირმანში გადაასახლეს. ირანის მთავრობა ქართლის ჯანიშინისაგან მოითხოვდა ქრისტიანული რჯულის დაგდებას და გამაჰმადიანებას. ვახტანგი დიდხანს უარზე იდგა. დახმარებისათვის ფარულად დესპანი (სულხან-საბა-ორბელიანი) აფრინა ევროპაში. მაგრამ აქედან სახარბიელო არა გამოვიდა რა. მწუხარებაში მყოფი ჯანიშინი დაძაბული ლიტერატურული საქმიანობით იმსუბუქებდა თავის ბოღმა-ნალევლს: „სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შტკევეს გამოვეკიდე... თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგობთ. ჩემი ჳირი ქვას ჳქონებოდა, დადნებოდა; ჩემი ფიქრი და ნალველი ზღვის ალაგს აავსებდა“ო (-ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობიდან). ფრიად საგულისხმოა ამ მხრით ერთი ხელნაწერის შემდეგი მოწმობაც: „ოდეს ქართლით იხმეს მეფე ვახტანგი ისპანს და მიიწივა წინაშე სპარსთა მეფისა, აწვევდნენ მამულისა სჯულის დამტვევებლად; და ღვთისმოყვარე მეფე ესე არ ერჩდა მძლავრისა მის ბრძანებასა. ამისთვის პატიმრად წარავლინეს ქირმანს, და მუნ მყოფობასა შინა იწყო წერად ესრედ, რათამცა არა შეეპყრო ურვათა სევდიანობასა. ესრეთითა წესითა აქარვებდა პირველისა მის დიდებულობისა არა ქონას ნალვლიანობასა“¹.

ბოლოს ვახტანგი იძულებული გახდა გარეგნულად მაინც დათანხმებულიყო სპარსეთის შაჰის მოთხოვნაზე. 1716 წელს ვახტანგი გამაჰმადიანდა, სანაცვლოდ უბოძეს „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“. როგორც „ერანის სპასალარი“, ვახტანგი კვლავ უცხოეთში რჩებოდა. ნხოლოდ 1719 წელს ელირსა მას სამშობლოში დაბრუნება. 1721 წელს, პეტრე დიდის მიწვევით, ვახტანგი სპარსეთს განუდგა. სამხედრო კავშირით შეეკრა რუსეთის მონარქს, მნიშვნელოვანი ჯარი შეკრიბა და კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ გაეშურა მოკავშირესთან შესაერთებლად... მაგრამ, როგორც ცნობილია, პეტრემ სპარსეთის ლაშქრობას თავი დაანება, დერბენტიდან პირი იბრუნა და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. ვახტანგი განმარტოებული დარჩა. ქართლის ურჩი ბატონი შაჰმა სამაგალი-

¹ ე. თაყაიშვილი, Описание, II, 408.

თოდ დასაჯა, აჰყარა ყოველგვარი პატივი და ქართლი კახეთის მეფეს (კონსტანტინეს) გადასცა. გაქირვებაში ჩაეარდნილმა ვახტანგმა ოსმალეთს სთხოვა დახმარება. ხონთქარიც ამ დროს უტლიდა. ამიერიდან ოსმალები „უფლებამოსილად“ ჩაერივნენ საქართველოს საქმეებში. კონსტანტინემ სპარსელებთან ერთად ლეკები მოიშველია. სპარსელები, ოსმალები და სხვანაირი ჯურის მოძალადეები დაერივნენ საქართველოს მიწა-წყალს და, გურამიშვილის გულისმომკველელი სიტყვებით: „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“.

ვახტანგს საქართველოში აღარ ედგომებოდა. 1724 წელს დიდი ამალით ჩრდილოეთში გარდაიხვეწა. მეფის ამაღალში ირიცხებოდა ათას-ორასამდე ლტოლვილი. ლტოლვილთა ძირითად მასას შეადგენდა მოწინავე ქართველობა. მათ შორის ბლომად იყვნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დახმარებით კვლავ დაბრუნდებოდა საქართველოში. მაგრამ ემიგრანტი მეფე თავიდანვე ცივად მიიღეს. მალე ვახტანგს მთლად გაუქარწყლდა ყოველი იმედი. კიდეც მეტი, მას გარკვევით აგრძობინეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე გადასვლის საქირება. ამ წინადადებას ისედაც დაურევებული ემიგრანტი მთლად გასტეხა წელში. ელემენტარული თავმოყვარეობის დასაცავად არავითარი ღონე არ შერჩა ოდესღაც დიდად პატივმოყვარე და თავმომწონე ივერთა ბატონს. პროტესტის ნიშნად ვახტანგმა ხელი აიღო პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ანდერძად დაუგდო თავის მხლებლებს—სამშობლო ქვეყანას არ ეორგულოთო. თვითონ გადასახლდა ასტრახანში და იქვე გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს. მხოლოდ გურამიშვილის მჭუხარე ლექსმა გამოიტირა ღვაწლმოსილი ემიგრანტი მეფის ჩუმი სიკვდილი („ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლკარი თავს დაგვექცაო“...).

ვახტანგი იყო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მშვიგნობარი, პოეტი, კომენტატორი, მთარგმნელი, რედაქტორი¹. შედარებით უფრო ნაკლებადაა შესწავლილი ვახტანგი როგორც პოეტი.

ვახტანგის ლირიკული ლექსების უმეტესობა დაწერილია უცხოეთში (ისპაჰანში, ქირმანში, მოსკოვში) ექსორიობისა და ემიგრან-

¹ ვახტანგის მთარგმნელობით-რედაქტორული მუშაობა „ჩილილა და დამანას“ მიმართ განხილულია ჩვენი „ნარკვევების“ პირველ წიგნში (თბ., 1932, გვ. 170—320).

ტობის დროს. მაშინ პოეტი დიდ სულიერ ლელვას განიცდიდა, შეპყრობილი იყო მძაფრი კაეშნით და საოცნებოდ ეხატებოდა „პირველის მის დიდებულობისა არ ქონა ნაღვლიანობისა“. პატივ-აყრილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული მეფე ცხარე სიმწვავეთ იტანდა მსახვრალი ბედის უკუღმართობას, ხოლო პოეტის გრძობიერ გულში დაგროვილი ბოლმა-ნაღველი წრფელ ღირიკულ წყაროდ ედინებოდა მოხდენილ ლექსებს:

დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვხმარობ მულამ მელნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად.

„ალმემართა კაეშანი“ო, ამბობს ვახტანგი სხვაგან და მწარედ მოსთქვამს თავის. მიუსაფრობას, უცხოეთში დაკარგულობის სივაგ-ლახეს:

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დავკარგულვარ უცხოს თემსა...

ისპაჰანის სულის შემხუთავ ატმოსფერაში პოეტს ნათელ ფერებად წარმოეშლებოდა ხოლმე ბრწყინვალე წარსულის მომხიბლავი მოგონებანი:

პირველ მალხინა სოფელმან შამბიანთ არე-მარესა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებსა,
სხვას რას შექცევას, რას შევებას; არ კაცთა დასაზარებსა.
აწ დამსვა მარტო, გასკვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა-სარებსა!

ვახტანგი განსაკუთრებული პოეტური ძალით უფარდებს პირველი შევების სიამტკბილეს ყარიბობის საშინელ ურვას:

ჰე, თაო, პირველ შევებულო, აწ უცხოს ქირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია;
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ, სამყოფთგან გარე (ვ)ვარდია,
ლაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

პოეტი გატაცებით და სიყვარულით იგონებს მშობლიური ქვეყნის ძვირფას კუთხეებს, ლამაზ პეიზაჟებს, სიხარულისა და განცხრომის დღეებს. „რა სჯობს მაისში ტფილისსა“, — პათეთიკურად ამბობს ვახტანგი, — ხოლო „შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი

რამცა ედაროს? თავისებურად მომხიბლავია „ლილოს ტბა“, „კო-
ჟორიცი ითქმის ერთ რადმე“. მშვენიერია შავნაბადა, ფილტვიანი,
ქცია მსუქანი ორაგულებით და კალმახებით. საოცნებოა არჩვსა და
ირემზე ნადირობა. საუცხოო სანახავია დაგეშილი შევარდნები და
გავაზები, აფართხალებული ხობები და კაკები. რა საამო და სა-
ხალისოა „წყალთ წურვა და თევზთა ჭერა“. ნადირობის ტრფიალს-
მოეხსენება ძალი „სომხითისა შემოდგომაზე“... „ზამთარს ყარაია“,
შეძღვამ ისევ ტფილისი, ისევ შვება, ისევ სიხარული ¹.

სამშობლო მხარე ვახტანგს აგონებს წარმტაც გულისწორ-
სატრფოს ² (ამ ალევორიით ვახტანგი აკაკის წინამორბედი). მხურ-
ვალე გრძნობით ეტრფიალება პატიმარი პოეტი-მეფე ამ თავის სა-
თაყვანებელ შორეულ წადილს, მაგრამ—ვაგლახ—ალერსიანი პასუხის-
ნაცვლად შხამიან ისარს ლებულობს გულის სალახვროდ:

კეკლუტო ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უღებ.
მალამით..

მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით.

პოეტის სპეტაკი, სანდომიანი სატრფო ხელთ ჩაუგდიათ მე-
დროვეებს, მოშურნეთ, შინაგამცემლებს. პოეტს განშორდნენ და
ვერაგულად უმუხთლეს კიდევ თვისიანებმა, ტოლ-მეგობრებმა,
ადრინდელმა თანამშრომლებმა. ყველამ უარყო, ყველამ გაწირა შე-
ჭირებებაში მყოფი სულგრძელი მეფე, რჯულმტკიცე და ზნეობა-
შეურყვევლი:

ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგებთან სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რა ჩემგან მოსასურები!
განმამძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მონაწურები.

ერმა და ბერმა, ყველამ თავი გამოიღოჲ ქვეყნისა და მისი
პატივაყრილი პატრონის ჩასაწინააღად:

¹ „ქართლის ცხოვრების“ მოწმობითაც, ვახტანგი „ნადიმობდა და ნადი-
რობდა ზამთარს ყარაია-სომხითისა, შემოდგომა—გახაფხულს გორს და ტფილისს,
ზაფხულს თრიალეთს შამბიანსაზე“ (II, 75).

² ეს გარემოება მართებულად აქვს შენიშნული პროფესორ კორ. კეკელიძეს (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 427).

ერთი ღმერთი არ ირწმუნეს, ბერთა რჯული შეურაცხვეს, არას კერპსა არ უქნია ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს...

ჟამთა სიავემ პოეტს პირველი სიხარულიც გადააეწეა და შემზარავად წარმოუდგინა მთელი სიცოცხლის განვლილი დღენი:

სიყრმიტგან ჩემი მწირობა კაცთაგან მოუგონარი,
რა სიგლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასალონარი!

ერთ თავის პატარა ლირიკულ ლექსში ვახტანგს მანანდის ქართულ პოეზიაში გაუგონარი პოეტური ძალით, სიღრმით და სიმძაფრით აღუბეჭდია თავისი ყოფის მართლაც ტრაგიული სიმწარე. ქეშმარიტად დიდ გრძნობიერ გულს თუ შეეძლო განეცადა, ხოლო ნათელ პოეტურ გონებას კი მხატვრულად წარმოედგინა ამ დღემდის უცნობი ობოლი მარგალიტი-ლექსით მოთხრობილი ადამიანური ცხოვრების ტრაგედია. ყველაფერ აღნიშნულთან ერთად მკითხველსა და მსმენელს უთუოდ ხიბლავს ლექსის ახალი, უაღრესად თავისებური მუსიკალური კილო, კლასიკურობის მიჯნას მიღწეული პოეტური სიტყვის მხატვრული უბრალოება.

აი ეს ლექსიც მთლიანად:

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა სიგძე და სივრცე, განი, და,
ვერა ვპოვე რა მის ნეტე, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და.
ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

პოეტი ისე შეჩვევია სოფლის სიმუხტლესა და გამწირობას, რომ თითქოს აღარც კი უკვირს და თითქოს აღარც კი კმუნავს თუძცა გულის სიღრმეში ბლომად დაგუბებია ბოდმა-ნალველი:

სოფლის სიძუხტლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო,
ან შენ ამისთვის რათ სწუხხარ, უცხოდ გჩანს, ვახტანგ მეფეო!

სოფელს გამეფებული გაუტანლობა ვახტანგს ძლიერად აქვს გადმოცემული შესანიშნავ ელეგიაში,—„ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“:

რა დაეიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო, მეგონა რა მე, სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო.

ვგონებ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ვახტანგის ამ ლექსით არის შთაგონებული დავით გურამიშვილის სახელგანთქმული „გოდება“:

გული ღონდება, ვიწყო გოდება: ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო, ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება: ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!

საერთოა ორივე შემთხვევაში მეტრი, რიტმი, რეფრენი, იდეა, შინაარსი, საერთო განწყობა...

ვახტანგი ზიზღით უცქერის სოფლის ბუნებას, ამხელს მის დაუდგრომლობას, მზაკვრულად ქცევას, უკულმართ ბრუნვას, პირფერ ჩვენებას. სოფელი პოეტს აგონებს მეძვე ღედაკაცს:

ეს სოფელია დიაცი სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კეკლუცად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი,
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არი მწოლელი...

ღიდი მძულვარებით ასკენის ვახტანგი: „სოფელი ჩვენი მესისხლე ზღაპარი არის, ყბედია“, მაგრამო-დასძენს მწუხარად — „ვიჩივი, თუმცა არვინ მისმენს, რა ვქნა, თავი მებრალდება“ო. შესაბრალისადვე ჩივის ვახტანგი სხვაგანაც: „დამწვა სოფლისა საცთურმა“. კაცის სიცოცხლე, პოეტის აზრით, „რუსთ ზაფხულისებრ მოკლეა“. თანაც ეს მოკლე „წამ-ერთი“ ყოფა სანიადაგო ტანჯვა-ვებაა, ტყება-ტირალი. ვახტანგი ურთავს:

სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია,
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია.

ეს კია, რომ პოეტი ზოგჯერ თავის საკუთარ თავსაც აბრალებს ხვედრის სიმწვავეს და ცხარე სასინანულო სიტყვებით გვამცნობს:

რას ვაბრალე საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,
რაც მე შეესვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ-თუ სამე ნარი ესო,
მე აღმოვფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?

თქმა არ უნდა, თეიმურაზისა და არჩილის მსგავსად სოფლის წყევის სიმწვეავეს ვახტანგიც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი გრძნობით ანელებს.—„მოთმენის მეტი წაშალი არა აქვს დასაკრულებსა“—სიმწარით ამბობს პოეტი ერთგან, ხოლო სხვაგან ბრძნულად აცხადებს:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთიითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოფლის მიღების ამ ბრძნულ მოტივამდე არ მისულა ვახტანგის არცერთი წინამორბედი პოეტი. თუ მართალია ის მოსაზრება (პირადად ჩვენ იმას სავსებით ვიზიარებთ), რომ: „აღორძინების მწერალთა შემოქმედებაში ვპოვებთ (ნიკოლოზ) ბარათაშვილის პოეზიის იდეურ ფესვებს“¹ (კერძოდ აქ ნაგულისხმევია წუთისოფლის პრობლემა), მაშინ ყველაზე უწინარესად სწორედ ვახტანგის დამოწმებული შეგონება უნდა გამხდარიყო ნიკო ბარათაშვილის განთქმული სტროფის იდეურ წყაროდ:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან—შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

ვახტანგს საკმაოდ უწერია სატრფიალო მოტივებზედაც. პოეტი ღია, შეუფერავი სახეებით აღწერს და აბკობს ქალის სხეულის მოხდენილობას, გარეგნულ სილამაზეს. ამ მხრით ზოგიერთ საჩოთირო ფიგურალობასაც კი არ ერიდება:

ღაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია გასალალად,
თვალ-მელანი, წარბი სათი, თმა სუმბული, კბილი სრალად,
ყელი ვერცხლი, ძუძუები ბროლისაგან განათალად,
ტანი ალვად, ხელ-მკლავები შოლტებია დასაკრძალად.

¹ გ. ნადირაძე, პოეტი და ადამიანი (ნიკოლოზ ბარათაშვილი), საბლიტგამი, თბ., 1938, გვ. 98.

პოეტი თავდავიწყებით ევედრება ამ თავის მომხიბლავ სატრფოს:

შაქრისაგან უტკბილესი შენი ეშვი მასვი-ო.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთი მგზნებარე ტრფიალების საგანი როდი ყოფილა რეალური ქალი. პოეტის მხურვალე სამიჯნურო ჰიმნი მიმართულია მისტიკური არსებისადმი, ღვთაებისადმი, ღვთის-მშობლისადმი და წმინდანებისადმი. ვახტანგის სატრფიალო ლირიკა ალფეგორიულ-მისტიკურია. საგულსხმოა, რომ სატრფიალო ლექსების ჯგუფს („სატრფიალონი“) საგანგებო შენიშვნა შემოუნახავს სათაურშივე: „აქა იწყებიან ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობა... და მკითხველთა უხმს გულისხმიერობა, თუ ვისდამე ტრფიალებს მეფეო“. ხოლო მეორე ხელნაწერის კ-შენტარია სავესებით ფარდას ხდის ამ საიდუმლოებას: „აქა შაირობანი ფრიად პატიოსანი უფლისა და ყოველთა წმინდათა მიმართ. მისგანვე, მეფის ვახტანგისაგან სულიერად ნათქვამნი“ო. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს კომენტარია, ის სწორად აღბეჭდავს საქმის ვითარებას. შიგადაშიგ ავტორიც ცხადლივ ამჟღავნებს სატრფიალო ლექსების გარკვეულ ტენდენციას. მიჯნურული ურვით შეპყრობილ პოეტს თავისი უცნაური სატრფო თურმე შემდეგ პირობას უღებს თანაგრძნობისთვის:

თუ დაიმარხავ ჩემისა სწავლისა სიტყვა-თქმულეbsა,

დღეებსა შემოგიმატებს, ზე ალგიფრინეებს სულეbsა,
სოფელსა შემოიძინებ, გარდაურჩები წყლულეbsა“.

ქვევით დაკონკრეტებულია სწავლის სახეები, ესაა ათი მცნება, შვიდი საიდუმლო, შვიდი სასიკვდილი ცოდვა, ცხრანეტარება და სხვ. ვახტანგს საგანგებოდ აღნიშნული აქვს სულიერი სწავლის აზრი და მნიშვნელობა, ცხარედ აპაექრებს სულსა და ხორცს, დასასრულ სინანულით ამბობს:

რატომ დავშვერ საწუთოსა, ვიცოდიმცა მისი ზნენი,
გონებანი ვაგემოვნენ, სული შევექენ გაუზნენი.

ვახტანგის პოეზიაში კეკლუცი ქალის შნო და ლაზათი სიმბოლიურად ასახიერებს ღვთაებრივ სიწმინდეს და სიფაქიზეს, ქალისა-

დმი გატაცებული ლტოლვა კი აღნიშნავს სულის ლტოლვას ღვთაებისადმი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგს ამ შემთხვევაში ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადმოაქვს სპარსული პოეზიით კარგად ცნობილი მუსულმანურ-სუფისტური მისტიკა. სხვათა შორის, ვახტანგმა სცადა ალეგორიულად აეხსნა თვითონ „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობაც. ვახტანგის სამიჯნურო თვალსაზრისი დაედგა საფუძვლად მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის თეორიას („ჭაშნიკს“). ხოლო ვახტანგისა და მამუკას თეორიამ განსაზღვრა დავით გურამიშვილის სამიჯნურო მისტიკა. ამისდა მიუხედავად, ვახტანგი გულისტკივილით ჩივის მკითხველი საზოგადოებრიობის გულგრილობაზე თავისი სატრფიალო ლექსებისადმი:

თუ მეთქვა აშუკ-მაშიყთა წადილისებრივე მკობანი,
ეგება ჩემი ლექსისაც არავის ეთქვა გმობანი-ო.

ვახტანგის სამიჯნურო კოდექსი თავის მხრივ რუსთველით არის შთაგონებული.

მაგალითად:

უხამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,
შეემსკვეალოს სული, გული, სხვა არ ჰქონდეს გასაგონი,
ღღე-და-ღამე მას ამკობდეს, ნუმცა უნდა გასაგონი,
მან ამითი შეიწყალოს, მოლბეს, ექმნას ხვეწნის მგონი.

თუ მიჯნური კაცში დავა, ან სწადიან კარგის ნახვა,
გაუგრილებს გულსა მისსა, აღარ ძალუც სულთქმა, ახვა...

ჩვენ აქ არ ვეხებით ვახტანგის დიდაქტიკას, რამდენადაც ვახტანგის დიდაქტიკური მოძღვრება წარმოდგენილია უმთავრესად ნათარგმნ ძეგლებში. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვახტანგი ამ მხრითაც სანიმუშო გახდა ქართული მწერლობისათვის. ვახტანგს ეკუთვნის მრავალი საგულისხმო აფორიზმი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ვახტანგის ღვაწლი ქართული ვერსიფიკაციის დარგში. მართალია, მოკრძალებული პოეტი გულწრფელად იხვეწება:

გემუდარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა,
ნურცა რუსთველსა მადარებ, ნურცაღა ლექსთა სხვანებსა-ო.

მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ დავარღვიოთ ეს ანდერძი და ცოტათი მაინც უნდა გავჩხრიკოთ ვახტანგის ლექსთა „სიკაქე-განები“. უპირველესად ყოვლისა ვახტანგმა დაამკვდრა ქართულ პოეზიაში ელეგიური ლექსის ეანრი. ვახტანგის გზას გაჰყვა დავით გურამიშვილი. ჩვენ ზევით უკვე ვაჩვენეთ ამისი მაგალითი. ელეგიისათვის ვახტანგს გამოუყენებია 20-მარცვლოვანი ლექსი ჩახრუხაულის ტიპისა. ტიპისაო ვამბობთ იმიტომ, რომ ვახტანგს არსებითად შეუცვლია ჩახრუხაული ლექსის კილოც და კონსტრუქციაც. ჩახრუხაული ჩვეულებრივად. იხმარებოდა სახობტო საზეიმო ლექსებისათვის. ვახტანგს კი ოცმარცვლოვანი საზომით გადმოუცრა მძაფრი პესიმის ტური განწყობილება. კონსტრუქციის მხრივ ვახტანგს დაურღვევია ჩახრუხაული ტაეპის მეორე ნახევრის სქემა, ვახტანგის ოცმარცვლოვანი ლექსის მეორე ნახევარტაეპი წარმოადგენს რეფრენს, რომელიც ლექსს ბოლომდე გასდევს ყოველ ტაეპში:

რა დავიბადე, სოჟლით ვიბადე: ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო.

ჩახრუხაულის კლასიკური ფორმიდან ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მარცვალთა რაოდენობა და პირველნახევარ ტაეპთა შინაგანი რითმა. ვახტანგის სქემით შემდგომ საუბებლობს გურაპიშვილი.

ვახტანგს შეუთხზავს რელიგიური შინაარსის ერთი შექანიშნავი ელეგია, რომლის პირველი სტროფი ასე იკითხება:

შურით აღივსნენ უგბილნი, წესა ქმნეს მათს მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიციენ ვამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

ეს ელეგია რუსთაველური შაირის სტროფის გადახალისების შეუწყებელია: აქაც ვახტანგი რეფრენის ხერხს მიჰმართავს, ოღონდ რეფრენად გამოყენებულია სტროფის ბოლო ტაეპი. ვახტანგის ელეგია დასდებია საფუძვლად დავით გურაპიშვილის ანალოგიური შინაარსის ლექსს („მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“):

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მივიჩნიესო,
ბოროტრსაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყუნდლად მივიჩნიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

სხვათა შორის, „ღვთისმშობლის ტირილში“ დავითს განმეორებული აქვს ვახტანგის სპეციფიკური გამოთქმა: „ეაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა“ (შდრ. „ჩემნი იწვიან ნაწლევნი“). რუსთველური შაირის სრულიად ახალი, სახეცვლილი ფორმაა „რანი და...“ და „ლექს-ამბავი“. შაირისაგან შეუნარჩუნებია ვახტანგს მარტოოდენ ტაეპის თექვსმეტმარცვლიანობა, ახალია რიტმი, სტროფიკა, საერთო კონსტრუქცია, განწყობა. მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით თითქოს შაირს უახლოვდება ლექსის ის სახე, რომელიც „ჭაშნიკს“ შემოუნახავს და რომელსაც ქართული პოეზიის თეორეტიკოსი უწოდებს „ვახტანგურს“. ეს პატარა ლექსი სულ ხუთი ტაეპისაგან შედგება. მოგვაქვს მთლიანად:

ორი მისი თვალი—ორი ჯერანი, ბოლოს მხერელი,
 კეკლუცობის ძალათ კაცის მწყენელი, გულზე მწერელი,
 ჰნახეთ, მოყვასნო, საყვარელი, ჩემი თვალის მკერელი,
 იმას უცხოთ ჰგავს ის ტურფა დაუჯერელი,
 არა, არა, ის არ არის, მე საყვარელს ვიცნობ მისი მხერელი.

რა თქმა უნდა, ეს ლექსი არ არის ვახტანგისა, მაგრამ ვახტანგურია, ე. ი. ვახტანგის მეტრის კვალობაზეა შედგენილი. სამწუხაროდ, თვითონ ვახტანგის ორიგინალი ჯერ არსად ჩანს. არც ეს ვიცი, თუ ვინაა „ვახტანგურის“ ავტორი, ჩვენ სავარაუდოდ ავტორად თვითონ მამუქას მივიჩნევდით. მაგრამ ამ გზობის გეინტერესებს „ვახტანგურის“ მეტრი: ლექსის პირველი სამი ტაეპი 16-მარცვლოვანია, მეოთხე ცამეტმარცვლოვანი, ხოლო მეხუთე ცხრამეტმარცვლოვანი. რიტმული ჰარმონია დარღვეულია, არც თუ რაიმე კანონზომიერება ჩანს. შესაძლებელია აქ ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას და მეოთხე ტაეპის დანაკლძი სამი მარცვლი მეხუთესთან იყოს მიტკასნილი. მაინცდამაინც ლექსის საერთო განწყობიდანაც იგრძნობა ვახტანგის აწ უკვე საკმაოდ ნაცნობი სტილი.

ერთი სიტყვით, ვახტანგი უცილობდ გვევლინება, როგორც ქართული ლექსის რეფორმატორი. შემთხვევითი როდია, რომ „ჭაშნიკისათვის“ სხვებთან ერთად სანიშუშო გაჰხდარა აგრეთვე ვახტანგიც. ვახტანგიც უნდა მიეკუთვნოს ქართული ლექსის დარგში ნოვატორების სახელოვან პლედას (სულხან-საბა ორბელიანს, მამუქა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს).

რუსთაველი ჩვეულებისამებრ ვახტანგზედაც დიდ გავლენას ახდენს. რუსთაველის გავლენასთან ერთად აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გავლენა თეიმურაზისა („მაჯამას“ ხაზით) და არჩილისა (დიდაქტიკის ხაზით). თეიმურაზის „მაჯამის“ ერთგვარ შთამგონებელ ძალაზე ვახტანგი ერთგან პირდაპირ მიუთითებს:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კელავ ლექსმა მიყო მაჯამა,
 ცრემლთა ნაკადმა აავსო, ნახეთ, გაცნობოთ მაჯამა,
 დამწვა სოფლისა საცთურმან, ველარა სცემოს მაჯამა.

თავის მხრით ვახტანგსაც საკმაოდ მოუხდენია გავლენა როგორც თავისი თაობის, ისე შემდგომი თაობის პოეტებზე და მწერლებზე. ამაზე ნაწილობრივად უკვე ვილაპარაკეთ. აქ მინდა გაკვირვებით შევეჩხო მხოლოდ ვახტანგისა და გურამიშვილის დიდაქტიკათა ურთიერთობის საკითხს. გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება დიდადაა დავალებული ვახტანგის ანალოგიური მოძღვრებით. ვრცელი დიდაქტიკური თხზულება „სიბრძნე მალალობელი“ ვახტანგს ყრმათათვის განუყუთენია:

არმალნად ესე დაეაცვი ყრმათათვის მოსართმეველად-ო.

ხოლო გურამიშვილი თავის მხრით ურთავს:

ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექნას დასახეველად¹.

სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე პარალელურ ადგილს:

1. მღვდელს აღუარე ნაქნარი, სწავლანი შეიერთია.

(ვახტანგი).

რაც გეცოდოს, შეინანე, მღრდელს აღიარეო.

(დავითი).

2. სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა.

(ვახტანგი).

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

(დავითი).

3. სიყრმითგანეე ყოვლთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს.

(ვახტანგი).

¹ დავითიანი, აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931, გვ. 3, 27—28.

სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი.

(დავითი).

4. სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას, სწავლითა გამდი-
დრებანი,

არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც გზირისაგან ვნებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა მისი მოღება, კლებანი,
უმჯობესია ყოვლისა სამუდმოდ მისი ხლებანი.

(ვახტანგი).

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების,
არც ცხადით, ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების.

(დავითი).

5. მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მთქმელია?¹

მწერთნელთა მოსწავლის ცემაზე ვინ დაუზრახოს ბრალეები!

(ვახტანგი).

ნუ გენაღვლები სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
შენ გემეტების რად არა ძე წვრთნაზე გასაწკეპალადა?

(დავითი).

6. უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა.

(ვახტანგი).

¹ თუმცა სხვაგან სხვაგვარი და შესანიშნავი დიდაქტიური აზრია გამოთქმული:

სჯობს დანახვებით, გასინჯვით, რისხვითა რასმე სწავლასა,
შეაძულეებს და დასწყევლის მისსა ბედსა და დავლასა.

დავით გურამიშვილს უსარგებლია ვახტანგის „მაჯამითაც“. მოგვაქვს ერთი სანიმუშო მაგალითი:

როკოს ლაპი მომავალთა შექმნან ბევრი საგალია,
გნოლი წითლის დევენებითა ქვე მიწაზე საგალია,
კალმახისა გასაწყევტლად დაუნაყონ საგალია.
ვა, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად საგალია?

(ვახტანგი).

სჯობს ყოლა უწვრთის ძალლისა უწვრთნელის შვილის ყოლასა.
(დავითი).

ვახტანგს ერთგან შენიშნული აქვს აფორისტულად:

არა მართებს გონიერსა, რომ ეძებდეს თვითან პურსა-ო.
ნაღვლით და მოკრძალებით პასუხობს ამას გურამიშვილი:

ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოეჭნებისა.

ამას ვიკმარებთ (თორემ ახალი პარალელები შორს წაგვიყვანდა).
გვონებ, უეჭველია ვახტანგის შთამგონებითი ძალა გურამიშვილზე.

ერთი სიტყვით—უნდა დაეასკენათ—ვახტანგს გარკვეული და,
ვიტყოდით ჩვენ, საპატიო ადგილი უკავია ქართული ლიტერატურის
ისტორიაში. თუ ეს საინტერესო პოეტი სათანადოდ არ ყოფილა
დაფასებული, ეს უნდა აიხსნას მისი თხზულებების გამოუცემლობით.
დღემდის დაბეჭდილია ვახტანგის მხოლოდ რამდენიმე ლექსი.
ჩვენ დამზადებული გვაქვს გამოსაცემად ვახტანგის პოეტური მემ-
კვიდრეობის ერთი მოზრდილი ტომი. ამისი გამოქვეყნება არ იქ-
ნება უმნიშვნელო გარემოება ქართული მდიდარი ლიტერატურული
წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის¹.

შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა გალია.

გულს დამასვა სამკედურად ლაზერად სევდის საგალია.

ზდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვაეს ვია თევზთა საგალია.

ასე მიჩანს სრა სამყოფლად, ვითა მფრინველსა გალია.

(დავითი).

¹ ვახტანგის თხზულებათა კრებულის გამოცემას (ჩვენი რედაქციით) აპირებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა, როელიც აგრეთვე მათეს სახელითაც არის ცნობილი, იყო ვახტანგის ლიტერატურული წრის აქტიური წევრი მოსკოვში. მამუკას ნაწერებიდან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია „ქაშნიკი“, ანუ „სწავლა ლექსთა თქმისა“. „ქაშნიკი“ შეთხზულია მოსკოვში 1731 წელს ვახტანგის დავალებით. თხზულება წარმოადგენს ნორმატიული პოეტიკის თავისებურ სახელმძღვანელოს. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ, თეორიულ ნაწილში მსჯელობაა მწერლობის ბუნებისა და დანიშნულების თაობაზე, ამასთანავე მოცემულია სახელდახელო ცნობები ლექსთწყობის საფუძვლებზე. „ქაშნიკის“ მეორე ნაწილი იძლევა ქართული ლექსთწყობის ნაირ ნიმუშებს.

მამუკა ბარათაშვილის შეხედულებით მწერლობის ამოცანა განისაზღვრება აღმზრდელობით-უტილიტარული დანიშნულებით: „თუ კარგს იტყვი სიტყვის სიპარჯვითა და ცოდნის ძალითა... მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის... თუცა ავზედა ითქვა— მოგონების ნაცვლად საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომე კაცი ცოდვანედ აღძრავს და ავს ასწავლის.“ო. როგორც ნორმატიკოსი და დიდაქტიკოსი, მამუკა მკითხველებს (სპეციალურად მწიგნობრებს) აფრთხილებს: „ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამთენი კარგიცა და ავიც გამოვა“ო.

თემატიკური ნორმების დადგენისას მამუკა ბარათაშვილი უმთავრესად ქრისტიანულ-ეკლესიური თვალსაზრისიდან გამოდის, ის ისწავლება: „მაშ, მართებს, კაცმან ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო [თქვას], ეკლესიისა [და] წმინდათა, როგორც რუსთველს უთქვამს... და თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლ-ქრმოების სიყვარულზედა თქვი და იმის გზებზე, როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება.“ო. საყურადღებოა, რომ საეკლესიო-საღვთო მიჯნურობის იდეას მამუკა ამართლებს რუსთველის ავტორიტეტით. ცხადია, ის ამ შემთხვევაში ვახტანგის ცნო-

ბილი კომენტარის საფუძველზე დგას. ამ გარემოებას მამუკა იქვე საგანგებოდ აღნიშნავს კიდევაც: „[რუსთველს] საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი შეფესა უბრძანებია, ის გამოაცხადებს. მაგრამ ზოგიერთს შელექსეს იმისი წიგნი ცუდ სააზიყოთ გაუსინჯავს“-ო.

მამუკა არ კმაყოფილდება უბრალო სწავლა-შეგონებით, ის გააფთრებულ ბრძოლას უცხადებს „თათრული ზღაპრების“, ე. ი. ეპიკურ-რომანტიკული ძეგლების მთარგმნელ-ავტორებს. როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, მამუკას რისხვა უმთავრესად მიმართულია თეიმურაზ პირველის ლიტერატურული კურსის წინააღმდეგ. სწორედ თეიმურაზს უწერია დაუფარავად: „გული მიუძღვენ კეკელუთა“ და „სპარსთა ენისა სიტკბომან მსსურვა მუსიკობანი“ო. მამუკა ბარათაშვილი გაბოროტებით იუწყება: „რომელსამე საღეთო წერილი სამეძაოდ გაულექსაეს. სხვას მრავალთ დედაკაცთ ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსაეს მსმენთ საზიანოდ და შთქმელთ საურიგოდ“ო. საყურადღებოა, რომ ვახტანგის ავტორიტეტს ამოფარებული მამუკა ივიწყებს ვახტანგისვე მონაწილეობას სწორედ „თათრული ზღაპრების“ ქართულ ენაზე გავრცელების საქმეში (მხედველობაში მაქვს ვახტანგის ხელმძღვანელი როლი „ბარამ-გულანდაპიანისა“, „ბარამ-გულიჯანიანისა“ და სხვ. დამუშავებაში). ამრიგად, მამუკამ დააკანონა ქართულ მწერლობაში რელიგიურ-მისტიკური მიმართულება. ამ მიმართულების დიდად თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა მამუკას თანამედროვე დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი.

მამუკა ბარათაშვილი არ ივიწყებს არც საერო თავად-აზნაურული საზოგადოებრიობის სალიტერატურო ინტერესებს, ის ისწავლება: „ან კაი იჯაეები მოიყვანე და იმაზე თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე; ან ომებსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისთვის რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს და იარაღის ხპარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვყნის მტერზე გამოსაყენებელია“-ო.

ერთი სიტყვით, „ქაშნაკის“ თეორიული ნაწილი ლიტერატურის კლასობრივი განსაზღვრულობის საუკეთესო დოკუმენტია. ავტორი დიდ პრაქტიკულ-აღმზრდელობითს დანიშნულებას უსახავს მწერლობას, სთვლის მას სოციალურ-კლასობრივი ზემოქმედების ხელსაყრელ იარაღად და აქედან გამომდინარე სრულიად ნათელსა და მკვეთრ ხაზებში აყალიბებს გაბატონებული საზოგადოებრიობის საბრძოლო სალიტერატურო პრინციპებს.

„ქაშნიკის“ მეორე ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ზომის ქართული ლექსების ნიმუშები. ეს ნიმუშები გამოკრებილია ძველი და ახალი ავტორების თხზულებებიდან (უმთავრესად რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის და ვახტანგის თხზულებებიდან). შიგადაშიგ მამუკას თავისი საკუთარი ნიმუშებიც ჩაურთავს. პოეტური მასალის შერჩევის თაობაზე ავტორი ამბობს: „მე რადგან ესენი შეეკრიბე, თვით ამათი ხმისთანა ლექსის თქმაც შემეძლო, მაგრამ ესენი უმჯობე იყვნენ ჩემისა და ამისთვის ესენი დავსწერე, და ჩემი ნათქვამიც ამათ ვაახელ. ნუთუ მეც მელექსეთა თანა არვინ გამძძოთ“^ო. ლიტერატურის ისტორიისათვის, რასაკვირველია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მამუკას საკუთარი ნიმუშები. მამუკა ბარათაშვილი აგრძელებს და ავითარებს ვერსიფიკაციის დარგში ნოვატორობის იმ გზას, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი დაადგა „ქილილა და დამანას“ რედაქტირებისას. სწორედ „ქილილა და დამანადან“ უსესხებია მამუკას ძველი ნიმუშების უმრავლესობა. მამუკა კიდევაც ამბობს: „სულხან-საბა ორბელიანმა «ქილილა [და] დამანა» გალექსა; თუცა რუსთავის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი, იმაში ბევრი ხმა მოუყვანია“^ო. „ქაშნიკის“ ავტორისათვის მიუღებელია რუსთაველური შაირისა და ჩახრუხაული მეტრის შეუვალე ბატონობა (მით უმეტეს ლირიკული ჟანრის ლექსებისათვის). მამუკას ვერსიფიკაციული ნოვატორობის დიდ ღირსებად ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ მას ახალი მეტრებისა და სასიმღერო-სალექსო მოტივების არჩევისას ფართოდ უსარგებლია ფოლკლორული მასალებით. ამ შემთხვევაში პოეტის წყაროს შეადგენდა როგორც მშობლიური ქართული, ისე სლავური (რუსულ-უკრაინულ-პოლონური) ფოლკლორი. მეტრებთან და მოტივებთან ერთად მამუკას უსარგებლია ხალხური ლექსიკითაც. ამით ხალისდებოდა და მდიდრდებოდა ქართული სალიტერატურო ენა. ამ მხრითაც მამუკას გზას გაჰყვა დავით გურამიშვილი.

მამუკა ბარათაშვილი ითვლებოდა ვახტანგ მეექვსის კარის პოეტად, ამიტომაც სახოტბო მოტივები უცხო არაა მის პოეზიაში. მამუკა ცდილა ერთგვარად გაეცოცხლებია ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიციები. ამის მაგალითია „ქება მეფის ბაქარისა“ (ვახტანგის ძისა):

მეფეს ბაქარსა, სიტკბოთ შაქარსა,
აქებს მამუკა ბარათაშვილი.

„ქება მეფის ბაქარისა“ ჩაბრუნებული მეტრით შეთხზული ვრცელი ოდაა. მამუკა ძლიერად ჰბაძავს შავთელის ხოტბას (ე. წ. აბდულ-მესიანს). იმეორებს შავთელის ცალკეულ გამოთქმებს, შედარებებს, მეტათორა-ჰიპერბოლებს, ზვიად ეპითეტებს და სხვ. თხზულების საერთო აღნაგობის მხრითაც შავთელია ბარათაშვილის შთამგონებელი. ოლონდ შინაარსის მხრით გაკვირვებას იწვევს ქების ერთერთი უკანასკნელი სტროფი:

შეკრბენ ქართველნი, თვალ ცრემლით სველნი,
განკვირვებულან შენსა წოლასა;
გიზნობენ საწყლად, თავთ ზედან დაკლვად,
არა ჩვეულნი შეხედნენ ძრწოლასა.
დაირღვა თემი, სამკვიდრო ჩემი,
ვერაჲინ იძლებს ყმათა ყოლასა,
ვისკენ მივმართოთ, რა დავიმართოთ,
ვერ განგვიმარტავს დასაქოლავსა!

მამუკა პატრიოტულ ურვას შეუპყრობა („დაირღვა თემი, სამკვიდრო ჩემი...“), ერთგვარი საყვედურით მიჰმართავს ქების ობიექტს პასიუობისათვის („ქართველნი... განკვირვებულან შენსა წოლასა“) და მოუწოდებს მოქმედებისაკენ. როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსემ ანდერძად დაუგდო ქართველობას ბაქარის გარშემო შეკრებილიყო და ეზრუნა საქართველოში დაბრუნებ.ზე (ბაქარი იმთავითვე თანაუგრძნობდა ანტირუსული ორიენტაციის წარმომადგენლებს). როგორც ჩანს, ბაქარს საკირო უნარი არ აღმოჩენია, ყოველ შემთხვევაში, ბაქარიც საბოლოოდ რუსეთში დაოჩა და ბრძოლას განუდგა. მაგრამ მაინცაღამაინც არც ბარათაშვილები იყვნენ უცოდველნი. აკი დავით გურამიშვილი აშკარად ამბობს:

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო,
წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო,
სწორედ იმ გზაზედ წავიდენ, საითაც იყო სნებაო.

ემიგრანტული სპეციფიკური პირობებით განსაზღვრული პატრიოტული მელანქოლიკა მამუკა ბარათაშვილის პოეზიის დამახასიათებელი მხარეა¹, მამუკას ლირიკას ძლიერად აფეროვანებს უთვისტომობისა და მიუსაფრობის მტანჯველი გრძნობა:

¹ მამუკას შეუთხზავს აგრეთვე ვახტანგ მეექვსის ქებაც (იპპიკოვ). ამ ქების შესავალი სტროფი ასე იკითხება:

ვით განვივარდლო, უცადმან რა იცის ჩემთვის კირებად?
 ნუმცა ვის მოგხვდეს ჩემებრივ გული მკენეს-აღმომტირებად,
 მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი,
 მტნითგან იცნათ ძლიერი ჩემი სახმილთა ღებანი.

დამახასიათებელია მამუკას შემდეგი საწყალობელი ჩივილიც:

შეგეწყალოდესთ ყოველთა მწირი მწირობდეს რებულად.

თავისი სასულიერო პოემის („წამებულის“) წინასიტყვაობაში მამუკა ბარათაშვილიც ჩვეულებისამებრ ნაღვლის მაქაჩვებელ გარემოებად აღიარებს ლიტერატურულ საქმიანობას: „ცუდ ყოფით, ფიქრით შეკრულმან და უსაქმობით მარცმან, მაშ, რა ჰქნას მწირმან მწირის ადგილს... არც იკათხოს და არც სწეროს“ო.

მამუკას პოეზიის ნიშანდობლივი მხარეა სოფლის სამღურავეი. „ბევრი ჰყავს ჩემებრ მღურავეი“ო—ამბობს პოეტი-წუთისოფელზე და ქვევით განაგრძობს—«წყეულ ხარ» ბევრი სჩივისა, მაქებრად არვინ გივისა“ო. თუმცა გმობა და პროტესტანტობა მამუკასთვის მაინც უცხობა:

ჰმუნვა მომცეს თუ რაზომი, უნდა ვიყოთ მუდამ მთმობი-ო.

სხვაგან პოეტი იმედიანი განწყობილებით ურთავს:

მამუკასათვის სიბნელე არ არის განუთენია!

ძლიერად იგრძნობა მამუკა ბარათაშვილის ლექსებით სატრაფიალო განწყობილებაც. გადაჭრით ძნელია იმის თქმა, რამდენად ანხორციელებს პოეტი თავის თეორიულ შეხედულებას ალგორითული მიჯნურობის თაობაზე. ყოველ შემთხვევაში, რაიმე თვალსაჩინო სანაშნო მომენტს (მაგალითად ვახტანგისა და დავით გურამიშვილის მსგავსად) ის არ იძლევა. თუმცა იშვიათად ზოგიერთი ამ მხრით საინტერესო სპეციფიკური შედარებანი კი მოეპოვება, მაგალითად:

ჩემი ხელმწიფე ჩემ საქებ არი,
 არის ის ჩემთვის ვალ-ნადებარი;
 ვითარ ბნელთათვის ლამპარ-მნთებარი,
 მიწყევ მნათებად არ-დამესებარი,

მე მონა მისი მაქები მნახეთ.

მზე ხარ და დამწვია... ნათელმან მე შენმან ამაქშინაო.

ამასთან ერთად მამუკა ამკობს ქალის „წერწეტ ტანს“, „მიჯრილ კბილთ“, „თვალ-წარბ-ღაწვ-ბაგეს“ და სხვა მისთანებს. დიდისგარძნობით და მოხდენილობით ამბობს ერთგან პოეტი:

ჩემის გულისა კუბოსა შავს ხალსა ვეტრფიალები-ო.

თავისებურია და საინტერესო მამუკას სატრფიალო ლექსები მხატვრული გამოსახვის ახალი ფორმით:

შენი ნახვა გულსა ჩემსა ახარებს და ლხინსა სტუმს,
თვალთა მისცემს სინათლესა მზისა სხივთა უნათლესს.
ტრფიალო ლამაზო, მეტრფიალა ბაია შენი!

ერთ თავის ლექსში („რუსული ხვები“) მამუკა ბარათაშვილი სპეციალურად ამკობს საზოგადოდ ქართველი ქალის გარეგნულ სილამაზესა და შინაგან, ზნეობრივ სიფაქიზეს.

აღნიშნულის გარდა მამუკა ბარათაშვილს ეკუთვნის ერთგვარი სასულიერო პოემა «წამებულა», რომელსაც პროფ. კ. კეკელიძე უწოდებს „მართლმადიდებელი ეკლესიის სვინაქსარს, ან კლენდარის გალექსიას“¹. მამუკას ლექსად შეუწყვია „ჯიმშედიანის“ სახელწოდებით „რუსუდანიანის“ მეორე კარი.

მამუკა ბარათაშვილის ლექსების ერთი ნაწილი ჩვენ გამოაქვეყნეთ „ანთოლოგიის“ მეორე წიგნში (თბ., 1928, გვ. 187—193). „ქაშნიკი“ ორჯერ გამოიცა, ორივეჯერ არადაამკმაყოფილებლად; პირველად ის დაბეჭდა აღ. ხახანაშვილმა („მოაბზე“, 1920 წ., XII, გვ. 50—65), ხოლო მეორედ გ. ლეონიძემ (ქაშნიკი მამუკა ბარათაშვილისა, თბ., 1920). ჩვენ პირადად ეხელმძღვანელობდით „ქაშნიკის“ ავტოგრაფული ტექსტით, რომელიც საქართველოს მუზეუმშია დაცული (S ფონდის ხელნაწერი № 1550). საქართველოს მუზეუმშია აგრეთვე გიორგი ავალიშვილის მიერ გადაწერილი „ქაშნიკის“ პირი (S ფონდის ხელნაწერი კრებული № 303). „ქაშნიკის“ ერთი საუცხოო (ვახტანგის ხელში ნამყოფი) ხელნაწერი მოიპოვება ლენინგრადშიც (სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, იოვანე ბატონიშვილის კოლექცია, № 36).

¹ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 448.

დიმიტრი სააკაძე

ემიგრანტული პოეზიის უაღრესად კოლორიტული წარმომადგენელია დიმიტრი სააკაძე. ის უნდა დაბადებულყო XVIII საუკუნის დასაწყისში უცხოვრია ღრმა მოხუცებამდე, ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგისა და ბაქარის წრესთან, კერძოდ ძლიერ ყოფილა დაახლოვებული ვახტანგის-ძე გიორგისთან, შეკვდევში დაკავშირებია აგრეთვე რუსეთში გარდახვეწილ პოეტ დიმიტრი ბაგრატიონს. დიმიტრი სააკაძე, ჩანს, თავის დროზე ყოფილა ენამახვილი, ოხუნჯი, მხიარული კაცი. მემამულეობას ის არ გამოჰკიდნია, შეჰკედლებია ბატონიშვილებს და დასახლებულა პრესნაში (მოსკოვს). უნდა გარდაცვლილიყო დიმიტრი სააკაძე დაახლოვებით XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში (ჩვენამდე მოღწეულია დიმიტრის მიერ სამოცდაათიან წლებში გადანუსხული ხელნაწერი).

დიმიტრი სააკაძის ლექსები შემოუნახავს ერთადერთ ანთოლოგიას (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის S კოლექციის № 303). ეს ლექსები ეკუთვნის უმთავრესად პოეტის მოხუცებულობის ხანას. ავტორი ძალიან ხშირად ჩივის თავის „ხანდაზბულობას“ და უძღურებს: „სიბერით დასუსტებული ცრემლსა ვლერი ღაპაღუპებსა“ო, ანდა „სიბერით მოუუსუსურდი“ო. სხვაგან ოხუნჯურად შენიშნავს: „ქალებს მოვძლდი, უწინ კი ვსურდი“ო. მაგრამ ეს მცირე სასჯელად ჩაითვლებოდა, რომ თავის დროზე განებივრებულ მემამულეს მოხუცებისას ცხოვრების რაიმე მინიმალური სალსარი მაინც ჰქონოდა. დიმიტრი სააკაძის ლექსებიდან სულ მუდამ ისმის წუხილი სიმშობისა, სიტყვებისა, სიცივისა, უბინადრობისა და უპატრონობის გამრ. შესანიშნავია ამ მხრით ირონიული სიტყვებით შეფერვანებული შემდეგი ჩივილი:

ველარ გახლავარ პატრონო¹, ველარ ვსჰამ თქვენთან სუპებსა,
ალარვინ მიწდევს ტკბილს ღვინოს, არც მიდგმენ სირჩა-რუნკებსა,

¹ სწერს დიმიტრი სააკაძე დიმიტრი ბაგრატიონს.

კაპუსტასა ვჰკრებ, შეშას ესკრი, ვიზახი „უბი-უპებსა“,
სიბერიით დასუსტებული ცრემლსა ვღვრი ღაპა-ღუპებსა.

აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაყარა ბუქია,
გაპირებებაში სიმხნე ხამს—რუსთველსაც ასე უქია,—
ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო უმა-ჩაუქია,
არ ჩემებრ მოხუცებულსა წარსვლოდეს სიყმის შუქია.

ფერხთაც არ შემრჩა, რალა ვქმნა, თქვენი წყალობა ნალები!
დავხედავ, შოვნა არ ძალშიძს, ცრემლით მევესება თვალები,
ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედობა ალები,
ნახეთ სოფელმან რა მიყო, პრესნას ნწუნობენ ქალები!

მისთვის ჩვეული სუბუქი იუმორისტული კილოთი დიმიტრი
სააკადე სხვაგანაც მკაფიოდ გვამცნობს ემიგრანტული ყოფის მთელ
სიღუბსკირეს:

მამუკა გურამიშვილი¹ მაგრა სდგას, ვითა ლოდია,
მეც გვერდთ ვახლაეარ მებრძოლად, ჯერ არვინ
დაგვეიკოდია;
დავლონებულვართ ორნივე, გულს დაგვეცემია, ოჰ, დია,
არცა გვაქვს საკმელ-სასმელი და არცა ოქროს ზოდია.

ყოველი მხრით შექირვებული პოეტი სწყველის და კრულავს
როგორც წუთისოფელს, ისე საკუთარი გაჩენის „საათს“:

წყეულმც არის ის საათი, რასაც ეტლზედ დავებადე,
სიყმაწვილით სიბერემდე სიკვდილისა ვიყავ მწადე;
მუხანათმა ავ სოფელმა მე მომიღვა ესე ბადე,
კლდეს არ ძალუძს ის დათენა, რაც რომ ქირი გარდვიხადე.

დიმიტრი სააკადის ცხოვრების სიღუბსკირე განუსაზღვრავს მის
გამოძიებებს „სამყოფსა“ და „სამკვიდროსგან“ (ე. ი. სამშობლოდან).
პატრიოტული ურვის გულწრფელ სიმწვავეს მხატვრული უბრალოე-
ბით ამხელს პოეტი ყველგან. „ნაღველში ამონაწები კალმით“ გვი-
ხატავს ყარიბული ყოფის უსასოობას:

¹ ესეც ემიგრანტი პოეტი იყო, დიმიტრი სააკადის ახლო მეზობარი.

სიყრმით ჩემით ბედით კრული სამყოფთაგან გამომადქს...
 მე ესე მიყო სოფელმან, გამხადა უნაწილოსა,
 სამკვიდროსაგან აღმომთხვრა, მომაგდო აქა ჩრდილოსა;
 ვერსითა ვპოვებ წამალსა, რომ სულსა მოუგრილოსა,
 ლოთსავითა ესვამ სამთვრალოს, ეგების მომალხინოსა.

ფიზიკურად უკვე დავრდომილი და სულიერად დაცემული პოეტი ალტაცებული გრძნობით იგონებს თავის მშობლიურ ბობნავს (სოფელია ატენს ზემოდან), იქ გატარებული ჭაბუკური სიხალისის დღეებს და ამაყად გამომწვევი ტონით (მაგრამ რაოდენი სევდა-ნაღველია ამ ტონში ზერეული!) აცხადებს კიდევ:

მაშინ იცნობთ, ბობნავშია როცა ნახავთ სააკაძეს-ო.

მაგრამ, ვაგლახ, ამ სანეტარო იმედის ფრთები წარკვეთილი აქვს ემიგრანტ პოეტს:

მე მექადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნავშიო.

მამუკა ბარათაშვილის მსგავსად დიმიტრი სააკაძეც აღნიშნავს ქართული ემიგრაციის მესვეურთა უმოქმედობას (კონკრეტულად, ვგონებ, ნაგულისხმევია გიორგი ბატონიშვილი), სასაყვედრო სიტყვებს არ ზოგავს და აღმოსავლური (სპარსულ-ოსმალური?) ორიენტაციის ნიადაგზე დგომასაც ურჩევს გარდავლით:

მე შენგან გაკვირვებულვარ, ზურგი აქცივე ბრძოლასა,
 მექადი ქვეყნის აშლასა, სომხურად ქვისა სროლასა;
 სჯობდა სახელის მოხვეჭა ნიადაგ გვერდზედ წოლასა,
 გეძია ისევ სალიმი, არ გაქცეოდი მოლასა.

ემიგრაციის თავზე დატეხილი ყოველგვარი უბედურების მიზეზად დიმიტრი სააკაძე თვლის მეფის რუსეთს. 'ერთგან მას მოთხრობილი აქვს რომელიღაც მამუკასთან (ბარათაშვილთან, თუ გურაპიშვილთან) ერთად შემთხვეული განსაცდლის ამბავი და ამასთან დაკავშირებით თავს ესხმის რუსეთს:

ციცისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რამ გაეიხარეთა,
 წამობრძანდა და ვიახელ, მოვედიტ პრესნას არეთა;

წარიქცა... მე თავს დავადეგ, ცრემლს მოვადენდი მწარეთა.
დავსწყევლეთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარეთა.

მაინცადამაინც დიმიტრი სააკაძე საბოლოოდ მომნანიებელი ხდება. როგორც თავისი საკუთარი, ისე მისი თანამოძმეების ხევდრი პოეტს მიაჩნია ღვთის ბუნებრივი რისხვის გამოვლინებად „ცოდვისა ნაცვლად“, მაგრამო (იმეორებს გურამიშვილის კონცეფციას) არც ამით მოვიქეცითო:

ჩვენ მოგვივლინა უფალმან პირველ მოსესგან თქმულები,
სამკვიდროსაგან განგვასხნა, სხვაგან გვქნა დაკარგულები;
რუსეთს მოვედით, ყინვითა გულსა გვაჩნია წყლულები,
აქაც შევსცდით და დავკარგეთ გული, ცნობა და სულები.

საერთოდ, როგორც უნიადგო ემიგრანტული საზოგადოებრიობის წარმომადგენელს, დიმიტრი სააკაძეს ახასიათებს სულიერი დაცემულობის ყოველგვარი ნიშანი—მწვავე უიმედობა (და ამ ნიადაგზე სევდა-ნაღველი), წუწუნი, ჩივილი, მოთქმა, ღვთიური სასჯელის მისტიფიკაცია და სხე. მისთანანი. თავისი განწყობილებანი დიმიტრი სააკაძეს გამოხატული აქვს უბრალო და გულწრფელაღირიკული აღსარების სახით. ეს დიდს დამაჯერებლობითს ძალას ანიჭებს სააკაძის პოეზიას და მას მხატვრულ ღირსებას ჰმატებს. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ სპეციფიკური ემიგრანტული განწყობილება გურამიშვილის შემდეგ ყველაზე უფრო რელიეფურად და მკვეთრად დიმიტრი სააკაძემ აღბეჭდა თავის მოკლე უპრეტენზიო ლექსებში (სხვათა შორის, სააკაძის ყველა ლექსი დაწერილია ბარათების სახით). დასასრულ აღსანიშნავია, რომ როგორც მამუკა ბარათაშვილის, ისე დიმიტრი სააკაძის პოეზიაში მნიშვნელოვნად არის შეჭრილი რუსული ლექსიკა.

დიმიტრი სააკაძის ლექსების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ შედგენილი „ანთოლოგიის“ მეორე წიგნში (თბ., 1928, 221—224).

თეიმურაზ მეორე

დაბადებულა თეიმურაზი, ირაკლი, პირველის ძე, 1700 წელს. როგორც თვითონვე იუწყება: „ორმოცდამათხი წლისასა მერწმუნა შეფობანია“ო და „ღმერთმა მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰსა მიზეზობით“ო. ხოლო ისტორიულად ცნობილია, რომ ნადირ-შაჰის (1736—1747) წყალობით თეიმურაზმა 1744 წელს დაიმკვიდრა ქართლის ტახტი¹. პირველ ხანებში თეიმურაზი მოღვაწეობდა კახეთში და 1731—1743 წლების განმავლობაში ნომინალურად მაინც ითვლებოდა ამ ქვეყნის გამგედ (მეფედ). სწორედ ამის გამო აქვს პოეტს ნათქვამი: „ჯერ კახეთის მეფედ გამხდის, მერმე ქართლში მემკვიდრობით“ო. თეიმურაზის პოლიტიკური კარიერა დამოკიდებული იყო ირანის ძლევამოსილი შაჰის ნადირის გუნებაზე. ეს გარემოება ძლიერ ართულებდა კახტ-ბატონის მდგომარეობას. 1737 წელს თეიმურაზი გაწვეულ იქნა ისპაანში, მაგრამ იქ მოსალოდნელ სასჯელს აცდა. 1738 წელს კახტ-ბატონი შაჰ-ნადირმა თან წაიტანა ყანდაარში, იქედან დააბარებინა მას თავისი შვილები ირაკლი და ქეთევანი, ხოლო თვითონ უვნებლად გამოისტუმრა საქართველოში.

თეიმურაზმა და ირაკლიმ შაჰ-ნადირის გული მოიგეს და სამაგიეროდ 1744 წელს მიიღეს ქართლ-კახეთის ტახტი (თეიმურაზს ებოძა ქართლი, ხოლო ირაკლის — კახეთი). ამრიგად, ხანგრძლივი გათიშულობის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა და ორივე პროვინციაში, ქართლში და კახეთში, ადგილობრივი მკვიდრი (და ისიც რჯულით ქრისტიანი) გამეფდა. მაჰმადიანი ხანების ბატონობასთან შედარებით ეს დიდ „წყალობად“ უნდა ჩათვლილიყო. ვახტანგ VI-ის დროიდან ქართლი და კახეთი საშინლად იყო აკლებულ-აოხრებული, თეიმურაზმა და ირაკლიმ შეერთებული ძალებით სცადეს ქვეყნის მომტკიცება და მოშენება, მათი მთელი გულისყური მიმართული იყო შინაგანი წესრიგის დამყარებისაკენ. თეიმურაზი და ირაკლი (განსაკუთრებით უკანასკნელი)

¹ ქართლის ცხოვრება, II, 94, 145.

დიდად მზრუნველობდნენ ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეს. ალსანიშნავია, რომ თუმცა ორნივე გარეგნულად სპარსული ორიენტაციის პოზიციებზე იდგნენ, ფაქტობრივად სულ სხვა თვალსაზრისს იზიარებდნენ და შესაფერ მომენტს უცდიდნენ. კერძოდ, თეიმურაზმა ძველი გზა აირჩია და დახმარებისათვის რუსეთს მიჰმართა. 1760 წელს ის პირადად გაემგზავრა რუსეთის სატახტო ქალაქში, დაპყო იქ მცირე ხანი და უკან გამობრუნება აღარ დასცალდა, გარდაიცვალა 1762 წელს.

თეიმურაზ მეორესაც შეუტანია თავისი წვლილი ქართული მწერლობის ისტორიაში. ამისი მთავარი თხზულებაა „სარკე თქმულთა“, ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“. თხზულება შედგება ორი ნაწილისაგან—სასულიეროსა და საეროსაგან. პირველი (სასულიერო) ნაწილი გამოცემულია მთლიანად¹, მეორე ნაწილი კი დაიბეჭდა მხოლოდ ექსცერპტულად². „სარკე თქმულთას“ წინასიტყვაობაში ავტორი, სხვათა შორის, იმასაც გვიამბობს, თუ რა პირობებში უბედობდა მას პოემანზე მუშაობა:

ვწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი იქით და აქეთ,

სად არი-ო:

ზოგ ხელნაწერში „გაბაასებას“ ზედ მიერთვის ეპილოგად მოზრდილი ტექსტი (14 სტროფი), რომელიც ფაქტობრივ დამოუკიდებელ ლირიკულ ნაწყვეტს წარმოადგენს და ავტორის თავგადასავლის თხრობას შეიცავს³. შეთხზულია ეს ნაწყვეტი ყანდაარში (ავღანისტანში) 1738 წელს:

ვიყავ ყანდაარს მკმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ესთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით;
იქ დაეასრულე. ვინც ნახოთ, ნუვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი უნი, კანი და ვინობით⁴.

¹ სარკე თქმულთა, გამოცემული გრივოლ ქორკაშვილისაგან, ქუთაისი, 1870 წ.

² ანთოლოგია, II, 161—172. ჩვენი წიგნის ბეკდვის დროს გამოქვეყნდა თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით (თბ., 1939).

³ გ. ჯაკობიას სრულიად საპართლიანად ეს ნაწყვეტი ცალკე გამოუყვავო და უწოდებია მისთვის „თავგადასავალი“.

⁴ ე. ი. 1738 წელს.

„სარკე თქმულთა“ კი, როგორც ვრცელი სათაურიდან ჩანს, 1737 წელს ყოფილა დაწერილი: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლის ძის მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამისისა“ო. თეიმურაზი „ცხებული“ იქნა 1746 წელს. მაშასადამე, ამით გარკვეულია „გაბაასების“. თარიღიც (1746—9=1737):

„დღისა და ღამის გაბაასების“ („სარკე თქმულთას“) საერთო ხასიათის შესახებ სწორი მოსაზრება გამოთქვა ჯერ კიდევ გრ. ქორქაშვილმა (თხზულების პირველი ნაწილის გამომცემელმა). უკანასკნელმა სამართლიანად აღნიშნა, რომ გაბაასება „არის ზნეობის მხატველი“, რომ თეიმურაზმა „გამოხატა ქართველთა ზნენი და ჩვეულებანი საღმრთო, საერო ყოველი“. მართლაც „სარკე თქმულთა“-ში საკმაო სისრულით აღწერილია ქართველი თავადაზნაურული საზოგადოებრიობის ზნეობრივ-ყოფაცხოვრებითი ვითარება. ამ მხრით საყურადღებოა თხზულების მეორე, საერო ნაწილი. პირველ ნაწილში კი დღე და ღამე რიგრიგობით, პაექრობის წესით, აღნიშნავენ ყველა იმ მნიშვნელოვან ამბავს, რასაც ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით თითქოს ადგილი ჰქონდა დღე-ღამის განმავლობაში. თხზულების ეს ნაწილი იხურება შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებით (სიტყვა ეკუთვნის დღეს), „ბაასის“ დასასრულს მოპაექრე აცხადებს:

მე დავასრულე საღმთო და სიტყვა ვთქვი მკისაწონიო,
მართალი, სულ ქეშმარიტი, კარგად რამ გასაგონიო;
მთლიე მითქვამს სიტყვა სწორად და, არ დამრჩა მოსაგონიო,
საღმრთო ვათავედა, აწ, ღამე, მოგიტხრა საერონიო.

„საეროში“ დღე ბევრს ლაპარაკობს მეჯლიშისა, ყაბახის სროლისა, ბურთობისა, ასპარეზობისა, აშფაშაგისა, მშვილდოსნობისა, ნადირობისა (ფრინველებზე, თუ მხეცებზე), ყუმრის თამაშობისა (ნარდი, განჯაფი, ჰადრაკი) და სხვა მისთანათა შესახებ. სამაგიეროდ ღამე იგონებს ქორწინებას მთელი თავისი რთული და სალხენი რიტუალით. აქ ავტორი დაწვრილებითს ეთნოგრაფიულ-ყოფაცხოვრებითს სურათებს იძლევა. პოეტს ისიც კი არ გამოჩენია, რომ ჯვარისწერისთვის ხუცესს „ცოტა თუ მისცენ, უწუნებს“ო. აღწერილია რიტუალის ისეთი დეტალებიც კი, როგორცაა „აქა დედოფლის ტანს გახდა“, „აქა ქალთან დაწოლა“ და სხვ.), ოღონდ ყოველივე ამას ავტორი ახვევს რელიგიურ-მისტიკურ საბურველში:

ვთქვი გამოჩენით ამისთვის ცოლ-ქმრისა დაწოლისა და, ქორწილი წმინდა არისა, სწერია საღმთოს წიგნსადა, საწოლი შეუგინებელ არის შენდობით ღვთისადა...

„სარკე-თქმულთას“ ნიშანდობლივი საყოფაცხოვრებო სინამდვილე გულისხმობს უპირატესად კახეთის ეთნიურ კუთხეს. ერთი კერძო შემთხვევის გამო თეიმურაზი კიდევაც შენიშნავს:

არვინ იცის სხვას ქვეყანას, თუ არ კახეთს, კნავილობა, კახეთშიგან შემოსულა ეს აპგვარი ნადირობა-ო.

ლაშე იქადის, ჩემი დრო ტრფიალებისათვის არის განკუთვნილი და დღეს უამბობს სხვადასხვა რომანიულ ისტორიებს. ამ ციკლში გადმოცემულია შინაარსი მრავალი ცნობილ რომანისა და პოემისა („ვეფხისტყაოსნისა“, „ვისრამიანისა“, „იოსებ-ზილიხანისა“, „ლეილმეჯნუნიანისა“, „ვარდ-ბულბულიანისა“, „შამ-ფარვანიანისა“). ღამის სიტყვით „საქართველოში კარგ-რიგი ლხინი და ქირი არსა“ და ლხინის გვერდით გადმოგვცემს ქირის ამბავსაც (კაცის სიკვდილი, გლოვა).

გაბაასების მეორე ნაწილშიც უკანასკნელი სიტყვა დღეს ეძლევა. დღე აღწერს მეორედ მოსვლას, რასაც ღამით ექნება ადგილიო, მაგრამო—ურთავს:—„ასე ვთქვათ, ღამით მოვიდეს, გინა ბნელობის ეამითა, ბნელი განქარდეს ღვთის მოსვლით“ო. ამ შენიშვნით გამარჯვების სასწორი გარკვევით დღისაკენ იხრება, თვითონ ღვთიური განსჯაც კი სინათლითა დე სინათლეში უნდა მოხდესო. სინათლის მომენტის მოგონება ფრთებს ასხამს დღეს და კადნიერად მიახლის ღამეს:

მე ნათელი ვარ, შენ ბნელი, ეს ჩემად ქებად კმარია-ო.

ავტორი „გაბაასებათა“ ტრადიციისამებრ თითქოს განზე დგას, მაგრამ დღისადმი თავის სიმპატიას მაინც ვერ მალავს და აღნიშნული ტაეპით ამას ცხადლივ ამჟღავნებს. საკუთრივ „გაბაასება“ იხურება შემდეგი სტროფით:

აწ დაეასრულოთ დღისა და ღამისა ბაასობანი,
ეს კმარა საჩხუბაეთა, ისევ მათ უჯობს წყობანი;
შეც მომეწყინა ლაყაფი, ბევრი—ამსიგრძე თხრობანი,
ჯავათავე და კიდევცა მეყო ამ ლექსთა მბობანი.

„გაბაასება დღისა და ღამისა“ უფრო საეთნოგრაფიო დოკუმენტია, ვიდრე მხატვრული სალიტერატურო ძეგლი (მხატვრული თვალსაზრისით შედარებით მდარე ღირსეზისაა თეიმურაზ მეორის სხვა თხზულებანიც). მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს ნაწარმოები იმდროინდელი გაბატონებული საზოგადოებრიობის გემოვნების ამსახველია და ამ მხრით ტიპურია და თავისებურიც. ლიტერატურის ისტორიკოსის ინტერესიც ამით უკვე დაკმაყოფილებულია.

თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის განთქმული „ხილთა ქება“, ანუ „ხილთა ბაასი“. აქ ავტორს ჩამოთვლილი აქვს და შემკობილი სხვადასხვა (სულ 37) ხილი. ხილთა ღირსებანი გადმოცემულია გაბაასების ფორმით. ფინალური (37—38) სტროფები წარმოადგენს „პურისა და ღვინის გაბრჭობას“. თეიმურაზის „ხილთა ქება“ პირწმინდა განმეორებაა XVII საუკუნის პოეტის, გარსევან ჩოლოყაშვილის ანალოგიური თხზულებისა. თეიმურაზის ზოგიერთი სტროფი მხოლოდ ცალკეული სიტყვებით თუ განსხვავდება ჩოლოყაშვილის სტროფებისაგან¹. „ხილთა ქება“ ძალზე პოპულარული იყო XVII—XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში. ჩოლოყაშვილის რედაქცია განუვრცია ცნობილ კალიგრაფსა და მწიგნობარს დავით რექტორს. „ხილთა ქებას“ თავისებური რედაქცია („ანბანზე თქმული“) ეკუთვნის ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს (ორბელიანი ჰბაძავს როგორც ჩოლოყაშვილს, ისე თეიმურაზს). მოიპოება აგრეთვე „ხილთა ქების“ ოდნავ განსხვავებული რედაქცია (წ. კ. № 1500, 4799) ან ონიში ავტორისა. „ხილთა ქების“ ასეთი პოპულარობა დიდად დამახასიათებელი გარემოებაა გარკვეული წრეების ლიტერატურული გემოვნების ცხადსაყოფელად: „ხილთა ქება“ წარმოადგენდა მოცლილი არისტოკრატიისათვის თავშესაქცევად და გააართობად საკითხავ ნაწარმოებს.

თეიმურაზ მეორე ავტორია სამი საყურადღებო ლირიკული ლექსისა—კიდურ წერილობისა, ანბანთქებისა და რუსთველთან გაბაასებისა². ეს ლექსები არსებითად ერთი მთლიანი ნაწარმოებია და მათ ერთი მთლიანი იდეია ამოძრავებს, ესაა სატრფიალო ჰიმნი ვინმე ბარბარე ალექსანდრეს ასულისადმი, რომელიც ავტორს პეტერბურგში გაუცვნია. უკვე ხანში შესული თეიმურაზი (60—61 წლისა) მოუხიბლავს და გაუყმაწვილებია ევროპიუ-

¹ ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“ (II, 64—66).

² სამივე დაბეჭდილია „ანთოლოგიაში“ (II, 1928) და თეიმურაზ მეორის თხზულებათა კრებულში (თბ., 1939).

ლად განსწავლილ, ზრდილ და კოპწიად მოკაზმულ სასახლის მშვენიერ ასულს, როგორც ჩანს, ფრეილინას. ეს ბარბარე ალექსანდრეს ასული რომელიღაც დიდი სამხედრო ნოხელის („სპასალარის“) ქალი ყოფილა, ეროვნებით რუსი („ქალი კეკლუცი რუსისა“). კარგი მკოდნე ევროპული ენებისა („წარმატებულად ენები მან იცის ფრანციტულები, წერილი იტალიანთა, ფრანგული, ნემენცურები“). თუმცა „ნატრული ესე ყვავილი“ რუსეთში აღმოჩენილა, მაგრამ „სწორი იმისი არ არის ევროპიაში ქალნი“ო. პოეტი აღტყინებულა ფრეილინას სიმშვენიერით. „ვკვირვარ შენს სილამაზესა, ტურფა ხარ, დიანაზია“ო—მიმპართავს უცხოელ ასულს და თავის ამ აღტაცებას „კაცთა ძეთ“ უზიარებს: „ძენო კაცთანო, არ გიკვირსთ იმისი მშვენიერობა?“ პოეტი დაუტყვევებია ბარბარეს თითქოს საარაკო მშვენიებას, ზნეობრივ სიფაქიზესა და განათლებულ გონიერებას. ის გატაცებული მიჯნური გამბდარა კიდევ, ანხელს თავის მღელვარე გულისთქმის პასუხს: „ფარვა არ ძალმიძს შენისა სიყვარულისა“ო და ევედრება: „ისევ მალირსე, მხედვიდეს კეთილად თქვენი თვალნია“ო. პოეტი გახელგებულია ქალის სანდომიანი „რხვიით“ და შეყვარებული ბალღივით მხოლოდ იმას-ღა ნატრობს „უკან რომ მ-გეწქოდე“ და „ძმურად-ყე მოგხვეოდე“ო (მიჯნურული ხვევის სურვილი ვერ გაუბედავს ხანდაზმულ მგოსანს). პოეტს აკმუნებებს მოახლოებული განშორების ურცა:

როსცა რომ მოგეშორები ტურფასა, სასახელოსა,
 ეგრეცა ვგონებ, გაყრამა მე თქვენა გამახელოსა.
 ლამაზთ თვალთ მოვეშორები, როს წავალ საქართველოსა.

პირველი სამიჯნურო ლექსი („კიდურწერილობა“), როგორც სათაურიდანაც ჩანს, აკროსტიხს წარმოადგენს; ეს აკროსტიხი შემდეგ ფრაზას იძლევა: „ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდათ ევროპიასა შინა დასავით საყვარელო ჩემო“. მეორე სამიჯნურო ლექსში („ანბანთქებაში“) თავისი გ-ძნობების გამომკლავნებასთან ერთად ავტორი ამხელს სატრფოს ვინაობას. მესამე ლექსში კი მოცემულია ავტორის გასაუბრება რუსთველთან. ეს უკანასკნელი ლექსი ორგვარადაა საინტერესო: ჯერ ერთი ესეც სამიჯნუროა და იმავე ბარბარე ალექსანდრეს ასულისადნია მიძღვნილი, მეორე—აქაა რუსთველთან გაპაექრების ახალი თავისებური ცდა. თეიმურაზ მეორეც რუსთაველს ბრალს დებს იმაში, რომ „ტყუილზედ დაშვრა“, „რაც სთქვა, არ იყო წესია“, ვიღაც გამოგონილი „სუღმალი“ მიჯნური (ნესტანი, ტარიელი...) შეაქოა:

არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა,
 არცა ტარიელ კაცს ერქვას, გიწოდებია ძალადა-ო.

„ვეფხისტყაოსნის“ ამბავი და მოქმედი პირნი „დაგისახავსა ტყუილად“ო. მართალია, თეიმურაზი დიდად აფასებს რუსთველის შემოქმედებითს გენიას, მაგრამ ეს გენია ამაოდ შეეწირა ტყუილ ამბავსო:

თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხრო რამ საკვირველია,
 თუმცა მართალზედ თქმულიყო, რა ტბილი საკითხველია!

თეიმურაზის აზრით, რუსთველს ის უნდა შეეპკო, „ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარება“ და რომელიც სრულქმნილი სიმშვენიერის რეალური განსახიერებაა (რა თქმა უნდა, პოეტი გულისხმობს ბარბარე ალექსანდრეს ასულს). „ექესასი წლის მკვდარი“ რუსთველი საფლავიდან ეხმაურება ახალ მოშულარს:

თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისაო.

რუსთველს როდი აკვირვებს თეიმურაზ მეორის საყვედურები, რადგანაც:

ჩემმან ლექსებმან ერთს ჟამსა პაპაცა¹ გაგიგულისა-ო.

რუსთველი ამაყად ასკვნის:

თუ მე მაგ დროსა მეცოცხლა, გავირჯებოდი მე დია,
 ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოვსთქვემდია;
 რა სიტყვით შევაძკობდი და... შენ კარში გაგავდებდია,
 რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია.

ამრიგად, თეიმურაზი პირდაპირ ჰბაძავს არჩილს („გაბაასედა თეიმურაზისა და რუსთველისა“), იმეორებს იმის თვალსაზრისს შემოქმედების რეალისტური და ზღაპრულ-ფანტასტიკური ნაირობის თაობაზე. სხვათა შორის, თეიმურაზი არჩილს ჰბაძავს „საქართველოს ზნეობათა“ ხაზითაც. „სარკე თქმულთას“ ზნეობათა სურათები ხშირ შემთხვევაში არჩილის „ზნეობათა“ დაკონკრეტებას, თუ გაშლა-განმარტებას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, თეიმურაზ

¹ ე. ი. თეიმურაზ პირველი.

შეორემ გადაიმღერა არჩილას პოეზიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოტივი.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსის შეფასებისას თეიმურაზი ვახტანგის მიმდევარია. „შენი ნათქვამი საღმრთოდ და საეროდ მოიხმარებისო“—ეუბნება თეიმურაზი რუსთველს. რუსთველიც აღიარებს: „ლექსად ვსთქვი... საღმრთოდ, საეროდ“.

საგულისხმოა, რომ თეიმურაზი რუსთველის პირით მედიდურად აბუჩად იგდებს და სტუქსავეს სახალხო მგოსნების პოეზიას (ჩანს, იმ დროს საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხალხური რაფსოდების ლექსები):

ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა დია მსურისა,
 თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა,
 არამც რომ დამკერელი იყოს სტვირისა,
 კიანურისა,
 ზედან ემღერდეს შაირებს ნათქვამს ბისტიკას
 ცრუისა.

თეიმურაზ მეორეს უწერია რამდენიმე თავშესაქცევი წვრილი ლექსი (ზმები განჯათზე, ნარღზე და კადრაკზე, სახუმარო ლექსი „მშველსა და თხაზე), ანბანთქებანი და „ქება სრისა“. დასასრულ აღსანიშნავია, რომ თეიმურაზს უფარგმნია „თიმსარიანის“ სახელწოდებით ცნობილი სპარსული იგავ-არაკთა კრებული „დიდი სინდბადი“¹. თეიმურაზის „თიმსარიანი“ „გაუმართავს“ (ე. ი. სტილისტიკურად შეუსწორებია) და 12 ახალი არაკით განუვრცია დავით რექტორს.

¹ „თიმსარიანის“ ტექსტი პირველად გამოსცა ე. თაყაიშვილმა (თბ., 1903). თაყაიშვილის გამოცემა ხელმეორედ დაიბეჭდა 1935 წელს. „თიმსარიანი“ შეტანილია თეიმურაზ მეორის თხზულებათა კრებულში (გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939).

ნარგიზოვანი

„ნარგიზოვანი“ თავისებური ლირიკული პოემაა, ანუ, უკეთ, ლირიკული ლექსების კრებულია. „ნარგიზოვანი“ იშვიათი ძველია ძველი ქართული მწერლობისა. აქ მხატვრულად არის შერწყმული ძლიერი სატრფიალო გრძნობებისა და მხურვალე პატრიოტიკის ხმები. პატრიოტული ლირიკის დარგში „ნარგიზოვანს“ უცილოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ფეოდალური ეპოქის ქართულ მწერლობაში. სატრფიალო მოტივების მხრით კი ეს მწერლობა თუმცა დიდად უხვია, მაგრამ „ნარგიზოვანში“ სიყვარულის სიმძაფრე გადმოცემულია რაღაც იშვიათი სინაზით, გრძნობიერებით და სიცხოველით. კრებულში დიდ სიმალღემდის აღწევს ნამღვილი, ხალასი ლირიზმი.

პოეტური ოსტატობით „ნარგიზოვანი“ სამაგალითოა. კრებულის თითქმის ყოველი თავი იძლევა ახალსა და თავისებურ რიტმს, მეტრს, კომპოზიციას. ტრადიციული შაირის (16 მარცვლოვანი ტაეპის) გვერდით აქ გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15 მარცვლოვანი ტაეპებიც. ქართული ლექსის „დეფორმაცია“ ნარგიზოვანში მნიშვნელოვანია და გაბედული, პოეტური სიტყვა მტკიცედაა მომარჯვებული, მიღწეულია საუცხოო ბგერული ჰარმონიულობა, კარგად არის გამოყენებული ბესიკის და საიათნოვას შემოღებული სტროფიკა მთელი თავისი მხატვრული აღნაგობით, მოულოდნელი რიტმული გადასვლებით, მუხამბაზური რეფრენით:

შენთვის სიკედილი მაჩნია პირსა,
ცრემლსა ვაპყრებ ზედ დანატირსა.
ვინლა შემიტკობს თავ-განაწირსა?
გეხევეი ყელსა, თვალ-შეენიერო!

ეს საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი, რომელიც სპეციალურ განხილვასა და შეფასებას საჭიროებს უკანასკნელ დრომ--

დე გამოქვეყნებულიც კი არ ყოფილა¹. „ნარგიზოვანის“ შესახებ გაზეთ „დროება“-ში (1878 წ., № 16) შემდეგი საინტერესო ცნობა დაიბეჭდა [საქართველო: დღიური]:

„ჩვენ ვიპოვნეთ ამ დღეებში ერთი პატარა ქართული ძველი ხელთნაწერი წიგნი, პოემა „ნარგიზოვანი“. ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ეს პოემა მეფე არჩილს დაუწერია. ამას იმიტომ ვაცხადებთ, რომ ჩვენს ძველს მწიგნობრობაში სრულებით დაკარგული იყო და დაეწეული ამ პოემის დამწერი. ახლა ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ჩინებული პოემის დამწერი არის მეფე არჩილი, რომელსაც ლექსად აუწერია მეფე თეიმურაზის ცხოვრება. ეს პოემა [თეიმურაზის ცხოვრება?—ა. ბ.] 1853 წელს მიცვალბულ პ. იოსელიანმა დაბეჭდა უსახელოდ [?] და გამოსცა თფილისში“.

იმავე „დროებას“ 1877 წლის № 57-ში მოთავსებულა „სია ძველი ქართული წიგნებისა“. ამ სიაში მოხსენებულა: „ნარგიზოვანი, პოემა, ოთხი კარი“. „ნარგიზოვანის“ ერთი ხელნაწერი ჰქონია ზ. ჭიჭინაძესაც. უკანასკნელი ჩამოთვლის რა არჩილის ნაწერებს, შენიშნავს:²

„არს პოემა ნარგიზოვანია. ეს პოემა ჯერეთ დაუბეჭდავია. ინახება ჩემს ხელში. ამ ნარგიზოვანს იოსელიანიც ჰასახელებს [sic] „ღუშეთის აღწერაში“. აი ნიმუშათ ერთი ადგილი ნარგიზოვანიდამ.. ნარგიზოვანი პატარა პოემა არის, ასე 30 ფურცელი, მეტი არ იქნება“.

ზ. ჭიჭინაძეს „ნიმუშათ“ დაბეჭდილი აქვს მე-8 კარის („ქართლი შენიერიას“) ოთხი უკანასკნელი სტროფი. ტექსტი ჩვეულებსამებრ უმსგავსოდაა გამოცემული. სხვათა შორის, ზ. ჭიჭინაძის დასახელებულ „ღუშეთის აღწერაში“ [Описание города Душета, Тиф., 1860] არაერთარი ცნობა არ იპოვება „ნარგიზოვანის“ შესახებ. სამაგიეროდ სხვაგან³ პ. იოსელიანი მარტლაც იმოწმებს „ნარგიზოვანს“ და არჩილზე მითითებით მის ავტორობას მიაწერს XVI საუკუნის მოღვაწე გარსევან ჩოლოყაშვილს.

როგორც ახლა ირკვევა, ზ. ჭიჭინაძეს ხელთ ჰქონია წ. კ. გამაერცვლებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერი № 1087,

¹ ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1936 წელს ალ. ბარამიძის რედაქციით (ნარგიზოვანი, თბ., 1936, სახელმწიფო მუხეუმის გამოცემა).

² ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში. ტფილისი, 1888, გვ. 22.

³ Под князей Чолокеаших (Гр. 1866, стр. 9—10, прим. 3, и стр. 18).

ანუ ჩვენი სიგნატურით E. ეს ხელნაწერი ექვ. თაყაიშვილის სიტყვით არის „безусловно второй половины XIX века“¹.

თავის მხრით E ხელნაწერი პირია იმავე საზოგადოების ფონდის № 118-ისა (ჩვენი სიგნატურით C-სი). ხელნაწერის ქალაქის ფილიგრანია 1820 წელი და, მაშასადამე, სიძველით ვერც ეს დაიკვების. ხელნაწერს აღბეჭდილი აქვს ზ. ჭიჭინაძის კუთვნილება, მისი (ხელნაწერის) საერთო სათაურია: „არჩილ მეფის ლექსები. მიჯნურთ ბადე“. საგულისხმოა, რომ „ლექსების“ შემდეგ ვილაცას ფრჩხილები ჩაუსვამს კითხვისა და განცვიფრების ნიშნებით (?!), ხოლო სხვას კიდევ ჩვენი თანამედროვე ხელით (ვგონებ მ. ჯანაშვილის ხელია) სრულიად გადაუხაზავს ეს სათაური და მიუწერია: „ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის თხზულება: მიჯნურთ ბადე“. ამავე ხელნაწერს დაუცავს აგრეთვე მინაწერი: „პოემა ნარგიზოვანი მეფე არჩილის დაწერილია“; ამჟამად გადახაზულია ფრაზის პირველი ნახევარი („პოემა ნარგიზოვანი“). ერთი სიტყვით, „ნარგიზოვანის“ არჩილისადმი მიკუთვნებას წყაროდ ჰქონია ამ გვიანდელი და საექვეო ხელნაწერის საექვეო მინაწერი. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკიდან საექვეო აზრი გადავიდა ალ. ხახანაშვილის ცნობილ შრომაში². საყურადღებოა, რომ ალ. ხახანაშვილიც, ალბათ, ზ. ჭიჭინაძის გავლენით, შეუმოწმებლად მიუთითებს პ. იოსელიანის „ღუშეთის აღწერილობაზე“.

ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის მოსაზრებათა კრიტიკა (და ამასთანავე „ნარგიზოვანის“ მართებული შეფასება) მოგვცა პროფ. კ. ქეკელიძემ³:

„ეს ნაწარმოები, რომელიც მეტად ჰარმონიული, ლამაზი და მგრძობიარე ლექსითაა დაწერილი, ნათქვამი უნდა იყოს არა უადრეს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, როდესაც მამუკა ბარათაშვილმა, 16 მარცვლოვანი ლექსის ბატონობის შერყევის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და სხვებმა განახორციელეს კიდევ და იწყეს წერა სხვადასხვა საზომით... არჩილის დროს ამ საზომით ჯერ კიდევ არ სწერდნ. თან მის დროს არ იწერებოდა ისეთი შინაარსისა და მოტივის ლექსები, როგორიცაა ნარგიზოვანი; ამას ისიც უნდა

¹ Описание, II, 183.

² Очерки по истории грузинской словесности, III, Москва, 1901, стр. 99—100, прим. 4.

³ ქართული ლიტ. ისტორია, II, 421, შენ. 5.

დაუმატოთ, რომ ჩვენ არ ვიციტ არც ერთი ხელნაწერი ამ ნაწარმოებისა, რომელიც არამტოუ XVIII საუკუნეს, XIX საუკუნის ფარგლებიდან გამოდიოდეს“.

რასაკვირველია, სრული გაუგებრობა იყო „ნარგიზოვანის“ მიკუთვნება არჩილისადმი. მაგრამ ახლა ზოგიერთი ისეთი ახალი ცნობა აღმოჩნდა და ზოგიერთი ისეთი გარემოება გამოიკვია, რომელიც წინ წევს პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტას.

„ნარგიზოვანის“ ტექსტი დაუცავს ჩვენ ლიტერატურაში დღემდის უცნობ ერთ ხელნაწერს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან (იოვანე ბატონიშვილის კოლექცია, № 23). ლენინგრადული ხელნაწერი ძირითადად წარმოადგენს ჩარდავრიშიანს და გადაწესებულია 1785 წელს. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა წიგნი ესე ჩარდავრიშიანი თიბათის იმ (18), ქორნიკონსა შოგ (1785)“. მაგრამ ჩარდავრიშიანის გარდა ხელნაწერში მოთავსებულია აგრეთვე ნარგიზოვანიც, რაც მთავარია, ავტორის აღნიშვნით: „ორბელიანის ნათქვამია“-ო.

ეს ხელნაწერი თავის დროზე ჰკუთვნებია იოვანე ბატონიშვილის მეუღლეს, ზურაბ წერეთლის ასულ ქეთევანს. ხელნაწერს ბლომად შემოუნახავს ამისი დამამტკიცებელი სათანადო მინაწერები.

ამრიგად, წერეთლიანთ ხელნაწერში დაცული „ნარგიზოვანის“ ტექსტი უძველესია დღეს-დღეობით ცნობილთა შორის. ჩვენ ამჟამად უკვე მოგვეპოვეთ „ნარგიზოვანის“ XVIII საუკუნის რედაქცია. ამ მხოით ამოვსებულია მნიშვნელოვანი ხარვეზი და ისიც გადაწყვეტილია, რომ 1785 წელი პოემის შეთხზვის post quem non თარიღია (ე. ი. ნარგიზოვანი ვერ შეითხზებოდა 1785 წლის შემდეგ). „ნარგიზოვანის“ ერთი რეალია საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ტექსტის ჩამოყალიბების ante quem non თარიღიც (ე. ი. თარიღი, რომლის უადრეს ვერ დაიწერებოდა). სახელდობრ, „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისეული რედაქცია¹ იძლევა „ნარგიზოვანის“ VIII კარის („ქართლი შეენიერია“) როგორც მეტრულ, ისე სრულ კომპოზიციურ პროტოტიპს. ესაა ლექსი „ქალი“, რომელიც ჩვენ გამოვამყვანეთ „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ II წიგნში (ტფ., 1928, გვ. 135) და რომელიც

¹ ამის შესახებ იხ. ალ. ბარამიძის „ანვარი-სოპილის, ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 170—324).

საილუსტრაციო მაგალითად შეუტანია თავის სახელმძღვანელოში („ქაშნიკში“) ქართული ნორმატიული პოეტიკის ცნობილ კანონ-მდებელ მამუკა ბარათაშვილს.

აი ეს ლექსიც მთლიანად, „ნარგიზოვანის“ სათანადო კარის პარალელურად:

[ძ ა ლ ი]

1. კარგს ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა,
ზრუნვას მოილხენს, ვინ უჭვრეტს პირსა,
ნუმცა შეხედები ანჩხლსა და ძვირსა,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
2. ავეულნი ქალნი, სახმილის აღნი,
რა გინდ შევნოდეს როგორცა ლალნი,
მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
3. ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,
ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,
არად შეირცხვენს შვილის გასყიდად,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
4. თვისსა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,
დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა,
მალ-მალ აგინებს: „ვა შენს ამარსა!“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
5. ქმარს ზედა სხედან, დეზითა სჩხვლენან,
ხელთ ტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
ზედ დაჰყვედრიან: „რად ესრე ჰქმენან?“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

[ქართლი შვენიერია]

1. გტრფიალობ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორჯელ, სამზეო,
ვერა ვცან შენი გონება, ზნეო,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
2. ქართლია მოთხე, ვითა სამოთხე,
აენი არ სჭირან, ვით საამოთ ხე,

მდინარის პირსა დგანან სამ-ოთხე,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

3. დგანან ხილ-ხენი, ქვე სხედან ერნი,
კორდნი მწვანენი, ზურმუხტის ფერნი;
ძათნი მნახველნი გაყძდების ბერნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
4. ქართველნი ლომნი, უყვარან ომნი,
ბრძენნი, საღმრთონი, საეროს მღომნი, •
ნადირთა მსრველნი, მოედანს მზომნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
5. ქართველთა ქალნი, ვით ბროლ-ფიქალნი,
თეთრი, ყირმიზი, პირზედ აქეთ ხალნი,
მათთა მნახეთა მოედვის აღნი, •
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი პარალელური ტექსტები უმკველად ცხადჰყოფს მათს სრულ იგივეობას როგორც მეტრული აღნაგობით, ისე რიტმული ნაირობით, რითმული სისტემით, სტროფიკით და მთელი კომპოზიციური ნაირობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტროფების მეოთხე ტაეპთა (რეფრენის) სრული დამთხვევა:

ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხენელია!
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

აქ განმეორებულია ტაეპების დასაწყისი სიტყვებიც (ჰქვიან მას). ყოველივე ამის გამო დამოწმებული ტექსტების გენეტიკური კავშირი უდაოა. ორში ერთი: ან სულხან-საბა ორბელიანის „ქალია“ დამოკიდებული „ნარგიზოვანის“ ტექსტზე; ან; პირიქით, „ნარგიზოვანია“ შთაგონებული სულხან-საბა ორბელიანის „ქალით“¹. ჩვენ პირადად მეორე მოსაზრების სასარგებლოდ ვიხრებით. მართალია, „ქართლი შვენიერია“ იდეურადაც სავსებით ეგუება სულხან-საბა ორბელიანის სახელს, მეტის თქმაც შეიძლება, XVIII საუკუნის პოეტებისაგან თითქოს საბას (გურამიშვილთან ერთად) ყველაზე უფრო შეეფერებოდა პატრიოტიკა, მაგრამ ექვს იწვევს „ნარგიზოვანის“ სხვა კარები,

¹ სხვათა შორის, ამის წაბადვით არის შეთხზული მამუკა ბარათაშვილის ლექსი „უცხო“ (წ. კ. კოლექციის ხელნაწერი № 302, გვ. 35--36).

რომლებიც ძლიერ მხურვალე ეროტიზმით არის გაჯღენტილი. ეროტიკა კი არ გამოდგება სულხან-საბა ორბელიანის პოეზიის ნიშანდობლივ მოტივად. თანაც საბასთვის არაა დამახასიათებელი არც მუხამბაზური ყაიდის ლექსი. ამიტომაც „ქართლი შვენიერია“ (და მასთან ერთად მთელი „ნარგიზოვანიც“) საბასეული „ქილილა და დამანას“ რედაქციის საბოლოო ჩამოყალიბების, ე. ი. XVIII საუკუნის ოციანი წლების, შემდეგ უნდა იყოს შეთხზული; ცხადია, არა უგვიანეს იმავე საუკუნის ოთხმოციანი წლებისა.

აღნიშნული დროის (XVIII საუკუნის ოციან-ოთხმოციანი წლების) მანძილზე ცნობილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პოეტი ორბელიანთა გვარიდან, სახელდობრ: ვახტანგი, დიმიტრი, მზეკაბუჯი და დავითი (დავით სარდალი). დაბეჯითებით ძნელია თქმა, თუ ამათგან ვინ უნდა იქნას მიჩნეული „ნარგიზოვანის“ ავტორად (ისიც კი არის შესაძლებელი, რომ პოემა არცერთ დასახელებულ პირს არ ეკუთვნოდეს). ისე კი თითქოს ყოველივე უფრო უკანასკნელი ორბელიანის, ე. ი. დავით სარდლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. დავითი თავის დროის გამოჩენილი ლიტერატორი იყო, კერძოდ პოეტი, ეროტიკული ლექსების ავტორი და დიდი პატრიოტი, სხვათა შორის, ბესიკის საუკეთესო მეგობარი და ბესიკის ლიტერატურული სკოლის მიმდევარი. „ნარგიზოვანიც“ საკმაოდ ატარებს ბესიკისებური ეროტიკისა და ბესიკისებური პოეტური სიტყვის ნიშანდობლივ თვისებებს. აქ უნდა დაისვას წერტილი. მეტის თქმის უფლებას ჯერ არ იძლევა ჩვენ ხელში მყოფი მასალები.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც პროფ. კ. ქეკელიძემ გამოაქვეყნა საყურადღებო სპეციალური ნარკვევი „ვინ არის ნარგიზოვანის ავტორი?“¹ ამ ნარკვევით პროფ. კ. ქეკელიძე ხელს იღებს „ნარგიზოვანის“ ძველი დათარიღებიდან და დათარიღებისა და ავტორობის ახალ ჰიპოტეზას ადგენს. სახელდობრ, „ნარგიზოვანი“ შეთხზული უნდა იყოსო პოეტ გარსევან ჩოლოყაშვილის („ხილთა ქების“ ავტორის) მიერ XVII საუკუნის შუა წლებში. საბუთად დასახელებულია შემდეგი: „ნარგიზოვანის“ ავტორად გარსევან ჩოლოყაშვილს ცნობსო იოვანე ბატონიშვილი და არჩილი. მართლაც, „კალმასობა“ში იკითხება: „ჩოლოყაშვილმან გარსევან გალექსა ნარგიზიანი წიგნი“², ხოლო თავის მხრით არჩილი ამბობს³:

¹ „ლიტერატურული საქართველო“, 20.XI.39.

² ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, I, 1913, გვ. 29.

³ არჩილიანი, II 30 (აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, სტრ. 30).

ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაებია,
 კიტრი ხილად რადას ვარგა, ვაშლი მოვა, რა ებია;
 ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია:
 გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი
 გაუშტერებია.

როგორც კარგად ცნობილია, „კალმასობის“ ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიული ნაწილი საერთოდ მრავალ გაუგებრობას შეიცავს და იმით სარგებლობისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამასთან საფიქრებელია, რომ იოვანე ბატონიშვილი, ისე როგორც პლ. იოსელიანი, „ნარგიზოვანის“ ავტორობის დადგენისას უშუალოდ არჩილს უნდა ემყარებოდეს. ამიტომაც მთავარია სწორედ არჩილის მოწმობა. არჩილი ათვალწუნებით აღნიშნავს, რომ გარსევან ჩოლოყაშვილს „უთქვამს რამე-რაებია“ (ჭგულისხმობს „ხილთა ქებას“), მაგრამ მაინც ესევე („ხილთა ქება“) სჯობს მის სხვა მონახსენებსო, და ურთავს:

გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია.

დამოწმებული ტექსტის მიხედვით პროფ. კ. კეკელიძე ასკვნის: „გარსევან ჩოლოყაშვილის «მონახსენებთაგან», ე. ი. თხზულებათაგან, არჩილს სცოდნია, სხვათა შორის, «ნარგისთათვის», ესე იგი ჩვენი «ნარგიზოვანიაო. ჩვენი აზრით, მსგავსი დაბეჯითებითი დასკვნა არ გამომდინარეობს მოცემული წინამძღვრებიდან. მაინცაღამაინც არსაიდან ჩანს, თუ რად უნდა ნიშნავდეს «ნარგისთათვის» ესე იგი ჩვენ «ნარგიზოვანს». ნარგიზის სიმბოლიკა, თუ მეტაფორიულობა, ძველი ქართული მწერლობის ჩვეულებრივად დამახასიათებელი პოეტური მომენტია. ყოველ შემთხვევაში, ჯერ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, რომ «ნარგისთათვის» უთუოდ ჩვენ «ნარგიზოვანს» ჰგულისხმობდეს. მით უმეტეს, რომ როგორც პროფ. კ. კეკელიძე ესაც აქვს შენიშნული—„გული კვდება ნარგისთათვის“... თვითონ არჩილს კი არ ეკუთვნის, არამედ ციტატას წარმოადგენს გარსევან ჩოლოყაშვილის რომელიღაც თხზულებიდან. არჩილს უწერია: „ეს ბოლოს ერთი სტრიქონი გარსევანის (ჩოლოყაშვილის) ნათქვამია, არ მამიპარავს, მაგრამ სიტყვამ მოახდინაო“¹. ამის გა-

¹ არჩილიანი, II, გვ. 133. თავის მხრით ჩოლოყაშვილის მთელი ფრაზა ემთხვევა თეიმურაზ პირველის ერთ გამოთქმას (მძრ. თეიმურაზის: „გული ქმნილა ნარგიზთათვის“ [მაჯანა, 3, 1], ჩოლოყაშვილ-არჩილის: „გული კვდება ნარგიზთათვის“).

მო პროფ. კ. კეკელიძე თავის მხრით ამბობს: „მაშასადამე, არჩილი თვითონ ადასტურებს, რომ ეს სტრიქონი ამოღებულია მის მიერ, როგორც ციტატა, გარსევანის თხზულებიდან. ეს თხზულება არის, რასაკვირველია, ნარგიზოვანი“. აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. კ. კეკელიძის კარტეგორიული კილო („რასაკვირველია“) ვერაა სათანადოდ მოტივირებული. საცილობელი პოეტური ფრაზის პარალელები „ნარგიზოვანიდან“ („დამწვარი გული“, „გული ღებული“, „მოდებული ალი“, „დაშრიტე ცეცხლი“, „მიმრიდა თვალი ნათელი, შეწია გულსა ბნელია“, „რა ქნას თვალმან ბნელმან“, „მომეკიდა თვალთა ბინდი“), რომლებიც პროფ. კ. კეკელიძეს აქვს დამოწმებული და რომლებიც ჩვენ მთლიანად ამოვწერეთ, ზოგადია და მოკლებულია კონკრეტულ შესატყვისობას. ხოლო საკუთრივ ტექსტს („გული კვდება ნარგისთათვის...“) „ნარგიზოვანში“ ადგილი არ აქვს. მოგვეყვას პროფ. კ. კეკელიძის სიტყვები ამ საგანზე: „ასეთ სტრიქონსა და სიტყვებს დღეს ცნობილ ნარგიზოვანში ვერ ვპოულობთ“. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მართებული არ იქნებოდა იმის საყრდენ საბუთად მიჩნევა, რაც ჯერჯერობით თვითონ არ ჩანს. ბუნებრივია ასეთი კითხვა: რალა სწორედ ის ფრაზე დაეკარგა „ნარგიზოვანს“, რომლითაც ავტორის ვინაობა უნდა გაირკვეს? ყოველივე ამასთან, ერთ შემთხვევაში საცილობელი ციტატა მოტანილია როგორც არჩილის საკუთარი მოწმობა „ნარგიზოვანის“ ავტორის ვინაობის გამოსაცნობად, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ციტატა მიჩნეულია თვითონ საძიებელი ავტორის არმოღწეული ტექსტის ნაწილად. ერთი სიტყვით, პოზიტიური დასკვნა მიღებულია ჯერ თვითონ გამოსაცნობი (ან, უკეთ, უცნობი) საბუთის კვალობაზე. ეს არის, რომ, ჩემი აზრით, დამაჯერებლობითს ძალას უკარგავს პროფ. კ. კეკელიძის საერთოდ საინტერესო და უსათუოდ ანგარიშ გასაწევ ჰიპოტეზას.

პროფ. კ. კეკელიძე იზიარებს მოსაზრებას „ნარგიზოვანის“ VIII ლექსის (ქართლი შევნიერია) და ჟსულხან-საბა ორბელიანის ანალოგიური თხზულების („ქალი“) იდენტურობაზე კომპოზიციისა, მეტრისა, რიტმისა და რითმული სისტემის მიხედვით, რაზეც საბუთი მომცა „ნარგიზოვანის“ VIII ლექსი სულხან-საბა ორბელიანის წაბაძვად მიმეჩნია და დათარიღების გარკვეული საფუძველიც გამომენახა. უკანასკნელი გარემოების გამო პროფ. კ. კეკელიძე ამბობს: „განა არ შეიძლება იმისი დაშვება, რომ თვით საბა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია, თუ „ნარგიზოვანზე“ არა, სხვა რომელიმე ამგვარ ლექსზე, რომელიც მანამდე ცნობილი იყო არა-

რეციდალურ ლიტერატურაში—ხალხურ შემოქმედებაში?— რა თქმა უნდა, არ უარვეყოფ, რომ საბა თავისი ლექსების ფორმის მხრითაც დასესხებოდა ფოლკლორს. მაგრამ კერძოდ „ქალი“ ისეთი სახის მქონეა, რომ შეუძლებლად მიმაჩნია მსგავსი რთული ლიტერატურული კონსტრუქციის ლექსი მზამზარეული ფორმით ყოველიყო ფოლკლორში წარმოდგენილი. ლექსის ეს ფორმა, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერაა შემოღებული, ამას ადასტურებს მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“. როგორც უკვე შენიშნული გვაქვს, მამუკა საბას „ქალს“ უწოდებს „უცხოს“. იმისი წაბაძვით მამუკას საკუთარი ლექსიც კი შეუთხზავს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ამ ჩემი პატარა ნარკვევით სრულიად არ მიმაჩნია გადაჭრილად „ნარგიზოვანის“ ავტორობის საკითხი. არც ვიღაც ორბელიანის შესახებ მინაწერს შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარ პრობლემად ვთვლი ძეგლის დათარიღებას, რადგანაც ამასთან არის დაკავშირებული ქართული ვერსიფიკაციის ისტორიის აქტუალური საკითხები.

პირთა სახელების საკითხველი

ა

- აბას დიდი (შაჰ-აბას დიდი) 6, 7, 67, 92, 115, 118, 119, 120, 121, 122, 129, 142, 148, 194.
- აბას მეორე 129, 192.
- აბაშიძე გოგია 401, 402.
- აბენესი 272.
- აბთინი [ნ. აფთიონი] 25.
- აბრაჰამი (ბიბლიური) 170.
- აბულაძე ილია 93.
- აბულაძე იუსტინე, პროფ. 45, 52, 53, 73, 78, 82, 161.
- აბულ ისაყი 113.
- აბუ მანსური 23, 25.
- აბუ საბირი [შდრ. საბირი] 102, 106.
- ადამი (ბიბლიური) 298, 319.
- ადლიგერაი მირზა 169.
- ავალიშვილი გიორგი 14, 275, 461.
- ავთანდილი (ვეფხისტყაოსანი) 95, 99, 222.
- ალექსანდრე მაკედონელი 95, 192, 214, 235, 237, 239, 240, 241, 242, 244, 246.
- ალექსანდრე, კახთა მეფე, თეიმურაზ პირველის პაპა 115, 116, 117, 118, 122, 149.
- ალექსანდრე, იმერეთის ჰეტის-ძე, თეიმურაზის სიძე 56, 126.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, თეიმურაზ პირველის-ძე 121, 123, 142.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, არჩილის-ძე 167, 168, 169, 170, 171, 173, 174, 175.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ბაქარის-ძე 393, 394.
- ალექსი მიხეილის-ძე [რომანოვი] 129.
- ალექსიძე (ალექსიშვილი) დავით, ნ. დავით რექტორი.
- ალუმპიადე დედოფალი 241, 242.
- ამილახვარი ალექსანდრე 394.
- ანა ბატონიშვილი, თეიმურაზ მეორის ასული 381, 382, 388, 397.
- ანა ბატონიშვილი, გიორგი XIII-ის ასული 382.
- ანა დედოფალი, თეიმურაზ პირველის მეუღლე 120.
- ანა დედოფალი, ორბელიანის ასული 374, 375, 381, 382, 383, 388, 389, 390, 392, 393, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 423, 426.
- ანა მათეს-ასული, ნ. ანა დედოფალი, ორბელიანის-ასული.
- ანა ორბელიანი, ნ. ანა დედოფალი, ორბელიანის-ასული.
- ანა იმპერატრიცა 291, 294.

- ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო 11, 476. ბაგრატ მუხრანბატონი 72, 73, ანტეჟრისტე 375.
- ანტონ I, კათოლიკოსი 10, 14, 162, 164, 200, 237, 239, 338, 369, 370, 371, 372, 395, 396, 415.
- ანტონ II, კათოლიკოსი 377, 436.
- ანუშირვანი, ნ. ქაიხოსრო ანუ-შირვანი.
- ანუშრევანი [შდრ. ქაიხოსრო ანუშირვანი] 67.
- არმელი [შაჰნამე] 47, 48.
- არნაეზი [შაჰნამე] 46.
- არუთინა (საიათნოვა) 348, 350, 353.
- არჩილი, პოეტი, მეფე 13, 15, 16, 17, 18, 78, 82, 114, 120, 121, 125, 129, 130, 131, 135, 152, 154, 157, 159, 161, 162, 163—234, 236, 238, 239, 240, 243—247, 254, 343—346, 448, 453, 472, 473, 475—477, 480—482.
- არჯასპი [შაჰნამე] 24, 28.
- ასადი 153.
- ათუთიმიანე [რუსუდანიანი] 86, 87.
- ათთიონი [ნ. აბთინი] 44, 80.
- ათრასიოზი [ნ. აფრასიონი] 26, 27, 95.
- ათრასიონი [ნ. აფრასიოზი] 34.
- აქილეესი 95.
- ალამაჰმადხანი 7, 356.
- ალაპისი 111.
- აშთარ [შაჰნამე] 43.
- აშქაში [შაჰნამე] 37.
- აჰრიმანი 29, 30, 66, 262.
- ბ
- ბააჰანი [ნ. ბეჰმენი] 28, -29, 84, 85.
- ბაგრატ მუხრანბატონი 72, 73, 154.
- ბაგრატ ბატონიშვილი 124.
- ბაგრატი, იმერეთის მეფე 165.
- ბაგრატიონი დიმიტრი 462.
- ბალაგარი 254, 272, 433.
- ბალახაშვილი ი. 351.
- ბარათაშვილი თომა 342, 343.
- ბარათაშვილი მამუკა 15, 93, 134, 135, 322, 327, 339, 341, 342, 343, 345, 416, 450, 452, 456—461, 464, 465, 478, 479, 483.
- ბარათაშვილი მათე, ნ. ბარათა-შვილი მამუკა.
- ბარათაშვილი ნიკოლოზ 448.
- ბარათი, ნ. ბართე.
- ბარამი [რუსუდანიანი] 94, 109, 111.
- ბარამი [ბარამ-გულანდამიანი] 427.
- ბარამიძე ალექსანდრე 36, 52, 78, 93, 99, 117, 120, 157, 161, 164, 175, 180, 209, 211, 223, 253, 269, 270, 275, 284, 295, 304, 307, 309, 338, 342, 352, 367, 423, 426, 430, 453, 475, 477, 480.
- ბარანოზი, შამის ხელმწიფე 89.
- ბარბარე ალექსანდრეს ასული 470—472.
- ბარზინი [ბაამანიანი] 84.
- ბარზინი [რუსუდანიანი] 97, 99.
- ბარზუ (ბურზო) 66, 70, 76, 77, 78, 81, 83, 84, 98, 99, 100.
- ბართე (ბარათი) 64, 65.
- ბარნოვი ვასილ 165.
- ბარტენევი, კაპიტანი 401.
- ბაქარი (შანაოზ-ხანი) 164, 173, 214, 282, 289, 292, 293, 294, 458, 459, 462.
- ბაქჯარ დევი 44.

- ბაჟკაშვილი 371.
 ბახთიარი 110.
 ბახუტოვი, ე. ვ. 165.
 ბაჰრამ-გური 30, 271.
 ბაჰრამ-ჩუბინი 29.
 ბეზბოროდკო ალექსანდრე ანდ-
 რიას-ძე, ღრაფი 425, 429.
 ბეჟანი [შაჰნამე] 27, 30, 34, 53.
 ბელოკუროვი ს. 115—119, 122,
 123, 127, 128.
 ბერაძე თადეოზი 236.
 ბერთელსი ე., პროფ. 25, 102,
 103, 106.
 ბერძენიშვილი ნიკო, პროფ. 120,
 157, 161, 427, 480.
 ბესიკი 149, 151, 157, 158, 215,
 246, 349, 352, 366, 367—
 431, 477, 480.
 ბეჰმენი [ნ. ბაამანი] 81.
 ბისტიკა (მესტეირე, მგოსანი) 473.
 ბლიაძე (მესტეირე, სახალხო
 მგოსანი) 368, 369, 380, 389,
 400.
 ბროსე მარი, აკადემიკოსი 90,
 91, 171—174, 216, 276, 283,
 306, 340, 389, 404, 422,
 424.
 ბურზო, ნ. ბარზუ.
 ბურჯანოვი (ოფიცერი, დიპლო-
 მატი) 396, 397.
 ბუტკოვი პ. 173, 174, 291,
 292, 294, 297, 375, 388, 397,
 401, 402, 422, 426.
- ა
- გაბაონელი, გაბაონი, გაბაოვი,
 იობიან-გაბაონელი (ბესარი-
 ნ) ნ. ბესიკი.
- გაბაშვილი ბესარიონ, ნ. ბესიკი.
 გაბაშვილი (გაბაონის-ძე) დავით
 375, 427.
 გაბაშვილი ზაქარია 367, 369, 370,
 371, 373, 374, 375, 383, 385,
 388, 392—395, 404, 421, 427,
 431.
 გაბაშვილი (გაბაონელი) ნიკოლაოს
 374.
 გაბაშვილი ოსე (ბესიკის ძმა) 246,
 370, 374, 375, 390, 392, 393,
 398, 402, 403, 404, 422, 423,
 426, 429.
 გაბაშვილი ოსე, კარნეტი 367, 368.
 გაბაშვილი სვიმონ 375, 398, 419,
 422, 425—429.
 გაბაშვილი ტიმოთე 275.
 გაგო 44.
 გაერილო ივანოვიჩ 174.
 გაიოზ არქიმანდრიტი, ნ. გაიოზ
 რექტორი.
 გაიონ რექტორი 14, 417, 419,
 420.
 გამსახურდია კონსტანტინე 345.
 გარაყანიძე თინათინ 290.
 გაფრინდაშვილი ვალერიან 145,
 289, 300.
 გაწერელია აკაკი 356, 417.
 გედევანიშვილი იონა [ნ. იონა
 რუისის მიტროპოლიტი] 275.
 გვარჯასპი [ნ. გორჯასპი] 84.
 გივი [შაჰნამე] 27, 33, 80, 98.
 გივი [რუსუდანიანი] 94.
 გიო [შაჰნამე] 80.
 გიორგი III 192.
 გიორგი, თეიმურაზ პირველის ბი-
 და 116, 118, 119.

გიორგი XI 168, 247, 248, 250, 251.

გიორგი XIII [შდრ. გურგენ-ხანი] 350, 356, 371, 377, 422, 436.

გიორგი (ეგორგი), დავით გურამიშვილის მამა 278.

გიორგი ბატონიშვილი, ვახტანგის-ძე 373, 394, 421, 462, 463.

გიორგი, წმ. 393.

გრიგოლ ბატონიშვილი 368.

გრიგოლ კრემენჩუკელი 419.

გრიშაშვილი იოსებ 133, 160, 348, 349, 350, 353, 359, 363, 364, 365, 414, 437.

გოდერძი [შაჰნაძე] 34, 98.

გოდერძი [რუსუდანიანი] 94.

გოეტე 345.

გოლოკეინი თეოდორე ალექსის-ძე 172.

გორასპი [შდრ. გორჯასპი] 44.

გორგაძე სერგი 246, 340, 376, 377, 382, 383, 384, -88, 406, 417, 423, 430, 431.

გორგიჯანიძე ფარსადან 115, 119, 121—126, 129, 132.

გორჯასპი/გურჯასპი [ნ. გვარჯასპი; შდრ. გორასპი] 73, 81.

გორჯასპი [რუსუდანიანი] 88, 94.

გორჯასპი ნოდარის-ძე 113.

გოსტამი [რუსუდანიანი] 87.

გოსტაშაპი/გომტაშაპი 24, 27, 28, 65.

გურამი/გურამი [ნ. ქეპრემი] 64, 65.

გულანდაბი 427.

გურამიშვილი დავით 7, 10, 13⁹, 15, 16, 18, 19, 142, 151, 154, 157, 158, 159, 199, 215, 223, 276—347, 415, 416, 421, 443, 447, 450—460, 465, 479.

გურამიშვილი მამუკა 463, 464.

გურგანელი ფახრ-უდდინ 32.

გურგენი [შაჰნაძე] 83.

გურგენ [რუსუდანიანი] 94.

გურგენ-ხანი [ნ. გიორგი XIII] 350, 356.

გურიელი გიორგი 239.

ღ

დადიანი ბეჟან 238.

დადიანი ვამეყ 164.

დადიანი ლევან 45, 79, 82, 120, 188.

დადიანი მანუჩარ 149.

დავით (ბიბლიური) 101, 192.

დავით არჩილის-ძე (სოლომონ მეორე) 390, 396, 398, 401, 425, 427.

დავით აღმაშენებელი 145, 192.

დავით კახთა 116, 117, 119, 124.

დავით მეორე, ნ. დავით გიორგის-ძე.

დავით ბატონიშვილი, არჩილის-ძე 167.

დავით ბატონიშვილი, გიორგის-ძე 367, 395.

დავით გიორგის-ძე, იმერთა მეფე [დავით მეორე] 382, 388, 390, 396, 397, 398, 400, 418, 422, 425, 431.

დავით რექტორი (ალექსის-ძე, ალექსის-შვილი) 377, 380, 383, 384, 386, 405, 406, 415, 470, 473.

დავით სარდალი, ნ. ორბელიანი
დავით.

დავით ურია-ყოფილი 370, 371.

დავითაშვილი იოსებ 347.

დავითიშვილი მამუკა 298.

დათუნა ბატონიშვილი, თეიმურაზის-ძე 125, 126, 165.

დაკიკი 24.

დალაღმანო 241, 244.

დარეჯანი, [ვეფხისტყაოსანი] 109, 210.

დარეჯანი, თეიმურაზ პირველის ასული '25, 126, 145.

დარეჯანი, არჩილის ასული 167, 173, 175.

დარეჯან ბაგრატოვანი 249.

დარეჯან დედოფალი (ირაკლის მეუღლე) 376, 402.

დარეჯანი, გურამიშვილის შვილობილი 302.

დარიოზი 240, 242.

დინიტრი (ხელნაწერის შემსყიდველი) 404.

დმიტრიევი სვიმონ 166, 167.

ე

ეგნატაშვილი სიმონ 426—429.

ეგორგი, ნ. გიორგი.

ეგენი მიტროპოლიტი 174.

ევსტათი/ევსტატე 101, 102, 110.

ეზოპე/ესოპე 433.

ეთე ჰერმან 24, 153.

ელენე ბატონიშვილი, თეიმურაზის და 121, 124, 128.

ელენე დედოფალი [რუსუდანიანი] 92, 93.

ერაჯი 32.

ერეკლე ბატონიშვილი 116.

ერეკლე პირველი [ნ. ნიკოლაი დავიდოვიჩ, ნაზარალიხანი]

250, 466, 468.

ერეკლე მეორე, ნ. ირაკლი მეორე.

ერისთავი (რაქისა) დიმიტრი 375.

ერისთავი ელიზბარ, ყულარაღასი 385, 397, 398, 407, 413—414.

ერისთავი ზაალ 124, 247.

ერისთავი ზურაბ 18, 19, 124, 125, 131, 187, 189, 190.

ერისთავი ნუგზარ 18, 122.

ესაძე ბ. 167, 174, 389, 402.

3

ვაჟა-ფშაველა 336, 347.

ვარდანი .(აიგეკელი) 269, 270, 271, 432, 433.

ვაჩნაძე ბარძიმ 82, 83.

ვახტანგ V (შაჰნავაზი) 163.

ვახტანგ VI 7, 10, 13, 102, 111, 156, 157, 200, 220, 247, 249,

251—254, 257, 279, 282, 283, 284, 286, 287, 290—294, 307,

312, 313, 317, 318, 327, 340, 343, 344, 345, 373, 385, 391,

394, 396, 441—462, 466, 473.

ვახტანგ ბატონიშვილი 124.

ვახუშტ ბატონიშვილი 115—118, 120, 122, 125, 129, 164, 169, 173, 174, 190.

ვირო [ვისრამიანი] 213.

ვისარიონ გაბაონი ნ. ბესიკი.

ვისი 146, 210—213, 241, 244.

ვიტცენი ნიკოლას 172, 173.

ვოლინსკი, გუბერნატორი 292.

- ვოლკონსკი თეოდორე თეოდორეს-ძე 130.
- ეულერსი 23, 25, 42, 48, 53, 60, 64, 65, 66, 68, 77.
- ზ
- ზალი [შაჰნამე] 26, 28, 30, 34, 40, 50, 53, 54, 55, 58, 62, 69, 71, 72, 75, 77, 81, 84, 98.
- ზალ [რუსუდანიანი] 94.
- ზაქი (ზოჰაქი, ზოაქი) 25, 35, 36, 38, 39, 40—45, 47, 48, 50, 78, 80, 81, 82, 85.
- ზაბრჯათი, 111, 112, 113.
- ზაყარი 77, 83.
- ზავი [შაჰნამე] 26.
- ზავი [რუსუდანიანი] 95.
- ზავი ზოსტერის-ძე 87, 111, 112, 113.
- ზარატუსტრა (ზოროასტრი) 24, 77.
- ზარდაშტი (ზოროასტრი) 28, 65, 66, 77.
- ზაქარია ქართლელი ბერი 383.
- ზედგენიძე ბერუკა 248.
- ზილიხა/ზილიხანი 160, 210, 241.
- ზოროასტრი, ნ. ზარატუსტრა და ზარდაშტი.
- ზოსტერი ზოსიმეს-ძე [რუსუდანიანი] 87, 111, 113.
- ზოსტერი [ვარშაყიანი] 112, 113.
- ზოჰაქ, ნ. ზაქი.
- ზურაბი [შაჰნამე] 26, 30, 32, 34, 35, 56, 57, 77, 78, 81, 83, 84.
- თ
- თავაქალაშვილი მამუკა (მამუკა მდივანი) 45—49, 78, 79, 80, 82, 83, 229.
- თაიმურაზი (ტოჰმურასი) 25.
- თამაზ-შაჰი (შაჰ-თამაზი) 116, 118.
- თამარ მეფე 90, 184, 185, 192.
- თამარი (სულხან-საბა ორბელიანის დედა) 247.
- თამარაშვილი შიქელ 17, 120, 127, 130, 132.
- თამურაზი 50.
- თანიაშვილი ბეგთაბეგ 15.
- თანიაშვილი სულხან 15.
- თარხნიშვილის ასული თამარ 397.
- თაქთაქი(შვილი) 371.
- თაყაიშვილი ექვთიმე 50, 72—74, 90, 91, 93, 115, 135, 271, 275, 384, 397, 401, 416, 434—436, 442, 473, 476, 480.
- თაჰმურასი 82.
- თეიმურაზი [შაჰნამე] 34.
- თეიმურაზ პირველი 6, 12, 13, 15, 16, 17, 19, 45, 114—162, 165, 177—187, 189, 190, 193, 204, 206, 209, 210, 215, 215, 218, 220, 222, 224, 227, 228, 230, 232, 250, 275, 318, 320, 331, 341, 343, 344, 346, 413, 448, 453, 457, 472, 475, 481.
- თეიმურაზ მეორე 154, 223, 367, 369, 374, 381, 396, 466—473.
- თეიმურაზი (ქართლის დიდებული) 167.
- თეიმურაზ ბატონიშვილი 365, 416.
- თემურ-ლენგი 1, 2.

- თეოდორე ალექსის-ძე (რომა-
 ნოვი) 166.
 თეოდოსი არქიეპისკოპოსი 132.
 თეოპისტიად 111.
 თინა (ხალხური) 359.
 თინათინი [ვეფხის-ტყაოსანი] 45,
 146, 241.
 თინათინი, თეიმურაზ პირველის
 ასული 124.
 თმოგველი სერგის 45, 49.
 თომა, ურწმუნო 378.
 თორაძე ალექსანდრე 376, 384, 406.
 თოფურია ვარლამ 367, 423,
 430.
 თუმანიშვილი ავთანდილ 367,
 368.
 თუმანიშვილი გივი 224, 227.
 თუმანიშვილი დიმიტრი 413.
 თუმანიშვილი სულხან 417.
 თუმანოვი დ. 149.
 თუმიანი 57.
 თური 25, 26, 40, 67, 71, 81.
 თურმანიძე ხოსრო/ხეასრო 51,
 70, 75—78, 84, 99, 181.
- 0
- იაკობ (ბიბლიური) 3, 101.
 იანვარა ფხოველი 282.
 იაშვილი გიორგი 248.
 იაშონ [შაჰნამე] 43.
 იბრაიმი/იბრეიმი [რუსულდანიანი]
 88, 100, 102, 104, 106, 108,
 110, 113.
 იბრაიმ ზელები 110.
 იევლევი 129.
 იერემია (ბიბლიური) 319, 368.
 იესე მეფე 252, 313.
 იესო ქრისტე [ნ. ისა] 4, 129, 133,
 139, 174, 206, 218, 316,
 317, 322, 328, 330, 370, 376,
 404, 451.
 ინგოროყვა პავლე 52, 216, 227,
 343.
 იოანე პეტრიწი 404.
 იობი (ბიბლიური) 101.
 იობიან-გაბაშვილი ბესარიონ [ნ. ბე-
 სიკი] 423.
 იოდასაფი 272.
 იოვანე ალექსის-ძე (რომანოვი)
 167, 168.
 იოვანე ბატონიშვილი 10, 35, 82,
 162, 164, 170, 200, 237, 352,
 353, 355, 356, 376, 416, 461,
 477, 480, 481.
 იონა რუისის მიტროპოლიტი [ნ. გე-
 დევანიშვილი იონა] 37ა, 426, 430.
 იორდანიშვილი სოლომონ 71, 223,
 255, 273, 284, 308, 453.
 იოსებ მშვენიერი 95, 101.
 იოსებ [იოსებ-ზილიხანიანი] 160,
 241.
 იოსებ ტფილელი [ნ. სააკაძე იო-
 სებ] 131, 227, 228.
 იოსებ კათოლიკოსი 370.
 იოსელიანი პლატონ 120, 174,
 233, 245, 356, 371, 422, 424,
 426, 475, 476, 481.
 ირაკლი მეორე 9, 10, 14, 352,
 353, 354, 362, 368, 369, 370,
 372, 373, 376, 378, 380—398,
 470, 401, 466.
 ირბაქი ნიკიფორე 7, 127.
 ირეჯი 25, 26.
 ისა, იესო ქრისტე [ნ. იესო ქრის-
 ტე] 218, 316.

ისაკი (ზაქარია გაბაშვილის მიმ-
დევარი) 370.

ისახარ 230.

ისმაელ ჩელები 105, 106.

ისო ზირაქი 214, 337.

ისფანდიერი, ნ. სპანდიატი.

იულა 371.

კ

კაეადი 29.

კაკაბაძე სარგის 93, 115, 124,
239, 374. 388, 397.

კალისტენი, ნ. ფსევდო-კალის-
თენი.

კარიჭაშვილი დავით 172, 174,
246.

კარლოს დიდი 171.

კასტელი ქრისტოფორო 131.

კატული 24.

კახაბერი 309.

კედელას-შვილი საბა [შდრ. კე-
დელაჟი] 71, 74.

კედელაური [შდრ. კედელას-
შვილი საბა] 67, 71, 74.

კეკელიძე კორნელი, პროფ. 46,
52, 70, 72, 73, 78, 82, 90—
94, 100, 102, 108, 109, 144,
161, 167, 214, 215, 216, 220,
221, 223, 232, 233, 235, 236,
245, 269, 270, 271, 275; 283,
289, 336, 338, 343, 352, 382,
423, 427, 445, 461, 476, 480
—482.

კვინტოს კურციოსი 246.

კვიროზი (ირანის მეფე) 242.

კვიროს [ვისრამიანი] 213.

კირილე, ელჩი 117.

კლუჩარევი 122, 128.

კნორინგი 401.

კობიძე დავით 85.

კონსტანტინე დიდი (ბერძენთა
მეფე) 192.

კონსტანტინე მეფე 72, 73.

კონსტანტინე პალეოლოგი 214.

კონსტანტინე ბატონიშვილი, ალექ-
სანდრეს-ძე 116, 118, 119, 121.

კონსტანტინე ბატონიშვილი, და-
ვით მეორის-ძე 401, 404.

კონსტანტინე კახთა, ნ. მამადყუ-
ლიხანი.

კოსტა, ბერძენთა მეფე 88.

კოსარიკი დიმიტრი 295, 302, 307.

კოსოვიჩ, დ. პ. 165.

ლ

ლავრენტი არქიმანდრიტი 168.

ლაზარი (პიბლიური) 282.

ლარაძე პეტრე 236.

ლევან ბატონიშვილი, თეიმურაზის-
ძე 121, 123, 142.

ლევან ბატონიშვილი, ირაკლის-
ძე 377.

ლევან შაჰნავაზის-ძე 167, 247,
251.

ლეილა/ლეილი 160, 241.

ლეონ ბრძენი 435, 437.

ლეონი [სიბრძნე-სიცრუისა] 255,
256, 259, 261, 262.

ლეონიძე გიორგი 71, 269, 290, 350,
352, 353, 356, 365, 461.

ლეონტი მროველი 235.

ლიტვინოვი პეტრე მაქსიმეს-ძე
401.

ლობჯანიძე ზვიადა 19.

ლორასპი [ნ. ლუარსაბი] 69, 70, 75.

ლოპრასპი ნ. ლორასპი და ლუარსაბი.

ლუარსაბი (ლოპრასპი, ლორასპი) 27, 28, 34, 70.

ლუარსაბი, ქართლის მეფე 121, 122.

ლუდოვიკო XIV 251.

ლულე მონა 84.

8

მაზდაკი 29.

მაია ყულარაღასის-ქალი 406, 407.

მაკალათია სერგი 19.

მალა'ია 167.

მამადყულიხანი (კონსტანტინე კახთა) 313, 317, 443.

მამუკა ბატონიშვილი, არჩილის-ძე 167, 168.

მამუკა მდივანი [ნ. თავაქალა-შვილი მამუკა] 161.

მანანა, მწერალი ქალი 154.

მანიყაეი [მანიყე] 27, 30, 53.

მანიყე, ნ. მანიყაეი.

მანუჩარი [შაჰნამე] 34, 40, 44.

მანუჩარი [რუსუდანიანი] 86, 87, 94, 108.

მანუჩარ მწერალი, მანუჩარი [შდრ. ნანუჩა] 45, 229.

მანუჩარ (დადიანი) 79.

მანუჩარი, მირიან ბატონიშვილის ამალის წევრი 420.

მარდის/მარდა (ზააქის მამა) 36, 39.

მარი ნიკო, აკადემიკოსი 36, 40, 52, 81, 90—94, 100, 101,

108, 110, 154, 162, 220, 269, 270, 433, 434, 436.

მარი იური 36.

მარიამ დედოფალი 115.

მარიამ ლუთისმშობელი 139, 322, 431, 452.

მაქსიმე კათოლიკოსი 423.

მაჩაბელი ალექსანრდე დაეითის-ძე 245.

მაჭავარიანი ხოსუა 131.

მახარაძე ფილიპე 4.

მაჯუნნი 141, 48, 160, 241.

მაჰმადი (მამადი) 5, 316.

მაჰმედ ლაზნეველი 20, 21, 22, 25, 30, 31.

მელიქსეთ-ბეგი ლეონი, პროფ. 350, 351, 355, 356, 363, 437.

მერაბი [შაჰნამე] 26, 34, 59.

მზემასული 241, 244.

მთვარისაზარ 230.

მირვეისი 251.

მირიან ბატონიშვილი 305—308, 377, 384, 417, 418, 419.

მიშეცკი 122, 128 131.

მოაბადი, შაჰი 212, 213, 241.

მურდავი [ნ. მარდი] 37.

მუსინ-პუშკინი ივანე ალექს-ს-ძე 172.

მხითარ გოში 432.

6

ნადირაძე გიორგი 448.

ნადირ-შაჰი 291, 466.

ნაჯზარ 58.

ნაზარალიხანი [ნ. ნიკოლაი დავი-ლოვიჩ, ერეკლე პირველი] 250.

ნათალია დედოფალი 167.

ნარიმანი 26, 44.

ნანუჩა [ნ. მანუჩარ მწერალი] 215, 216, 229, 230.

ნექტარიოს პატრიარქი 214.

ნერონი 143.

ნესტან-დარეჯანი [შდრ. ნესტან-ჯარი] 146, 241, 471, 472.

ნესტან-ჯარი [შდრ. ნესტან-დარეჯანი] 45.

ნესტან-დარეჯანი, თეიმურაზ პირველის მამიდა 116, 149.

ნესტან-დარეჯანი, თეიმურაზის ასული 149, 156, 165.

ნიზამი განჯელი 32, 235.

ნიკიფორე მიტროპოლიტი 128, 131, 132.

ნიკოლაი დავიდოვიჩი [ნ. ერეკლე პირველი, ნაზარალიხანი] 250.

ნიკოლაძე ნიკო 393.

ნოდარი [შაჰნამე] 34.

ნოდარი [რუსუდანიანი] 88.

ნოდარი, გლახათ ხელმწიფე 113.

ნოე (ბიბლიური) 322.

ნოელდეკე თეოდორ 24, 27.

ნოეზერ 26.

ნუშრევან (ანუშირვანი) 95.

ნუჰ-იბნ-მანსურ 24.

ო

ოდიშელიძე ვასილი 295.

ოდიშელიძე ივანე 295.

ოდიშელიძე ილია 295.

ოდიშელიძე პეტრე 295.

ომანიშვილი ქაიხოსრო 126, 131.

ონანა მღვივანი 286.

ორბელიანი ალექსანდრე 388,

397.

ორბელიანი ანა, ნ. ანა დედო-

ფალი.

ორბელიანი გრიგოლ 349, 366.

ორბელიანი დავით (სარდალი) 376, 378, 379, 384, 391, 419, 480.

ორბელიანი დიმიტრი (სულხან-საბას ძმა) 254, 480.

ორბელიანი დიმიტრი (ანა ბატონიშვილის მეუღლე) 382, 388.

ორბელიანი ვახტანგ 275, 480.

ორბელიანი (ჯამბაკურ) ვახტანგ 366, 416.

ორბელი ვახტანგ 247.

ორბელიანი ზაალ 397.

ორბელიანი მათე, ნ. ორბელიანი მამუკა.

ორბელიანი მამუკა (მათე) 383, 398.

ორბელიანი მშეკაბუკ (ქაბუა) 368, 371, 379, 380, 384, 389, 400, 415, 420, 480.

ორბელიანი პაპუნა 470.

ორბელიანი სულხან (ბესიკის მეგობარი) 377.

ორბელიანი სულხან-საბა 7, 8, 15, 16, 18, 19, 92, 230, 247—275, 338, 343, 344, 376, 377, 416, 441, 442, 452, 458, 477, 479, 480, 482, 483.

ორმუზდი 30.

ოსეს-შვილი იესე 397.

ოშანგი/ოშანი 211, 212.

პ

პენტელაშვილი იოვანე 436, 437.
პეტრე დიდი 167—171, 173, 192, 292, 312, 422.

პიპერი, შვედი გენერალი 170.

პლონი 172.

პლოხინსკი, მ. 294, 296, 297.

პოლიევქტოვი მიხეილ, პროფ. 6, 122, 125, 128, 129, 130, 132.

პოტაპოვი, გენერალ-მაიორი 372.

პოტიომკინი გრიგორი ალექ-
სანდრეს-ძე, ფელდმარშალი
306, 385, 417, 418, 423, 424,
425, 428, 429, 430.
პოტიომკინი პაველ სერგის-ძე
424.

ჟ

ჟორდანია თედო 119, 120, 123,
124, 276, 282, 298—302,
306, 404.

რ

რამინი 210, 211, 212, 241,
244.

რევაზი [შაჰნამე] 34.

რეზარდი (მუსუ რეზარი) 251.

როდამი (რუდაბე) 26, 30, 34,
54, 55.

როდამი [რუსუდანნიანი] 86, 94.

როქსანა 239—242.

რომანოვი მიხეილ 128.

როსტომი 26, 27, 28, 30, 32—
35, 56, 59—63, 67, 70, 71,
81, 83, 84, 95, 98, 99, 100,
164.

როსტომ ბატონიშვილი, ალექ-
სანდრეს-ძე 116.

როსტომ-თური 84.

როსტომ მეფე (როსტომ-ხანი)
ნ. ხოსრო მირზა 92, 120,
125, 126, 249.

რუდაბე [ნ. როდამი] 53, 54,
94.

რუსთაველი/რუსთველი შოთა
11, 14, 15, 20, 45, 49, 50,

52, 72, 75, 109, 139, 145, 151,
152, 154, 160, 161, 162, 177—
186, 193, 203, 204, 210, 211,
215—220, 222—224, 227, 228,
230, 231, 252, 260, 339, 346,
415, 416, 450—453, 456—458,
463, 471—473.

რუსუდან დედოფალი (თამარის
ასული) 90.

რუსუდანი [რუსუდანნიანი] 86, 87,
88, 91, 94, 109, 110, 111.

რუქა 255, 261, 262.

ს

საადი 151.

სააკაძე გიორგი, დიდი მოურავი
122, 124, 125, 131, 144, 187—
189, 216.

სააკაძე დიმიტრი 287, 462—465.

სააკაძე იოსებ (ნ. იოსებ ტფილე-
ლი) 157, 158, 222, 223.

საამი [შაჰნამე] 26, 36, 44, 52,
55, 58, 81, 82, 85, 164.

საამი [რუსუდანნიანი] 94.

საბაშვილი სერაპიონ სოგრატის-
ძე [ნ. სერაპიონი] 49, 50, 67—
76, 153.

საბირი [შდრ. აბუ საბირი] 104,
106, 109, 110.

საგინაძე 295.

სადი 241, 244.

საიათნოვა 160, 348—366, 414,
437.

სალიმი 25, 26, 44, 67, 71, 81.

სალტიკოვ-შჩედრინი 461.

სედრაქი 254, 261, 262.

სერაპიონი, [ნ. საბაშვილი სერა-
პიონი სოგრატის-ძე] 222.

სეიმონ მეფე 76, 78.

სიანოში 27, 32, 52, 68, 84.

სოლომონ ბრძენი 95, 192.
 სოლომონ დიდი, იმერთა მეფე
 389, 390, 393—397, 400,
 431.
 სოლომონ მეორე, ნ. დავით არ-
 ჩილის-ძე.
 სოლოლაშვილი ბაგრატი 214.
 სოფიო (რომანოვი) 167.
 სპანდიატი (ისტანდიერი) 28, 77.
 სპანდიატი რვალი, ნ. სპანდია-
 ტი 76, 84.
 სპანდიერი, ნ. სპანდიატი 76, 84.
 სტალინი იოსებ 20, 297.
 სტარჩევსკი 306.
 სტეფანა, მირიან ბატონიშვი-
 ლის მხლებელი 420.
 სტეფანა მღვდელი (საიათნოვა),
 ნ. საიათნოვა 355.
 სულხანოვი ალექსანდრე 102,
 103.
 სუხანოვი არსენი 123, 131, 132.

ბ

ბარია [ნ. ტარიელი] 45.
 ბარიელი [ნ. ბარია] 95, 99,
 148, 222, 471, 472.
 ბატინა ვასილიენა (დავით გუ-
 რამიშვილის მეუღლე) 290,
 307.
 ბლაშაძე იესე 223.
 ბომერანი [შაჰნამე] 50, 67, 71.
 ბომერნი [რუსუდანიანი] 87.
 ბოლოჩანოვი 129—132.
 ბოტლებენი, გენერალი 378,
 379.
 ბოჭორასი, ნ. თაიმურაზი.
 ბუსი 83.

უ

უთრუთი 81.
 უმიკაშვილი პეტრე 215, 282, 340,
 341.
 უნსური 21.
 უშანგი (ჰუშენგი) 25, 27, 34, 50.

ფ

ფანაჯ 102, 103.
 ფარემუზი [შაჰნამე] 77, 83.
 ფარემუზი [რუსუდანიანი] 94.
 ფალავას ქალი როდამი 92, 93.
 ფახტურ (ჯორჯანელი) 214.
 ფეშანგი [შაჰნამე] 67, 71.
 ფეშანგი, XVII ს. პოეტი ფეშან-
 გი ფაშვი ბერტყაძე 70, 163,
 220, 221, 222.
 ფეშანგი ფაშვი ბერტყაძე, ნ. ფე-
 შანგი.
 ფერიდუნი, ნ. ფრიდონი.
 ფინეზი 254, 26, 272.
 ფირან 94.
 ფირანეკ [ნ. ფრანგი] 25.
 ფირდოუსი აბულ-ყასიმ 20—25,
 29—33, 35—37, 39—43, 46,
 47, 48, 50, 52, 53, 63, 68,
 69, 74, 81, 83, 151.
 ფირმან ხელმწიფე 113.
 ფორმაიე 43.
 ფრანგი (ფირანეკ), ნ. ფირანეკ 44.
 ფრიდონი (ფერიდუნი) 25, 26, 34,
 35, 40—44, 46, 48, 80, 81, 85,
 95, 101.
 ფრიდონი [რუსუდანიანი] 87, 94,
 108.
 ფსევდო-კალისტენი 214, 235.
 ფურცელაძე ანტონ 143, 144.
 ფურცელაძე, დ. 124.

ძ

- ქავა/ქავე მკედელი 25, 42, 80.
 ქაიუმორათი 25, 50.
 ქაიხოსრო („ომიანიანის“ ავტორი) 34, 67.
 ქაიხოსროვი/ქაიხოსრო 26, 27, 34, 63, 70, 75, 77, 80, 84, 94.
 ქაიხოსრო (ანუშირვანი) 34, 67.
 ქაიხოსრო მეფე, ლევანის-ძე 251.
 ქაიქაუსი 26, 27.
 ქაიყუბადი 26.
 ქარმელი 47, 48.
 ქეთაუნი, ნ. ქეთევანი.
 ქაცვია მწყემსი 277, 278, 284, 333—335.
 ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ პირველის დედა 118—124, 142, 159, 230, 275.
 ქეთევან დედოფალი, არჩილის მეუღლე 165, 167, 174, 175, 238, 239.
 ქეთევან დედოფალი, იოვანეს მეუღლე 101, 477.
 ქეთევანი (ქეთაუნი) 28, 34.
 ქეთევანი [ბაამანიანი] 84.
 ქეთევანი, თეიმურაზ მეორის ასული 466.
 ქიანუში 43.
 ქორქაშვილი გრიგოლ 467, 468.
 ქეჭაოზი [ნ. ქაიქაუსი] 68, 83.
 ქეჭრემი (გუარამი) 64.
 ქუჩუქა 444.
- ლ
- ლარელი გრიგოლ 422.
- შ
- ყაზბეგი ალექსანდრე 336.
 ყაისარ ხელმწიფე 88.

- ყარამანი [რუსუდანიანი] 88.
 ყარამან ყათილი 11, 379.
 ყასუმი ამირ 88.
 ყაფლანიშვილი ტეტია 296.
 ყვიცარიძე პოლიევქტ 236.
 ყილჩიყო მირზა 169.
 ყორღანიშვილი ალალუა 401, 402.
 ყორღანიშვილი ოსეფა 378, 391.
 ყორღანოვი მოსესა 435—437.

უ

- უაბურძიძე ვამიყ 71.
 უადიდი 44.
 უაფთელი 45, 49, 459.
 უამხალი 169.
 უანაოზ-ხანი, ნ. ბაქარი.
 უანიძე აკაკი, პროფ. 18, 35, 52, 93.
 უარაშიძე ქრისტინე 170, 171, 173.
 უარდენი 163, 165.
 უარინაზი 46.
 უაპ-აბასი, ნ. აბას-დიდი.
 უაპნაევაზი [ნ. ვახტანგ V] 163, 164, 221, 247.
 უაპნაზარხანი [ნ. არჩილი] 165.
 უიო, წმ. 314.
 უპარვენფელდი იოჰან 173.
 უუყაფი 84.
- ჩ
- ჩამჩი მელქო 366.
 ჩახრუხაძე 181, 183.
 ჩინგის-ხანი 1.
 ჩიქოვანი (რუხის ომის მონაწილე) 415.
 ჩიქოვანი სიმონ 145, 160.
 ჩიჩუა (რუხის ომის მონაწილე) 415.

ჩიჩუა გიორგი 238.
ჩოლოყაშვილი გარსევან 470,
475, 480, 481.
ჩუბინაშვილი დავით, პროფ.
90, 91, 93, 115, 384.
ჩხატარაძე-პეტრე 214, 237—
239, 243—246.
ჩხეიძის-შვილი ფარემ 229.

ც

ცაგარელი ალექსანდრე, პროფ.
173, 174, 257, 269, 270,
271, 24, 427, 428, 429.
ციცი 4⁴.
ციციშვილი ადამა 296.
ციციშვილი ნოდარ 161.

ჭ

ჭერეთელი აკაკი 144, 145, 269,
346, 347, 3⁵⁸, 400, 416,
445.
ჭერეთელი გიორგი 215.
ჭერეთელი პაპუნა 396.
წინასწარმეტყველი (მაჰმადი),
ნ. მაჰმადი 25.

ყ

ყავჭავაძე ალექსანდრე 414.
ყავჭავაძე ილია 245, 347.
ყიჟინაძე ზაქარია 238, 376, 377,
384, 398, 419, 422, 4⁷³, 427,
430, 431, 475, 476.
ყიჟინაძე კონსტანტინე 93, 215.
ყკონია ილია 271, 344.

ხ

ხარიტონი, წინამძღვარი 132.
ხახანაშვილი ალექსანდრე, პროფ.
35, 90, 91, 93, 100, 101, 108,
112, 113, 149, 235, 236, 239,
245, 246, 269, 283, 376, 381,
461, 476.
ხვარეშან დედოფალი 121, 124,
129, 131.

ხვატოვი არტემ ივანეს-ძე 130.
ხელაშვილი იონა 350, 355, 356.
ხოსრო [რუსუდანიანი] 87, 97,
100.
ხოსროვი [შაჰნამე] 23, 67.
ხოსროვ ანუშირვანი 29.
ხოსროვ დეჰლევი 32.
ხოსრო მირზა [ნ. როსტომ მეფე]
126.
ხოსროვ ფარევი 29.
ხუნდაძე სიმონ, პროფ. 393.

ჯ

ჯავახიშვილი (პოეტი) 284.
ჯავახიშვილი ივანე, აკადემიკოსი
1, 2, 9, 120.
ჯაკობია გიორგი 67, 180, 209,
467, 473.
ჯანაშვილი მოსე 109, 283, 381,
422, 476.
ჯამი 32.
ჯანი 77.
ჯაფარიძე გრიგოლ, ნ. ღარელი
გრიგოლ.
ჯაფარიძე დავით 208.
ჯემშიდი, ნ. ჯიმშედი.
ჯიმშედი [ჯემშიდი] 25, 37, 46,
50, 80.
ჯიმშედი [რუსუდანიანი] 87.
ჯიმშიდ [ნ. ჯიმშედი] 85.
ჯუმბერი 255, 259, 272.
ჯუნდა დევი 44.

პ

პაზირა (აშული) 353.
პუშანგი, ნ. უშანგი.
პუშენგი, ნ. უშანგი,
პომიროსი 20.

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | გვ. |
|--|---------|
| 1. ავტორისაგან | III |
| 2. ძველი ქართული მწერლობის მესამე პერიოდი (ზოგადი მიმოხილვა) | 19 |
| 3. ფირდოუსი და მისი შაჰნამე . | 20— 85 |
| 4. რუსუდანიანი . | 86—113 |
| 5. თეიმურაზ პირველი | 114—162 |
| 6. არჩილის ცხოვრება და შემოქმედება | 163—234 |
| 7. ქართული ალექსანდრიანი . | 235—246 |
| 8. სულხან-საბა ორბელიანი | 247—275 |
| 9. დავით გურამიშვილი | 276—347 |
| 10. საიათნოვა . | 348—366 |
| 11. ბესიკი | 367—431 |
| 12. მელის წიგნის ქართული რედაქციისათვის | 432—437 |
| 13. ვახტანგ VI . | 439—455 |
| 14. მამუკა ბარათაშვილი . | 456—461 |
| 15. დიმიტრი სააკაძე | 462—465 |
| 16. თეიმურაზ მეორე | 466—473 |
| 17. ნარგიზოვანი | 474—483 |
| 18. პირთა სახელების საძიებელი | 485—498 |

А. БАРАМИДЗЕ
ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ
ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
XV—XVIII вв.

Издательство Тбилисского государственного
университета им. Сталина

შახნი 15 მან.

რედაქტორი პროფ. კ. კეკელიძე

ტექრედაქტორი ვ. ბოლქვაძე
კორექტორი მ. ჯანდიერი
გადაეცა წარმოებას 1940 წ. 24/1
ხელმოწერ. დასაბეჭ. 1940 წ. 18/XII
ბეჭდვ. ფორმათა რაოდენობა 31 $\frac{1}{2}$

გამ. შეკვ. № 223
შეკვეთის № 83
ანაწყოების ზომა 6×10
ქალაღდ. ზომა 60×92
ტირაჟი 3000. უე № 4755

სსრკ შეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა, აკაკი წერეთლის ქ., 7
Тбилиси. Типография Груз. Фил. Акад. Наук. СССР. Ул. А. Церетели, 7